

**ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს
განაჩენთა კრებული**

წიგნი IV

**Selected Judgments of the European Court of Human Rights (Georgian version),
Volume IV**

This book was published by the Council of Europe Directorate General II of Human Rights, in cooperation with the Council of Europe Information Office in Georgia

წიგნი გამოიცა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა II გენერალური დირექტორატის მიერ, საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიუროსთან თანამშრომლობით

თარგმანი — ბესარიონ ბოხაშვილი, ლაშა ქელიძე

რედაქტირება — ანუკი გეგეჩკორი

დაიბეჭდა — შ.პ.ს. „პეტიტი“

თარგმანი ქვეყნდება ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით და მასზე პასუხს აგებს მთარგმნელი

ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში

ერეკლე II-ს შესახვევი № 7, თბილისი, 0105

ტელ.: 988977/989560

ფაქსი: 989657

ელ-ფოსტა: informbilisi@coe.int

ვებ-გვერდი: www.coe.ge

© ევროპის საბჭო, 2006 წლის ოქტომბერი

სარჩევნი

ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ	5
Fadeyeva v. Russia	
ვეციუსი ლიტვის წინააღმდეგ	51
Jėčius v. Lithuania	
მალჰაუზი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ	81
Malhous v. the Czech Republic	
მელნიჩენკო უკრაინის წინააღმდეგ	101
Melnychenko v. Ukraine	
უკრაინული მედიაჯგუფი უკრაინის წინააღმდეგ	133
Ukrainian Media Group v. Ukraine	
ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ	169
Leyla Şahin v. Turkey	
კარალევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ	227
Karalevičius v. Lithuania	
რებოკი სლოვენის წინააღმდეგ	249
Rehbock v. Slovenia	
ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ	281
Nachova and others v. Bulgaria	
ზელინსკი, პრადალი და გონზალესი საფრანგეთის წინააღმდეგ	329
Zelinski and Pradal and Gonzalez and others v. France	

ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ

Fadeyeva v. Russia

ადრეომოქმედი პირველი სექცია

ფაღევეა რუსეთის წინააღმდეგ

(განაცხადი № 55723/00)

განაჩენი

სტრასბურგი

2005 წლის 9 ივნისი

30/11/2005

წინამდებარე განაჩენი საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული დებულებების შესაბამისად. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“,
(*Fadeyeva v. Russia*)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ყოფილმა პირველ-მა სექციამ), რომელიც პალატის სახით შეიქმნა და შედგებოდა შემდეგი მოსამართლეებისაგან:

ბ-ნი კ. ლ. როზაკისი, თავმჯდომარე,
ბ-ნი პ. ლორენზენი,
ქ-ნი ფ. ტულკენსი,
ქ-ნი ნ. ვაჯიჩი,
ქ-ნი ს. ბოტუჩაროვა
ბ-ნი ა. კოვლერი,
ბ-ნი ვ. ზაგრებელსკი, მოსამართლეები,
აგრეთვე სექციის სამდივნოს უფროსი ბ-ნ ს. ნილსენი,

იმსჯელა რა განმარტოებით 2004 წლის 1 ივლისსა და 2005 წლის 19 მაისს,

2005 წლის 19 მაისს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (№55723/00), რომელიც წარმოდგენილი იქნა სასამართლოს წინაშე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, რუსეთის მოქალაქის ქ-ნი ნადეჟდა მიხაილის ასული ფადეევას (შემდგომში „განმცხადებელი“) მიერ 1999 წლის 11 დეკემბერს.

2. განმცხადებელს, რომელსაც მიეცა სამართლებრივი დახმარება სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისათვის, თავდაპირველად წარმოადგენდნენ ბ-ნი იური ვანუა, ხოლო შემდგომში ბ-ნი კირილ კოროტევი და ქ-ნი დინა ვედერნიკოვა, რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ ადვოკატები, და ბ-ნი ბილ ბოურინგი და ბ-ნი ფილიპ ლიხი, ადვოკატები ინგლისსა და უელსში. რუსეთის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდნენ ბ-ნი პაველ ლაპტევი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი.

3. კერძოდ, განმცხადებელი ჩიოდა, რომ სახლთან ახლომდებარე ფოლადის ქარხანა საფრთხეს უქმნიდა მის ჯანრთელობასა და კეთილდღეობას. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-8 მუხლს.

4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). აღნიშნულ სექციაში შეიქმნა პალატა (რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), რომელსაც უნდა განეხილა საქმე (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

5. 2001 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობა (რეგლამენტის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). წინამდებარე საქმე გადაეცა ახლადშექმნილ პირველ სექციას (რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

6. 2003 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ განაცხადი არსებით განხილვაზე ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა და მიიღო გადაწყვეტილება მხარეებისთვის დამატებითი ინფორმაციის და მიმოხილვების მოთხოვნის და საქმის არსებითად განხილვის მოსმენის ჩატარების შესახებ.

7. განმცხადებელმა და მთავრობამ საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით წარმოადგინეს თავიანთი მიმოხილვები (რეგლამენტის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). საქმის მოსმენა შედგა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრას-ბურგში, 2004 წლის 1 ივლისს (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

(ა) მთავრობის სახელით

ბ-ნი პაველ ლაპტევი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი,

ბ-ნი ბერესტინევი, ადვოკატი,

ქ-ნი ტ. გორნიაკი,

ბ-ნი მ. სტავროვსკი,

ბ-ნი მ. ვინოგრადოვი, მრჩეველები;

(ბ) განმცხადებლის სახელით
ბ-ნი კ. კოროტევი,
ქ-ნი დ. ვედერნიკოვა,
ბ-ნი ბოურინგი,
ბ-ნი ფ. ლიხი, ადვოკატები.

8. სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ლაპტევის, ბ-ნი ბოურინგის, ბ-ნი ლიხისა და ბ-ნი კოროტევის გამოსვლები.

9. 2004 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ შეცვალა სექციების შემადგენლობა (რეგლამენტის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). წინამდებარე საქმე დარჩა პირველი სექციის თავდაპირველ შემადგენლობაში.

ფაქტები

I. საქმის ბარემოუბავი

A. შესავალი

10. განმცხადებელი დაიბადა 1949 წელს. იგი ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ჩერეპოვეცში, რომელიც ფოლადის მწარმოებელ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს. იგი მოსკოვიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 300 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. 1982 წელს განმცხადებლის ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ახალ ბინაში, ყუკოვის ქუჩა №1-ში, რომელიც ფოლადის ქარხანა „სევერსტალიდან“ (შემდგომში „ქარხანა“) 450 მეტრის მოშორებით მდებარეობდა. აღნიშნული ბინა განმცხადებლის ქმარს, ბ-ნ ნიკოლაი ფადეევს, ქარხანამ გადასცა ქირავნობის ხელშეკრულებით.

11. ფოლადის ქარხანა „სევერსტალი“ საბჭოთა პერიოდში აშენდა. იგი რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) შავი მეტალურგიის სამინისტროს საკუთრებაში იყო. ქარხანა იყო და დღემდე რჩება ლითონის მწარმოებელ უმსხვილეს ქარხანად რუსეთში და ძირითად დამქირავებლად, რომელიც დაახლოებით 60 000 ადამიანს ასაქმებს. იმისათვის, რომ განესაზღვრა ის სივრცე, სადაც ფოლადის წარმოების შედეგად დაბინძურება შესაძლოა მოჭარბებული ყოფილიყო, „სევერსტალის“ გარშემო ხელისუფლებამ ბუფერული ზონა - „სანიტარული უსაფრთხოების ზონა“ - შექმნა. ეს ზონა პირველად 1965 წელს შემოისაზღვრა. მისი ფართობი 5 000 მ²-ს შეადგენდა. თუმცა თეორიულად იგულისხმებოდა, რომ აღნიშნულ ზონას ქარხანა ქალაქის საცხოვრებელი ნაწილისაგან უნდა გაემიჯნა, პრაქტიკულად იქ ათასობით ადამიანი (მათ შორის განმცხადებლის ოჯახიც) ცხოვრობდა. ზონაში განლაგებული საცხოვრებელი ბინები ქარხნის საკუთრებას წარმოადგენდა და ძირითადად განკუთვნილი იყო იმ მუშებისათვის, რომლებსაც მუდმივი მაცხოვრებლების სტატუსი ჰქონდათ (იხ. „შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა“). რსფსრ-ის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 10 სექტემბრის განკარგულების მიხედვით, შავი მეტალურგიის სამინისტრო ვალდებული იყო, სხვაგან

დაბინავებინა სანიტარული უსაფრთხოების ზონის მოსახლეობა, რომელიც 1977 წლისათვის №№ 213 და 214 რაიონებში ცხოვრობდა. თუმცა რეალურად ეს არ განხორციელებულა.

12. 1990 წელს რსფსრ-ის მთავრობამ მიიღო პროგრამა „ჩერეპოვეცში ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესების შესახებ“. პროგრამის მიხედვით, „ქალაქში ტოქსიკური ნივთიერებების ჰაერში კონცენტრაცია მრავალჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას“ და ჩერეპოვეცის მოსახლეობაში ავადმყოფობის მაჩვენებელი საშუალოზე მაღალი იყო. იქვე აღნიშნული იყო, რომ კვლავ ბევრი ადამიანი ცხოვრობდა ფოლადის ქარხნის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში. პროგრამის თანახმად, ფოლადის ქარხანას მოეთხოვებოდა ტოქსიკური ემისიის უსაფრთხო დონემდე შემცირება 1998 წლისათვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამა მთელ რიგ სპეციალურ ტექნოლოგიურ ღონისძიებებს ითვალისწინებდა. ფოლადის ქარხანა აგრეთვე ვალდებული იყო, ყოველწლიურად დაეფინანსებინა 20 000 მ²-ის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სანიტარული უსაფრთხოების ზონაში მცხოვრები მოსახლეობის განსახლებისათვის.

13. მუნიციპალიტეტის 1992 წლის 18 ნოემბრის №30 განკარგულებით სანიტარული უსაფრთხოების ზონის საზღვრები ხელახლა განისაზღვრა. ამ ზონის სივრცე 1 000 მეტრამდე შემცირდა.

14. 1993 წელს ფოლადის ქარხანა პრივატიზებული იქნა „სევერსტალის“ მიერ. პრივატიზაციის პროცესში ქარხნის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები, რომლებიც ზონის შიგნით მდებარეობდა, მუნიციპალიტეტს გადაეცა.

15. 1996 წლის 3 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის მთავრობამ მიიღო № 1161 განკარგულება „სპეციალური ფედერალური პროგრამის – „ჩერეპოვეცში ბუნებრივი გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების“ შესახებ 1997-2010 წლებისათვის“ (2002 წელს ეს პროგრამა შეცვალა სპეციალურმა ფედერალურმა პროგრამამ: „რუსეთის ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსები“). 1996 წლის პროგრამის განხორციელებას მსოფლიო ბანკი აფინანსებდა. ამ პროგრამის მეორე პუნქტში ნათქვამია:

„ქალაქის საცხოვრებელ ნაწილში კონკრეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია 20-50-ჯერ მაღალია ზღვრულ დასაშვებ კოეფიციენტზე (ზდკ)“. ... ატმოსფეროს დაბინძურებაში ყველაზე დიდი „წვლილი“ შეაქვს „სევერსტალს“, რომელიც ყველა ემისიის 96%-ზეა პასუხისმგებელი. ჰაერის დაბინძურების ყველაზე მაღალი კოეფიციენტი რეგისტრირებულია იმ საცხოვრებელ რაიონებში, რომლებიც უშუალოდ „სევერსტალის“ სამრეწველო ტერიტორიას ემიჯნება. ტოქსიკური ნივთიერებების ატმოსფეროში ემისიის ძირითადი მიზეზი არის მეტალურგიული და სხვა მრეწველობაში ძველი და ეკოლოგიურად საშიში ტექნოლოგიებისა და მანქანა-დანადგარების გამოყენება, ისევე, როგორც გაზის გამასუფთავებელი სისტემის დაბალი ეფექტიანობა. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს თითქმის სრული თანხვედრა ქალაქის სამრეწვე-

1. „ზდკ“ არის სხვადასხვა დამაბინძურებელ ნივთიერებათა უსაფრთხო ნორმები, რომლებიც განსაზღვრულია რუსეთის კანონმდებლობით (*«предельно допустимые концентрации», ПДК*).

ლო და საცხოვრებელი რაიონებისა, რომლებიც არ არიან გამიჯნული სანიტარული უსაფრთხოების ზონებით.“

განკარგულების მიხედვით, „ქალაქში არსებული ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მუდმივ გაუარესებას განაპირობებს“. კერძოდ, განკარგულებაში ნათქვამია, რომ 1991-1995 წლებში რესპირატორული დაავადებების მქონე ბავშვთა რიცხვი 345-დან 945-მდე გაიზარდა, სისხლისა და პემატოგენური დაავადებების შემთხვევებისა – 3,4-დან 11-მდე, ხოლო კანის დაავადებებისა – 33,3-დან 101,1-მდე ყოველ ათას სულ მოსახლეზე. განკარგულების თანახმად, ატმოსფერული დაბინძურების მაღალი კოეფიციენტი განაპირობებდა რესპირატორული და სისხლის დაავადებების რიცხობრივ ზრდას ქალაქის ზრდასრულ მოსახლეობაში და სიმსივნით გარდაცვალების შემთხვევების მატებას.

16. პროგრამაში მითითებულ ღონისძიებათა უმრავლესობა ეხებოდა „სევერსტალის“ ფუნქციონირებას. განკარგულებაში ჩამოთვლილი იყო, აგრეთვე, რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მთელ ქალაქს ეხებოდა. ეს ღონისძიებები გულისხმობდა „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონიდან 18 900 ადამიანის გამოყენას და სხვაგან დაბინავებას. პროგრამიდან ჩანს, რომ ამ განსახლების დაფინანსების მთავარი წყარო სახელმწიფო უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც ჩანს, შემდგომ წლებში ზონის მცხოვრებთა გასახლების დაფინანსებას „სევერსტალი“ განაგრძობდა, ყოველ შემთხვევაში, 213-ე და 214-ე რაიონების მცხოვრებთათვის. მაგალითად, ჩერეპოვეცის მერის 2004 წლის 4 აპრილის № 1260 განკარგულებით 2004 წელს გაგარინის მოედანზე განლაგებული საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლები ქალაქის სხვა რაიონში განასახლეს. ჩერეპოვეცის მერის 2004 წლის 3 ივნისის წერილის მიხედვით, განსახლების ხარჯების დაახლოებით ერთი მესამედი „სევერსტალმა“ გაიღო.

17. 2000 წლის 9 აგვისტოს ჩერეპოვეცის მთავარმა სანიტარულმა ინსპექტორმა დაადგინა, რომ სანიტარული უსაფრთხოების ზონის სიგანე უნდა ყოფილიყო 1 000 მეტრი სამრეწველო დაბინძურების მთავარი წყაროდან. თუმცა რაიმე სპეციალური საზღვრები ზონისთვის არ დაუდგენიათ. 2002 წელს მუნიციპალიტეტმა გაასაჩივრა თავისივე 1992 წლის №30 განკარგულება, რომელიც ადგენდა ზონის საზღვრებს (იხ. პუნქტი 13). 2002 წლის 13 ივნისს ჩერეპოვეცის საქალაქო სასამართლომ № 30 განკარგულება ბათილად გამოაცხადა იმ მოტივით, რომ ის სცილდებოდა უფლებამოსილების სფეროს (*ultra vires*). საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ იმ დროს მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა იურისდიქცია, განესაზღვრა ზონის სიგანე. სანიტარული უსაფრთხოების ზონის საზღვრები „სევერსტალის“ შენობების გზრშემო კვლავაც არ განსაზღვრულა.

18. მთავრობის 1996 წლის პროგრამის განხორციელება 2001 წელს შეწყდა და შეთავაზებული ღონისძიებები გადატანილი იქნა სპეციალური ფედერალური პროგრამის – „რუსეთის ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსები“ – ქვეპროგრამის „ბუნებრივი გარემოს ხარისხის რეგულირება“ შესაბამის კარში.

19. ჩერეპოვეცის მერის 2004 წლის 3 ივნისის წერილის მიხედვით, 1999 წელს ქარხანა პასუხისმგებელი იყო ქალაქის ჰაერში სამრეწველო ემისიების 95%-ზე მეტზე. 1999 წლისთვის გარემოს დაცვის შესახებ სახელმწიფო დასკვნის შესაბამისად, რუსეთის ყველა მეტალურგიულ ქარხანას შორის ჩერეპოვეცის

„სევერსტალს“ ყველაზე დიდი „ნელილი“ შექმონდა ჰაერის დაბინძურებაში.

B. განმცხადებლის მცდელობა, დასახლებულიყო ზონის გარეთ

1. სამართალწარმოების პირველი ეტაპი

20. 1995 წელს განმცხადებელმა, თავის ოჯახსა და მის საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ ბევრ სხვა ადამიანთან ერთად, სასამართლოს მიმართა სარჩელით ზონის ფარგლებს გარეთ განსახლების თაობაზე. განმცხადებლის მტკიცებით, ტოქსიკური ნაერთების კონცენტრაცია და ხმაურის დონე სანიტარული უსაფრთხოების ზონაში აღემატებოდა რუსეთის კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ დასაშვებ კოეფიციენტს (ზდკ). განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ზონაში ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა ადამიანებისათვის მავნე იყო და იქ ცხოვრება პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. თავისი არგუმენტების დასასაბუთებლად იგი ძირითადად ეყრდნობოდა 1989 წლის ინსტრუქციას ქალაქის დაგეგმარების შესახებ (იხ. ქვემოთ, „შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა“). განმცხადებლის თქმით, აღნიშნული ინსტრუქცია ქარხნების მეპატრონეებს ავალდებულებდა ზონაში სხვადასხვა ეკოლოგიური ზომების მიღებას, მათ შორის, მაცხოვრებლების განსახლებას ეკოლოგიურად უსაფრთხო ადგილზე. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ „სევერსტალსი“ არ შეასრულა ეს ვალდებულება.

21. 1996 წლის 17 აპრილს ჩერეპოვეცის საქალაქო სასამართლომ განიხილა განმცხადებლის სარჩელი. სასამართლომ ცნო, რომ შენობა ყუკოვის ქ. №1-ში, სადაც განმცხადებელი ცხოვრობდა, მდებარეობდა „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონის ფარგლებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ 1993 წლამდე განმცხადებლის ბინა შავი მეტალურგიის სამინისტროს საკუთრებაში იყო, რომელსაც ეკუთვნოდა ქარხანაც. 1993 წელს ქარხნის პრივატიზაციის შემდეგ იგი გახდა კერძო საკუთრება და განმცხადებლის ბინა ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში გადავიდა. მინისტრის 1974 წლის განკარგულებაზე მითითებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებას ევალებოდა ზონის ყველა მაცხოვრებლის განსახლება, რაც არ განხორციელებულა. ამ დასკვნის გათვალისწინებით სასამართლო პრინციპულად დაეთანხმა განმცხადებლის პრეტენზიას, აღნიშნა რა, რომ მას, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ჰქონდა განსახლების უფლება. თუმცა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასამართლოს არ მიუღია რაიმე სპეციალური ბრძანება განმცხადებლის განსახლებასთან დაკავშირებით. პირიქით, სასამართლომ განაცხადა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას იგი აღრიცხვაზე უნდა აეყვანა „ბინის მომოდინეთა პრიორიტეტულ სიაში“ ახალი ბინის მიცემის მიზნით (იხ. ქვემოთ, „შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა“). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებლის განსახლება დამოკიდებული იყო ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობაზე.

22. განმცხადებელმა გააასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, ამტკიცებდა რა, რომ განსახლების ვალდებულება უფრო მეტად ქარხანას ეკისრებოდა, ვიდრე მუნიციპალიტეტს. იგი აგრეთვე მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორი ფორმით წარმოადგინა მისი დავის საგანი: მიუხედავად იმისა, რომ ითხოვდა

დაუყოვნებელ განსახლებას, სასამართლომ იგი მომლოდინეთა სიაში ჩაწერა. განმცხადებლის აზრით, ეს გადაწყვეტილება არ იყო განხორციელებადი, რადგან მისი აღსრულება ბევრ ფაქტორზე იყო დამოკიდებული (განსახლების შესახებ ბრძანების არსებობა, მომლოდინეთა სიაში ხალხის რაოდენობა, განსახლებისთვის საჭირო ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა და ა.შ.).

23. 1996 წლის 7 აგვისტოს ვოლოგდის საოლქო სასამართლომ არსებითად ძალაში დატოვა 1996 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება და დაადასტურა, რომ განმცხადებლის სახლი მდებარეობდა ფოლადის ქარხანა „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონის ფარგლებში. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ განმცხადებლის განსახლება ეკოლოგიურად უსაფრთხო ადგილას მუნიციპალიტეტის მიერ უნდა განხორციელებულიყო. და ბოლოს, სააპელაციო სასამართლომ ამოიღო განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან მითითება ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობაზე, როგორც განმცხადებლის განსახლების წინაპირობაზე.

24. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო სააღსრულებო ფურცელი და გადასცა აღმასრულებელს. თუმცა გადაწყვეტილება არ აღსრულებულა გარკვეული დროის განმავლობაში. ჩერეპოვეცის მერი 1996 წლის 11 დეკემბრის წერილში აღნიშნავდა, რომ განაჩენის აღსრულება შეჩერებული იყო, რადგან არ არსებობდა ნორმები, რომლებიც დაადგენდა მცხოვრებთა ზონის გარეთ განსახლების პროცედურას.

25. 1997 წლის 10 თებერვალს აღმასრულებელმა შეწყვიტა აღსრულების სამართალწარმოება იმ საფუძველზე, რომ არ არსებობდა ახალი ბინის „მომლოდინეთა პრიორიტეტული სია“ სანიტარული უსაფრთხოების ზონის მცხოვრებ-თათვის.

2. სამართალწარმოების მეორე ეტაპი

26. 1999 წელს განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ კვლავ შეიტანა სარჩელი, რომლითაც მოითხოვდა 1996 წლის 17 აპრილის განაჩენის დაუყოვნებელ აღსრულებას. განმცხადებლის მტკიცებით, *inter alia*, სისტემატური ტოქსიკური ემისია და ხმაური ქარხანა „სევერსტალიდან“ არღვევდა მის ძირითად უფლებას პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემაზე, როგორც ამას უზრუნველყოფს რუსეთის კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. იგი ითხოვდა ეკოლოგიურად უსაფრთხო ადგილას ბინით უზრუნველყოფას ან სახსრების გამოყოფას ახალი ბინის შესაძენად.

27. 1999 წლის 27 აგვისტოს მუნიციპალიტეტმა განმცხადებელი შეიყვანა ახალი ბინის მომლოდინეთა საერთო სიაში. იგი სიაში რიგით 6820-ე იყო (იხ. ქვემოთ, „შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა“).

28. 1999 წლის 31 აგვისტოს ჩერეპოვეცის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი. სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა სანიტარული უსაფრთხოების ზონებში მცხოვრებთა ბინის მომლოდინეთა პრიორიტეტული სია და ამ მიზნით განსახლების არანაირი საბჭო არ შექმნილა. სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელი ჯეროვნად იყო შეყვანილი მომლოდინეთა საერთო სიაში. სასამართლომ დაადასტურა, რომ 1996 წლის 17 აპრილის განაჩენი აღსრულებული იქნა. შესაბამისად, რაიმე შემ-

დგომი ზომების მიღება საჭირო არ იყო. ეს განაჩენი დაადასტურა ვოლოგდის საოლქო სასამართლომ 1999 წლის 17 ნოემბერს.

C. დაბინძურების კოეფიციენტი განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილას

29. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ატარებენ რეგულარულ ინსპექციებს ქალაქში ჰაერის ხარისხის შესამოწმებლად. დაბინძურებას აკონტროლებს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო სააგენტოს ოთხი სტაციონარული სადგური, მათ შორის ერთი (სადგური № 1) განლაგებულია ჟუკოვის ქ. №4-ში, განმცხადებლის სახლიდან 300 მეტრის დაშორებით. ხელისუფლება აკონტროლებს ცამეტი საშიში ნივთიერების (აზოტის ორჟანგის, ამიაკის, ნახშირორჟანგის, მტერის, გოგირდწყალბადის, გოგირდნახშირბადის, კარბოლმჟავის, ფენოლის, ფორმალდეჰიდის, გოგირდის ორჟანგის, აზოტის ჟანგის, მანგანუმის, ბენზოპირინის, ტყვიის) ემისიის დონეს. ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო სააგენტოს ოთხი სტაციონარული სადგური აკვირდება მხოლოდ პირველი რვა ნივთიერების ემისიას; გარდა ამისა, სადგური №1 აკონტროლებს გოგირდის ორჟანგის, აზოტის ორჟანგის, ტყვიის, ბენზოპირინის, მანგანუმის, ხოლო სადგური №2 – ბენზოპირინის, მანგანუმისა და გოგირდის ორჟანგის ემისიას. ამასთანავე, სანიტარული კონტროლის სახელმწიფო სააგენტო რეგულარულად ამოწმებს ჰაერს ფოლადის ქარხნიდან ერთი, ორი, ხუთი, შვიდი და ცხრა მეტი კილომეტრის მანძილზე. და ბოლოს, „სევერსტალს“ აქვს კონტროლის საკუთარი სისტემა, რომელიც აფასებს ემისიას ქარხნის სამრეწველო ფუნქციის მქონე თითოეული შენობიდან.

30. როგორც ჩანს, პირველადი მონაცემები გარემოს დაბინძურების შესახებ, იმის მიუხედავად, სახელმწიფო კონტროლის სადგურების მიერ არის შედგენილი თუ „სევერსტალის“, არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. ორივე მხარემ წარმოადგინა მთელი რიგი ოფიციალური დოკუმენტებისა, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ქალაქში სამრეწველო დაბინძურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები, რამდენადაც ისინი საქმესთან კავშირშია, მოკლედ არის მიმოხილული მომდევნო პუნქტებსა და წინამდებარე განაჩენის დანართში.

1. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია

31. განმცხადებლის მტკიცებით, ჰაერში გარკვეული ტოქსიკური ნივთიერებების კონცენტრაცია მის სახლთან ახლოს მუდმივად აღემატებოდა და დღემდე აღემატება რუსეთის კანონმდებლობით დადგენილ უსაფრთხოების კოეფიციენტს. ასე მაგალითად, 1990-1999 წლებში ჰაერში მტერის საშუალო წლიური კონცენტრაცია „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონაში 1,6-1,9-ჯერ აღემატებოდა ზდკ-ს, კარბოლმჟავის კონცენტრაცია – 1,4-4-ჯერ, ხოლო ფორმალდეჰიდის კონცენტრაცია — 2-4,7-ჯერ (ჩერეპოვეცის სანიტარული კონტროლის ცენტრის მონაცემებით). ჩერეპოვეცის ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო სააგენტოს დასკვნის თანახმად, ზონაში ატმოსფერული დაბინძურების დონე 1997-2001 წლებში შეფასებული იყო როგორც „მაღალი“ ან „ძალიან მაღალი“. ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო სააგენტომ დაადასტურა, რომ აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა სხვა მანევ ნივთიერებების,

მაგალითად, გოგირდწყალბადისა და ამიაკის, გადაჭარბებული კონცენტრაცია.

32. რაც შეეხება 2002 წელს, განმცხადებელმა ნარმოადგინა ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივ გარემოზე დაკვირვების სახელმწიფო სააგენტოს ჩრდილოეთის რეგიონული ოფისის მოხსენება. ამ მოხსენების შესაბამისად, *inter alia*, 2002 წელს მტვრის წლიური საშუალო კონცენტრაცია განმცხადებლის სახლთან ახლოს 1,9-ით აღემატებოდა ზდკ-ს. ივლისში ნახშირორჟანგის წარბი კონცენტრაცია იქნა დაფიქსირებული განმცხადებლის სახლთან ახლოს: ამ ელემენტის კონცენტრაცია თავის მოკლევადიან პიკში შვიდჯერ აღემატებოდა ზდკ-ს. ამასთანავე, სააგენტოს დასკვნის შესაბამისად, ქალაქში ფორმალდეჰიდის კონცენტრაცია სამჯერ აღემატებოდა ზდკ-ს. განმცხადებლის სახლთან ახლოს გოგირდნახშირბადის საშუალო წლიური კონცენტრაცია 2,9-ჯერ აღემატებოდა ზდკ-ს. ფენოლის კონცენტრაცია მოკლევადიან პიკში ოთხჯერ, ხოლო გოგირდწყალბადისა — 4,5-ჯერ აღემატებოდა ზდკ-ს.

33. განმცხადებელმა აგრეთვე ნარმოადგინა ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივ გარემოზე დაკვირვების სახელმწიფო სააგენტოს ჩრდილოეთის რეგიონული ოფისის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. აღნიშნული წყაროს მიხედვით, 2004 წლის აპრილში ჩერეპოვეცში ფორმალდეჰიდის კონცენტრაცია ნორმას აღემატებოდა. 2004 წლის მარტში ფორმალდეჰიდის ყოველთვიური საშუალო კონცენტრაცია 5-ჯერ აღემატებოდა ზდკ-ს.

34. განმცხადებელმა აგრეთვე ნარმოადგინა გამოკვლევა „სევერსტალში“ ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ“, რომელიც მოამზადა ტექნიკური თანამშრომლობის საერთაშორისო პროექტების მომზადებისა და განხორციელების ცენტრმა, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელიც 1993 წელს დაფუძნდა მაშინდელი გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ. გამოკვლევა შეუკვეთა ჩერეპოვეცის მუნიციპალიტეტმა 1996 წლის ფედერალური პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებების ხარჯების ეფექტიანობის ანალიზის ჩატარების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფს ხელი მიუწვდებოდა მონაცემებზე იმ 58 დამაბინძურებელ ნივთიერებასთან დაკავშირებით, რომლებსაც შეიცავდა ქარხანა „სევერსტალის“ სამრეწველო ემისია. ექსპერტებმა გამოარჩიეს ცამეტი ყველაზე უფრო ტოქსიკური ნივთიერება და, სპეციალური დისპერსიული გავრცელების მოდელის გამოყენებით, დაადგინეს, თუ რა გავლენას ახდენდა ისინი ქალაქში ავადმყოფობის მაჩვენებელზე. შემდგომში ექსპერტებმა გამოიანგარიშეს, თუ როგორ შეამცირებდა ამ დამაბინძურებლების კონცენტრაციასა და, შესაბამისად, ავადმყოფობის მაჩვენებელს ფედერალური პროგრამით გათვალისწინებული რომელიმე ღონისძიების განხორციელება.

35. 2004 წლის აპრილში განმცხადებელმა სასამართლოს აცნობა, რომ შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა მოპასუხე მთავრობისაგან. კერძოდ, განმცხადებელს სურდა მოეპოვებინა:

- ა) მონაცემები „სევერსტალის“ ძირითადი ემისიის, მათ შორის იმ გამონაბოლქვის ფიზიკური პარამეტრებისა და ქიმიკატების მოცულების შესახებ, რომლებსაც ყოველწლიურად გამოყოფდა თითოეული პროცესის დროს „სევერსტალი“;
- ბ) მონაცემები ატმოსფერულ ჰაერში 13 ტოქსიკური ნივთიერების კონცენ-

ტრაციის შეფასების დისპერსიული მოდელის შესახებ როგორც X, ისე Y საკოორდინაციო ღერძებზე, რაც ეფუძნებოდა ზემოხსენებულ მონაცემებს ემისიის შესახებ. განმცხადებელმა მიუთითა, რომ ამ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი იყო ტექნიკური თანამშრომლობის საერთაშორისო პროექტების მომზადებისა და განხორციელების ცენტრში (იხ. პუნქტი 34). განმცხადებელს აგრეთვე სურდა, მიეღო მონაცემები ჩერეპოვეცში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ, რომლებიც მოპოვებული იქნა 1998-1999 წლებში რუსეთის ფედერაციაში ბუნებრივი გარემოს მართვის შესახებ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. 2004 წლის მაისში სასამართლომ შესთავაზა მოპასუხე მთავრობას, წარმოედგინა განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია.

2. მოპასუხე მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია

36. 2004 წლის ივნისში მთავრობამ წარმოადგინა ჩერეპოვეცის მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული დასკვნა „ჩერეპოვეცში გარემოს დაცვის მდგომარეობა და მისი კავშირი [„სევერსტალის“] საქმიანობასთან 2004 წლამდე პერიოდში“.

37. დასკვნის მიხედვით, ჩერეპოვეცში ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნა ბოლო წლებში: მაგალითად, ქალაქში დამაბინძურებლების დიდი ემისია შემცირდა 1999 წელს 370,5-დან 2003 წელს 346,7 ათას ტონამდე (ანუ 6,4 პროცენტით). მთლიანი ემისია „სევერსტალიდან“ ამ პერიოდში 355,3-დან 333,2 ათას ტონამდე (ანუ 5,7 პროცენტით) იქნა შემცირებული, ხოლო სტაციონარულ სადგურებზე არადამაკმაყოფილებელი შედეგების ხვედრითი წილი 2003 წელს 32,7-დან 26 პროცენტამდე შემცირდა.

38. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ, ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო სააგენტოს ოთხი სტაციონარული სადგურიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, მთელი რიგი მავნე ნაერთების კონცენტრაციის მნიშვნელოვანი შემცირება იქნა დაფიქსირებული 1999-2003 წლებში:

- (i) მტვერი — 0,2 მგრ/მ³-დან (ზდკ-ის 1,28) 0,11 მგრ/მ³-მდე (ზდკ-ის 0,66);
- (ii) გოგირდწყალბადი — 0,016 მგრ/მ³-დან (ზდკ-ის 3,2) 0,006 მგრ/მ³-მდე (ზდკ-ის 1.2);
- (iii) ფენოლი — 0,018 მგრ/მ³-დან (ზდკ-ის 0,6) 0,14 მგრ/მ³-მდე (ზდკ-ის 0,47).

39. დასკვნის თანახმად, დაბინძურება განმცხადებლის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არ იყო აუცილებლად ისეთივე მალალი, როგორც ქალაქის სხვა ადგილებში. მაგალითად, 2003 წელს აზოტის ორჟანგის კონცენტრაცია №1 სადგურზე იყო 0,025 მგრ/მ³, მაშინ, როდესაც №2 სადგურზე — 0,034 მგრ/მ³, ხოლო №3 სადგურზე — 0,029 მგრ/მ³ აღინიშნა. ამიაკის საშუალო დღიური კონცენტრაციის კოეფიციენტი, რომელიც №1 სადგურზე დაფიქსირდა, იყო 0,016 მგრ/მ³, №2 სადგურზე — 0,017 მგრ/მ³, №3 სადგურზე — 0,005 მგრ/მ³, ხოლო №4 სადგურზე — 0,0082 მგრ/სმ³. ფენოლის კოეფიციენტი, რომელიც №1 სადგურზე დაფიქსირდა, იყო 0,014 მგრ/მ³, №2 სადგურზე — 0,015 მგრ/მ³, №4 სადგურზე — 0,0012 მგრ/მ³. და ბოლოს, ფორმალდეჰიდის კონცენტრაცია

№1 სადგურზე იყო 0,019 მგრ/მ³, მაშინ, როდესაც №2 სადგურზე დაფიქსირდა 0,012 მგრ/მ³, №3 სადგურზე – 0,018 მგრ/მ³, ხოლო №4 სადგურზე – 0,02 მგრ/მ³.

40. დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ აზოტის ორჟანგის, ტყვიის, მანგანუმის, აზოტმჟავის, ამიაკის, გოგირდწყალბადის, ფენოლის, ნახშირორჟანგისა და გოგირდნახშირბადის საშუალო წლიური კონცენტრაცია არ აღემატებოდა ზღვ.ს. ჭარბი წლიური კონცენტრაცია მხოლოდ მტკვერთან, ფორმალდეჰიდსა და ბენზოპირინთან მიმართებაში იქნა დაფიქსირებული. 1999-2003 წლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გარკვეული გაუმჯობესება დაფიქსირდა ფოლადის ქარხნის „დაბინძურების გვირგვინის“ ქვეშ ქალაქის საცხოვრებელ ნაწილში. მაგალითად, არადაამაკმაყოფილებელი შედეგების ხვედრითი წილი 13,2 პროცენტი იყო 1999 წელს, მაშინ, როდესაც 2003 წელს იგი 12,7 პროცენტამდე დაეცა. დასკვნაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ არადაამაკმაყოფილებელი შედეგების ხვედრითი წილი მცირდებოდა: 18,4-დან 14,2 პროცენტამდე ქარხნიდან 1000 მეტრის რადიუსში და 14,04-დან 12,8 პროცენტამდე 3000 მეტრის რადიუსში. პოზიტიური ტენდენცია შეინიშნებოდა, აგრეთვე, ზოგიერთ კონკრეტულ ინგრედიენტთან მიმართებით: 1000 მეტრის რადიუსში არადაამაკმაყოფილებელი შედეგების თანაფარდობა აზოტის ორჟანგისთვის 1999 წელს 50 პროცენტიდან 2003 წელს 47 პროცენტამდე, გოგირდწყალბადისთვის – 1999 წელს 75-დან 2003 წელს 20 პროცენტამდე, ხოლო ფენოლისთვის – 1999 წელს 52-დან 2003 წელს 38 პროცენტამდე შემცირდა.

41. მთავრობის მიერ წარმოდგენილი დასკვნა შეიცავდა განზოგადებულ მონაცემებს დაბინძურების საშუალო მაჩვენებელზე 1999-2003 წლებში, რომლებიც შეგროვებული იქნა პიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო სააგენტოს ოთხი სტაციონარული სადგურის მიერ. მთავრობამ აგრეთვე წარმოადგინა №1 სადგურის მიერ დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები, რომლებიც ასახავდა წლიური საშუალო და მაქსიმალური დაბინძურების დონეებს 10-20 წლის წინ არსებულ სიტუაციასთან შედარებით. აღნიშნულ დასკვნაში აღწერილი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემები მოკლედ წინამდებარე განაჩენის დანართშია განხილული.

42. მთავრობამ აგრეთვე წარმოადგინა ამონარიდები ვოლოგდის რაიონის მთავარი სანიტარული ინსპექტორის დასკვნიდან, რომელიც მომზადდა 2004 წლის ივნისში სანიტარული უსაფრთხოების ზონისთვის ახალი საზღვრების დასადგენად. დასკვნის მიხედვით, 2004 წელს „სევერსტალი“ კვლავ პასუხისმგებელი იყო ქალაქში მთლიანი დაბინძურების 94-97 პროცენტზე. დასკვნა მიუთითებდა, რომ „სევერსტალის“ ემისია შეიცავდა 80 სხვადასხვა დამაბინძურებელ ნივთიერებას. ბოლო წლებში დაბინძურების მნიშვნელოვნად შემცირების მიუხედავად, „ხუთი პრიორიტეტული დამაბინძურების“ (მტვერისა, რომელიც შეიცავს სილიკონის ორჟანგის, მტკრის, აზოტის ორჟანგის, ნაფტალინისა და გოგირდწყალბადის 20%-ზე მეტს) მაქსიმალური კონცენტრაცია კვლავ აღემატებოდა უსაფრთხოების სტანდარტებს ერთიდან ხუთი კილომეტრის რადიუსზე ქარხნიდან მოშორებით. დასკვნაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ „150 000 ადამიანზე მეტი ცხოვრობდა ზონაში, სადაც საფრთხის მაქსიმალურად დასაშვები კოეფიციენტი გადაცილებული იყო“. დასკვნაში ჩამოყალიბებული იყო მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებსაც 2010 წლისათვის უნდა შეემცირებინა ნაფტალინისა და მტკრის კონცენტრაცია უსაფრთხო ზღვრამდე, და ნათქვამი იყო,

რომ „სევერსტალიდან“ ატმოსფეროს ქვედა შრეში მომდინარე ყველა ტოქსიკური ნივთიერების კონცენტრაცია 2005 წლისათვის მაქსიმალურად დასაშვები კოეფიციენტის ქვევით უნდა ჩამოსულიყო.

43. და ბოლოს, მთავრობის განცხადებით, თუ სასამართლო მოისურვებს განმცხადებლისა და მისი ადვოკატების მიერ მითითებული დოკუმენტების მიღებას პაერის დაბინძურების თაობაზე ძირითადი ინფორმაციის წყაროს სახით, მაშინ „რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოების აზრით, ეს დოკუმენტი გამოთხოვილი უნდა იქნეს ბ-ნი კოროტევიცისაგან [განმცხადებლის ერთ-ერთი წარმომადგენელი].“

D. დაბინძურების შედეგები განმცხადებლისთვის

44. 1982 წლიდან ქ-ნი ფადეევა იმყოფებოდა ჩერეპოვეცის საავადმყოფოს კლინიკის ზედამხედველობის ქვეშ. მთავრობის თანახმად, ხსენებულ კლინიკაში განმცხადებლის სამედიცინო ისტორია მისი ჯანმრთელობის გაუარესებას არ უკავშირებს მისი საცხოვრებელი ადგილის არახელსაყრელ პირობებს.

45. 2001 წელს კლინიკის სამედიცინო პერსონალმა განმცხადებლის სამუშაო ადგილზე ჩაატარა მორიგი სამედიცინო შემოწმება ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული შემოწმების შედეგად ექიმებმა ხუთ მუშას, მათ შორის განმცხადებელს, აღმოუჩინეს პროფესიული დაავადების ნიშნები. 2002 წელს დიაგნოზი დადასტურდა: სანქტ-პეტერბურგის ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ჩრდილო-დასავლეთის სამეცნიერო ცენტრის საავადმყოფოს 2002 წლის 30 მაისით დათარიღებული სამედიცინო დასკვნის თანახმად, განმცხადებელს ანუხებდა ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებები, კერძოდ, ზედა კიდურების პროფესიული პროგრესული/მოტოსენსორული ნევროპათია მტევნის არხის დონეზე ორივე შიდა ნერვის პარალიზებასთან (თავდაპირველი დიაგნოზი) ერთად, ხერხემლის ოსტეოქონდროზი, მუხლის სახსრების დეფორმირებული ართრიტი, შუა მიეღინის გარსის გადაგვარება, თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული ანთება, პირველი ხარისხის შორსმხედველობა და პრესბიოპია (გამომდინარე დაავადება). თუმცა დასკვნაში ცალსახად არ ყოფილა მითითებული ამ დაავადებათა გამომწვევი ფაქტორები, ექიმებმა განაცხადეს, რომ ისინი გამწვავდა „ვიბრაციის, ტოქსიკური დაბინძურებისა და მავნე კლიმატურ პირობებში“.

46. 2004 წელს განმცხადებელმა წარმოადგინა დასკვნა „ადამიანების ჯანმრთელობისათვის ჩერეპოვეცის ქარხანა „სევერსტალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დამაბინძურებელ ნივთიერებათა კოეფიციენტის რისკის შეფასება“. აღნიშნული დასკვნა, რომელიც მოითხოვა განმცხადებელმა, მოამზადა პროფესორმა მარკ ჩერნაიკმა. დოქტორი² ჩერნაიკის აზრით, მოსალოდნელი იყო, რომ ზონაში მცხოვრებთა შორის საშუალოზე მეტად ყოფილიყო გავრცელებული

2. დოქტორი ჩერნაიკი ფლობს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს ბიოქიმიკაში (ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლა, ბალტიმორი, მერილენდის შტატი, აშშ). მისი სადოქტორო შრომა და კვლევები ორიენტირებულია გარემოს ტოქსიკოლოგიაზე. 1992 წლიდან დოქტორი ჩერნაიკი მუშაობს შტატთან მეცნიერად აშშ-ს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მსოფლიო ალიანსის სამსახურში. მისი კომპეტენციის ფარგლებში, იგი მოთხოვნილ სამეცნიერო ინფორმაციას აწვდის იურისტებს 60-ზე მეტი

ბული დაავადებები რესპირატორული ინფექციების, სურდოს, ხველისა თუ თავის ტკივილის, ფარისებრი ჯირკვლის გალიზიანების, ცხვირისა და სასუნთქი მილის სიმსივნის, თვალების, ცხვირისა თუ ყელის ქრონიკული გალიზიანების, აგრეთვე ნევროლოგიური, გულ-სისხლძარღვთა და რეპროდუქციული ფუნქციების მოშლის სახით. დასკვნის მიხედვით:

„ჩერეპოვეცის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში ჭარბად აღმოჩენილი ტოქსიკური დამაბინძურებლები აირისებრი დამაბინძურებლებია, რომლებსაც უშვებს რკინისა და ფოლადის მწარმოებელი ქარხნები (კონკრეტულად, მეტალურგიული კოქსის წარმოების პროცესის მეშვეობით) და არა ზოგადად სხვა ინდუსტრიები.“

აქედან გამომდინარე, გონივრულია დაეასკვნათ, რომ სანიტარული უსაფრთხოების ზონაში მცხოვრები ადამიანების ჯანრთელობის მდგომარეობაზე ზემოხსენებული უარყოფითი შედეგების ძირითადი მიზეზია ქარხანა „სევერსტალის“ არაადეკვატურად კონტროლირებადი ემისია.“

47. განმცხადებელმა აგრეთვე წარმოადგინა ჩერეპოვეცის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის დეპარტამენტის საინფორმაციო ნოტა, რომელშიც მოცემული იყო რეკომენდაციები ჩერეპოვეცის მოსახლეობისათვის, თუ როგორ უნდა ემოქმედათ „არახელსაყრელი ამინდის პირობებში“, კერძოდ, როდესაც ქარი ავრცელებდა ემისიას „სევერსტალიდან“ ქალაქის მიმართულებით. ნოტა მოსახლეობას სახლებში დარჩენისა და ნაკლები ფიზიკური დატვირთვისაკენ მოუწოდებდა. იგი აგრეთვე ითვალისწინებდა რამდენიმე რეკომენდაციას დიეტის კუთხით. აღნიშნულ შემზღულად რეკომენდაციებს ძირითადად საფუძვლად ედო „სევერსტალის“ ემისია. განმცხადებელი აგრეთვე მიუთითებდა ჩერეპოვეცის სანიტარული კონტროლის ცენტრის 2001 წლის 20 სექტემბრის წერილზე, რომლის თანახმადაც ზემოხსენებული „არახელსაყრელი ამინდის პირობებში“ ბავშვები 1,3-ჯერ უფრო ხშირად მიმართავდნენ ადგილობრივ საავადმყოფოებს.

II. შისაბამისი შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა

A. ბუნებრივი გარემოს დაცვის სტანდარტები

48. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად:

„ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარე-

ქვეყნიდან. იგი ხშირად უწევს იურისტებს კონსულტაციებს ჰაერის დამაბინძურებლები-სადმი დაქვემდებარების შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე; ამ დამაბინძურებლებში შედის გოგირდწყალბადი, ნაყლაბადციანიდი, ნაფტალინი, ფორმალდეჰიდი, გოგირდნახშირბადი და სხვა ნივთიერებები.“

მოში, ხელი მიუწვდებოდა სათანადო ინფორმაციაზე და მიიღოს კომპენსაცია ეკოლოგიური ზემოქმედების შედეგად ჯანრთელობისა თუ ქონებისთვის მიყენებული ზიანის გამო".

49. სანიტარული უსაფრთხოების შესახებ (*О санитарно-эпидемиологическом благополучии населения*) 1999 წლის 30 მარტის ფედერალური კანონის შესაბამისად, ფედერალური სანიტარული სამსახური ადგენს გარემოზე ზემოქმედების სახელმწიფო სტანდარტებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. კერძოდ, ეს სტანდარტები გამოიყენება ჰაერის ხარისხის შეფასებისას ქალაქებში: ატმოსფერული დაბინძურების შეფასება ხდება ერთეულით, ზღვრული დასაშვები კოეფიციენტი (ზდკ), რომელიც ჰაერში სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებების კონცენტრაციას ადგენს. 2001 წლის სანიტარული წესების 2.1 მუხლისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ 1999 წლის კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით, თუ ზდკ არ არის ქარბი ოდენობით, მაშინ ჰაერი უსაფრთხოა შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. სანიტარული წესების 2.2 მუხლის შესაბამისად, ქალაქების საცხოვრებელ რაიონებში ჰაერის ხარისხი არ უნდა აღემატებოდეს 1,0 ზდკ-ს ყველა კატეგორიის ტოქსიკური ნივთიერებებისათვის, ხოლო რეკრეაციულ ზონებში — 0,8 ზდკ-ს.

50. ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (*Об охране атмосферного воздуха*) 1999 წლის 4 მაისის კანონის მიხედვით, გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტო ადგენს ბუნებრივი გარემოს სტანდარტებს სხვადასხვა სახის დაბინძურების წყაროებისთვის (მანქანები, ფერები, სამრეწველო საწარმოები და ა.შ.). გარემოს დაცვის რეგიონული სააგენტოები აღნიშნულ ზოგად სტანდარტებს იყენებენ კონკრეტულ საწარმოთა მიმართ. ძირითადად, სამრეწველო საწარმოს ფუნქციონირება არ უნდა იწვევდეს ისეთ დაბინძურებას, რომელიც აღემატება ზდკ-ს (კანონის მე-16 მუხლი). თუმცა, რეგიონის ეკონომიკური განვითარების გამო, გარემოს დაცვის რეგიონულ სააგენტოს შეუძლია გასცეს დროებითი ნებართვა, რომელიც საწარმოს აძლევს უფლებას, გადააჭარბოს აღნიშნულ ნორმებს (კანონის 1-ლი და მე-12 მუხლები). ნებართვას თან უნდა ერთვოდეს ტოქსიკური ემისიის უსაფრთხო დონემდე ეტაპობრივი შემცირების გრაფიკი.

B. სანიტარული უსაფრთხოების ზონა

1. კანონმდებლობა

51. თითოეულმა საწარმომ, რომელიც იწვევს დაბინძურებას, თავისი ტერიტორიის გარშემო უნდა შექმნას „სანიტარული უსაფრთხოების ზონა“, ანუ ბუფერული სივრცე, რომელიც დაბინძურების წყაროს განაცალკევებს ქალაქის საცხოვრებელი სივრცისგან (1996 წლის სანიტარული წესების (რომლებიც ძალაში შევიდა სახელმწიფო სანიტარული სამსახურის 1996 წლის 31 ოქტომბრის № 41 განკარგულებით) 3.5 და 3.6 მუხლები; ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებდა 2000, 2001 და 2003 წლების წესები, რომლებმაც შეცვალა 1996 წლის წესები). აღნიშნულ ბუფერულ ზონაში დაბინძურების დონე შეიძლება აღემატებოდეს ზდკ-ს.

52. სხვადასხვა კატეგორიის სანარმოთათვის ზონის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია სანიტარული წესებით. 1996 წლის წესების მიხედვით, სანიტარული უსაფრთხოების ზონა „სევერსტალის“ ზომის ფოლადის ქარხნის გარშემო უნდა იყოს 2 000 მეტრი. 2000 წლის 1 ოქტომბრის სანიტარული წესების მიხედვით, ამ ზომის მეტალურგიული სანარმოსთვის სანიტარული უსაფრთხოების ზონის სიგანე სულ მცირე 1 000 მეტრი უნდა იყოს. ზოგიერთ შემთხვევებში სახელმწიფო სანიტარულ სამსახურს შეუძლია ზონის გაფართოება (მაგალითად, როდესაც პაერში ტოქსიკური ნივთიერებების კონცენტრაცია ზონის ფარგლებს მიღმა აღემატება ზღვ-ს). შემდგომში მიღებულმა სანიტარულმა წესებმა (ძალაში შევიდა 2001 წლის 17 მაისს და 2003 წლის 10 აპრილს) დაამტკიცა ეს მოთხოვნები.

53. ქალაქის დაგეგმარების შესახებ 1989 წლის წესების 3.6 მუხლის თანახმად, სანარმომ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა, კანონმდებლობის შესაბამისად, მოაწყოს (*обеспочит*) სანიტარული უსაფრთხოების ზონა დაბინძურების შემცირების მიზნით.

54. ქალაქის დაგეგმარების შესახებ 1989 წლის წესების 3.8 მუხლის თანახმად, სანიტარული უსაფრთხოების ზონის შიგნით არ უნდა იყოს განლაგებული საცხოვრებელი სახლები. ეს დებულება მოგვიანებით იქნა ჩართული 1998 წლის ქალაქის დაგეგმარების კოდექსში (*Градостроительный Кодекс*) (მუხლი 43), აგრეთვე 2001 წლის 17 მაისისა და 2003 წლის 10 აპრილის სანიტარულ წესებში. 2001 წლის სანიტარული წესების 3.3.3. მუხლის შესაბამისად, ზონის შექმნის პროექტი მაღალპროიორიტეტული საკითხის სახით შეიძლება შეიცავდეს ზონის მოსახლეობის განსახლებას. თუმცა ექსპლუატაციაში შესული სანარმოს სანიტარული უსაფრთხოების ზონაში მცხოვრებთა განსახლება არ არის პირდაპირი მოთხოვნა.

55. 1998 წლის ქალაქის დაგეგმარების კოდექსის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

„იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ ეკონომიკური ან სხვა სახის საქმიანობა განხორციელდეს იმ ტერიტორიაზე, სადაც მავნე ბუნებრივი გარემოა, დასაშვებია მოსახლეობის დროებით ცხოვრება აღნიშნულ ტერიტორიაზე იმ პირობით, რომ გამოყენებული იქნება ქალაქის დაგეგმარების სპეციალური რეჟიმი...“

2. პრაქტიკა

56. ჩრდილო-კავკასიის ოლქის ფედერალური კომერციული სასამართლოს გადაწყვეტილებით (2003 წლის 3 ივნისი, №Ф08-1540/2003), ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ კანონმდებლობის³ შესაბამისად შეუწყვიტონ ფუნქციონირება იმ სანარმოს, რომელმაც არ შექმნა სანიტარული უსაფრთხოების ზონა.

57. განმცხადებელმა წარმოადგინა ამონარიდი რუსეთის ფედერაციის უმაღ-

3. ეს გადაწყვეტილება შეეხებოდა ხელისუფლების მიერ იმგვარი გასამართი სადგურის დახურვას, რომელსაც ირგვლივ არ ჰქონდა სანიტარული უსაფრთხოების ზონა.

ლესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან საქმეზე „ივაშჩენკო კრასნოიარსკის რკინიგზის წინააღმდეგ“ (*Ivaschenko v. the Krasnoyarsk Railways*) („უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა“, *Бюллетень Верховного Суда РФ*, №9, 1998 წლის 15 ივლისი, პუნქტი 22). აღნიშნულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა დაუყოვნებელ გასახლებას ავარიული სახლიდან. ქვედა ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, მიუთითა რა, რომ მას შეეძლო განსახლებაზე პრეტენზია განეცხადებინა პრიორიტეტულობის რიგის დაცვით (ე.ი. უნდა ჩაწერილიყო ბინის მომლოდინეთა სიაში). უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება შემდეგი მოსაზრებიდან გამომდინარე:

„[მოსარჩელის] სახლი არა მხოლოდ ავარიულია [...], არამედ აგრეთვე მდებარეობს 30 მეტრის დაშორებით რკინიგზიდან მისი სანიტარული უსაფრთხოების ზონის შიგნით, რაც ეწინააღმდეგება სანიტარულ ნებსებს (ამ ზონის სიგანე 100 მეტრია და მასში დაუშვებელია საცხოვრებელი ბინების არსებობა)“.

უმაღლესმა სასამართლომ საქმე დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს და უბრძანა, მოეძებნა კონკრეტული საცხოვრებელი, რომელსაც შესთავაზებდნენ შესაბამის პირს ძველი საცხოვრებლის სანაცვლოდ.

58. სხვა საქმეში, რომელიც ქ-ნი ლედიავას, „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონაში მაცხოვრებლის, განსახლებას ეხებოდა, ვოლოგდის საოლქო სასამართლომ, 2002 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით, დაადგინა, *inter alia*:

„ქვედა ინსტანციის სასამართლოს არ შეუფასებია, თუ რამდენად ადეკვატურია სანიტარული უსაფრთხოების ზონაში მცხოვრებთა განსახლებითათვის განხორციელებული ღონისძიებები იმ საფრთხისა, რომელიც მოსარჩელეს ემუქრება. შედეგად, სასამართლოს არ დაუდგენია, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს [ქ-ნი ლედიავას] უზრუნველყოფა ახალი საცხოვრებლით, საბინაო კანონმდებლობის შესაბამისად, მისი მომლოდინეთა რიგში მოთავსებით მისთვის რეალური შესაძლებლობის მიცემად, იცხოვროს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში.“

სასამართლომ აგრეთვე გამოხატა დაეჭვება იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს თუ არა პასუხისმგებელი სახელმწიფო ზონის მცხოვრებთა განსახლებაზე.

C. რუსეთის საბინაო კანონმდებლობის მიმოხილვა

59. საბჭოთა პერიოდში რუსეთში ბინების უმრავლესობა ეკუთვნოდა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებსა თუ სახელმწიფო საწარმოებს. მოსახლეობა ამ ბინებში მუდმივი დამქირავებლების სახით ცხოვრობდა. 1990-იან წლებში განხორციელდა ფართომასშტაბიანი საპრივატიზაციო პროგრამები. გარკვეულ შემთხვევებში ქონება, რომელიც არ იქნა პრივატიზებული, საკუთრებაში გადაეცა ადგილობრივ ხელისუფლებას.

60. დღეისათვის რუსეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დამქირავებ-

ლის სახით კვლავ ცხოვრობს ადგილობრივ მუნიციპალურ ბინებში უპირატესობებით სარგებლობის გამო. ეერძოდ, მუნიციპალური ბინის დამქირავებლებს არ მოეთხოვებათ ქონების გადასახადის გადახდა, ისინი იხდიან ქირას, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება საბაზრო ღირებულებას, და აქვთ ქონებით სრულად სარგებლობისა და მისი კონტროლის უფლებები. გარკვეულ პირებს აქვთ უფლება, ადგილობრივ ხელისუფლებას მოსთხოვონ ახალი საცხოვრებელი უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

61. ისტორიული თვალთახედვით, ახალი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მოთხოვნა იმ ძირითად სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს განეკუთვნებოდა, რასაც ითვალისწინებდა საბჭოთა კანონმდებლობა. რსფსრ-ის 1983 წლის 24 ივნისის საბინაო კოდექსის მიხედვით, რომელიც კვლავ ძალაში იყო რუსეთში, როდესაც წინამდებარე საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ჰქონდა ადგილი, თითოეულ დამქირავებელს, რომლის საცხოვრებელი პირობები არ შეესაბამებოდა სტანდარტების მოთხოვნას, შეეძლო აღრიცხულიყო ადგილობრივი ხელისუფლების მომლოდინეთა რიგში ახალი მუნიციპალური ბინის მისაღებად. როდესაც გამოჩნდებოდა ახალი საცხოვრებელი ბინა, მას იმ ადამიანს მისცემდნენ, რომელიც ბინის მომლოდინეთა სიაში პირველი იყო.

62. თუმცა მომლოდინეთა სიაში აღრიცხვა არ აძლევდა ადამიანს უფლებას, მოეთხოვა რაიმე სპეციალური პირობები ან გრაფიკი სახელმწიფოსაგან ახალი ბინის მისაღებად. ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას, მაგალითად, მოსამართლეებს, პოლიციელებსა და ინვალიდებს, შეეძლო „მომლოდინეთა პრიორიტეტულ სიაში“ აღრიცხვა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, რუსეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სერიოზული ეკოლოგიური საშიშროების გამო მომლოდინეთა პრიორიტეტულ სიაში აღრიცხვის არანაირ უფლებას.

63. საბჭოთა პერიოდის შემდეგ ასობით ათასი რუსი იქნა აყვანილი აღრიცხვაზე მომლოდინეთა სიაში, რომელიც ყოველწლიურად უფრო გრძელი ხდებოდა ახალი მუნიციპალური ბინების აშენებისათვის არასაკმარისი რესურსების გამო. ამჟამად მომლოდინეთა სიაში აღრიცხვაზე ყოფნის ფაქტი წარმოადგენს სახელმწიფოს ნების გამოხატულებას ბინით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, როდესაც რესურსები იქნება ხელმისაწვდომი. თუმცა განმცხადებელი მაგალითის სახით აღნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც მომლოდინეთა სიაში პირველი ენერა, 1968 წლიდან ელოდებოდა ახალ მუნიციპალურ ბინას. თვითონ იგი ამ სიაში 1999 წელს რიგით 6820-ე იყო.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

64. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას სახელმწიფოს მხრიდან, რადგან მან ვერ შეძლო მისი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრებლის დაცვა მანვე ბუნებრივი გარემოსაგან, რაც „სევერსტალის“ სამრეწველო საქმიანობით იყო გამოწვეული.

65. კონვენციის მე-3 მუხლი, რომელსაც ეყრდნობოდა განმცხადებელი, მიუთითებს:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმონერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უნესრიგობის თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.“

A. მე-8 მუხლის გამოყენება წინამდებარე საქმეში

1. განმცხადებლის უფლებებში სავარაუდო ჩარევის შინაარსი და მოცულობა

66. ორივე მხარე ეთანხმება იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილზე გავლენას ახდენდა სამრეწველო დაბინძურება. მათ არ გაუპროტესტებიათ, რომ დაბინძურების ძირითადი მიზეზი განმცხადებლის სახლთან ახლოს მდებარე ფოლადის ქარხანა „სევერსტალი“ იყო.

67. სასამართლო აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ამისა, მხარეები დავობენ „სევერსტალის“ მიერ დაბინძურების ხარისხსა და იმ შედეგებზე, რაც ამან განმცხადებელზე იქონია. განმცხადებელი დაჟინებით მიუთითებს, რომ დაბინძურებამ სერიოზულად ხელყო მისი პირადი ცხოვრება და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო მოპასუხე მთავრობის მტკიცებით, განმცხადებლის მიერ იმის შედეგად განცდილი ზიანი, რომ მისი სახლი სანიტარული უსაფრთხოების ზონის შიგნით მდებარეობდა, არ წამოჭრიდა საკითხს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის კუთხით. მთავრობის პრეტენზიის მიხედვით, სასამართლომ პირველ რიგში უნდა დაადგინოს, ხდება თუ არა კონვენციის მე-8 მუხლის სფეროში ის სიტუაცია, რომელსაც ამტკიცებს განმცხადებელი.

(ა) ზოგადი პრინციპები

68. მე-8 მუხლი გამოიყენება ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა შემთხვევებში, მაგრამ ყოველთვის არა აქვს მის დარღვევას ადგილი, როდესაც ხდება ბუნებრივი გარემოს გაუარესება: კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის არ არის ბუნების შენარჩუნების უფლება (იხ. საქმეზე *Kyrtalos v. Greece* გამოტანილი განაჩენი, № 41666/98, ECHR 2003-VI, პუნქტი 52). აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ საკითხი დაისვას მე-8 მუხლის კუთხით, ჩარევა უშუალოდ უნდა ხელყოფდეს განმცხადებლის სახლს, ოჯახს ან მის პირად ცხოვრებას.

69. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბუნებრივი გარემოს დაბინძურების

უარყოფითი შედეგები უნდა აღწევდეს გარკვეულ მინიმალურ დონეს, რათა მოხედეს მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში (იხ. *López Ostra v. Spain*, 1994 წლის 9 დეკემბერის განაჩენი, სერია A № 303-C, გვ. 54, პუნქტი 51; აგრეთვე იხ., *mutatis mutandis*, *Halton and Others v. the United Kingdom* [GC], № 36022/97, ECHR 2003-VIII, პუნქტი 118). ზემოხსენებული მინიმუმის შეფასება შედარებითა და დამოკიდებულია საქმის ისეთ გარემოებებზე, როგორცაა დაბინძურების ინტენსიურობა და ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და მორალური შედეგები. აგრეთვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბუნებრივი გარემოს ზოგადი კონტექსტი. მე-8 მუხლის შესაბამისად საფუძვლიან პრეტენზიას არა აქვს ადგილი, თუ ის ზიანი, რასაც ასაჩივრებენ, უმნიშვნელოა ბუნებრივი გარემოს იმ საფრთხესთან შედარებით, რომელიც ყველა თანამედროვე ქალაქისთვის არის დამახასიათებელი.

70. მაგალითად, მე-8 მუხლის მოქმედებას რომ დაექვემდებაროს, ბუნებრივი გარემოს ხელყოფის შესახებ საჩივრები უნდა ამტკიცებდეს, პირველ რიგში, რომ ადგილი ჰქონდა რეალურ ჩარევას განმცხადებლის პირად სამყაროში, ხოლო მეორე რიგში, რომ აღწევდა სისასტიკის დონეს.

(ბ) განმცხადებლის არგუმენტაცია

71. განმცხადებლის მტკიცებით, ბუნებრივი გარემოს დაბინძურების მოცულობა მის საცხოვრებელ სახლთან დღემდე სერიოზულ ზიანს აყენებს მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

72. განმცხადებელმა მიუთითა რამდენიმე დოკუმენტზე, რომლებიც, მისი აზრით, მეტყველებდა ფოლადის ქარხანა „სევერსტალის“ სამრეწველო საქმიანობის უარყოფით შედეგებზე ჩერეპოვეცის მოსახლეობისთვის. კერძოდ, იგი მიუთითებდა ექიმ ჩერნაიკის დასკვნაზე (იხ. პუნქტი 46), სანქტ-პეტერბურგის პიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დასკვნაზე (იხ. პუნქტი 45), ჩერეპოვეცის მუნიციპალიტეტის ბუნების დაცვის დეპარტამენტისაგან მიღებულ საინფორმაციო ნოტასა და ჩერეპოვეცის სანიტარული კონტროლის ცენტრის ნერილზე (იხ. პუნქტი 47).

73. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 2004 წელს სასამართლომ სთხოვა მთავრობას გარკვეული საბაზისო ინფორმაციის წარმოდგენა ჩერეპოვეცში ჰაერის დაბინძურების შესახებ. განმცხადებელი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მთავრობას ხელი მიუწვდებოდა ამ მონაცემებზე, მაგრამ არ წარუდგინა სასამართლოს. მთავრობის მიერ მომზადებული დასკვნა მხოლოდ დამაბინძურებლების დონის გრძელვადიან საშუალო მაჩვენებლებს შეიცავდა, რაც არ იყო საკმარისი იმის გასარკვევად, თუ რა გავლენას ახდენდა ჩერეპოვეცში აღნიშნული დამაბინძურებლები ადამიანის ჯანმრთელობაზე. განმცხადებლის აზრით, თუმცა გრძელვადიანი საშუალო მაჩვენებლები თავისთავად ბევრად აღემატებოდა უსაფრთხოების დონეს, პიკის პერიოდებში უკიდურესად მომატებული დაბინძურების შემთხვევებს ნიღბავდა. განმცხადებელი მოითხოვდა, რომ სასამართლოს უარყოფითი დასკვნა გაეკეთებინა იმ ფაქტის გამო, რომ მთავრობამ არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტები.

(გ) მთავრობის არგუმენტაცია

74. მთავრობამ ზოგადად აღიარა, რომ განმცხადებლის სახლთან ახლოს ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია აღემატებოდა ბუნებრივი გარემოს დაცვის ნორმებს. ამასთან ერთად, არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომ განმცხადებლის პირადი ცხოვრება ან ჯანმრთელობა გარკვეულწილად ხელყოფილი იქნა მის სახლთან ახლოს ფოლადის ქარხნის ფუნქციონირების გამო. მთავრობა ამტკიცებდა, რომ „ქ-ნი ფადეევას [განმცხადებელი] „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტი მიუთითებდა არა მიყენებულ ზიანზე, არამედ მხოლოდ ასეთი ზიანის მიყენების შესაძლებლობაზე“.

75. მთავრობამ აღნიშნა, რომ შიდა სასამართლოებს არც განმცხადებლის ჯანმრთელობაზე ინდუსტრიული დაბინძურების გავლენა განუხილავთ და არც ამ დაბინძურებით გამოწვეული ზიანი. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელს ეს საკითხი არ წამოუჭრია შიდა სასამართლოების წინაშე სამართალწარმოებისას.

76. მთავრობამ აგრეთვე აღნიშნა, რომ განმცხადებელმა არ მიმართა იმ საშუალებებს, რომლებსაც რუსეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ბუნებრივი გარემოს საფრთხის შეფასებისათვის. კერძოდ, განმცხადებელს, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 2001 წლის 15 აგვისტოს განკარგულების შესაბამისად, შეეძლო გამოეთხოვა „სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნა“ ბუნებრივი გარემოს შესახებ. გარდა ამისა, მთავრობის დაფინანსებული მტკიცებით, „მოსახლეობის ჯანმრთელობის საფრთხის დონე შეფასებული უნდა იქნეს ატმოსფეროში ემისიის შესახებ ოფიციალურად დარეგისტრირებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც გაანალიზებული და შეჯერებულია რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით“.

77. რაც შეეხება ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ჩრდილო-დასავლეთის ცენტრის მიერ დასმულ დიაგნოზს (იხ. პუნქტი 45), მთავრობის მტკიცებით, ეს პროფესიული დაავადება (*профессиональное заболевание*) იყო. მთავრობის თქმით, განმცხადებელი მუშაობდა ჯანმრთელობისათვის მავნე საწარმოში; მისი ფუნქცია იყო მიღებისა და მრეწველობის სხვა თერმოსაიზოლაციო მოწყობილობების დახურვა. ასეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს ფიზიკურ ძალას, ხშირად სრულდებოდა გარეთ ან ისეთ შენობებში, რომლებიც არ თბებოდა. ამდენად, ზემოხსენებული დაავადება განპირობებული იყო არა განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილით, არამედ არახელსაყრელი სამუშაო პირობებით. მთავრობის აზრით, განმცხადებლის დაავადება იყო ფართოდ გავრცელებული და დამახასიათებელი მისი ასაკის ადამიანებისათვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა.

78. მთავრობა დაეთანხმა ექიმ ჩერნაიკის დასკვნაში ჩამოყალიბებულ პირველად მოსაზრებას, მაგრამ გააპროტესტა მისი საბოლოო დასკვნა. მთავრობის განცხადებით, „ჩერნაიკის დასკვნა სანიტარული უსაფრთხოების ზონაში მცხოვრებთა მომეტებული მიდრეკილების შესახებ გარკვეული დაავადებების მიმართ თავისი ხასიათით აბსტრაქტულია, არ არის დასაბუთებული და, აქედან გამომდინარე, არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული“.

(დ) სასამართლოს შეფასება

79. თავდაპირველად სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას გამოსაყენებელი ზოგადი პრინციპია „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტი. ასეთი მტკიცება შესაძლებელია, თუ ერთდროულად არსებობს საკმარისად მყარი, მკაფიო და თანმხვედრი ვარაუდები ან მსგავსი გაუბათილებელი პრეზუმფციები ფაქტთან დაკავშირებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო თავის პრაქტიკაში იყენებს მოქნილ მიდგომას ამასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს სადავო მატერიალური უფლების ხასიათს და ყველა არსებულ მტკიცებულებით სირთულეს. ზოგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხე მთავრობისთვის არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს განმცხადებლის საჩივრებს; ამიტომ შეუძლებელია *affirmanti, non neganti, incumbit probatio*⁴ პრინციპის გამოყენება (იხ. *Aktas v. Turkey*, №24351/94, პუნქტი 272, ECHR 2003-V (ამონარიდები)).

80. რაც შეეხება კონკრეტულად მოცემული საქმის გარემოებებს, სასამართლო შენიშნავს, რომ, განმცხადებლის აზრით, მისი ჯანმრთელობა მეტალურგიული ქარხნის სიახლოვეს მისი ცხოვრების გამო გაუარესდა. ერთადერთი დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც განმცხადებელმა თავისი მოსაზრების მხარდასაჭერად წარმოადგინა, არის სანქტ-პეტერბურგის კლინიკის მიერ გაცემული ცნობა (იხ. პუნქტი 45). სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ცნობით არ დასტურდება მიზეზობრივი კავშირი დაბინძურებასა და განმცხადებლის დაავადებებს შორის. განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე სხვა სამედიცინო მტკიცებულებები, რომლებიც მკაფიოდ დაადასტურებდა კავშირს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მის საცხოვრებელ ადგილზე მაღალი ხარისხის დაბინძურებას შორის.

81. განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებს, რომ 1995 წლიდან (როდესაც მან პირველად მიმართა სასამართლოს) გარემოს დაბინძურების დონე მის საცხოვრებელ ადგილას მუდმივად აჭარბებდა უსაფრთხოების ნორმებს (იხ. პუნქტი 31 და მისი შემდგომი პუნქტები). განმცხადებლის აზრით, ეს დოკუმენტები ადასტურებს, რომ დაბინძურების აღნიშნული ხარისხისადმი დაქვემდებარებული ნებისმიერი პირის ჯანმრთელობას და ნორმალურ ყოფას გარდაუვლად ადგება მძიმე ზიანი.

82. რაც შეეხება ამ განცხადებას, სასამართლო მხედველობაში იღებს, პირველ რიგში, რომ კონვენცია რუსეთის მიმართ ძალაში შევიდა 1998 წლის 5 მაისს. ამიტომ მხოლოდ ამ თარიღის შემდგომი პერიოდის გათვალისწინებაა შესაძლებელი განმცხადებლის პირადი ცხოვრების სავარაუდო ხელყოფის ხასიათისა და მასშტაბის დადგენისას.

83. სასამართლოსთვის წარდგენილი მასალების თანახმად, 1998 წლამდე დაბინძურების ხარისხი სხვადასხვა პარამეტრით აჭარბებდა ადგილობრივ ნორმებს. კერძოდ, მთავრობის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ადასტურებს, რომ 1999-2003 წლებში მტკრის, გოგირდის ნახშირყანგისა და ფორმალდეჰიდის ოდენობა ჰაერში განმცხადებლის სახლის სიახლოვეს მუხმივად აჭარბებდა

4. მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს (მთარგმნელის შენიშვნა)

ზღვრულ დასაშვებ კოეფიციენტს (ზდკ) (იხ. ამ განაჩენის დანართი). 1999 წელს მტვრის კონცენტრაცია 1,76-ჯერ აჭარბებდა ზდკ-ს, ხოლო 2003 წელს - 1,13-ჯერ. 1999 წელს გოგირდის ნახშირუანგის კონცენტრაცია 3,74-ჯერ აღემატებოდა ზდკ-ს; 2003 წელს ამ ნივთიერების კონცენტრაცია შემცირდა, მაგრამ 1,12-ჯერ მაინც აღემატებოდა ზდკ-ს. ფორმალდეჰიდის კონცენტრაცია 4,53-ჯერ აჭარბებდა ზდკ-ს. 2003 წელს იგი 6,3-ჯერ აღემატებოდა ზდკ-ს. გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში ფიქსირდებოდა სხვა ნივთიერებების სიჭარბეც, როგორცაა მარგანეცი, ბენზოპირინი და გოგირდის გაზი (იხ. პუნქტი 38 და მისი მომდევნო პუნქტები).

84. სასამართლო ასევე შენიშნავს, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ციფრები ასახავს მხოლოდ წლიურ საშუალო მაჩვენებლებს და არა დაბინძურების ყოველდღიურ ან მაქსიმალურ ხარისხს. თავად მთავრობის თქმით, განმცხადებლის სახლის სიახლოვეს დაფიქსირებული დამაბინძურებლების მაქსიმალური კონცენტრაციები ხშირად ათჯერ აღემატებოდა საშუალო წლიურ ზდკ-ს (რომელიც ისედაც აჭარბებდა უსაფრთხოების დასაშვებს ნორმებს). სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას არ განუმარტავს, თუ რატომ არ წარმოადგინა მან სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები და ანგარიშები (იხ. პუნქტი 43) მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტების მოპოვება შიდასახელმწიფოებრივი ორგანოებიდან ნამდვილად შესაძლებელი იყო. ამიტომ სასამართლო ასკენის, რომ გარემოს მდგომარეობა რიგ პერიოდებში შეიძლება უარესიც ყოფილიყო მონოაღებულ მონაცემებთან შედარებით.

85. სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ მრავალჯერ აღიარა, რომ ჩერეპოვეცში არსებული გარემოს მდგომარეობა ქალაქელების მომატებული სიკვდილიანობის მიზეზი იყო (იხ. პუნქტები 12, 15, 34, 47). განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დასკვნები და ოფიციალური დოკუმენტები, კერძოდ, დოქტორ მარკ ჩერნაიკის ანგარიში (იხ. პუნქტი 46), აღწერს დაბინძურების ნეგატიური ზემოქმედების შედეგებს ჩერეპოვეცის ყველა მაცხოვრებელზე, განსაკუთრებით, ქარხანასთან ახლოს მაცხოვრებელ ადამიანებზე. მაგალითად, ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში ფორმალდეჰიდის კონცენტრაცია ჰაერში განმცხადებლის სახლის სიახლოვეს 3-6-ჯერ მეტი იყო უსაფრთხო ნორმაზე. დოქტორი ჩერნაიკი ფორმალდეჰიდის ნეგატიურ შედეგებს შემდეგნაირად აღწერს:

„ჩერეპოვეცის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში ფორმალდეჰიდისადმი არსებული დაუცველობის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ზონაში მცხოვრები მოსახლეობა საშუალოზე მეტად იქნება დაავადებული სასუნთქი გზების კიბოთი, თავის ტკივილებით და ყელ-ყურცხვირის და თვალების ქრონიკული გალიზიანებით, იმ მოსახლეობასთან შედარებით, რომელიც ცხოვრობს ფორმალდეჰიდის ჭარბი დოზებით დაუბინძურებელ რაიონებში“.

რაც შეეხება გოგირდის ნახშირუანგს, რომლის კონცენტრაციაც ზდკ-ს აღემატებოდა 1,1-3,75-ჯერ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში (2002 წლის გარდა), დოქტორი ჩერნაიკი აცხადებს:

„ჩერეპოვეცის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში CS₂-სადმი არსებული დაუცველობის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ზონაში მცხოვრები მოსახლეობა საშუალოზე მეტად იქნება დაავადებული ნე-როპტევიით, ნეუროლოგიური, გულსისხლძარღვთა და არეორდუქციული ფუნქციების მოშლით, იმ მოსახლეობასთან შედარებით, რომელიც ცხოვრობს CS₂-ის ჭარბი დოზებით დაუბინძურებელ რაიონებში“.

86. და ბოლოს, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა მოცემულ საქმეზე ალიარეს, რომ განმცხადებელს ჰქონდა სხვა ადგილას განსახლების უფლება. დაბინძურების გავლენას განმცხადებლის პირად ცხოვრებაზე მართლაც არ დათმობია ძირითადი ყურადღება შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოებისას. მაგრამ, როგორც ვოლოგდის ოლქის სასამართლოს მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომელიც მან ლედიავას საქმეზე გამოთქვა (პუნქტი 58), სადავო არ იყო, რომ „სევერსტალის“ მექანიზმებით გამოწვეული დაბინძურება იწვევდა უსაფრთხო ადგილას განსახლების საჭიროებას. ასევე, თვით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა განმცხადებლის სახლის მდებარეობის ზონას განსაზღვრავდა, როგორც საცხოვრებლად მიზანშეუწონელს (იხ. პუნქტი 51). ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებლის პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტი დადასტურებულად ჩაითვალა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

87. შეჯამების სახით სასამართლო აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში განმცხადებლის სახლის სახლოვეს ჰაერში არსებული სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად აღემატებოდა ზდკ-ს. რუსეთის კანონმდებლობა ზდკ-ს განსაზღვრავს, როგორც ტოქსიკური ნივთიერებების უსაფრთხო კონცენტრაციის დონეს (იხ. პუნქტი 49). ამიტომ ზდკ-ს გადაჭარბების შემთხვევაში დაბინძურება პოტენციურად საშიში ხდება მისდამი დაქვემდებარებული ადამიანების ჯანმრთელობისა და ნორმალური ყოფისთვის. ეს არის ვარაუდი, რომელიც შესაძლოა ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. იგივე შეიძლება ითქვას განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ დასკვნებზე; ჭარბი დაბინძურებისა და მთლიანად მოსახლეობაზე მისი დადასტურებული ნეგატიური ზეგავლენის მიუხედავად, განმცხადებელს შეიძლება არ განუცდია კონკრეტული და განსაკუთრებული ზიანი.

88. მაგრამ მოცემულ საქმეში არაპირდაპირი მტკიცებულებებისა და პრეზუმციების მეტად ძლიერი კომბინაცია შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობა გაუარესდა დიდი ხნის განმავლობაში მეტალურგიული ქარხანა „სევერსტალის“ სანარმოო ემისიებისადმი დაქვემდებარების შედეგად. თუნდაც რომ დაეუშვათ, რომ დაბინძურებას მისი ჯანმრთელობისთვის არ მიუყენებია გაზომვადი ზიანი, აღნიშნულის შედეგად იგი, სულ მცირე, უფრო დაუცველი გახდა სხვადასხვა დაავადებებისადმი. გარდა ამისა, უეჭველია, რომ დაბინძურებამ უარყოფითი გავლენა იქონია მისი ცხოვრების ხარისხზე საკუთარ სახლში. ამიტომ სასამართლო იზიარებს თვალსაზრისს, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობისა და ნორმალური ყოფისთვის მიყენებული ფაქტობრივი ზიანი აღწევს იმ დონეს, რაც აუცილებელია კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში მოსახვედრად.

2. სავარაუდო ხელყოფის მიკუთვნება სახელმწიფოსთვის

89. სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დროს სახელმწიფო არ ფლობდა, არ აკონტროლებდა და არ ამუშავებდა მეტალურგიულ ქარხანა „სევერსტალს“. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ვერ ითქმება, რომ რუსეთის ფედერაციამ უშუალოდ ხელყო განმცხადებლის პირადი ცხოვრება ან მისი საცხოვრებელი ადგილი. ამავე დროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გარემოსთან დაკავშირებულ საქმეებზე შეიძლება ნამოიჭრას კერძო სანარმოების საქმიანობის დაურეგულირებლობის გამოც (იხ. ზემოხსენებული საქმე *Halton and Others*). ამიტომ განმცხადებლის საჩივრები უნდა გაანალიზდეს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ჭრილში — განახორციელოს გონივრული და ადეკვატური ღონისძიებები კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განმცხადებლის უფლებების უზრუნველსაყოფად (იხ. 1990 წლის 21 თებერვლის განაჩენი საქმეზე *Powell and Rayner v. the United Kingdom, Series A, № 172*, პუნქტი 41, და 1998 წლის 19 თებერვლის განაჩენი საქმეზე *Guerra v. Italy*, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1998-1, პუნქტი 58). ამ გარემოებებში სასამართლოს პირველი ამოცანაა, შეაფასოს, მოეთხოვებოდა თუ არა სახელმწიფოს გონივრულად ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებითაც თავიდან იქნებოდა აცილებული ან დასრულებული განმცხადებლის უფლებების სავარაუდო ხელყოფა.

90. ამასთან დაკავშირებით სასამართლო შენიშნავს, რომ მეტალურგიული ქარხანა „სევერსტალი“ აშენდა სახელმწიფოს მიერ და თავდაპირველად ეკუთვნოდა სახელმწიფოს. ქარხანა თავიდანვე ხარვეზებით მუშაობდა, გამოსცემდა კვამლს, სუნს და დაბინძურებას, ჩერეპოვეცში მცხოვრებ მრავალ ადამიანში ინვევდა ჯანმრთელობის პრობლემებს ან შემანუხებელი იყო მათთვის (იხ. დანართი, აგრეთვე პუნქტები 11 და 12). 1993 წელს ქარხნის პრივატიზაციის შემდეგ სახელმწიფო კვლავ აგრძელებდა კონტროლს ქარხნის სანარმოო საქმიანობაზე, ქარხნის მფლობელზე საოპერაციო პირობების დაკისრებით და ამ პირობების შესრულებაზე კონტროლით. ქარხანა მრავალჯერ შემოწმდა სახელმწიფოს გარემოსდაცვითი ორგანოების მიერ და მის მფლობელსა და მენეჯმენტს ადმინისტრაციული ჯარიმებიც დაეკისრათ (იხ. ქვემოთ, პუნქტი 114). დავის საგნად ქცეული გარემოს მდგომარეობა არ არის უცაბედი და მოულოდნელი ვითარების შედეგი, პირიქით, ის ხანგრძლივი და საყოველთაოდ ცნობილი მოვლენებითაა გამოწვეული (იხ. პუნქტები 11, 12 და 15). ისევე, როგორც ლოპეს ოსტრას საქმეში (იხ. ზემოთ პუნქტები 52-53, *López Ostra v. Spain*), მოცემულ საქმეშიც მუნიციპალური ხელისუფლება საქმის კურსში იყო გარემოს პრობლემებთან დაკავშირებით და იყენებდა გარკვეულ სანქციებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

91. სასამართლო შენიშნავს, რომ მეტალურგიული ქარხანა „სევერსტალი“ იყო და რჩება 95%-ით პასუხისმგებლად ქალაქში ჰაერის საერთო დაბინძურებაზე (იხ. პუნქტი 42). სხვა მრავალი ქალაქისგან განსხვავებით, სადაც დაბინძურება შეიძლება გამოწვეული იყოს დიდი რაოდენობის სხვადასხვა მცირე წყაროებით, დაბინძურების მთავარი წყარო ჩერეპოვეცში ადვილად მისაგნები იყო. სადავოდ ქცეული გარემოს პრობლემები ძალიან კონკრეტული იყო და სრულად მიენერებოდა ერთი კონკრეტული სანარმოს საქმიანობას. ამას კი

განსაკუთრებული ზეგავლენა აქონდა „სევერსტალის“ სიახლოვეს მცხოვრები ადამიანებისთვის.

92. სასამართლო ასკვნის, რომ მოცემულ საქმეში ხელისუფლებას ნამდვილად შეეძლო შეეფასებინა დაბინძურების რისკი და მიეღო სათანადო ზომები მის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. აღნიშნული ფაქტორების კომბინაცია აჩვენებს საკმარის კავშირს დამაბინძურებელ ემისიებსა და სახელმწიფოს შორის, რის შედეგადაც დგება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საკითხი მე-8 მუხლის საფუძველზე.

93. გასარკვევი რჩება, განმცხადებლის უფლებების დაცვისას დაიცვა თუ არა სახელმწიფომ სამართლიანი ნონასნორობა განმცხადებლის ინტერესებსა და ზოგადად საზოგადოების ინტერესებს შორის, რაც გათვალისწინებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით.

B. დასაბუთება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით

1. ზოგადი პრინციპები

94. სასამართლო იმეორებს, რომ რომელი ანალიტიკური მიდგომაც არ უნდა იქნეს გამოყენებული — პოზიტიური ვალდებულების დარღვევა თუ სახელმწიფოს მიერ ხელყოფა — მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დასაბუთებლად გამოსაყენებელი პრინციპები პიროვნების უფლებასა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს შორის ნონასნორობის თვალსაზრისით ორივე შემთხვევაში მსგავსია (იხ. 1994 წლის 26 მაისის განაჩენი საქმეზე *Keegan v. Ireland, Series A, № 290*, გვ. 19, პუნქტი 49).

95. სახელმწიფოს მხრიდან მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ხელყოფა შესაბამისობაში იქნება მე-2 პუნქტთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ხელყოფა ხორციელდება „კანონის შესაბამისად“. ასეთ შემთხვევაში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დარღვევა აუცილებლად გამოიწვევს კონვენციის დარღვევის ფაქტის აღიარებას.

96. მაგრამ როდესაც სახელმწიფოს მოეთხოვება პოზიტიური ღონისძიებების განხორციელება, არჩევანის საშუალება, პრინციპში, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა დისკრეციასზე დამოკიდებულია. „პირადი ცხოვრების პატივისცემის“ უზრუნველყოფისთვის სხვადასხვა საშუალება არსებობს და სახელმწიფომ რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი კონკრეტული ღონისძიება არ განახორციელოს, მას მაინც შეუძლია თავისი პოზიტიური ვალდებულება სხვა საშუალებებითაც შეასრულოს. ამიტომ ამ შემთხვევებში „კანონის შესაბამისობის“ კრიტერიუმს, როგორც დასაბუთებისთვის საჭირო სტანდარტი, ვერ იქნება გამოყენებული, ისევე, როგორც სახელმწიფოს მხრიდან უშუალო ხელყოფის შემთხვევებში.

97. ამავე დროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა წინა საქმეში, რომლებშიც გარემოს დაცვასთან დაკავშირებით იყო წამოჭრილი კონვენციის დარღვევის საკითხი, დარღვევა განპირობებული იყო შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ თავიანთი კანონმდებლობის რომელიმე ცალკეული მოთხოვნის შეუსრულებლობით. მაგალითად, ლოპეს ოსტრას საქმეში ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა უკანონოდ ეწეოდა საქმიანობას, რადგან მას არ

გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია და საბოლოოდ იგი დაიხურა (ზემოთ, პუნქტები 16-22, განიხილეთ ლოპეს ოსტრას საქმეზე). ასევე, გერას საქმეში კონვენციის დარღვევა დადგინდა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე კანონთან შეუსაბამობის გამო, კერძოდ, განმცხადებლებმა ვერ შეძლეს იმ ინფორმაციის მოპოვება, რომლის ცერემაც სახელმწიფოს საკუთარი კანონმდებლობით ევალებოდა (ზემოხსენებული საქმე *Guerra and Others v. Italy*, გვ. 219, პუნქტები 25-7). საქმეში *S. v. France* (№ 13728/88, კომისიის 1990 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება, გადანყვეტილებები და მოხსენებები (DR) 65, გვ. 263) მხედველობაში იქნა მიღებული კანონიერება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით.

98. მაგალითად, იმ საქმეებში, რომლებშიც განმცხადებელი სახელმწიფოს უჩივის იმის გამო, რომ არ იქნა დაცული კონვენციით გათვალისწინებული მისი უფლებები, კანონიერება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით გამოყენებული უნდა იყოს არა როგორც ცალკე და საბოლოო სტანდარტი, არამედ როგორც ერთ-ერთი ასპექტი სხვა მრავალ ასპექტს შორის, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმის დასადგენად, დაიცვა თუ არა სახელმწიფომ „სამართლიანი წონასწორობა“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.

2. „ლეგიტიმური მიზანი“

99. როდესაც სახელმწიფოს მოეთხოვება პოზიტიური ღონისძიებების განხორციელება განმცხადებლის ინტერესებსა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს შორის სამართლიანი წონასწორობის დასამყარებლად, გარკვეული დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ მიზნებს, თუმცა ეს დებულება მხოლოდ „ხელყოფაზე“ საუბრობს პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებასთან მიმართებაში; ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს დებულება გულისხმობს პირველ პუნქტში აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარე ნეგატიურ ვალდებულებას (იხ. 1986 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე *Rees v. the United Kingdom, Series A, № 106*, გვ. 15, პუნქტი 37).

100. სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებლის განსახლებაზე უარის მთავრობისეული დასაბუთება ძირითადად ეყრდნობოდა ჩერეპოვეცის იმ სხვა მაცხოვრებელთა ინტერესების დაცვას, რომლებსაც უფასო საცხოვრებლის უფლება ჰქონდათ შიდა კანონმდებლობით. მთავრობის აზრით, რადგან მუნიციპალურ ხელისუფლებას მხოლოდ შეზღუდული რესურსები გააჩნდა სოციალური მიზნებით ახალი სახლების ასაშენებლად, მარტო განმცხადებლის განსახლებით დაირღვეოდა ბინის რიგში ჩანერილი სხვა ადამიანების უფლებები.

101. მოპასუხე მთავრობამ არგუმენტად მიუთითა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე (იხ. ქვემოთ, პუნქტი 111). ისევე, როგორც მოპასუხე მთავრობას, სასამართლოსაც მიაჩნია, რომ მეტალურგიული ქარხნის უწყვეტი მუშაობა ხელს უწყობდა ვოლოგდის რეგიონში ეკონომიკური სისტემის განვითარებას და ამ კუთხით ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით. გასარკვევი რჩება, დაიცვა თუ არა ხელისუფლებამ ამ მიზნის მისაღწევად ქმედებების განხორციელებისას სამართლიანი წონასწორობა განმცხადებლის ინტერესებსა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს შორის.

3. „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

(ა) ზოგადი პრინციპები

102. სასამართლო მიუთითებს, რომ იმის შეფასებისას, თუ რა არის აუცილებელი კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მიზნების მისაღწევად, შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს თავისუფალი დისკრეცია გააჩნიათ, რადგან მათ საერთაშორისო სასამართლოზე უკეთ შეუძლიათ ადგილობრივი საჭიროებებისა და პირობების შეფასება. მართალია, აუცილებლობის თავდაპირველი შეფასება შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების საქმეა, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გააკეთოს საბოლოო შეფასება იმისა, არის თუ არა შესაბამისი და საკმარისი სახელმწიფოს მიერ მოყვანილი დასაბუთება (სხვა წყაროებს შორის იხ. საქმე *Lustig-Prean and Beckett v. the United Kingdom*, №№ 31417/96 და 32377/96, 1999 წლის 27 სექტემბერი, პუნქტები 80-81).

103. ბოლო ათწლეულების მანძილზე დაბინძურება მზარდი საზოგადოებრივი შეშფოთების პრობლემად იქცა. შედეგად სახელმწიფოებმა მიიღეს სხვადასხვა ზომები სანარმოო საქმიანობის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად. კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის ჭრილში ამ ზომების შეფასებისას სასამართლომ წესის სახით მიიღო, რომ სახელმწიფოებს შეფასების ფართო დისკრეცია აქვთ გარემოსდაცვითი საკითხებზე. მაგალითად, 1991 წელს საქმეზე *Fredin v. Sweden* (1991 წლის 18 თებერვლის განაჩენი, სერია A, № 192, პუნქტი 48) სასამართლომ აღიარა, რომ „დღევანდელ საზოგადოებაში გარემოს დაცვა მზარდი მნიშვნელობის საკითხია“ და დაადგინა, რომ კერძო საკუთრების უფლების ხელყოფა (ბუნების კონსერვაციის საფუძვლით განმცხადებლისთვის ლიცენზიის გაუქმება, რომელიც მას უფლებას აძლევდა, მისი საკუთარი მიწიდან მოეპოვებინა ქვა-ლორლი) არ იყო მიზანშეუწონელი ან არაპროპორციული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის გაგებით. ეს მიდგომა სასამართლომ დაადასტურა ასევე იმავე წელს საქმეზე *Pine Valley Development Ltd and Others v. Ireland* (1991 წლის 29 ნოემბრის განაჩენი, სერია A, № 222).

104. სხვა საქმეებში, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან უმოქმედობას შეეხებოდა, სასამართლომ ასევე არჩია, თავი შეეკავებინა შიდასახელმწიფოებრივი გარემოსდაცვითი ნესების გადასინჯვისგან. ამასწინდელ დიდი პალატის განაჩენში სასამართლომ განაცხადა, რომ „მიზანშეუწონილი არ იქნებოდა სასამართლოსთვის, რომ მან შეიმუშაოს სპეციალური მიდგომა ამ კუთხით, გარემოსთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების სპეციალური სტატუსის მოტივით“ (ზემოხსენებული ჰატონის საქმე, პუნქტი 122). უფრო ადრინდელ საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ „... სასამართლოს საქმე აშკარად არ არის შიდასახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოების ჩანაცვლება გადანაცვლებების მიღებისას იმის თაობაზე, თუ რა არის საუკეთესო პოლიტიკა მოცემულ რთულ ტექნიკურ და სოციალურ სფეროებში. ეს ის სფეროებია, რომლებშიც ხელშემკვრელი სახელმწიფოები უნდა სარგებლობდნენ გადანაცვლებების მიღების ფართო დისკრეციით“ (ზემოხსენებული საქმე *Powell and Rayner v. the United Kingdom*, გვ. 89, პუნქტი 44).

105. სასამართლოს მიერ დასადგენი რჩება, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა აშკარა შეფასებითი შეცდომა დაუშვეს მოცემულ სფეროში

სხვადასხვა კერძო პირების კონფლიქტურ ინტერესებს შორის სამართლიანი ნონანსწორების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგრამ გარემოსდაცვითი საკითხების კომპლექსურობის გამო სასამართლოს როლი მხოლოდ მეორადი ხასიათისაა. სასამართლომ ჯერ უნდა გამოარკვიოს, იყო თუ არა გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამართლიანი და ისეთი, რომელიც უზრუნველყოფს მე-8 მუხლით გარანტირებული პიროვნების ინტერესების სათანადო პატივისცემას (იხ. 1996 წლის 25 სექტემბრის განაჩენი საქმეზე *Buckley v. the United Kingdom*, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1996-IV, გვ. 1292-93, პუნქტები 76-77); მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება სასამართლომ გადაკვეთოს ეს ზღვარი და გადასინჯოს შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების არსებითი დასკვნები (იხ. საქმე *Taşkin and Others v. Turkey*, № 46117/99, პუნქტი 117, 2004 წლის 10 ნოემბერი).

(ბ) განმცხადებლის არგუმენტები

106. განმცხადებელმა თავდაპირველად განაცხადა, რომ რუსეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა მის განსახლებას „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონის გარეთ. მისი აზრით, 1974 წლის ბრძანებულება (იხ. პუნქტი 11) სახელმწიფოს ავალდებულებდა, მოეხდინა მისი განსახლება სანიტარული უსაფრთხოების ზონის გარეთ. სანიტარული უსაფრთხოების ზონის მაცხოვრებელთა განსახლება სავალდებულო იყო, აგრეთვე, 1996 წლის ფედერალური პროგრამით (იხ. პუნქტი 15). კანონმდებლობა, განმარტებული უზენაესი სასამართლოს მიერ ივაშჩენკოს საქმეში, მოითხოვს განმცხადებლის დაუყოვნებლივ განსახლებას და არა მის შეყვანას ბინის მომლოდინეთა სიაში. განსახლებისათვის საჭირო ერთადერთი კრიტერიუმი ყოველთვის იყო მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი ცხოვრობს სანიტარული უსაფრთხოების ზონაში. მაგრამ ხელისუფლებამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული იურიდიული ვალდებულება, განესახლებინა განმცხადებელი და ამ ვალდებულების შესრულება არ იქნა უზრუნველყოფილი სასამართლოების მიერ.

107. თავის არგუმენტებში მოპასუხე მთავრობამ მიუთითა საქალაქო დაგეგმარების კოდექსის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტზე, როგორც განმცხადებლის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში ცხოვრების გამამართლებელ არგუმენტზე (იხ. პუნქტი 55). მაგრამ, განმცხადებლის აზრით, ეს დებულება გამოიყენება მხოლოდ დროებითი საცხოვრებელი ადგილების და არა მჭიდროდ დასახლებული საცხოვრებელი ადგილებისა და სახლების მიმართ, რომელთაგან ერთ-ერთში ცხოვრობს განმცხადებელი. ამიტომ მთავრობის მიერ მითითებული საქალაქო დაგეგმარების კოდექსის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი განმცხადებლის ვითარების მიმართ არ გამოიყენება.

108. განმცხადებელი ასევე ამტკიცებს, რომ ხელისუფლებამ არ მიიღო ადეკვატური ზომები კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებების უზრუნველსაყოფად. პირველი, მთავრობას არ უცდია, დაესაბუთებინა მე-8 მუხლით გათვალისწინებული განმცხადებლის უფლებების ხელყოფა რაიმე საფუძვლიანი მიზეზით. მეორე, მთავრობამ არ გაატარა ეფექტიანი ღონისძიებები გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. „სევერსტალიდან“ გავრცელებული დაბინძურების დაუშვებელი ნორმების შესახებ

არსებული დამაჯერებელი მტკიცებულებების მოუხედავად, შიდასახელმწიფოებრივი ზღვრული ნორმების დარღვევით, მთავრობა უბრალოდ ამტკიცებს, რომ „გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით არ წამოჭრილა [ამ ქარხნის] საქმიანობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის საკითხი.“

(გ) მთავრობის არგუმენტები

109. მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებლის საჩივარი დაუსაბუთებელია და რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. მთავრობის არგუმენტები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს.

110. სასამართლოსთვის წარდგენილ თავდაპირველ მოსაზრებებში მთავრობამ აღიარა, რომ განმცხადებლის საცხოვრებელი სახლი მდებარეობდა „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონაში, მაგრამ განაცხადა, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების გადაწყვეტილებები განმცხადებლის დაუყოვნებლივ განსახლებაზე უარის თქმის შესახებ კანონიერი იყო. რუსეთის შესაბამისი კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ განმცხადებლის შეყვანას ბინის მომლოდინეთა საერთო სიაში მომავალში განსახლების მიზნით, რაც ევალება მუნიციპალურ ორგანოებს. მთავრობა ასევე ამტკიცებს, რომ განმცხადებლისთვის ბინის მიცემა, სიაში მისი ადგილის გაუთვალისწინებლად, დაარღვევდა იმ სხვა ადამიანების უფლებებს, რომლებსაც აქვთ უფასო საცხოვრებელი ადგილის უფლება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად.

111. დასაშვებობის საკითხის შემდგომ მოსაზრებებში და ზეპირი მოსმენისას მთავრობამ განაცხადა, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო გადაწყვეტილებები არასწორი იყო, რადგან განმცხადებლის სახლი არ მდებარეობდა სანიტარული უსაფრთხოების ზონაში. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, „ქალბატონი ნ.მ. ფადეევას დროებითი ცხოვრება სანიტარული უსაფრთხოების ზონაში დასაშვებია“, რადგან „სახელმწიფო ანუ საჯარო ინტერესები საჭიროებს ასეთ ტერიტორიებზე ეკონომიკური და სხვა საქმიანობის განხორციელებას“. კერძოდ, მთავრობა მიუთითებს საქალაქო დაგეგმარების კოდექსის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტს (იხ. პუნქტი 55). მთავრობა წერილობით მოსაზრებაში აღნიშნავს, რომ „რუსეთის ფედერაციის საქალაქო დაგეგმარების კოდექსის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გარემოს თვალსაზრისით არასასურველ ტერიტორიებზე ადამიანების დროებითი ცხოვრება დასაშვებია იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ანუ საჯარო ინტერესები საჭიროებს ეკონომიკური ან სხვა საქმიანობის განხორციელებას ასეთ ტერიტორიებზე“.

112. მთავრობა ასევე აცხადებს, რომ განმცხადებელი საკუთარი სურვილით გადავიდა სხვა ბინაში, უუკოვის ქუჩა №1-ში, და არაფერი უშლის მას ხელს ძველი ბინის დატოვებაში. ასევე, განმცხადებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს ამ ბინის პრივატიზება და შემდგომში გაყიდოს იგი, რათა იყიდოს ბინა ქალაქის სხვა უბანში.

113. მთავრობა ამტკიცებს, რომ ხელისუფლების ორგანოები რეგულარულად ამონებდნენ ჰაერის ხარისხს ქალაქში და ახორციელებდნენ რიგ სამეცნიერო კვლევებს ჩერეპოვეცის მაცხოვრებლებზე დაბინძურების გავლენის შესაფასებლად.

114. მთავრობა აცხადებს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა სხვადასხვა ადმინისტრაციული საქციელები გამოიყენეს სანარმო „სევერსტალის“ მიმართ, მისი საქმიანობის შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, 1995-2000 წლებში გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა სანარმო „სევერსტალში“ ჩაატარა 89 შემოწმება და გამოავლინა 300-ზე მეტი დარღვევის ფაქტი. ამ ხნის განმავლობაში მეტალურგიული ქარხნის მენეჯერებს 45-ჯერ ნაეყნათ ბრალი გარემოსდაცვით სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო. 2001-2003 წლებში რუსეთის ფედერაციის ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ქარხანაში ჩაატარა ოთხი კომპლექსური შემოწმება, რომელთა დროსაც გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის 44 დარღვევა. დღესდღეობით კანონით გათვალისწინებული ორგანოების მიერ გამოვლენილი დარღვევების უმრავლესობა აღმოფხვრილია.

115. და ბოლოს, მთავრობა ამტკიცებს, რომ ბოლო წლებში რიგი ფედერალური და მუნიციპალური პროგრამების განხორციელების შედეგად ჩერეპოვეცში დაბინძურების ხარისხი შემცირებულია. მთავრობა აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩატარებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შედეგად მთლიანად ქალაქში გაუშვობესდა გარემოს მდგომარეობა, ხოლო დაბინძურების ხარისხი განმცხადებლის სახლის სიახლოვეს არსებითად არ განსხვავდება ქალაქში არსებული საშუალო ხარისხისგან. მთავრობამ ასევე ჩამოთვალა მეტალურგიული ქარხნის მიერ ემისიების შემცირების მიზნით განხორციელებული სხვადასხვა ტექნოლოგიური მოდიფიკაციები და განაცხადა, რომ ახლო მომავალში იგეგმება დამატებითი ახალი გაუშვობესებები.

(დ) სასამართლოს შეფასება

(i) განმცხადებლის განსახლების მოთხოვნის სავარაუდო შეუსრულებლობა

116. თავდაპირველად სასამართლო აღნიშნავს, რომ მეტალურგიული ქარხანა „სევერსტალის“ საქმიანობის ზემოქმედება გარემოზე არ შეესატყვისება შესაბამისი რუსული კანონმდებლობით დადგენილ გარემოსდაცვით და ჯანდაცვის სტანდარტებს. ასეთი მნიშვნელოვანი სანარმოს მუშაობის შესანარჩუნებლად რუსეთის კანონმდებლობა, კომპრომისული გამოსავლის სახით, ითვალისწინებს ბუფერული ზონის შექმნას სანარმოს ადგილსამყოფელის ირგვლივ, რომლის ფარგლებშიც ოფიციალურად დასაშვებია, რომ დაბინძურება აჭარბებდეს დადგენილ ნორმებს. ამიტომ ასეთი ზონის არსებობა აუცილებელი პირობაა სახიფათო სანარმოსთვის — სხვა შემთხვევაში იგი უნდა დაიხუროს ან არსებითად გადაკეთდეს.

117. სანიტარული უსაფრთხოების ზონის ძირითადი მიზანია, მოხდეს საცხოვრებელი რაიონების გამოცალკეება დაბინძურების წყაროსგან და ამგვარად მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ქარხნის ნეგატიური გავლენა ახლოს მცხოვრებ მოსახლეობაზე. მთავრობამ აჩვენა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში „სევერსტალის“ ემისიები მნიშვნელოვნად შემცირდა და, რა თქმა უნდა, ეს ტენდენცია მისასაღმებელია (იხ. პუნქტი 37 და მისი მომდევნო პუნქტები). მაგრამ მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში (1998 წლიდან)

რიგი საშში ნივთიერებებით დაბინძურების დონე მუდმივად აჭარბებდა დასაშვებ უსაფრთხო ნორმებს. ამიტომ „სევერსტალის“ საქმიანობის გაგრძელება შიდასახელმწიფოებრივ გარემოსდაცვით სტანდარტებთან წინააღმდეგობის გარეშე შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებდა აღნიშნული ზონა, რომელიც გამოაცალკეებდა სანარმოს ქალაქის საცხოვრებელი რაიონებისგან.

118. მხარეები დავობენ ზონის რეალურ მასშტაბზე. დასაშვებობის ეტაპის შემდეგ სასამართლოსთვის წარმოდგენილ მიმოხილვაში და ზეპირ განცხადებებში მთავრობამ უარყო, რომ განმცხადებელი ზონის ფარგლებში ცხოვრობდა. თუმცა თავდაპირველ მიმოხილვაში მთავრობა პირდაპირ აცხადებდა, რომ განმცხადებლის სახლი მდებარეობდა ზონის ფარგლებში. ის ფაქტი, რომ მეტალურგიული ქარხანა „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონა მოიცავს ქალაქის საცხოვრებელ რაიონებსაც, დადასტურებულია 1996 წლის სამთავრობო პროგრამით (იხ. პუნქტი 15). რაც შეეხება კონკრეტულად განმცხადებლის სახლს, მეტალურგიული ქარხნის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში მისი მდებარეობის ფაქტი სადავო არ გამხდარა შიდასახელმწიფოებრივ საქმისწარმოების დროს და მრავალჯერ იქნა დადასტურებული შიდასახელმწიფოებრივ ორგანოთა გადაწყვეტილებებში. ზონის სტატუსი სადავო გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოპასუხე მთავრობას განაცხადი გაეგზავნა. ამიტომ სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ პერიოდში განმცხადებელი „სევერსტალის“ სანიტარული უსაფრთხოების ზონაში ცხოვრობდა.

119. შემდეგ მთავრობამ განაცხადა, რომ მეტალურგიულ ინდუსტრიასთან დაკავშირებული დაბინძურების ხარისხი იგივეა ან შეიძლება უფრო მაღალიც ჩერეპოვეცის სხვა რაიონებშიც, განმცხადებლის სახლის სიახლოვეს დაფიქსირებულ ხარისხთან შედარებით (იხ. პუნქტი 39). მაგრამ ეს ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ მეტალურგიული ქარხანა „სევერსტალი“ არ აკმაყოფილებს შიდასახელმწიფოებრივ გარემოსდაცვით მოთხოვნებს და აჩენს მოსაზრებას, რომ შესაძლოა საჭირო იყოს სანიტარული უსაფრთხოების უფრო ფართო ზონის არსებობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არგუმენტი გავლენას არ ახდენს სასამართლოს დასკვნაზე, რომ განმცხადებელი ცხოვრობდა სპეციალურ ზონაში, სადაც სანარმო დაბინძურება აჭარბებდა უსაფრთხო ნორმებს და სადაც ცხოვრება, ფაქტობრივად, აკრძალული იყო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

120. მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ განმცხადებელი ამ ადგილას საცხოვრებლად გადავიდა 1982 წელს და იმ დროს მას გათვითცნობიერებული ჰქონდა, რომ აქ გარემოს მდგომარეობა არაკეთილსასურველი იყო. მაგრამ იმ დროს არსებული საცხოვრებელი სახლების ნაკლებობის გამო, აგრეთვე, იმის გამო, რომ სანარმო ქალაქებში თითქმის ყველა საცხოვრებელი სახლი ეკუთვნოდა სახელმწიფოს, საერაულოა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა არჩევანი, რომ არ დათანხმებოდა მისი ოჯახისთვის შეთავაზებულ ბინას (იხ. პუნქტი 59 და მისი მომდევნო პუნქტები). გარდა ამისა, იმ დროს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობის გამო განმცხადებელმა შეიძლება სათანადოდ ვერ შეაფასა აღნიშნულ რაიონში დაბინძურების პრობლემის სერიოზულობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებელმა ბინა კანონიერად მიიღო სახელმწიფოსგან, ხოლო სახელმწიფოს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ბინა მეტალურგიული ქარხნის სანიტარული უსაფრთხოების ზონაში მდებარეობდა

და ეკოლოგიური მდგომარეობა იქ არადამაკმაყოფილებელი იყო. ამიტომ ვერ იქნება მხარდაჭერილი განცხადება, რომ განმცხადებელმა თვითონ შექმნა გასაჩივრებული მდგომარეობა ან რამენაირად თვითონ იყო პასუხისმგებელი ამ მდგომარეობის არსებობაზე.

121. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 1990-იან წლებში შესაძლებელი გახდა საცხოვრებელი ქონების შეუზღუდავი დაქირავება ან შესყიდვა და განმცხადებელს არაფერი უშლიდა ხელს სასიფათო ზონიდან გასვლაში. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს ნაქირავები ჰქონდა ყუკოვის ქუჩა №1-ში მდებარე ბინა ადგილობრივი საბჭოსგან როგორც გრძელვადიან მობინადრეს. ქირავნობის პირობები, რომლებითაც მას ნაქირავები ჰქონდა აღნიშნული ბინა, გაცილებით შეღავათიანი იყო საბაზრო პირობებთან შედარებით. სხვა სახლში გადასვლა კი გამოიწვევდა სერიოზულ ხარჯებს, რომლებიც, განმცხადებლის მდგომარეობის გათვალისწინებით, ფაქტობრივად მიუწვდომელი იყო, რადგან მისი ერთადერთი შემოსავალი იყო სახელმწიფო პენსია და დამატებითი თანხები, რომლებსაც პროფესიულ დაავადებასთან დაკავშირებით იღებდა. იგივე ითქმის მის მიერ ახალი ბინის ყიდვის შესაძლებლობაზე, რაზეც მოპასუხე მთავრობამ არგუმენტის სახით მიუთითა. მართალია, თეორიულად განმცხადებელს შეეძლო თავისი პირადი მდგომარეობის შეცვლა, მაგრამ ეს პრაქტიკულად ძალიან რთული იყო. შესაბამისად, აღნიშნული გარემოება განმცხადებელს არ ათმევს შესაძლებლობას, მოითხოვოს კონვენციის დარღვევით დაზარალებულად ცნობა 34-ე მუხლის გაგებით, თუმცა ამან გარკვეულწილად შეიძლება გავლენა იქონიოს მთავრობის პოზიტიურ ვალდებულებებზე მოცემულ საქმეში.

122. სასამართლო იმეორებს, რომ რუსეთის კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს ნებისმიერი საცხოვრებელი შენობის მშენებლობას სანიტარული უსაფრთხოების ზონაში. მაგრამ კანონი საკმარისად მკაფიოდ არ აკონკრეტებს, რა ბედი ეწევთ იმ ადამიანებს, რომლებიც უკვე ცხოვრობენ ასეთ ზონაში. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ რუსეთის კანონმდებლობა მოითხოვს ასეთ ზონებში მაცხოვრებელი ადამიანების განსახლებას და ეს განსახლება უნდა მოხდეს დამაბინძურებელი საწარმოს ხარჯებით. მაგრამ ეროვნულმა სასამართლოებმა კანონმდებლობა სხვაგვარად განმარტეს. ჩერეპოვეცის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის და 1999 წლის გადაწყვეტილებები ადგენს, რომ დამაბინძურებელ საწარმოს არ ეკისრება განსახლების ვალდებულება; კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ზონის მაცხოვრებლების შეყვანას ბინის მომლოდინეთა საერთო სიაში. იმავე სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა განსახლების ხარჯების ანაზღაურებაზე. დაუყოვნებლივ განსახლების კონკრეტული სამართლებრივი მოთხოვნის არარსებობის პირობებში სასამართლო არ თვლის კანონის ასეთ ინტერპრეტაციას აბსოლუტურად არაგაონიერულად. აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო მზად არის, გაიზიაროს, რომ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან იყო განმცხადებლის შეყვანა ბინის მომლოდინეთა სიაში. მაგალითად, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოებისა და ორგანოების მიერ გამოყენებული და განმარტებული რუსეთის კანონმდებლობა არ ანსხვავებს იმ პირებს, ვინც უფლებამოსილია, უფასოდ მიიღოს ახალი ბინა სოცუზრუნველყოფის ფარგლებში (ომის ვეტერანები, მრავალშვილიანი ოჯახე-

ბი და სხვ.), იმ პირობისგან, ვის ყოველდღიურ ცხოვრებასაც სერიოზულად ემუშავა ხელი მეზობელი ქარხნიდან მომდინარე ტოქსიკური კვამლით.

123. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ 1999 წელს, როდესაც განმცხადებელი ბინის მომლოდინეთა სიაში შეიყვანეს, მისი მდგომარეობა არაფრით შეცვლილა. უფრო მეტიც, როგორც განმცხადებელი მართებულად აცხადებს, არ არის რაიმე იმედი, რომ სიაში შეყვანას შედეგად მოჰყვება მისი განსახლება ზონიდან განქვერტად მომავალში. ზოგიერთი ოჯახის ზონიდან განსახლება „სევერსტალის“ მიერ თავად სანარმოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და სანდო გამოსავლად ეს ვერ გამოდგება. ამიტომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ გამოყენებული ღონისძიება განმცხადებლისთვის არაფერს ცვლის: იგი არ იძლევა რაიმე რეალურ იმედს, რომ განმცხადებელს გაიყვანენ დაბინძურების ზონიდან.

(ii) კერძო სანარმოს სავარაუდო არასათანადო რეგულირება

124. ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც განმცხადებელმა შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს მოსთხოვა (დაუყოვნებელი განსახლება ან განსახლების ხარჯების ანაზღაურება), არ არის გასაჩივრებული სიტუაციიდან ერთდღერთი გამოსავალი. სასამართლო აღნიშნავს, რომ „მე-8 მუხლის მოთხოვნების შესარულულად გამიზნული საშუალებების არჩევა ... უშუალოდ პირებს შორის ურთიერთობებში არის უმთავრესად ხელშემკვრელი სახელმწიფოს დისკრეციით გადასაწყვეტი საკითხი. ამასთან დაკავშირებით არსებობს „პირადი ცხოვრების პატივისცემის“ უზრუნველყოფის სხვადასხვა გზა და სახელმწიფოს ვალდებულება დამოკიდებული იქნება განსახილველი პირადი ცხოვრების კონკრეტულ ასპექტებზე“ (1985 წლის 26 მარტის განაჩენი საქმეზე *X. and Y. v. the Netherlands, ECHR* სერია A, № 91, პუნქტი 24). განსახილველ საქმეში სახელმწიფოს მთელი რიგი სხვა საშუალებები ჰქონდა მის განკარგულებაში, რომ თავიდან აეცილებინა ან მინიმუმამდე დაეყვანა დაბინძურება, სასამართლო კი შეამომწებს, ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებისას შეასრულა თუ არა სახელმწიფომ მასზე კონვენციით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები.

125. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც მთავრობის მოხსენებაშია აღნიშნული, მეტალურგიული ქარხნის მიერ გამოწვეული გარემოს დაბინძურება მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. 1970-იანი წლების შემდეგ ქალაქში ჰაერის ხარისხი გაუმჯობესდა. მაგალითად, როდესაც განმცხადებლის ოჯახი აღნიშნულ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად 1982 წელს, ჩერეპოვეცში მთლიანი ატმოსფერული დაბინძურება ორჯერ აღემატებოდა 2003 წლის მაჩვენებლებს. 1980 წლიდან მოყოლებული მეტალურგიული ქარხანა „სევერსტალიდან“ მომდინარე ტოქსიკური ემისიების რაოდენობა ქალაქის ჰაერში 787,7-დან 333,2 ათას ტონამდე შემცირდა. 1996 წლის ფედერალური პროგრამის მიღების შემდეგ (პუნქტი 15) „სევერსტალის“ მიერ გამოყოფილი ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების მთლიანი წლიური ემისია 5,7 პროცენტით შემცირდა. მთავრობის მიერ წარდგენილი ანგარიშის თანახმად, 2003 წლისთვის მნიშვნელოვნად შემცირდა ქალაქის ჰაერში რიგი ტოქსიკური ელემენტების საშუალო კონცენტრაცია (იხ. პუნქტი 37 და მისი

მომდევნო პუნქტები); ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემცირდა, აგრეთვე, „სევერსტალის“ გარშემო ჰაერის შემონმების „არადამაკმაყოფილებელი შედეგების“ რაოდენობა.

126. ამავე დროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ 1990 წლის და 1996 წლის ფედერალური პროგრამების განხორციელებამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია: 2003 წელს ქარხნის მახლობლად ჰაერში ტოქსიკური ნივთიერებების კონცენტრაცია მაინც აჭარბებდა უსაფრთხო ნორმებს. მართალია, 1990 წლის პროგრამის მიხედვით მეტალურგიული ქარხანა ვალდებული იყო, შეემცირებინა ტოქსიკური ემისიები უსაფრთხო ნორმებამდე 1998 წლისთვის, 2004 წელს მთავარმა სანიტარულმა ინსპექტორმა აღიარა, რომ ეს ასე არ მოხდა და განისაზღვრა ქარხნის ემისიების სახიფათო ნორმებზე დაბლა ჩამონევის ახალი ვადა – 2015 წელი.

127. სადავო არ არის, რომ ბოლო ათი — ოცი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მიღწეული ემისიების შემცირების თვალსაზრისით. მაგრამ თუ მხედველობაში მხოლოდ ის პერიოდი იქნება მიღებული, რომელზეც სასამართლოს *ratione temporis* კომპეტენცია ვრცელდება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გარემოსდაცვითი მდგომარეობის მთლიანობაში გაუმჯობესება ძალზე ნელა მიმდინარეობს. ამასთანავე, როგორც მთავრობის ანგარიშშია ნაჩვენები, ზოგიერთი ტოქსიკური ნივთიერების დინამიკა უწყვეტი არ არის და ზოგ ნლებში დაბინძურების დონე გაიზარდა კიდევ, არათუ შემცირდა (იხ. დანართი).

128. მეტალურგიულ ქარხანა „სევერსტალი“ დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემის სირთულისა და მასშტაბის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა მოკლე პერიოდში ვერ იქნება გადაჭრილი. მართლაც, სასამართლოს ფუნქციაში არ შედის იმის განსაზღვრა, კონკრეტულად რა უნდა ყოფილიყო გაკეთებული მოცემულ ვითარებაში დაბინძურების უფრო ეფექტიანად შესამცირებლად. თუმცა სასამართლოს განსჯადობაში ნამდვილად შედის იმის შეფასება, მიუდგა თუ არა მთავრობა პრობლემას სათანადო გულმოდგინებით და ანგარიშს უწევდა თუ არა კონფლიქტურ ინტერესებს. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი, დეტალური და ზუსტი მონაცემების საფუძველზე გაამართლოს ის ვითარება, როდესაც გარკვეულ ადამიანებს მძიმე ბედის გაძლევა უწევთ დანარჩენი საზოგადოების საკეთილდღეოდ. განიხილავს რა წინამდებარე საქმეს ამ კუთხით, სასამართლო შემდეგ საკითხებს აღნიშნავს:

129. მთავრობამ მოიხსენია რამდენიმე კვლევა, რომლებიც ჩატარდა ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის ირგვლივ არსებული გარემოს მდგომარეობის შეფასების მიზნით. თუმცა მთავრობას ეს დოკუმენტები არ წარმოუდგენია და არ განუმარტავს, თუ რა გავლენა მოახდინა ამ კვლევებმა ქარხნის მიმართ მიდგომაზე, კერძოდ, ქარხნის საქმიანობის ნებართვის პირობებზე. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია ქარხნის საქმიანობის ნებართვის ასლი და არ დაუზუსტებია, როგორ და რამდენად იქნა გათვალისწინებული მეტალურგიული ქარხნის ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები ნებართვის პირობების განსაზღვრისას.

130. მთავრობამ აღნიშნა, რომ განსახილველი პერიოდის განმავლობაში საწარმო „სევერსტალი“ მრავალჯერ იქნა შემონმებული და მის მიმართ მრავალჯერ იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული ჯარიმები გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის გამო. მაგრამ მთავრობას არ დაუზუსტებია, რა

სანქციები იქნა გამოყენებული და რა დარღვევები იქნა აღმოჩენილი. შესაბამისად, შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად აიძულებდა ეს სანქციები „სევერსტალს“, გაეტარებინა გარემოს დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიებები.

131. სასამართლოს მიაჩნია, რომ შეუძლებელია ყოვლისმომცველად შეფასდეს მთავრობის პოლიტიკა „სევერსტალს“ მიმართ, რადგან მთავრობას არ უჩვენებია გარკვევით, რას გულისხმობს ეს პოლიტიკა. ამ გარემოებებში სასამართლო იძულებულია, სანინალმდეგო დასკვნა გააკეთოს. მის წინაშე წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სასამართლო ვერ დაასკვნის, რომ მეტალურგიული ქარხნის სანარმოო საქმიანობის რეგულირებისას ხელისუფლებამ ჯეროვნად გაითვალისწინა ქარხნის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები.

132. შეჯამების სახით სასამართლო ასკვნის: სახელმწიფომ გასცა ნებართვა, დამაბინძურებელ სანარმოო საქმიანობა ეწარმოებინა მჭიდროდ დასახლებულ შუა ქალაქში. რადგან ამ სანარმოოდან მომდინარე ტოქსიკური ემისიები აჭარბებდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილ უსაფრთხოების ნორმებს და შეეძლო ზიანი მიეყენებინა ახლოს მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობისათვის, სახელმწიფომ შექმნა გარკვეული ტერიტორია ქარხნის ირგვლივ, რომელზეც არ უნდა იყოს საცხოვრებელი სახლები. ამის მიუხედავად, კანონმდებლობის ეს მოთხოვნა პრაქტიკაში არ შესრულებულა.

133. ძალიან შორს ნასული განცხადება იქნებოდა იმის თქმა, რომ სახელმწიფოს ან დამაბინძურებელ სანარმოო ეკისრებოდა განმცხადებლის უზრუნველყოფა უფასო საცხოვრებელით და, ნებისმიერ შემთხვევაში, არც სასამართლოს ფუნქციას, სახელმწიფოებს უკარნახოს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ კონვენციის მე-8 მუხლისით მათზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად. მაგრამ ამ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის ირგვლივ არსებული მდგომარეობა ზონაში მცხოვრები ადამიანების მიმართ საგანგებო მოპყრობას საჭიროებდა, სახელმწიფოს განმცხადებლისთვის არ შეუთავაზებია რაიმე ქმედითი გამოსავალი სახიფათო ზონიდან მის გაყვანაში დახმარების მიზნით. აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დამაბინძურებელი ქარხანა შიდასახელმწიფოებრივი გარემოსდაცვითი სტანდარტების დარღვევით ფუნქციონირებდა, არ არსებობს ინფორმაცია, რომ სახელმწიფომ შეიმუშავა ან გამოიყენა ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც ანგარიშს გაუწევდა დაბინძურებით დაზარალებული ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და რომლებითაც დაბინძურების დონე რეალურად შემცირდებოდა დასაშვებ ნორმებამდე.

134. სასამართლო ასკვნის, რომ მოპასუხე სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ფართო დისკრეციის მიუხედავად, სახელმწიფომ ვერ დაიცვა სასამართლიანი წონასწორობა საზოგადოების ინტერესებსა და განმცხადებლის მიერ მისი საცხოვრებლის და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების განხორციელებას შორის. აქედან გამომდინარე, დარღვეულია მე-8 მუხლი.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

135. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

1. არამატერიალური ზიანი

136. განმცხადებელმა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვა 10 000 ევროს გადახდა. განმცხადებლის აზრით, ეს ოდენობა გამართლებულია სანიტარული უსაფრთხოების ზონაში გარემოს გადაჭარბებული დაბინძურებით, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია მის ჯანმრთელობასა და მის მიერ საცხოვრებლით და პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობაზე. ამ პირობებმა ასევე გამოიწვია მორალური ტანჯვა და იმედგაცრუება იმის გამო, რომ თვითონ და მისი ოჯახი იძულებულნი იყვნენ, ეცხოვრათ აღნიშნულ ზონაში 20 წლის მანძილზე.

137. მთავრობის აზრით, ეს მოთხოვნა გადაჭარბებულია და კონვენციის დარღვევის დადგენის ფაქტი უკვე საკმარისი იქნება სამართლიანი დაკმაყოფილებისთვის. ალტერნატიულად, მთავრობამ განაცხადა, რომ „არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მართებული იქნება მხოლოდ სიმბოლური თანხის დაკისრება.“

138. სასამართლო მზად არის, გაიზიაროს, რომ დიდი ხნის განმავლობაში განმცხადებლის დაქვემდებარებამ სანარმოო დაბინძურებისადმი მას დიდი დისკომფორტი შეუქმნა, გამოიწვია მორალური და გარკვეულწილად თვით ფიზიკური ტანჯვაც კი — ეს აშკარაა იმ საფუძვლების გათვალისწინებით, რომლებითაც სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. ამავ დროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენცია რუსეთისთვის ძალაში შევიდა 1998 წლის 5 მაისს; ამიტომ სასამართლოს არ გააჩნია *ratione temporis* კომპეტენცია, რომ ანაზღაურება მიაკუთვნოს ამ პერიოდამდე მიყენებული ზიანისთვის. სხვადასხვა შესაბამისი ფაქტორის, როგორიცაა ასაკი, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გასაჩივრებული მდგომარეობის ხანგრძლივობა, ერთობლივად გათვალისწინებით, 41-ე მუხლში განსაზღვრული სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 6 000 ევროს, რასაც დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაერიცხოს ამ თანხას.

2. მატერიალური ზიანი

139. მატერიალური ზიანის სახით განმცხადებელმა მოითხოვა, რომ მთავრობამ მას შესთავაზოს მისი ამჟამინდელი ბინის მსგავსი ახალი საცხოვრებე-

ლი ჩერეპოვეცის სანიტარული ზონის ფარგლებს გარეთ. განმცხადებელმა განაცხადა, რომ მსგავს საქმეებზე დამკვიდრებული პრინციპებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოთხოვნა მის განსახლებასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს უნდა დაეკისროს განმცხადებლისთვის საცხოვრებლის უზრუნველყოფა სანიტარული უსაფრთხოების ზონის გარეთ. ალტერნატიულად, განმცხადებელმა მოითხოვა 30 000 ევროს ანაზღაურება, რაც არის განმცხადებლის ბინის მსგავსი ბინის საფასური ჩერეპოვეცის სანიტარული ზონის ფარგლებს გარეთ.

140. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

141. ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, პირველ რიგში, რომ განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული დარღვევა განგრძობადი ხასიათისაა. განსახილველი დროის განმავლობაში განმცხადებელი თავის ბინაში ცხოვრობს როგორც დამქირავებელი და არასოდეს ჩამორთმევია ეს უფლება. მართალია, ამ პერიოდის განმავლობაში მის პირად ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა სანარმოო ემისიებმა, არაფერი მიუთითებს, რომ მან რაიმე დანახარჯები გაიღო ამ თვალსაზრისით. ამ განაჩენის გამოტანამდე პერიოდთან დაკავშირებით განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა მისთვის რაიმე მატერიალური ზიანის მიყენება.

142. რაც შეეხება მთავრობის მიერ მომავალში გასატარებელ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მან შეასრულოს სასამართლოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის დადასტურების შესახებ განაჩენის მოთხოვნები, განმცხადებლის განსახლება ეკოლოგიურად უსაფრთხო რაიონში მხოლოდ ერთ-ერთი გამოსავალია სხვა მრავალ შესაძლო გამოსავალს შორის. ნებისმიერ შემთხვევაში, კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, მოცემულ საქმეში მე-8 მუხლის დარღვევის ფაქტის დადგენით სასამართლომ დაადასტურა სახელმწიფოს ვალდებულება, მიიღოს სათანადო ზომები განმცხადებლის ინდივიდუალური მდგომარეობის გამოსასწორებლად.

B. ხარჯები და დანახარჯები

143. და ბოლოს, ხარჯებისა და დანახარჯების სახით განმცხადებელმა მოითხოვა:

- (i) 2 000 ევრო ბ-ნი იური ვანჟას წარმომადგენლობისთვის შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების წინაშე და სასამართლოს წინაშე წარმოების თავდაპირველ ეტაპზე, 40 საათის განმავლობაში, საათში 50 ევროს ოდენობით;
- (ii) 3 000 ევრო ბ-ნი კირილ კოროტევეის წარმომადგენლობისთვის სასამართლოს წინაშე წარმოების თავდაპირველ ეტაპზე, 60 საათის განმავლობაში, საათში 50 ევროს ოდენობით;
- (iii) 2 940 გირვანქა სტერლინგი ხარჯებისა და დანახარჯებისთვის, რომლებიც განმცხადებლის წარმომადგენლებმა (ბ-ნმა ფილიპ ლიჩმა და ბ-ნმა ბილ ბოურიინგმა) გაიღეს ლონდონში;
- (iv) 600 გირვანქა სტერლინგი ქ-ნი მირიამ კარიონ ბენიტესის კონსულტაციისთვის.

144. ამ საკითხთან დაკავშირებულ დამატებით მოსაზრებებში განმცხადებელმა მოითხოვა შემდეგი თანხების გადახდა 2004 წლის 1 ივლისის სხდომაზე მისი წარმომადგენლების მონაწილეობისთვის:

- (i) 1 200 გირვანქა სტერლინგი (800 გირვანქა სტერლინგი — ბ-ნი ფილიპ ლიჩის ანაზღაურება, საათში 100 გირვანქა სტერლინგის ოდენობით, პლიუს 400 გირვანქა სტერლინგი მგზავრობის დროის ანაზღაურება, საათში 50 გირვანქა სტერლინგის ოდენობით);
- (ii) 1 400 გირვანქა სტერლინგი (1 000 გირვანქა სტერლინგი — ბ-ნი ბილ ბოურინგის ანაზღაურება, 100 გირვანქა სტერლინგი საათში, პლიუს 400 გირვანქა სტერლინგი მგზავრობის დროის ანაზღაურება, 25 გირვანქა სტერლინგი საათში);
- (iii) 1 000 ევრო (500 ევრო — ბ-ნი კირილ კოროტეევის ანაზღაურება, საათში 50 ევროს ოდენობით, პლიუს 500 ევრო მგზავრობის დროის ანაზღაურება, საათში 25 ევროს ოდენობით);
- (iv) 700 ევრო (200 ევრო — ქ-ნი დინა ვედერნიკოვას ანაზღაურება, საათში 50 ევროს ოდენობით, პლიუს 500 ევრო მგზავრობის დროის ანაზღაურება, საათში 25 ევროს ოდენობით).

145. პასუხად მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის მოთხოვნები აღნიშნულ ნაწილში დაუსაბუთებელია. მთავრობის თქმით, „ხარჯების რეალურად განევის დასადასტურებლად განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე ხელშეკრულებები [დადებული მის წარმომადგენლებთან] ან ქვითრები.“ მთავრობა ასევე ვეჭველმსაყენებს ადვოკატთა ქვითრების ზოგიერთ დეტალს, კერძოდ, დროს, რომელიც ბ-ნმა კოროტეევმა სავარაუდოდ დახარჯა განმცხადებლის სატელეფონო გამოკითხვისას, და ქ-ნი ვედერნიკოვას ევროპის სასამართლოს წინაშე გამოცხადების აუცილებლობას.

146. სასამართლომ პირველ რიგში უნდა დაადგინოს, რეალურად იქნა თუ არა განულები განმცხადებლის მიერ აღნიშნული ხარჯები და დანახარჯები და, მეორე, საჭირო იყო თუ არა ამ ხარჯების და დანახარჯების განევა (იხ. 1995 წლის 27 სექტემბრის განაჩენი საქმეზე *McCann and Others v. the United Kingdom*, სერია A, № 324, პუნქტი 220).

147. რაც შეეხება პირველ საკითხს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია მასა და მის ადვოკატებს შორის დადებული რაიმე წერილობითი ხელშეკრულება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს. რუსული კანონმდებლობის თანახმად, ხელშეკრულება საკონსულტაციო მომსახურების განევის შესახებ შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმითაც (რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლი 779-ე მუხლთან ერთობლიობაში) და არაფერი აჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლების შემთხვევაში. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობას არ წარმოუდგენია სხვა რამ, რაც საწინააღმდეგოს დაადასტურებდა. ამიტომ ადვოკატთა პონორარები ანაზღაურებადია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და, კონვენციის თვალსაზრისით, რეალურია. ამ დასკვნაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ განმცხადებელს არ ეკისრებოდა ამ თანხების წინასწარ გადახდის მოვალეობა.

148. შემდეგ უნდა დადგინდეს, იყო თუ არა აუცილებელი განმცხადებლის ადვოკატთა ხარჯები. რაც შეეხება ბ-ნი იური ვანუას მიერ მოთხოვნილ ხარჯებს, ეს ხარჯები უნდა შემცირდეს, რადგან განმცხადებლის ზოგიერთი მოთხოვნა დაუშვებლად იქნა მიჩნეული. გონივრულობის პრინციპის საფუძველზე სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 1 500 ევროს ხარჯებისათვის.

149. რაც შეეხება ხარჯებსა და დანახარჯებს, რომლებიც განმცხადებელმა გაიღო მისი განაცხადის დაშვებულად მიჩნევის შემდეგ, რაზეც ლაპარაკია 143-ე პუნქტის (i) — (iv) ქვეპუნქტებში, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მოსამზადებლად ორივე მხარეს მოუწია საკმაო ოდენობით იურიდიული და ტექნიკური შრომა. შესაბამისად, სასამართლო ამ დანახარჯებს აუცილებლად მიიჩნევს და მთლიანად მიაკუთვნებს განმცხადებელს მოთხოვნილ თანხას, კერძოდ, 3 000 ევროს ბ-ნი კოროტეევის ანაზღაურების და დანახარჯების სახით და 3 540 გირვანჯა სტერლინგს განმცხადებლის ბრიტანელი ადვოკატებისა და მრჩეველების ანაზღაურებისა და დანახარჯების სახით.

150. და ბოლოს, რაც შეეხება 2004 წლის 1 ივლისის სხდომასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ოთხივე წარმომადგენლის დასწრება აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა. გონივრულობის პრინციპის საფუძველზე, სასამართლო მიაკუთვნებს განმცხადებელს 2 000 ევროს და 2 000 გირვანჯა სტერლინგს შესაბამისად რუსი და ბრიტანელი ადვოკატების ანაზღაურების და დანახარჯების სახით.

151. აღნიშნულ თანხებს უნდა დაემატოს ის თანხა, რომელიც საქირო იქნება მათზე დარიცხული გადასახადების ასანაზღაურებლად.

C. პროცენტის დაკისრება გადახდის ვალდებულების გადაცილებისთვის

152. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პროცენტი გადახდის ვალდებულების გადაცილებისთვის ეფუძნებოდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთსულოვნად:

1. ადგენს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-8 მუხლი;
2. ადგენს, რომ:

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ამ განაჩენის ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში, განმცხადებელს არამატერიალური ზიანის სახით უნდა გადაუხადოს 6 000 (ექვსი ათასი) ევრო, რომლის კონვერტაციაც უნდა მოხდეს რუსულ რუბლებში, ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით, პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რაც შეიძლება დაერიცხოს ამ თანხას;

(ბ) მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ამ განაჩენის ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში, განმცხადებელს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები:

- (i) 6 500 (ექვსი ათას ხუთასი) ევრო მისი რუსი ადვოკატების მიერ გაწეული

ხარჯებისა და დანახარჯებისთვის, რომლის კონვერტაციაც უნდა მოხდეს რუსულ რუბლებში, ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით, გამოკლებული 1 732 (ათას შვიდას ოცდათორმეტი) ევრო, რომელიც უკვე გადახდილი იქნა ბატონი კოროტევისთვის იურიდიული დახმარებისთვის;

- (ii) 5 540 (ხუთი ათას ხუთას ორმოცი) გირვანჯა სტერლინგი იმ ხარჯებისა და დანახარჯებისთვის, რომლებიც განიეს მისმა ბრიტანელმა ადოკატებმა და მრჩეველებმა;
 - (iii) პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რაც შეიძლება დაერიცხოს ზემოაღნიშნულ თანხებს;
- (გ) ზემოხსენებული სამი თვის გასვლის შემდეგ ანგარიშსწორების თარიღამდე გადასახდელ თანხას დაერიცხოს მარტივი პროცენტი, რომელიც უდრის ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო პროცენტს გადახდის ვალდებულების გადაცილების პერიოდში პლიუს სამი პროცენტი;

3. უარს ამბობს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით განმცხადებლის სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე, შეტყობინებულია ნერილობით 2005 წლის 9 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2-მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორენ ნილსენი
მდივანი

კრისტოს როზაკისი
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე განაჩენს თან ერთვის ბატონი ა. კოვლერის თანმხვედრი მოსაზრება.

კ.ლ.რ.
ს.ნ.

მე ვეთანხმები პალატის ერთსულოვან მოსაზრებას, რომ წინამდებარე საქმეში რუსეთის ხელისუფლებამ არ შეასრულა მისი პოზიტიური ვალდებულება კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული განმცხადებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ამავ დროს, მინდა განვმარტო ჩემი მიდგომა მოცემულ საქმეში დაცული სპეციფიკური ინტერესის მიმართ.

განაჩენში მითითებულ საქმეზე — *López Ostra v. Spain* — სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა სამართლიანი ნონასწორობა ქალაქის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და განმცხადებლის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას შორის. პატონის საქმეზე, რომელიც ასევე მითითებულია განაჩენში, სასამართლომ იგივე ლოგიკა განავითარა (თუმცა, საბოლოოდ, დიდმა პალატამ არ მიიჩნია მე-8 მუხლი დარღვეულად). ცოტა ხნის წინანდელ საქმეშიც, რომელიც ხმაურს შეეხებოდა (*Moreno Gómez v. Spain*, № 4143/02, 2004 წლის 8 ნოემბერი), პრობლემა განმცხადებლის პირად ცხოვრებასა და საცხოვრებელზე გავლენაში მდგომარეობდა.

მეორე მხრივ, საქმეში *Guerra and Others v. Italy* (1998 წლის 19 თებერვლის განაჩენი, № 14967/89, მოხსენებები 1998-I), რომელიც ეხებოდა სანარმოო საფრთხეების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, სასამართლომ დაადგინა მხოლოდ განმცხადებლების პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევა, „საცხოვრებლის“ ხსენების გარეშე. მე უფრო მეტად ამ უკანასკნელ მიდგომას ვემხრობი და მიმაჩნია, რომ „გარემოს უფლებები“ (რამდენადაც ისინი მე-8 მუხლითაა დაცული) უფრო მეტად „პირადი ცხოვრების“ სფეროს შეეხება და არა „საცხოვრებელს“. ჩემი აზრით, „საცხოვრებლის“ ცნება ამ დებულების ტექსტში შევიდა მკაფიო განზრახვით — განსაზღვრულიყო დაცვის კონკრეტული სფერო, რომელიც განსხვავდება „პირადი და ოჯახური ცხოვრებისგან“. ამ განმარტების მხარდასაჭერად მე მოვიშველიებ ციტატას მოსამართლე გრივის განსხვავებული მოსაზრებიდან პატონის საქმეზე, რომელშიც მან განაცხადა, რომ „გარემოს უფლებები განსხვავდება იმ ძირითადი უფლებისგან, რომ ადამიანს სახლში არავინ შემოეჭრას სათანადო ნებართვის გარეშე“. ამიტომ, არავითარი ეჭვი არ შემაქვს რა სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომ დაირღვა მე-8 მუხლი, მე მიარჩევნია, ეს დარღვევა გამოხატული იქნეს, როგორც განმცხადებლის პირადი ცხოვრების დაუსაბუთებელი ხელყოფა.

შესაბამისად, სახელმწიფოს უმოქმედობა მოცემულ საქმეში გამოიხატება არა მხოლოდ იმით, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არ განასახლეს განმცხადებელი უსაფრთხო ადგილას. სახელმწიფოს ფართო დისკრეცია აქვს იმ ღონისძიებების არჩევისას, რომლებიც საჭიროა მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებსა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს შორის სამართლიანი ნონასწორობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ ამ საქმეში ქარხნის სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების განსახლება მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებლობაა სხვა მრავალ შესაძლო ღონისძიებას შორის და, ჩემი აზრით, არც ყველაზე საუკეთესო: ხელისუფლებას რომ უფრო მეტი სიმკაცრე და თანმიმდევრულობა გამოეჩინა შიდასახელმწიფოებრივი გარემოსდაცვითი ნესების გამოყენებისას, პრობლემაც მოსახლეობის განსახლების საჭიროების გარეშე გადაწყდებოდა და ზოგადად გარემოს მდგომარეობაც გაუმჯობესდებოდა.

დანართი — ამონარიდები მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩერეპოვეცში არსებული გარემოს მდგომარეობის შესახებ⁵

A. ჰაერის დაბინძურების დინამიკა 1999 — 2003 წლებში
(ზღვს მიხედვით)

ტოქსიკური ელემენტი	საშუალო დღიური ზღვ. მგ/მ ³	1999	2000	2001	2002	2003
აზოტის ზეჟანგი	0,04	0,027	0,022	0,018	0,016	0,025
აზოტის ჟანგი	0,06	0,021	0,015	0,011	0,01	0,024
ამიაკი	0,04	0,0125	0,011	0,011	0,005	0,016
მარგანეცი	0,001	0,0006	0,002	0,0007	0,0004	0,0008
ნახშირჟანგი	3,0	1,884	1,3	1,5	1,28	1,76
მტვერი	0,15	0,264	0,25	0,24	0,2	0,17
გოგირდწყალბადი	0,008	0,0002	0,0007	0,0004	0,0006	0,0006
გოგირდნახშირბადი	0,005	0,0187	0,015	0,011	0,004	0,0056
ფენოლი	0,003	0,002	0,0014	0,0012	0,0009	0,0014
ფორმალდეჰიდი	0,003	0,0136	0,02	0,013	0,0099	0,019
გოგირდის აირი	0,05	0,0049	0,0056	0,0021	0,0024	0,0037

B. ტოქსიკური ელემენტების საშუალო და მაქსიმალური კონცენტრაციები ბოლო 20-30 წლის განმავლობაში

დაკვირვების ქვეშ მყოფი ნივთიერება	1974		1983		1989		1996		2003	
	საშ.	მაქს.	საშ.	მაქს.	საშ.	მაქს.	საშ.	მაქს.	საშ.	მაქს.
მტვერი	-	-	0.3	4.0	0.3	2.1	0.1	1.2	0.2	0.8
გოგირდის ანაიდრიდი	0.08	0.86	0.04	0.79	0.03	1.170	0.004	0.160	0.004	0.114
ნახშირჟანგი	7	20	1	7	1	16	1	7	1	18
აზოტის ზეჟანგი	0.07	0.65	0.04	0.31	0.04	0.23	0.02	0.16	0.03	0.45
აზოტის ჟანგი	-	-	0.07	0.058	0.05	0.43	0.02	0.30	0.03	1.02
გოგირდწყალბადი	-	-	0.006	0.058	0.002	0.029	0.002	0.023	0.001	0.013
გოგირდნახშირბადი	-	-	-	-	-	-	0.011	0.076	0.006	0.046
ფენოლი	-	-	-	-	0.003	0.018	0.003	0.04	0.001	0.021
ამიაკი	-	-	0.27	5.82	0.08	1.37	0.02	0.23	0.02	0.21
ფორმალდეჰიდი	-	-	-	-	-	-	0.014	0.129	0.019	0.073

5. ზემოაღნიშნული მონაცემები ასახავს მხოლოდ იმ შედეგებს, რომლებიც მიღებული იქნა განმეცხადებლის სახლთან ყველაზე ახლომდებარე სახელმწიფო ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის პირველი სტაციონარული სადამკვირვებლო პოსტიდან.

ჟეჯიუსი ლიტვის წინააღმდეგ

Jėčius v. Lithuania

მესამე სექცია

ქვეყნის ლიტვის წინააღმდეგ

(განაცხადი № 34578/97)

ბანაჩენი

სტრასბურგი

2000 წლის 31 ივლისი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „ჟეციუსი ლიტვის წინააღმდეგ“,
(*Jėčius v. Lithuania*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მესამე სექცია) პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

ბატონი ჯ.პ. კოსტა, თავმჯდომარე,

მოსამართლეები:

ბატონი ვ. ფურმანი,
ბატონი პ. კურისი,
ქალბატონი ფ. ტულკენსი,
ბატონი კ. იუნგვიერტი,
ბატონი კ. ტრაია,
ბატონი მ. უგრეხელიძე,

სექციის მდივანი:

ქალბატონი ს. დოლე,

იმსჯელა რა განმარტოებით 2000 წლის 11 ივლისს,

2000 წლის 11 ივლისს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

პროცედურა

1. საქმე სასამართლოს გადმოეცა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ 1999 წლის 25 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის (შემდგომში „კონვენციას“) ყოფილი 32(1)-ე და 47-ე მუხლებით დადგენილ სამი თვის ვადაში. საქმეს მსვლელობა მიეცა ლიტვის რესპუბლიკის წინააღმდეგ შემოსული განაცხადის (№34578/97) საფუძველზე, რომელიც ყოფილი 25-ე მუხლის საფუძველზე კომისიაში შეიტანა ლიტვის მოქალაქემ — ბატონმა ჯუოზას ჟეცოუსმა (შემდგომში „განმცხადებელი“) 1996 წლის 30 დეკემბერს.

განმცხადებლის საჩივარი შეეხებოდა მისი პრევენციული პატიმრობის და წინასწარი პატიმრობის უკანონობას, ხელისუფლების მიერ მოსამართლის ან სხვა მოხელის წინაშე დროულად წარუდგენლობას, დაკავების ხანგრძლივობას და დაკავების კანონიერების გასაჩივრების წარმოების შეუძლებლობას. განმცხადებელი მიუთითებდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ, მე-3 და მე-4 პუნქტებზე.

2. კომისიამ განაცხადი ნაწილობრივ დასაშვებად მიიჩნია 1997 წლის 1 დეკემბერს.

განმცხადებელი გარდაიცვალა 1999 წლის 9 აპრილს. 1999 წლის 14 აპრილს წერილში მისმა ქვრივმა გამოთქვა განაცხადის მხარდაჭერის სურვილი.

1999 წლის 11 სექტემბრის ანგარიშში (კონვენციის ყოფილი 31-ე მუხლი)¹ კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, განმცხადებლის პრევენციული პატიმრობის საჩივართან დაკავშირებით, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი (ოცდაშვიდი ხმით ორის წინააღმდეგ); 1996 წლის 4 ივნისიდან 31 ივლისამდე განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის უკანონობის საჩივართან დაკავშირებით — რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი (ერთსულოვნად); 1996 წლის 31 ივლისიდან 16 ოქტომბრამდე განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის საჩივართან დაკავშირებით — რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი (ერთსულოვნად); მოსამართლის ან სხვა მოხელის წინაშე დროულად წარუდგენლობის საჩივართან დაკავშირებით — რომ არ დარღვეულა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის საჩივართან დაკავშირებით — რომ დაირღვა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი (ერთსულოვნად) და რომ დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი (ერთსულოვნად).

3. კონვენციის მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, სასამართლოს რეგლამენტის 100(1) და 24(6) მუხლებთან ერთობლიობაში, საფუძველზე დიდი პალატის კოლეგიამ 1999 წლის 13 დეკემბერს გადაწყვიტა, რომ საქმე უნდა განეხილა სასამართლოს ერთ-ერთ სექციაში შექმნილ პალატას. შემდგომში სასამართლოს თავმჯდომარემ, რეგლამენტის 52(1) მუხლის საფუძველზე, საქმის განხილვა დააკისრა მესამე სექციას.

4. 2000 წლის 18 იანვარს მესამე სექციის თავმჯდომარემ კონვენციის 27(1) მუხლისა და რეგლამენტის 26(1) მუხლის შესაბამისად შექმნა პალატა.

1. სამდივნოს შენიშვნა. სასამართლოს ანგარიშის მოპოვება შესაძლებელია სამდივნოში.

5. განმცხადებელი წარმოდგენილი იყო ვილნიუსში მოღვაწე ადვოკატის — ბ-ნი კ. სტუნგისის მიერ. ლიტვის მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი იყო წარმომადგენლის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის ბ-ნი გ. შვედასის მიერ.

6. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ სასამართლომ გადაწყვიტა, განეხილა საქმე.

7. 2000 წლის 21 მარტს, 23 მარტს, 29 მარტს, 12 მაისს და 17 მაისს მხარეებმა წარმოადგინეს სხვადასხვა დოკუმენტები როგორც სასამართლოს თხოვნით, ისე საკუთარი ინიციატივით.

ფაქტები

1. საქმის ბარემოეზები

8. განმცხადებელი, სასტუმროს დირექტორი, ეჭვმიტანილი იყო 1994 წელს ჩადენილ მკვლელობაში. 1995 წელს აღნიშნული მკვლელობის საქმე დაიხურა მტკიცებულებათა არასაკმარისობის საფუძველზე.

9. განმცხადებელი დააპატიმრეს 1996 წლის 8 თებერვალს. იმავე დღეს პოლიციის უფროსმა კომისარმა, გენერალური პროკურორის მოადგილის სანქციის საფუძველზე, გასცა ბრძანება განმცხადებლის „პრევენციული პატიმრობის“ (*prevencinis sulaikymas*) შესახებ ექვსი დღის ვადით. 1996 წლის 9 თებერვალს ვილნიუსის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა პრევენციული პატიმრობის ბრძანება. ბრძანება მიუთითებდა იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლითაც დასაშვებია იყო პრევენციული პატიმრობის გამოყენება ბანდიტიზმის, კრიმინალური დაჯგუფების და დაშინების შემთხვევებში. განმცხადებელმა გაასაჩივრა პრევენციული პატიმრობა და, *inter alia*, განაცხადა, რომ მას არ გააცნეს დაკავების მიზეზი ან მის წინააღმდეგ რაიმე ბრალდება. 1996 წლის 19 თებერვალს ვილნიუსის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი. აღნიშნული გადაწყვეტილებით განმცხადებლისთვის რაიმე კონკრეტული ბრალდება არ ყოფილა წაყენებული. პრევენციულ პატიმრობასთან დაკავშირებით გამოძიება არ ჩატარებულა.

10. 1996 წლის 8 მარტს განახლდა მკვლელობის საქმის გამოძიება. განმცხადებელს, როგორც მთავარ ეჭვმიტანილს, ბრალად წაეყენა მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში. მას ბრალი ედებოდა მის მანქანაში სავარაუდო ქურდის უკანონო დასჯის ორგანიზებაში, რის შედეგადაც ეს პირი გარდაიცვალა. ხუთ ბრალდებულს შორის საქმეში იყო სამი პოლიციელი, რომლებმაც სავარაუდოდ დაპატიმრებული პირი განმცხადებელს გადასცეს.

11. 1996 წლის 14 მარტს გენერალური პროკურორის მოადგილემ, სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის საფუძველზე, გასცა განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში მოთავსების სანქცია მკვლელობაში ეჭვმიტანილობის საფუძველით. სანქციით, წინასწარი პატიმრობის ვადა იწურებოდა 1996 წლის 4 ივნისს.

12. 1996 წლის 27 მარტს განმცხადებელი დაიკითხა. 1996 წლის 22 აპრილს მან პროკურატურას წარუდგინა განაცხადი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა მტკიცებულება ეჭვისთვის, რომ მან ჩაიდინა ან დაგეგმა დანაშაული და რომ მისი პრევენციული პატიმრობა და შემდგომში წინასწარი პატიმრობა ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის საპროცესო წესებს და კონვენციის მე-5 მუხლს. 1996 წლის 24 აპრილს პანევეეისის ოლქის უფროსმა პროკურორმა არ დააკმაყოფილა განაცხადი იმ საფუძველზე, რომ განმცხადებლის პატიმრობა დასაბუთებული იყო თუნდაც მხოლოდ ბრალად წაყენებული დანაშაულის სიმძიმით.

13. 1996 წლის 17 მაისს განმცხადებელმა გენერალურ პროკურორს წარუდგინა განაცხადი, რომელშიც კვლავ ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ არ არსებობდა გონივრული ეჭვი და რომ მისი პატიმრობით დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლი. 1996 წლის 21 მაისს ოლქის პროკურორმა განაცხადი არ დააკმაყოფილა. 1996 წლის 4 ივნისს განმცხადებლის წარმომადგენლის ხელახალი განაცხადი არ დააკმაყოფილა პანევეეისის ოლქის უფროსმა პროკურორმა.

14. წინასწარი გამოძიება დასრულდა 1996 წლის 29 მაისს. 1996 წლის 30 მაისიდან 10 ივნისამდე განმცხადებელს და მის ადვოკატს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ საქმის მასალებს. სხვა ბრალდებულებს საქმის მასალების გაცნობის საშუალება ჰქონდათ 1996 წლის 14 ივნისამდე.

15. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ განმცხადებელმა განაცხადით მიმართა პროკურატურას და განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება და მისი პატიმრობა დაუსაბუთებელი იყო. 1996 წლის 11 ივნისს პანევეეისის ოლქის პროკურატურამ არ დააკმაყოფილა განაცხადი იმ საფუძველზე, რომ საქმის მასალები მთლიანობაში საკმარის მტკიცებულებას შეიცავდა ბრალის დასადასტურებლად.

16. 1996 წლის 13 ივნისს პროკურორმა შეატყობინა იმ ციხის ხელმძღვანელობას, რომელშიც განმცხადებელი იყო წინასწარ პატიმრობაში მოთავსებული, რომ წინასწარი პატიმრობის ვადა სისხლის სამართლის კოდექსის ყოფილი 226-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „ავტომატურად გაგრძელდა 1996 წლის 14 ივნისამდე“ და რომ საქმე საბრალდებო დასკვნის დასამტკიცებლად გადაეცა პანევეეისის ოლქის უფროს პროკურორს. გადაწყვეტილება განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის თაობაზე არ იქნა მიღებული.

17. 1996 წლის 24 ივნისს პანევეეისის ოლქის უფროსმა პროკურორმა ციხის ხელმძღვანელობას წერილობით შეატყობინა, რომ მკვლელობის საქმე განსახილველად გადაეცა პანევეეისის ოლქის სასამართლოს და რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა კანონიერი იყო. წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

18. 1996 წლის 1 ივლისს პანევეეისის ოლქის სასამართლომ ციხის ხელმძღვანელობას შეატყობინა, რომ სასამართლო სხდომა ჩატარდებოდა 1996 წლის 31 ივლისს და განმცხადებლის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით მის ადვოკატს მიეცემოდა მითითებები. განმცხადებლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით არავითარი ოფიციალური გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

19. 1996 წლის 31 ივლისს, განმწესრიგებელ სხდომაზე, პანევეეისის ოლქის სასამართლოს მოსამართლემ გადაწყვიტა, „ძალაში დარჩენილიყო“ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა. მოსამართლეს არ განუხილავს განმცხადებლის და-

კავების კანონიერება. სხდომას ესწრებოდა განმცხადებლის ადვოკატი.

20. სასამართლო განხილვა დაიწყო პანევეჟისის ოლქის სასამართლოში 1996 წლის 3 სექტემბერს. 9 სექტემბერს საქმის განხილვა გადაიდო დამატებითი მატერიალური მტკიცებულებების შეკრების მიზნით.

21. 1996 წლის 14-16 ოქტომბერს ოლქის სასამართლომ საქმე განიხილა განმცხადებლის და მისი ადვოკატის მონაწილეობით. 1996 წლის 16 ოქტომბერს სასამართლომ დაადგინა, ძალაში დაეტოვებინა წინასწარი პატიმრობა განმცხადებლის მიმართ. გადანყევტილებაში არ ყოფილა აღნიშნული განმცხადებლის დაკავების კანონიერების რაიმე სხვა ასპექტი. განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა გაგრძელდა 1997 წლის 15 თებერვლამდე. სასამართლომ ასევე ბრძანა დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

22. 1996 წლის 28 ოქტომბერს განმცხადებელმა აღნიშნული გადანყევტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მან ასევე შეიტანა განაცხადები გენერალურ პროკურატურაში, ციხის ადმინისტრაციაში და ომბუდსმენის სამსახურში. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ოლქის სასამართლოს გადანყევტილება მისი წინასწარი პატიმრობის შესახებ უკანონო იყო, რადგან ამ გადანყევტილებით უბრალოდ გაგრძელდა წინასწარი პატიმრობის არარსებული გადანყევტილება, რომლის ვადაც 1994 წლის 4 ივნისს ამოიწურა. განმცხადებელი, *inter alia*, აცხადებდა, რომ მის მიმართ დაირღვა ლიტვის კონსტიტუციის მე-20 მუხლი და კონვენციის მე-5 მუხლი.

23. 1996 წლის 21 ნოემბერს ომბუდსმენმა შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალური პროკურორის, სასჯელალსრულების დეპარტამენტის დირექტორისა და ციხის უფროსის ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ, მისი აზრით, განმცხადებელი „1996 წლის 14 ივნისიდან 1996 წლის 31 ივლისამდე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა უკანონოდ, კონსტიტუციის მე-20 მუხლისა ... და კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის c ქვეპუნქტის დარღვევით“.

24. 1996 წლის 25 ნოემბერს განმცხადებელმა მისი პატიმრობის გადანყევტილება ხელახლა გაასაჩივრა.

25. 1996 წლის 27 ნოემბერს სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განხილვაზე უარი თქვა იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე. განმცხადებლისთვის მიწერილ წერილში სააპელაციო სასამართლო აღიარებდა, რომ ქვემდგომმა მოსამართლეებმა „შეიძლება“ არასწორად განმარტეს კანონი მისი წინასწარი პატიმრობის საკითხის გადანყევტისას, მაგრამ აღნიშნავდა, რომ ქვემდგომი მოსამართლეების გადანყევტილებები გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

26. იმავე დღეს, პანევეჟისის ოლქის სასამართლოს 1996 წლის 16 ოქტომბრის გადანყევტილების წინააღმდეგ შეტანილი გამოძიების საჩივრის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადანყევტილება, რომელიც დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას ითვალისწინებდა. განმცხადებელმა ეს გადანყევტილებაც გაასაჩივრა.

27. 1996 წლის 30 ნოემბერს განმცხადებელმა მისი წინასწარი პატიმრობის საპროცესო განაცხადით მიმართა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. 1996 წლის 30 დეკემბერს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარემ განმცხადებელს აცნობა, რომ მისი განაცხადი ვერ განიხილებოდა. მან აღიარა, რომ განმცხადებელი „1996 წლის 4 ივნისი-

დან 1996 წლის 31 ივლისამდე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა წინასწარი პატიმრობის აღკვეთის ღონისძიების ვადის გაგრძელების გარეშე". თუმცა იგი აღნიშნავდა, რომ „აპელაციის საფუძვლები ვერ ჩანაცვლებს კანონის ნორმას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის მე-4 პუნქტს), რომლის თანახმად აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, შეცვლის ან გაგრძელების გადანყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება“.

28. 1997 წლის 14 იანვარს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს 1996 წლის 27 ნოემბრის გადანყვეტილება, რომელიც აუქმებდა პანევეჟისის ოლქის სასამართლოს 1996 წლის 16 ოქტომბრის გადანყვეტილებას დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ. უზენაესმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აღნიშნული მკვლელობის საქმე უნდა განეხილა სამ მოსამართლეს კოლეგიური წესით და არა ერთ მოსამართლეს ერთპიროვნულად.

29. განმცხადებელმა სამოქალაქო სარჩელი აღძრა ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ, ფორმალური გადანყვეტილების გარეშე მისი პატიმრობაში ყოფნის საფუძვლით. 1997 წლის 26 თებერვალს შიაულიაის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსამართლემ განაცხადა, რომ ციხის ადმინისტრაციის მოქმედება ეფუძნებოდა „პროკურორის სანქციას, წერილებს პატიმრობის გაგრძელების შესახებ და მოსამართლის და სასამართლოს გადანყვეტილებებს“. 1997 წლის 28 აპრილს შიაულიაის ოლქის სასამართლომ ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება.

30. განმცხადებელმა მოითხოვა გირაოთი გათავისუფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძვლით. 1997 წლის 17 მარტს პანევეჟისის ოლქის სასამართლომ მისი განაცხადი არ დააკმაყოფილა. სასამართლო პროცესი კიდევ გადაიდო 1997 წლის 28 აპრილამდე და ისევ დამატებითი საგამოძიებო ღონისძიებები დაინიშნა. პროცესი განახლდა 1997 წლის 26 მაისს.

31. 1997 წლის 9 ივნისს პანევეჟისის ოლქის სასამართლომ განმცხადებელი ბრალდების ყველა პუნქტში გაამართლა მტკიცებულებათა ნაკლებობის საფუძვლით. იგი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

32. გამომძიებამ და დანარჩენმა ბრალდებულებმა გაასაჩივრეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება. 1997 წლის 27 აგვისტოს სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საოლქო სასამართლოს გადანყვეტილება. საქმე კვლავ დაუბრუნდა პროკურატურას დამატებითი გამოძიებისთვის.

33. 1997 წლის 22 ოქტომბერს პანევეჟისის ოლქის პროკურატურის პროკურორმა განმცხადებელს შეატყობინა, რომ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 1997 წლის 21 ოქტომბრის გადანყვეტილებით.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

34. ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის (*Lietuvos Respublikos Konstitucija*) საქმისთვის მნიშვნელოვანი დებულებებია:

მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი

„დანაშაულის ჩადენისას დაკავებული პირი 48 საათის განმავლობაში უნდა წარედგინოს სასამართლოს, რომელმაც დაკავებული პირის თანდასწრებით უნდა დაადგინოს, მიზანშეწონილია თუ არა მისი დაკავება. თუ სასამართლო არ გასცემს ბრძანებას პირის დაპატიმრების შესახებ, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“

30-ე მუხლის პირველი პუნქტი

„პირს, რომლის კონსტიტუციური უფლებები ან თავისუფლებები დაირღვა, აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.“

35. ყოფილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (*Baudžiamoji proceso kodeksas*) საქმისთვის მნიშვნელოვანი დებულებებია:

მუხლი 10

(*ძალაში იყო 1996 წლის 21 ივნისამდე*)

„პირის დაპატიმრება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსამართლის ბრძანებით ან პროკურორის სანქციით...“

მუხლი 50(1)

[*პრევენციული პატიმრობა*] (*ძალაში იყო 1997 წლის 30 ივნისამდე*)

„... თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისთვის, რომ პირმა შეიძლება ჩადინოს საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომლის შემადგენლობაც გათვალისწინებულია ლიტივის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე [ბანდიტიზმი], 227(1)-ე [კრიმინალური დაჯგუფება] და 227(2)-ე [დაშინება] მუხლებით, მაშინ, ასეთი ქმედების ჩადენის პრევენციის მიზნით, პოლიციის უფროსს ... შეუძლია, მოტივირებული გადაწყვეტილებით, [პროკურორის] სანქციით ... გასცეს პირის დაკავების ბრძანება...“

დაკავების განმახორციელებელი პოლიციის თანამშრომლის და დაკავებაზე სანქციის გამცემი პროკურორის ... თანდასწრებით რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, საოლქო სასამართლოს მოსამართლეს ან საოლქო სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს 48 საათის ვადაში გამოაქვს გადაწყვეტილება დაკავების კანონიერების შესახებ.

დაკავების კანონიერების დადგენისას მოსამართლეს უფლება აქვს, წარმოადგენინოს მის წინაშე დაკავებული პირი; თუმცა მოსამართლეს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს დაკავებული პირის დაუსწრებლადაც...

დაკავებულ პირს ... უფლება აქვს, აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს ზემდგომ მოსამართლესთან.

... ზემდგომი მოსამართლის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება...

... პროკურორის სანქციით დაკავებული პირი, რომლის დაკავებაც ძალაში ტოვებს მოსამართლე, შეიძლება დაკავებული იქნეს არა უმეტეს ორი თვის ვადით..."

1996 წლის 21 ივნისიდან დაკავების ბრძანებას გაცემს მხოლოდ სამართლო ან მოსამართლე.

მუხლი 104

(1994 წლის 19 ივლისის № I-551 კანონი, ძალაშია 1996 წლის 21 ივნისიდან)

„წინასწარი პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსამართლის ბრძანებით ან პროკურორის სანქციით ისეთ დანაშაულებზე, რომელთათვის კანონი სასჯელის სახით ითვალისწინებს არანაკლებ ერთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას..."

სისხლის სამართლის კოდექსის ... 105-ე მუხლით [მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში] გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში წინასწარი პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის საფუძველზეც...

დაკავების სანქციის გაცემისას პროკურორმა საჭიროების შემთხვევაში ... უშუალოდ უნდა მოუსმინოს ეჭმიტანილს ან ბრალდებულს..."

მუხლი 104(1)

(ძალაში იყო 1996 წლის 21 ივნისიდან 1998 წლის 24 ივნისამდე)

„... დაკავებული პირი მოსამართლეს უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 48 საათისა ... მოსამართლემ უნდა მოუსმინოს დაკავებულ პირს დაკავების საფუძველბთან დაკავშირებით. პროკურორს და დაკავებული პირის ადვოკატს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ განხილვაში. დაკავებული პირის დაკითხვის შემდეგ მოსამართლემ შეიძლება ძალაში დატოვოს დაკავება მისი ხანგრძლივობის მითითებით, შეცვალოს ან გააუქმოს აღკვეთის ღონისძიება. ...

საქმის სასამართლოში გაგზავნის შემდეგ ... [სასამართლომ] შეიძლება ძალაში დატოვოს, შეცვალოს ან გააუქმოს წინასწარი პატიმრობის აღკვეთის ღონისძიება."

ცვლილებაშეტანილი 104(1) მუხლის თანახმად (ძალაშია 1998 წლის 24 ივნისიდან), პროკურორის და ადვოკატის მონაწილეობა დაკავებული პირის

პირველ სასამართლო განხილვაში სავალდებულოა, თუ მოსამართლე სხვაგვარად არ გადანყვეტს. ცვლილებაშეტანილი დებულება ასევე ნებას რთავს სასამართლოს, აღკვეთის ღონისძიების ამონაწერვამდე გააგრძელოს მისი ვადა.

მუხლი 106(3)

(ძალაში იყო 1996 წლის 21 ივნისიდან 1998 წლის 24 ივნისამდე)

„წინასწარი პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გაგრძელების მიზნით [წინასწარი გამოძიების სტადიაზე მოსამართლემ] უნდა ჩაატაროს სასამართლო სხდომა, რომელზეც მონაწილე უნდა იყვნენ ადვოკატი და პროკურორი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაკავებული პირიც.“

1998 წლის 24 ივნისიდან მოქმედი კოდექსის მიხედვით, სავალდებულოა დაკავებული პირის დასწრება სხდომაზე, რომელზეც მისი აღკვეთის ღონისძიების საკითხი წყდება.

მუხლი 109(1)

(ძალაში იყო 1996 წლის 21 ივნისიდან 1998 წლის 24 ივნისამდე)

„დაკავებულ პირს ან მის ადვოკატს უფლება აქვთ, წინასწარი გამოძიების ეტაპზე [სააპელაციო სასამართლოს] მიმართონ საჩივრით წინასწარი პატიმრობის ღონისძიების წინააღმდეგ ... სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით შეიძლება ჩატარდეს სხდომა, რომელზეც მონაწილე უნდა იქნენ დაკავებული პირი და მისი ადვოკატი ან მხოლოდ ადვოკატი. ასეთ სხდომაზე პროკურორის დასწრება სავალდებულოა.“

[სააპელაციო მოსამართლის მიერ] გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება.

ხელახალი აპელაცია დასაშვებია წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხის განხილვისას.“

109(1) მუხლის (ძალაშია 1998 წლის 24 ივნისიდან) დღევანდელი რედაქციით, დასაშვებია ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრება, ხოლო სხდომას უნდა ეხსრებოდნენ დაკავებული პირი და მისი ადვოკატი ან მხოლოდ ადვოკატი.

მუხლი 226(6) (ძალაში იყო 1998 წლის 24 ივნისამდე)

„დრო, რომლის განმავლობაშიც ბრალდებულს ან მის ადვოკატს უკონდათ საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, არ ჩაითვლება წინასწარი გამოძიებისა და წინასწარი პატიმრობის მთლიან ვადაში. როდესაც არსებობს რამდენიმე ბრალდებული, მაშინ დრო, რომლის განმავლობაშიც ყველა ბრალდებულს და მათ ადვოკატებს უკონდათ საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, არ ჩაითვლება წინასწარი გამოძიებისა და წინასწარი პატიმრობის მთლიან ვადაში.“

1998 წლის 24 ივნისიდან ამ დროს მნიშვნელობა აღარ აქვს ალკეეთის ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

მუხლი 372(4)
(ძალაშია 1999 წლის 1 იანვრიდან)

„სასამართლოს გადაწყვეტილება ... ალკეეთის ღონისძიების შეფარდების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ ... გასაჩივრებას არ ექვემდებარება...“

36. საქმისთვის მნიშვნელოვანია დღესდღეობით მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი დებულებაც.

52(2) მუხლის მე-3 და მე-8 ქვეპუნქტები და 58(2) მუხლის მე-8 და მე-10 ქვეპუნქტები, შესაბამისად, ადგენენ, რომ ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, „დააყენონ შუამდგომლობები“ და „გაასაჩივრონ დაკითხვის მწარმოებელი პირის, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს ქმედებები და გადაწყვეტილებები.“

მუხლი 249(1)

„ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლემ ერთპიროვნულად ან სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა დაადგინონ:

...

(1) სწორად იქნა თუ არა შერჩეული ალკეეთის ღონისძიება.“

მუხლი 250(1)

„მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ არსებობს საკმარისი საფუძვლები ბრალდებულის სამართალში მისაცემად, მოსამართლემ ერთპიროვნულად ან სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა გადაწყვიტონ

...

(2) ბრალდებულის ალკეეთის ღონისძიების საკითხი...“

მუხლი 267(1)

„ბრალდებულს უფლება აქვს,

...

(3) დააყენოს შუამდგომლობები;

...

(1) გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები.“

„სასამართლო განხილვისას სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს, შეცვალოს ან გააუქმოს აღკვეთის ღონისძიება.“

37. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ 1996 წლის 21 ივნისის კანონის (*Baudziamojo proceso kodekso pakeitimų ir papildymų įstatymas*) მიხედვით, 1996 წლის 21 ივნისამდე გაცემული პროკურორის სანქციით დაკავებული პირის წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დასაშვებია იყო სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის შესახებ ახალი საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

III. ლიტვის სახელმწიფოს მიერ გააქტივებული დათქმა

38. ლიტვის მიერ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში გაკეთებული დათქმა ძალაში იყო 1996 წლის 21 ივნისამდე და შემდეგში მდგომარეობდა:

„კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები ზიანს არ აყენებს ლიტვის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1994 წლის 19 ივლისის № I-551 კანონით შეტანილი ცვლილებებით) 104-ე მუხლის გამოყენებას, რომლის თანახმად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს წინასწარი პატიმრობა შეიძლება შეეფარდოს პროკურორის მიერაც. ეს დათქმა ძალაშია ლიტვის რესპუბლიკის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში.“

სამართლებრივი საფუძველი

I. განმცხადებლის გარდაცვალება

39. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი გარდაცვლილია, ხოლო მისმა ქვრივმა გამოთქვა სამართალწარმოების გაგრძელების სურვილი.

40. კომისიამ დაადგინა, რომ განმცხადებლის ქვრივს სამართალწარმოების განმცხადებლის სახელით გაგრძელების კანონიერი ინტერესი ამოძრავებდა.

41. სასამართლო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ დაკავების კანონიერებასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას განმცხადებლის გარდაცვალების შემთხვევაში მის ნაცვლად სამართალწარმოების გაგრძელება შეუძლიათ მის მემკვიდრეებს ან ახლობლებს (სხვა წყაროებს შორის იხ. 1999 წლის 20 აპრილის განაჩენი საქმეზე *Krempovskij v. Lithuania*, № 37193/97, სასამართლოს ანგარიშში არ არის შესული). სასამართლოს, ისევე, როგორც კომისიას, მიაჩნია, რომ განმცხადებლის დაქვრივებულ მეუღლეს განმცხადებლის ნაცვლად სამართალწარმოების გაგრძელების ლეგიტიმური ინტერესი გააჩნია.

II. მთავრობის პირველადი პრეტენზია

42. მთავრობის თქმით, კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, განეხილა განმცხადებლის საჩივარი მის პრევენციულ პატიმრობასთან დაკავშირებით. მთავრობა აცხადებს, რომ განმცხადებლის პრევენციული პატიმრობა ემსახურებოდა მისი წინასწარი პატიმრობის გარკვეულ მიზნებს. ასევე, პრევენციულ პატიმრობაზე სანქცია გაიცა იმ ნებისგან განსხვავებული შიდასახელმწიფოებრივი ნესით, რომლის საფუძველზეც მას შემდგომში წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. რადგან პრევენციული პატიმრობა ამოიწურა 1996 წლის 14 მარტს, ხოლო განაცხადი შეტანილი იქნა 1996 წლის 30 დეკემბერს, პრევენციულ პატიმრობასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო.

43. კომისიამ მიიჩნია, რომ მართალია, განმცხადებლის მიმართ პრევენციული პატიმრობა და წინასწარი პატიმრობა სხვადასხვა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების საფუძველზე იქნა გამოყენებული, პრევენციული პატიმრობის წინასწარი პატიმრობით ჩანაცვლებას რაიმე საგრძნობი გავლენა არ ჰქონია განმცხადებლის მდგომარეობაზე. კომისიის აზრით, კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის განხილული უნდა იქნეს განმცხადებლის პატიმრობის მთლიანი პერიოდი და პრევენციულ პატიმრობასთან დაკავშირებული განმცხადებლის საჩივარი დაუშვებლად ვერ გამოცხადდება ექვსთვიანი ვადის დაუცველობის საფუძველზე.

44. სასამართლო ეთანხმება კომისიის მოსაზრებას. რაც შეეხება საჩივარს განგრძობადი ვითარებისას — როგორცაა პატიმრობის პერიოდი — დაცვის საშუალების არარსებობასთან დაკავშირებით, 35-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ექვსთვიანი ვადის დინება იწყება ასეთი ვითარების დასრულების თარიღიდან — მაგალითად, როდესაც განმცხადებელი პატიმრობიდან გათავისუფლდა (იხ. *mutatis mutandis*, 1997 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება წინამდებარე განაცხადის დასაშვებობის შესახებ). გარდა ამისა, კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებისას სასამართლო ხშირად იხედება საქმის რეალურ გარემოებებში, ზედმეტი ფორმალიზმის გარეშე (სხვა ნყაროებს შორის იხ. 1980 წლის 6 ნოემბრის განაჩენი საქმეზე *Guzzardi v. Italy*, სერია A, № 39, გვ. 26-27, პუნქტი 72).

მართალია, 1996 წლის 14 მარტს განმცხადებლის პრევენციული პატიმრობა სისხლის სამართლის კოდექსის 50(1) მუხლის საფუძველზე შეიცვალა წინასწარი პატიმრობით კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, მაგრამ ამ იურიდიული საფუძვლის შეცვლას გავლენა არ მოუხდენია განმცხადებლის მდგომარეობაზე, რადგან იგი არც სხვა საკანში ან ციხეში გადაწყევნიათ, არც კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარუდგენიათ აღნიშნულის შესახებ მისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ამიტომ სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში ექვსთვიანი ვადის წესის მიზნებისთვის განმცხადებლის პატიმრობის სრული პერიოდი მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული.

საქმე დაუშვებლად ვერ გამოცხადდება ხანდაზმულობის გამო, რადგან 1996 წლის 30 დეკემბერს, როდესაც განმცხადებელმა შემოიტანა წინამდებარე განაცხადი პატიმრობის აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით, ის ჯერ კიდევ პატიმრობაში იმყოფებოდა.

45. ამიტომ სასამართლო უარს ამბობს მთავრობის პირველადი პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.

III. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

46. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მისი პატიმრობით დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, ესენია:

...

(c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

...

1. პრევენციული პატიმრობა

47. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ 1996 წლის 8 თებერვლიდან 14 მარტამდე მისი პრევენციული პატიმრობა ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს. კერძოდ, არ არსებობდა ასეთი პატიმრობის საფუძველი, რადგან მის მიმართ სისხლის სამართალწარმოება იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. არ არსებობდა არც დანაშაულები, რომელთა ჩადენის პრევენცია უნდა მომხდარიყო.

48. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის პრევენციული პატიმრობა შესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის c ქვეპუნქტს, რადგან ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50(1) მუხლით დასაშვები იყო პატიმრობა ბანდიტიზმის, კრიმინალური დაჯგუფების ან დაშინების დანაშაულთა ჩადენის პრევენციის მიზნით.

49. კომისიის აზრით, განმცხადებლის პრევენციული პატიმრობა სცდებოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირადი ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვების ფარგლებს.

50. სასამართლო შენიშნავს, რომ პირს შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული მიზნებისათვის. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის c ქვეპუნქტის მიზნებისთვის პირი შეიძლება დაკავებული იქნეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის კონტექსტში, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი

(იხ. *mutatis mutandis*, 1961 წლის 1 ივლისის განაჩენი საქმეზე *Lawless v. Ireland*, სერია A, № 3, გვ. 51-52, პუნქტი 14, და 1989 წლის 22 თებერვლის განაჩენი საქმეზე *Ciulla v. Italy*, სერია A, № 148, გვ. 16-18, პუნქტები 38-41).

51. ამიტომ სასამართლოს მიაჩნია, რომ პრევენციული პატიმრობა იმ ფორმით, როგორც მას ადგილი ჰქონდა მოცემულ საქმეში, არ არის დამეკუთვნებული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის C ქვეპუნქტით, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50(1) მუხლი არ არის ასახული მე-5 მუხლის პირველი პუნქტის რომელიმე დებულებაში.

52. ამიტომ ამ კუთხით დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

2. წინასწარი პატიმრობა 1996 წლის 4 ივნისიდან 31 ივლისამდე

53. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ 1996 წლის 4 ივნისიდან 31 ივლისამდე არ არსებობდა რაიმე კანონიერი შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება ან სხვა კანონიერი საფუძველი მისი წინასწარი პატიმრობისათვის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ.

54. მთავრობა აცხადებს, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა აღნიშნულ პერიოდში გამართლებული იყო მე-5 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, რადგან არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ჩაიდინა მკვლელობა. არანაირი შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება არ იყო საჭირო წინასწარი პატიმრობის აღნიშნული პერიოდის გასამართლებლად, როდესაც განმცხადებელს და სხვა ბრალდებულებს ჰქონდათ საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, თანახმად მაშინ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის მე-6 პუნქტისა. მთავრობის აზრით, აღნიშნული დებულებით დასაშვები იყო განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა 1996 წლის 21 ივნისამდე. მთავრობა ასევე აცხადებს, რომ ლიტვის კანონმდებლობა წინასწარი გამოძიების ეტაპზე მხოლოდ პატიმრობის კონკრეტული ვადის დაფიქსირებას მოითხოვს, ხოლო სასამართლო განხილვის ეტაპზე სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს, შეცვალოს ან გააუქმოს წინასწარი პატიმრობა (იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 104(1), 249(1) და 250(1)). ამიტომ 1996 წლის 24 ივნისამდე განმცხადებლის პატიმრობა გამართლებული იყო იმით, რომ საქმე გადაეცა პანევეჟისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც არ მოეთხოვებოდა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების დამასაბუთებელი ან სხვა დამასაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

55. კომისიის აზრით, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა 1996 წლის 4 ივნისიდან 31 ივლისამდე არ იყო გათვალისწინებული რაიმე კანონიერი შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებით ან სხვა „კანონიერი“ საფუძველით, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ.

56. სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ნახსენები გამოთქმები „კანონიერი“ და „კანონით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად“ უმთავრესად ეხება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას და სახელმწიფოს ვალდებულებას, შეასრულოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მატერიალური და საპროცესო მოთხოვნები.

მაგრამ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული დაკა-

ვების „კანონიერება“ ყოველთვის არ არის გადამწყვეტი ფაქტორი. ამას გარდა, სასამართლო იმაშიც უნდა დარწმუნდეს, რომ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დაკავება შესაბამისობაში იყო კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიზანთან, რომელიც გულისხმობს პირისთვის თავისუფლების თვითნებურად აღკვეთის თავიდან აცილებას.

სასამართლომ ასევე უნდა დაადგინოს, შესაბამეობა თუ არა თავად შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კონვენციას, მათ შორის კონვენციაში პირდაპირ ასახულ და ნაგულისხმევ ზოგად პრინციპებს. პრინციპებთან დაკავშირებით სასამართლო ხაზს უსვამს, რომ როდესაც ლაპარაკია თავისუფლების აღკვეთაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს სამართლებრივი გასაგებობის ზოგადი პრინციპი. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თავისუფლების აღკვეთის პირობები შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ხოლო თავად კანონის გამოყენება იყოს განჭვრეტადი, რის შედეგადაც იგი დააკმაყოფილებს კონვენციით გათვალისწინებულ „კანონიერების“ სტანდარტს, სტანდარტს, რომელიც მოითხოვს, რომ ყველა კანონი იყოს საკმარისად ზუსტი იმისათვის, რომ პირს — საჭიროების შემთხვევაში სათანადო კონსულტაციის გზით — შეეძლოს განჭვრეტა, მოცემული გარემოებებისთვის გონივრული სიზუსტით, ამა თუ იმ ქმედების შედეგის (იხ. საქმე *Baranowski v. Poland*, № 28358/95, პუნქტები 50-52, ECHR 2000-III).

57. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით კი სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ 1996 წლის 4 ივნისიდან 31 ივლისამდე განმცხადებლის პატიმრობის ბრძანება/საჩქარა არ გაუცია არც მოსამართლეს და არც პროკურორს. აქედან ჩანს, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განმცხადებლის პატიმრობა წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ დროს მოქმედ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1996 წლის 21 ივნისამდე მოქმედი მე-10 და 104-ე მუხლები, 1996 წლის 21 ივნისის შემდეგ მოქმედი მე-10 და 104-ე მუხლები).

58. მაგრამ მთავრობა ამტკიცებს, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განმცხადებელი პატიმრობაში იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყოფილი 226(6) მუხლის მიხედვით, როდესაც მას და სხვა ბრალდებულებს ჰქონდათ საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა.

59. სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურორის 1996 წლის 13 ივნისის წერილი (იხ. ზემოთ, პუნქტი 16), ომბუდსმენის 1996 წლის 21 ნოემბრის გადანყვეტილება (იხ. ზემოთ, პუნქტი 23), უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის 1996 წლის 30 დეკემბრის წერილი (იხ. ზემოთ, პუნქტი 27) და მთავრობის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი არგუმენტაცია (იხ. ზემოთ, პუნქტი 54) სამ, ერთმანეთისგან განსხვავებულ, პასუხს იძლევა კითხვაზე: განმცხადებლის პატიმრობის რომელი პერიოდის მიმართ გამოიყენებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226(6) მუხლი, რისი შედეგიც არის ის, რომ განმცხადებლის პატიმრობა აღნიშნული დებულებით გამართლებულია 1996 წლის 4 ივნისამდე, 14 ივნისამდე ან 21 ივნისამდე. სასამართლოს არასაჭიროდ მიაჩნია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყოფილ 226(6) მუხლთან დაკავშირებული წინააღმდეგობის გამორკვევა, რადგან ის იმდენად გაუგებარია, რომ დაბნეულობას იწვევს თვით

კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს შორისაც. ამიტომაც იგი წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ „კანონიერების“ მოთხოვნებთან. ამასთანავე, აღნიშნული დებულება დაკავებას დასაშვებად აცხადებდა იმ საფუძვლებით, რომლებიც სცდება მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ფარგლებს.

აქედან გამომდინარე, განმცხადებლისთვის თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყოფილი 226(6) მუხლის საფუძველზე არ იყო კანონით გათვალისწინებული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით.

60. მთავრობამ აღნიშნა, რომ 1996 წლის 24 ივნისიდან განმცხადებლის პატიმრობა გამართლებული იყო მხოლოდ იმ ფაქტითაც, რომ საქმე გადაეცა საოლქო სასამართლოს. შესაბამის დროს მოქმედი კანონმდებლობის მთავრობისეული ინტერპრეტაციით, აღნიშნული თარიღის შემდეგ სასამართლოს არ მოეთხოვებოდა განმცხადებლის პატიმრობის ხანგრძლივობის ვადის გაგრძელების ან სხვაგვარად მისი ლეგიტიმაციის დამტკიცების გადანყვეტილების გამოტანა.

61. სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობის მიერ მოყვანილი არგუმენტი ვერ გააბათილებს იმ მოთხოვნას, რომ განმცხადებლის პატიმრობა უნდა ეფუძნებოდეს პატიმრობის კანონიერ ბრძანებას, მაგრამ ასეთი ბრძანება არ არსებობდა 1996 წლის 4 ივნისიდან 31 ივლისამდე პერიოდთან დაკავშირებით.

62. ამასთანავე, სასამართლო იმეორებს, რომ კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე პირის პატიმრობაში ყოლა, დაკავებული პირის მდგომარეობის მარეგულირებელი მკაფიო ნესების არარსებობის საფუძველით, რისი შედეგიც არის პირისთვის თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრელი ვადით სასამართლოს ნებართვის გარეშე, წინააღმდეგობაშია იურიდიული გასაგებობისა და თვითნებობისაგან დაცვის პრინციპებთან, რომლებიც ნითელ ზოლად გასდევს კონვენციასა და სამართლის უზენაესობას (იხ. ზემოხსენებული ბარანოვსკის საქმე, პუნქტები 54-57).

63. სასამართლო შენიშნავს, რომ ის ფაქტი, რომ საქმე საოლქო სასამართლოს გადაეცა 1996 წლის 24 ივნისს, ნათელს არ პფენდა საკითხს, გაგრძელდებოდა თუ არა განმცხადებლის დაკავება, რომელიც შეფარდებული იქნა განუსაზღვრელი ვადით საგამოძიებო სტადიაზე, სასამართლო განხილვის დროსაც (ხოლო თუ პფენდა, მაშინ რა პირობებით გაგრძელდებოდა).

აქედან გამომდინარეობს, რომ განმცხადებლის პატიმრობა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ საქმე გაიგზავნა სასამართლოში, არ წარმოადგენს განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების „კანონიერ“ საფუძველს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით.

რომ შევაჯამოთ, 1996 წლის 4 ივნისიდან 31 ივლისამდე პერიოდზე არ არსებობდა რაიმე კანონიერი შიდასახელმწიფოებრივი გადანყვეტილება ან სხვა „კანონიერი“ საფუძველი განმცხადებლის წინასწარი პატიმრობისთვის.

64. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

3. წინასწარი პატიმრობა 1996 წლის 31 ივლისიდან 16 ოქტომბრამდე

65. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ 1996 წლის 31 ივლისის განმმწესრიგებელ სხდომაზე საოლქო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104(1) მუხლი, როდესაც დაადგინა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის „ძალაში დატოვება“. განმცხადებლის აზრით, მისი წინასწარი პატიმრობის ვადა ამოიწურა 1996 წლის 4 ივნისს, ხოლო საოლქო სასამართლოს ახალი წინასწარი პატიმრობა არ შეუფარდება და არც დაუზუსტებია, რომელი ალკვეთის ღონისძიების გამოყენებას აპირებდა. განმცხადებლის აზრით, მას წინასწარი პატიმრობა კანონიერი სასამართლო ბრძანებით შეუფარდა მხოლოდ 1996 წლის 16 ოქტომბერს, როდესაც საოლქო სასამართლომ დააკონკრეტა, რომ განმცხადებლისთვის ალკვეთის ღონისძიებად შერჩეული იქნა წინასწარი პატიმრობა. ამდენად, 1996 წლის 31 ივლისიდან 16 ოქტომბრამდე მას თავისუფლება შიდასახელმწიფოებრივი კანონით განსაზღვრული პროცედურის საწინააღმდეგოდ ჰქონდა ალკვეთილი.

66. მთავრობა ამტკიცებს, რომ 1996 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით საოლქო სასამართლომ განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შეუფარდა.

67. კომისიამ მიიჩნია, რომ 1996 წლის 31 ივლისიდან 16 ოქტომბრამდე განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა შეფარდებული იყო კანონით განსაზღვრული პროცედურის დაცვით, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

68. სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, *inter alia*, მოითხოვს, რომ პატიმრობა შესაბამისობაში იყოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან. როგორც სასამართლომ განაცხადა ზემოხსენებულ ბარანოვსკის საქმეზე (ზემოთ, პუნქტი 50), „მართალია, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტებისა და გამოყენების ფუნქცია უპირველეს ყოვლისა შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს – სასამართლოებს – აქისრია, მაგრამ სხვაგვარად შეიძლება მოხდეს, როდესაც ამ კანონის შეუსრულებლობით ირღვევა კონვენცია, მაგალითად მე-5 მუხლის პირველი პუნქტი. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია და ვალდებულია, განახორციელოს გარკვეული უფლებამოსილება — განიხილოს, დაცული იქნა თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა.“

დაკავების ვადა, პრინციპში, „კანონიერია“, თუ იგი ეფუძნება სასამართლოს ბრძანებას. დაკავების ბრძანებაში გარკვეული ხარვეზების არსებობის შემთხვევაშიც კი დაკავების ვადა უკანონოდ არ იქცევა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით (იხ. 1996 წლის 10 ივნისის განაჩენი საქმეზე *Benham v. the United Kingdom*, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1996-III, გვ. 753-54, პუნქტები 42-47; 2000 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Visockas v. Lithuania*, № 49107/99, არ არის შესული ანგარიშში; და 2000 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Kamaniauskas v. Lithuania*, № 45012/08, არ არის შესული ანგარიშში).

69. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი არ ხდის სადავოდ, რომ 1996 წლის 31 ივლისის განმმწესრიგებელ სხდომაზე საოლქო სასამართლო მოქ-

მედებდა კანონიერად იმ თვალსაზრისით, რომ იგი უფლებამოსილი იყო, გაეცა შესაბამისი ბრძანება განმცხადებლის პატიმრობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10, 104(1), 249(1) და 250(1) მუხლების საფუძველზე.

მართალია ის ფაქტი, რომ საოლქო სასამართლოს თავის გადანყვეტილებაში არ უთქვამს, რომ მან „ბრძანა“ ახალი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, არც ის დაუზუსტებია, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება „დატოვა ძალაში“, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის პატიმრობის ვადა 1996 წლის 4 ივნისს ამოიწურა. მაგრამ, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, საოლქო სასამართლოს გადანყვეტილება — რომლითაც განმცხადებლის მიმართ ძალაში დარჩა წინასწარი პატიმრობის ღონისძიება — გასაგები უნდა ყოფილიყო 1996 წლის 31 ივლისის სხდომაზე მყოფი ყველა პირისთვის, მათ შორის განმცხადებლის ადვოკატისთვის.

სასამართლო არ თვლის, რომ საოლქო სასამართლო არაკეთილსინდისიერად მოიქცა ან არასწორად გამოიყენა შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა.

ამიტომ არ მტკიცდება, რომ 1996 წლის 31 ივლისის პატიმრობის ბრძანება უკანონო იყო შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით ან რომ პატიმრობა ამ ბრძანების შედეგად უკანონო იყო მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით.

70. აქედან გამომდინარე, 1996 წლის 31 ივლისიდან 16 ოქტომბრამდე პერიოდში განმცხადებლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით არ არის დარღვეული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

IV. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საპარაულო დარღვევა

71. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად:

„ამ მუხლის 1-ლი (c) პუნქტის დებულებების თანახმად დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გაათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გაათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.“

1. მოსამართლის ან სხვა მოხელის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენა

72. განმცხადებელი აცხადებს, რომ იგი არ წარუდგინეს შესაბამის მოხელეს 1996 წლის 14 ოქტომბერს მისი დაკავების მომენტიდან. იგი ამტკიცებს, რომ მისი პატიმრობის თავდაპირველ პერიოდში, 1996 წლის 8 თებერვლიდან 1996 წლის 21 ივნისამდე, იგი არ წარუდგინეს მოსამართლეს ან პროკურორს, ხოლო 1996

ნლის 21 ივნისის შემდეგ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები, იგი დაუყოვნებლივ არ წარუდგინეს მოსამართლეს. განმცხადებლის აზრით, ლიტვის მიერ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ გაკეთებული დათქმა ძალაში არ იყო და გაელენას ვერ მოახდენდა მის უფლებაზე, დაუყოვნებლივ ყოფილიყო წარდგენილი შესაბამისი მოხელის წინაშე.

73. მთავრობა აცხადებს, რომ ლიტვის მიერ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ გაკეთებული დათქმა აუქმებდა განმცხადებლის უფლებას, დაუყოვნებლივ ყოფილიყო წარდგენილი შესაბამისი მოხელის წინაშე 1996 წლის 21 ივნისამდე — სანამდეც ეს დათქმა ძალაში იყო, ხოლო ამ თარიღის შემდეგ განმცხადებელს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ეს უფლება აღარც პქონდა, რადგან ეს უფლება გამოიყენებოდა მხოლოდ თავდაპირველი თავისუფლების აღკვეთის მიმართ.

74. კომისია, არსებითად, დაეთანხმა მთავრობას და მიიჩნია, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ დარღვეულა.

75. სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ 1996 წლის 8 თებერვალს მისი დაკავების მომენტიდან 14 მარტიამდე განმცხადებელი იმყოფებოდა პრევენციულ დაკავებაში, რომლის მიმართაც კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის c ქვეპუნქტი არ გამოიყენებოდა (იხ. ზემოთ, პუნქტები 51-52). ამიტომ შესაბამისი მოხელის წინაშე წარდგენის გარანტია, რომელიც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით არის გათვალისწინებული, არ გამოიყენებოდა განმცხადებლის მიმართ მისი პრევენციული პატიმრობის პერიოდში.

76. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის c ქვეპუნქტის მიზნებისთვის, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის სანქცია გაიცა 1996 წლის 14 მარტს. შესაბამისად, სასამართლო საჩივარს გამოიკვლევს ამ თარიღიდან.

77. მეორე, სასამართლო აღნიშნავს, რომ 1996 წლის 14 მარტიდან 14 ოქტომბრამდე განმცხადებელი იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში ისე, რომ არ იქნა წარდგენილი შესაბამისი მოხელისადმი კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით. ამიტომ საჭიროა დეტალურად იქნეს გამოკვლეული საკითხი, პქონდა თუ არა ლიტვის დათქმას გაელენა ამ პერიოდის მიმართ.

78. სასამართლო მიუთითებს კონვენციის 57-ე მუხლზე, რომლის თანახმად:

„1. ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიცირების სიგელის დეპონირებისას ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ, თუ მის ტერიტორიაზე ამ დროს მოქმედი რომელიმე კანონი არ შეესაბამება ამ დებულებას. ზოგადი ხასიათის დათქმები ამ მუხლით დაუშვებელია.

2. ამ მუხლის საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის მოკლედ გადმოცემას.“

79. სასამართლო იმეორებს, რომ „ზოგადი ხასიათის“ დათქმების აკრძალვის მიზანი არის იმის უზრუნველყოფა, რომ მათი ფორმულირება არ იყოს ზედმეტად გაუგებარი ან ფართო, რომ შესაძლებელი იყოს მათი მნიშვნელობის და ფარგლების დადგენა (1988 წლის 29 აპრილის განაჩენი საქმეზე *Belilos v. Switzerland*, სერია A, № 132, გვ. 55).

80. ლიტვის მიერ გაკეთებული ზემოაღნიშნული დათქმა ძალაში იყო 1996 წლის 21 ივნისამდე და კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში ითვალისწინებდა, რომ პირისადმი წინასწარი პატიმრობის შეფარდების უფლება პქონდა პროკურორსაც, იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად (იხ. ზემოთ, პუნქტი 38).

81. ისევე, როგორც კომისია, სასამართლო შენიშნავს, რომ დათქმაში არსებული ლინგვისტური ხარვეზები შეუძლებელს არ ხდის მისი მნიშვნელობისა და ფარგლების დადგენას. დათქმა საკმარისად მკაფიოდ მიუთითებდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე და შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე, რომელიც პროკურორს აღნიშნულ უფლებამოსილებას ანიჭებდა. სასამართლო ასკენის, რომ დათქმა საკმარისად მკაფიო და ზუსტი იყო და აკმაყოფილებდა კონვენციის 57-ე მუხლის მოთხოვნებს.

82. ამიტომ ის ფაქტი, რომ განმცხადებელი არ ნარუდგინეს შესაბამის მოხელეს მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას, ვერ ჩაითვლება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევად, რადგან იმ დროს დათქმა ძალაში იყო.

83. გამოსაკვლევია რჩება საკითხი — ხომ არ გაუჩნდა განმცხადებელს შესაბამისი მოხელისადმი დაუყოვნებლივ ნარდგენის უფლება მას შემდეგ, რაც დათქმამ ძალა დაკარგა 1996 წლის 21 ივნისს.

84. სასამართლოს მიაჩნია, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული ფორმულირება „დაუყოვნებლივ უნდა ნარდგინოს“ გულისხმობს, რომ შესაბამისი მოხელისადმი დაუყოვნებლივ ნარდგენის უფლება ეხება იმ დროს, როდესაც პირს პირველად აღეკვეთა თავისუფლება მე-5 მუხლის პირველი პუნქტის c ქვეპუნქტის საფუძველზე. ამიტომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშემკერელი სახელმწიფოების ვალდებულება შემოიფარგლება დაკავებულის დაუყოვნებლივ შესაბამისი მოხელისადმი ნარდგენით სწორედ ამ საწყის ეტაპზე, თუმცა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ძალით ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სავალდებულო იყოს შემდგომშიც მოსამართლის წინაშე ნარდგენა პატიმრობის კანონიერების დასადგენად, თუ პატიმრობა დიდ ხანს გრძელდება (იხ., *mutatis mutandis*, საქმე *Trzaska v. Poland*, განაცხადი № 25792/94, კომისიის 1998 წლის 19 მაისის ანგარიში, პუნქტები 71-81, გამოქვეყნებული არ არის).

85. კონვენციის 57-ე მუხლით გათვალისწინებულ დათქმას მიზანი დაეკარგებოდა, თუ ამ დათქმის ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფოს დათქმით გათვალისწინებული პერიოდის მიმართ მაინც მოეთხოვებოდა უფლების განხორციელება უკუქცევითი ძალით.

86. რაც შეეხება მოცემული საქმის ფაქტებს, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში გაკეთებულ დათქმას ვადა გაუვიდა 1996 წლის 21 ივნისს. ამ დროისათვის განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა 1996 წლის 14 მარტიდან — ანუ სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. შესაბამისად, 1996 წლის 21 ივნისისთვის ცნება „დაუყოვნებლივ“ უკვე გადაცილებული იყო (იხ., *mutatis mutandis*, 1998 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე *Assenov and Others v. Bulgaria*, მოხსენებები 1998-VIII, გვ. 3299, პუნქტი 147).

აქედან გამომდინარეობს, რომ დათქმის ვადის გასვლის მომენტისათვის ლიტვას აღარ ეკისრებოდა განმცხადებლის შესაბამისი მოხელის წინაშე დაუ-

ყოფნილიც წარდგენის ვალდებულება. ანუ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედების ფარგლებში არ შედიოდა ხელახალი ვალდებულება დათქმის ვადის გასვლის შემდეგ.

87. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით არ არის დარღვეული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

2. დაკავების ხანგრძლივობა

88. განმცხადებელი ასევე ამტკიცებს, რომ მის მიმართ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რადგან მისი პატიმრობის მთლიანი ვადა — თექვსმეტი თვე და ერთი დღე — გადაჭარბებულია. კერძოდ, ის აცხადებს, რომ მისი პრევენციული პატიმრობის პერიოდში ხელისუფლების ორგანოებს არ განუხორციელებიათ შესაბამისი პროცედურული ქმედებები. აგრეთვე, მისი განცხადებით, ხელისუფლების ორგანოების ქმედებები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე ზედმეტად ზანტი იყო, რაც გულისხმობს არასაჭირო პროცედურულ დავებს და შეფერხებებს დამატებითი გამოძიების მოთხოვნით. განმცხადებელი ასკვნის, რომ მისი დაკავების ხანგრძლივობა გაუმართლებელია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

89. მთავრობა აცხადებს, რომ მხედველობაში მისაღები პერიოდი დაიწყო 1996 წლის 14 მარტს და დასრულდა 1997 წლის 9 ივნისს. ამდენად, მთავრობის აზრით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის, განმცხადებელი დაკავებული იყო 14 თვისა და 26 დღის განმავლობაში. მთავრობა აღნიშნავს, რომ შესაბამისი სამართალწარმოება ეხებოდა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობას და განმცხადებელთან ერთად ბრალდებული იყო სამი პოლიციელი. ის ფაქტი, რომ აღნიშნული საქმე ფაქტიურად და იურიდიულად რთული იყო, დასტურდება სასამართლო განხილვის ორჯერ გადადებით დამატებით მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით. მთავრობის აზრით, განმცხადებლის პატიმრობა განპირობებული იყო არა მარტო საქმეში არსებული მტკიცებულებების ძალით და დანაშაულის სიმძიმით, არამედ იმ საფრთხითაც, რომ განმცხადებელი „ხელს შეუშლიდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას“. მთავრობა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის მთლიანი ხანგრძლივობა ჯდება „გონიერულ ვადაში“ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით.

90. კომისიის აზრით, დარღვეული იქნა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ზემოხსენებულ საჩივართან მიმართებაში, რადგან ხელისუფლების ორგანოებს არ გააჩნდათ შესაბამისი და საკმარისი საფუძველი განმცხადებლის პატიმრობაში დატოვებისა.

91. სასამართლომ პირველ რიგში უნდა დაადგინოს, რომელი პერიოდი მხედველობაში მისაღები. სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის პრევენციული პატიმრობის დრო 1996 წლის 8 თებერვლიდან 14 მარტამდე არ ექცევა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის c ქვეპუნქტის მოქმედების ფარგლებში და ზემოხსენებული პერიოდის მიმართ არ გამოიყენება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი (იხ. ზემოთ, პუნქტები 51, 52 და 75). მიუხედავად ამისა, სასამართლოს შეუძლია, დაკავების ხანგრძლივობის გონიერულობის შეფასების მიზნით, მხედველობაში მიიღოს დაკავების პერიოდის ის ნაწილიც, რომელზე მსჯელობაც მის კომპეტენციას სცილდება (იხ. კომისიის 1991 წლის 10 ოქტომბრის გადან-

ყვეტილება საქმეზე *Mitap and Mültuoğlu v. Turkey*, განაცხადები №№ 15530/89 და 15531/89, მოხსენებები და გადაწყვეტილებები 72, გვ. 169).

92. განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა გრძელდებოდა 1996 წლის 14 მარტიდან 1997 წლის 9 ივნისამდე, ანუ 14 თვისა და 26 დღის განმავლობაში. ამიტომ სასამართლო განმცხადებლის დაკავების ხანგრძლივობის გონივრულობას შეფასებს ამ პერიოდის საფუძველზე. სასამართლო ასევე მხედველობაში მიიღებს, რომ განმცხადებლისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მომენტისთვის განმცხადებელი უკვე ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა პატიმრობაში 1996 წლის 8 თებერვლიდან.

93. სასამართლო იმეორებს, რომ დაკავების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ საქმეში არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით. მოცემულ საქმეში გახანგრძლივებული დაკავება შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მკაფიოდ გამოხატული ნამდვილი საჯარო ინტერესი, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმციის მიუხედავად, გადასწონის პირადი ხელშეუხებლობის უფლებას.

დამაჯერებლობა გონივრული ეჭვისა, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, არის აუცილებელი პირობა დაკავების გახანგრძლივების კანონიერებისთვის, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი უკვე აღარ კმარა. ამიტომ სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა სასამართლო ორგანოების მიერ მითითებული სხვა საფუძველები „შესაბამისი“ და „საკმარისი“ თავისუფლების აღკვეთის გახანგრძლივების დასასაბუთებლად (სხვა წყაროებს შორის იხ. საქმე *Punzelt v. the Czech Republic*, № 31315/96, პუნქტი 73, 2000 წლის 25 აპრილი, არ არის შესული ანგარიშში).

94. მოცემულ საქმეში საქმის მწარმოებელი ორგანოების მიერ მითითებული ერთადერთი მიზეზი განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში დასატოვებლად იყო დანაშაულის სიმძიმე (იხ. ზემოთ, პუნქტი 12) და საქმეში არსებული მისი სანინალმდეგო მტკიცებულებების საკმარისობა (იხ. ზემოთ, პუნქტი 15). საოლქო სასამართლოს საერთოდ არ დაუსაბუთებია წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება (იხ. ზემოთ, პუნქტები 19 და 21).

სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მკვლელობის ჩადენის ეჭვი თავდაპირველად შეიძლება ამართლებდა მის დაკავებას, მაგრამ იგივე ეჭვი ვერ ჩაითვლება „შესაბამის და საკმარის“ საფუძველად თითქმის 15 თვის განმავლობაში დაკავებაში მისი ყოფნისთვის, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ აღნიშნული ეჭვი დაუსაბუთებლად მიიჩნია [შიდასახელმწიფოებრივმა] სასამართლომ და შედეგად გაამართლა განმცხადებელი. ამიტომ განმცხადებლის დაკავების ხანგრძლივობა გადაჭარბებული იყო.

95. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

V. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საპარაულო დარღვევა

96. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ადგენს:

„ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და ბრძანებს გათავისუფლებას, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.“

97. განმცხადებელი ჩივის, რომ მას არ მიეცა მისი წინასწარი პატიმრობის კანონიერების გასაჩივრების შესაძლებლობა, რადგან კანონი კრძალავდა წინასწარი პატიმრობის შემფარდებელი სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრებას.

98. მთავრობა აცხადებს, რომ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა განმცხადებელს საკმარის შესაძლებლობას აძლევდა მისი პატიმრობის გასაჩივრების თვალსაზრისით. კერძოდ, მისი პატიმრობის კანონიერების საკითხი განხილული იქნა საოლქო სასამართლოს მიერ 1996 წლის 31 ივლისის და 14-16 ოქტომბრის სხდომებზე.

99. კომისიის აზრით, განმცხადებელს, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სანიწალმდებგოდ, უარი ეთქვა შესაძლებლობაზე, გაესაჩივრებინა მისი წინასწარი პატიმრობის შესაბამისობა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მატერიალურ და საპროცესო ნორმებთან.

100. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ანიჭებს უფლებას, გადასინჯული იქნეს იმ საპროცესო და მატერიალურ პირობებთან შესაბამისობა, რომლებიც არსებითია თავისუფლების აღკვეთის კონვენციისეული გაგებით „კანონიერებისათვის“. ეს ნიშნავს, რომ კომპეტენტურმა სასამართლომ უნდა განიხილოს არა მარტო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საპროცესო მოთხოვნებთან შესაბამისობა, არამედ დაკავების განმამპირობებელი ეჭვის გონივრულობა და დაპატიმრების და პატიმრობაში ყოფნის მიზნის ლეგიტიმურობა (იხ. 1988 წლის 29 ნოემბრის განაჩენი საქმეზე *Brogan and Others v. the United Kingdom*, სერია A, № 145-B, გვ. 34-35, პუნქტი 65).

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ იძლევა უფლებას, როგორც ასეთს, გასაჩივრებული იქნეს დაკავების შემფარდებელი ან დაკავების გამახანგრძლივებელი გადაწყვეტილებები, რადგან აღნიშნულ დებულებაში ლაპარაკია „სასამართლოსთვის მიმართვაზე“ და არა „გასაჩივრებაზე“. პრინციპში, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნას ერთი ორგანოს მიერ განხილვაც აკმაყოფილებს იმ პირობით, რომ პროცედურა არის სასამართლო ხასიათის და შესაბამის პირს აძლევს შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის ხასიათის შესაფერის გარანტიებს (იხ., *mutatis mutandis*, 1971 წლის 18 ივნისის განაჩენი საქმეზე *De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*, სერია A, № 12, გვ. 40-41, პუნქტი 76).

101. სასამართლო აღნიშნავს, რომ საოლქო სასამართლომ განმცხადებლისთვის წინასწარი პატიმრობის შემფარდებელ გადაწყვეტილებებში არ მიიღო

მხედველობაში განმცხადებლის საჩივრები მისი პატიმრობის უკანონობასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ, პუნქტები 19 და 21). გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ და უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარემ დაადასტურეს, რომ განმცხადებლის პატიმრობის კანონიერება სადავო იყო, მაგრამ არ შეამონმეს განმცხადებლის საჩივრები იმ დროს მოქმედი საკანონმდებლო შეზღუდვების მიზეზით (იხ. ზემოთ, პუნქტები 25 და 27).

განმცხადებლის მიერ ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ წარმოებული სამოქალაქო-სამართლებრივი წარმოება მხედველობაში არ მიიღება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისთვის, რადგან სამოქალაქო საქმეთა სასამართლოებს არ ჰქონდათ განმცხადებლის გათავისუფლების უფლებამოსილება, რასაც აღნიშნული დებულება მოითხოვს. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებლის სამოქალაქო სარჩელის განხილვისას სასამართლოები შემოიფარგლნენ იმის შემოწმებით, არსებობდა თუ არა მისი პატიმრობის შესახებ ოფიციალური ბრძანებები და არ შეუშინებიათ მისი პატიმრობის კანონიერება ამ ბრძანებების საფუძველზე (იხ. ზემოთ, პუნქტი 29).

აქედან გამომდინარე, განმცხადებელს უარი ეთქვა უფლებაზე, გაესაჩივრებინა ის საპროცესო და მატერიალური პირობები, რომლებიც აუცილებელი იყო მისი წინასწარი პატიმრობის „კანონიერებისთვის“.

102. შესაბამისად, დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

VI. კონვენციის 41-ე მუხლის საპარაულო დარღვევა

103. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. მატერიალური ზიანი

104. პატიმრობის გამო მიუღებელი შემოსავლებისა და დაკარგული შესაძლებლობების ანაზღაურების სახით განმცხადებელი ითხოვს 256 878 ლიტის გადახდას. იგი ასევე ითხოვს 8 600 ლიტის გადახდას, რომელიც მან დახარჯა ციხეში ყოფნისას დამატებით საკვებზე და 1 500 ლიტის გადახდას, რომელიც მან დახარჯა ციხეში ყოფნისას დამატებით მედიკამენტებსა და ვიტამინებზე.

105. მთავრობას ეს მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიაჩნია.

106. სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი დადგენილ დარღვევებსა და მოთხოვნილ ფულად ანაზღაურებას შორის (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული ბარანოვსკის საქმე, პუნქტი 81, და ზემოხსენებული პუნზელტის საქმე, პუნქტი 103). ამიტომ სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია განმცხადებლისთვის მის მიერ მოთხოვნილი თანხის მიკუთვნება.

B. არამატერიალური ზიანი

107. განმცხადებელი ასევე ითხოვს 191 600 ლიტის გადახდას ციხეში განცდილი ფსიქიკური და ფიზიკური ზიანის ანაზღაურების სახით.

108. მთავრობას მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულად მიაჩნია.

109. სასამართლო თვლის, რომ განმცხადებელმა ნამდვილად განიცადა არამატერიალური ზიანი, რომელიც მხოლოდ დარღვევის დადასტურებით საკმარისად არ კომპენსირდება. სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 60 000 ლიტს.

C. ხარჯები და დანახარჯები

110. განმცხადებელი ასევე ითხოვს 85 800 ლიტს შიდასახელმწიფოებრივი და კონვენციური ორგანოების წინაშე სამართალწარმოებისას განეული ხარჯების ანაზღაურების სახით და 9 052 ლიტს შიდასახელმწიფოებრივი წარმოებისას განეული სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების სახით.

111. მთავრობას მოთხოვნილი თანხები გადაჭარბებულად მიაჩნია.

112. სასამართლო იმეორებს, რომ იმისათვის, რომ ხარჯები ანაზღაურდეს კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე, უნდა დადასტურდეს, რომ ეს ხარჯები იყო რეალური და აუცილებელი, ასევე რაოდენობრივად გონივრული (სხვა წყაროებს შორის იხ. საქმე *Nikolova v. Bulgaria [GC]*, № 31195/96, პუნქტი 79, ECHR 1999-II).

113. სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მიერ შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოებისას განეული ხარჯები არ იქნა განეული კონვენციის საფუძველზე წაყენებულ მის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ამიტომ სასამართლო უარს ამბობს ამ თანხების მიკუთვნებაზე.

114. რაც შეეხება ადვოკატის გასამრჯელოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებული იყო სისხლის სამართლის ბრალდებებისგან განმცხადებლის დაცვასთან და მის საჩივრებთან უსამართლო მოპყრობის თაობაზე, რომლებიც კომისიის მიერ დაუშვებლად გამოცხადდა. ეს ხარჯები არ არის აუცილებელი ხარჯები, განეული იმ დარღვეული უფლებების აღსადგენად, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებით. სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 40 000 ლიტს სამართლებრივი ხარჯებისთვის, პლიუს დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც შეიძლება ამ თანხას დაერიცხოს.

D. პროცენტის დაკისრება გადახდის ვალდებულების გადაცილებისთვის

115. სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაციით, ლიტვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცენტის ოდენობა ამ განაჩენის გამოტანის მომენტისთვის არის 9,5% ნელინადმი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთსულოვნად:

1. ადგენს, რომ განმცხადებლის დაქვრივებული მეუღლე უფლებამოსილია, გააგრძელოს საქმის წარმოება მის ნაცვლად;
2. უარს ამბობს მთავრობის პირველადი პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე;
3. ადგენს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განმცხადებლის პრევენციულ პატიმრობასთან დაკავშირებით;
4. ადგენს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი 1996 წლის 4 ივნისიდან 31 ივლისამდე პერიოდში განმცხადებლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით;
5. ადგენს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი 1996 წლის 31 ივლისიდან 16 ოქტომბრამდე პერიოდში განმცხადებლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით;
6. ადგენს, რომ არ არის დარღვეული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მოსამართლის ან სხვა თანამდებობის პირისადმი განმცხადებლის დროულად წარუდგენლობასთან დაკავშირებით;
7. ადგენს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით;
8. ადგენს, რომ დარღვეულია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი;
9. ადგენს, რომ:
 - (ა) მოქასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები:
 - (i) 60 000 (სამოცი ათასი) ლიტვური ლიტი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით;
 - (ii) 40 000 (ორმოცი ათასი) ლიტვური ლიტი, პლიუს დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაერიცხოს;
 - (ბ) ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ ანგარიშსწორების თარიღამდე გადასახდელ თანხას დაერიცხოს მარტივი პროცენტი 9,5%-ის ოდენობით;
10. უარს ამბობს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით განმცხადებლის სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე, შეტყობინებულია წერილობით 2000 წლის 31 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ს. დოლე
მდივანი

ჯ.-პ. კოსტა
თამეჯდომარე

მალჰაუსი ჩეხეთის
რესპუბლიკის წინააღმდეგ

Malhous v. the Czech Republic

**მალკაუზი ჩიხეთის
რესპუბლიკის წინააღმდეგ**

(განაცხადი №33071/96)

განაჩენი

სტრასბურგი

2001 წლის 12 ივლისი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „მალჰაუზი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“,
(*Malhous v. the Czech Republic*)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, შეიკრიბა რა დიდი პალატის სახით შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი, პრეზიდენტი,
ქ-ნი ე. პალმი,
ბ-ნი კ.ლ. როზაკისი,
ბ-ნი ა. პასტორ რიდრუეჯო,
ბ-ნი პ. კურისი,
ქ-ნი ე. ტულკენსი,
ქ-ნი ვ. სტრაზნიცკა,
ბ-ნი კ. ბირსანი,
ბ-ნი პ. ლორენზენი,
ბ-ნი კ. იუნგვეირტი,
სერ ნიკოლას ბრატცა,
ბ-ნი ჯ. კასადევალი,
ბ-ნი მ. პელონპაა,
ქ-ნი პ.ს. გრევე,
ბ-ნი ა.ბ. ბაკა,
ბ-ნი რ. მარუსტე,
ქ-ნი ს. ბოტუჩაროვა, მოსამართლეები,

და ასევე

ბ-ნი მ. დე სალვია, იურისკონსულტი, რეგისტრატორის ნაცვლად,

იმსჯელა რა განმარტოებით 2001 წლის 27 ივნისს,

2001 წლის 27 ივნისს მიიღო შემდეგი განაჩენი:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს №33071/96 განაცხადიდან, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში (შემდგომში „კომისია“) წარმოდგენილი იქნა 1996 წლის 10 მაისს ეროვნებით ჩეხი ბ-ნი იან მალჰაუზის (შემდგომში „განმცხადებელი“) მიერ ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) აღრემოქმედი 25-ე მუხლის თანახმად. ვინაიდან 1998 წლის 1 მაისს განმცხადებელი გარდაიცვალა, სასამართლომ მის ძმისშვილს და მემკვიდრეს, ბ-ნ იან ბუჩეკს, უფლება მისცა, გაეგრძელებინა განაცხადი.

2. განმცხადებელი და შემდეგ ბ-ნი ბუჩეკი, რომელსაც მისცეს სამართლებრივი დახმარება, სასამართლოში წარმოდგენილნი იქნენ ბ-ნი ტომას შონფელდის, პრალაში მოლვანე პრაქტიკოსი ადვოკატის, მიერ. ჩეხეთის მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი იქნა მისი წარმომადგენლის ბ-ნი ემერიხ სლავიკის (იუსტიციის სამინისტროდან) მიერ.

3. განმცხადებლის მტკიცებით, რესტიტუციის შესახებ სამართალწარმოების დროს დარღვეული იქნა მისი საკუთრების უფლება და ამ პროცესზე მას არ უსარგებლია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე საჯარო მოსმენით.

4. განაცხადი სასამართლოს გადაეცა 1998 წლის 1 ნოემბერს, როცა ძალაში შევიდა კონვენციის მე-11 ოქმი (მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

5. განაცხადი დაენერა სასამართლოს მესამე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). 1999 წლის 11 მაისს ამ სექციის პალატამ შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით: სერ ნიკოლას ბრაქცა, ბ-ნი ე. ა. კოსტა, ლ. ლუკაიდესი, პ. კურისი, კ. იუნგვეირტი, ქ-ნი პ. ს. გრევე, ვ. ფურმანი, კ. ტრაჟა და ასევე ქ-ნი ს. დოლე, სექციის რეგისტრატორი, იურისდიქცია ამ საქმეზე დიდ პალატას გადასცა. გადაცემის თაობაზე არც ერთ მხარეს არ გამოუთქვამს პროტესტი (კონვენციის 30-ე მუხლი და 72-ე ნესი).

6. დიდი პალატა დაკომპლექტდა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებებისა და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის თანახმად.

7. 2000 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დასაშვებობისა და არსებითი განხილვის შესახებ მოსმენის შემდეგ (54-ე ნესის მე-4 პუნქტი), დიდმა პალატამ განაცხადი ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის საჩივარს კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებაში, რომ მის საქმეზე რესტიტუციის პროცესის დროს საჯარო მოსმენა არ ჩატარებულა.

8. ბ-ნმა ბუჩეკმა და მთავრობამ არსებით განხილვაზე წარმოადგინეს წერილობითი კომენტარები. მხარეებთან მოთათბირების შემდეგ დიდმა პალატამ გადაწყვიტა, რომ არსებით განხილვაზე საჭირო არ იყო ზეპირი მოსმენა (59-ე ნესის მე-2 პუნქტი); მხარეებმა წერილობით უპასუხეს ერთმანეთის კომენტარებს. ბ-ნმა ბუჩეკმა წამოჭრა კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა, რაზეც მთავრობამ კომენტარი წარმოადგინა.

I. საქმის ბარაქოზაბი

9. 1949 წლის ივნისში განმცხადებლის მამის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები ჩამოერთვა მას დოქსის რაიონის ეროვნული საბჭოს მიერ (*okresní národní výbor*) მიწის ახალი რეფორმის შესახებ ჩეხოსლოვაკიის № 46/1948 კანონის თანახმად (შემდგომში „1948 წლის კანონი“). განმცხადებლის მამას კომპენსაცია არასოდეს მიუღია. 1957 წელს ამ ნაკვეთების ნაწილი კერძო პირთა საკუთრებაში გადავიდა 1948 წლის კანონით განსაზღვრული გადაცემის პროცედურის დაცვით. 1997 წელს განმცხადებლის მამა გარდაიცვალა და განმცხადებელმა მოიპოვა უფლებები ქონებაზე.

10. ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, 1991 წლის 24 ივნისს ძალაში შევიდა მიწაზე და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საკუთრებაზე მესაკუთრეთა უფლებების რეგულირების შესახებ კანონი № 229/1991 (*„zákon o půdě“*, „მიწაზე საკუთრების კანონი“). ამ კანონის მიხედვით 1948 წლის კანონი უკვე აღარ გამოიყენებოდა და ამ უკანასკნელი კანონის თანახმად კომპენსაციის გარეშე ჩამორთმეული ქონება გარკვეული პირობებით შეიძლებოდა მის უწინდელ მფლობელს ან მის მემკვიდრეს დაბრუნებოდა, თუ ეს ქონება კვლავ სახელმწიფოს ან იურიდიული პირის მფლობელობაში იყო, მაგრამ თუ ასეთი ქონება ფიზიკურ პირთა მფლობელობაში გადავიდა, ძველ მესაკუთრეს ან მის მემკვიდრეს, გარკვეული გამონაკლისებით, შეეძლოთ მხოლოდ სხვა ეკვივალენტური ქონების ან ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნა.

11. მიწის საკუთრების შესახებ კანონზე დაყრდნობით, განმცხადებელი რესტიტუციაზე გაურიგდა ორ იურიდიულ პირს (პრადეკ კრალივეს ტყის სახელმწიფო სანარმოს და ლინი - კრასნა ვესის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის) შესაბამისად 1993 წლის 10 დეკემბერსა და 1994 წლის 4 მაისს. 1994 წლის 13 ოქტომბერს მალადა ბოლესლავის მიწის სააგენტომ (*pozemkový úřad*, „მიწის სააგენტო“) ორი გადაწყვეტილებით უარი განაცხადა რესტიტუციის შესახებ შეთანხმების დამტკიცებაზე. მიწის საკუთრების შესახებ კანონის 32-ე ნაწილის მე-3 პუნქტზე მითითებით, მან განაცხადა, რომ ზოგი ნაკვეთი 1948 წლის კანონის თანახმად გადაცემული იქნა სხვადასხვა მესაკუთრისათვის და ამ მესაკუთრეებმა, ფიზიკურმა პირებმა, თავიანთი საკუთრების უფლება დამტკიცეს ამ უფლებათა გადაცემის აქტებით. მიწის სააგენტომ თავისი გადაწყვეტილება შემდეგ დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოიტანა: უწინდელი მალადა ბოლესლავის სახელმწიფო ნოტარიატის 1977 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება განმცხადებლის მამის მემკვიდრეობის შესახებ, უწინდელი დოქსის რაიონის ეროვნული საბჭოს 1949 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება განმცხადებლის მამის ქონების ექსპროპრიაციის შესახებ, უწინდელი ლიბოჩევის რეგიონული ეროვნული საბჭოს (*krajský národní výbor*) 1949 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მოდერნიზაციის იქნა ექსპროპრიაციის გადაწყვეტილება, და მიწის რეესტრიდან (*pozemková kniha*) ამონაწერი (*výpis*) ლინისა და კრასნა ვესის რაიონებთან დაკავშირებით. მიწის სააგენტოს ასევე ხელთ ჰქონდა 1994 წლის 23 სექტემბერს მალადა ბოლესლავის მიწის რეესტრის

ოფისის (*katastrální úřad*) მიერ გაცემული უფლებათა გადაცემის აქტის ასლი.

12. მიწის სააგენტოს მიერ 1994 წლის 28 სექტემბერს გამოცემული მონვევის ტექსტიდან ირკვევა, რომ 1994 წლის 12 ოქტომბრისათვის დაიგეგმა მოსმენა, რომელზეც მინვეულნი იქნენ განმცხადებელი და მისი ადვოკატი მიწის სახელმწიფო სანარმოს, მიწის მეურნეობის კოოპერატივის წარმომადგენლებთან და მლადა ბოლესლავის მიწის ფონდის (*Pozemkový fond*) წარმომადგენლებთან ერთად. მოსმენის ოქმის თანახმად, მოსმენას დაესწრნენ მხოლოდ განმცხადებელი და მიწის სახელმწიფო სანარმოსა და მიწის მეურნეობის კოოპერატივის წარმომადგენლები. განმცხადებელმა უარი განაცხადა ადმინისტრაციული სამართალწარმოების საკითხზე კომენტარების გაკეთებაზე და ხელი არ მოაწერა ოქმს. ორივე იურიდიული პირის წარმომადგენელმა მოსმენა დასრულებამდე დატოვა.

13. 1994 წლის 11 ნოემბერს განმცხადებელმა ეს ორი ადმინისტრაციული გადაწყვეტილება გაასაჩივრა პრაღის მუნიციპალურ სასამართლოში (*městský soud*, „მუნიციპალური სასამართლო“). იგი ითხოვდა მთლიანი ქონების რესტიტუციას, სადავოდ ხდიდა ამ ქონების ნაწილის შექენას ფიზიკური პირების მიერ და ითხოვდა შესაბამისი უფლების გადაცემის აქტების ხელმისაწვდომობას.

14. 1995 წლის 31 მაისს მუნიციპალურმა სასამართლომ საჩივრები გააერთიანა და 1994 წლის 12 ოქტომბრის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა. მან დაადგინა, რომ მიწის სააგენტომ მართებულად თქვა უარი მთლიანად რესტიტუციის შესახებ შეთანხმების დამტკიცებაზე, რადგან ამ შეთანხმებით ასევე იგულისხმებოდა ქონება, რომელზე საკუთრებაც ფიზიკურ პირებს გადაეცათ და რომელიც ვერ დაუბრუნდებოდა მის უწინდელ მესაკუთრეს. ეს დამტკიცებული იქნა ყველა შესაბამისი დოკუმენტით, უფლების გადაცემის შესახებ აქტის ჩათვლით, რომელიც თან ერთვოდა ადმინისტრაციულ საქმეთა მასალებს. სურვილის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალწარმოების განმავლობაში განმცხადებელს ნებისმიერ დროს შეეძლო გასცნობოდა ამ დოკუმენტებს, როგორც ამას ითვალისწინებდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ კოდექსის 23-ე ნაწილის 1-ლი პუნქტი. მუნიციპალურმა სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებლის საქმეზე საჭირო არ იყო მოსმენის ჩატარება, რადგან ფაქტები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მართებულად იყო დადგენილი და მის წინაშე განსახილველად მხოლოდ კანონის რამდენიმე საკითხი იყო წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალურმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250 (f) ნაწილზე.

15. მიწის საკუთრების შესახებ კანონის მე-9 ნაწილის მე-3 პუნქტის (იხ. ქვემოთ, 25-ე პუნქტი) თანახმად, საქმე კვლავ დაუბრუნდა მიწის სააგენტოს, რომელმაც 1995 წლის 25 ივლისს ახალი გადაწყვეტილება გამოიტანა. მიწის სააგენტომ, მუნიციპალური სასამართლოს აზრის შესაბამისად, რომელიც მისთვის სავალდებულო ძალის მქონე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე ნაწილის (f) პუნქტის საფუძველზე, დაამტკიცა განმცხადებლის ქონებრივი უფლებები მიწის ნაკვეთების იმ ნაწილზე, რომელიც 1948 წლის კანონის თანახმად არ გადასცემია ფიზიკურ პირებს. ამავე დროს, მან განმცხადებელს აცნობა, რომ მიწის საკუთრების შესახებ კანონის მე-11 ან მე-16 ნაწილების თანახმად მას შეეძლო კომპენსაციის მოთხოვნა ნაკვეთების იმ ნაწილისათვის, რომელიც ვერ უბრუნდებოდა.

16. 1995 წლის 14 სექტემბერს და 15 ოქტომბერს განმცხადებელმა საკონსტიტუციო სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. იგი, *inter alia*, აცხადებდა, რომ დაირღვა მისი საკუთრების უფლება, რომ მას აღარ შეეძლო დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა და რომ მუნიციპალურმა სასამართლომ არ შეატყობინა გადაწყვეტილება ორი საქმის გაერთიანების შესახებ. განმცხადებელი, *inter alia*, მოიხმობდა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის (*Listina základních práv a svobod*) 36-ე და 38-ე მუხლებს.

17. 1995 წლის 29 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი, მიიჩნია რა იგი აშკარად დაუსაბუთებლად. მან განაცხადა, რომ განმცხადებლის კონსტიტუციური უფლება სათანადო სასამართლო პროცედურაზე არ დარღვეულა იმ ფორმით, რა ფორმითაც მუნიციპალური სასამართლო მის საჩივარს იხილავდა. ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების სამართლებრივი გადასინჯვის სპეციალური ხასიათის გათვალისწინებით, სასამართლოს იურისდიქცია შემოიფარგლებოდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე საქმის სამართლებრივი შეფასებით. განმცხადებელს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც მიწის სააგენტომ შეხედველობაში არ მიიღო, და იმის უბრალო გამოკრებით, რომ არ მოსწონდა ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება, განმცხადებელმა ვერ მოახერხა, სამართლიანად გაეპროტესტებინა მიწის სააგენტოს მიერ დადგენილი ფაქტები. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, მუნიციპალურ სასამართლოს საქმის მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების მიღებით საკონსტიტუციო სამართალი არ დაურღვევია, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე ნაწილის (f) პუნქტის თანახმად, როცა საქმის მხოლოდ სამართლის კუთხით შეფასება ხდება, ამგვარი ქმედება კანონიერია.

18. 1998 წლის 1 მაისს განმცხადებელი გარდაიცვალა, მაგრამ მისმა ადვოკატმა, მიწის საკუთრების შესახებ კანონის მე-11 ნაწილის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის სააგენტოს წინაშე დააყენა კომპენსაციის მოთხოვნა ნაკვეთების სხვა ნაწილების გასხვისების გამო. მთავრობის თანახმად, ეს მოთხოვნა მიწის სააგენტოში ჯერ ისევ განხილვის საგანია.

19. 1998 წლის 29 ოქტომბერს განმცხადებლის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება შეწყდა, ვინაიდან პრალის მე-2 რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ დაუტოვებია არავითარი ქონება. როგორც ჩანს, სასამართლო არ იცნობდა მიწის სააგენტოს 1995 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებას.

20. 2000 წლის 22 თებერვალს განმცხადებლის ძმისშვილმა, ბ-ნმა ბუჩეკმა, რაიონულ სასამართლოს მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართალწარმოების განახლება მოსთხოვა. მან წარმოადგინა თავისი ბიძის 1998 წლის 22 მარტის უკანასკნელი ანდერძი, რომელშიც იგი დასახელებული იყო განმცხადებლის ქონების ერთადერთ მემკვიდრედ, მაშინ, როცა განმცხადებლის ორ მოზრდილ შვილს ერეკვიდრეობა ჩამორთმეული ჰქონდა. მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება განახლდა 2000 წლის 21 აგვისტოს. 2001 წლის 28 მარტს პრალის მე-2 რაიონულმა სასამართლომ დაამტკიცა ბ-ნ ბუჩეკსა და განმცხადებლის ორ შვილს შორის დადებული შეთანხმება განმცხადებლის ქონების ორ თანაბარ წილად გაყოფის თაობაზე.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი

1. მიწის საკუთრების შესახებ კანონი

21. მიწის საკუთრების შესახებ კანონი არეგულირებს, *inter alia*, იმ კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო და სხვა ქონების (განსაზღვრულია 1-ლ ნაწილში) რესტიტუციის საკითხს, რომელიც გადაცემული იქნა სახელმწიფოსა თუ სხვა იურიდიული პირებისათვის 1948 წლის 25 თებერვალსა და 1990 წლის 1 იანვარს შორის პერიოდში. მე-6 ნაწილის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილია ის ქმედებები, რომლებიც იძლევა რესტიტუციის მოთხოვნის საფუძველს, მათ შორის, (b) ქვეპუნქტში, 1948 წლის კანონის საფუძველზე კომპენსაციის გარეშე კონფისკაცია.

22. მე-5 ნაწილის თანახმად, პრინციპში რესტიტუცია ევალებათ სახელმწიფოს ან ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც უძრავ ქონებას ფლობს კანონის ძალაში შესვლის დროისათვის. ფიზიკური პირები ვალდებული იქნებიან, უძრავი ქონება დაუბრუნონ კანონიერ მთხოვნელს მხოლოდ მე-8 ნაწილში დადგენილ შემთხვევებში, ანუ თუ მათ ან მათმა ნათესავებმა ეს ქონება სახელმწიფოსაგან ან სხვა იურიდიული პირისაგან მიიღეს იმ დროს მოქმედი კანონის დარღვევით ან იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე მითითებული იყო ნებისმიერ შესაბამის ფასთა რეგულირების წესებში, ან უკანონო უპირატესობის საფუძველზე. ამ შემთხვევებში რესტიტუციის ბრძანება გაიცემა სასამართლო გადაწყვეტილებით კანონიერი მთხოვნელის მიმართვის საფუძველზე, რომელიც უნდა გაკეთდეს 1992 წლის 31 დეკემბრამდე ან ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როცა მიწის სააგენტოს გადაწყვეტილება უძრავი ქონების რესტიტუციაზე უარის თქმის შესახებ საბოლოო გახდა. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში იმ ფიზიკური პირისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთი, რომელმაც მასზე საკუთრების უფლება მოიპოვა უფლებათა გადაცემის აქტით, არ ექვემდებარება რესტიტუციას (32-ე ნაწილის მე-3 პუნქტი, რომელიც გაუქმდა ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (№166/1995, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 15 აგვისტოს).

23. გარდა ამისა, რესტიტუცია არ მოხდება კანონის მე-11 ნაწილის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილ შემთხვევებში, რომლებიც, *inter alia*, გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც ქონებით პირადად სარგებლობის უფლება შექმნილია ფიზიკური პირისათვის, გარდა მე-8 ნაწილში ნახსენები გარემოებებისა. ასეთ შემთხვევებში მიწის სააგენტომ კანონიერ მთხოვნელს, მისი თანხმობის შემთხვევაში, უნდა გადასცეს ეკვივალენტური სახელმწიფო ქონება, რომელიც უმჯობესია იქვე ახლოს მდებარეობდეს და განსაზღვრული იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის გადანაწილების შესახებ კანონმდებლობის პრინციპების შესაბამისად (მე-11 ნაწილის მე-2 პუნქტი).

24. თუ არ მოხდა რესტიტუციის უზრუნველყოფა და პირს, რომელსაც რესტიტუცია ეკუთვნის, კომპენსაციის სახით სხვა უძრავი ქონება არ გადაეცა, მას უფლება აქვს ფინანსურ კომპენსაციაზე განსაზღვრული პირობების თანახმად (მე-16 ნაწილი).

25. რაც შეეხება პროცედურას, კანონის მე-9 ნაწილის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს, რომ კანონიერმა მთხოვნელმა საჩივრით უნდა მიმართოს შესა-

ბამის მიწის სააგენტოს და, ამავე დროს, პირისა თუ ორგანოსაგან, რომელიც ფლობს განსახილველ უძრავ ქონებას, მოითხოვოს რესტიტუცია. უკანასკნელი ვალდებულია, 60 დღის ვადაში დადოს შეთანხმება მთხოვნელისათვის ქონების გადაცემის შესახებ (*restituční dohoda*, „რესტიტუციის შესახებ შეთანხმება“). მე-9 ნაწილის მე-2 პუნქტის თანახმად, რესტიტუციის შესახებ ნებისმიერი შეთანხმება უნდა დაამტკიცოს შესაბამისმა მიწის სააგენტომ. თუ მიწის სააგენტო არ დაამტკიცებს რესტიტუციის შესახებ შეთანხმებას, უფლებამოსილ პირს შეუძლია ეს სასამართლოში გაასაჩივროს. თუ სასამართლო უარს იტყვის შეთანხმების დამტკიცებაზე, იგი უკან გადაეცემა მიწის სააგენტოს არსებითად განხილვით გადანყვებილების მისაღებად (მე-9 ნაწილის მე-3 პუნქტი). ეს გადანყვებილება კვლავ ექვემდებარება სასამართლო გადასინჯვას (მე-9 ნაწილის მე-6 პუნქტი).

2. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

26. მიწის სააგენტოში სამართალწარმოება იმართება №71/1967 კანონით (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი).

27. მე-3 და მე-4 ნაწილები არეგულირებენ ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე სამართალწარმოების არსებით პრინციპებს. პროცესები უნდა წარიმართოს კანონის შესაბამისად და მხარეებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ეფექტურად დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები, გააპროტესტონ საქმის ფაქტები და სამართალწარმოებისთვის წარმოადგინონ წინადადებები. გარდა ამისა, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და აქვთ ერთნაირი ვალდებულებები. ადმინისტრაციული ორგანოების გადანყვებილები უნდა დაეფუძნოს სანდო საშუალებით დადგენილ ფაქტებს.

28. 21-ე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ზეპირი მოსმენა უნდა დაგეგმოს, თუ ამას მოითხოვს საქმის ხასიათი, კერძოდ, როცა ასეთი მოსმენა წვლილს შეიტანს განსახილველი საკითხის გარკვევაში. პროცესის მხარეები გამოძახებულნი უნდა იქნენ ზეპირ მოსმენაზე დასასწრებად და მათ უნდა შესთავაზონ საქმის განხილვისას თავიანთი კომენტარებისა და წინადადებების წარმოდგენა. ზეპირი მოსმენები საჯარო არ არის, თუ სპეციალური სამართლებრივი წესი სხვაგვარად არ განსაზღვრავს ან თუ ადმინისტრაციული ორგანო არ გადანყვეტს მოსმენის საჯაროდ ჩატარებას.

29. 23-ე ნაწილის 1-ლი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, ხელი მიუწვდებოდეთ დოკუმენტებზე და ამ დოკუმენტებიდან, გარდა კენჭისყრის ოქმისა, გააკეთონ ამონაწერები.

30. 32-ე ნაწილის 1-ლი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოებს ევალებათ, ზუსტად და სრულად დაადგინონ ყველა ფაქტი. ამ მიზნით მათ უნდა მოიპოვონ ყველა საჭირო დამხმარე დოკუმენტი და მონაცემი.

3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

31. ადმინისტრაციული ორგანოების გადანყვებილებათა კანონიერება შეიძლება გადასინჯული იქნეს სასამართლოების მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის IV ნაწილის საფუძველზე.

32. შესაბამის დროს 250-ე ნაწილის (f) პუნქტი (გაუქმდა ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს №269/96 გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 1 მაისს) სასამართლოებს აძლევდა უფლებას, ჩვეულებრივ საქმეებზე გადაწყვეტილება გამოეთანათ ზეპირი მოსმენის გარეშე, კერძოდ, ეს ეხებოდა ისეთ საქმეებს, როცა ექვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ფაქტები მართებულად დაადგინა და განიხილება მხოლოდ სამართლებრივი საკითხები.

33. 250-ე ნაწილის (i)(1) პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა გადასინჯვისას სასამართლოები მხედველობაში იღებენ ფაქტებს, როგორც ისინი არსებობდა ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის.

34. 250-ე ნაწილის (m)(3) პუნქტის თანახმად, სასამართლოში პროცესის მხარეები არიან იმ ადმინისტრაციულ ორგანოში პროცესის მხარეები, რომლის გადაწყვეტილების გადასინჯვაც ხდება.

35. 250-ე ნაწილის (q) პუნქტის შესაბამისად, როდესაც სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვისას ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილებას არ იღებს, მან შეიძლება ისეთი მტკიცებულება მიიღოს, რომელიც აუცილებელია განსახილველი გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის.

36. 250-ე ნაწილის (r) პუნქტის მიხედვით, თუ სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას აუქმებს, ეს უკანასკნელი, ახალი გადაწყვეტილების მიღებისას, ვალდებულია, გაითვალისწინოს სასამართლოს მიერ გამოხატული სამართლებრივი მოსაზრება.

37. 250-ე ნაწილის (s) პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ გადასინჯვას აღარ ექვემდებარება, მე-2 ქვეპუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა (რომლებიც წინამდებარე საქმეში სახეზე არ გვაქვს).

38. 156-ე ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამოცხადება უნდა მოხდეს საჯაროდ. დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, უნდა მოხდეს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების ჩაწერა, იმ შემთხვევებშიც, როდესაც გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე ცხადდება.

4. კანონი №284/1991 მიწის რეგულირებისა და მიწის სააგენტოების შესახებ

39. მე-11 ნაწილის 1-ლი პუნქტის თანახმად, რაიონის მიწის სააგენტოები რაიონული სააგენტოების ავტონომიური დეპარტამენტებია (samostatné referáty).

5. რაიონული სააგენტოების შესახებ კანონი

40. შესაბამისი დროისათვის რაიონული სააგენტოების სტატუსი და კომპეტენცია განსაზღვრული იყო №425/1990 კანონით. ეს კანონი გაუქმდა 2000 წლის 12 ნოემბერს, როცა ძალაში შევიდა ახალი კანონი რაიონული სააგენტოების შესახებ (№147/2000).

41. მე-2 ნაწილი რაიონულ სააგენტოებს განსაზღვრავს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომლებიც ადგილობრივ სახელმწიფო ადმინის-

ტრირებას ახორციელებენ თავიანთ ტერიტორიებზე. კანონი რაიონულ სააგენტოებს უფლებამოსილს ხდის, თავიანთ ტერიტორიებზე განახორციელონ ადგილობრივი სახელმწიფო ადმინისტრირება. მე-14 ნაწილის თანახმად, რაიონული სააგენტოების საქმიანობის განხორციელებას მართავს და აკონტროლებს სახელმწიფო.

42. მე-8 ნაწილის 1-ლი პუნქტის თანახმად, რაიონული სააგენტოს უფროსს (*prednosta*) შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობა.

43. მე-8 ნაწილის მე-5 პუნქტის თანახმად, რაიონული სააგენტოების მრჩეველები ამ სააგენტოების უფროსებს ექვემდებარებიან.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

44. განმცხადებელი ჩივის, რომ რესტიტუციის შესახებ სამართალწარმოებისას არ უსარგებლია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საჯარო მოსმენით.

45. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამის ნაწილში ნათქვამია:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება ... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ... სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.“

A. მხარეთა მოსაზრებები

1. მთავრობის პოზიცია

46. მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ არსებობს ორი ტიპის გადაწყვეტილება, რომელიც მინის სააგენტოს შეუძლია მიიღოს რესტიტუციის სამართალწარმოებისას: პირველი, მინის საკუთრების შესახებ კანონის მე-9 ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ამტკიცებს ან უარს ამბობს რესტიტუციის შესახებ შეთანხმების დამტკიცებაზე, და მეორე, კანონის მე-9 ნაწილის მე-4 პუნქტის თანახმად მიღებული გადაწყვეტილება,

რომელიც განსაზღვრავს კანონიერი მთხოვნელის ქონებრივ უფლებებს, თუ მას უარი ეთქვა შეთანხმების დამტკიცებაზე.

47. წინამდებარე საქმეში მინის სააგენტომ, პირველი ტიპის სამართალწარმოებისას, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21-ე ნაწილის თანახმად, 1994 წლის 12 ოქტომბერს ზეპირი მოსმენა გამართა. ამ მოსმენის ოქმის მიხედვით მოსმენას ესწრებოდნენ განმცხადებელი და ორი შესაბამისი ოკრუდიული პირის წარმომადგენლები. თუმცა განმცხადებელს სამართალწარმოების პროცესში არანაირი პროტესტი არ გამოუხატავს სადავო მინის საკუთრებასთან დაკავშირებით. მთავრობის თქმით, მინის ამ ნაკვეთების ფიზიკური პირებისათვის გადაცემის აქტები სამართალწარმოების დასაწყისშივე დაერთო ადმინისტრაციულ მასალებს, რომლებზეც განმცხადებელს ხელი მიუწვდებოდა. მთავრობა აცხადებს, რომ 1994 წლის 12 ოქტომბერს მოსმენაზე განმცხადებელმა წამდვილად განაცხადა, რომ უარს ამბობდა რესტიტუციის შესახებ შეთანხმებაზე, როცა შეიტყო, რომ მინის გარკვეული ნაწილი მას ვერ დაუბრუნდებოდა.

48. სამართლებრივი გადასინჯვის შემდგომ პროცესებში მუნიციპალურმა სასამართლომ განიხილა მხოლოდ ის გარემოებები, რომლებზეც მინის სააგენტომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა და რომლებიც აშკარად ჩანდა ადმინისტრაციულ მასალებში, რადგან ეჭვს არ იწვევდა ფიზიკური პირების საკუთრების უფლებები მინის სადავო ნაკვეთებზე. ამ გარემოებებში საჯარო მოსმენის ჩატარებას, მთავრობის აზრით, განმცხადებლის საქმის განხილვისათვის არანაირი არსებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა. თუმცა მუნიციპალურ სასამართლოს საჯარო მოსმენა არ ჩაუტარებია, მაგრამ 1995 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც მან ძალაში დატოვა მინის სააგენტოს ორი გადაწყვეტილება რესტიტუციის შესახებ შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის თაობაზე, გამოცხადდა საჯაროდ, როგორც ამას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 156-ე ნაწილი ითვალისწინებს.

49. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ ეს არ იყო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება, სადავო მინაზე განმცხადებლის საკუთრების უფლების განსაზღვრის ფარგლები მინის სააგენტოში შემდგომი სამართალწარმოების საგანი იყო. ამ კონტექსტში მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, როგორც ეს დასაშვებობის სტადიაზეც გააკეთა, რომ განმცხადებელს შეეძლო მინის სააგენტოს 1995 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა, როგორც ამას გულისხმობდა მინის საკუთრების შესახებ კანონის მე-9 ნაწილის მე-6 პუნქტი. ასე რომ გაეკეთებინა, მას შეეძლებოდა მუნიციპალური სასამართლოსათვის ამ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების თავიდან, საჯარო მოსმენაზე, განხილვა მოეთხოვა. გარდა ამისა, განმცხადებელს შეეძლო სამოქალაქო სარჩელი შეეტანა კომპეტენტურ რაიონულ სასამართლოში, მინის საკუთრების შესახებ კანონის მე-8 ნაწილის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, და სადავო გაეხადა მისი მამის საკუთრების შესაბამისი ფიზიკური პირებისათვის გადაცემის კანონიერება.

2. განმცხადებლის პოზიცია

50. განმცხადებელი არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტებს. მან გააპროტესტა მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ სადავო მინის მფლობელი ფიზიკური პირების სახელზე გაცემული უფლებათა გადაცემის აქტები 1991

ნელს ადმინისტრაციული სამართალწარმოების დასაწყისიდანვე თან ერთვოდა ადმინისტრაციული საქმის მასალებს. განმცხადებლის მტკიცებით, ისინი შეიქმნა 1994 წლის 23 სექტემბერს მინის სააგენტოს მიერ და, შესაბამისად, ვერ იქნებოდა თანდართული ადმინისტრაციული საქმის მასალებზე ამ თარიღამდე, რაც თავისთავად რესტიტუციის შესახებ 1993 წლის 10 დეკემბრისა და 1994 წლის 4 მაისის შეთანხმებების შემდგომი პერიოდაა.

51. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ არც მინის სააგენტოს და არც მუნიციპალურ სასამართლოს არ უმსჯელიათ იმ ფაქტზე, რომ მართალია, სადავო მინები ჩამორთმეული იქნა 1949 წელს და ფიზიკური პირებისათვის გადაცემული 1957 წელს, მაგრამ ისინი კვლავ რჩებოდა ტყის სახელმწიფო საწარმოს ან მინისმურწეობის კოოპერატივის კონტროლის ქვეშ. მაშასადამე, ფიზიკური პირები ფორმალურად ფლობდნენ მინას, მაგრამ არასოდეს გამოუყენებიათ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ადმინისტრაციული საქმის მასალებში არ იყო რაიმე ისეთი დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა რაიმე დეტალს მინების მესაკუთრეთა შესახებ. ამ გარემოებებში არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ საქმის ფაქტები მართებულად იქნა დადგენილი მინის სააგენტოს მიერ. თუმცა მუნიციპალურმა სასამართლომ, გამოიყენა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე ნაწილის (f) პუნქტი, განმცხადებელს შესაძლებლობა არ მისცა, ეს პროტესტი საჯარო მოსმენაზე დაეყენებინა.

52. განმცხადებელი ასკვნის, რომ იმ დროისათვის საკონსტიტუციო სასამართლომ რესტიტუციის რამდენიმე საქმეზე გააუქმა გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებული იქნა საჯარო მოსმენის გარეშე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე ნაწილის (f) პუნქტის თანახმად ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ქართის 38-ე მუხლისა და კონვენციის მე-6 მუხლის მოხმობით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საპირისპირო არგუმენტების შემცველი საქმეები არ შეიძლება მიჩნეული იქნეს უბრალო საქმეებად. მაგალითად, №11. US 269/95 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გარკვევით აღნიშნა, რომ „რესტიტუციის შესახებ საქმეები არ შეიძლება კვლავ იქნეს განხილული საჯარო მოსმენის გარეშე მათი სირთულის და იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ქონებრივი უფლებების ჩამორთმევის ფაქტს ადგილი ჰქონდა დიდი ხნის წინ“. მსგავსად ამისა, 1994 წლის 29 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა პრალის მუნიციპალური სასამართლოს მიერ საჯარო მოსმენის გარეშე რესტიტუციის სხვა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №PI. US 41/94), დაადგინა რა, რომ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე ნაწილის (f) პუნქტში ნახსენები საქმეები, კანონმდებლის თანახმად, არის საქმეები, რომლებშიც საჭირო მტკიცებულება ამოღებული იქნა და თვით საქმეები საქმაოდ ნათელია და განსახილველია მართლაც მხოლოდ კანონის დებულებები“.

53. განმცხადებელმა დამატებით აღნიშნა, რომ იგი არ გამოუძახიათ მუნიციპალური სასამართლოს მიერ 1995 წლის 31 მაისს გადაწყვეტილების საჯარო გამოცხადებაზე.

54. და ბოლოს, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მინის სააგენტოს 1995 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება ვერ გასაჩივრდებოდა მუნიციპალურ სასამართლოში, რადგან საკითხს განიხილავდნენ, როგორც *res iudicata*. ის ფაქტი, რომ მისი საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენისას ყველა ხელმისაწვდომი სა-

შუალემა იქნა გამოყენებული, ასევე დაადასტურა საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც უარი არ თქვა განმცხადებლის სარჩელის მიღებაზე საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის დებულებების თანახმად, რომელიც ყველა საშუალების წინასწარ ამონიშნავს მოითხოვს.

B. სასამართლოს შეფასება

55. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო მოსმენის საჯაროდ ჩატარება მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში გათვალისწინებული ძირითადი პრინციპია. ეს საჯარო ხასიათი პროცესის მხარეებს იცავს საზოგადოების ყურადღების გარეშე სამართალწარმოების საიდუმლოდ განხორციელებისაგან; ეს არის ერთ-ერთი საშუალება, რის საფუძველზეც სასამართლო ნდობას ინარჩუნებს. სამართალწარმოების გამჭვირვალედ ჩატარებისას საჯაროობა ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნის, სახელდობრ, სამართლიანი სასამართლოს ჩატარების, მიღწევას, გარანტიისა, რომელიც, კონვენციის მნიშვნელობით, ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია (იხ. მაგალითად, 1995 წლის 36 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Diennet v. France*, სერია A № 325-A, გვ. 14-15, პუნქტი 33).

56. წინამდებარე საქმეში განმცხადებელი პრინციპში უფლებამოსილი იყო, ესარგებლა საჯარო მოსმენით, რადგან მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადებაში დადგენილი არც ერთი გამონაკლისი არ გამოყენებულა (იხ. საქმეზე *Håkansson and Stureson* 1990 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A № 171-A, გვ. 20, პუნქტი 64). ეს გამონაკლისები არ მოუხმიათ ეროვნულ პროცესებში. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც, *inter alia*, განიხილა წინამდებარე საქმეში საჯარო მოსმენის არარსებობის საკითხი, არ მიუპარტავს გამონაკლისებისათვის. არც მთავრობას მოუხმია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადება.

57. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეზე ჩატარებული ერთადერთი მოსმენა 1994 წლის 12 ოქტომბერს გაიმართა მლადა ბოლესლაის მიწის სააგენტოს მიერ. ამ მოსმენის ოქმის თანახმად, განმცხადებლის მოთხოვნები რესტიტუციის შესახებ განხილული იქნა მისი და ორივე იურიდიული პირის წარმომადგენელთა თანდასწრებით. ამ უკანასკნელთ მოუთხოვათ, აღედგინათ განმცხადებლისათვის ჩამორთმეული ქონება, რომელიც ადრე მის მამას ეკუთვნოდა. თუმცა მიწის სააგენტო არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ორგანოდ, რომელიც აკმაყოფილებს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით სასამართლოსათვის აუცილებელი დამოუკიდებლობის მოთხოვნებს. სასამართლო აღნიშნავს, რომ მიწის სააგენტო რაიონული სააგენტოს ავტონომიური დეპარტამენტი, რომელიც მთავრობის კონტროლის საფუძველზე ასრულებს ადგილობრივ სახელმწიფო ადმინისტრირებას (იხ. პუნქტები 40-43). რაიონული სააგენტოს უფროსის დანიშვნას კონტროლს უწევს აღმასრულებელი და მისი მრჩევლებიც უფროსს ექვემდებარებიან (იხ., აგრეთვე, საქმეზე *Kadubec v. Slovakia* 1998 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1998-VI, გვ. 2531, პუნქტი 57). ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე მოსმენა საჯარო არ ყოფილა, იგი ღია იყო მხარეებისა და მათი წარმომადგენლებისათვის.

58. სიმართლეა, რომ 1994 წლის 12 ოქტომბრის მინის სააგენტოს გადან-
ყვეტილებები ექვემდებარებოდა სასამართლო გადასინჯვას და განმცხადე-
ბელმა ისინი გაასაჩივრა მუნიციპალურ სასამართლოში და საკონსტიტუციო
სასამართლოში. თუმცა არც ერთმა ამ სასამართლოთაგან არ გამართა საჯარო
მოსმენა. რაც შეეხება მუნიციპალურ სასამართლოში სამართალწარმოებას, სა-
სამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ მოუთხოვია საჯარო მოსმენის
ჩატარება. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, განმცხადებელმა უარი ხომ არ თქვა
მოსმენის უფლებაზე (იხ. ზემოხსენებული გადანყვეტილება საქმეზე *Håkansson
and Stureson*, გვ. 20-21, პუნქტი 67; 1993 წლის 24 ივნისის გადანყვეტილება
საქმეზე *Schuler-Zraggen v. Switzerland*, სერია A № 263, გვ. 19-20, პუნქტი 58;
1993 წლის 21 სექტემბრის გადანყვეტილება საქმეზე *Zumtobel v. Austria*, სერია A
№ 268-A, გვ. 14, პუნქტი 34).

59. სასამართლო აღნიშნავს, რომ მუნიციპალურ სასამართლოს თავისი
გადაწყვეტილება, არ ჩაეტარებინა მოსმენა, იმაზე არ დაუფუძნებია, რომ
განმცხადებელმა იგი არ მოითხოვა. მან *ex officio* განიხილა, კმაყოფილდებოდა
თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე ნაწილის (!) პუნქტში ჩამოთ-
ვლილი პირობები მოსმენის ჩატარების შესახებ და დაასკვნა, რომ ეს ნამდვილად
ახე იყო (იხ. პუნქტი 14). საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა მუ-
ნიციპალური სასამართლოს დასკვნა. ამ გარემოებებში სასამართლო გადამ-
წყვეტ მნიშვნელობას ვერ მიანიჭებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს მოსმენა
ცალსახად არ მოუთხოვია, მან უნდა გააგრძელოს საკითხის დამოუკიდებლად
შეფასება მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

60. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მუნიციპალური
სასამართლოს იურისდიქცია საკითხის მხოლოდ სამართლებრივი შეფასებით არ
შემოიფარგლებოდა, არამედ ასევე ვრცელდებოდა იმის შეფასებაზე, თუ რამ-
დენად მართებულად მოხდა ფაქტების დადგენა ადმინისტრაციული ორგანოს
მიერ. მუნიციპალურ სასამართლოს ასევე შეეძლო, საჭიროების შემთხვევაში,
მტკიცებულების მიღებაც (იხ. პუნქტი 35). თავის მხრივ, მუნიციპალური სა-
სამართლოსადმი განმცხადებლის მიმართვები (იხ. პუნქტი 13) მიუთითებდა,
რომ მის სარჩელს შეეძლო ფაქტობრივი საკითხების დასმაც (იხ. საქმეზე *Fredin
v. Sweden* 1994 წლის 23 თებერვლის გადანყვეტილება, სერია A № 283, გვ. 11,
პუნქტი 22). მუნიციპალური სასამართლოს დასკვნის, რომ ადმინისტრაციული
ორგანოს მიერ ფაქტები მართებულად იქნა დადგენილი, კითხვის ნიშნის ქვეშ
დაყენების გარეშე სასამართლო, ითვალისწინებს რა გადანყვეტილების მნიშვნე-
ლობას განმცხადებლისათვის, ასკვნის, რომ ამ გარემოებებში მე-6 მუხლის
1-ლი პუნქტი მოითხოვს სასამართლოს წინაშე ზეპირ მოსმენას.

61. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ შემდგომი ადმინისტრაცი-
ული სამართალწარმოებისას მინის სააგენტომ, რომლისთვისაც სავალდებულო
იყო მუნიციპალური სასამართლოს 1995 წლის 31 მაისის გადანყვეტილება, არ
დანიშნა საქმის დამატებითი მოსმენა მხარეებთან ერთად. სასამართლო ად-
გენს, რომ თუმცა განმცხადებელს შეეძლო, მოეთხოვა მინის სააგენტოს 1995
წლის 25 ივლისის გადანყვეტილების გადასინჯვა სასამართლოს მიერ, მაგრამ
არარეალურია დავასკვნათ, რომ მუნიციპალური სასამართლოს ადრინდელ
დადგენილებებზე დაფუძნებულ ადმინისტრაციულ გადანყვეტილებასთან და-
კავშირებული ამგვარი გადასინჯვის სამართალწარმოებისას სასამართლო ზე-

პირი მოსმენის ჩატარებას ბრძანებდა იმ მიზნით, რომ არსებითად განეხილა იგივე საკითხები, რომლებზეც მან უკვე დაადგინა, რომ ეს საკითხები ხვდებოდა 250-ე ნაწილის (f) პუნქტის გამოყენების ფარგლებში. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს თავის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში, რომლის მიღებისას მან კარგად იცოდა მინის სააგენტოს 1995 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების შესახებ, არაფერი უთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების შესაძლო სასამართლო გადასინჯვის მიმართ სხვადასხვაგვარი მოსაზრების გამოყენება. ამ გარემოებებში სასამართლო მნიშვნელობას ვერ მიანიჭებს მთავრობის მიერ ხაზგასმული, მინის სააგენტოს ორი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების სავარაუდოდ სხვადასხვა ხასიათს (იხ. პუნქტი 46). სასამართლო იხსენებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე ნაწილის (f) პუნქტი იმ დროისათვის კვლავ ძალაში იყო და საკონსტიტუციო სასამართლომ წამდვილად დაადგინა, რომ მისი გამოყენება განმცხადებლის საქმეში დავას არ იწვევდა.

62. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება ასევე საჯარო მოსმენის გარეშე ჩატარდა. თუმცა ეს სამართალწარმოება, რომელიც საკითხთა კონსტიტუციურობის შეფასებით შემოიფარგლებოდა, არ გულისხმობდა რესტიტუციის შესახებ სამართალწარმოებაში განმცხადებლის სამოქალაქო უფლებების პირდაპირ და სრულ განსაზღვრას. შესაბამისად, ამ პროცესზე საჯარო მოსმენა ვერ გამოასწორებდა სამართალწარმოების გადაწყვეტე ეტაპზე მოსმენის ჩაუტარებლობას, როცა რესტიტუციის შესახებ განმცხადებლის მოთხოვნა არსებითად განიხილებოდა. და ბოლოს, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელი არ იყო ვალდებული, მინის საკუთრების შესახებ კანონის მე-8 ნაწილის თანახმად, წამოეწყო სასამართლო სამართალწარმოება. სასამართლოს წინამდებარე საქმეში აინტერესებს სამართალწარმოება კანონის მე-9 ნაწილის შესაბამისად, რომელიც აქტიურად წარიმართა.

63. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, ვინაიდან განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული რესტიტუციის შესახებ სამართალწარმოებისას არ მომხდარა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე საჯაროდ მოსმენა.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

64. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

65. განმცხადებლის ძმისშვილი, ბ-ნი ბუჩეკი, მატერიალური ზიანისათვის

კომპენსაციის სახით ითხოვდა 1 489 051 ჩეხურ კრონას იმ მიწების საფასურად, რომლებიც განმცხადებელს ველარ დაუბრუნდებოდა, და სარგებლის დაკარგვის საკომპენსაციოდ 588 852 ჩეხურ კრონას 1994 წლის 4 მაისიდან, დღიდან, როცა ლინი —კრასნა ვესის მინისმოქმედების კოოპერატივი შევიდა განმცხადებელთან რესტიტუციის შესახებ გარიგებაში (იხ. პუნქტი 11), 2001 წლამდე.

66. მთავრობა ამტკიცებს, რომ არ არსებობდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი განმცხადებლის ძმისშვილის მიერ მოთხოვნილ თანხასა და რესტიტუციის შესახებ სამართალწარმოებისას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაძლო დარღვევას შორის.

67. სასამართლო პირველ რიგში იხსენებს, რომ წინამდებარე განაცხადის დასაშვებობის განხილვისას მან ცნო ბ-ნი ბუჩეკის *locus standi*, მიჰყოლოდა განაცხადს 1998 წლის 1-ლი მაისიდან; განმცხადებლის გარდაცვალების დღიდან (იხ. პუნქტი 7). სასამართლომ აღნიშნა, რომ ცნობა ბ-ნი ბუჩეკის უფლებამოსილებისა, მიჰყოლოდა განაცხადს არც ერთ შემთხვევაში გავლენას არ ახდენდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საქმის თავდაპირველ ფარგლებზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევებში პირს, რომელიც უფლებამოსილია, გააგრძელოს განმცხადებლის განაცხადი განმცხადებლის სიკვდილის შემდეგ, ასევე შეუძლია განმცხადებლის ნაცვლად დააყენოს მოთხოვნა კონვენციის 41-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის მე-60 წესის შესაბამისად სამართლიან დაკმაყოფილებაზე.

68. სასამართლო აღნიშნავს, რომ თანხა მოთხოვნილია მატერიალური ზიანის გამო იმ მიწების საფასურად, რომლებიც განმცხადებელს აღარ დაუბრუნდა, და ამ მიწების აუთენსიკაბლობით სარგებლის დაკარგვის გამო. განმცხადებლის ძმისშვილი პრინციპში კომპენსაციას ითხოვს მისი ბიძის ქონების ექსპროპრიაციის გამო, რაც, მისი აზრით, უკანონო ქმედება იყო. თუმცა განმცხადებლის საჩივარი კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე დაუშვებლად იქნა მიჩნეული. ერთადერთი საჩივარი, რომელიც სასამართლომ არსებით განხილვაზე დაუშვა, იყო საჩივარი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე საჯარო მოსმენის არარსებობის შესახებ. ამასთან მიმართებაში სასამართლო დარწმუნებული არ არის, დადგებოდა თუ არა იგივე შედეგი, რესტიტუციის შესახებ სამართალწარმოება სხვაგვარად რომ წარმართულიყო, მაგალითად, ეროვნულ სასამართლოებში საჯარო მოსმენა რომ გამართულიყო.

69. უფრო მეტიც, სასამართლო ითვალისწინებს, რომ 1998 წლის 3 ივლისს განმცხადებლის ადვოკატმა, მინის საკუთრების შესახებ კანონის მე-11 ნაწილის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მინის სააგენტოს მიმართა თხოვნით მინის სხვა ნაკვეთების გადაცემით კომპენსაციის თაობაზე და ეს მოთხოვნა ჯერ ისევ განიხილება მინის სააგენტოში (იხ. პუნქტი 18) და არ არის წინამდებარე საჩივრის საგანი.

70. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის ძმისშვილმა ვერ შეძლო მის ჩვენება, რომ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მატერიალური ზიანისათვის იმ მიერ მოთხოვნილ თანხასა და სასამართლოს მიერ დადგენილ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას შორის. შესაბამისად, მატერიალური ზარალის გამო მისი მოთხოვნა უარყოფილი უნდა იქნეს.

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ძმისშვილს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევით მიყენებული არამატერიალური ზიანისათვის

კომპენსაცია არ მოუთხოვია. ნებისმიერ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე ნაწილის (f) პუნქტის გამოყენებას, რაც ხაზს უსვამდა ამ დარღვევას, ზიანი პირადად ბ-ნი ბუჩეკისათვის არ მოიტანია, რადგან ეს დებულება უკვე გაუქმებული იყო საქმეში მისი ჩართვის დროისათვის. ამ გარემოებებში სასამართლო ადგენს, რომ მის მიერ მე-ნ მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის დადგენა თავისთავად საკმარისად სამართლიანი დაკმაყოფილებაა ნებისმიერ არამატერიალურ ზიანთან მიმართებაში, რაც განმცხადებელს ამ დებულების დარღვევით შეიძლებოდა განეცადა.

B. დანახარჯები

72. განმცხადებლის ძმისშვილი სასამართლოს სთხოვდა, მიენიჭებინა მისთვის 340 420,50 ჩეხური კრონა, ნაიგარიშევი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის კურსით, იმ ხარჯებისა და დანახარჯებისათვის, რომლებიც მან გაიღო როგორც ეროვნულ ორგანოებში, ისე კონვენციის ორგანოების წინაშე სამართალწარმოებისას. ბ-ნმა ბუჩეკმა დამატებით აღნიშნა, რომ განმცხადებლის დანახარჯები დაფარული იქნა კომისიის მიერ მისთვის განეული სამართლებრივი დახმარებით (იხ. პუნქტი 2).

73. მთავრობა ამტკიცებდა, რომ თანხა გადამეტებით იყო მოთხოვნილი და განმცხადებლის ძმისშვილმა ვერ აჩვენა, რომ ის ხარჯები და დანახარჯები, რასაც იგი ითხოვდა, აუცილებლობით იყო გამოწვეული. მან ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებელმა და მისმა ძმისშვილმა კონვენციის ორგანოების წინაშე ისარგებლეს სამართლებრივი დახმარებით.

74. სასამართლო ადგენს, რომ, მისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, იმისათვის, რომ ანაზღაურდეს დანახარჯები, დაზარალებულ მხარეს ისინი დახარჯული უნდა ჰქონდეს კონვენციის დარღვევის თავიდან აცილების ან გამოსწორების მიზნით და ეს უნდა დაადგინოს სასამართლომ და გამოასწოროს მდგომარეობა. ასევე ნაჩვენები უნდა იქნეს, რომ ეს დანახარჯები ნამდვილად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული და მოთხოვნილია გონივრული თანხა (სხვა წყაროებს შორის იხ. *Philis v. Greece* (№ 1), 1991 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია A № 209, გვ. 25, პუნქტი 74, და *Nikolova v. Bulgaria*, 1999 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, მოხსენებები განჩინებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, 1997-II, გვ. 227, პუნქტი 79). სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნმა ბუჩეკმა დაადასტურა, რომ მისი ბიძის კონვენციის ორგანოების წინაშე სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დანახარჯები დაფარული იქნა კომისიის მიერ მინიჭებული სამართლებრივი დახმარებით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მემკვიდრეობის შესახებ სამართალწარმოებისას განეული ხარჯები ვერ იქნებოდა დახარჯული იმ დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან გამოსასწორებლად, რომელიც გავლენას ახდენდა რესტიტუციის სამართალწარმოებაზე. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ეს ნაწილი არ უნდა დააკმაყოფილოს. რაც შეეხება ბ-ნი ბუჩეკის წარმომადგენლობას კონვენციის ორგანოების წინაშე, სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი არ არის შეზღუდული შიდასამართლებრივი ფარგლებითა და პრაქტიკით, თუმცა მათგან შეიძლება რაიმე დახმარება მიიღოს (სხვა მრავალ წყაროს შორის იხ. *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, 1995 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, სე-

რია A № 316, გვ. 83, პუნქტი 77, და *Baskaya and Okçuoğlu v. Turkey*, 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, 1999-IV, პუნქტი 98). ითვალისწინებს რა, რომ განაცხადი ნაწილობრივ იქნა დაშვებული და იღებს რა გადაწყვეტილებას სამართლიანობის საფუძველზე, სასამართლო განმცხადებლის ძმისშვილს ანიჭებს მთლიანობაში 85 000 ჩეხურ კრონას კომისიისა და სასამართლოს წინაშე სამართლებრივი დანახარჯებისათვის, 4 100 ფრანგული ფრანკის გამოკლებით, რაც მან მიიღო ევროპის საბჭოსაგან სამართლებრივი დახმარების სახით. ეს თანხა, განმცხადებლის ძმისშვილის სურვილისამებრ, ჩაერიცხება მის ადვოკატს ჩეხეთის რესპუბლიკის საბანკო ანგარიშზე.

C. საურავი

75. სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაციით განაჩენის გამოტანის დღისათვის ჩეხეთში საურავის სახით დაწესებულია წლიური 8%-იანი განაკვეთი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას;
2. ადგენს,
 - (a) რომ დარღვევის დადგენა თავისთავად წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას ნებისმიერი არამატერიალური ზიანისათვის, რაც განმცხადებელს შეიძლება განეცადა ამ დარღვევის შედეგად;
 - (b) რომ მოქმედებებს სახელმწიფო ვალდებულია, სამი თვის ვადაში განმცხადებლის ძმისშვილს გადაუხადოს 85 000 (ოთხმოცდახუთი ათასი) ჩეხური კრონა დანახარჯებისათვის, 4 100 (ოთხი ათას ასი) ფრანგული ფრანკის გამოკლებით, რაც ევროპის საბჭომ უკვე გადაუხადა მას სამართლებრივი დახმარების სახით;
 - (c) რომ ზემოხსენებული სამთვიანი ვადის ამონურვიდან საბოლოო ანგარიშსწორებამდე გადახდილი უნდა იქნეს წლიური 8%-იანი განაკვეთი.
3. არ აკმაყოფილებს განმცხადებლის ძმისშვილის მიერ დაყენებული მოთხოვნის დარჩენილ ნაწილს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გამოცხადებულია საჯარო მოსმენაზე სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, 2001 წლის 12 ივლისს.

ლ. ვილძაბერი

პრეზიდენტი

მ. დე სალივა

მდივანი

მელნიჩენკო უკრაინის წინააღმდეგ

Melnychenko v. Ukraine

გეორგიის სახელმწიფო

განხილვის უწყისი წინააღმდეგ

(განაცხადი № 17707/02)

განაჩენი

სტრასბურგი

2004 წლის 19 ოქტომბერი

საბოლოო

30/03/2005

განაჩენი საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „მელნიჩენკო უკრაინის წინააღმდეგ“,
(*Melnychenko v. Ukraine*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

ბატონი ჯ.პ. კოსტა, თავმჯდომარე,

მოსამართლეები:

ბატონი ა.ბ. ბაკა,
ბატონი ლ. ლუკაიდესი,
ბატონი ჩ. ბირსანი,
ბატონი კ. იუნგვიერტი,
ბატონი ვ. ბუტკევიჩი,
ბატონი მ. უგრეხელიძე,

სექციის რეგისტრატორის მოადგილე ბატონი ტ.ლ. ერლი,

დასაშვებობის შესახებ 2003 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე,

2004 წლის 7 და 28 სექტემბერს ფარული მსჯელობის შედეგად,

2004 წლის 28 სექტემბერს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

პროცედურა

1. საქმეს მსვლელობა მიეცა იმ განაცხადის (№ 17707/02) საფუძველზე, რომელიც სასამართლოში შემოტანილი იქნა უკრაინის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენციის“) 34-ე მუხლის შესაბამისად უკრაინის მოქალაქის — ბატონი მიკოლა ივანეს ძე მელნიჩენკოს (შემდგომში „განმცხადებელი“) მიერ 2002 წლის 23 აპრილს.

2. განმცხადებელი წარმოდგენილი იყო ბატონი სერგი ჰოლოვატიის — უკრაინის ქალაქ კიევში მოქმედი ადვოკატის მიერ. უკრაინის მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი იყო წარმომადგენლების — ქალბატონი ვალერია ლუტკოვსკას და ქალბატონი ზორიანა ბორტნოვსკას მიერ (რომელმაც მოგვიანებით შეცვალა ქ-ნი ლუტკოვსკა).

3. განმცხადებლის მტკიცებით, მის მიმართ დარღვეულია არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლით.

4. განაცხადის განხილვა დაეკისრა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი).

5. 2003 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ განაცხადი დასაშვებად მიიჩნია კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლის საფუძველზე შემოტანილ საჩივართან მიმართებაში.

6. განმცხადებელმაც და მთავრობამაც წარმოადგინეს თავიანთი მიმოხილვები დავის არსებით საგანთან დაკავშირებით (რეგლამენტის 59-ე მუხლის პირველი პუნქტი). პალატამ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ დაასკვნა, რომ დავის არსებით საგანზე არ იყო საჭირო მოსმენის ჩატარება (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი), ამიტომ მხარეებმა წერილობით გასცეს პასუხი ერთმანეთის მიერ წარმოდგენილ მიმოხილვებს.

შაქტები

7. განმცხადებელი — ბატონი მიკოლა ივანეს ძე მელნიჩენკო — დაბადებულია 1966 წლის 18 ოქტომბერს კიევის რეგიონის ვასილკივის რაიონის სოფელ ზაპადინკაში. ამჟამად ის ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სარგებლობს ლტოლვილის სტატუსით.

8. განმცხადებელი მსახურობდა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უსაფრთხოების დეპარტამენტში. მას ევალებოდა პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტის დაცვა. მუშაობის პერიოდში მან სავარაუდოდ გააკეთა აუდიოჩანაწერები პრეზიდენტის პირადი საუბრებისა მესამე პირებთან, პრეზიდენტის შესაძლო მონაწილეობაზე უზრუნველსტ გიორგი ლონლაძის გაუჩინარებაში.

9. ბატონი ლონლაძე ეწეოდა უზრუნველსტურ საქმიანობას პოლიტიკურ საკითხებზე და იყო ინტერნეტურულ „უკრაინსკაია პრადესა“ მთავარი რედაქტორი. იგი ცნობილი იყო ხელისუფლებაში მყოფ პირთა კრიტიკით და სი-

ტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო კამპანიებში მონაწილეობით როგორც უკრაინაში, ისე საზღვარგარეთ. მისი გაუჩინარება მოხდა 2000 წლის 16 სექტემბერს, მანამდე კი იგი თვეების განმავლობაში ჩიოდა, რომ ემუქრებოდნენ და უთვალთვალებდნენ. 2000 წლის 2 ნოემბერს კიევის რეგიონში, ქალაქ ტარაშჩას მახლობლად, ნაპოვნი იქნა უცნობი პირის თავმოჭრილი სხეული, შემდგომში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების მიერ იდენტიფიცირებული, როგორც ბატონი ლონლაძის სხეული. მისმა ქვრივმა სასამართლოს მიმართა განაცხადით (№ 34056/02).

I. საქმის ბარემოიზაბი

A. საქმის კონტექსტი

10. 2000 წლის 26 ნოემბერს განმცხადებელმა დატოვა უკრაინა, რადგან ეშინოდა პოლიტიკური დევნისა მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული აუდიოჩანაწერები საჯაროდ ცნობილი გახდა.

11. 2000 წლის 28 ნოემბერს უკრაინის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ, ბატონმა ო. მოროზმა საჯაროდ განაცხადა უკრაინის პარლამენტის, ვერხოვნა რადას (*Верховна Рада України*) სხდომაზე ისეთი აუდიოჩანაწერების არსებობის შესახებ, რომლებიც საიდუმლოდ იქნა გაკეთებული პრეზიდენტის კაბინეტში და ადასტურებდა პრეზიდენტის და მალალი თანამდებობის სხვა პირების მონაწილეობას გიორგი ლონლაძის გაუჩინარებაში. ორგანიზაცია "Reporters sans frontières"-ის 2001 წლის 22 იანვრის ანგარიშის თანახმად, ჩანერილი საუბრები შეეხებოდა ბატონი ლონლაძის თავიდან მოშორების სხვადასხვა გზებს. ერთ-ერთ საუბარში, სავარაუდოდ პრეზიდენტსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის, მინისტრი ამბობს, რომ იცნობს ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ ამ დავალების შესრულება; ამ ადამიანებს იგი „ნამდვილ არწივებს“ უწოდებს და ამბობს, რომ ისინი მზად არიან, ყველანაირი დავალება შეასრულონ („ნამდვილი არწივები“ სავარაუდოდ იყო უშიშროების ყოფილი თუ ახლანდელი თანამშრომლების უკანონო დაჯგუფება). ამ საკითხის სააშკარაოზე გამოტანამ დიდი პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია.

12. ორი დღის შემდეგ, 2000 წლის 30 ნოემბერს, ქალაქ კიევის პეჩორის რაიონულმა სასამართლომ დაიწყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება ბატონი ო. მოროზის წინააღმდეგ, აუდიოკასეტების სახით ცილისმწამებლური ცნობების გავრცელების საფუძველით.

13. განმცხადებელი უკრაინიდან გაიქცა. მაგრამ მას ჯერ კიდევ ჰქონდა შიდა პასპორტი, რომელშიც აღნიშნული იყო კიევი მისი რეგისტრაციის ადგილი ადმინისტრაციული მიზნებისთვის (ე.წ. „ჩანერა“, როგორც მას იმ დროს ეწოდებოდა. იხ. ქვემოთ, პუნქტები 40-42).

14. განმცხადებელმა ამერიკის შეერთებულ შტატებში (შემდგომში „აშშ“) მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. 2001 წლის 27 აპრილს აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურმა განმცხადებელი ცნო ლტოლვილად ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის გაერო-ს

კონვენციის საფუძველზე (შემდგომში „უენევის კონვენცია“). აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ განმცხადებლისთვის გასცა სამგზავრო დოკუმენტი და მიანიჭა მას აშშ-ში განუსაზღვრელი ვადით დარჩენის უფლება.

15. 2001 წლის 4 იანვარს გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა განმცხადებლის წინააღმდეგ იმ საფუძველით, რომ განმცხადებელმა ცილისმწამებლური ცნობები გაავრცელა უკრაინის პრეზიდენტის ბატონი ლ. კურმას, აგრეთვე ბატონი ვ. ლიტვინის და ბატონი ი. კრაჟჩენკოს წინააღმდეგ, რომლებიც საქმისთვის მნიშვნელოვან დროს იყვნენ შესაბამისად უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი. საქმე აღძრა ასევე დოკუმენტის გაყალბების საფუძველით, კერძოდ, ოფიციალური განცხადებისა, რომელიც განმცხადებელმა შეიტანა პასპორტის ასაღებად და რომელშიც არ მიუთითა, რომ მას სამსახურებრივი მდგომარეობის გამო დაშვება ჰქონდა გარკვეული კატეგორიის სახელმწიფო საიდუმლოებებთან (იხ. ქვემოთ, 34-ე პუნქტი). იმავე დღეს გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა გასცა განმცხადებლის ძებნის ორდერი.

16. 2001 წლის 14 თებერვალს გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა სისხლის სამართლის კიდევ სხვა საქმე აღძრა განმცხადებლის წინააღმდეგ, მის მიერ სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფუძველით. 2001 წლის 15 თებერვალს განმცხადებელს ოფიციალურად წარედგინა ბრალი ოთხივე დანაშაულში ერთობლივად. 2001 წლის 19 ოქტომბერს გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა ხელახლა გამოსცა საბრალდებო დასკვნა სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შესაბამისად. ახალი საბრალდებო დასკვნიდან ცილისმწამებლური ცნობების გავრცელების ბრალდება ამოღებული იყო, რადგან სისხლის სამართლის ახალი კოდექსით ამ დანაშაულის დეკრიმინალიზაცია მოხდა. 2002 წლის 24 იანვარს ქალაქ კიევის პეჩორის რაიონის სასამართლომ განმცხადებლის დაუსრებლად გასცა მისი დაპატიმრების ბრძანება და შეუფარდა წინასწარი პატიმრობა.

B. ფაქტები, რომლებიც საფუძველად დაედო განმცხადებლის საჩივარს

17. 2002 წლის 12 იანვარს უკრაინის სოციალისტური პარტიის მე-9 კონგრესზე განმცხადებელი დასახელდა №15 კანდიდატად ვერხოვნა რადაში სოციალისტური პარტიიდან ასარჩევ სიაში.

18. 2002 წლის 22 იანვარს სოციალისტურმა პარტიამ განმცხადებლის კანდიდატურა წარუდგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (*Центральна Виборча Комісія*) კანდიდატად მისი ოფიციალური რეგისტრაციისთვის. რეგისტრაციის განცხადებაში უკრაინაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილის მისამართის სახით მითითებული იყო განმცხადებლის ჩანერის მისამართი.

19. 2002 წლის 26 იანვარს უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოიტანა დადგენილება №94 „2002 წლის 31 მარტის ვერხოვნა რადას არჩევნებში სახალხო წარმომადგენლობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“.

20. დადგენილება ეფუძნებოდა განმცხადებლის რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული განხილვის სტენოგრაფიულ ჩანაწერს და მიღებული იქნა ქალბატონი ი. სტავნიუჩუკის — ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის —

რეკომენდაციით. ქ-ნი სტავნიუჩუკი აცხადებდა, რომ განმცხადებელს რეგისტრაციაზე უარი უნდა ეთქვას შემდეგი მიზეზების გამო:

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ უკრაინის ვერხოვნა რადას არჩევნების შესახებ კანონის II ნაწილის მე-8 მუხლი, რომელიც შეეხება საცხოვრებელ ადგილს უკრაინის მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით, არ ვრცელდება მ.ი. მელნიჩენკოზე.

იურიდიული თვალსაზრისით, ის ფაქტი, რომ მ.ი. მელნიჩენკო იმყოფება აშშ-ში, ართმევს მას უფლებას, ცნობილი იქნეს უკრაინაში მუდმივ მცხოვრებად, რაც გათვალისწინებულია ... კანონის მე-8 მუხლით.

... მ.ი. მელნიჩენკო საზღვარგარეთ იმყოფება სხვა მიზეზით; ეს მიზეზი კი გათვალისწინებული არ არის ... კანონის II ნაწილის მე-8 მუხლით.

... უკრაინაში ცხოვრების პერიოდის ნებისმიერი შეწყვეტა არა ერთ-ერთით იმ საფუძვლებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია ... კანონის II ნაწილის მე-8 მუხლით, გამორიცხავს შესაბამისი პირის მიერ უკრაინის ვერხოვნა რადაში არჩევის უფლების განხორციელების შესაძლებლობას, რადგან ასეთი შეწყვეტა არ ითვლება უკრაინაში ცხოვრებად.

... ამ ფაქტორის გათვალისწინებით და, აგრეთვე, ვინაიდან მ.ი. მელნიჩენკომ არასწორი ინფორმაცია წარმოადგინა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, რაც დადგენილია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, ჩვენი წინადადებაა, კომისიამ უარი უთხრას მ.ი. მელნიჩენკოს უკრაინის ვერხოვნა რადას არჩევნებში ნევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე ...“.

21. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაიზიარა ქალბატონი ი. სტავნიუჩუკის წინადადება და უარი უთხრა 13 პოტენციურ კანდიდატს, მათ შორის განმცხადებელს, რეგისტრაციაზე. კერძოდ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

„... 2. უარი ეთქვას უკრაინის ვერხოვნა რადას 2002 წლის 31 მარტის არჩევნებში სახალხო წარმომადგენლობის კანდიდატთა სიაში მე-15 ნომრით განსაზღვრულ პირს — მიკოლა ივანეს ძე მელნიჩენკოს — უკრაინის ვერხოვნა რადას მრავალმანდატიან საერთო-სახელმწიფოებრივ არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციაზე; აღნიშნული პირის მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს არასებითად მცდარ ინფორმაციას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისი საცხოვრებელი ადგილისა და ცხოვრების დროის შესახებ“.

22. კომისიამ აღნიშნული საკითხის განხილვისას განმცხადებლის სიტუაცია განასხვავა ვინმე ბატონი ი.მ. ზვიაპილსკის სიტუაციისაგან, რომელსაც მიეცა პარლამენტის ნევრობის კანდიდატად რეგისტრაციის უფლება წინა არ-

ჩვენებში, როდესაც სხვა საარჩევნო ნესები იყო ძალაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირი ორი წლის განმავლობაში დროებით იმყოფებოდა ისრაელში სამკურნალოდ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ბატონი ი.მ. ზვიპილსკი, რომელიც სისხლის სამართლის წესით იდევნებოდა უკრაინის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად მისი მუშაობის პერიოდში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის, ისრაელში გაიქცა საპარლამენტო იმუნიტეტის ამონურვამდე.

23. დანარჩენ 12 კანდიდატს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე რეგისტრაციისთვის აუცილებელი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის გამო.

24. 2002 წლის 30 იანვარს სოციალისტურმა პარტიამ უკრაინის უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2002 წლის 26 იანვრის №94 დადგენილება და მოითხოვა მისი უკანონოდ და ბათილად ცნობა.

25. 2002 წლის 8 თებერვალს უკრაინის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო:

„... მ.ი. მელნიჩენკოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უკრაინაში ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მითითებული იყო აღნიშნულ დოკუმენტებში, სადავოდაა მიჩნეული ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სასამართლოს მიერ. ეს ინფორმაცია არსებითად არ შეიცავს სიმართლეს უკრაინის ვერხოვნა რადას არჩევნებში კანდიდატის შესახებ და, შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2002 წლის 26 იანვრის № 94 დადგენილების მე-2 პუნქტი შეესაბამება უკრაინის ვერხოვნა რადას სახალხო წარმომადგენლობის წევრობის არჩევნების შესახებ კანონის // ნაწილის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და მათ საფუძველზე, ... სასამართლომ დაადგინა:

არ დაკმაყოფილდეს უკრაინის სოციალისტური პარტიის სარჩელი უკრაინის ვერხოვნა რადას მრავალმანდატიან საერთო სახელმწიფოებრივ არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2002 წლის 26 იანვრის №94 დადგენილების მე-2 პუნქტთან დაკავშირებით.“

26. 2002 წლის 21 ნოემბერს განმცხადებელმა შეატყობინა სასამართლოს, რომ იგი ცხოვრობს აშშ-ში, სადაც აქვს ლტოლვილის სტატუსი. ვინაიდან მისი საქმე ფართოდ იქნა გაშუქებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, აღნიშნულის შესახებ უკრაინის საზოგადოება ინფორმირებული იყო.

II. შესაბამისი საერთაშორისო სამართალი, შიდასახელმწიფოებრივი სამართალი და პრაქტიკა

A. ლტოლვილთა საარჩევნო უფლების შეზღუდვა საერთაშორისო სამართალში

27. 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (რომლის მონაწილეა უკრაინა) 25-ე მუხლით მოქალაქეებისთვის გარანტირებულია ხმის მიცემის და საჯარო სამსახურში ასარჩევად კენჭისყრის უფლება.

28. რაც შეეხება ლტოლვილთა მონაწილეობას მათი წარმოშობის ქვეყანაში მიმდინარე არჩევნებში, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, აღნიშნა რა თავის 25-ე ზოგად კომენტარში (1996 წ.) სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლთან დაკავშირებით, რომ 25-ე მუხლი კრძალავს მოქალაქეთა თვითნებურ დისკრიმინაციას, მიიჩნია, რომ რეგისტრაციის მოთხოვნა, რომელიც დამოკიდებულია საცხოვრებელზე, დასაბუთებული და გამართლებულია. ამდენად, სახელმწიფოებს აქვთ უფლება, საარჩევნო უფლება შეზღუდონ იმ მოქალაქეებამდე, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრობენ მათ ტერიტორიაზე. იმავე კომენტარში ასევე ნათქვამი იყო:

„... 15. პასიური საარჩევნო უფლება და შესაძლებლობა უზრუნველყოფს იმას, რომ ხმის მიცემის უფლების მქონე პირებს ჰქონდეთ კანდიდატთა თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა. პასიური საარჩევნო უფლების ნებისმიერი შეზღუდვა, როგორცაა მინიმალური ასაკი, დაფუძნებული უნდა იყოს ობიექტურ და გონივრულ კრიტერიუმებზე. პირები, რომლებსაც აქვთ პასიური საარჩევნო უფლება, არ უნდა გამოირიცხონ არაგონივრული ან დისკრიმინაციული მოთხოვნების გამო, როგორცაა განათლება, საცხოვრებელი ადგილი და წარმოშობა ან პოლიტიკური კუთვნილება. დაუშვებელია ვინმე დაექვემდებაროს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას ან არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პირი კანდიდატია. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დააკანონონ და განმარტონ ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც გამორიცხავენ არჩევით თანამდებობაზე პირთა რომელიმე ჯგუფის ან კატეგორიის არჩევის შესაძლებლობას.“

B. ამონარიდები ვენეციის კომისიის 51-ე პლენარულ სხდომაზე (2002 წლის 5-6 ივლისი) მიღებული საარჩევნო სახელმძღვანელო წესებიდან

29. 2002 წლის 5-6 ივლისის საარჩევნო სახელმძღვანელო წესების შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

ევროპის საარჩევნო მექანიზმების პრინციპები (განმარტებითი ბარათის პროექტი)

„... მესამე, აქტიური საარჩევნო უფლება და პასიური საარჩევნო უფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ მოთხოვნებს, ... საცხოვრებელ ადგილში ივლისისხმება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. ... ძალიან ცოტა სახელმწიფო თუ ანიჭებს საზღვარგარეთ მცხოვრებ მის მოქალაქეებს ხმის მიცემის უფლებას და თვით პასიურ საარჩევნო უფლებასაც კი. ... რეგისტრაცია უნდა მოხდეს ამომრჩევლის მეორად საცხოვრებელ ადგილზე, თუ იგი ძირითადად ამ მეორად საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრობს და, მაგალითად, იქ იხდის გადასახადებს; ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ამომრჩეველი პირველად საცხოვრებელ ადგილზე არ უნდა დარეგისტრირდეს.

ქვეყანაში მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების უფლება ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, რომელიც აუცილებელია ნამდვილი დემოკრატიული არჩევნებისთვის. მაგრამ თუ ადამიანების გადაადგილება მოხდა მათი ნების საწინააღმდეგოდ, ისინი გარკვეული ვადით უნდა ჩაითვალოს თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილზე მაცხოვრებლებად. ეს შესაძლებლობა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებს უნდა ჰქონდეთ სულ ცოტა ხუთი და არაუმეტეს თხუთმეტი წლის განმავლობაში.

და ბოლოს, შეიძლება დადგინდეს პოლიტიკური უფლებების მოქმედების შემაჩერებელი დებულებები. მაგრამ ასეთი დებულებები უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი უფლებების შეზღუდვის ჩვეულებრივ პირობებს. კერძოდ, ეს დებულებები

- გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით;
- უნდა ითვალისწინებდეს პროპორციულობის პრინციპს;
- უნდა ეფუძნებოდეს ქმედუწუნარობას ან მძიმე დანაშაულში ნასამართლობას.

გარდა ამისა, პოლიტიკური უფლებების შეჩერება შეიძლება მოხდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუმცა ქმედუწუნარობის საფუძველით პოლიტიკური უფლებების შეჩერების შემთხვევაში სასამართლომ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიტანოს ქმედუწუნარობასთან დაკავშირებით, რაც ავტომატურად გამოინვეეს სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევას.

პასიური უფლების შეჩერების პირობები შეიძლება ნაკლებად მკაცრი იყოს, ვიდრე მისი ჩამორთმევის პირობები, რადგან საქმე ეხება საჯარო სამსახურს, ხოლო ამ შემთხვევაში შეიძლება ლეგიტიმური იყოს ამ სამსახურზე უარის თქმა ისეთი პირებისათვის, რომელთა საქმიანობამაც შეიძლება უფრი დიდი საჯარო ინტერესი დააზიანოს.“

C. სახელმწიფოთა პრაქტიკა საცხოვრებელი ადგილის მოთხოვნასთან დაკავშირებით აქტიური საარჩევნო უფლების შემთხვევაში

30. არ არსებობს რაიმე ერთიანი სახელმწიფო პრაქტიკა საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების მიერ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მართალია, ბევრი სახელმწიფო არ აწესებს საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმს (მაგალითად, გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, კვიპროსი, ფინეთი, იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, პოლონეთი, ნიდერლანდები, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესპანეთი, პორტუგალია, ესტონეთი, ლატვია, ხორვატია, მოლდოვა, შვეიცარია, ავსტრია და თურქეთი), მაგრამ სხვა სახელმწიფოები აგრძელებენ ამ კრიტერიუმის გამოყენებას საპრეზიდენტო არჩევნებში (მაგალითად, გერმანია, ბულგარეთი, მაკედონია, აზერბაიჯანი, ალბანეთი და რუსეთი) ან საპარლამენტო არჩევნებში (მალტა და ისლანდია — საპრეზიდენტო სისტემები; ლიხტენშტეინი, ბელგია, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია და შვედეთი — არასაპრეზიდენტო სისტემები) ან ორივე ტიპის არჩევნებში (მაგალითად, უნგრეთი, სლოვაკეთი, სომხეთი, რუმინეთი, საქართველო, ლიტვა და უკრაინა).

D. უკრაინის 1996 წლის კონსტიტუცია

31. უკრაინის კონსტიტუციის შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

მუხლი 8

„... უკრაინის კონსტიტუციას ყველაზე მაღალი იურიდიული ძალა აქვს.

... უკრაინის კონსტიტუციის ნორმები მოქმედებს უშუალოდ...“

მუხლი 9

„საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ძალაშია და სავალდებულოდ აღიარებულია უკრაინის ვერხოვნა რადას მიერ, წარმოადგენს უკრაინის კანონმდებლობის ნაწილს. ...“

მუხლი 22

„... კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია და მათი გაუქმება დაუშვებელია. ...“

მუხლი 24

„... დაუშვებელია პრივილეგიების ან შეზღუდვების არსებობა ... პოლიტიკური ... და სხვა მრწამსის -, [ან] საცხოვრებელი ადგილის მოტივით ...“

მუხლი 38

„მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების მართვაში, საერთო სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ რეფერენდუმებში, თავისუფლად აირჩიონ ან არჩეულ იქნენ სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოებში, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.“

მოქალაქეებს თანასწორი ხელმისაწვდომობის უფლება აქვთ სამოქალაქო სამსახურზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სამსახურზე.“

მუხლი 64

„დაუშვებელია ადამიანის და მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა, გარდა უკრაინის კონსტიტუციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

საომარი ან საგანგებო მდგომარეობისას შეიძლება დანესდეს კონკრეტული შეზღუდვები უფლებებსა და თავისუფლებებზე, ამ შეზღუდვების მოქმედების ვადის მითითებით. დაუშვებელია კონსტიტუციის 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე, მე-40, 47-ე, 51-ე, 52-ე, 55-ე, 56-ე, 57-ე, 58-ე, 59-ე, მე-60, 61-ე, 62-ე და 63-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა.“

მუხლი 76

„... უკრაინის მოქალაქეს, რომელმაც არჩევნების თარიღისთვის მიაღწია 21 წლის ასაკს, აქვს უფლება, აირჩიოს და, თუ იგი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა უკრაინის ტერიტორიაზე, არჩეული იქნეს ვერხოვნა რადაში ...“

პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულის გამო, ვერ იქნება არჩეული უკრაინის ვერხოვნა რადაში, თუ ნასამართლობა გაბათილებული არა აქვს კანონით დადგენილი წესით...“

მუხლი 77

„... ვერხოვნა რადას სახალხო წარმომადგენელთა არჩევის წესი ... დადგენილია კანონით.“

E. 1997 წლის 17 დეკემბრის კანონი უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესახებ

32. უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესახებ 1997 წლის 17

დეკემბრის კანონის შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

მუხლი 1
ცენტრალური საარჩევნო კომისიის სტატუსი

„ცენტრალური საარჩევნო კომისია არის მუდმივმოქმედი სახელმწიფო ორგანო, რომელიც, უკრაინის კონსტიტუციის, ამ კანონის და უკრაინის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, უზრუნველყოფს უკრაინის პრეზიდენტის, უკრაინის ვერხოვნა რადას სახალხო წარმომადგენლების არჩევნების, აგრეთვე საერთო სახელმწიფოებრივი რეფერენდუმების ორგანიზაციას, მომზადებას და ჩატარებას.“

მუხლი 14(11)
ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებები

„ცენტრალური საარჩევნო კომისია: ...

(11) უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციაში ატარებს უკრაინის ვერხოვნა რადას ნევრობის კანდიდატთა სიებს პოლიტიკური პარტიებიდან ან პარტიების საარჩევნო ჯგუფებიდან და პოლიტიკურ პარტიებზე და საარჩევნო ჯგუფებზე გასცემს სიების რეგისტრაციის შესახებ გადანყვეტილების ასლს; ასევე, კანდიდატებზე გასცემს მათი რეგისტრაციის დამადასტურებელ ოფიციალურ საბუთს.“

F. 1963 წლის 18 ივლისის სამოქალაქო კოდექსი*

33. სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

მუხლი 17(1)
საცხოვრებელი ადგილი

„საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, სადაც მოქალაქე მუდმივად ან დროებით ცხოვრობს.“

G. სახელმწიფო საიდუმლოების მნიშვნელობა საპასპორტო განცხადებებისთვის

34. კანონი უკრაინის მოქალაქეთა უკრაინაში შესვლის და უკრაინიდან გასვლის წესის შესახებ შეიცავს მითითებას სახელმწიფო საიდუმლოებათა შესახებ კანონის მე-12 მუხლზე. პირები, რომლებსაც აქვთ დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან, უფრო მკაცრად კონტროლდებიან საგარეო პასპორტის აღებაზე ან საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად წასვლაზე განცხადების შეტანის შემთხვევაში. შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო დაზვერვის

* რომელიც ძალაში იყო საქმისთვის მნიშვნელოვან დროს

სამსახურთან ერთად სისტემატურად ამონმებს საგარეო პასპორტის ალბაზე განცხადების შემტან ყველა პირს.

**ნ. 2001 წლის 18 ოქტომბრის კანონი არჩევნების შესახებ
(2002 წლის 17 იანვრის ცვილილებებით)**

35. არჩევნების შესახებ კანონის შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

**მუხლი 8
აქტიური საარჩევნო უფლება**

„1. უკრაინის მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს არჩევნების დღისთვის, აქვს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება და [თუ იგი] ცხოვრობდა უკრაინის ტერიტორიაზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, აქვს უფლება, არჩეული იქნეს პარლამენტის წევრად.

2. ამ კანონის მიზნებისთვის უკრაინაში ცხოვრებად ითვლება ცხოვრება მის ტერიტორიაზე, რომელშიც შედის: უკრაინის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ტერიტორია, უკრაინის სახელმწიფო დროშით მოცურავე გემები და უკრაინის დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და მათ ორგანოებში, უკრაინის პოლარულ სადგურებზე კანონით დადგენილი წესით უკრაინის მოქალაქეების ადგილსამყოფელი, აგრეთვე უკრაინის მოქალაქეთა ადგილსამყოფელი უკრაინის საზღვრებს გარეთ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია შესული უკრაინისთვის.“

**მუხლი 41
პარტიის საარჩევნო სიაში მყოფი პარლამენტის წევრის
რეგისტრაციის პირობები**

„... 8) პარტიის (ბლოკის) საარჩევნო სიაში მყოფი პირის ბიოგრაფია, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2000 სიმბოლოს, უნდა შეიცავდეს: სახელს, გვარს, მამის სახელს, დაბადების დღეს, თვეს, წელს და ადგილს, მოქალაქეობას, ინფორმაციას განათლების, შრომითი საქმიანობის, პროფესიონის, სამუშაო ადგილის, საჯარო სამსახურში (მათ შორის არჩევით თანამდებობებზე) ყოფნის, პარტიის წევრობის, ოჯახური მდგომარეობის შესახებ, საცხოვრებელი ადგილის მისამართს უკრაინაში ცხოვრების ხანგრძლივობის [და, არსებობის შემთხვევაში,] ნასამართლობის ... მითითებით;“

**მუხლი 47
პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმა**

„საარჩევნო კომისია უარს ეტყვის პირს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე, თუ: ...

4) ... ამ კანონის 41-ე მუხლით ... გათვალისწინებული დოკუმენტაცია არასათანადოდაა წარმოდგენილი..."

6) არჩევნებში კანდიდატად დასახელებული პირი ემიგრირებულია უცხო ქვეყანაში მუდმივად საცხოვრებლად;

8) შესაბამისი საარჩევნო კომისია დაადგენს, რომ კანონის საფუძველზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული იყო არსებითად მცდარი ინფორმაცია ..."

I. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (2002 წლის 7 მარტის ცვლილებებით)

36. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

მუხლი 243(16)

განსჯადობა საჩივრებზე ან სააპელაციო საჩივრებზე

„საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებთან, მოქმედებებთან ან უმოქმედობებთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს უკრაინის უზენაესი სასამართლო.“

მუხლი 243(17)

საჩივრის ან სააპელაციო საჩივრის შეტანა

„საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებთან, მოქმედებებთან ან უმოქმედობებთან, გარდა ამ კოდექსის "30-ნ" და "30-ბ" თავებში განსაზღვრული შემთხვევებისა, დაკავშირებული საჩივრები შეიტანება უკრაინის უზენაეს სასამართლოში 7 დღის ვადაში საარჩევნო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანიდან ან მოქმედების ან უმოქმედობის განხორციელებიდან. საარჩევნო პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ, უკრაინის უზენაეს სასამართლოს მიმართონ საჩივრით, თუ ისინი თვლიან, რომ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, მოქმედებით ან უმოქმედობით დაირღვა მათი უფლებები ან სამართლებრივი ინტერესები.“.

მუხლი 243(20)

[უზენაესი] სასამართლოს გადაწყვეტილება

„საჩივრის განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება. თუ საჩივარი დასაბუთებულია, სასამართლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოქმედებას ან უმოქმედობას ცნობს უკანონოდ, აუქმებს გადაწყვეტილებას, აკმაყოფილებს მომჩივანის საჩივარს და გამოასწორებს დარღვევას. თუ დადგინდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მოქმედების შესაბამისობა კანონ-

თან, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ...”

J. 2002 წლის 10 იანვრის კანონი „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციასთან და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ოქმთან მიერთების თაობაზე“

37. 2002 წლის 10 იანვრის აღნიშნული კანონის შესაბამის ნაწილში ვკითხულობთ:

„უკრაინის ვერხოვნა რადა ადგენს, მიუერთდეს 1951 წლის კონვენციას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და 1967 წლის ოქმს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ.“

ოქმის სარატიფიკაციო დოკუმენტი ჩაბარდა 2002 წლის 4 აპრილს და ძალაში შევიდა იმავე დღეს. კონვენციის სარატიფიკაციო დოკუმენტი ჩაბარდა 2002 წლის 10 ივნისს და ძალაში შევიდა 2002 წლის 8 სექტემბერს.

K. უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება (№ 4-Y/2002)

38. 2002 წლის 14 მარტის ზემოხსენებული გადაწყვეტილების შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

„უკრაინის კანონი მოქალაქეობის შესახებ განსაზღვრავს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე უწყვეტი ცხოვრება ნიშნავს პირის ცხოვრებას უკრაინაში, თუ მის მიერ საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობა არ აღემატება 90 დღეს, ხოლო მთელი წლის განმავლობაში - 180 დღეს. უწყვეტი ცხოვრების მოთხოვნა არ უნდა ჩაითვალოს დარღვეულად, თუ პირი იმყოფება საქმიანი ვიზიტით, სწავლობს საზღვარგარეთ, მკურნალობს სამედიცინო დაწესებულების რეკომენდაციით ან იცვლის საცხოვრებელ ადგილს უკრაინის ტერიტორიაზე (ზემოხსენებული კანონის პირველი მუხლი) ...“

L. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

39. უზენაესი სასამართლოს სამოსამართლო პრაქტიკის შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

1. უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება ბატონი ვიქტორ ჩაიკას საქმეზე

„პარლამენტის ნევრობის კანდიდატის შესახებ ინფორმაციის არსებითი მცდარობა დაკავშირებული უნდა იყოს განზრახ მოქმედებასთან, რომლის მიზანია, დაუმალოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ამომრჩევლებს

ქეშმარიტი ინფორმაცია, რომელიც გამოიწვევდა ამ პირის გამორიცხვას არჩევნებიდან ...”

2. უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება ბატონი იური ბუზღუგანის საქმეზე

„ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი საკანცელარიო შეცდომა არ არის უკრაინის პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველი.“

3. უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება ბატონი ოლეკსანდრ ვასკოს საქმეზე

„ინფორმაციის არსებითი მცდარობა ... შეიძლება უკავშირდებოდეს ... კანდიდატის ბიოგრაფიას ან ფინანსურ მდგომარეობას ... რომელმაც შეიძლება ამომრჩევლებს შეუქმნას არასწორი მოსაზრება მოცემული კანდიდატის ღირსეულობის, კვალიფიკაციის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ან ფინანსური შესაძლებლობების შესახებ. მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიის დასკვნა ასეთი ინფორმაციის არსებითი მცდარობის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოყვანილი სრული ინფორმაციის მთლიანობაში შეფასების შედეგებს და იმ გარემოებებს, რომლებმაც გამოიწვია მცდარი ინფორმაციის მიწოდება.“

4. უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება ბატონი სტეფან ხმარას საქმეზე

„... კანდიდატის მიერ წარმოდგენილი მცდარი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მისი გამორიცხვა პარლამენტის სახალხო წარმომადგენელთა არჩევნებში მონაწილეობისგან, შეიძლება უკავშირდებოდეს მის ასაკს, მოქალაქეობას, უკრაინაში ცხოვრების ხანგრძლივობას ან მის სასამართლობას განზრახ ჩადენილი დანაშაულების გამო... სასამართლოს მიაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ქონების სიაში მის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადგილების შეუტანლობა ... არ წარმოადგენს ისეთ არსებითად მცდარ ინფორმაციას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს არჩევნებში კანდიდატად მისი რეგისტრაციის გაუქმება.“

M. ცხოვრებასთან დაკავშირებული დებულებები

40. არჩევნებში მონაწილეობის კანდიდატების მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსების შესახებ 2001 წლის 28 დეკემბრის რეკომენდაციის¹ შესაბამის ამონარიდებში ვკითხულობთ:

„B. რეკომენდაცია შევსების მეთოდთან დაკავშირებით ...

... 1.2. ეს პუნქტი [საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით] უნდა შეივსოს ჩანერის ან დროებითი ჩანერის (რეგისტრაციის) ადგილის მიხედვით, რომელიც მითითებულია [მოქალაქის ჩვეულებრივ] პასპორტში.“

41. სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის წესები მოითხოვს, რომ მოქალაქემ მიუთითოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ჩანერის ადგილი, რომელიც მითითებულია პასპორტში). მსგავსი მოთხოვნები მოიპოვება ასევე უმუშევრობის შემწეობის მიღების, მოსახლეობის აღრიცხვის, პასპორტების გაცემისა და სხვა წესებში.

N. იურიდიული თეორია და პრაქტიკა

42. კორექციის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის (მეცნიერებათა ეროვნული აკადემია) — სამართლის საკითხებზე მომუშავე ცნობილი დანესებულების — განმარტების მიხედვით, პასპორტი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის ვინაობას, უკრაინის მოქალაქეობას და მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. პირი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უკრაინაში მცხოვრებად უნდა ჩაითვალოს, თუ მას აქვს პასპორტი, რომელშიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მითითებულია ჩანერის ადგილი. არც კონსტიტუცია და არც კანონი არჩევნების შესახებ არ მოითხოვს ინფორმაციას ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, არამედ მხოლოდ ოფიციალური საცხოვრებელი ადგილის შესახებ, პასპორტში მითითებული ჩანერის ადგილის მიხედვით. ეს მოსაზრება დაადასტურა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატამ 1998 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებაში № 6-110y98 საქმეზე:

„პარლამენტის წევრის, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ან არჩევნებთან მიმართებაში სხვა პირის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით შეკრებილ დოკუმენტირებულ მონაცემებს, რადგან ეს არის ძირითადი მონაცემები ამ პირის შესახებ ...

¹ სრული დასახელება: ევროვნა რადას წევრობის კანდიდატის და მისი ოჯახის წევრების ქონების და შემოსავლების დეკლარაცია 2001 წლის მდგომარეობით და მისი შევსების მეთოდის შესახებ რეკომენდაცია, დამტკიცებული უკრაინის ფინანსთა მინისტრის 2001 წლის 28 დეკემბრის № 611 ბრძანებით, რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროში 2002 წლის 2 იანვარს ნომრით 1/6289.

... პასპორტი არის ზოგადი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის ვინაობას, უკრაინის მოქალაქეობას და მოქალაქის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს (იხ. უკრაინის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-5 მუხლი და უკრაინის მოქალაქის პასპორტის შესახებ ნუსების პირველი და მე-6 მუხლები; 1993 წლის 2 სექტემბერი, № 3423-XII) ...

ითვლება, რომ პირი ცხოვრობდა უკრაინაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, თუ ეს პირი ფლობს უკრაინის მოქალაქის პასპორტს, რომელშიც მითითებულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მისი ჩანერის ადგილი. ჩანერა ადასტურებს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის ფაქტს."

სამართლებრივი შეფასება

1. კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

43. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად:

„მაღალი ხელშემკერული მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.“

A. მხარეთა განცხადებები

44. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მას თვითნებურად ეთქვა უარი უკრაინის სოციალისტური პარტიის სიიდან ვერხოვნა რადაში არჩევნების კანდიდატად რეგისტრაციაზე. მისი თქმით, პირველი, მან ჭეშმარიტი ინფორმაცია მიანოდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩანერის მიხედვით მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ და მეორე, მას ჰქონდა საცხოვრებელი უკრაინაში და იმავდროულად იმყოფებოდა ქვეყნის გარეთ „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად“, რასაც ითვალისწინებს კანონი არჩევნების შესახებ, რადგან მას მინიჭებული ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი აშშ-ის მთავრობის მიერ, ხოლო უკრაინას ხელი ჰქონდა მონერილი 1951 წლის ჟენევის კონვენციაზე ლტოლვილთა სტატუსის შესახებ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისთვის ვერხოვნა რადას წევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარს არ ჰქონდა რაიმე ობიექტური ან გონივრული გამართლება, ის არ ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს და მისი უფლებების ხელყოფა არ იყო პროპორციული.

45. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მართალია, კანონი არჩევნების შესახებ არ ეწინააღმდეგებოდა პირველი ოქმის მე-3 მუხლს, მაგრამ ამ კანონის განმარტება მის შემთხვევაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ თვითნებურად მოახდინა,

რადგან კანონი არ აზუსტებდა, კანდიდატს ბოლო ხუთი წელი უკრაინაში იურიდიული საცხოვრებელი ადგილი უნდა ჰქონოდა თუ ფაქტობრივი. მისი აზრით, საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმის დაკმაყოფილება ამკარად მტკიცდებოდა უკრაინის მოქალაქის შიდა პასპორტში ჩანერის დამადასტურებელი ბეჭდით. ჩანერა მიუთითებდა მის მუდმივ, იურიდიულ მისამართს უკრაინაში და, შესაბამისად, მან ეს ინფორმაცია მიუთითა კანდიდატის სარეგისტრაციო განცხადებაში. მან მიუთითა ზემოხსენებულ ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც მოითხოვდნენ ჩანერის – როგორც „საცხოვრებელი ადგილის“ – მითითებას (იხ. ზემოთ, პუნქტები 40-42). ჩანერა იყო უკრაინის ადმინისტრაციული სისტემის განუყოფელი და ფუნდამენტური ასპექტი და წარმოადგენდა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ძირითად საფუძველს ყველა ოფიციალური მიზნით. კანონი არჩევნების შესახებ მიუთითებდა მხოლოდ უკრაინაში „საცხოვრებელ ადგილს“, ხოლო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მისთვის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმისას გამოიყენა სხვადასხვა ტერმინი, როგორცაა „უკრაინაში მუდმივად ცხოვრება“ და „ფაქტობრივად ცხოვრება“ — ეს ტერმინები კი კანონის ტექსტში არ მოიპოვება. ამიტომ მისთვის აღნიშნული საფუძველი უარის თქმა ენიშნა აღმდგეგმა კანონის წინაშე თანასწორობის, სამართლებრივი გარკვეულობის და კანონის საყოველთაო ხასიათის პრინციპებს.

46. განმცხადებელი ასევე ამტკიცებს, რომ წინორი ინფორმაცია წარადგინა თავისი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, რომ ის იძულებული გახდა, დაეტოვებინა უკრაინა ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური მოტივით მისი დევნის გამო. მისი თქმით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და უზენაესმა სასამართლომ ხელყვეს მისი პასიური საარჩევნო უფლება უკრაინის კონსტიტუციის 24-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, რომელიც კრძალავს საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაციას.

47. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელმა თავდაპირველად საარჩევნო კომისიას არ მიანოდა მისი საცხოვრებელი ადგილის რეალური მისამართი და არ უცდია დამტკიცებინა, რომ იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა უკრაინის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რადგან არ სურდა ამერიკაში მისი მისამართის გამხელა უკრაინის სამართალდამცავი ორგანოებისთვის. მას არ უცხოვრია უკრაინაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არჩევნების შესახებ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით, რადგან არჩევნებში კანდიდატად დასახელებამდე ერთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში უკვე აშშ-ში ცხოვრობდა, სადაც ლტოლვილის სტატუსით სარგებლობდა. გარდა ამისა, განმცხადებელი არ იმყოფებოდა საზღვარგარეთ უკრაინის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით. მთავრობამ აღნიშნა, რომ 1951 წლის უენეის კონვენცია უკრაინის მიმართ ძალაში არ შესულა 2002 წლის 8 სექტემბრამდე, შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები განმცხადებლის საქმეზე კი ამ თარიღამდე საკმაოდ ადრე იყო მიღებული.

48. მთავრობამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლზე, რომლის თანახმად საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, სადაც მოქალაქე მუდმივად ან დროებით ცხოვრობს (იხ. ზემოთ, პუნქტი 33). ქვეყანაში დროებით არყოფნის ცნება განისაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით საქმეზე №4-Υ/2002 (ზემოთ, პუნქტი 39).

საცხოვრებელ ადგილს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს რეგისტრაციის ადგილისგან, რომელიც განისაზღვრებოდა ჩანერიით. მთავრობის თქმით, ხელისუფლებას ფართო დისკრეცია უნდა ჰქონდეს შესაბამისი კანონმდებლობის განმარტებისა და პირველი ოქმის მე-3 მუხლთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით.

49. ამგვარად, მთავრობამ გააპროტესტა კანონის ორაზროვნება საცხოვრებელი ადგილის ხუთწლიან მოთხოვნასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, მთავრობის თქმით, არჩევნების შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ფართო დისკრეციას ანიჭებდა ხელისუფლების ორგანოებს იმის დადგენისთვის, თუ რომელი საცხოვრებელი მისამართი უნდა მიჩნეულიყო შესაბამისობაში „უკრაინის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან“.

50. მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებელი ვერ ჩაითვლებოდა ლტოლვილად, რადგან იგი არ იღვენებოდა უკრაინაში და არ ემუქრებოდა რაიმე დევნის საფრთხე. თუმცა მთავრობამ აღიარა, რომ უკრაინის სამართალდამცავი ორგანოები დააკვებდნენ განმცხადებელს მის მიერ უკრაინის საზღვრის გადაკვეთის მცდელობის შემთხვევაში. კერძოდ, მთავრობამ მიუთითა მიმდინარე სისხლისსამართლებრივ გამოძიებას, რომელიც დაკავშირებული იყო აუდიორიანანერის გამჟღავნებასთან, რაც თითქოს განმცხადებელმა გააკეთა უკრაინის პრეზიდენტის კაბინეტში. მთავრობამ აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მცდარი ინფორმაციის წარდგენა სავარაუდოდ მიზნად ისახავდა სისხლისსამართლებრივი დევნისაგან იმუნიტეტის მოპოვებას. ასეთი მიზანი კი შეუსაბამო იყო პარლამენტის წევრის სტატუსთან და ფუნქციასთან.

51. მთავრობას მიაჩნია, რომ განმცხადებლის რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზს საფუძვლად დაედო მცდარი ინფორმაციის მიწოდება და არა კონკრეტულად საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით მცდარი ინფორმაციის მიწოდება. ინფორმაციის სიმცდარემ კი ამომრჩეველები შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს კანდიდატის პატიოსნებასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. ამიტომ აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება შესაბამისობაშია დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებთან.

52. მთავრობას მიაჩნია, რომ განმცხადებლის საქციელი მთელ ამ პროცესში შეუფერებელი იყო პარლამენტის წევრის სტატუსის მოპოვების სურვილთან.

B. სასამართლოს პრაქტიკა

53. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი ოქმის მე-3 მუხლი ასახავს ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპს და, შესაბამისად, უმთავრესი მნიშვნელობისაა კონვენციური სისტემისთვის (იხ. 1987 წლის 2 მარტის განაჩენი საქმეზე *Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium*, სერია A, № 113, გვ. 22, პუნქტი 47). რაც შეეხება კავშირს დემოკრატიათა და კონვენციის შორის, სასამართლომ გააკეთა შემდეგი დასკვნები თავის 1998 წლის 30 იანვრის განაჩენი საქმეზე *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey* (მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1998-I, გვ. 21-22, პუნქტი 45, გამეორებული საქმეზე *Yazar and Others v. Turkey*, №№ 22723/93, 22724/93 და 22725/93, პუნქტი 47, ECHR 2002-II):

„დემოკრატიას უდავოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს ევროპაში საზოგადოებრივი წესრიგისთვის ... ეს აშკარაა, პირველ რიგში, კონვენციის პრეამბულიდან, რომელიც ადგენს ძალიან მკაფიო კავშირს კონვენციასა და დემოკრატიას შორის, როდესაც აცხადებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი რეალიზაცია საუკეთესოდ ხორციელდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი პოლიტიკური დემოკრატიით და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და მათი უზრუნველყოფით ... პრეამბულის შემდგომ ტექსტში კვლავ დასტურდება, რომ ევროპის ქვეყნებს აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლების და კანონის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა. სასამართლოს აზრით, სწორედ ამ საერთო მემკვიდრეობაში უნდა მოიძებნოს კონვენციის ფუძემდებლური ღირებულებები ...; სასამართლომ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ კონვენცია შეიქმნა იმისათვის, რომ დაცული და ხელშეწყობილი ყოფილიყო დემოკრატიული საზოგადოების იდეალები და ღირებულებები ...“ (იხ. ზემოხსენებული განაჩენი იაზარის და სხვების საქმეზე, პუნქტი 47).

54. სასამართლო მიუთითებს, რომ პირველი ოქმის მე-3 მუხლი გულისხმობს აქტიური და პასიური კენჭისყრის სუბიექტურ უფლებებს. მართალია, ეს უფლებები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი არაა აბსოლუტური ხასიათის. მე-3 მუხლი აღიარებს ამ უფლებებს მათი მკაფიოდ ფორმულირების გარეშე, რომ არაფერი ვთქვათ მათ განსაზღვრავს, ამიტომ იგი ტოვებს საშუალებას „ნაგულისხმევი შეზღუდვებისთვის“ (იხ. ზემოხსენებული მეთოუ-მოპინის და კლერფეიტის საქმე, გვ. 23, პუნქტი 52). ხელშემკვერელ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, თავიანთ სამართლის სისტემებში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების განხორციელება დააფუძნონ ისეთ პირობებზე, რომლებიც აკრძალული არ არის მე-3 მუხლით. მათ ამ სფეროში ფართო დისკრეცია აქვთ, მაგრამ სასამართლოს, როგორც უკანასკნელი საშუალების, პრეროგატივაა, დაადგინოს, შესრულებული იქნა თუ არა პირველი ოქმის მოთხოვნები; სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული პირობები ამ უფლებებს იმდენად არ ზღუდავენ, რომ ხელყონ მათი არსი და დატოვონ ეფექტურობის გარეშე; რომ ეს პირობები დადგენილია ლეგიტიმური მიზნით და რომ გამოყენებული საშუალებები არის პროპორციული.

55. რაც შეეხება კონსტიტუციურ წესებს პარლამენტის წევრების სტატუსთან დაკავშირებით, მათი შეუსაბამოდ მიჩნევის კრიტერიუმების ჩათვლით, მართალია, ამ წესებს აქვთ საერთო საწყისი, რომ არჩეული წარმომადგენლები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და, ამასთანავე, ამომრჩევლები უნდა იყვნენ თავისუფალნი, აღნიშნული კრიტერიუმები განსხვავდება ამა თუ იმ სახელმწიფოს ისტორიული და პოლიტიკური ფაქტორების მიხედვით. ევროპის საბჭოს უამრავი წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციაში და საარჩევნო კანონმდებლობაში ასახული სიტუაციების მრავალგვარობა მიანიშნებს მოცემულ სფეროში მიდგომათა ფართო სხვადასხვაობაზე. მე-3 მუხლის გამოყენების მიზნებისთვის ნებისმიერი საარჩევნო კანონმდებლობა უნდა შეფასდეს შესაბამისი ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ფონზე, რამეთუ გარკვეული ნიშნები, რომლებიც მიუღებელი იქნებოდა ერთი სისტემის კონტექსტში, შეიძლება გამართლებული

იყოს მეორე სისტემის კონტექსტში. თუმცა ამ კუთხით სახელმწიფოს დისკრეცია შეზღუდულია მე-3 მუხლის ფუნდამენტური პრინციპის პატივისცემის ვალდებულებით — ეს არის „საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას ხალხის ნებასურვილის თავისუფალი გამოხატვის უზრუნველყოფა“ (იხ. ზემოხსენებული მეთიუ-მოპინის და კლერფიტიის საქმე, გვ. 23-24, პუნქტი 54; საქმე *Podkolzina v. Latvia*, № 46726/99, პუნქტი 33, ECHR 2002-II).

56. რაც შეეხება საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმს პასიურ საარჩევნო უფლებასთან მიმართებაში, როგორც ასეთს, სასამართლოს ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება არასოდეს დაუფიქსირებია. თუმცა, ცალკე აქტიურ საარჩევნო უფლებასთან მიმართებაში, სასამართლოს ნათქვამი აქვს, რომ აღნიშნული კრიტერიუმი არ იყო არაგონივრული ან თვითნებური (იხ. განჩენი საქმეზე *Hilbe v. Liechtenstein*, №31981/96, ECHR 1999-VI). სასამართლოს მიაჩნია, რომ საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმი აქტიური საარჩევნო უფლების შემთხვევაში გამართლებულია შემდეგი საფუძვლებით: (1) ვარაუდი, რომ არარეზიდენტი მოქალაქე ნაკლებად არის უშუალოდ და ხანგრძლივად დაინტერესებული და ნაკლებად იცნობს ქვეყნის ყოველდღიურ პრობლემებს; (2) არაპრაქტიკულობა და არასასურველობა (ზოგჯერ შეუძლებლობაც) იმისა, რომ პარლამენტის წევრობის კანდიდატებმა სხვადასხვა საარჩევნო საკითხების წარდგენა მოახდინონ საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის მათი აზრის თავისუფალი გამოხატვის უზრუნველყოფის მიზნით; (3) რეზიდენტი მოქალაქეების გავლენა კანდიდატების შერჩევაზე და მათი საარჩევნო პროგრამების ჩამოყალიბებაზე; და (4) თანაფარდობა პარლამენტის არჩევნებში ხმის მიცემის უფლებასა და ამგვარად არჩეული პოლიტიკური ორგანოების ქმედებათა შედეგების უშუალო წვნივას შორის (*Polacco and Garofalo v. Italy*, № 23450/94, კომისიის 1997 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება, კომისიის მანამდე არსებულ პრაქტიკაზე მითითებით).

57. მაგრამ სასამართლო იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ აქტიური (ხმის მიცემის) საარჩევნო უფლებისგან განსხვავებით პასიური საარჩევნო უფლების განსახორციელებლად უფრო მკაცრი კრიტერიუმები შეიძლება დაწესდეს (იხ. ვენეციის კომისიის საარჩევნო სახელმძღვანელო წესები, ზემოთ, პუნქტი 29). ამიტომ სასამართლო არასწორად არ მიიჩნევს პარლამენტის წევრობის პოტენციური კანდიდატების მიერ ხუთწლიანი საცხოვრებელი ადგილის კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. ეს კრიტერიუმი მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს, რათა აღნიშნულმა პირებმა შეიძინონ საკმარისი ცოდნა იმ საკითხებისა, რომლებიც ეროვნული პარლამენტის ფუნქციების განხორციელებას უკავშირდება.

58. ამასთანავე, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ საპარლამენტო კანდიდატები წარმოჩინდნენ, როგორც პატიოსანი და მართალი ადამიანები. საზოგადოებისათვის საკუთარი თავის სრულად და პატიოსნად გაცნობის დავალდებულებით ამომრჩეველებს ეძლევათ საშუალება, შეაფასონ კანდიდატის პირადი კვალიფიკაცია და პარლამენტში მათი ინტერესების საუკეთესოდ წარმოდგენის შესაძლებლობა. ასეთი კრიტერიუმები აშკარად შესაბამისობაშია დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებთან და სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული დისკრეცია მათი გამოყენებისთვის.

59. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მიზანი მოითხოვს, რომ მისი დებულებები განიმარტოს და გამოყენებული იქნეს

ისე, რომ მათში გათვალისწინებული დანაწესები იყოს არა უბრალოდ თეორიული ან ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტური (იხ., მაგალითად, 1980 წლის განაჩენი საქმეზე *Artico v. Italy*, სერია A, № 37, გვ. 15-16, პუნქტი 33; 1998 წლის 30 იანვრის განაჩენი საქმეზე *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, მოხსენებები 1998-I, გვ. 18-19, პუნქტი 33; და *Chassagnou and Others v. France [GC]*, №№ 25088/94, 28331/95 და 28443/95, პუნქტი 100, ECHR 1999-III). პასიური საარჩევნო უფლება, რომელიც გარანტირებულია პირველი ოქმის მე-3 მუხლით და განუყოფელი ნაწილია ნამდვილი დემოკრატიული წყობის ცნებისა, ილუზორული იქნებოდა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ადამიანისთვის მისი ნებისმიერ მომენტში წართმევა. ამიტომ მართალია, სახელმწიფოებს ზოგადად აქვთ ფართო დისკრეცია ამ უფლების განხორციელებისთვის კრიტერიუმების დადგენისას, მაგრამ უფლებების ეფექტურობის პრინციპი მოითხოვს, რომ კრიტერიუმების პროცედურა შეიცავდეს საკმარის დაცვას გადაწყვეტილებათა თვითნებურად მიღებისგან.

C. სასამართლოს პრაქტიკის მისადაგება მოცემული საქმისადმი

60. სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი კომპეტენცია, შეამოწმოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მოთხოვნათა შესრულება, შეზღუდულია (იხ. 1990 წლის განაჩენი საქმეზე *Håkansson and Sturesson v. Sweden*, სერია A, № 171-A, გვ. 16, პუნქტი 47) და სასამართლოს ფუნქცია არ არის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების ჩანაცვლება. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტება უპირატესად ეროვნული ხელისუფლების ორგანოების პეროგატივაა (იხ. საქმე *Waite and Kennedy v. Germany [GC]*, № 26083/94, პუნქტი 54, ECHR 1999-I). მაგრამ სასამართლომ უნდა დაადგინოს, შესაბამისობაშია თუ არა მოცემულ საქმეში შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების გადაწყვეტილებები განმცხადებლის პასიური ხმის უფლებასთან (იხ. *mutatis mutandis*, საქმე *Sovtransavto Holding v. Ukraine*, № 48553/99, პუნქტი 95, ECHR 2002-VII).

61. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის და პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ უკრაინაში ცხოვრების მოთხოვნა არ იყო აბსოლუტური ხასიათის და შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები, ცალკეული კანდიდატის რეგისტრაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას ან მასზე უარის თქმისას, ვალდებულნი იყვნენ, გაეთვალისწინებინათ ამ კანდიდატის კონკრეტული მდგომარეობა. სასამართლოს მიაჩნია, რომ არც შესაბამისი კანონმდებლობა და არც პრაქტიკა არ ითხოვდა უშუალოდ „ფაქტობრივ“ ან „უნყვეტ“ ცხოვრებას უკრაინის ტერიტორიაზე. კანონი ერთმანეთისაგან არც „იურიდიულ“ და „ფაქტობრივ“ საცხოვრებელს განასხვავებდა. ამკარაა, რომ განმცხადებლის „ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი“ ნაწილობრივ უკრაინის ტერიტორიის გარეთ იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რადგან მან ქვეყანა დატოვა 2000 წლის 26 ნოემბერს, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, დევნის შიშის გამო, და ცხოვრება დაიწყო ლტოლვილის სტატუსით აშშ-ში (იხ. ზემოთ, პუნქტი 10). მაგრამ ჩანერა მის შიდა პასპორტში იგივე დარჩა.

62. სასამართლო შენიშნავს, რომ საქმისთვის მნიშვნელოვან დროს საცხოვრებელი ადგილის იურიდიული რეგისტრაციის ერთადერთი დამადასტურებელი იყო მოქალაქის ჩვეულებრივი შიდა პასპორტი, რომელიც ყოველთ-

ვის არ ემთხვეოდა ადამიანის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს (ზემოთ, პუნქტები 56-58). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ჩანერა იყო უკრაინის ადმინისტრაციული სისტემის განუყოფელი და ფუნდამენტური ასპექტი და ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ოფიციალური მიზნებისთვის (მოქალაქის მიმდინარე საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია, სამხედრო სამსახურში განწვევა, ხმის მიცემა, ქონებრივი საკითხები და სხვ.).

63. სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ პარლამენტის წევრობის კანდიდატებს უნდა წარმოედგინათ პირადი მონაცემები ქონებისა და შემოსავლების შესახებ, ასევე მათი ოჯახის შესახებ. დეკლარაციის სტანდარტული ფორმა კანდიდატებისგან მოითხოვდა, მიეთითებინათ „ჩანერის ან დროებითი ჩანერის (რეგისტრაციის) ადგილი, რომელიც მითითებულია მოქალაქის ჩვეულებრივ პასპორტში“ (ზემოთ, პუნქტი 40). ამიტომ სასამართლო თვლის, რომ კანდიდატად რეგისტრაციისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარსადგენ დეკლარაციაში განმცხადებელს მხოლოდ მის ჩანერასთან დაკავშირებული ინფორმაციის მითითება ევალებოდა.

64. სასამართლოს აზრით, განმცხადებლის მიერ 1951 წლის ჟენევის კონვენციაზე მითითება, როგორც იურიდიული არგუმენტი, არსებით გავლენას არ ახდენს საქმეზე, რადგან ეს კონვენცია შესაბამის დროს ძალაში არ იყო უკრაინისთვის. თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც ხელმომწერ სახელმწიფოს, უკრაინას, სახელმწიფოებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის მე-18 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების ძალით, თავი უნდა შეეკავებინა ქმედებებისგან, რომლებსაც შეეძლო აზრი დაეკარგა ჟენევის კონვენციის ობიექტისა და მიზნისთვის მის ძალაში შესვლამდე.

65. რაც უფრო მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელს შეუძლია მიუთითოს დევნის შიშზე, როგორც ობიექტურ, ფაქტობრივ არგუმენტზე, მისი სამუშაოს ხასიათის, ჟურნალისტ გიორგი ლონდაძის გაუჩინარებასთან და მკვლელობასთან დაკავშირებული საექტო მოვლენების და აუდიოჩანაწერთან დაკავშირებული სკანდალის გათვალისწინებით. აგრეთვე, იგი სწრაფად აღიარეს თავშესაფრის კანონიერ მაძიებლად აშშ-ში. ამიტომ მის მიერ ქვეყნის სასწრაფოდ დატოვება გასაგები იყო, ხოლო მისი მუდმივად დატოვების განზრახვა — განუსაზღვრელი. სასამართლო თვლის, რომ განმცხადებელი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა: თუ ის უკრაინაში დარჩებოდა, მის პირად უსაფრთხოებას და ფიზიკურ ხელშეუხებლობას საფრთხე ემუქრებოდა, რის გამოც იგი ველარ შეძლებდა რაიმე პოლიტიკური უფლების განხორციელებას, თუმცა აღნიშნული უფლებების განხორციელების შესაძლებლობა მას არც ქვეყნის დატოვების შემთხვევაში ექნებოდა.

66. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა ვერხოვნა რადას წევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე მცდარი საცხოვრებელი ადგილის მითითების მოტივით, თუმცა მისი რეგისტრირებული იურიდიული საცხოვრებელი ადგილი ჯერ კიდევ უკრაინაში იყო (როგორც აღნიშნული იყო მის ჩანერაში), ეწინააღმდეგებოდა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლს.

67. აქედან გამომდინარე, დარღვეულია კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლი.

II. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა პირველი ოქმის მე-3 მუხლისგან განცალკევებით ან მასთან ერთობლიობაში

68. განმცხადებელი ასევე ამტკიცებს, რომ საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმამ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მან თითქოს არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილის შესახებ, გამოიწვია პირველი ოქმის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების განხორციელებაში მის მიმართ დისკრიმინაცია, რაც აკრძალულია კონვენციის მე-14 მუხლით. მან თავისი მდგომარეობა შეადარა სხვა კანდიდატის მდგომარეობას, რომელიც უწყვეტად ხუთი წლის განმავლობაში არ ცხოვრობდა უკრაინაში, მაგრამ მაინც მიეცა კანდიდატად დარეგისტრირების შესაძლებლობა. მე-14 მუხლის თანახმად:

„ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.“

69. მთავრობამ განაცხადა, რომ არ არის დარღვეული პირველი ოქმის მე-3 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, რადგან განმცხადებლის მიმართ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია.

70. განმცხადებელი არ ეთანხმება მთავრობის განცხადებას და, სხვა გარემოებათა შორის, მიუთითებს ბატონი ი.მ. ზვიაპილსკის კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც არჩეული იქნა ვერხოვნა რადას ნევრად მიუხედავად მისი საზღვარგარეთ ცხოვრებისა (ზემოთ, პუნქტი 22).

71. სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს საჩივარი არსებითად იგივეა, რაც პირველი ოქმის მე-3 მუხლთან დაკავშირებული საჩივარი. ამიტომ, სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხზე გაკეთებულ დასკვნაზე მითითებით (იხ. ზემოთ, პუნქტები 60-67), სასამართლო თვლის, რომ საჭირო არ არის საჩივრის განხილვა ცალკე მე-14 მუხლთან მიმართებაში.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

72. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მალალი ხელშემკერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. მატერიალური ზიანი

73. განმცხადებელმა მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვა ვერხოვნა რადას წევრის კუთვნილი, დაკარგული ხელფასის გადახდა. მისი თქმით, იგი არჩეული იქნებოდა სოციალისტური პარტიიდან პარტიული სიით, რადგან პარტიამ ამისათვის საკმარისი ხმები მოიპოვა. მან მოითხოვა 52 224,833 უკრაინული გრივნის გადახდა. ეს თანხა გამოთვლილი იყო პარლამენტის სახალხო წარმომადგენლის დაახლოებითი ხელფასიდან, რომელსაც ის მიიღებდა მისი არჩევის შემთხვევაში.

74. მთავრობამ აღნიშნა, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი განმცხადებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასა და დადგენილ დარღვევას შორის. მთავრობის თქმით, მოცემული ვითარება ანალოგიური იყო ვითარებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქმეში *Podkolzina v. Latvia* (ზემოსხენებული საქმე, პუნქტი 48).

75. სასამართლოს, ისევე, როგორც მთავრობას, მიაჩნია, რომ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოთხოვნილ მატერიალურ ზიანსა და დადგენილ დარღვევას შორის (იხ. საქმე *Van Geyselghem v. Belgium*, [GC], № 26103/95, პუნქტი 40, ECHR 1999-I, და საქმე *Nikolova v. Bulgaria* [GC], № 31195/96, პუნქტი 73, ECHR 1999-II). შესაბამისად, სასამართლო უარს ამბობს განმცხადებლის აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

B. არამატერიალური ზიანი

76. განმცხადებლის თქმით, არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის თქმამ იგი აიძულა, დარჩენილიყო პოლიტიკურ ლტოლვილად აშშ-ში. ასევე, მისი თქმით, მისი უფლებების დარღვევამ მასში გამოიწვია სერიოზული სტრესი და მორალური ტანჯვა, შელახა მისი რეპუტაცია, რადგან ხელისუფლების ორგანოები აგრძელებენ მის დისკრედიტაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უკრაინაში და საზღვარგარეთ. მან კომპენსაციის სახით მოითხოვა 100 000 ევრო.

77. მთავრობის აზრით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულია უკრაინაში ცხოვრების ხარჯების და შემოსავლის ოდენობის გათვალისწინებით. მთავრობის თქმით, აღნიშნული მოთხოვნა დაუსაბუთებელია. მთავრობის აზრით, დარღვევის დადგენა თავისთავად საკმარისად სამართლიანი დაკმაყოფილება იქნება მთელი იმ არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც განმცხადებელს შესაძლოა მიადგა. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადები არ შეიძლება უსაფუძვლო გემდირების წყაროდ იქცეს.

78. სასამართლო იმეორებს, რომ არამატერიალური ზიანი უნდა შეფასდეს მის მიერ კონვენციის საფუძველზე დადგენილი ავტონომიური კრიტერიუმებით და არა მოცემულ სახელმწიფოში კანონით ან პრაქტიკით დადგენილი პრინციპებით (იხ. *mutatis mutandis*, 1980 წლის 6 ნოემბრის განაჩენი საქმეზე *The Sunday Times v. the United Kingdom* (№1) (მუხლი 50), სერია A, № 38, გვ. 17, პუნქტი 41, და 1997 წლის 1 ივლისის განაჩენი საქმეზე *Probstmeier v. Germany*, მოხსენებები 1997-IV, გვ. 1140, პუნქტი 77). სასამართლო ადასტურებს,

რომ მოცემულ საქმეში განმცხადებელმა განიცადა არამატერიალური ზიანი იმით, რომ უარი ეთქვა საყოველთაო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობაზე. შესაბამისად, სამართლიანობის საფუძველზე და ყველა გარემოების გათვალისწინებით, იგი განმცხადებელს აკუთვნებს 5 000 ევროს.

C. ხარჯები და დანახარჯები

79. განმცხადებელს არ მოუთხოვია ხარჯების ანაზღაურება, რადგან ადვოკატის მომსახურება მას უფასოდ გაენია. შესაბამისად, სასამართლო ამისათვის განმცხადებელს არაფერს აკუთვნებს.

D. პროცენტის დაკისრება გადახდის ვალდებულების გადაცილებისთვის

80. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პროცენტი გადახდის ვალდებულების გადაცილებისთვის ეფუძნებოდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო:

1. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ დარღვეულია პირველი ოქმის მე-3 მუხლი;
2. ერთსულოვნად ადგენს, რომ საჭირო არ არის საჩივრის ცალკე განხილვა კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე;
3. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ
 - (ა) მოპასუხე სახელმწიფომ, სამი თვის ვადაში კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ამ განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან, არამატერი-ალური ზიანის სახით უნდა გადაიხადოს 5 000 ევრო, რომლის კონვერტა-ციაც უნდა მოხდეს აშშ დოლარებში ამ განაჩენის გამოტანის დღისთვის არ-სებული კურსით, პლიუს დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაეკისროს;
 - (ბ) ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ ანგარიშსწორების თარიღამდე გადასახდელ თანხას დაერიცხოს მარტივი პროცენტი, რომელიც უდრის ევ-როპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო პროცენტს გადახდის ვალ-დებულების გადაცილების პერიოდში დამატებული სამი პროცენტი;
4. ერთსულოვნად უარს ამბობს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირე-ბით განმცხადებლის სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე, შეტყობინებულია წერილობით 2004 წლის 19 ოქტომბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ჯ.-პ. კოსტა
თავმჯდომარე

ლ. ერლი
მდივნის მოადგილე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განაჩენის თან ერთვის ბატონი ლუ-კაიდესის განსხვავებული მოსაზრება.

მოსამართლე ლუკაიდესის განსხვავებული მოსაზრება

განმცხადებლის საჩივარი მდგომარეობს იმაში, რომ მას თვითნებურად უთხრეს უარი უკრაინის სოციალისტური პარტიის სიიდან პარლამენტის (ვერხოვნა რადას) ნევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე. უკრაინის ხელისუფლებამ უარი უთხრა მას არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციაზე იმ საფუძველით, რომ განმცხადებელმა მცდარი ინფორმაცია წარადგინა მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის ანუ ადგილსამყოფელის შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მან ხელისუფლებას მიანოდა ინფორმაცია უკრაინაში მისი ოფიციალური რეგისტრაციის ადგილის შესახებ („ჩანერის“ შესახებ, როგორც იმ დროს ეწოდებოდა). ჩანერა უკრაინის ადმინისტრაციული სისტემის განუყოფელი და ფუნდამენტური ასპექტი იყო და ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ოფიციალური მიზნებისთვის. განმცხადებლის თქმით, რადგან ჩანერის მიხედვით მისი რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი ბოლო 5 წლის განმავლობაში კანდიდატად რეგისტრაციის განცხადების შეტანამდე (2002 წლის 12 იანვარი) იყო უკრაინაში, არ უნდა ჩათვლილიყო, რომ მან მცდარი ინფორმაცია წარმოადგინა. შედეგად, მისთვის უარი არ უნდა ეთქვათ კანდიდატად რეგისტრაციაზე იმ საფუძველით, რომ იგი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნას საცხოვრებელი ადგილის შესახებ, თუმცა სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ ის შესაბამისი დროისთვის არ ცხოვრობდა უკრაინაში.

უკრაინის კონსტიტუციის 76-ე მუხლის თანახმად:

„... უკრაინის მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს არჩევნების თარიღისთვის, აქვს უფლება, აირჩიოს და, თუ იგი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა უკრაინის ტერიტორიაზე, არჩეული იქნეს ვერხოვნა რადაში ...“ (ხაზგასმა ჩვენია)

ასევე, არჩევნების შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად:

„(1) უკრაინის მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს არჩევნების დღისთვის, აქვს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება და [თუ იგი] ცხოვრობდა უკრაინის ტერიტორიაზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, აქვს უფლება, არჩეული იქნეს პარლამენტის წევრად.“ (ხაზგასმა ჩვენია)

ყველასათვის ცნობილი იყო, რომ განმცხადებელმა უკრაინა დატოვა 2000 წლის 26 ნოემბერს და ცხოვრება დაიწყო ლტოლვილად შვეიცარიულ შტატებში, აშშ-ს ხელისუფლების ორგანოს 2001 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე. იგი უკრაინაში არ დაბრუნებულა. ამიტომ ფაქტობრივად იგი შესაბამის დროს არ იყო უკრაინაში მცხოვრები პირი „ბოლო ხუთი წლის განმავლობაში“ რეგისტრაციის განცხადების შეტანის თარიღამდე. როგორც უკვე აღინიშნა, განმცხადებელი სადავოდ ხდის და ამტკიცებს, რომ რადგან მისი ჩანერის მიხედვით მისი რეგისტრირებული იურიდიული საცხოვრებელი მისამართი იყო უკრაინა, ამიტომ იგი აკმაყოფილებდა საცხოვრებელი ადგილის აღნიშნულ მოთხოვნას.

უკრაინის ადმინისტრაციულ სისტემაში ჩანერა ნიშნავდა პირის საცხოვრე-

ბელი ადგილის ფორმალურ აღნიშვნას და გამოიყენებოდა, ამკარად პრაქტიკული მიზნებისთვის, ოფიციალურ საცხოვრებელ მისამართად. ასეთი მისამართი დადასტურებულად და საბოლოოდ ვერ გამოდგება პირის უკრაინაში ცხოვრების დასადგენად, როდესაც ამ პირის რეალურ საცხოვრებელ ადგილად აღიარებული იყო ადგილი უკრაინის გარეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში უკრაინის ხელისუფლებამ სწორად დააფუძნა მისი გადაწყვეტილება განმცხადებლის რეალურ საცხოვრებელ ადგილზე და არ დახუჭა თვალი ჩაწერის გამო.

ამიტომ მე ვთვლი, რომ განმცხადებლის მიერ საპარლამენტო არჩევნებში შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტისას ეროვნულმა ხელისუფლებამ ამჯობინა გადაწყვეტილების მიღება რეალური არასადავო საცხოვრებელი ადგილის და არა ფორმალური რეგისტრაციის ადგილის საფუძველზე და დაასკვნა, რომ განმცხადებლის მიერ ფორმალური და არა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მითითება იყო მცდარი ინფორმაცია, რაც იწვევდა განმცხადებლის დისკვალიფიკაციას. ამიტომ ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება თვითნებურად და ვერც არასწორად.

სწორედ ეს საკითხი იყო განმცხადებლის საჩივრის არსი და იგი უნდა შეგვეფასებინა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლის ფონზე. პოლიტიკური გარემო ან პოლიტიკური ნიშნები არ იყო ჩვენი განსახილველი საკითხი, რამდენადაც ეს გარემოებები არ იქნა სრულად მოყვანილი და დადასტურებული განმცხადებლის მიერ კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევის დასასაბუთებლად.

ამ გარემოებებში მე ვფიქრობ, რომ მოცემულ საქმეში არ არის დარღვეული კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლი.

**უკრაინული მედიაჯგუფი
უკრაინის წინააღმდეგ**

Ukrainian Media Group v. Ukraine

ადრეომოქმედი მეორე სექცია

**უკრაინული მედიაჯგუფი
უკრაინის წინააღმდეგ**

(განაცხადი №72713/01)

განაჩენი

სტრასბურგი

2005 წლის 29 მარტი

საბოლოო ვერსია

12/10/2005

განაჩენი საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის შესწორებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „უკრაინული მედიაჯგუფი უკრაინის წინააღმდეგ“,
(*Ukrainian Media Group v. Ukraine*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ადრემოქმედი მეორე სექციის) პალატამ შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ჟ-პ კოსტა, პრეზიდენტი,
ბ-ნი ა.ბ. ბაკა,
ბ-ნი ლ. ლუკაიდესი,
ბ-ნი კ. ბირსანი,
ბ-ნი კ. იუნგვიერტი,
ბ-ნი ვ. ბუტკევიჩი,
ბ-ნი მ. უგრეხელიძე, მოსამართლეები,
და ქ-ნი ს. დოლე, სექციის რეგისტრატორი,

იმსჯელა რა განმარტოებით 2004 წლის 18 მაისსა და 2005 წლის 8 მარტს,

2005 წლის 8 მარტს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად სასამართლოში კომპანიას, „უკრაინული მედია ჯგუფის“ (შემდგომში „განმცხადებელი“) მიერ 2000 წლის 12 დეკემბერს უკრაინის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (№72713/01).

2. უკრაინის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდნენ მისი წარმომადგენლები, ქ-ნი ვალერია ლუტკოვსკა, შემდგომში კი ქ-ნი ზორიანა ბორტნოვსკა.

3. 2004 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით სასამართლომ განაცხადი ნაწილობრივ დაუშვა არსებით განხილვაზე.

4. განმცხადებელმა და მთავრობამ წარმოადგინეს წერილობითი მიმოხილვები არსებით განხილვაზე (59-ე წესის 1-ლი პუნქტი). მხარეებთან მოთათბირების შემდეგ პალატამ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო არსებითი მოსმენა (59-ე წესის მე-3 პუნქტი). მოსმენა დაინიშნა 2004 წლის 6 ივლისისათვის.

5. 2004 წლის 2 ივლისს მხარეებმა მორიგების წინადადებით მიმართეს სასამართლოს.

6. 2004 წლის 5 ივლისს სასამართლომ გადადო მოსმენა მხარეთა შორის მიღწეული მორიგების განსახილველად.

7. 2004 წლის 5 ოქტომბერს სასამართლომ გადაწყვიტა საქმეზე ჩაეტარებინა ზეპირი მოსმენა და უარი ეთქვა მხარეთა მიერ შემოთავაზებულ მორიგებაზე, რადგან, მისი აზრით, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციით, მოითხოვდა საქმის შემდგომ განხილვას კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

8. 2004 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ შეცვალა თავისი სექციის შემადგენლობა (25-ე წესის 1-ლი პუნქტი). თუმცა გადაწყდა, რომ ეს საქმე დარჩებოდა ძველ მეორე სექციას (52-ე წესის 1-ლი პუნქტი).

ფაქტობრივი გარემოებები

9. განმცხადებელი, დსს „უკრაინული მედიაჯგუფი“ (ЗАТ „Українська Прес-Група“), არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რეგისტრირებული და მოქმედი კიევში, უკრაინაში. იგი ფლობს ყოველდღიურ გაზეთს „ДЕНЬ“.

I. საქმის გარემოებები

10. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტები შეიძლება შემდეგი სახით შეჯამდეს:

**A. 1999 წლის 21 აგვისტოს პუბლიკაციასთან დაკავშირებული
სამართალწარმოება**

11. 1999 წლის 21 აგვისტოს გაზეთში „*ДЕНЬ*“ დაიბეჭდა ქ-ნი ტეტიანა ე. კორობოვას სტატია სათაურით „ეს არის მეორე იურიკი საცოდავი იორიკები-სათვის, თუ ლებედის უკრაინული ვერსია?“. სტატია იკითხება შემდეგნაირად:

„ეპიგრაფი: ეს ყველაფერი მის შესახებაა, ჩვენი, ისევე, როგორც თქვენი, ნატაშას შესახებ. თანამდებობის შესახებ, რომელიც პროგრესულმა სოციალისტმა, ნატალია ვიტრენკომ შეიძლება ან არ შეიძლება დაიკავოს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ ბანკოვადან (სახელწოდება ქუჩისა, სადაც მდებარეობს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) საბოლოოდ რომელი სცენარი მოიგებს „ტენდერს“, შემოთავაზებულს № 1 ოფისიდან. რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები ცდომილებით, შესაძლებელი გახდება განისაზღვროს, თუ რომელი ნომინანტით მანიპულირება უფრო ადვილი იქნება ზემოხსენებული ოფისიდან.“

პირველი ვერსია [მის თანამდებობასთან დაკავშირებით] „*ДЕНЬ*“-ის მიერ ნაწინასწარმეტყველები იქნა ჯერ კიდევ გაზაფხულზე და ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ, ბანკოვას აზრით, პეტრო სიმონენკო [კომუნისტური პარტიის ლიდერი] არ იყო საკმარისად „კარგი და მახვილგონიერი“ „საფრთხობელას“ როლისათვის რუსთა (à la russe) წინაასწარჩვენო სცენარში: „რეფორმატორი ნითელი საფრთხის წინააღმდეგ“. ნატალია ვიტრენკო, თავისი „ურანის საბადოთი,“ და ვლადიმირ მარჩენკო გაცილებით უფრო შთაბეჭდავნი არიან და, როგორც საუკეთესო პოლიტიკური მეცნიერები და სოციოლოგები ამბობენ, ვიტრენკო ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც შეძლებდა მეორე ტურში კუჩმას დამარცხებას ნაწინასწარმეტყველები 33 პროცენტით. ძალიან მალე დამტკიცდა, რომ პოლიტიკური მეცნიერები და სოციოლოგები შეცდნენ და ნატალია ვიტრენკოს რეიტინგი საგრძნობლად დაეცა. თუმცა ეს მოხდა უფრო სამეცნიერო დებატების თავისუფლებითა და პირველი პირის [პრეზიდენტის] ირგვლივ ატეხილი აზრთა სხვადასხვაობით, ვიდრე ქ-ნი ვიტრენკოს ნამდვილი რეიტინგით. რა თქმა უნდა, რთულია იმის დაჯერება, რომ ქვეყნის მოსახლეობის ერთი მესამედი იმ სატელევიზიო პროგრამის ყურებისას, სადაც ნატაშამ დაამარცხა მოადგილე, რომელიც ძირს დანარცხებული იქნა მარჩენკოს მუშტის წყალობით, იმის ნაცვლად, რომ სასწრაფო და სამედიცინო დახმარება გამოეძახებინა, გაეჭანებოდა საარჩევნო უბნისაკენ „პროგრესული სოციალიზმისათვის“ ხმის მისაცემად. თუმცა ამკარაა, რომ „უიორინოვსკის“ 10-11% ნორმალური შედეგია ნორმალურ ქვეყანაში, მაგრამ არა იქ, სადაც საზოგადოება ძირითადად აუადმყოფი და მათხოვარი ხალხისაგან შედგება. ნატალია ვიტრენკოს როლი განმტკიცებული იქნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მისი [კანდიდატად რეგისტრაციის] მხარდამჭერი ხელმოწერების „მტკიცენული“ გადათვლით. დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პატივცემულმა თავმჯდომარემ, ბ-ნმა მიხაილო რიაბეცმა, გვითხრა, თუ რამდენად შეცდა უზენაესი სასამართლო, როცა

უგულბელყო საჭირო ერთი მილიონი ხელმონერა და ცენტრალური საარჩევნო კომისია დაავალდებულა, ამ ნორმის უგულბელყოფით გაეტარებინა რეგისტრაციაში პრეზიდენტის თანამდებობაზე ნომინირებული კანდიდატები. მაგრამ სულ ახლახანს იგივე რიბაქცმა საზოგადოებას გაუზიარა თავისი შეხედულებები, რომლებიც, მისი მიმდობ-ემოციური ენიდან თუ ვთარგმნით, ასე უღერს: ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ (საკუთარი სურვილით) დარეგისტრირებული არც ერთი კანდიდატი არ უნდა გატარებულიყო რეგისტრაციაში, რადგან თუ ნომინანტების მიერ წარმოდგენილ ხელმონერებს სერიოზული ყურადღებით შეისწავლიდნენ, ვერც ერთი კანდიდატი, მათ შორის ვერც კუჩმა, ვერ გაუძლებდა ამ შემომსმებას. მამ რა იყო კრიტერიუმი? იყო თუ არა ეს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის ვარაუდი, თუ რომელი სცენარი იქნებოდა საუკეთესო წინასაარჩევნო ეტაპზე? როგორც ჩანს, საიდუმლო არც ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის არის ის, თუ რა საუბრები უძლოდა წინ ბანკოვას გადანყევიტილებას, რეგისტრაციაში გაეტარებინა ნატალია მიხაილოვნა, რომელსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო პრობლემები გააჩნდა. იქნებ დეტალების გამჟღავნება ვადიმ რაბინოვიჩს, რომელმაც ქვეყანა წაადრევედ, ძალიან მცირე დროში დატოვა, შეედლოს, ან იქნებ კუჩმას საარჩევნო აგენტს, ბ-ნ ვოლკოვს, რომელიც იბრძოდა და საბოლოოდ მოიპოვა ნატაშას რეგისტრაცია.

როგორც აღმოჩნდა, ეს არ იყო შიში იმისა, რომ რეგისტრაციაში მისი გაუტარებლობის შემთხვევაში ვიტრენკო, როგორც ველური ძალა, შეამცორებდა ბანკოვას საბოლოო გადანყევიტილების ზეგავლენას; ეს იყო სცენარი „კუჩმა სიმონენკოს წინააღმდეგ“, რომელიც სასაწრაფოდ შეიცვალა პეტრო მიკოლაევიჩის (სიმონენკოს) სავარაუდო არასანდობობის გამო. საკითხი ეხება პარლამენტის სპიკერის ტკაჩენკოს მიერ არაერთხელ წარმოჩენილ უდავო ფაქტს, რომ ისინი [ბანკოვა] მოახერხებდნენ სიმონენკოსთან და კომუნისტური პარტიის (CPU) იდეოლოგების მტკიცე პოზიციასთან დათანხმებას, იდეოლოგებისა, რომელთაც სჯერათ, რომ კომუნისტურ პარტიას არ სურს სრული მარცხი განიცადოს ან სუფთა ხერხებით გაიმარჯვოს (ბულგარეთზე მითითებით). ამან ბანკოვაში უფრო მეტი ლეღვა გამოიწვია. წარსულში გამოყენებულმა რუსულმა სცენარმა დრო მოჭამა, სხვა კი არაფერი არსებობს! ამიტომ წარმოდგენილი იქნა ახალი სცენარი: ნატალია ვიტრენკოს გაყვანა მეორე ტურში, მისი ნომინირება კუჩმას წინააღმდეგ იმ უტყუარი შედეგით, რომ ყველა, მემარცხენეების ჩათვლით, იმის შიშით, რომ ვიტრენკომ და მარჩენკომ არ მართონ ქვეყანა, ხმას მისცემს კუჩმას.

ბანკოვაში ბიჭები უიმედო მოთამაშეები არიან, რადგან მათ სარისკო წამოწყებას შეიძლება ადეკვატურად გაეცეს პასუხი. მაგალითად, შეჯიბრს გამოითიშული ყველა ძირითადი კანდიდატის შტაბბინებმა შეიძლება მოითათბირონ და თავიანთ მხარდამჭერებს ნება დართონ, თავისუფლად მისცენ ხმა. რა თქმა უნდა, ისინი მათ იმას კი არ სთხოვენ, რომ ვიტრენკოს დაუჭირონ მხარი, არამედ ისე მოქმედებას, რომ დევიზი „ყველა კუჩმას გარდა!“ ძალზე აქტუალური გახდეს. აშკარაა, რომ ეს არ

არის კურმას შტაბბინის სცენარზე ნაკლებად ამორალური ჩანაფიქრი. და თუ ჩვენს „მწვანე“ დემოკრატიას „ყბაყურა“ უნდა შეეყაროს, რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი: მოპოვებული იმუნიტეტი უფრო ძლიერი და მტკიცე იქნება, რადგან საბავშვო დაავადებები ბავშვობაშივე უნდა იქნეს მოხდილი.

ვიტრენკოს პრეზიდენტობის შემთხვევაში ქვეყანაში ცხოვრება საშიშიც იქნებოდა და გასართობიც, მაგრამ არა დიდი ხნით, როგორც ყირიმში იურიკ მემკოვის დროს. და ის იყო საქვეყნო სიგიჟე, თავიდან არანორმალური და მერე კი სასაცილო. ის გამოდიოდა, ყვიროდა ხალხის წინაშე, ასეთი თვითკმაყოფილი, არტისტული, მისი ხმა ასეთი დარწმუნებული, ჟღერადი, ყველაფერი ნათელი, უფროსი ასაკის ქალები კივილით და ქვითინით ცდილობდნენ მის ხელებზე ამბორს ... და არც ერთი ორგანო მას არ ემორჩილებოდა. მან აიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და სცადა პოლიციის ხელმძღვანელის შეცვლა. შეცვალა კიდეც. მაგრამ ახალი ხელმძღვანელი არავის ენაღვლებოდა. შემდეგ ის უკრაინის უშიშროების სამსახურს მიადგა. და აქ მას ზრდილობიანად გაესაუბრნენ, მის მიერ ახლახანს დანიშნული ხალხი კიბეზე დააგორეს და დაჰპირდნენ, რომ რაღაცას ამოაგლეჯდნენ ... დრო გადის და სხვადასხვაგვარი ოპოზიცია ერთიანდება, განგსტერები ბრუნდებიან, საჯარო მოხელეები, შენობათა დაგეგმარების ოფისით დანყებული სამთავრობო მოხელეებით დამთავრებული, მას საბოტაჟს უწყობდნენ, ვერხოვნა რადა [პარლამენტი] საპრეზიდენტო უფლებამოსილებაზე შეზღუდვებს ანესებდა — ყველანი გაერთიანდნენ იურიკის წინააღმდეგ, ცხოვრება არ გაუმჯობესდა, მისი პიროვნული ქარიზმა ნაწილებად დაიშალა, ხალხი გამოფხიზლდა. ზოგიერთი ამბობს: ეს იყო ყირიმი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა კიევიო. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ვიძულოთ საკითხზე, თუ ვინ იდგა ამის უკან და როდის გაჩნდა იგი. თუმცა საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ავტონომია სახელმწიფო არ არის. მას რომ არმია ჰქონოდა, ყველაფერი უფრო ადვილად და მალე დასრულდებოდა, მოქალაქეებო, ... რა თქმა უნდა, მარჩენკო ეცდებოდა, თანამდებობიდან გადაეყენებინა გენერალი კუზმუკი. ეს ნახვად ეღირებოდა ... ვერხოვნა რადა მეგობრული ორგანო გახდებოდა და კონსტიტუციურ ცვლილებებს დაგვიანების გარეშე მიიღებდა! პარლამენტარიზმის მწვერვალი! ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება გაზაფხულზე? ნატალია მიხაილოვნა, ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს, საბოლოოდ ნერტილს დაუსვამს კამათს იმის შესახებ, შეძლებს თუ არა უკრაინის მინა კაბაში გამოწყობილი „ნიუტონების“ ზიდვას. და ერთადერთი პერსპექტივა, თუნდაც ამ ექსპერიმენტის შედეგად, შესაძლოა იყოს ის სირთულეები, რომლებიც დაბრკოლებას შეუქმნიან იულია ტიმოშენკოს, როგორც ქალ კანდიდატს, შემდეგ არჩევნებზე ... ზოგიერთი ამბობს: ქვეყანასა და ხალხზე რას იტყვიოთ!? ქალბატონებო და ბატონებო, თუ დემოკრატები ხართ, ხელს ნუ შეუშლით ხალხს, გამოიყენოს თავისი ნმინდა უფლება ხმის მიცემისა. და ხელს ნუ შეუშლით იმავე ხალხს, პირისპირ შეხედეს საკუთარი არჩევანის შედეგებს და პასუხი აგოს ამისათვის ...

თუმცა ჩვენ ალბათ ვერ ვნახავთ სრული სისხვით ხალხის მხიარულებას და ნატაშას ტრიუმფს, რადგან რამდენიმე „მბოდავი გიჟი“ ისევ დარჩა ბანკოვამი. თუმცა, როგორც ჩანს, რუსული შტაბბინის გეგმა „რუსული სცენარის“ სრული დაცვით ჩამოყალიბდება. და ჩვენ აღმოვაჩინებთ დიდებულ ახალ ამბავს იმის შესახებ, თუ ვინ იტვირთავს რუსეთის ლებედის როლს ჩვენს ქვეყანაში, ვინ დაინიშნა უშიშროების საბჭოში არჩევნებამდე და შემდეგ ჩაბარდა ნმინდა პრეზიდენტ ელცინს და ამგვარად მნიშვნელოვნად განაპირობა ამ უკანასკნელის გამარჯვება შემდეგ არჩევნებში. საინფორმაციო წყაროს მიხედვით, „მინაური ლებედის“ სცენარი, რომელიც გამოჩნდა პირველი ტურის შემდეგ, ასეთია: აგვისტოს ბოლოს დაგეგმილია მასმედიის კამპანიის წამოწყება სახალხო აუდიტის კომიტეტის შექმნის იდეის მხარდასაჭერად (ნატალია მიხაილოვნამ, როგორც ჩანს, უკვე ახსენა ამ სტრუქტურის აღდგენის საჭიროება). სექტემბრის პირველ ნახევარში, მუშაკთა მრავალგზის თხოვნის თანახმად, პრეზიდენტი გამოსცემს დეკრეტს ამ კომიტეტის შექმნის შესახებ. იგი დაუყოვნებლივ დაიწყებს ფუნქციონირებას. ერთ-ერთი მოვლენა, რაც ფართოდ იქნება გაშუქებული მასმედიის მიერ, ჩატარდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან თანამშრომლობით, საარჩევნო კანონის დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ამავე დროს, მედია წამოიწყებს ვიტრენკოს სანინალმდეგო კამპანიას (მხოლოდ პროპრეზიდენტული მედია აიტაცებს ამ იდეას და სრულად ჩაებმება მასში). მერე პრეზიდენტი, გეგმის თანახმად, სიტყვით გამოვა და მკაცრად მოითხოვს, შეწყდეს ხალხის დამცველის წინააღმდეგ ბინძური პროპაგანდის კამპანია. ხალხი ტაშს დაუკრავს პრეზიდენტს და შემდეგ, სექტემბრის ბოლოს, იგი ქალბატონ ნატალია მიხაილოვნას სახალხო აუდიტის კომიტეტის მეთაურად დანიშნავს. ამას მოჰყვება კანდიდატთა, კუჩმასა და ვიტრენკოს, ოფიციალური განცხადებები, რის შედეგადაც დარჩება ერთი კანდიდატი. ნატალია მიხაილოვნა სენ-სანსს იცეკვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აღარ მოისმენს მისი პოლიტიკური კარიერის შესახებ „გედის სიმღერას“, მაგრამ რუს სცენარისტებს ხელები ექავებათ საარჩევნო კამპანიის დასასრულის მოლოდინში იმ გრძნობით, რომ მათი სტრატეგიული მოვალეობა შესრულებული იქნა. უნდა ვალია-როთ, რომ სცენარი სუსტი არ არის. საქმეის არის, თუ რამდენად მზადაა ნატალია მიხაილოვნა მათი ორიგინალობისათვის, ვინც მას იყენებს, და რამდენადაა მისთვის ცნობილი იმ სისტემის ცინიზმის დონე, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ნიადაგს ამზადებდა იმისათვის, რომ ნება დაერთო ამ პროგრესული სოციალისტისათვის, ეჩვენებინა თავისი არაჩვეულებრივი შესაძლებლობები ხალხის სახელით თვლასა და აუდიტის ჩატარებაში? ჯაჭვი იჭიმება და მანძილი მოკლდება... თუმცა ბერეზოვსკის პროტყეულებედი მალე გაათავისუფლეს თანამდებობიდან და საბოლოოდ მისი [ბერეზოვსკის] დახმარებით იგი აღმოჩნდა მდიდარ ტერიტორიაზე. შტაბბინის სცენარისტებს, რუსი ოლიგარქების დირექტივებით, ასევე გრძელვადიანი და პერსპექტიული ზრახვები აქვთ ჩვენი ნატაშასათვის. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, თუნდაც ალიქვას ეს საშიშროება, ნატალია მიხაილოვნა იძულებული იყოს გააცნობიეროს, რომ მან მიიღო შემოთავაზება, რომელზეც უარს ვერ იტყვის. დამთხვევას არ ჰგავს, რომ

ეკოლოდიმირ შერბანმა, „სუმის“ მმართველმა, მოახსენა პრესას, რომ ის ფინანსურად ეხმარებოდა უკრაინის პროგრესული სოციალისტური პარტიის კონგრესს. შემდეგ ბ-ნი პინჩუკი ასევე გაიხსენებს, თუ როგორ ეხმარებოდა ქ-ნ ვიტრენკოს დნიპროპეტროვსკში. და აქ კი ბ-ნი რაბინოვიჩი, რომელმაც მუშაობა დაიწყო ბ-ნი მოროზის რეიტინგზე („რაბინოვიჩი მოროზის წინააღმდეგ“ ... იმ გრძნობების მიუხედავად, რომლებიც რაბინოვიჩმა შეიძლება აღძრას მოსახლეობის უბრაველესობაში), პრეზიდენტის ადმინისტრაციისაგან რჩევის მიღების შემდეგ, გაიხსენებს უკრაინის პროგრესული სოციალისტური პარტიის პერსპექტივებს ... და შემდეგ განმტკიცდება აზრი, რომ ბანკოვა ეხმარებოდა ნატალია მიხაილოვნას არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის და ბ-ნი რაზუმუკოვის ოჯახებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. შესაძლოა, აღარავის ჰქონდეს ეჭვი იმისა, რომ ოპოზიციის ნევრი მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის „რუპორია“, რომლის ფუნქცია იგივეა, რაც რუსი ჟირინოვსკისა (როგორც უარგონის მოყვარულები იტყვიან) და იგი დაქირავებულია და უხდის პირადად. ფუნქცია იოლია: შეგიძლია თქვა, რაც გინდა, მაგრამ მოიქცე „სწორად“, არ უნდა გააბრაზო მამა [პრეზიდენტი], მაშინ როცა ძირი უნდა გამოუთხარო მის მტრებს.

ამგვარად, თუ თემა „სახალხო აუდიტი“ გამოიკვეთება, დაიწყება რუსული გეგმის განხორციელება. და კუჩმას კონკურენტი პეტრო სიმონენკო იქნება. საარჩევნო პალიტრა უფრო გამოკვეთილ კონტურებს შეიძენს. კოსტენკომ და ონოპენკომ (პარლამენტის წევრები) შექმნეს სხვა საარჩევნო ბლოკი, ალიანსი, რომელიც „სამი ვეშაპის“ (მარჩუკი, მოროზი და ტაჩენკო) ალტერნატივაა - რისი მიზეზებიც სავსებით გასაგებია. თუმცა კოსტენკოს „რუხი“ (უკრაინის პოლიტიკური პარტია) ხან გამოჩნდება, ხანაც გაუჩინარდება ხოლმე. მაგრამ დამარცხების (კოსტენკოს „რუხის“ მიერ) მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობენ ზაიეცი (პარლამენტის წევრი) და ჩორნოვილის („რუხის“ მეორე შტოს ლიდერი) ტაქტიკის ლოიალური მიმდევრები, რომლებიც, სახელმწიფო ორგანოების ზურგს ამოფარებული, წრიალებენ თავიანთი ანტი-მემარცხენე იდეოლოგიით. სწორედ აქ, დღეს გადაწყდება, „რუხთაგან“ რომელი უფრო კარგად არის მზად ეროვნულ-პატრიოტული მასების დასაცავად. სანყალი ონოპენკო, რომელიც შეჩვეულია სხვადასხვა სახის „kydalovo“-ს (აფერისტობას), სავარაუდოდ, არ უპასუხებს შეკითხვას: „თუ ისინი დაგპირდებიან პარლამენტის წევრის სკამს, დაუპირისპირდები კუჩმას?“. მას შემდეგ, რაც ცენტრისტული მემარჯვენეები გაერთიანდნენ „მწვანე“ კონროვთან (მწვანეთა პარტიის წევრი), რომლის ძირითად იდეასაც წარმოადგენდა კუჩმას გაბრაზების თავიდან აცილება, თუმცა მის გუნდში არ იყო, ეჭვგარეშეა, რომ ბლოკის იდეოლოგია თვითშენარჩუნებაში მდგომარეობდა. და ოლინიკს, „ამოუცნობ ობიექტს“, რომელიც მათთან გაერთიანდა, თავადაც ვერაგი იდეები ამოძრავებს. შესაბამისად, ზოგადი შეგრძნება არ შეცვლილა.

ამგვარად, მხოლოდ მარჩუკის, მოროზის და ტაჩენკოს „სამთა ალიანსი“,

რომელსაც შეუერთდა იური კარმაზინი, „აქტიური ხიშტი“, რჩება ბანკოვას შეტევის ობიექტად და ამ ალიანსზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებულნი იქნებიან კანდიდატები ბანკოვას თამაშში, რომელიც კუჩმაზას გასამარჯვებლად არის მიმართული. ... ზოგჯერ ჩვენი ქვეყანა მართლაც იმსახურებს კუჩმაზა-2-ს ან მეორე იურიკს... მართლა საცოდავი იურიკები ვართ? და რომ არ ყოფილიყო არჩევნების შედეგების ბათილად გამოცხადების შიში — ასეთი შიში ერთხმად გამოთქვს პროპრეზიდენტულად განწყობილმა ადამიანებმა — შესაძლო იყო გვეფიქრა, რომ ისინი მართლები იყვნენ ...”

12. 1999 წლის 21 აგვისტოს ქ-ნმა ნატალია მ. ვიტრენკომ (უკრაინის პროგრესული სოციალისტური პარტიის ლიდერი) სარჩელი შეიტანა კიევის მინსკის რაიონულ სასამართლოში გაზეთი „*ДЕНЬ*“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მატერიალური და არამატერიალური ზიანისთვის კომპენსაცია, რადგან 1999 წლის 21 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატიის შინაარსი არასწორი იყო და ზიანს აყენებდა მის ღირსებას და პარლამენტის წევრის რეპუტაციას. 2000 წლის 3 მარტს კიევის მინსკის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დაუშვა მისი მოთხოვნა და „*ДЕНЬ*“-ს დააკისრა ქ-ნი ვიტრენკოსათვის 2000 უკრაინული გრივნას¹ გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ „*ДЕНЬ*“-ში დაბეჭდილი სტატია სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან განმცხადებელმა ვერ შეძლო მის მიერ დაბეჭდილი ინფორმაციის სიმართლის დამტკიცება. სასამართლომ გაზეთს დააკისრა, აგრეთვე, „*ДЕНЬ*“-ის ერთ-ერთ მორიგ გამოცემაში ერთი თვის ვადაში გამოექვეყნებინა ამ ინფორმაციის გამაბათილებელი სტატია, 2000 წლის 3 მარტის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილთან ერთად. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა:

„... სასამართლო არ ეთანხმება მოპასუხეთა არგუმენტებს, რადგან მათ მიერ 1999 წლის 21 აგვისტოს გაზეთი „*ДЕНЬ*“-ის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ეს სტატია გამოქვეყნდა მეოთხე გვერდზე სვეტში სათაურით „დეტალები“ და „პროგნოზები“. თუმცა გაზეთის მკითხველთათვის დაკონკრეტებული არ იყო, თუ როგორ უნდა გაერჩია მას ერთმანეთისაგან „მომავლის პროგნოზები“ ფაქტებისაგან და, მით უფრო, „დეტალებისაგან“ ...

... ბეჭდვითი მედიის (პრესის) შესახებ აქტის ზემოხსენებულ 42-ე ნაწილში არსებობს იმ გარემოებათა კონკრეტული ჩამონათვალი, როდესაც სარედაქციო კოლეგია თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. სიაში არ შედის „პროგნოზები დეტალებთან ერთად“ და, შესაბამისად, საქმე გვაქვს მოპასუხეთა პასუხისმგებლობასთან, მიუხედავად იმისა, „ისახავდნენ თუ არა ისინი მიზნად უკრაინაში წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს განვითარებული მოვლენების შეფასებას“ ...

... გამონათქვამები „მეორე იურიკი საცოდავი იორიკებისათვის ან ლებე-

1. 1 ევრო = 369,68 გრივნას

დის უკრაინული ვერსია", „ჩვენი და თქვენი ნატაშა“, „საფრთხოვებელა (strashylka)“, პრეზიდენტის ადმინისტრაციის რუპორი, რომელიც მოქმედებს როგორც უიზონის უკრაინაში“, რომლებიც გამოყენებული იქნა ავტორის მიერ, შეიძლება მიჩნეული იქნეს ავტორის წარმოსახვის ნაყოფად და „საყოველთაოდ მიღებულ პოლიტიკურ რიტორიკას“ არ წარმოადგენს. უფრო მეტიც, ეს ავტორის „შეფასებითი მსჯელობა“...

... სასამართლო ასევე არ ეთანხმება იმას, ... რომ ეს სტატია ეხება ნატალია ვიტრენკოს, როგორც უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატს, და არა მის პირად ცხოვრებას ... სტატია ეხება არა თვით ვიტრენკოს, არამედ „ბანკოვაში“ [უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაცია] კონკრეტული გეგმების არსებობას და იმას, თუ როგორ მოხდება ამით ნატალია ვიტრენკოთი მანიპულირება ... სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის, როგორც პიროვნების, პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია მის პოლიტიკურ შეხედულებებთან და რწმენასთან და საზოგადოების პოლიტიკურ სტრუქტურაში მის როლთან. შესაბამისად, ის, რომ „საფრთხოვებელას“ როლი, რომელიც მოპასუხის, ქნი ტეტიანა ე. კორობოვას, პროგნოზის თანახმად, დაგეგმილი იქნა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ, სიმართლეს არ შეესაბამება. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ავტორის წარმოსახვის ნაყოფია...

სასამართლოს აზრით, ასეთი „შეფასებითი მსჯელობა“ შეურაცხყოფს მოსარჩელის პატივსა და ღირსებას და მის რეპუტაციას, რადგან იგი უკრაინის პროგრესული სოციალისტური პარტიის ლიდერი, ... ვერხოვნა რადას ნეერი და პრეზიდენტობის კანდიდატია ... ეს იმას ნიშნავს, რომ სტატია ეხება არა მხოლოდ მის საზოგადოებრივ, არამედ პირად ცხოვრებასაც ...”

13. 2000 წლის 12 ივლისს კიევის საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. სახელდობრ, მან დაადგინა, რომ კიევის მინსკის რაიონულმა სასამართლომ სწორი დასკვნები გააკეთა, რადგან აპელანტებმა ვერ შეძლეს დაემტკიცებინათ და სასამართლომაც არ დაადგინა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამებოდა.

B. 1999 წლის 14 სექტემბრის პუბლიკაციასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

14. 1999 წლის 14 სექტემბერს ქ-ნი ტეტიანა ე. კორობოვას მიერ „ДЕНЬ“-ში გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „წმინდა ძროხისა და პატარა ბელურის შესახებ: სოციალისტური პარტიის ლიდერი — კუჩმას უკანასკნელი იმედი“. ამ სტატიის შესაბამისი ამონარიდი ასე იკითხება:

„...პეტრო მიკოლაევიჩის სავარაუდოდ ეწვია ადამიანი, რომელიც ჰგავდა ოლექსანდრ ვოლკოვს, კუჩმას საარჩევნო აგენტს. მან სავარაუდოდ სოციალისტური პარტიის ლიდერს უთხრა: „შენ თუ [საპრეზიდენტო არ-

ჩვენების მართონ გამოეთიშები, თავს დაკარგავ. დღეს თუ შენი გვარი კანდიდატთა სიიდან გაქრება, ხვალ დაიმარხები" ...

... ისინი მზად არიან, „ბოლომდე“ მივიდნენ, კონგრესის [კომუნისტური პარტიის] დადგენილებების შესაბამისად და კუჩმას არჩევის შემდეგ მასთან ითანამშრომლონ და ხელისუფლება ჩაიბარონ, როგორც საჩუქარი მათ მიერ განეული სამსახურისათვის ...

... პეტრო მიკოლაოვიჩი შეიძლება კელავ შეურაცხყოფილი დარჩეს "ДЕНЬ"-ის მიერ. სულ ტყუილად. გამახსენდა ერთი იგავი. ცუდ ამინდში პატარა ბელურა ფრენისას გაიყინა და მიწას დაენარცხა. იქვე გამოიარა ძროხამ და მისი ნაკელი პირდაპირ პატარა ბელურას დაეცა. ის გათბა, გამოყო პატარა თავი და დაიწყო ბედნიერად ფრთხილი. ამ დროს გამოჩნდა კატა, დაყნოსა ბელურას და გადასანსლა. აქედან მორალი: ნაკელში თუ ამოყავი თავი, მშვიდად იჯექი და ნუ იფრთხილებ. და დაიმახსოვრე, რომ ყველა, ვინც დაგასკორავს, შენი მტერი არ არის, და ყველა, ვინც იქიდან გამოგათრევს, არ გემეგობრება. მაპატიეთ ასეთი პირდაპირობისათვის."

15. 1999 წლის დეკემბერში ბ-ნმა სიმონენკომ (კომუნისტური პარტიის ლიდერი) სარჩელით მიმართა კიევის მინსკის რაიონულ სასამართლოს "ДЕНЬ"-ის და ქ-ნი ტეტიანა ე. კორობოვას წინააღმდეგ, მტკიცებით, რომ პუბლიკაციაში გამოყენებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მას სურდა დაეცვა საკუთარი პატივი, ღირსება და რეპუტაცია და არამატერიალური ზიანისათვის მიეღო კომპენსაცია. 2000 წლის 8 ივნისს კიევის მინსკის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბ-ნი სიმონენკოს საჩივარი და "ДЕНЬ"-ს დააკისრა მისთვის 1000 უკრაინული გრივნა² გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. გაზეთს დაევალა ცრუდ აღიარებული ინფორმაციის გამაბათილებელი სტატიის გამოქვეყნება, 2000 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილთან ერთად. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა:

„ .. ამ საქმის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფაქტი, რომ ბ-ნი პეტრო მ. სიმონენკო პოლიტიკური ლიდერია და სტატია ეხება მისი, როგორც პოლიტიკოსის, და არა როგორც ჩვეულებრივი მოქალაქის, საქმიანობას. ...

რაც შეეხება სტატიიდან სხვა ამონარიდებს, რომლებსაც მოსარჩელე შეუხო თავის სარჩელში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ისინი ცრუდ იქნა აღიარებული სასამართლო მოსმენისას, რადგან მოპასუხებმა ვერ შეძლეს სასამართლოსათვის პუბლიკაციაში გამოყენებული ინფორმაციის სიმართლის დამადასტურებელი მტკიცებულებების მიწოდება. ...

მოპასუხის წარმომადგენელმა მოსმენაზე აღნიშნა, რომ ეს ამონარიდები მხოლოდ სტატიის ავტორის უბრალო ვარაუდები იყო, თუმცა ვერ შეძლო

ამის დამტკიცება. სასამართლო სექსტიკურად უდგება ამ განცხადებას, რადგან სტატიის ტექსტიდან შეუძლებელია იმის მიხედვით, რომ ყურნალისტი მტკიცებებს აყალიბებს, როგორც ვარაუდს და რომ მკითხველმა ტექსტი ვარაუდად უნდა აღიქვას. მოსარჩელის შედარება „პატარა ბელურასთან,“ მისი აზრით, დამამცირებელია. უფრო მეტიც, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც არჩევნებამდე ბ-ნ პეტრო მ. სიმონენკოსა და მთავრობის მოხელეებს შორის შეთანხმებას დაადასტურებდა, როგორც ეს ასახულია სათაურში: „კომუნისტური პარტიის ლიდერი - კურმას უკანასკნელი იმედი“.

... ეს არამატერიალური ზიანი განცდილი იქნა იმით, რომ სტატია დაიბეჭდა საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომელშიც მოსარჩელე კანდიდატად მონაწილეობდა. შესაბამისად, ... იგი იძულებული გახდა, ელექტორატისათვის აეხსნა სტატიაში აღნიშნული საკითხები. ... მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ამ სტატიაში ბრალი ედებოდა მისი თანაპარტიელების, კოლეგებისა და ელექტორატის ლალატში. ზიანი მას მიადგა, როგორც ღირსების მქონე ადამიანს, იმ მეტაფორების გათვალისწინებით, რომლებიც გამოყენებული იქნა სტატიაში ავტორის მიერ. მაშასადამე, „უკრაინულმა მედიაჯგუფმა“ გამოაქვეყნა დაუზუსტებელი ინფორმაცია და გაავრცელა არასწორი მონაცემები ... და ქნმა ტეტიანა ე. კორობოვამ გამოიგონა და გაავრცელა არასწორი ინფორმაცია. ...“

16. სასამართლო ასევე ასკვნის, რომ ცრულ უნდა იქნეს შეფასებული შემდეგი ინფორმაცია:

„ ... პირველ გვერდზე სტატიის სათაური „წმინდა ძროხისა და პატარა ბელურის შესახებ: უკრაინის კომუნისტური პარტიის ლიდერი — კურმას უკანასკნელი იმედი.“

... „...პეტრო მიკოლაევიჩის სავარაუდოდ ენვია ადამიანი, რომელიც ჰგავდა ოლექსანდრ ვოლკოვს, კურმას საარჩევნო აგენტს. მან სავარაუდოდ სოციალისტური პარტიის ლიდერს უთხრა: „შენ თუ [საპრეზიდენტო არჩევნების] მართონს გამოეთიშები, თავს დაკარგავ. დღეს თუ შენი გვარი კანდიდატთა სიიდან გაქრება, ხვალ დაიმარხები“ ...“

... ისინი მზად არიან, „ბოლომდე“ მივიდნენ, კონგრესის [კომუნისტური პარტიის] დადგენილებების შესაბამისად და კურმას არჩევის შემდეგ მასთან ითანამშრომლონ და ხელისუფლება ჩაიბარონ, როგორც საჩუქარი მათ მიერ განუული სამსახურისათვის ...“

17. 2000 წლის 16 აგვისტოს კიევის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა ეს გადანყვეტილება. სახელდობრ, მან დაადგინა, რომ კიევის მინსკის რაიონულმა სასამართლომ სწორი დასკვნები გააკეთა, რომ ამ საქმეში მოპასუხე მხარეს არ დაუმტკიცებია ბ-ნი პეტრო მ. სიმონენკოს შესახებ გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება. მან ასევე დაადგინა, რომ სასამართლოს

დასკვნები ეფუძნებოდა საქმის მასალებს და გაკეთებული იყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

II. შესაბამისი საერთაშორისო სამართალი

A. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბოლოდროინდელი რეკომენდაციები

18. საპარლამენტო ასამბლეის ბოლოდროინდელი რეკომენდაცია „სიტყვის თავისუფლება მედიაში ევროპაში“ (№1589 (2003)) ეხება უკრაინაში მედიისა და ჟურნალისტების დევნას პოლიტიკოსებისა და ხელისუფლებაში მყოფი მოხელეების შესახებ კრიტიკის გამოქვეყნების შემდეგ.

B. საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია №1346 (2003): უკრაინის მიერ ვალდებულებებისა და პირობების თავის თავზე აღების შესახებ

19. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1346 რეზოლუციის შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

„1. საპარლამენტო ასამბლეა მოიხმობს მის მიერ 2001 წლის 27 სექტემბერს მიღებულ №№1179 (1999), 1194 (1999), 1239 (2001), 1244 (2001) რეზოლუციებს, განსაკუთრებით კი №1262 (2001) რეზოლუციას უკრაინის მიერ თავის თავზე ვალდებულებებისა და პირობების აღების შესახებ. ...

11. ასამბლეა გმობს ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ფაქტების (მათ შორის ყველაზე ცნობილი ფაქტების - 2000 წელს გიორგი ლონდაძისა და 2001 წელს იგორ ალექსანდერის მკვლელობების) სიმრავლეს და ამ ტიპის გახსნილი დანაშაულების ძალიან მცირე რაოდენობას. ის ასევე შეშფოთებულია უფლებამოსილების გადაშეცემის უწყვეტი ფაქტებით, განსაკუთრებით პროვინციებში დაბეგვრის, რეგულირების და პოლიციის უფლებამოსილების საკითხებში, ოპოზიციური მედიის დაშინების მიზნით. ასამბლეა განმეორებით მოუწოდებს უკრაინის ხელისუფლების ორგანოებს, იმგვარად განახორციელონ მედიის პოლიტიკა, რომ სარწმუნოდ გამოხატონ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების პატივისცემა ...

12. ასამბლეა შეშფოთებულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მცდელობით, უფრო მკაცრი კონტროლი დაანესოს სახელმწიფოს მიერ მართულ, ოლიგარქის კონტროლს დაქვემდებარებულ და დამოუკიდებელ მედიაზე. ამ მიმართულებით იგი მიესალმება 2003 წლის 16 იანვარს ვერხოვნა რადას მიერ მიღებულ რეზოლუციას უკრაინაში პოლიტიკური ცენზურის

საკითხზე და, სახელდობრ, 2003 წლის 3 აპრილის შესწორებებს გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონთა რაოდენობის თაობაზე, რადგან ამ შესწორებათა მიზანი ჟურნალისტებისთვის უკეთესი სამართლებრივი დაცვის შეთავაზებაა, განსაკუთრებით კი მათ მიერ ინფორმაციის გავრცელებასა და ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებაში. ასამბლეა იმედს გამოთქვამს, რომ ეს დებულებები ეფექტიანად დაინერგება ადმინისტრაციის ყველა (ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ) დონეზე.“

C. ევროპის პარლამენტის რეზოლუცია (2004) უკრაინის შესახებ

20. ევროპის პარლამენტის რეზოლუციის შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

„ ... E. ვინაიდან უკრაინაში გრძელდება მუქარა გამოხატვის თავისუფლების მიმართ და იზრდება დამოუკიდებელი მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული სერიოზული დარღვევების შემთხვევები, როგორებიცაა ოფიციალური სამსახურების მიერ კონკრეტული მედიის საქმიანობაზე ზენოლა ან მის საქმიანობაში ჩარევა, უკანონო ადმინისტრაციული და სამართლებრივი ქმედების განხორციელება სატელევიზიო სადგურებისა და მედიის სხვა გამოცემების მისამართით, ჟურნალისტების დაშინება და მათ მიმართ ძალადობა,

... 2. მოუწოდებს უკრაინის მთავრობას, პატივი სცეს გამოხატვის თავისუფლებას და მიიღოს თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაში ჩარევის, სატელევიზიო სადგურებისა და მედიის სხვა გამოცემების მისამართით უკანონო ადმინისტრაციული და სამართლებრივი ქმედების განხორციელებისა და ჟურნალისტების დაშინებისა და მათ მიმართ ძალადობის თავიდან აცილების და დასჯის უწყვეტი და ქმედითი ღონისძიებები ...“

D. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოხსენება, სამდივნოს 2004 წლის 16-19 მარტის ინფორმაცია და დახმარების მისია კიევში თემაზე „ვალდებულებებისა და პირობების შესრულება: უკრაინაში შექმნილი სიტუაცია“ (SG/Inf(2004)12, 2004 წლის 8 აპრილი)

21. გამოხატვის თავისუფლების შესახებ 2004 წლის 8 აპრილის მოხსენებიდან შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

„47. გამოხატვის თავისუფლება და უკრაინაში მედიის თავისუფლება, რომელიც ექსპერტთა მოხსენებებისა და უკრაინის სახელისუფლებო მოხელეების კომენტარების ობიექტია ..., კვლავ რჩება სერიოზული შეშფოთების საგნად. ...

... 55. სამდივნოს დელეგაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ახალი სამოქალაქო კოდექსის, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის

დასაწყისში (ტექსტი ხელმისაწვდომი არ არის), ზოგიერთი ახალი დებულება ასევე პრობლემებს ქმნის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების საკითხთან მიმართებაში. ეს განსაკუთრებით ეხება 277-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ „ნეგატიური ინფორმაცია მიჩნეული უნდა იქნეს ცრუ ინფორმაციად,“ და 302-ე მუხლს, რომელიც ადგენს, რომ „სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება“. ეს დებულებები ყურნაღიბებს იძულებულს გახდის, საკუთარ თავს ცენზურა დაუნესონ, რათა თავიდან აიცილონ სამართლებრივი დევნა. ეს შეშფოთების მეორე მიზეზია, იმის მიუხედავად, რომ უკრაინის სასამართლოებს ეს დებულებები ჯერ არ გამოუყენებიათ ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში ახლახანს შესვლის გამო.

კონკრეტული რეკომენდაციები: ... უკრაინის ხელისუფლების ორგანოებმა უნდა განახორციელონ ევროპის საბჭოს რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს მედიის შესახებ უკრაინის კანონების ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობას. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ნებისმიერი კანონპროექტი მკაცრად იცავდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში დადგენილ სტანდარტებს.“

III. შესაბამისი შიდა სამართალი და პრაქტიკა

A. უკრაინის 1996 წლის 28 ივნისის კონსტიტუცია

22. კონსტიტუციის შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 32

„... ყველა ადამიანისთვის გარანტირებულია სამართლებრივი დაცვა უფლებისა, გააბათილოს მის ან მისი ოჯახის წევრების შესახებ არასწორი ინფორმაცია და მოითხოვოს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის გაბათილება, ასევე მიიღოს კომპენსაცია მატერიალური და მორალური ზიანისათვის, რომელიც განცდილი იქნა ასეთი არასწორი ინფორმაციის შეგროვებით, შენახვით, გამოყენებითა და გავრცელებით.“

მუხლი 34

„ყველას აქვს აზრისა და სიტყვის თავისუფლების და საკუთარი შეხედულებებისა და რწმენის თავისუფლად გამოხატვის უფლება.“

ყველას აქვს უფლება, თავისუფლად შეაგროვოს, შეინახოს, გამოიყენოს და გაავრცელოს ინფორმაცია ზეპირი, წერილობითი თუ სხვა საშუალებით საკუთარი სურვილისამებრ.

ამ უფლებების გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს კანონით ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საჯარო წესრიგის ინტერესებისათვის, უნესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად."

B. 1963 წლის სამოქალაქო კოდექსი

23. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ამონარიდი ასე იკითხება:

მუხლი 7

პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის დაცვა

„მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს, მოითხოვოს სასამართლოში ისეთი ცრუ ან არასწორად ფორმულირებული ინფორმაციის უარყოფა, რომელიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას ან რეპუტაციას ან ზიანს აყენებს მის ინტერესებს, თუ პირი, რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა, ვერ შეძლებს მისი ჭეშმარიტების დამტკიცებას.“

... მოქალაქის ან ორგანიზაციის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს და მათ ინტერესებს, პატივს, ღირსებას ან რეპუტაციას ზიანს აყენებს, უნდა გაბათილდეს და მატერიალური და არამატერიალური ზიანი ანაზღაურდეს. იმ საჩივრების მიმართ, რომლებიც ეხება ამგვარი მონაცემების გაბათილებასა და კომპენსაციას, გამოიყენება ერთნაირი ხანდაზმულობის ვადა.“

C. 2003 წლის სამოქალაქო კოდექსი

24. ახალი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 23

მორალური ზიანის ანაზღაურება

„1. პირს, მისი უფლებების შელახვის შემთხვევაში, უფლება აქვს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე.“

მუხლი 277

ცრუ ინფორმაციის გაბათილება

... 3. პირის მიერ გავრცელებული ნებისმიერი სახის ნეგატიური ინფორმაცია მიჩნეული უნდა იქნეს არასწორად.

... 6. პირს, ვისი უფლებებიც შელახული იქნა, ... უფლება აქვს, პასუხი

გაცეს და გააბათილოს ეს ინფორმაცია მასშედის იმავე საშუალებით და კანონით დადგენილი პროცედურების თანახმად.

... არასწორი ინფორმაციის გაბათილება არ არის დამოკიდებული იმ პირის უშუალო ბრალეულობაზე, ვინც ეს ინფორმაცია გაავრცელა.

7. არასწორი ინფორმაცია გაბათილებული უნდა იქნეს იმავე ფორმით, რა ფორმითაც მოხდა მისი გავრცელება.”

D. კანონი მონაცემთა შესახებ

25. მონაცემთა შესახებ კანონის შესაბამისი ამონარიდი გულისხმობს:

ნაწილი 47

პასუხისმგებლობა მონაცემთა შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

„... მონაცემთა შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დაისმის იმ პირთა მიმართ, რომლებიც ბრალეულნი არიან შემდეგი სახის დარღვევებში:

... ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება;

... ისეთი ცრუ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც შეურაცხყოფს პიროვნების პატივსა და ღირსებას. ...“

E. კანონი ბეჭდვითი მედიის (პრესის) შესახებ

26. ბეჭდვითი მედიის (პრესის) შესახებ კანონის შესაბამისი ამონარიდი ამბობს:

ნაწილი 26

ჟურნალისტთა უფლებები და ვალდებულებები

„... ჟურნალისტი ვალდებულია:

... 2) უზრუნველყოს ობექტური და ჭეშმარიტი ინფორმაცია პუბლიკაციისთვის ...“

ნაწილი 37

ინფორმაციის გაბათილება

„მოქალაქეებს, იურიდიულ პირებს, სახელმწიფო ორგანოებსა და მათ იურიდიულ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ მათ შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის ან იმ მონაცემების, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს ან შეურაცხყოფს მის პატივსა და ღირსებას, გაბათილება.

თუ სარედაქციო კოლეგიას არ გააჩნია იმის მტკიცებულება, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, მან, მოსარჩელის თხოვნის საფუძველზე, ეს ინფორმაცია უნდა გააბათილოს პრესის შემდგომ პუბლიკაციაში ან გააბათილოს საკუთარი ინიციატივით. ...”

ნაწილი 42

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

„სარედაქციო კოლეგია და ჟურნალისტები პასუხისმგებლები არ არიან ისეთი ცრუ ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის, რომელიც შეურაცხყოფს მოქალაქეთა და ორგანიზაციის პატივსა და ღირსებას, ლახავს მათ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ან წარმოადგენს მედიის საქმიანობის თავისუფლებისა და ჟურნალისტთა უფლებების გადაშეშებას, თუ:

- 1) ეს ინფორმაცია მიღებული იქნა საინფორმაციო სააგენტოსგან ან მედიის მესაკუთრისგან (თანამესაკუთრისგან);
- 2) ინფორმაცია აკმაყოფილებს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის ფორმალურ მოთხოვნას ან წერილობითი თუ ზეპირი ინფორმაციის მოთხოვნას, მონაცემთა შესახებ კანონის შესაბამისად;
- 3) ინფორმაცია სიტყვასიტყვითი გამეორებაა სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა გაერთიანებების მოხელეთა ოფიციალური მომართვისა;
- 4) ეს ინფორმაცია სიტყვასიტყვითი გამეორებაა სხვა წერილობით მედიაში გამოქვეყნებული მასალისა, რომელიც ამ ინფორმაციას ეხება;
- 5) ინფორმაცია მოიცავს საიდუმლოებებს, რომლებიც საგანგებოდ არის დაცული კანონით, მაგრამ ჟურნალისტმა ეს ინფორმაცია კანონიერად მოიპოვა.“

F. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

27. უზენაესი სასამართლოს 1995 წლის 31 მარტის პლენუმის №4 რეზოლუციის – „სასამართლოს პრაქტიკის შესახებ მორალური (არამატერიალური) ზიანისათვის კომპენსაციის შემთხვევებში“ – შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

„... 11. ... კონკრეტული ფაქტების კრიტიკული შეფასება ... არ გამოდგება არამატერიალური ზიანისთვის კომპენსაციის მოთხოვნის დაშვების საფუძველად. თუმცა თუ დაირღვა ადამიანის კანონით დაცული სხვა უფლებები (მაგალითად, მისი თანხმობის გარეშე გავრცელებული იქნა საიდუმლო ინფორმაცია), ეს მიგვიყვანს მორალური ზიანისათვის [სასამართლოს მიერ] კომპენსაციის მინიჭებამდე. ...”

28. უზენაესი სასამართლოს 1990 წლის 28 სექტემბრის პლენუმის №7 რეზოლუციის – „მოქალაქეებისა და ორგანიზაციების პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ – შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

„... 17. სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, მოპასუხემ [დეფამაციის საქმეზე] უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება. მოსარჩელეს ევალება ერთადერთი რამ: დაამტკიცოს, რომ მოპასუხემ მის შესახებ შეურაცხყოფელი ინფორმაცია გაავრცელა. მოსარჩელეს ასევე უფლება აქვს, წარმოადგინოს ასეთი ინფორმაციის სიცრუის დამადასტურებელი მტკიცებულება.“

29. საქმეზე *S. v. the newspaper Simya ta Dim* („ოჯახი და სახლი“) უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 11 სექტემბრის დადგენილების შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

„ისეთი საქმეების განხილვისას, რომლებიც ეხება პატივისა და ღირსების დაცვას, [სასამართლომ] მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ფაქტებისა და ნაკლოვანებების, ფიქრებისა და მოსაზრებების კრიტიკული შეფასება ან ხელოვნების ნიმუშის კრიტიკა არ შეიძლება მორალური ზიანისათვის კომპენსაციის მოთხოვნის დაშვების საფუძველი გახდეს.“

G. მთავრობის მიერ წარმოდგენილი შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო გადაწყვეტილებები

30. მთავრობამ სასამართლოს წარმოდგინა შემდეგი შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც, მისი აზრით, შეიცავს შეფასებითი მსჯელობის ანალიზს:

- კიევის სტაროკიევსკის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
- კიევის რადიანსკის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
- კიევის შევჩენკიევსკის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება;
- პოლტავის რეგიონის ლუბნის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება;
- დონეცკის რეგიონის არტემოვსკის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება (ძალაში დარჩა დონეცკის რეგიონის სააპელაციო სასამართლოს 2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით);
- კიევის მინსკის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება;
- ეოლოდარსკის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება;
- კიევის შევჩენკიევსკის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 28 სექტემბრის

გადანყვეტილება;

- მიკოლაევის ცენტრალური რაიონული სასამართლოს 2003 წლის 23 აპრილის გადანყვეტილება;
- სევასტოპოლის ლენინის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 15 მაისის გადანყვეტილება;
- ამონარიდი გადანყვეტილებიდან ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორც მითითებულია მიკოლაევის რეგიონული სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ნიგნში „უკრაინის სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება“ (გვ. 146 - 212).

H. ამონარიდი უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სასამართლო სტატისტიკიდან

31. ამონარიდი უზენაესი სასამართლოს 2002 წლის შესაბამისი სტატისტიკიდან შემდეგნაირად იკითხება:

„2002 წელს შემოვიდა 6 177 საქმე პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ. აქედან არსებითად განხილულ იქნა 1 978 საქმე, რაც 49,4%-ია იმ საქმეთა სრული რაოდენობისა, რომელთა განხილვის პროცესიც დასრულდა; მოთხოვნები დაშვებული იქნა 1 116 საქმეში, ანუ იმ საქმეთა საერთო რაოდენობის 56,4%-ში (59,9%), რომლებზეც მიღებული იქნა გადანყვეტილება. ამ საქმეებში მოსარჩელებისთვის დაახლოებით 4 224 000 უკრაინული გრივნა იქნა მინიჭებული. დაახლოებით 1 109 სარჩელი იქნა სასამართლოში შეტანილი მასმედიის წყაროს წინააღმდეგ, რომელთაგან 256 საქმე არსებითად იქნა განხილული, 223 მოთხოვნა დაშვებული, ანუ განხილულ საქმეთაგან 62,6 (61) % და ... ამ საქმეებზე გამოტანილი იქნა გადანყვეტილებები. დაშვებული მოთხოვნებიდან თანხის სრული რაოდენობა შეადგენდა 1 191 000 უკრაინულ გრივნას.“

32. უზენაესი სასამართლოს 2003 წლის სტატისტიკის შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

„2003 წელს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ სასამართლოს მიერ განხილული იქნა დაახლოებით 6 200 საქმე. 2 000 საქმე არსებითად იქნა განხილული და წარმოება დასრულდა. 1 100 საქმეში დაშვებული იქნა მოთხოვნები (53,5% [56,4%] საქმეთა სრული რაოდენობისა) და გამოტანილი იქნა გადანყვეტილებები. დაშვებული მოთხოვნების თანხის საერთო რაოდენობა შეადგენდა 8 419 000 უკრაინულ გრივნას. ზემოხსენებული საქმეებიდან 927 საქმე იქნა წამოწყებული მასმედიის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელების შედეგად, რაც 16,4%-ია, ნაკლები, ვიდრე წინა წელს. ამ სარჩელებიდან 308 განხილული იქნა და 187 განაცხადი დაშვებული იქნა, რაც განხილული საქმეების დაახლოებით 60,7%-ს (62,6%) წარმოადგენს. მოთხოვნათა საერთო ჯამმა 4 535 000 უკრაინული გრივნა შეადგინა.“

IV. უსაბამისი მოხსენებები უკრაინაში გამოხატვის თავისუფლების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ

A. "Human Rights Watch"-ის 2003 წლის მარტის მოხსენება

33. "Human Rights Watch"-ის მოხსენებაში ნახსენებია მთავრობის მიერ უკრაინის მედიის სისტემატური „სამართლებრივი დაშინება“ და მის მიერ მედიისა და მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მართვის მცდელობა (მარტი, 2003, t. 15, № 2 (D)).

B. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება უკრაინაში მედიის მდგომარეობის შესახებ (2003)

34. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენების შესაბამის ამონარიდში ვკითხულობთ:

„ა. სიტყვისა და პრესის თავისუფლება

... „არასამთავრობო ორგანიზაციათა თავისუფლების სახლმა“ სახელმწიფოს რეიტინგი „ნაწილობრივ თავისუფალიდან“ „დამოკიდებულამდე“ ჩამოაფასა, სახელმწიფოს მიერ სატელევიზიო გადაცემების ცენზურის, დამოუკიდებელი მედიის განუწყვეტელი დაშინებისა და ჩარევის და სახელმწიფო ორგანოთა მარცხის გამო, ადეკვატურად გამოიძიონ შეტევები ჟურნალისტთა წინააღმდეგ.

... ცილისწამების გამო დევნის გამოყენებამ ან ამით დაშინებამ შეამცირა პრესის თავისუფლება, მაგრამ წლის განმავლობაში საქმეთა რაოდენობა, როგორც გვაცნობებენ, შემცირდა.

... 3 აპრილს რადამ მიიღო კანონი, რომლითაც შეიზღუდა ზიანისათვის ანაზღაურების ოდენობა, რაც შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ცილისწამებასთან დაკავშირებულ საქმეებში. კანონი მოითხოვს, რომ მოსარჩელემ დეპოზიტის სახით გადაიხადოს 1-დან 10 პროცენტამდე მოთხოვნილი ანაზღაურებისა, რომელიც ჩამოერთმევა საქმის წაგების შემთხვევაში. დამატებით, კანონი პრესას ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან არაშეურაცხყოფელი, არაფაქტობრივი შეფასებებისათვის, კრიტიკის ჩათვლით. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, ომბუდსმენის აპარატმა შემოთავაზა გამოთქვა იმ „ასტრონომიული“ თანხების გამო, რომლებიც გადაცემული იქნა სავარაუდო ცილისწამებისათვის.

... სახელმწიფო ორგანოებმა ცილისწამების სისხლისსამართლებრივი საქმეები ან „პირის პატივისა და ღირსების“ სავარაუდო შელახვაზე დაფუძნებული სამოქალაქო სარჩელები პრესაზე ზენოლისა და მისი

დაშინებისათვის გამოიყენა. მასმედიის ინსტიტუტის თანახმად, წლის განმავლობაში მასმედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ ცილის-წამებისათვის 46 სარჩელი იქნა სასამართლოში შეტანილი. მასმედიის ინსტიტუტი ამტკიცებს, რომ ამ სარჩელთა 90 პროცენტი შეტანილი იქნა სახელმწიფო მოხელეთა მიერ. სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი ყველას, საჯარო მოხელეთა ჩათვლით, აძლევს უფლებას, სასამართლოში იჩივლონ ზიანისათვის, თუ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია ან შეურაცხყოფს პირის პატივსა და ღირსებას.

ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელიც მიღებული იქნა წლის განმავლობაში და ძალაში შევა 2004 წელს, ადგენს, რომ პირის შესახებ უარყოფითი ინფორმაცია მიიჩნევა ცრუდ, თუ პირი, რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა, საპირისპიროს ვერ დაამტკიცებს. ჟურნალისტებმა და ანალიტიკოსებმა გამოხატეს შეშფოთება, რომ ეს კოდექსი უარყოფით გავლენას მოახდენს სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე.

C. ზენოლა, პოლიტიკა და პრესა (ამონარიდი უკრაინაში პრესის თავისუფლების შესახებ მე-19 მუხლთან დაკავშირებული მოხსენებიდან)

35. უკრაინაში პრესის თავისუფლების შესახებ მე-19 მუხლთან დაკავშირებული მოხსენებიდან (პუნქტი 3.6 „გამოხატვის თავისუფლება და დეფამაცია“) შესაბამისი ამონარიდი შემდეგნაირად იკითხება:

„4.1.3. უკრაინა: ... 1999 წელს მედიის წინააღმდეგ შეტანილი იქნა 2 258 სარჩელი, 90 მილიარდ ზე მეტი უკრაინული გრივნას მოთხოვნით, რომელთაგან 55 პროცენტზე მეტი შეტანილი იქნა საჯარო მოხელეების მიერ. მოხსენების თანახმად, ამ საქმეთაგან 70 პროცენტი ფიქტიური იყო და შეტანილი იქნა მედიის გამოცემებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. 2001 წელს, მოხსენების თანახმად, გაზეთს „Дзень“ [The Day] 45-ჯერ უჩივლეს საერთო ჯამში 3,5 მილიონი უკრაინული გრივნას მოთხოვნით. განსხვავებული მდგომარეობა არც 2002 წელს ყოფილა. ზოგიერთი დაბალი ინსტანციის სასამართლოს ბრძანებით ისევ ყინავენ გაზეთების ანგარიშებს სასამართლო განხილვის დროს სამოქალაქო დეფამაციის საქმეებში და შეიძლება გაზეთის აქტივები ჩამორთმეული იქნეს მედიის მიერ გადასახადების გადახდის იძულების მიზნით.

... შედეგად, ბევრი ჟურნალისტი სტატიებს ანონიმურად წერს, იყენებს ფსევდონიმებს, რათა პოლიტიკურად მგრძობიარე საკითხების განხილვისას შეტყვის ობიექტი არ გახდეს. კერძოდ, ჟურნალისტები გრძნობენ, რომ მართალია, ვერხოვნა რადასა და მინისტრთა კაბინეტის კრიტიკა დასაშვებია, მაგრამ ეს არ ითქმის პრეზიდენტის კრიტიკაზეც.

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი: ... დეფამაცია ორმაგ მოთხოვნას გულისხმობს, დეფამაციის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განცხადება რომ დეფამაციად ჩაითვალოს, უნდა

იყოს ცრუ და ვნებდეს პირის რეპუტაციას. თუმცა ეს მუხლი იმ სხვა „ინტერესთა“ შელახვის წინააღმდეგაცაა მიმართული, რომლებიც ძალიან ბუნდოვანია და, შესაბამისად, ფართო ინტერპრეტაციის და შესაძლო გადამეტების საგანია: სხვა ინტერესები, როგორცაა პირადი ცხოვრება, ცალკე დებულებებით უნდა იყოს დაცული, მაშინ, როცა დეფამაციის კანონის ზუსტი ფარგლები ნათლად და ვინროდ უნდა განისაზღვროს.

... უფრო მეტიც, პრესის შესახებ კანონის 37-ე მუხლი ადგენს, რომ დეფამაციის საქმეებში შეიძლება ინფორმაციის გაბათილების მოთხოვნა, თუ განცხადება ცრუა ან ვნებს პირის რეპუტაციას. ...

... დეფამაციის საქმეში პასუხის გაცემის უფლებით სარგებლობისათვის ინფორმაცია უნდა იყოს ცრუ და ვნებდეს პირის რეპუტაციას. ... მუხლი 440(1), მორალური კომპენსაციის შესახებ, ადგენს: მოქალაქეს ან ორგანიზაციას მორალური ზიანი უნაზღაურდებათ სხვა პირის მიერ, ვინც დაარღვია მათი სამართლებრივი უფლებები და მიაყენა მათ ეს ზიანი, თუ ეს პირი ვერ დაამტკიცებს, რომ მორალური ზიანი მისი ბრალით არ იქნა მიყენებული. მორალური ზიანი ანაზღაურდება მატერიალური თუ სხვა ფორმით სასამართლო დადგენილების შესაბამისად, ქონების ზიანის კომპენსაციის მიუხედავად. ... დებულება მტკიცების ტვირთს აკისრებს პირს, ვინც ინფორმაცია გაავრცელებს.

პოზიტიური ცვლილება იყო კანონის „უკრაინის კონკრეტულ კანონებში ისეთი ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს სიტყვის თავისუფლებას“ მიღება. ეს კანონი ადგენს, რომ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც დეფამაციისათვის სარჩელით სასამართლოს მიმართავენ, შეუძლიათ მოითხოვონ მხოლოდ ცრუ ინფორმაციის გაბათილება და არა კომპენსაცია. იგივე კანონი შეიცავს დებულებას „მასშედიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, სადაც დადგენილია, რომ საჯარო მოხელეთა მიერ მედიის წინააღმდეგ მიმართულ საქმეებში მორალური ზიანისათვის ანაზღაურება უურნალისტს დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ დამტკიცდება, რომ ეს იყო მისი ბოროტი განზრახვა და უპირატესობა მიენიჭება ისეთ არამატერიალურ საშუალებებს, როგორცაა გაბათილება. ნათლად არის დადგენილი, რომ უურნალისტმა უნდა ისარგებლოს გონივრული პუბლიკაციის დაცვით.

უურნალისტები სასამართლოში უკეთესად იქნენ წარმოდგენილი და, შესაბამისად, მეტი საქმის მოგება შეძლეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული იურიდიული ტრენინგების წყალობითაც.

... უკრაინის ახალი სამოქალაქო კოდექსის ..., რომელიც ძალაში შევა 2004 წლის 1 იანვარს, 277-ე მუხლი ადგენს: „პირის შესახებ გავრცელებული უარყოფითი ინფორმაცია მიჩნეული უნდა იქნეს ცრუდ“. „უარყოფითი ინფორმაცია“ გაგებული უნდა იქნეს, როგორც კრიტიკის ნებისმიერი ფორმა ან პირის დახასიათება ნეგატიური კუთხით.

ეს დებულება არ არის მხოლოდ გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევა, არამედ ის რეალობას ნიღბავს იმგვარად, რომ რაღაც, რაც არის სიმართლე, მაგრამ არის უარყოფითი, ჩაითვლება ცრუდ. არ შეიძლება ამის გამართლება, როგორც აუცილებელის, რადგან ადამიანების შესახებ უარყოფითი ინფორმაციის, ისევე, როგორც აზრების გავრცელება ყოველთვის იქნება დიდი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი. მაგალითად, კორუფციის აღმოფხვრა ერთნაირად ითხოვს ორივეს.

... დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სიტუაცია კვლავ კრიტიკულია. ... უკრაინამ მიაღწია გარკვეულ პროგრესს მედიის თავისუფლების კუთხით, თუმცა უზრუნველყოფის ყოველდღიურად უდიდესი ბარიერების წინაშე დგანან, რაც პროფესიულ უზრუნველყოფაში ჩაბმას სახიფათოს ხდის. უზრუნველყოფის პროფესიის წარმომადგენლებს, მედიაჯგუფებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კოალიცია და სოლიდარობა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დემოკრატიული პროცესების გაძლიერებისა და ისეთი გარემოს შექმნისათვის, რომელშიც მედია აყვავდება. საზღვრისპირა რეგიონული ინიციატივები ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, გამოცდილებისა და „ნოუ-ჰაუს“ გაცვლის ხელშეწყობით, რათა ორმხრივად მოხდეს დემოკრატიული ძვრების გაძლიერება.“

სამართალი

I. განაცხადის განხილვის გაგრძელება

36. მთავრობამ და განმცხადებელმა მორიგებას მიაღწიეს (იხ. პუნქტი 7), რაზეც 2004 წლის 5 ოქტომბერს სასამართლომ უარი თქვა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით გაკეთებული საჩივრის სერიოზული ხასიათი. ამის გამო სასამართლომ შესაფერად არ მიიჩნია განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღება. მას მიაჩნია, რომ ამ საქმეში არსებობს კონკრეტული გარემოებები ადამიანი უფლებების პატივისცემის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის ოქმებში, რაც მოითხოვს განაცხადის შემდგომ არსებით განხილვას (კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 38-ე მუხლის 1 (b) პუნქტი).

II. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

37. განმცხადებელი ჩივის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, თავიანთი შეფასებითი გადაწყვეტილების შეფასებისას, ვერ შეძლეს სტრასბურგის სასამართლოს კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის, განსაკუთრებით კი საქმის *Lingens v. Austria* (1986 წლის 8 ივლისის

გადანყვეტილება, სერია A № 103) გამოყენება. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ განხილვის ქვეშ მყოფი პუბლიკაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მან აღნიშნა, რომ სასამართლოებს არ შეეძლოთ 1999 წლის 19 აგვისტოსა და 1999 წლის 14 ოქტომბრის სადავო პუბლიკაციებში „შეფასებითი მსჯელობა“ და „ფაქტები“ ერთმანეთისგან გაერჩიათ. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ სასამართლო გადანყვეტილებებით მოხდა ჩარევა მის უფლებაში, თავისუფლად გაეგრძელებინა ინფორმაცია. მან მოიხმო კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის შესაბამისი ნაწილი გულისხმობს:

„1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გააერცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ... სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, ...“

A. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

38. პრესა დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. თუმცა მან არ უნდა გადააბიჯოს დანესებულ ბარიერებს, განსაკუთრებით სხვათა რეპუტაციისა და უფლებების პატივისცემის მხრივ. მისი მოვალეობაა, გააერცელოს, მისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი ფორმით, ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის ყველა საკითხზე (იხ. *De Haes and Gijssels v. Belgium*, 1997 წლის 24 თებერვლის გადანყვეტილება, მოხსენებები განაჩენებისა და გადანყვეტილებების შესახებ, 1997-ი, გვ. 233-34, პუნქტი 37). მას დასახული აქვს ასეთი ინფორმაციისა და იდეების გავრცელების ამოცანა, მაგრამ ამასთანავე საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს ეს ინფორმაცია. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, პრესა ვერ შეასრულებდა თავის უპირველეს, „საზოგადოებრივი მეთვალყურის“ (*“public watchdog”*) ფუნქციას (იხ. *Thorgeir Thorgeirson v. Iceland*, 1992 წლის 25 ივნისის გადანყვეტილება, სერია A № 239, გვ. 28, პუნქტი 63).

39. სასამართლო მხარეებს ახსენებს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური საუბრის ან საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე დებატების შეზღუდვისათვის დანესებულია ვინაობა ფარგლები (იხ. *Sürek v. Turkey* (№1) [GC], № 26682/95, პუნქტი 61, ECHR 1999-IV). უფრო მეტიც, დასაშვები კრიტიკის ზღვარი პოლიტიკოსთან მიმართებაში მისი საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში უფრო ფართოა, ვიდრე ინდივიდთან მიმართებაში, რადგან პოლიტიკოსი თავის ყოველ სიტყვას და ქმედებას, გაცნობიერებულად და გარდაუვალად, ყურნალისტთა და საერთო ჯამში საზოგადოების დაკვირვების და კრიტიკის საგნად აქცევს, ამიტომ მას მოეთხოვება ტოლერანტობის უფრო

მალალი ხარისხი. პოლიტიკოსს, რა თქმა უნდა, უფლება აქვს, დაცული იქნეს მისი რეპუტაცია, მაშინაც კი, როცა იგი საკუთარი მიხედულობით არ მოქმედებს, მაგრამ ამგვარი დაცვის საპირისპირო პინაზე პოლიტიკური საკითხების ლიად განხილვის ინტერესები უნდა დაიდოს (იხ. *Lingens v. Austria*, 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A № 103, გვ. 26, პუნქტი 42).

40. მე-10 მუხლი იცავს არა მარტო გამოხატული ინფორმაციისა და იდეების შინაარსს, არამედ მათი გამოხატვის ფორმასაც (იხ. *Oberschlick v. Austria* (№ 1), 1991 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება, სერია A № 204, გვ. 25, პუნქტი 57). ჟურნალისტური თავისუფლება ასევე მოიცავს შესაძლო გადამეტების გარკვეულ ხარისხს ან პროვოკაციასაც (იხ. *Prager and Oberschlick v. Austria* (№ 1), 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A № 313, გვ. 19, პუნქტი 38). მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული ინფორმაციის თავისუფლად გაცემის უფლება გამოიყენება არა მარტო იმ „ინფორმაციასა“ და „იდეებთან“ მიმართებაში, რომლებსაც სიხარულით ისმენენ ან მიჩნეულია არაშურაცხმყოფელად ან გულგრილობის საგნად, არამედ აგრეთვე ისეთებთან, რომლებიც შეურაცხყოფს, შოკს გვრის და ალელვებს ადამიანს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო თვალთახედვის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ არ არსებობს (იხ. *Handyside v. the United Kingdom*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A №. 24, გვ. 23, პუნქტი 49).

41. სასამართლომ თავის პრეცედენტებში ერთმანეთისაგან გამოიჯნა ფაქტობრივი მტკიცებულებები და შეფასებითი მსჯელობები. მაშინ, როცა შესაძლებელია ფაქტების დემონსტრირება, შეფასებითი მსჯელობა მტკიცებას არ ექვემდებარება. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა შეუძლებელია შესრულდეს და ლახავს თვით აზრის თავისუფლებას, რომელიც მე-10 მუხლით დაცული უფლების არსებითი ნაწილია (იხ. ზემოთ, *Lingens*, გვ. 28, პუნქტი 46).

42. თუმცა როცა განცხადება შეფასებით მსჯელობას უტოლდება, ჩარევის პროპორციულობა დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი ამ სადავო განცხადებისათვის. კონკრეტული საქმის ფაქტებზე დაყრდნობით, განცხადება, რომელიც უტოლდება შეფასებით მსჯელობას, შესაძლოა გადამეტებული იქნეს ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე *De Haes and Gijssels v. Belgium*, გვ. 236, პუნქტი 47).

43. მისი საზედამხედველო ფუნქციის შესრულებისას სასამართლოს ამოცანა არის არა ეროვნული ორგანოების ადგილის დაკავება, არამედ საქმის, როგორც მთლიანობის, ფონზე, მე-10 მუხლის თანახმად, იმ გადაწყვეტილებების გადასინჯვა, რომლებიც ეროვნულმა ორგანოებმა მიიღეს შეფასების უფლებამოსილების გამოყენებისას. სახელდობრ, სასამართლომ უნდა დაადგინოს, განხილვის ქვეშ მყოფი განსახილველი ჩარევა იყო თუ არა „იმ კანონიერი მიზნის პროპორციული, რომელსაც ეს ჩარევა ემსახურებოდა“, და იყო თუ არა „შესაბამისი და საკმარისი“ ის მიზეზები, რომლებიც ეროვნულმა ორგანოებმა მოიხმეს ჩარევის გასამართლებლად. ამგვარად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნულმა ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც სრულ ჰარმონიაში იყო მე-10 მუხლში ჩადებულ პრინციპებთან, და, უფრო მეტიც, რომ ისინი თავიანთ გადაწყვეტილებებს აფუძნებდნენ შესაბამისი ფაქტების დასაშვებ შეფასებებზე (იხ. *Jerusalem v. Austria*, № 26958/95, პუნქტი 33, ECHR 2001 II).

B. საქმეში სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება

1. ადგილი ჰქონდა თუ არა ჩარევას

44. მთავრობა აღიარებდა, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებლის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევას. თუმცა იგი ამტკიცებდა, რომ ეს ჩარევა გამართლებული იყო.

45. სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთი ჩარევა იწვევს მე-10 მუხლის „დარღვევას“, თუ იგი არ ხდება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი რომელიმე გამონაკლისის ფარგლებში (იხ. *Handyside v. the United Kingdom*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 24, გვ. 21, პუნქტი 43). შესაბამისად, სასამართლომ თანმიმდევრულად უნდა განიხილოს, იყო თუ არა წინამდებარე საქმეში ჩარევა „გათვალისწინებული კანონით“, ჰქონდა თუ არა მიზანი ან მიზნები, რომელიც/რომლებიც კანონიერია მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, და იყო თუ არა იგი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ზემოხსენებული მიზნის თუ მიზნებისათვის.

2. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

ა. იყო თუ არა ჩარევა გათვალისწინებული კანონით

46. განმცხადებლის მტკიცებით, ჩარევა არ იყო გათვალისწინებული კანონით. ჩარევა არ იყო განჭვრეტადი, რადგან 1963 წლის სამოქალაქო კოდექსის დებულებებისა და მედიის შესახებ კანონის 42-ე ნაწილის (იხ. ზემოთ, პუნქტები 23 და 26) ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად იყო შესაძლებელი. წინამდებარე საქმეში უკრაინის სასამართლობმა სადავო სტატიიაში გაკეთებული განცხადებები დააკვალიფიცირეს როგორც ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, უნდა დაეკვალიფიცირებინათ როგორც შეფასებითი მსჯელობები.

47. თავის მხრივ, მთავრობა ამტკიცებს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი და მონაცემთა შესახებ კანონის 47-ე ნაწილი (იხ. ზემოთ, პუნქტები 23 და 25) ქმნიდნენ სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ სადავო ინფორმაცია ცრუდ გამოცხადებულყო და განმცხადებელს დაკისრებოდა პასუხისმგებლობა საჯარაუდო მსხვერპლთა წინაშე. ეს დებულებები და უკრაინის სასამართლოების პრეცედენტები საკმარისად ხელმისაწვდომი იყო და მათ გამოყენებას განჭვრეტადს ხდიდა. გარდა ამისა, მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის გადასინჯვისას და პატივის, ღირსებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირთა რეპუტაციის დაცვასთან მიმართებაში მის სწორად დაბალანსებისას ეროვნული სასამართლოები მოქმედებდნენ კონვენციის პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

48. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოთქმიდან „გათვალისწინებული კანონით“ გამომდინარე ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ გამოსაყენებელი ღონისძიების განჭვრეტადობაა. ნორმა არ შეიძლება „კანონად“ ჩაითვალოს, თუ იგი არ არის საკმარისი სიზუსტით ფორმულირებული, რათა მოქალაქემ შეძლოს საკუთარი ქმედების დარეგულირება. მას უნდა შეეძლოს, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რჩევის საფუძველზე, განჭვრიტოს, არსებულ გარემოებებში

გონიერულობის ფარგლებში, ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ქმედებას (იხ., მაგალითად, *Rekvenyi v. Hungary* [GC], №. 25390/94, პუნქტი 34, ECHR 1999 III, და *Feldek v. Slovakia*, № 29032/95, პუნქტი 56, ECHR 2001-VIII).

49. სიზუსტის ხარისხი გარკვეულად დამოკიდებულია განსახილველი ნორმის შინაარსზე, სფეროზე, რომლის დარღვეულობასაც იგი მიზნად ისახავს, და იმ პირთა რაოდენობასა და სტატუსზე, რომელთაც იგი ეხება (იხ. *Groppera Radio AG and Others v. Switzerland*, 1990 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება, სერია A № 173, გვ. 26, პუნქტი 68).

50. სასამართლო აღნიშნავს, რომ იმის უბრალო მტკიცება, რომ უკრაინის სასამართლოების პრეცედენტული სამართალი ან ამ საკითებთან კავშირში მყოფი მისი ნაწილი, განმცხადებლის აზრით, არ შეესაბამებოდა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, შეიძლება გაკრიტიკებული იქნეს, მაგრამ არ ენებს „განჭვრეტადობის“ საკითხს. გარდა ამისა, სასამართლოს აზრით, განმცხადებლის არგუმენტები კანონის ხარისხთან დაკავშირებით ეხება საკითხს, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, რომელიც სასამართლოს მიერ განხილული იქნება ქვემოთ. საკუთარი პრეცედენტული სამართლით დადგენილი სიცხადისა და განჭვრეტადობის მოთხოვნების (იხ. *Markl Intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany*, 1989 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 165, გვ. 18, პუნქტი 30; *Müller and Others v. Switzerland*, 1988 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A № 133 გვ. 20, პუნქტი 29), და იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ამ საკითხზე არსებობდა მნიშვნელოვანი ეროვნული სასამართლო პრაქტიკა (იხ. ზემოთ, პუნქტები 27-31), სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის უფლებაში ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე.

b. ემსახურებოდა თუ არა ჩარევა კანონიერ მიზანს

51. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ჩარევა არ ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი, რადგან ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ერთმანეთისაგან მკაფიოდ გაემიჯნათ შეფასებითი მსჯელობები და ფაქტები. განმცხადებელმა ხაზი გაუსვა, რომ მან გააკრიტიკა ბ-ნი სიმონენკოსა და ქ-ნი ვიტრენკოს, როგორც საზოგადოებრივი პირების, საქმიანობა და არ შეხებია მათ პირად ცხოვრებას.

52. მთავრობის აზრით, არსებობდა კანონიერი მიზანი, სახელდობრ, სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვა.

53. სასამართლო ეთანხმება მთავრობას და ადგენს, რომ განსახილველი ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს – სხვათა, კერძოდ კი ბ-ნი სიმონენკოსა და ქ-ნი ვიტრენკოს, რეპუტაციისა და უფლებების დაცვას. თუმცა კვლავ რჩება შეკითხვა, იყო კი ეს აუცილებელი.

c. იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და პროპორციული კანონიერი მიზნისა, რომელსაც ემსახურებოდა

54. საქმე შეზღუდულია განმცხადებლის საჩივრით იმის შესახებ, რომ უკრაინის სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებმაც აიძულეს განმცხადებელი, ბ-ნი სიმონენკოსა და ქ-ნი ვიტრენკოს შესახებ გაკეთებული

კონკრეტული განცხადებები ცრუდ ელიარებინა, გაებათილებინა და ეროვნულ სასამართლოებში მოსარჩელეებისათვის არამატერიალური ზიანის გამო კომპენსაცია გადაეხადა, არღვეუდა კონვენციის მე-10 მუხლს.

55. სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს მოიცავს:

- პირველ რიგში, იყო თუ არა ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა კონვენციის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისი მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად; და
- მეორე რიგში, შედეგის სახით, შეძლეს თუ ვერა ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა.

56. სასამართლო ამ ელემენტებს რიგრიგობით განიხილავს.

(i) ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა

(ა) მხარეთა მოსაზრებები

57. მთავრობის მტკიცებით, კანონმდებლობისა და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის ხარისხი ამტკიცებს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, რადგან უკრაინის კანონმდებლობითა და პრაქტიკით დადგენილი სტანდარტი (იხ. ზემოთ, პუნქტები 22-31) სრულ შესაბამისობაშია გამოხატვის თავისუფლების შესახებ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.

58. განმცხადებელი მთავრობას არ დაეთანხმა. მისი მტკიცებით, კანონმდებლობა და ეროვნული პრაქტიკა არაპროგნოზირებადი იყო შეფასებითი მსჯელობების ანალიზის კუთხით.

(ბ) სასამართლოს შეფასება

59. სასამართლო ადგენს, რომ მოცემული დროისათვის უკრაინის კანონი დეფამაციის შესახებ ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა შეფასებით მსჯელობასა და ფაქტობრივ გარემოებებს (იხ. ზემოთ, „შესაბამისი მოხსენებები უკრაინაში გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ“, პუნქტები 34-36). ამ მხრივ იგი მთლიანად ეხება „გარემოებებს“ (*сидомости*) და ვარაუდს გამოთქვამს, რომ ნებისმიერი განცხადება ექვემდებარება მტკიცებას სამოქალაქო სამართალწარმოებისას. სასამართლო ასევე მიუთითებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბოლოდროინდელ რეკომენდაციებზე (ზემოთ, პუნქტები 18-19), ევროპის პარლამენტის რეზოლუციაზე (ზემოთ, პუნქტი 20), ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოხსენებებზე (ზემოთ, პუნქტი 21), „Human Rights Watch“-ზე (ზემოთ, პუნქტი 34), შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტზე (ზემოთ, პუნქტი 35) და „მე-19 მუხლზე“ (ზემოთ, პუნქტი 36) უკრაინაში გამოხატვის თავისუფლების საკითხთან მიმართებაში.

60. სასამართლო ადგენს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „პირმა, ვინც გაავრცელა სადავო ინფორმაცია, უნდა დაამტკიცოს მისი ჭეშმარიტება“ (იხ. უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1990 წლის 28 სექტემბრის რეზოლუცია, ზემოთ, პუნქტი 27). იგივე მტკიცების ტვირთი ეკისრება მას გამოქვეყნებული შეფასებითი მსჯელობის დროსაც. ეს მიდგომა გაერთიანებუ-

ლია ბეჭდვითი მედიის შესახებ კანონის 37-ე ნაწილში: მედია ვალდებულია, გააბათილოს გავრცელებული განცხადებები, თუ ვერ დაამტკიცა მათი სიმართლე (ზემოთ, პუნქტი 26). ახალი სამოქალაქო კოდექსის (რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის ივნისში, ამ საქმეში აღწერილი მოვლენების შემდეგ, და, შესაბამისად, წინამდებარე საქმეში ნაკლები მნიშვნელობა აქვს) 23-ე მუხლი ანებსებს პასუხისმგებლობას დეფამაციით გამოწვეული არამატერიალური ზიანისათვის. ახალი კოდექსის 277-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პირის შესახებ გავრცელებული ნებისმიერი უარყოფითი ინფორმაცია მიჩნეული უნდა იქნეს ცრუდ“ (პუნქტი 24). თუმცა 277-ე მუხლის მე-6 პუნქტით, მტკიცების ტვირთი ამგვარი ინფორმაციის ცრუ თუ ცილისმწამებლური ხასიათის შესახებ გადაეცა მოსარჩელეს. საქმის განხილვის დროს მტკიცების ტვირთი გავრცელებული ინფორმაციის ქეშმარიტების შესახებ ეკისრება მოპასუხეს.

61. სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადად ეროვნულმა სასამართლოებმა შეითვისეს კონვენციის პრეცედენტული სამართლის მიდგომა, რომ „ფაქტების კრიტიკული შეფასება ... ვერ გამოდგება მორალური ზიანისათვის კომპენსაციის მოთხოვნის დაშვების საფუძვლად“ (იხ. მაგალითად, *Marasli v. Turkey*, № 40077/98, 2004 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, პუნქტები 17-19). თუმცა თუ დაირღვა პირის უფლება, ჰქონდეს კარგი რეპუტაცია, თუნდაც ცილისმამება მოხდეს შეფასებითი მსჯელობით, სასამართლოებს შეუძლიათ მას არამატერიალური ზიანისათვის მიანიჭონ კომპენსაცია. ამგვარად, ეროვნული კანონმდებლობა უშეუბნებს, რომ საჯარო პირის პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის დაცვამ გადწინდოს ამ პირის ღიად კრიტიკის შესაძლებლობა (იხ. პუნქტები 25, 27 და 34-35).

62. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ უკრაინის კანონმდებლობა და პრაქტიკა განმცხადებლის საქმეში ამკარად ხელს უშლის სასამართლოებს, ერთმანეთისგან განასხვავონ შეფასებითი მსჯელობები, სამართლიანი კომენტარი ან განცხადებები, რომლებიც არ ექვემდებარება მტკიცებას. ამგვარად, ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა შეიცავს მოუქნელ ელემენტებს, რომელთა გამოყენებისას იქმნება საშიშროება, მიღებული გადაწყვეტილებები არ შეესაბამებოდეს კონვენციის მე-10 მუხლს.

(ii) შედეგები წინამდებარე საქმეში

(a) მხარეთა მოსაზრებები

63. მთავრობა ამტკიცებს, რომ გასაჩივრებული „ჩარევა“ აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, რადგან წარმოადგენდა „მძაფრ სოციალურ მოთხოვნილებას“. მათ ასევე აღნიშნეს, რომ იგი პროპორციული იყო სამართლებრივი მიზნისა, რომელსაც ემსახურებოდა, და ეროვნული ორგანოების მიერ ჩარევის გასამართლებლად დასახელებული მიზეზები იყო შესაბამისი და საკმაოდ.

64. განმცხადებელი მთავრობას არ დაეთანხმა. იგი მიიჩნევს, რომ ჩარევა აუცილებელი არ იყო, რადგან სტატიაში საუბარი იყო არა ფაქტებზე, არამედ ეს იყო შეფასებითი მსჯელობა, რაც მტკიცებას არ საჭიროებდა. სასამართლოების გადაწყვეტილებები ფაქტობრივად უწინაღობის აზრის პოლიტიკური ცენზურის ფორმას წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირთა პოლიტიკური დისკუსიებიდან ამ აზრის მოწყვეტას.

უფრო მეტიც, დანებებული სანქციები მიმართული იყო იმისაკენ, რომ ამ აზრს აღარ შეეძლოდა ინფორმაციის წყაროსა და საჯარო ძალაუფლებაზე კონტროლის მექანიზმის ფუნქცია. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატების პირადი და მენეჯერული თვისებების და მათი შესაძლებლობების, შექმნან ერთნაირად მოაზროვნეთა გუნდი, შეფასება, იმის გაცხადება, რასაც ისინი ხალხს დაპირდნენ, და ერის საკეთილდღეოდ მორალური და ინტელექტუალური ლიდერობა - იმ საკითხთა არსებითი ნაწილი იყო, რომლებიც განხილული იქნა სადავო პუბლიკაციაში. უფრო მეტიც, პოლიტიკოსების ღია კრიტიკა და მათი თვისებების განხილვა აუცილებელი წინაპირობა იყო თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. შესაბამისად, მან დაასკვნა, რომ დარღვეული იქნა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული ძირითადი უფლება.

(b) სასამართლოს შეფასება

65. სასამართლო აღნიშნავს, რომ ორივე სადავო სტატია კრიტიკულ განცხადებებს შეიცავდა ქ-ნი ნატალია ვიტრენკოსა და ბ-ნი პეტრო სიმონენკოს („მოსარჩელები“), პროგრესული სოციალისტური პარტიისა და კომუნისტური პარტიის ლიდერების, მისამართით. ორივე მათგანი პრეზიდენტობის კანდიდატი იყო 1999 წლის არჩევნებში და ორივენი იყვნენ და კვლავ არიან აქტიური პოლიტიკოსები. სტატიები ძირითადად ეხებოდა პრეზიდენტ კუჩმას ადმინისტრაციასა და ამ პოლიტიკოსების სავარაუდო გარიგებებს საარჩევნო კამპანიის პროცესში და აკრიტიკებდა მათ როგორც პოლიტიკურ ფიგურებს.

66. რაც შეეხება პირველ სტატიას სათაურით „არის კი ეს მეორე იურიკი...“ (იხ. პუნქტი 11), სასამართლო ადგენს, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ ტექსტი მთლიანად ცილისმამბებლურად იქნა მიჩნეული იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ურნალისტის მიერ სტატიაში გაკეთებული განცხადებები შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდა. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ სტატიაში გაკეთებული განცხადებები ისეთი გამონათქვამებით, როგორებიცაა: „მეორე იურიკი საცოდავი იორიკებისათვის და ლებედის უკრაინული ვერსია“, „ჩვენი და თქვენი ნატამა“, „საფრთხობელა“, „პრეზიდენტის ადმინისტრაციის რუპორი, რომელიც მოქმედებს როგორც ურინოვსკი უკრაინაში“, შეფასებითი მსჯელობა პოლიტიკური რიტორიკის დროს, რომელიც მტკიცებას არ ექვემდებარება. მაშინ, როცა ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქ-ნი ვიტრენკოს საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრება ცილისმამბებით შეიღობა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნა შემოიფარგლებოდა მისი, როგორც პარლამენტის წევრის, რეპუტაციისათვის სავარაუდოდ მიყენებული ზიანით (პუნქტი 13). უფრო მეტიც, სტატიის შინაარსი ამკარად მის პროფესიულ საქმიანობას ეხებოდა. რაც შეეხება მეორე სტატიას სათაურით „წმინდა ძროხაზე ...“ (იხ. პუნქტი 15), სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლომ ეს სათაური და სხვა ელემენტები მოსარჩელის, ბ-ნი პეტრო სიმონენკოს, მისამართით ასევე ცრუდ და ცილისმამბებლურად მიიჩნია, მიუხედავად მათი შეფასებით მსჯელობად ცნობისა. თუმცა სასამართლო კვლავ ადგენს, რომ ეს საკითხები ურნალისტის მიერ შეფასებითი მსჯელობის ფარგლებში ხვდება პოლიტიკური რიტორიკის დროს, რაც მტკიცებას არ ექვემდებარება.

67. სასამართლო ადგენს, რომ პუბლიკაცია შეიცავდა ორი პოლიტიკოსის ძლიერ, პოლემიკურ, სარკასტულ კრიტიკას. ეჭვგარეშეა, რომ მოსარჩელები შეურაცხყოფილნი და შესაძლოა მოკირებულნიც იყვნენ. თუმცა პროფესიის არჩევინას მათ საკუთარი თავი უხეშ კრიტიკას და მუდმივ დაკვირვებას დაუქვემდებარეს; ასეთია ის ტვირთი, რომელიც პოლიტიკოსებმა უნდა ზიდონ დემოკრატიულ საზოგადოებაში (იხ. პუნქტები 40-41).

68. შესაბამისი ტექსტის მთლიანობაში განხილვით და კონფლიქტური ინტერესების დაბალანსებით სასამართლო ადგენს, რომ უკრაინის სასამართლოებმა გადააბიჯეს კონვენციით ეროვნული ორგანოებისთვის ნებადართულ შეფასების ზღვარს. ცილისწამებაში განმცხადებლის ბრალის დადგენა აშკარად არაპროპორციული იყო მიზნისა, რომელსაც ეს ღონისძიება ემსახურებოდა.

69. სასამართლო ასკვნის, რომ ჩარევა, რომელსაც განმცხადებელი ასაჩივრებდა, არ შეესაბამებოდა მძაფრ სოციალურ მოთხოვნილებას, რომელიც გადასწონიდა საზოგადოებრივ ინტერესს საარჩევნო კამპანიის და მასში ჩართული პოლიტიკური ფიგურების ლეგიტიმურ პოლიტიკურ დისკუსიაში. უფრო მეტიც, ამ საქმეში უკრაინის სასამართლოების მიერ გამოყენებული სტანდარტები არ შეესაბამებოდა მე-10 მუხლში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და მათ მიერ ჩარევის გასამართლებლად მოხმობილი მიზეზები არ შეიძლება მიჩნეული იქნეს „საკმარისად“.

70. სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

71. კონვენციის 41-ე მუხლში ნათქვამია:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

72. განმცხადებელი აცხადებდა, რომ მატერიალური ზიანისათვის მას მოსარჩელებისთვის სერიოზული თანხის გადახდა დაეკისრა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებით. იგი ითხოვდა 3 000 უკრაინულ გრივნას (588,12 ევრო) მატერიალური ზიანისათვის კომპენსაციის სახით.

73. განმცხადებელი დამატებით ითხოვდა 33 000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის კომპენსაციის სახით. იგი აცხადებდა, რომ უკრაინის სასამართლოების გადაწყვეტილების შემდეგ გაზეთის სარედაქციო ჯგუფსა და ჟურნალისტებზე ზენოლა და ცენზურა გავრცელდა, რადგან მათ აღარ შეეძლოთ უკრაინაში მიმდინარე სერიოზულ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებზე საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა. შესაბამისად, გაზეთმა დაკარგა

სიმძაფრე და ღრმა ანალიტიკური მისია. შედეგად გაზეთის ბრუნვა შემცირდა და რამდენიმე მონინავე ჟურნალისტმა და მოსამსახურემ დატოვა გაზეთი. უფრო მეტიც, ასეთი გადაწყვეტილებების გამოტანით სასამართლოებმა იგულისხმეს, რომ განმცხადებელმა დაბეჭდა ცრუ ინფორმაცია, რამაც უარყოფითად იმოქმედა მისი, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალების, რეპუტაციაზე.

74. მთავრობამ ამაზე კომენტარი არ გააკეთა.

75. სასამართლო ადგენს, რომ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დარღვევასა და კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევით გამოწვეულ მატერიალურ ზიანს შორის. შესაბამისად, მან მთლიანად დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა 3 000 უკრაინული გრივნას (588,12 ევრო) გადახდაზე მატერიალური ზიანისათვის კომპენსაციის სახით. დამატებით, ობიექტურად განსჯისა და საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით, სასამართლომ განმცხადებელს მიანიჭა 33 000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის კომპენსაციის სახით.

B. დანახარჯები

76. განმცხადებელი ითხოვდა 8 337,07 ევროს ეროვნული სამართალწარმოებისას და სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას განეული დანახარჯებისათვის. მან ამ მოთხოვნას თან დაურთო ხარჯების დეტალური ჩამონათვალი.

77. მთავრობას არც ამჯერად გაუპროტესტებია განმცხადებლის მოთხოვნა.

78. სასამართლოს მიაჩნია, რომ დანახარჯები ნამდვილად იქნა განეული და აუცილებელი იყო, რათა მომხდარიყო დარღვევის გამოსწორება, და თანხაც გონიერულად იქნა მოთხოვნილი. სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი კრიტერიუმების თანახმად, იგი განმცხადებელს სრულად ანიჭებს თანხას, რომელსაც იგი ითხოვს, იმ თანხის გამოკლებით, რომელსაც იგი სასამართლოს ზეპირ მოსმენაზე (რომელიც საბოლოოდ არ შემდგარა) მონაწილეობისას განეული დანახარჯებისათვის ითხოვდა (2 816 ევრო). შესაბამისად, სასამართლო განმცხადებელს ანიჭებს 5 521,07 ევროს მიღების უფლებას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას;

2. ადგენს, რომ

(ა) სამი თვის ვადაში დღიდან, როცა გადაწყვეტილება ძალაში შევა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 588,12 ევრო (ხუთას ოთხმოცდარვა ევრო და 12 ცენტო) მატერიალური ზიანისათვის, 33 000 (ოცდაცამეტი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანისათვის და 5 521,07 (ხუთი ათას ხუთას ოცდაერთი ევრო და შვიდი ცენტო) დანახარჯებისათვის, უკრაინის ეროვნულ ვალუტაში, ამ გადაწყვეტილების მიღებისას არსებული კურსით, ნებისმიერ იმ გადასახადთან ერთად, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაერიცხოს;

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის ამონურვიდან გადახდამდე უნდა დაწესდეს გადასახდელი თანხა საურავის სახით ევროპის ცენტრალური ბანკის

ზღვრული სასესიო განაკვეთის ოდენობით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

3. არ აკმაყოფილებს სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ განმცხადებლის მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნებულია წერილობით 2005 წლის 29 მარტს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

უ.-პ. კოსტა
პრეზიდენტი

ს. დოლე
მდივანი

ლეილა საჰინი თურქეთის
წინააღმდეგ

Leyla Şahin v. Turkey

ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ

(განაცხადი №44774/98)

განაჩენი

სტრასბურგი

2005 წლის 10 ნოემბერი

განაჩენი საბოლოოა, თუმცა შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ ცვლილებებს

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ“,
(*Leyla Şahin v. Turkey*)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელიც შეიკრიბა დიდი პალატის სახით შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი, პრეზიდენტი,
ბ-ნი კ.ლ. როზაკისი,
ბ-ნი ჯ.პ. კოსტა,
ბ-ნი ბ.მ. ზუპანჩიჩი,
ბ-ნი რ. ტურმენი,
ქ-ნი ფ. ტულკენსი,
ბ-ნი კ. ბირსანი,
ბ-ნი კ. იუნგვიერტი,
ბ-ნი ვ. ბუტკევიჩი,
ქ-ნი ნ. ვაჯიჩი,
ბ-ნი. მ. უგრეხელიძე,
ქ-ნი ა. მულარონი,
ბ-ნი ჯ. ბორეგო ბორეგო,
ქ-ნი ე. ფურა-სანდსტრომი,
ქ-ნი ა. გიულუმინი,
ბ-ნი ე. მიჯერი,
ბ-ნი ს.ე. ჯებენსი,
და ბ-ნი ტ.ლ. ერლი, დიდი პალატის რეგისტრატორის მოადგილე,

იმსჯელა რა განმარტოებით 2005 წლის 18 მაისსა და 5 ოქტომბერს,

2005 წლის 5 ოქტომბერს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (№ 44774/98) თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (შემდგომში „კომისია“) წინაშე წარმოდგენილი იქნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) ადრემოქმედი 25-ე მუხლის შესაბამისად თურქეთის მოქალაქის ქ-ნი ლეილა საპინის (შემდგომში „განმცხადებელი“) მიერ 1998 წლის 21 ივლისს.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბატონი ქ. მაგნე ბრიუსელის ადვოკატურიდან და ბატონი კ. ბერზეგი ანკარის ადვოკატურიდან. თურქეთის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა ბატონი მ. ოზმენი, თანაწარმომადგენელი.

3. განმცხადებელი ჩიოდა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ისლამური თავსაბურავის ტარების შესახებ წესებით ირღვეოდა კონვენციის მე-8, მე-9, მე-10 და მე-14 მუხლებით და პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებული მისი უფლებები და თავისუფლებები.

4. განაცხადი სასამართლოს გადაეცა 1998 წლის 1 ნოემბერს, როცა ძალაში შევიდა კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმი (მე-11 დამატებითი ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

5. განაცხადი დაეწერა სასამართლოს მე-4 სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

6. 2002 წლის 2 ივლისს გადაწყვეტილებით განაცხადი დაშვებული იქნა არსებით განხილვაზე ამ სექციის პალატის მიერ, რომელიც შედგებოდა შემდეგი მოსამართლეებისაგან: სერ ნიკოლას ბრატცა, ბ-ნი მ. პელონაა, ქ-ნი ე. პალმი, ბ-ნი რ. ტურმენი, ბ-ნი მ. ფიჩაბი, ბ-ნი ჯ. კასადეაული და ბ-ნი ს. პავლოვიჩი, აგრეთვე, ბ-ნი მ. ოზოილი, სექციის რეგისტრატორი.

7. არსებითი განხილვა (54-ე წესის მე-3 პუნქტი) გაიმართა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2002 წლის 19 ნოემბერს.

8. 2004 წლის 29 ივნისს გადაწყვეტილებაში („პალატის გადაწყვეტილება“) პალატამ ერთხმად დაადგინა, რომ თავსაბურავის ტარების აკრძალვით კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია და რომ ცალკე განსახილველი საკითხი არ წარმოიშობა კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების, ასევე მე-14 მუხლისა მე-9 მუხლთან ერთობლიობაში და პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე.

9. 2004 წლის 27 სექტემბერს განმცხადებელმა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა მოითხოვა (კონვენციის 43-ე მუხლი).

10. 2004 წლის 10 ნოემბერს დიდი პალატის კოლეგიამ გადაწყვიტა, მიეღო მისი მოთხოვნა (წესი 73).

11. დიდი პალატის შემადგენლობა გადაწყდა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 24-ე წესის დებულებების შესაბამისად.

12. განმცხადებელმა და მთავრობამ არსებით განხილვაზე წარმოადგინეს წერილობითი კომენტარები.

13. მოსმენა გაიმართა საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში სტრასბურგში, 2005 წლის 18 მაისს (59-ე წესის მე-3 პუნქტი).

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

მთავრობის სახელით

ბ-ნი მ. ოზმენი, თანანარმომადგენელი,
ბ-ნი ე. ისკანი, ადვოკატი,
ქ-ნი ა. ემულერი,
ქ-ნი გ. აკიუზი,
ქ-ნი დ. კილისლიოგლუ, მრჩეველები;

განმცხადებლის სახელით

ბ-ნი ქ. მაგნე,
ბ-ნი კ. ბერზეგი, ადვოკატი.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ბერზეგის, ბ-ნი ოზმენისა და ბ-ნი მაგნეს მიმართულები.

ფაქტები

I. საქმის ბარემოჯები

14. განმცხადებელი დაიბადა 1973 წელს და 1999 წლიდან ცხოვრობდა ვენაში, სადაც გაემგზავრა სტამბულის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე მედიცინის დარგში სწავლის გასაგრძელებლად. იგი გამოვიდა ტრადიციულ, მორწმუნე მუსლიმანთა ოჯახიდან და ისლამური თავსაბურავის ტარებას თავის რელიგიურ ვალდებულებად მიიჩნევს.

A. 1998 წლის 23 თებერვლის ცირკულარი

15. 1997 წლის 26 აგვისტოს განმცხადებელმა, რომელიც იმ დროისათვის იყო ბურსას უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი, ჩააბარა სტამბულის უნივერსიტეტის ჩერაჰპაშას (Cerrahpaşa) სამედიცინო ფაკულტეტზე. ის აცხადებს, რომ ბურსას უნივერსიტეტში ოთხი წლის განმავლობაში მედიცინის შესწავლის დროს ის ისლამურ თავსაბურავს ატარებდა და ამგვარადვე განაგრძო 1998 წლის თებერვლამდე.

16. 1998 წლის 23 თებერვალს სტამბულის უნივერსიტეტის პრორექტორმა გამოსცა ცირკულარი, რომლის შესაბამისი ნაწილი ამბობს:

„კონსტიტუციის, კანონებისა და დადგენილებების თანახმად, ასევე უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების შესაბამისად, სტუდენტები „თავსა-

ბურავებით“ (რომლებიც ატარებენ ისლამურ თავსაბურავებს) და სტუდენტები (იგულისხმება უცხოელი სტუდენტებიც) წევრით არ დაიშვებიან ლექციებზე, სემინარებსა თუ პრაქტიკულ მეცადინეობებზე. შესაბამისად, იმ სტუდენტის, ვინც ატარებს წვერს ან ისლამურ თავსაბურავს, გვარი და ნომერი არ უნდა დაემატოს რეგისტრირებულ სტუდენტთა სიას. თუმცა სტუდენტებს, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ სემინარებზე დასწრებას და სალექციო აუდიტორიებში შესვლას, მიუხედავად იმისა, რომ მათი გვარები და ნომრები სიაში არ აღირიცხება, უნდა მიეთითოთ მათ მდგომარეობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან აუდიტორიის დატოვებაზე, მათი გვარები და ნომრები ჩანიშნული უნდა იქნეს და უნდა ეცნობოთ, რომ არა აქვთ ლექციებზე დასწრების უფლება. თუ ისინი უარს იტყვიან სალექციო აუდიტორიის დატოვებაზე, მასწავლებელმა უნდა აღნიშნოს ამ ინციდენტის შესახებ თავის მოხსენებაში, სადაც ახსნის, რატომ გახდა შეუძლებელი ლექციის ჩატარება, და უნივერსიტეტის შუსაბამისი ორგანოები ამ ინციდენტის შესახებ სასწრაფოდ საქმის კურსში უნდა ჩააყენოს, რათა გატარებული იქნეს დისციპლინური ზომები.”

17. 1998 წლის 12 მარტს, ზემოხსენებული ცირკულარის შესაბამისად, ზედამხედველმა არ დაუშვა განმცხადებელი ონკოლოგიაში წერილობით გამოცდაზე, რადგან იგი ატარებდა ისლამურ თავსაბურავს. 1998 წლის 20 მარტს ორთოპედიული ტრავმატოლოგიის კათედრის სამდივნომ უარი უთხრა მას კურსზე დასწრებაზე, რადგან იგი ატარებდა ისლამურ თავსაბურავს. 1998 წლის 16 აპრილს იგი იმავე მიზეზით არ დაუშვეს ნევროლოგიაში ლექციაზე, ხოლო 1998 წლის 10 ივნისს – საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში წერილობით გამოცდაზე.

B. 1998 წლის 23 თებერვლის ცირკულარის შეჩერების შესახებ ბრძანების გაცემის მოთხოვნა

18. 1998 წლის 29 ივლისს განმცხადებელმა მოითხოვა ბრძანების გამოცემა 1998 წლის 23 თებერვლის ცირკულარის შეჩერების შესახებ. თავის წერილობით მოთხოვნაში მან მიუთითა, რომ ცირკულარითა და მისი განხორციელებით მას დაერღვა კონვენციის მე-8, მე-9 და მე-14 მუხლებითა და პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებული უფლებები, შესაბამისად, არ არსებობდა არანაირი ნორმატიული ბაზისი ამ ცირკულარის გამოსაცემად და პრორექტორის ოფისს არ ჰქონდა ამ სფეროს რეგულირების უფლება.

19. 1999 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სტამბულის ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარი თქვა მოთხოვნის განხილვაზე, დაადგინა რა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-13(ბ) ნაწილის თანახმად (კანონი №2547 — იხ. ქვემოთ, პუნქტი 52), უნივერსიტეტის პრორექტორს, როგორც უნივერსიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, უფლება ჰქონდა, დაერეგულირებინა სტუდენტთა ჩაცმულობა წესრიგის შენარჩუნების მიზნით. რეგულირების ეს უფლება გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებების შესაბამისად. ამ სასამართლოების პრაქტიკაზე დაყრდნობით, ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არც ზემოხსენებული მარე-

გულირებული ნორმები და არც განმცხადებლის წინააღმდეგ გატარებული ზომები არ შეიძლება უკანონოდ იქნეს მიჩნეული.

20. 2001 წლის 18 აპრილს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ განმცხადებლის მიერ სამართლებრივ საკითხებზე შეტანილ სააპელაციო საჩივარზე უარი თქვა.

C. განმცხადებლის წინააღმდეგ გატარებული დისციპლინური ღონისძიებები

21. 1998 წლის მაისში სტუდენტთა დისციპლინური საპროცესო წესების მე-6 მუხლის (ა) ქვეპუნქტის თანახმად (იხ. ქვემოთ, პუნქტი 50), განმცხადებლის წინააღმდეგ აღიძრა დისციპლინური საქმე ჩაცმის წესების დარღვევის გამო.

22. 1998 წლის 26 მაისს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი თავისი საქციელით მიუთითებდა, რომ კვლავ აპირებდა ლექციებსა და/თუ სემინარებზე თავსაბურავის ტარებას, ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ განმცხადებლის დამოკიდებულება და ჩაცმის წესების დაუცველობა არ შეეფერებოდა სტუდენტის საქციელს. შესაბამისად, მან გადაწყვიტა, განმცხადებლისთვის გაფრთხილება გამოეცხადებინა.

23. 1999 წლის 15 თებერვალს ჩერაპჰაშას სამედიცინო ფაკულტეტის დეკანატის წინ შეიკრიბა არასანქცირებული გაერთიანება, რათა ჩაცმის წესები გაეპროტესტებინა.

24. 1999 წლის 26 თებერვალს ფაკულტეტის დეკანმა დისციპლინური სამართალწარმოება წამოიწყო რამდენიმე სტუდენტის მიმართ, განმცხადებლის ჩათვლით, გაერთიანებაში მონაწილეობის გამო. 1999 წლის 13 აპრილს, განმცხადებლის განცხადებების მოსმენის შემდეგ, დეკანმა იგი უნივერსიტეტიდან ერთი სემესტრით გარიცხა სტუდენტთა დისციპლინარული საპროცესო წესების მე-9 (j) მუხლის შესაბამისად (იხ. პუნქტი 50).

25. 1999 წლის 10 ოგნის განმცხადებელმა სტამბულის ადმინისტრაციულ სასამართლოს მიმართა საჩივრით, გამოეცა ბრძანება მისი გარიცხვის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. სტამბულის ადმინისტრაციულმა სასამართლომ 1999 წლის 30 ნოემბერს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ საქმის არსიდან და ამ საკითხზე დადგენილი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, სადავო ღონისძიება არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო უკანონოდ.

26. 2000 წლის 28 ივნისს №4584 კანონის (რომლის თანახმად სტუდენტებს უნდა მიეცეთ ამნისტია დისციპლინური გადაცდომისათვის დაწესებული სანქციების მიმართ და შეზღუდვები გაუქმებული უნდა იქნეს) ძალაში შესვლის შემდეგ განმცხადებლის მიეცა ამნისტია და გათავისუფლდა მასზე დაწესებული ყველა სასჯელისა და შეზღუდვისაგან.

27. 2000 წლის 28 სექტემბერს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ №4584 კანონმა უსარგებლო გახადა განმცხადებლის მიერ 1999 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების კანონთან შეუსაბამობის მოთხოვნით გაკეთებული სააპელაციო საჩივრის არსებითი განხილვა.

28. ამავე დროს, 1999 წლის 16 სექტემბერს, განმცხადებელმა მიატოვა თურქეთის სასწავლებელი და ჩაირიცხა ვენის უნივერსიტეტში, სადაც გააგრძელა საუნივერსიტეტო განათლების მიღება.

II. შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა

A. კონსტიტუცია

29. კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები ითვალისწინებს:

მუხლი 2

„თურქეთის რესპუბლიკა არის დემოკრატიული, სეკულარული (laik) და სოციალური სახელმწიფო, დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს სოციალური მშვიდობის, ეროვნული სოლიდარობისა და სამართლიანობის სულისკვეთებით, ერთგულია ათათურქის ნაციონალიზმისა და გამსჭვალულია პრემბულაში მითითებული ძირითადი პრინციპებით“.

მუხლი 4

„დაუშვებელია დამატებების შეტანა ან წარმოდგენა კონსტიტუციის 1-ლი მუხლის დებულებებში, რომლებიც ადგენს, რომ სახელმწიფო რესპუბლიკაა, მე-2 მუხლის, რომელიც ეხება რესპუბლიკის ელემენტებს, ან მე-3 მუხლის დებულებებში“.

მუხლი 10

„ყველა ადამიანი თანაბარია კანონის წინაშე განურჩევლად მისი ენის, რასის, კანის ფერის, სქესის, პოლიტიკური შეხედულების, ფილოსოფიური რწმენის, რელიგიის, რელიგიური სექტის წევრობისა თუ სხვა მსგავსი საფუძვლისა.“

მამაკაცებსა და ქალებს ენიჭებათ თანასწორი უფლებები. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა ასეთი თანასწორობა პრაქტიკაში იქნეს მიღწეული.

დაუშვებელია, რომელიმე ადამიანს, ოჯახს, ჯგუფსა თუ კლასს მიენიჭოს პრივილეგია.

სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოები ყველა გარემოებაში მოქმედებენ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის შესაბამისად.“

მუხლი 13

„ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეზღუდული იქნეს მხოლოდ კანონით და კონსტიტუციაში გათვალისწინებული სპეციალური დებულებების საფუძველზე, იმ პირობით, რომ ასეთი უფლებებისა და თა-

ვისუფლებების არსი ხელუხლებელი დარჩება. ასეთი შეზღუდვა არ უნდა ენააღმდეგებოდეს კონსტიტუციის ტექსტსა თუ სულისკვეთებას ან დემოკრატიული, სეკულარული სოციალური წესრიგის მოთხოვნებს და უნდა დაექვემდებაროს პროპორციულობის პრინციპს.”

მუხლი 14

„კონსტიტუციაში გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს, თუ ამით ძირი ეთხრება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ერის ერთიანობას ან ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ დემოკრატიულ და სეკულარულ რესპუბლიკას.

კონსტიტუციის არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს იგი უფლებას ანიჭებს სახელმწიფოს ან ინდივიდებს, ჩაებან საქმიანობაში, რომელიც გამიზნული იქნება კონსტიტუციაში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დასარღვევად ან მათ შესაზღუდავად კონსტიტუციით დასაშვებ ზღვარზე მეტად.

სასჯელი, რომელსაც დაექვემდებარებიან პირები, რომლებიც ჩაებმებიან ამ დებულებების საწინააღმდეგო საქმიანობაში, განისაზღვრება კანონით.”

მუხლი 24

„ყველას აქვს უფლება სინდისის, რწმენისა და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებისა.

ლოცვები, აღმსარებლობა და რელიგიური რიტუალები უნდა ჩატარდეს თავი სუფლად, იმ პირობით, რომ ისინი არ დაარღვევს მუ-14 მუხლის დებულებებს.

არავინ შეიძლება იძულებით მონაწილეობდეს ლოცვებში, საკულტო და რელიგიურ რიტუალებში ან იძულებით გააცხადოს თავისი რელიგიური მრწამსი და აღმსარებლობა; არავინ შეიძლება დაექვემდებაროს ცენზურას ან მიეცეს პასუხისგებაში თავისი რელიგიური მრწამსისა თუ აღმსარებლობის გამო.

განათლება და სწავლება რელიგიასა და ეთიკაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სახელმწიფოს ზედამხედველობისა და კონტროლის საფუძველზე. სწავლება რელიგიის კულტურასა და მორალში სასწავლო პროგრამის სავალდებულო ნაწილია დანყებით და საშუალო სკოლებში. სხვა რელიგიური განათლება და სწავლება არჩევითი ხასიათისაა, მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს მათი კანონიერი მებრძოლების მიერ.

არავინ შეიძლება რაიმე ფორმით ექსპლუატაცია გაუწიოს ან შეურაცხყოს რელიგია, რელიგიური გრძობები ან რელიგიის მიერ სინმინდებდად აღიარებული საგნები იმ მოტივით, რომ სახელმწიფოს სოციალური, ეკო-

ნომიკური, პოლიტიკური ან სამართლებრივი წესრიგი დაფუძნებული იქნეს რელიგიურ წესებზე, თუნდაც ნანილობრივ, ან იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს მისი პოლიტიკური თუ პირადი ინტერესი ან მასზე რაიმე გავლენა იქონიოს.”

მუხლი 42

„არავის შეიძლება ჩამოერთვას სწავლისა და განათლების მიღების უფლება.

განათლების უფლების ფარგლები განსაზღვრულია და რეგულირდება კანონით.

სწავლების მიწოდება ხდება სახელმწიფოს ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშ, ათათურქის პრინციპებისა და რეფორმების და თანამედროვე სამეცნიერო და საგანმანათლებლო მეთოდების შესაბამისად. დაუშვებელია ისეთი საგანმანათლებლო ან სასწავლო დაწესებულების შექმნა, რომელიც არ მისდევს ამ წესებს.

სწავლების თავისუფლება არ ათავისუფლებს მოქალაქეებს ვალდებულებისაგან, ლოიალური დარჩნენ კონსტიტუციის მიმართ.

დაწყებითი განათლება სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის განურჩევლად სქესისა და უფასოა სახელმწიფო სკოლებში.

დაწყებითი და საშუალო სკოლების მართვისა და ფუნქციონირების წესები რეგულირდება კანონით სახელმწიფო სკოლებისათვის დადგენილი სტანდარტების დაცვით.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ფინანსურად შეზღუდულ მოსწავლეებს საჭირო დახმარებით სტიპენდიის ან სხვა სახით, რათა მათ შეძლონ სწავლის გაგრძელება. სახელმწიფო მიიღებს შესაბამის ზომებს იმ პირთა რეაბილიტაციისთვის, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ტრენინგებს, რათა კვლავ საჭირონი გახდნენ საზოგადოებისათვის.

განათლება, სწავლება, კვლევა და სწავლა არის ის საქმიანობები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებში. დაუშვებელია ამ საქმიანობებისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა...”

მუხლი 153

„საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. დებულების გაბათილების შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს საჯარო წერილობითი მოტივაციის გარეშე.

კანონის ან საკანონმდებლო აქტის ან რომელიმე დებულების გაუქმებისას საკონსტიტუციო სასამართლო არ უნდა მოქმედებდეს როგორც კვაზი-საკანონმდებლო ორგანო ისეთი დებულების შექმნით, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს.

...

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ გაზეთში და ისინი სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებისათვის, ადმინისტრაციული ... დაწესებულებებისათვის და ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის."

B. საქმის წინმსწრები მოვლენები და ისტორია

1. რელიგიური ჩაცმულობა და სეკულარიზმის პრინციპი

30. თურქეთის რესპუბლიკა დაფუძნებული იქნა პრინციპზე, რომ სახელმწიფო უნდა იყოს სეკულარული (*laik*). 1923 წლის 29 ოქტომბერს რესპუბლიკის გამოცხადებამდე და მას შემდეგ საზოგადოება და რელიგიური წრეები ერთმანეთს დაშორდნენ რევოლუციური რეფორმების გამო, როგორებიც იყო: 1923 წლის 3 მარტს ხალიფატის გაუქმება; 1928 წლის 10 აპრილს საკონსტიტუციო დებულების ანულირება, რომლითაც ისლამი სახელმწიფო რელიგიად ცხადდებოდა; და ბოლოს, 1937 წლის 5 თებერვალს საკონსტიტუციო ცვლილების მიღება, რომლითაც სეკულარიზმის პრინციპს საკონსტიტუციო სტატუსი მიენიჭა (იხ. 1924 წლის კონსტიტუციის მე-2 და 1961 და 1982 წლის კონსტიტუციების მე-2 მუხლები, რომლებიც ჩამოყალიბებულია 29-ე პუნქტში).

31. სეკულარიზმის პრინციპს სათავე დაედო ოტომანური საზოგადოების გაფართოებით მეცხრამეტე საუკუნიდან რესპუბლიკად გამოცხადებამდე. თანამედროვე საჯარო საზოგადოების შექმნის იდეა, სადაც ყველა მოქალაქისათვის გარანტირებული იქნებოდა თანასწორობა განურჩევლად რელიგიის, სარწმუნოების ან სქესისა, სათავეს პპოვეებს მეცხრამეტე საუკუნეში ოტომანურ დებატებში. ქალთა უფლებებში მნიშვნელოვანი წინსვლა იქნა მიღწეული ამ პერიოდში (განათლების მიღებისას თანასწორი მოპყრობა, 1914 წელს პოლიგამიის აკრძალვა, ქორწინების საქმეებზე იურისდიქციის გადაცემა სეკულარული სასამართლოსათვის, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა).

32. რესპუბლიკური იდეალის დამახასიათებელი შტრიხი იყო ქალთა ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი აქტიური მონაწილეობა საზოგადოებაში. შესაბამისად, იღებეს, რომელთა თანახმად ქალები უნდა გათავისუფლებულიყვნენ რელიგიური შეზღუდვებისაგან და საზოგადოებას უნდა განეცადა მოდერნიზაცია, გააჩნდა საერთო სანყისი. ამგვარად, 1926 წლის 17 თებერვალს მიღებული იქნა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც უზრუნველყოფდა საპირისპირო სქესთა თანასწორობას სამოქალაქო უფლებებით სარგებლობაში, განსაკუთრებით კი განქორწინებისა და მემკვიდრეობის მიღებისას. შესაბამისად, 1934 წლის 5 დეკემბრის საკონსტიტუციო ცვლილებებით (1924 წლის კონსტიტუციის მე-10 მუხლი) ქალებმა მოიპოვეს მამაკაცთა თანასწორი პოლიტიკური უფლებები.

33. პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებდა ჩაცმულობას, იყო 1925 წლის 28 ნოემბრის აქტი (კანონი №671), რომელიც ჩაცმულობას განიხილავდა, როგორც თანამედროვეობის საკითხს. ამგვარადვე, 1934 წლის 3 დეკემბრის ჩაცმულობის შესახებ აქტით (კანონი № 2596) რელიგიური ნიშნულების ტარება ნებადართული იქნა მხოლოდ აღმსარებლობის ადგილებში და რელიგიურ ცერემონიალებზე, რელიგიისა თუ რწმენის მიუხედავად.

34. 1924 წლის აქტით საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ (კანონი №430) დაიხურა რელიგიური სკოლები და ყველა სკოლა დაექვემდებარა განათლების სამინისტროს კონტროლს. ეს აქტი არის ერთი იმ კანონთაგანი, რომელსაც აქვს საკონსტიტუციო სტატუსი და დაცულია თურქეთის კონსტიტუციის 174-ე მუხლით.

35. თურქეთში ისლამური თავსაბურავის ტარება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ბოლო დროის ფენომენია, რომელიც სათავეს იღებს 1980-იანი წლებიდან. ამ საკითხზე ფართო დისკუსია იმართებოდა და იგი კვლავ ცოცხალი დებატების საგნად რჩება თურქეთის საზოგადოებაში. თავსაბურავის მომხრენი მის ტარებას ალიქვამენ ვალდებულებად და/ან რელიგიურ თვითმყოფადობასთან დაკავშირებულ გამოხატვის ფორმად. თუმცა სეკულარიზმის მომხრენი, რომლებიც განასხვავებენ *başörtüsü*-ს (ტრადიციული ანატოლიური თავსაბურავი, რომელსაც მოშვებულად იკეთებენ) და *turban*-ს (მჭიდროდ მოხვეული თავსაბურავი, რომელიც ფარავს თმასა და ყელს), ისლამურ თავსაბურავს ალიქვამენ პოლიტიკური ისლამის სიმბოლოდ. 1996 წლის 28 ივნისს კოალიციური მთავრობის (რომელიც დაკომპლექტებული იყო ისლამისტური *Refah Partisi*-სა და ცენტრისტი-მემარჯვენე *Doğru Yol Partisi*-საგან) მიერ ძალაუფლების მოპოვების შედეგად გაიმართა დებატები ძლიერი პოლიტიკური ქვეტექსტებით. *Refah Partisi*-ის ლიდერები, იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის ჩათვლით, დემოკრატიული ღირებულებებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით და მრავალფეროვანი სამართლებრივი სისტემების მხარდაჭერით, რომლებიც ფუნქციონირებენ თითოეული რელიგიური ჯგუფისათვის სხვადასხვა რელიგიური წესების თანახმად, თურქეთის საზოგადოებაში აღქმულნი იქნენ რესპუბლიკური ღირებულებებისა და სამოქალაქო მშვიდობისათვის სერიოზულ საფრთხედ (იხ. *Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey*, №. 41340/98, 41342/98, 41343/98 და 41344/98, ECHR 2003-II).

2. ჩაცმის წესები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

36. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაცმასთან დაკავშირებით პირველი საკანონმდებლო აქტი გამოიცა 1981 წლის 22 ივლისს კაბინეტის მიერ წესების სახით, რომელთა თანახმად საჯარო დაწესებულებებში და ორგანიზაციებში მომუშავე აპარატს და პერსონალს, ასევე ქალ სტუდენტებს სახელმწიფო სასწავლებლებში მოეთხოვათ ჩვეულებრივი, თანამედროვე ტანსაცმლის ტარება. წესები ასევე კრძალავდა აპარატის ქალი წევრებისა და სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩადრის ტარებას.

37. 1982 წლის 20 დეკემბერს უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანოს მიერ გამოიცა ცირკულარი უმაღლესი განათლების დაწესებულებებში თავსაბურავის ტარების შესახებ. ისლამური თავსაბურავები აიკრძალა სალექციო აუდიტო-

რიებში. უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ 1984 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ წესები კანონის ფარგლებში ხვედებოდა და აღნიშნა:

„უბრალო უწყინარი პრაქტიკის მიღმა, თავსაბურავის ტარება ხდება ისეთი ხედვის სიმბოლო, რომელიც ეწინააღმდეგება ქალთა თავისუფლებებს და რესპუბლიკის ძირითად პრინციპებს.“

38. 1988 წლის 10 დეკემბერს ძალაში შევიდა უმაღლესი განათლების შესახებ აქტის (კანონი №2547) მე-16 გარდამავალი ნაწილი, სადაც წერია:

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ოთახებსა და დერეფნებში, მოსამზადებელ სკოლებში, ლაბორატორიებში, კლინიკებსა და მრავალდისციპლინურ კლინიკებში სავალდებულოა თანამედროვე ჩაცმულობის ტარება. ჩადრის ან თავსაბურავის ტარება, რომელიც ფარავს კისერსა და თმას, დასაშვებია რელიგიური აღმსარებლობის დროს.“

39. 1989 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებაში, რომელიც ოფიციალურ გაზეთში დაიბეჭდა 1989 წლის 5 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოხსენებული დებულება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-2 (სეკულარიზმი), მე-10 (კანონის წინაშე თანასწორობა) და 24-ე (რელიგიის თავისუფლება) მუხლებს. მან ასევე დაადგინა, რომ ეს დებულება ვერ ეთვისება სქესთა თანასწორობის პრინციპს, რომელიც, *inter alia*, აშკარად დევს რესპუბლიკურ და რევოლუციურ ღირებულებებში (იხ. კონსტიტუციის პრეამბულა და 174-ე მუხლი).

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა თავიანთ გადაწყვეტილებაში პირველ რიგში ახსნეს ის, რომ სეკულარიზმმა საკონსტიტუციო სტატუსი მოიპოვა ქვეყნის ისტორიული გამოცდილებისა და სხვა რელიგიებთან შედარებით ისლამის თავისებურების გამო; სეკულარიზმი იყო არსებითი წინაპირობა დემოკრატიისათვის და რელიგიის თავისუფლებისა და კანონის წინაშე თანასწორობის გარანტიის სახით მოქმედებდა. ის ასევე იცავდა სახელმწიფოს, რომ რაიმე უპირატესობა არ მიენიჭებინა რომელიმე რელიგიისა თუ რწმენისათვის; შესაბამისად, სეკულარული სახელმწიფო ვერ მოიხმობს რელიგიურ აღმსარებლობას საკანონმდებლო ფუნქციების შესრულებისას. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა დაადგინეს, *inter alia*:

„სეკულარიზმი არის სამოქალაქო ორგანიზატორი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრებისა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სუვერენიტეტს, დემოკრატიას, თავისუფლებასა და მეცნიერებას. სეკულარიზმი არის პრინციპი, რომელიც ადამიანს სთავაზობს შესაძლებლობას, გაიმყაროს თავისი პიროვნულობა აზრის თავისუფლებით და რომელიც, პოლიტიკასა და რელიგიურ რწმენას შორის განსხვავების დადგენით, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას ქმედითს ხდის. რელიგიაზე დაფუძნებულ საზოგადოებებში, რომლებიც ფუნქციონირებენ რელიგიური აზრებითა და რელიგიური წესებით, პოლიტიკური ორგანიზაცია რელიგიური ხასიათისაა. სეკულარულ რეჟიმში რელიგია პოლი-

ტიკური როლისაგან თავისუფლება. ის აღარ წარმოადგენს თანამდებობის პირთა იარაღს და ინარჩუნებს თავის პატივსაცემ ადგილს, რომელიც განისაზღვრება ყველა ადამიანის სინდისით...".

მის დაურღვეველ ბუნებაზე მითითებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება, რომელიც იგივე არ არის, რაც ცალკეული რელიგიური ნიშნების ტარების უფლება, პირველ რიგში, იძლევა გარანტიას თავისუფლად არჩევისა, მიჰყევს თუ არა პირი ამა თუ იმ რელიგიას. მან ახსნა, რომ ინდივიდუალური აღმსარებლობის პირადული სფეროს ფარგლებს მიღმა რელიგიის გამომყდევნების თავისუფლება შესაძლოა შეიზღუდოს საჯარო ნესრიგის მიღწევის მოტივით, რათა დაცული იქნეს სეკულარიზმის პრინციპი.

ყველა თავისუფალია, აირჩიოს, რა ჩაიცვას, მაგრამ ასევე პატივი უნდა სცეს საზოგადოების სოციალურ და რელიგიურ ღირებულებებსა და ტრადიციებს. თუმცა როცა რელიგიის გავლენით ინდივიდებს თავს მოეხვიათ სპეციალური ჩაცმულობა, ეს რელიგია წარმოდგენილი და აღქმული იქნა, როგორც ღირებულებების ერთიანობა, რომელიც შეუსაბამობაში მოდიოდა თანამედროვე საზოგადოებასთან. უფრო მეტიც, თურქეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანი იყო, ისლამური თავსაბურავის ტარების სავალდებულო რელიგიურ ვალდებულებად აღიარება გამოიწვევდა ღრმად მორწმუნე და მორწმუნე მუსლიმანთა და ათეისტთა შორის დისკრიმინაციას იმ საბაბით, რომ ნებისმიერი პირი, ვინც უარს იტყოდა თავსაბურავის ტარებაზე, უდავოდ ჩაითვლებოდა რელიგიის მონინალმდეგედ ან არარელიგიურად.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტებს უფლება უნდა ჰქონდეთ, იმუშაონ და განათლება მიიღონ მშვიდ, ტოლერანტულ და ორმხრივად დამხმარე ატმოსფეროში, ამ მიზნისაგან რელიგიური მიკუთვნების გამომხატველი ნიშნებით აცდენის გარეშე. მან დაადგინა, რომ იმის მიუხედავად, ისლამური თავსაბურავი იყო თუ არა ისლამის გამოხატულება, ამ ტიპის რელიგიური სიმბოლოსათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლებრივი ცნობის მინიჭება არ შეესაბამებოდა პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უნდა იყოს ნეიტრალური, რადგან იგი ვალდებულია, მოაგვაროს კონფლიქტები სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობისა და რწმენის მქონე სტუდენტებს შორის.

40. 1990 წლის 25 ოქტომბერს ძალაში შევიდა №2547 კანონის მე-17 გარდამავალი ნაწილი, რომელიც გულისხმობს:

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა იყოს ჩაცმულობის თავისუფალი არჩევანი, იმ პირობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს.“

41. 1991 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილებაში, რომელიც დაიბეჭდა ოფიციალურ გაზეთში 1991 წლის 31 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1989 წლის 7 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებაში დადგენილი პრინციპის შესაბამისად, ზემოხსენებული დებულება კრძალავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ნიშნით თავსაბურავების ტარებას

და, ამგვარად, იგი შეესაბამება კონსტიტუციას. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, *inter alia*:

„... ფრაზა „მოქმედი კანონები“ უპირველეს ყოვლისა მიუთითებს კონსტიტუციაზე ... უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში რელიგიური მრწამსის გამო კისრისა და თმის ჩადრითა თუ თავსაბურავით დაფარვა ენიწაღმდეგება სეკულარიზმისა და თანასწორობის პრინციპს. ასეთ შემთხვევებში უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში სადავო დებულებით ნებადართული ჩაცმულობის არჩევის თავისუფლება „არ გულისხმობს რელიგიური ხასიათის ჩაცმულობას ან კისრისა და თმების ჩადრითა თუ თავსაბურავით დაფარვას“, ... ამ დებულებით (მე-17 გარდამავალი ნაწილის) ნებადართული თავისუფლება პირობითია და არ უნდა ენიწაღმდეგებოდეს „მოქმედ კანონებს“. საკონსტიტუციო სასამართლოს 1989 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება ადგენს, რომ ადამიანის მიერ კისრისა და თმის ჩადრითა თუ თავსაბურავით დაფარვა პირველ ყოვლისა ენიწაღმდეგებაში მოდის კონსტიტუციასთან. შესაბამისად, ზემოხსენებულ ნაწილში ჩამოყალიბებული პირობა, რომელიც ითხოვს, რომ ჩაცმულობის არჩევანი არ ენიწაღმდეგებოდეს მოქმედ კანონებს, ჩაცმულობის თავისუფლების ფარგლებიდან იღებს კისრისა და თმის ჩადრითა თუ თავსაბურავით დაფარვას“...“.

3. წესების გამოყენება სტამბულის უნივერსიტეტში

42. სტამბულის უნივერსიტეტი დაარსდა მეთხუთმეტე საუკუნეში და წარმოადგენს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ერთ-ერთ ძირითად ცენტრს თურქეთში. მას აქვს ჩვიდმეტი ფაკულტეტი (ორი სამედიცინო ფაკულტეტის ჩათვლით - *Cerrahpaşa da Çapa*) და თორმეტი უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლა. მასში ირიცხება დაახლოებით 50 000 სტუდენტი.

43. 1994 წელს, უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში მეანობის კურსზე ჩარიცხული ქალი სტუდენტების მიერ დაწყებული პეტიციის კამპანიის შემდგომ, პრორექტორმა გააუვრცელა მემორანდუმი, რომელშიც ახსნა ისლამური თავსაბურავის საკითხის ფონი და შესაბამისი წესების სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ კი აღნიშნა:

„მეანობის კურსის სტუდენტებისათვის სემინარებზე თავსაბურავის ტარების აკრძალვა მიზნად ისახავს არა მათი აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას, არამედ ემორჩილება მოქმედ კანონებსა და წესებს. თავიანთი სამუშაოს შესრულებისას მეანები და მედებნი ატარებენ უნიფორმას. ეს უნიფორმა აღწერილი და განსაზღვრულია ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გაცემული დადგენილებით... სტუდენტები, რომლებსაც სურთ ამ პროფესიის დაუფლება, ინფორმირებულნი არიან ამის შესახებ. წარმოიდგინეთ მეანი სტუდენტი, რომელიც ცდილობს, ბავშვი მოათავსოს ინკუბატორში ან გამოიყვანოს იქიდან, ან საოპერაციო ბლოკში თუ დედათა განყოფილებაში ეხმარება ექიმს და ატარებს გრძელსახელოებიან პალტოს.“

44. პროორექტორი შენუხებული იყო, რომ ისლამური თავსაბურავის ტარების ნებართვის მოთხოვნის კამპანიამ ყველა საუნივერსიტეტო დაწესებულებაში მიაღწია პიკს, რითაც გაჩნდა წესრიგის დარღვევის რისკი, რაც უნივერსიტეტში, ფაკულტეტზე, *hospital Cerrahpaşa*-ში და მედიცინის სკოლაში არეულობას გამოიწვევდა. მან მოუწოდა სტუდენტებს, დამორჩილებოდნენ ჩაცმის წესებს და შეახსენა პაციენტთა უფლებები.

45. 1994 წლის 1 ივნისს უნივერსიტეტის აღმასრულებელმა მიიღო რეზოლუცია სტუდენტებისა და უნივერსიტეტის აპარატისათვის ჩაცმის წესების შესახებ, რომელშიც ნათქვამია:

„უმაღლეს სასწავლებლებში ჩაცმულობის მარეგულირებელი წესები დადგენილია კანონებსა და დადგენილებებში. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც უნივერსიტეტებში რელიგიური ნიშნების ტარებას კრძალავს.

გადაწყვეტილება ეხება ჩვენი უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და ადმინისტრაციულ და სხვა სახის აკადემიურ პერსონალს, ყველა დონეზე. სახელდობრ, მედდები, მეანები, ექიმები და ვეტერინარები ვალდებული არიან, დაემორჩილონ ჩაცმის წესებს (მედდის საქმიანობის, ლაბორატორიული სამუშაოს, ქირურგიის და მიკრობიოლოგიის შესახებ), როგორც ამას მოითხოვს სამეცნიერო გათვლები და კანონმდებლობა, ჯანმრთელობის და სხვა სამეცნიერო სემინარების დროს. ვინც არ დაემორჩილება ჩაცმის წესებს, არ უნდა იქნეს დაშვებული სემინარებზე.“

46. 1998 წლის 23 თებერვალს გავრცელდა სტამბულის უნივერსიტეტის პროორექტორის მიერ ხელმოწერილი ცირკულარი, რომელიც შეიცავდა ინსტრუქციებს უნივერსიტეტში იმ სტუდენტთა მიღების შესახებ, რომლებიც ატარებდნენ წვერს ან ისლამურ თავსაბურავს (ცირკულარის ტექსტი იხილეთ მე-16 პუნქტში).

47. 1998 წლის 9 ივლისს უნივერსიტეტმა მიიღო რეზოლუცია (№11), რომლის მიხედვით:

„1. სტამბულის უნივერსიტეტის სტუდენტები უნდა დაემორჩილონ ჩაცმის შესახებ კანონიერ პრინციპებსა და წესებს, რომლებიც დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოსა და უმაღლესი სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებში.

2. სტუდენტებს ეკრძალებათ ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც სიმბოლურად ასახავს ან გამოხატავს რომელიმე რელიგიას, რწმენას, რასას ან პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ დამოკიდებულებას უნივერსიტეტის რომელიმე ინსტიტუტსა თუ ფაკულტეტზე ან მის დერეფნებში.

3. სტუდენტები უნდა დაემორჩილონ წესებს, რომლებიც ითხოვს საუციალური ტანსაცმლის ტარებას პროფესიული ნიშნით თავიანთ ინსტიტუტებსა და ფაკულტეტებზე.

4. ფოტოსურათები, რომლებსაც სტუდენტები აწვდიან ინსტიტუტებს ან ფაკულტეტებს, გადაღებული უნდა იქნეს „ანფასში“ „თავისა და კისრის დაუფარავად“. ისინი უნდა იყოს არაუმეტეს ექვსი თვის წინ გადაღებული და შესაძლებელს უნდა ხდიდეს სტუდენტის იდენტიფიცირებას.

5. ნებისმიერი პირი, ვინც გამოხატავს ზემოაღნიშნული პუნქტების სანა-ნაალმდეგო დამოკიდებულებას, ან პირი, რომელიც სიტყვიერად, წერი-ლობითი ფორმით თუ საქმიანობით მხარს უჭერს ამგვარ დამოკიდებულე-ბას, პასუხს აგებს სტუდენტთა დისციპლინური პროცედურის წესების თანახმად“.

4. სტუდენტთა დისციპლინური საპროცესო წესები

48. სტუდენტთა დისციპლინური საპროცესო წესები, რომლებიც გამო-ქვეყნდა 1985 წლის 13 იანვრის ოფიციალურ გაზეთში, მოიცავს დისციპლინუ-რი სასჯელის ხუთ სახეს: გაფრთხილებას, შენიშვნას, სტუდენტობის ერთი კვირიდან თვემდე დროებით შეჩერებას, სტუდენტობის ერთი ან ორი სემესტ-რით დროებით შეჩერებას და გარიცხვას.

49. უნივერსიტეტის დერეფნებში ისლამური თავსაბურავის უბრალო ტარება დისციპლინურ გადაცდომას არ წარმოადგენს.

50. წესების მე-6(ა) პუნქტის თანახმად, სტუდენტი, რომლის „ქცევა და დამოკიდებულება არ შეეფერება სტუდენტისას“, მიიღებს გაფრთხილებას. შენიშ-ვნა, *inter alia*, მიეცემა სტუდენტებს, რომელთა ქცევაც იმგვარია, რომ კარგავენ პატივისცემასა და რწმენას, რომლებიც მათ მოეთხოვებათ, ან რომლებიც შლიან ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს ლაბორატორიებში ან სასე-მინარო დარბაზებში (მე-7 პუნქტის (ა) და (ე) ქვეპუნქტები). სტუდენტები, რომ-ლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზღუდავენ სხვათა უფლებებს ისწავლონ და ასწავლონ ან ვისი ქმედებაც იწვევს სიჩუმის, სიმშვიდის და შრომისუნარიანობის დარღვევას, რაც აუცილებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან ვინც ამგვარ დაწესებულებებში ერთვება პოლიტიკურ საქმიანობაში, პასუხს აგებს სტუდენტობის ერთი კვირიდან ერთ თვემდე დროებითი შეჩერებით (მე-8 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტები). მე-9 პუნქტის (ი) ქვეპუნქტი ადგენს, რომ სტუდენტები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ ან მონაწილეობენ არასანქცი-რებულ მიტინგებში უნივერსიტეტის დერეფნებში, პასუხს აგებენ სტუდენტობის ერთიდან ორ სემესტრამდე დროებითი შეჩერებით.

51. დისციპლინურ საჩივართა გამოძიების პროცედურა ჩამოყალიბებულია 13-34 წესებში. მე-16 და 33-ე პუნქტების მიხედვით, პატივი უნდა ეცეს სტუ-დენტთა დაცვის უფლებას და დისციპლინურმა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ის მიზეზები, რამაც განაპირობა სტუდენტის მიერ წესების დარღვევა. ყველა დისციპლინური ღონისძიება ექვემდებარება ადმინისტრაციულ სასამართლოში სასამართლო გადასინჯვას.

5. უნივერსიტეტის ორგანოთა მიერ რეგულირების უფლება

52. ვინაიდან კონსტიტუციის 130-ე მუხლის თანახმად უმაღლესი სასწავ-

ლებლები საჯარო სამართლის იურიდიული პირებია, მათ ენიჭებათ ავტონომიის ხარისხი და ექვემდებარებიან სახელმწიფო კონტროლს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი იმართებიან სამენეჯმენტო ორგანოების მიერ, როგორცაა პრორექტორი, დელეგირებული კანონიერი უფლებებით.

№2547 კანონის მე-13 ნაწილის შესაბამისი ნაწილი ამბობს:

„... (b) პრორექტორებს აქვთ შემდეგი უფლებები, კომპეტენცია და ვალდებულებები:

1. უხელმძღვანელონ უნივერსიტეტის გამგეობის შეხვედრებს, დანერგონ მათი რეზოლუციები, განიხილონ უნივერსიტეტის გამგეობის წინადადებები და მიიღონ საჭირო გადაწყვეტილებები და უზრუნველყონ, რომ უნივერსიტეტის დაწესებულებებმა იმუშაონ კოორდინირებული წესით,...

5. ზედამხედველობა და მონიტორინგი გაუწიონ უნივერსიტეტის დეპარტამენტებს და უნივერსიტეტის აპარატს ყველა დონეზე.

პრორექტორი უპირველესად პასუხს აგებს უსაფრთხოების ზომების მიღებაზე და უნივერსიტეტის მუშაობის ადმინისტრაციულ და სამეცნიერო ასპექტების ზედამხედველობასა და მონიტორინგზე...“

53. №2547 კანონის მე-13 ნაწილის თანახმად, პრორექტორისათვის მინიჭებული მონიტორინგისა და ზედამხედველობის უფლება ექვემდებარება ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ დაწესებულ კანონიერებისა და ყურადღებით შესწავლის მოთხოვნებს.

C. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილის სავალდებულო ძალა

54. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 1999 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებაში (E. 1998/58, K. 1999/19), რომელიც დაიბეჭდა 2000 წლის 4 მარტის ოფიციალურ გაზეთში (*Official Gazette*), დაადგინა, *inter alia*:

„საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისათვის სავალდებულოა როგორც გადაწყვეტილებათა სარეზოლუციო ნაწილები, ასევე მთლიანი მოტივაცია. გადაწყვეტილებებსა და მათში ჩამოყალიბებულ მოტივაციაში დადგენილია სტანდარტები, რომლებითაც საკანონმდებლო საქმიანობა უნდა შეფასდეს, და ამ საქმიანობისათვის დაწესებულია სახელმძღვანელო დირექტივები.“

D. შედარებითი სამართალი

55. ოც წელიწადზე მეტია ისლამური თავსაბურავების ადგილი სახელმწიფო განათლების სფეროში ევროპაში დებატების საგნად იქცა. უმეტეს ევროპულ სახელმწიფოში დებატები ძირითადად ეხებოდა დანყებით და საშუალო

სკოლებს. თუმცა თურქეთში, აზერბაიჯანსა და ალბანეთში დებატები ეხებოდა არა მარტო ინდივიდის თავისუფლების თემას, არამედ ასევე ისლამური თავსაბურავის პოლიტიკურ მნიშვნელობასაც. ეს ის წევრი სახელმწიფოებია, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებლებში ისლამური თავსაბურავის ტარებაზე შეზღუდვა დაანესეს.

56. საფრანგეთში, სადაც სეკულარიზმი რესპუბლიკური ღირებულებების ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედად ითვლება, კანონი, რომელიც სეკულარიზმის პრინციპის შესაბამისად არეგულირებს სახელმწიფო დაწყებით და საშუალო სკოლებში რელიგიური მიკუთვნების გამომხატველი ნიშნებისა და ტანსაცმლის ტარებას, მიღებული იქნა 2004 წლის 14 მარტს. კანონით განათლების კოდექსს დაემატა ახალი მუხლი L. 141-5-1, რომლის თანახმად: „სახელმწიფო დაწყებით და საშუალო სკოლებში იმ ნიშნებისა და ტანსაცმლის ტარება, რომლებითაც მოსწავლე ზედმეტად გამოხატავს თავის რელიგიურ მიკუთვნებას, აკრძალულია. სკოლის წესებით უნდა დადგინდეს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას წინ უნდა უსწრებდეს მოსწავლესთან დიალოგი“.

ეს აქტი შეეხება ყველა სახელმწიფო სკოლასა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ბაკალავრიატის შემდგომი კურსების ჩათვლით (*grandes écoles*-ში შესასვლელი მოსამზადებელი კურსები და დახელოვნების ტრენინგის კურსები). ის არ მოიცავს სახელმწიფო უნივერსიტეტებს. ამას გარდა, 2004 წლის 18 მაისის ცირკულარი ნათელს ხდის, რომ აქტი ეხება „... ნიშნებს..., როგორცაა ისლამური თავსაბურავი, რაც არ უნდა ერქვას მას, კიპა ან ძალიან დიდი ზომის ჯვარი, რომელიც დაუყოვნებლივ ამოცნობადს ხდის მატარებლის რელიგიურ მიკუთვნებულობას.“

57. ბელგიაში ფრანგული საზოგადოებრივი ჯგუფის 1994 წლის 13 მარტის დეკრეტი ადგენს, რომ საზოგადოებაში განათლება უნდა იყოს ნეიტრალური. მოსწავლეებს პრინციპში უფლება აქვთ, ატარონ რელიგიური ნიშნები. თუმცა მათ ამის უფლება აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ დაცულია ადამიანის უფლებები, სხვათა რეპუტაცია, ეროვნული უსაფრთხოება, საჯარო წესრიგი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და მორალი და ეს შეესაბამება შიდა წესებს. გარდა ამისა, მასწავლებლებმა არ უნდა დაუშვან მათ დაქვემდებარებაში მყოფთა მიერ რელიგიური და ფილოსოფიური პროზელიტიზმი ან მოსწავლეების მიერ ან მოსწავლეების მეშვეობით პოლიტიკური დაპირისპირების ორგანიზება. დეკრეტი ადგენს, რომ შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს სკოლის წესებით. 2004 წლის 19 მაისს ფრანგულმა საზოგადოებრივმა ჯგუფმა გამოსცა დეკრეტი, რომელიც მიზნად ისახავდა მოპყრობის თანასწორობის დაწესებას. ფლამანდიურ საზოგადოებრივ ჯგუფში სკოლებში არ არსებობს არანაირი ერთიანი პოლიტიკა იმის შესახებ, უნდა იქნეს თუ არა ნებადართული რელიგიური ან ფილოსოფიური ნიშნების ტარება. ზოგიერთი ატარებს, ზოგიც — არა. როდესაც მოსწავლეებს უფლება აქვთ, ატარონ მსგავსი ნიშნები, შეიძლება შეზღუდვები დაწესდეს პიგიენისა და უსაფრთხოების საფუძვლით.

58. სხვა ქვეყნებში (ავსტრია, გერმანია, პოლანდია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო), რაც შემთხვევებში სამართლებრივი დებატების შემდგომ, სახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანოები ნებას რთავენ მუსლიმან მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ატარონ ისლამური თავსაბურავები.

59. გერმანიაში, სადაც დებატები იმართებოდა იმ საკითხზე, უნდა ჰქონო-

დათ თუ არა მასწავლებლებს უფლება, ეტარებინათ ისლამური თავსაბურავები, 2003 წლის 24 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ მასწავლებელსა და ბადენ-ვურტენბერგის მიწას შორის საქმეზე დაადგინა, რომ კანონში ამკრძალავი ნორმის არარსებობა ნიშნავდა, რომ მასწავლებლებს უფლება ჰქონდათ, თავსაბურავი ეტარებინათ. შესაბამისად, ამით მიწის საკანონმდებლო ორგანო ვალდებული გახდა, სახელმწიფო სკოლებში ისლამური თავსაბურავის ტარების აკრძალვის სურვილის შემთხვევაში, დაედგინა ჩაცმის წესები.

60. ავსტრიაში არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა თავსაბურავის, ტურბანის ან კიპას ტარების შესახებ. ზოგადად დადგენილია, რომ თავსაბურავის ტარების აკრძალვა გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით საფრთხე ექმნება მოსწავლეთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

61. გაერთიანებულ სამეფოში ტოლერანტული მიდგომა იმ მოსწავლეთა მიმართ, რომლებიც ატარებენ რელიგიურ ნიშნებს. ისლამურ თავსაბურავებთან დაკავშირებული სირთულეები იშვიათია. ამ საკითხზე დებატები გაიმართა მხოლოდ სკოლებში რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში მრავალკულტურული ხასიათის შენარჩუნების მიზნით (იხ., სახელდობრ, *Mandla v. Dowell*, 'The Law Reports' 1983, 548-570). რასობრივი თანასწორობის კომისიამ, რომლის გადანყვეტილებაც მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა, ასევე განიხილა ისლამური თავსაბურავის საკითხი 1988 წელს საქმეში *Allrincham Grammar School*, რომელიც დასრულდა კომპრომისით კერძო სკოლასა და ოჯახის წევრთაგან ორ დას შორის, რომლებიც ითხოვდნენ უფლებას, სკოლაში ეტარებინათ ისლამური თავსაბურავი. სკოლა დათანხმდა, მათთვის ნება დაერთო, ეტარებინათ თავსაბურავი, თუ იგი იქნებოდა ღია ლურჯი (სკოლის ფორმის ფერი), კისერზე შეკრული, დეკორაციის გარეშე.

საქმეში *R* (ბეგუმის გამოყენების შესახებ) დამრიგებლისა და დენბაის უმაღლესი სკოლის წინააღმდეგ (2004) უმაღლეს სასამართლოს უნდა გადაენწყვიტა დავა სკოლასა და მუსლიმან მოსწავლეს შორის, რომელსაც სურდა ჯილბაბის ტარება (გრძელსახელოებიანი ხალაათი). სკოლა მოითხოვდა, რომ მოსწავლეებს ეტარებინათ ფორმა, რომლის ერთ-ერთი ვარიანტი იყო თავსაბურავი და *shalwar kameeze* (გრძელი ტრადიციული ინდური ტანსაცმელი). 2004 წლის ივნისში უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსწავლის სარჩელი, დაადგინა რა, რომ მისი რელიგიის თავისუფლება არ დარღვეულა. თუმცა ეს გადანყვეტილება 2005 წლის მარტში შეცვალა სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა მოსწავლის რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას, რადგან გაერთიანებულ სამეფოში მუსლიმანთა უმცირესობა თვლიდა, რომ ჯილბაბის ტარება გარდატეხის ასაკში რელიგიურ მოვალეობას წარმოადგენდა და ამ მოსწავლეს ღრმად სჯეროდა ამ მოსაზრებისა. სკოლის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ჩარევის გამამართლებელი მიზეზი, რადგან გადანყვეტილებების მიღების პროცესი არ შეესაბამებოდა რელიგიის თავისუფლების მოთხოვნებს.

62. ესპანეთში კანონით აკრძალული არ არის სახელმწიფო სკოლებში რელიგიური თავსაბურავების ტარება. 1996 წლის 26 იანვრის ორი სამეფო დეკრეტით, რომლებიც შეეხება დაწყებით და საშუალო სკოლებს, თუ კომპეტენტურმა, ავტონომიურმა საზოგადოებრივმა ორგანომ სხვა სპეციალური ღონისძიებები არ მიიღო, სკოლის მმართველებს უფლება აქვთ, გამოსცენ სკოლის წესები, რომ-

ლებშიც შეიძლება შეტანილი იქნეს ჩაცმის შესახებ დებულებები. ზოგადად სახელმწიფო სკოლებში თავსაბურავის ტარება ნებადართულია.

63. ფინეთსა და შვედეთში სკოლაში დასაშვებია ჩადრის ტარება. თუმცა განსხვავებაა დადგენილი ბურკას (ჩადრი, რომელიც ფარავს მთელ სხეულსა და სახეს) და ნიქაბს (ჩადრი, რომელიც ფარავს სხეულის ზედა ნაწილს, თვალების გარდა) შორის. შვედეთში ეროვნულმა საგანმანათლებლო სააგენტომ 2003 წელს გამოსცა სავალდებულო დირექტივები. ამ დირექტივებით სკოლებს უფლება ეძლევათ, აკრძალონ ბურკასა და ნიქაბის ტარება, იმ პირობით, რომ ამას გააკეთებენ სქესთა შორის თანასწორობის საერთო ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების პატივისცემის შესახებ დიალოგის სულისკვეთებით, რასაც ეფუძნება საგანმანათლებლო სისტემა.

64. პოლანდიაში, სადაც ისლამური თავსაბურავი განიხილება უფრო მეტად დისკრიმინაციის, ვიდრე რელიგიური თავისუფლების ჭრილში, დამოკიდებულება მის მიმართ ზოგადად ტოლერანტულია. 2003 წელს გამოიცა არასავალდებულო ძალის მქონე დირექტივა. სკოლებს უფლება აქვთ, მოსწავლეებს მოსთხოვონ ფორმის ტარება, იმ პირობით, რომ ეს წესები არ იქნება დისკრიმინაციული, იქნება სკოლის მიმდინარეობის ნაწილი და მათი დარღვევისათვის დაწესებული სასჯელი არ იქნება არაპროპორციული. ბურკას აკრძალვა გამართლებულია იმ მიზეზით, რომ საჭიროა მოსწავლეთა იდენტიფიკაცია და მათთან კომუნიკაცია. ამას გარდა, 1997 წელს თანასწორი მოპყრობის კომისიამ დაადგინა, რომ გაკვეთილებზე ჩადრის ტარების აკრძალვა არ იყო დისკრიმინაციული ხასიათის ქმედება.

65. სხვა რამდენიმე ქვეყანაში (ჩეხეთის რესპუბლიკა, საბერძნეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი) ისლამური თავსაბურავის თემას დეტალური სამართლებრივი დებატები ჯერ არ წარმოუშვია.

E. ევროპის საბჭოს შესაბამისი დოკუმენტები უმაღლესი განათლების შესახებ

66. ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ სხვადასხვა დოკუმენტს შორის უმაღლესი განათლების შესახებ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია №1353 (1998) უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 1998 წლის 27 იანვარს, და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (98) 3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 1998 წლის 17 მარტს.

ამ სფეროში სხვა შესაბამისი ინსტრუმენტი არის ევროპის საბჭოსა და „იუნესკოს“ ერთობლივი კონვენცია ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ცნობის შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იქნა 1997 წლის 11 აპრილს ლისაბონში და ძალაში შევიდა 1999 წლის 1 თებერვალს.

67. ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ცნობის შესახებ კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია:

„იმ ფაქტის აღიარება, რომ განათლების უფლება ადამიანის უფლებაა და რომ უმაღლესი განათლება, რომელიც ცოდნის მიღებისა და გაღრმავების საშუალებაა, წარმოადგენს განსაკუთრებულად მდიდარ კულტურულ და სამეცნიერო ღირებულებას ინდივიდისა და საზოგადოებისათვის...“

68. 1998 წლის 17 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია № R (98) 3 უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ. რეკომენდაციის პრეამბულაში ნათქვამია:

„... უმაღლესი განათლება განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობასა და პლურალისტური დემოკრატიისა და ტოლერანტობის გაძლიერებაში (და)... ის აფართოებს საზოგადოების ყველა ჯგუფის ნევრთათვის შესაძლებლობას, მიიღონ უმაღლესი განათლება, თავისი ნვლილი შეაქვს დემოკრატიის უზრუნველყოფაში და სოციალური დაძაბულობის სიტუაციებში რწმენის აღდგენაში...“

69. ანალოგიურად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 1998 წლის 27 იანვარს მიღებული, უმცირესობათათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ №1353 (1998) რეკომენდაციის მე-2 მუხლში ნათქვამია:

„განათლების მიღება ადამიანის ძირითადი უფლებაა და, შესაბამისად, მის ყველა საფეხურზე, უმაღლესი განათლების ჩათვლით, თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ევროპის კულტურული კონვენციის ხელმოწერ სახელმწიფოთა ყველა მუდმივ მცხოვრებს.“

სამართალი

I. კონვენციის მე-9 მუხლის სავარაუდო დარღვევა

70. განმცხადებლის აზრით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისლამური თავსაბურავის ტარების აკრძალვა წარმოადგენდა უკანონო ჩარევას მის რელიგიის თავისუფლებაში, კერძოდ, მის უფლებაში, გაცხადებინა საკუთარი რელიგია.

მან მოიხმო კონვენციის მე-9 მუხლი, რომელიც ამბობს:

1. „ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.“

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

A. პალატის გადანყვეტილება

71. პალატამ დაადგინა, რომ სტამბულის უნივერსიტეტის წესებით, რომლებითაც იკრძალებოდა ისლამური თავსაბურავის ტარება, და შემდგომში გატარებული ღონისძიებებით მოხდა ჩარევა განმცხადებლის უფლებაში, გაემუღავენებინა საკუთარი რელიგია. პალატამ სცადა, დაედგინა, იყო თუ არა ეს ჩარევა გათვალისწინებული კანონით და ემსახურებოდა თუ არა კონვენციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტში ჩამოთვლილ რომელიმე კანონიერ მიზანს. პრინციპში, ჩარევა იყო კანონიერი და პროპორციული მიზნისა, რომელსაც იგი ემსახურებოდა, შესაბამისად, იყო „საჭირო დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ (იხ. პალატის გადანყვეტილების პუნქტები 66 და 116).

B. მხარეთა კომენტარები დიდი პალატის წინაშე

72. 2004 წლის 27 სექტემბერს დასმულ მოთხოვნაში, საქმე გადასცემოდა დიდ პალატას, ასევე მოსმენაზე ზეპირი პრეზენტაციის დროს განმცხადებელმა გააპროტესტა საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც პალატამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას.

73. თუმცა 2005 წლის 25 იანვარს დიდი პალატისათვის მიწოდებულ წერილობით კომენტარებში მან განაცხადა, რომ არ ითხოვდა ქალთათვის ისლამური თავსაბურავის ყველგან ტარების უფლების სამართლებრივ ცნობას, ინტერალია, მისი სიტყვები ასე ულერდა: „სექციის გადანყვეტილებაში ბუნდოვანია ცნება, რომლის თანახმადაც თავსაბურავის ტარების უფლება ყოველთვის არ იქნება დაცული რელიგიის თავისუფლებით. მე არ ვენიანალმდეგები ასეთ მიდგომას.“

74. მთავრობამ სთხოვა დიდ პალატას, დაემტკიცებინა პალატის გადანყვეტილება, რომ ადგილი არ ჰქონია მე-9 მუხლის დარღვევას.

C. სასამართლოს შეფასება

75. სასამართლომ უნდა განიხილოს, მოხდა თუ არა განმცხადებლის მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევა და თუ მოხდა, იყო თუ არა ეს ჩარევა „გათვალისწინებული კანონით“, ემსახურებოდა თუ არა კანონიერ მიზანს და იყო თუ არა „დემოკრატიული საზოგადოებისათვის საჭირო“ კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე.

1. მოხდა თუ არა ჩარევა

76. განმცხადებელმა განაცხადა, რომ ჩაცმულობის მისი არჩევანი აღქმული უნდა ყოფილიყო იმ რელიგიური წესისადმი დამორჩილებად, რომელსაც იგი „მიღებულ პრაქტიკად“ თვლიდა. იგი ამტკიცებდა, რომ უნივერსიტეტებში ისლამური თავსაბურავის ტარების შეზღუდვა იყო პირდაპირი ჩარევა მის უფლებაში, გაემუღავენებინა თავისი რელიგია.

77. მთავრობას ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი პალატისათვის კომენტარები არ მიუწოდებია.

78. საკითხზე, ჰქონდა თუ არა ადგილი ჩარევას, დიდმა პალატამ ძალაში

დატოვა პალატის დასკვნა (იხ. პალატის გადაწყვეტილება, პუნქტი 71):

„განმცხადებელმა აღნიშნა, რომ თავსაბურავის ტარებით იგი ემორჩილებოდა რელიგიის მოთხოვნებს და ამგვარად გამოხატავდა თავის სურვილს, მკაცრად დაეცვა ისლამური რწმენით დანებსებული ვალდებულებები. შესაბამისად, მისი გადაწყვეტილება, ეტარებინა თავსაბურავი, შესაძლოა მიჩნეული იქნეს რელიგიით ან რწმენით მოტივირებულად ან შთაგონებულად და იმის დადგენის გარეშე, ასეთი გადაწყვეტილება ყველა საქმეში რელიგიური ვალდებულების შესასრულებლად და თუ არა მიღებული, სასამართლო ვარაუდობს, რომ განსახილველი წესები, რომლებითაც უნივერსიტეტებში ისლამური თავსაბურავის ტარების უფლებაზე დანესდა ადგილისა და ხასიათის მიხედვით შეზღუდვები, წარმოადგენდა ჩარევას განმცხადებლის უფლებაში, გამოეხატა თავისი რელიგია.“

2. „გათვალისწინებული კანონით“

(a) მხარეთა კომენტარები დიდი პალატის წინაშე

79. განმცხადებლის მტკიცებით, არც 1993 წელს, როდესაც იგი ჩაირიცხა უნივერსიტეტში, და არც ამის შემდეგ უნივერსიტეტებში ისლამური თავსაბურავის ტარების შეზღუდვის შესახებ „დანერვილი კანონი“ არ არსებობდა. მან ახსნა, რომ სტუდენტთა დისციპლინური საპროცედურო წესების თანახმად, ისლამური თავსაბურავის უბრალოდ ტარება დისციპლინურ გადაცდომას არ წარმოადგენდა (იხ. ზემოთ, პუნქტები 49 და 50). პირველი აქტი, რითაც შეიზღუდა თავსაბურავის ტარების მისი უფლება, იყო უნივერსიტეტის პრორექტორის მიერ 1998 წლის 23 თებერვალს გამოცემული ცირკულარი, რომელიც გამოიცა ოთხნახევარი წლის შემდეგ.

80. განმცხადებლის მტკიცებით, აზრსმოკლებული და უკანონო იმაზე კამათი, რომ წესებს სამართლებრივ საფუძვლად თურქეთის სასამართლოების პრაქტიკა დაედო, რადგან სასამართლოებს აქვთ მხოლოდ კანონების შეფარდების და არა ახალი სამართლებრივი წესების შექმნის იურისდიქცია. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავის 1989 წლის 7 მარტისა და 1991 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილებებში (იხ. პუნქტები 39 და 41) არ მოქმედებდა *ultra vires* ცალკეულ საქმეებში თავსაბურავის აკრძალვით, კანონმდებელმა ამ გადაწყვეტილებათაგან პირველი არ აღიქვა, როგორც ისლამური თავსაბურავის აკრძალვის შესახებ კანონმდებლობის შექმნის მოთხოვნა. არ არსებობდა არანაირი მოქმედი საკანონმდებლო დებულება, რომელიც კრძალავდა უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში სტუდენტთა მიერ თავსაბურავის ტარებას, მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მის გადაწყვეტილებაში მითითებული მოტივაცია კანონის ძალის ქოჩი არ იყო.

81. განმცხადებელი აცხადებს, რომ მაშინ, როცა უნივერსიტეტის ორგანოები, პრორექტორის ოფისისა და დეკანატების ჩათვლით, უდავოდ თავისუფალნი იყვნენ, გამოეყენებინათ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებები, კანონით განსაზღვრული იყო ასევე ამ უფლებათა ფარგლები და საზღვრები, ისევე, როგორც პროცედურები, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამ უფლებებით სარგებლობა, გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, ორგანოთა მიერ უფლე-

ბამოსილების გადამეტების წინააღმდეგ დაცვის გარანტიები. მანამდე პრორექტორს არ პქონდა უფლება, არც მოქმედი კანონებით და არც სტუდენტთა დისციპლინური საპროცესო წესებით, „თავსაბურავიანი“ სტუდენტისათვის აკრძალა უნივერსიტეტის დერეფნებსა და საგამოცდო ოთახებში შესვლა. ამას გარდა, კანონმდებელს არც ერთ ეტაპზე არ უცდია სკოლებსა და უნივერსიტეტებში რელიგიური ნიშნების ტარებაზე ზოგადი აკრძალვის დანესება და პარლამენტში ამგვარი აკრძალვისათვის არასოდეს მხარი არ დაუჭერიათ, მიუხედავად იმ მწვავე დებატებისა, რომლებიც წარმოიშვა თავსაბურავების ირგვლივ. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ დაადგინეს ზოგადი წესები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა მიერ თავსაბურავის ტარებაზე დისციპლინური სასჯელების დანესების შესახებ, ნიშნავდა, რომ ასეთი შეზღუდვები არ არსებობდა.

82. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მის უფლებაში ჩარევა არ იყო განჭრეტადი და „კანონზე“ დაფუძნებული კონვენციის შინაარსიდან გამომდინარე.

83. მთავრობამ კვლავ სთხოვა დიდ პალატას, დაემტკიცებინა პალატის მიერ ამ საკითხზე გაკეთებული დასკვნები.

(b) სასამართლოს შეფასება

84. სასამართლო მოიხმობს მის მიერ დადგენილ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც „გათვალისწინებულია კანონით“ პირველ რიგში მოითხოვს, რომ სადავო ღონისძიება გათვალისწინებული იყოს ეროვნული კანონმდებლობით. ის ასევე მიუთითებს შესაბამისი კანონის ხარისხზე, მოითხოვს რა, რომ კანონი იყოს პირებისათვის ხელმისაწვდომი და საკმარისი სიზუსტით ჩამოყალიბებული, რათა მათ, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რჩევით, შეძლონ განჭვრიტონ, კონკრეტულ გარემოებებში გონიერული ხარისხით, ის შედეგები, რომლებიც მოჰყვება მათ ქცევას, და დაარეგულირონ თავიანთი ქმედება (*Gorzelik and Others v. Poland*, [GC], № 44158/98, პუნქტი 64, ECHR 2004-...).

85. სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის არგუმენტი თურქეთის კანონმდებლობის ბუნდოვანობის შესახებ არ ეხებოდა 1998 წლის 23 თებერვლის ცირკულარს, რასაც ეფუძნებოდა ლექციებზე, სემინარებსა თუ პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტთა მიერ ჩადრის ტარების აკრძალვა. ეს ცირკულარი გამოცემული იქნა სტამბულის უნივერსიტეტის პრორექტორის მიერ, რომელიც, როგორც ხელმძღვანელი პირი ძირითადი გადანყვეტილებების მიღების უფლებით, პასუხისმგებელი იყო, წინასწარ განეჭვრიტა და მონიტორინგი დაენესებინა უნივერსიტეტის ფუნქციონირების ადმინისტრაციულ და სამეცნიერო ასპექტებზე. მან ცირკულარი გამოსცა №2547 კანონის მე-13 ნაწილის (იხ. ზემოთ, პუნქტი 52) და მანამდე მიღებული მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად.

86. განმცხადებლის თქმით, ცირკულარი არ შეესაბამებოდა №2547 კანონის მე-17 გარდამავალ ნაწილს, რომელიც არ კრძალავდა ისლამურ თავსაბურავებს, და არ არსებობდა არც ერთი სამართლებრივი ნორმა, რომელიც მარეგულირებელი დებულების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.

87. შესაბამისად, სასამართლომ უნდა განიხილოს, შეიძლებოდა თუ არა, რომ №2547 კანონის მე-17 გარდამავალი ნაწილი ყოფილიყო ცირკულარის სამართლებრივი საფუძველი. ამ კუთხით იგი იმეორებს, რომ ეროვნული კანონმ-

დებლობის ინტერპრეტაციისა და გამოყენების უფლება, პირველ რიგში, მი-
დასახელმწიფოებრივი ორგანოების, კერძოდ კი სასამართლოების პრეროგა-
ტივაა (იხ. *Kruslin v. France*, 1990 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A,
№ 176-A, გვ. 21, პუნქტი 29) და აღნიშნავს, რომ ცირკულარის უკანონობის
არგუმენტის უარყოფისას ადმინისტრაციული სასამართლოები უზენაესი ად-
მინისტრაციული სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილ
პრაქტიკას ეყრდნობიან (იხ. ზემოთ, პუნქტი 19).

88. რაც შეეხება ტერმინებს „კანონის შესაბამისად“ და „გათვალისწინე-
ბულია კანონით“, რომლებიც გვხვდება კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებში, სა-
სამართლო ადგენს, რომ ტერმინში „კანონი“ იგი ყოველთვის მის „არსს“ იგებდა
და არა „ფორმალურ“ გამოხატულებას; იგი გულისხმობს როგორც „წერილობით
კანონს“, რომელიც მოიცავს დაბალი რანგის პირთა მიერ გამოცემულ აქტებს
(*De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*, 1971 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება,
სერია A № 12, გვ. 45, პუნქტი 93), ისე პარლამენტის მიერ მინიჭებული და-
მოუკიდებელი საკანონმდებლო უფლებამოსილების საფუძველზე პროფესიო-
ნალ ხელმძღვანელ ორგანოთა მიერ მიღებულ მარეგულირებელ ღონისძიებებს
(*Bartold v. Germany*, 1985 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, სერია A № 90,
გვ. 21, პუნქტი 46) და დაუნერგელ კანონებს. „კანონში“ იგულისხმება როგორც
საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონი, ისე მოსამართლის მიერ
დადგენილი „კანონი“ (იხ., სხვა წყაროებს შორის, *Sunday Times v. the United
Kingdom* (№1), 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A, № 30, გვ. 30,
პუნქტი 47; *Kruslin v. France*, 1990 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A
№ 176-A, გვ. 21, პუნქტი 29; და *Casado Coca v. Spain*, 1994 წლის 24 თებერვ-
ლის გადაწყვეტილება, სერია A № 285-A, გვ. 18, პუნქტი 43). ჯამში, „კანონი“
არის მოქმედი ნორმა კომპეტენტური სასამართლოების განმარტებით.

89. შესაბამისად, საკითხი განხილული უნდა იქნეს არა მარტო №2547
კანონის მე-17 გარდამავალი ნაწილის, არამედ ასევე შესაბამისი სასამართლო
პრაქტიკის საფუძველზე.

ამასთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლომ 1991 წლის 9 აპრი-
ლის გადაწყვეტილებაში (იხ. პუნქტი 41) აღნიშნა, რომ ამ ნაწილის თანახმად,
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაცმის თავისუფლება აბსო-
ლუტური არ არის. ამ დებულების მიხედვით, სტუდენტები თავისუფალნი არიან
ჩაცმულობის არჩევაში, „იმ პირობით, რომ მათი არჩევანი წინააღმდეგობაში არ
მოდის მოქმედ კანონებთან“.

90. შესაბამისად, კამათი შეეხება ზემოხსენებულ დებულებაში ფრაზის
„მოქმედი კანონი“ მნიშვნელობას.

91. სასამართლო იმეორებს, რომ განჭვრეტადობის ცნების ფარგლე-
ბი დამოკიდებულია განსახილველი ინსტრუმენტის შინაარსის ხარისხზე,
სფეროზე, რომელსაც იგი ფარავს, და იმ პირთა რაოდენობასა და სტატუსზე,
რომელთაც ეხება. მხედველობაში უნდა იქნეს ასევე მიღებული ის ფაქტი, რომ,
მიუხედავად იმისა, რამდენად ნათლადაა სამართლებრივი ნორმა ჩამოყალიბე-
ბული, მისი გამოყენება მოიცავს სასამართლო ინტერპრეტაციის გარდაუვალ
ელემენტს, რადგან ყოველთვის საჭიროა სადავო საკითხების გარკვევა და
ცალკეულ სიტუაციებთან მათი ადაპტაცია. ეჭვის ფარგლები ზღვარზე მყოფ
ფაქტებთან მიმართებაში სამართლებრივ ნორმას გამოყენებისას თავისთავად

ბუნდოვანს არ ხდის. არც ის ფაქტი, რომ ასეთ ნორმას შეუძლია შექმნას ერთზე მეტი კონსტრუქცია, ნიშნავს იმას, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს კონვენციის მიზნიდან გამომდინარე „განჭვრეტადობის“ მოთხოვნას. სასამართლოებისთვის მინიჭებული შეფასების ფუნქცია სწორედ ასეთი, ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული, ექვების აღმოფხვრაში მდგომარეობს, ყოველდღიურ პრაქტიკაში არსებული ცვლილებების მხედველობაში მიღებით (*Gorzelik and Others*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 65).

92. ამასთან მიმართებით სასამართლო აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ ფრაზა „მოქმედი კანონები“ აუცილებლად მოიცავს კონსტიტუციას. გადაწყვეტილებამ ასევე ნათელი გახადა, რომ სტუდენტებისთვის ნებართვის მიცემა, უნივერსიტეტებში ეტარებინათ „თმისა და კისრის დამფარავი ჩადრი და თავსაბურავი რელიგიური აღმსარებლობის მიზეზით“ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას (იხ. ზემოთ, პუნქტი 41).

93. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო სავალდებულო (იხ. პუნქტები 29 და 54) და ხელმისაწვდომი, რომელიც დაიბეჭდა 1991 წლის 31 ივლისს ოფიციალურ გაზეთში, იქცა მე-17 გარდამავალი ნაწილის და საკონსტიტუციო სასამართლოს წინანდელი პრაქტიკის დამატებად (იხ. პუნქტი 39). ამას გარდა, მანამდე უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო წლების განმავლობაში გამუდმებით ადგენდა, რომ უნივერსიტეტებში ისლამური თავსაბურავის ტარება არ შეესაბამებოდა რესპუბლიკის ძირითად პრინციპებს, რადგან თავსაბურავი ხედვით სიმბოლოდ ქცევის პროცესში იყო, რაც ეწინააღმდეგებოდა ქალთა თავისუფლებებსა და ძირითად პრინციპებს (იხ. პუნქტი 37).

94. რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს, რომ კანონმდებელს თავსაბურავის ტარებაზე აკრძალვა არასოდეს დაუწესებია, სასამართლო იმეორებს, რომ მისი საქმე არ არის, აზრი გამოხატოს მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლის მიერ ამ სფეროს დასარეგულირებლად არჩეული მეთოდების ვარგისობის შესახებ. მისი ამოცანა შემოიფარგლება იმის გადაწყვეტით, შეესაბამებოდა თუ არა კონვენციას მიღებული მეთოდები და მათ მიერ გამოწვეული შედეგი (*Gorzelik and Others*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 67).

95. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ სტამბულისა თუ სხვა უნივერსიტეტებს არ უნდა ჰქონოდათ უფლება, განურჩევლად ყველა საქმეში გამოეყენებინათ კონკრეტული წესი (ამ საკითხში №2547 კანონის მე-17 გარდამავალი ნაწილი მიჰყვება შესაბამის სასამართლო პრაქტიკას), მხედველობაში უნდა მიეღოს ცალკეული საქმეების კონტექსტი და კონკრეტული მახასიათებლები, თავისთავად ამ წესს ბუნდოვანს არ ხდის. თურქეთის საკონსტიტუციო სისტემაში საუნივერსიტეტო ორგანოებს უფლება არა აქვთ, ნებისმიერ გარემოებებში შეზღუდვები დაანესონ ძირითად უფლებებზე კანონიერი საფუძვლის გარეშე (იხ. კონსტიტუციის მე-13 მუხლი — პუნქტი 29). მათი როლი შემოიფარგლება საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა წესების დადგენით იმ ნორმის შესაბამისად, რომელიც ითხოვს სტატუტთან შესაბამისობას და ექვემდებარება ადმინისტრაციული სასამართლოების გადასინჯვის უფლებას.

96. სასამართლო აღიარებს, რომ რთულია სიზუსტის მაღალი ხარისხით კანონების შექმნა შიდა საუნივერსიტეტო წესებზე და მკაცრი რეგულირება

შეიძლება შეუსაბამო აღმოჩნდეს (იხ., *mutatis mutandis*, Gorzelik and Others, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 67).

97. ანალოგიურად, ეჭვს მიღმა ის ფაქტი, რომ ისლამური თავსაბურავის ტარების შესახებ წესები სტამბულის უნივერსიტეტში არსებობდა 1994 წლიდან, დანესა მანამდე, სანამ იქ განმცხადებელი ჩაირიცხებოდა (იხ. პუნქტები 43 და 45).

98. ამ გარემოებებში სასამართლო ადგენს, რომ თურქეთის კანონმდებლობაში არსებობდა ჩარევის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, №2547 კანონის მე-17 ნაწილი, ნაკითხული ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. კანონი ხელმისაწვდომი იყო და საკმარისად ზუსტად შეიძლება ჩაითვალოს, რაც აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხოვნებს. განმცხადებლისთვის სტამბულის უნივერსიტეტში ჩაირიცხვის მომენტიდან ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ საუნივერსიტეტო დარბაზებში აკრძალული იყო ისლამური თავსაბურავის ტარება და რომ 1998 წლის 23 თებერვლიდან იგი არ დაიშვებოდა ლექციებსა და გამოცდებზე, თუ გააგრძელებდა თავსაბურავის ტარებას.

3. კანონიერი მიზანი

99. საქმის გარემოებებისა და ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების მხედველობაში მიღებით, სასამართლოს შეუძლია დაასკვნას, რომ სადავო ჩარევა პირველ რიგში ემსახურებოდა კანონიერ მიზანს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების და საჯარო წესრიგის დასაცავად. ეს არის საკითხი, რომელიც მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს.

4. „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“

(a) მხარეთა მიმართულები დიდი პალატისადმი

(i) განმცხადებლის არგუმენტაცია

100. განმცხადებელმა გააპროტესტა პალატის გადაწყვეტილება. 2004 წლის 27 სექტემბრის წერილობით მიმოხილვებში და მოსმენაზე ზეპირ გამოსვლაში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ტერმინები „დემოკრატია“ და „რესპუბლიკა“ ერთი და იგივე არ იყო. მაშინ, როცა ბევრი ტოტალიტარული რეჟიმი თავს „რესპუბლიკას“ უწოდებდა, მხოლოდ ჭეშმარიტი დემოკრატია შეიძლებოდა დაფუძნებოდა პლურალიზმისა და ფართო თვალთახედვის პრინციპებს. თურქეთის სასამართლო და საუნივერსიტეტო სისტემების სტრუქტურა ჩამოყალიბდა 1960, 1971 და 1980 წლებში სამხედრო გადატრიალების შედეგად. სასამართლო პრეცედენტებსა და მრავალ ევროპულ ქვეყანაში მიღებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს არ უნდა მისცემოდეთ შეფასების ფართო ზღვარი სტრუქტურა ჩაცმულობის დასარეგულირებლად. მან ახსნა, რომ არც ერთი ევროპული სახელმწიფო არ კრძალავდა უნივერსიტეტში ისლამური თავსაბურავის ტარებას და დაამატა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არსებობდა დაძაბულობის რაიმე ნიშანი, რაც ამგვარ რადიკალურ ზომას გაამართლებდა.

101. განმცხადებელმა თავის ზემოხსენებულ წერილობით მიმოხილვებში

ახსნა, რომ სტუდენტები ზრდასრული ადამიანები არიან, რომლებიც სარგებლობენ სრული უფლებაუნარიანობით და უნარი აქვთ, განსაზღვრონ, რა არის მათთვის შეუფერებელი საქციელი. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ ისლამური თავსაბურავის ტარებით იგი პატივს არ სცემდა სხვათა რწმენას ან ცდილობდა გაეღენა მოეხდინა თავის თანაკურსელებზე და მათი უფლებები და თავისუფლებები ხელეყო, სრულიად დაუსაბუთებელი იყო. მას სახელმწიფო ორგანოს დახმარებით რომელიმე თავისუფლებაზე გარეგანი შეზღუდვა არ დაუნესებია. მისი არჩევანი განპირობებული იყო რელიგიური რწმენით, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან ძირითად უფლებას წარმოადგენდა, რაც მას მიანიჭა პლურალისტურმა, ლიბერალურმა დემოკრატიამ. მისი აზრით, სადავო არ იყო, რომ ხალხი შეზღუდვად თავის უფლებებს, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიდა. უსამართლო იყო ასევე იმის თქმა, რომ ისლამური თავსაბურავის უბრალოდ ტარება ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა, რადგან ყველა რელიგია აწესებს ჩაცმულობის სხვადასხვა წესებს, რომელთა დაცვის შესახებ გადანყევტილებას ხალხი დამოუკიდებლად იღებს.

102. ამის საპირისპიროდ 2005 წლის 27 იანვრის წერილობით მიმოხილვებში განმცხადებელმა განაცხადა, რომ შეეძლო ელიარებინა, რომ ისლამური თავსაბურავის ტარება ყოველთვის რელიგიის თავისუფლებით არ უნდა ყოფილიყო დაცული (იხ. პუნქტი 73).

(ii) მთავრობის არგუმენტაცია

103. მთავრობა დაეთანხმა პალატის დადგენილებას (იხ. პუნქტი 71).

(b) სასამართლოს შეფასება

(i) ზოგადი პრინციპები

104. სასამართლო იმეორებს, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, როგორც ეს მე-9 მუხლშია გათვალისწინებული, „დემოკრატიული საზოგადოების“ ერთ-ერთ ფუნდამენტს წარმოადგენს კონვენციის მნიშვნელობიდან გამომდინარე. ეს თავისუფლება, რელიგიური კუთხით, არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც აყალიბებს მორწმუნეთა პიროვნულობას და ცხოვრების კონცეფციას, მაგრამ იგი ასევე უძვირფასესი ფასეულობაა ათეისტთა, აგნოსტიკოსთა და სკეპტიკოსთათვის. დემოკრატიული საზოგადოებისაგან განუყოფელი პლურალიზმი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ძნელად იქნა მოპოვებული, მას ემყარება. ამ თავისუფლებიდან, *inter alia*, წარმოიშობა თავისუფლება, გქონდეს ან არ გქონდეს რელიგიური რწმენა, მისდევდე ან არ მისდევდე რელიგიურ აღმსარებლობას (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, *Kokkinakis v. Greece*, 1993 წლის 25 მაისი, სერია A №. 260-A, გვ. 17, პუნქტი 3; და *Buscarini and Others v. San Marino [GC]*, №. 24645/94, პუნქტი 34, ECHR 1999-I).

105. გარდა იმისა, რომ რელიგიური თავისუფლება პირველ რიგში ინდივიდუალური რწმენის საგანია, ის ასევე მოიცავს, *inter alia*, თავისუფლებას, გამოხატო შენი რელიგია, მარტო ან სხვათა საზოგადოებაში, საჯაროდ და იმავე აღმსარებლობის მქონე პირთა გარემოცვაში. მე-9 მუხლში ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის ფორმები, რომლებიც რელიგიის ან რწმენის გაცხადებამ შეიძ-

ლება მიიღოს, კერძოდ, აღმსარებლობა, სწავლება, ნესების დაცვა და რიტუალების აღსრულება (იხ. *mutatis mutandis*, *Cha'are Shalom Ve Tsedek v. France [GC]*, №. 27417/95, პუნქტი 73, ECHR 2000-VII).

მე-9 მუხლი არ იცავს რელიგიითა თუ რწმენით მოტივირებულ და განმსჭვალულ ყველა ქმედებას (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, *Kalaç v. Turkey*, 1997 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, 1997 — IV, გვ. 1209, პუნქტი 27; *Arrowsmith v. the United Kingdom*, №7050/75, კომისიის 1978 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები (DR) 19, გვ. 5; *C. v. the United Kingdom*, №10358/83, 1983 წლის 15 დეკემბრის კომისიის გადაწყვეტილება, DR 37, გვ. 142; *Tepeli and Others v. Turkey*, №31876/96, 2001 წლის 11 სექტემბერი).

106. დემოკრატიულ საზოგადოებებში, სადაც მოსახლეობაში სხვადასხვა რელიგიები თანაარსებობენ, შესაძლოა აუცილებელი იყოს საკუთარი რელიგიის ან რწმენის გამჟღავნებაზე შეზღუდვების დაწესება, რათა მოხდეს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა შეთანხმება და ყველას რწმენის პატივისცემის უზრუნველყოფა (*Kokkinakis*, იხ. ზემოთ, გვ. 18, პუნქტი 33). კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტიდან და 1-ლი მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უნდა უზრუნველყოს ამ კონვენციაში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები.

107. სასამართლო ხშირად მიუთითებდა სახელმწიფოს როლზე, როგორც სხვადასხვა რელიგიებით, რწმენითა და აღმსარებლობით სარგებლობის ნეიტრალურ და მიუკერძოებელ ორგანიზატორზე, და ადგენდა, რომ ეს როლი ხელს უწყობს დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო ნესრიგს, რელიგიურ პარმონიასა და ტოლერანტობას. ის ასევე მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება არ შეესაბამება სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერ მცდელობას, შეაფასოს რელიგიური რწმენის თუ იმ საშუალებების კანონიერება, რომლებითაც ხდება ამ რწმენის გამოხატვა (იხ. *Manoussakis and Others v. Greece*, 1996 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1996-IV, გვ. 1365, პუნქტი 47; *Hassan and Tchaouch v. Bulgaria [GC]*, №. 30985/96, პუნქტი 78, ECHR 2000-XI; *Refah Partisi and Others*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 91), და რომ ის სახელმწიფოსგან მოითხოვს, უზრუნველყოს საპირისპირო ჯგუფებს შორის ორმხრივი ტოლერანტობა (*United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-I, პუნქტი 57). შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოთა როლი ამგვარ შემთხვევებში ის კი არ არის, რომ პლურალიზმის აღმოფხვრით დაძაბულობის მიზეზი გააქრონ, არამედ ის, რომ უზრუნველყონ დაპირისპირებული ჯგუფების მიერ ერთმანეთის მიმართ ტოლერანტობის გამოხატვა (*Serif v. Greece*, №. 38178/97, პუნქტი 53, ECHR 1999-IX).

108. პლურალიზმი, ტოლერანტობა და ფართო თვალთახედვა „დემოკრატიული საზოგადოების“ დამახასიათებელი ნიშნებია. თუმცა ინდივიდუალური ინტერესი ჯგუფის ინტერესებს უნდა დაექვემდებაროს, მაგრამ დემოკრატია არ ნიშნავს უბრალოდ იმას, რომ უმრავლესობის აზრებს ყოველთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს: უნდა დამყარდეს ნონასწორობა, რომელიც უზრუნველყოფს უმცირესობის მხრიდან სამართლიან და შესაბამის მოპყრობას და აგვაცილებს

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (იხ., *mutatis mutandis*, *Young, James and Webster v. the United Kingdom*, 1981 წლის 13 აგვისტოს გადანყვეტილება, სერია A № 44, გვ. 25, პუნქტი 63; და *Chassagnou and Others v. France [GC]*, №. 25088/94, 28331/95 და 28443/95, პუნქტი 112, ECHR 1999-III). პლურალიზმი და დემოკრატია ასევე დაფუძნებული უნდა იყოს დიალოგზე და კომპრომისის სულისკვეთებაზე, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება სხვადასხვა დათმობები ინდივიდთა ან ინდივიდთა ჯგუფის მხრიდან, რაც გამართლებულია დემოკრატიული საზოგადოების იდეალებისა და ღირებულებების შენარჩუნებისა და ხელშეწყობისათვის (იხ., *mutatis mutandis*, *the United Communist Party of Turkey and Others*, ზემოხსენებული გადანყვეტილება, პუნქტი 45; და *Refah Partisi and Others*, ზემოხსენებული გადანყვეტილება, პუნქტი 99). როცა ეს „უფლებები და თავისუფლებები“ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის არიან, აღიარებული უნდა იქნეს, რომ მათი დაცვის საჭიროებით სახელმწიფოებმა შეიძლება შეზღუდონ კონვენციაში ამგვარადვე გათვალისწინებული სხვა უფლებები და თავისუფლებები. სწორედ თითოეული ინდივიდის ძირითად უფლებებს შორის ნონასწორობის მუდმივი ძიება წარმოადგენს „დემოკრატიული საზოგადოების“ საფუძველს (*Chassagnou and Others*, ზემოხსენებული გადანყვეტილება, პუნქტი 113).

109. როდესაც განიხილება სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის ურთიერთობის საკითხი, რაზეც დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრთა ფართო სხვადასხვაობა შეიძლება იყოს, გადანყვეტილების მიმღებ ეროვნულ ორგანოს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს (იხ., *mutatis mutandis*, *Cha'are Shalom Ve Tsedek*, იხ. ზემოთ, პუნქტი 84; და *Wingrove v. the United Kingdom*, 1996 წლის 25 ნოემბრის გადანყვეტილება, მოხსენებები 1996-V, გვ. 1958, პუნქტი 58). ამის საჭიროება ამკარა ხდება, როცა საქმე ეხება საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური სიმბოლოების ტარების რეგულირებას, განსაკუთრებით (როგორც შედარებითი სამართლის წყაროები გვიჩვენებს, იხ. პუნქტები 55-56) ეროვნული ორგანოების მიერ ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულების მრავალფეროვნების თვალსაზრისით. შეუძლებელია ევროპის მასშტაბით გავრცელდეს საზოგადოებაში რელიგიის განსაკუთრებულობის შესახებ ერთგვაროვანი კონცეფცია (*Otto-Preminger-Institut v. Austria*, 1994 წლის 20 სექტემბრის გადანყვეტილება, სერია A № 295-A, გვ. 19, პუნქტი 50) და რელიგიური აღმსარებლობის მნიშვნელობა ან საჯარო გამოხატულების ზემოქმედება განსხვავებული იქნება დროისა და კონტექსტის შესაბამისად (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, *Dahlab v. Switzerland* №. 42393/98, ECHR 2001-V). ამგვარად, წესები ამ საკითხთან მიმართებაში განსხვავებული იქნება სხვადასხვა ქვეყანაში მათი ეროვნული ტრადიციებისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და საჯარო წესრიგის შენარჩუნების საჭიროებით დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად (იხ., *mutatis mutandis*, *Wingrove*, ზემოხსენებული გადანყვეტილება, პუნქტი 57). შესაბამისად, არჩევანი, თუ რა ფარგლები და ფორმა უნდა მიიღოს ამგვარმა რეგულირებამ, რაღაც კუთხით აუცილებლად უნდა დარჩეს სახელმწიფოს, რადგან ეს დამოკიდებული იქნება ეროვნულ კონტექსტზე (იხ., *mutatis mutandis*, *Gorzelik*, გადანყვეტილება იხ. ზემოთ, პუნქტი 67; და *Murphy v. Ireland*, № 44179/98, პუნქტი 73, ECHR 2003-IX (ამონარიდი)).

110. ეს შეფასების ზღვარი ექცევა ევროპული ზედამხედველობის ქვეშ,

რომელიც დაწესებულია ერთდროულად კანონსა და ამ კანონის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, იყო თუ არა ეროვნულ დონეზე მიღებული ღონისძიებები გამართლებული და პროპორციული (*Manoussakis and Others*, გადაწყვეტილება იხ. ზემოთ, პუნქტი 44). ამ კონკრეტულ საქმეში შეფასების ზღვრის ფარგლების დადგენისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რა არის განხილვის ობიექტი, სახელდობრ, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, საჯარო წესრიგის შენარჩუნება და სამოქალაქო სიმშვიდისა და ქვეშაირი რელიგიური პლურალიზმის უზრუნველყოფა, რაც არსებითია დემოკრატიული საზოგადოების გადარჩენისათვის (იხ., *mutatis mutandis*, *Kokkinakis*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 31; *Manoussakis and Others*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 44; და *Casado Coca*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 55).

111. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებებში *Karaduman v. Turkey* (№. 16278/90, კომისიის 1993 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება, DR 74, გვ. 93) და *Dahlab v. Switzerland* (№ 42393/98, ECHR 2001-V) კონვენციის ორგანოებმა დაადგინეს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს უფლება ჰქონდა, დაენესებინა შეზღუდვები ისლამური თავსაბურავის ტარებაზე, თუ ეს არ შეესაბამებოდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო წესრიგისა და საჯარო უსაფრთხოების დაცვის კანონიერ მიზანს. *Karaduman*-ის საქმეში უნივერსიტეტებში გატარებული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა კონკრეტული ფუნდამენტალისტური რელიგიური მოძრაობებისათვის ხელის შეშლას იმ სტუდენტებზე ზნობლაში, რომლებიც რელიგიურ რიტუალებს არ მისდევდნენ ან რომელთაც სხვა რელიგია ჰქონდათ, დადგენილი იქნა გამართლებულ ზომად კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე. ამგვარად, დადგენილია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება აქვთ, დაარეგულირონ რელიგიური რიტუალებისა და სიმბოლოების გამოხატვა მათზე ადგილისა და ხასიათის მიხედვით შეზღუდვების დაწესებით, სხვადასხვა რწმენის სტუდენტებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფის და ამგვარად საჯარო წესრიგისა და სხვათა რწმენის დაცვის მიზნით (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, *Refah Partisi and Others*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 95). *Dahlab*-ის საქმეში, რომელიც ეხებოდა პატარა ბავშვების კლასის მასწავლებელს, სასამართლომ ხაზი გაუსვა, სხვა საკითხებთან ერთად, „ძღვევამოსილ გარეგან სიმბოლოს“, რომელსაც მის მიერ თავსაბურავის ტარება წარმოადგენდა, და გამოიკვლია, შეიძლებოდა თუ არა მას რაიმე სახით პროზელიტიზმის ეფექტი ჰქონოდა, ხედავდა რა, რომ მათი ტარება ქალებს ევალებოდათ რელიგიური რწმენის საფუძველზე, რომელიც რთულად თუ შეეთავსებოდა გენდერული თანასწორობის პრინციპს. მან ასევე აღნიშნა, რომ ისლამური თავსაბურავის ტარება ადვილად არ შეეთავსებოდა ტოლერანტობის, სხვათა პატივისცემის და, უფრო მეტად, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის იდეებს, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა მასწავლებელმა თავის მოსწავლეებს უნდა გადასცეს.

(ii) ზემოხსენებული პრინციპის გამოყენება ამ საქმეში

112. განსახილველი ჩარევა, გამონეული 1998 წლის 23 თებერვლის ცირკულარით, რომელიც ადგილისა და ხასიათის მიხედვით შეზღუდვებს აწე-

სებდა სტუდენტთა, როგორცაა ქ-ნი საპინი, უფლებაზე, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ეტარებინათ ისლამური თავსაბურავი, შესაბამებოდა თურქეთის სასამართლო გადაწყვეტილებებს (იხ. პუნქტები 37, 39 და 41), განსაკუთრებით კი ეფუძნებოდა სეკულარიზმისა და თანასწორობის პრინციპებს.

113. 1989 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სეკულარიზმი, როგორც დემოკრატიული ღირებულებების გარანტი, თავისუფლებისა და თანასწორობის შეხვედრის წერტილს წარმოადგენდა. პრინციპი ხელს უშლიდა სახელმწიფოს, ამა თუ იმ რელიგიისა თუ რწმენისათვის უპირატესობა მიენიჭებინა, შესაბამისად, სახელმწიფო მიუკერძოებელი არბიტრის როლს ასრულებდა და გარანტირებული იყო რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება. მისი ნყალობით ინდივიდი დაცული იყო არა მარტო სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ჩარევისაგან, არამედ ასევე ექსტრემისტული მოძრაობების გარე ზეწოლისაგან. საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საკუთარი რელიგიის გამჟღავნების თავისუფლება შესაძლოა შეიზღუდოს ამ ღირებულებებისა და პრინციპების დაცვის მიზნით (იხ. პუნქტი 39).

114. როგორც პალატის მიერ მართებულად იქნა აღნიშნული (იხ. პალატის გადაწყვეტილების პუნქტი 106), სასამართლო სეკულარიზმის ცნებას კონვენციის ღირებულებების შესაბამისად მიიჩნევს. ის ადგენს, რომ ამ პრინციპის შენარჩუნება, რომელიც უდავოდ თურქეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს და ჰარმონიაშია კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების პატივისცემასთან, შესაძლოა განხილული იქნეს როგორც საჭირო თურქეთის დემოკრატიული სისტემის დასაცავად. მიდგომა, რომელიც პატივს არ სცემს ამ პრინციპს, ყველა შემთხვევაში არ მოიცავს რელიგიის გამჟღავნების თავისუფლებას და დაცული არ არის კონვენციის მე-9 მუხლით (იხ. *Refah Partisi and Others*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 93).

115. მხარეთა არგუმენტების განხილვის შემდეგ დიდი პალატა ვერ ხედავს საკმარის საფუძველს, გადაუხვიოს პალატის მიდგომას (იხ. პალატის გადაწყვეტილების 107-109 პუნქტები), რომელიც გულისხმობს:

„... სასამართლო ... აღნიშნავს თურქეთის კონსტიტუციურ სისტემაში ქალთა უფლებების დაცვაზე ყურადღების გამახვილებას ... გენდერული თანასწორობა, რაც ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად და ევროპის საბჭოს ნეერ სახელმწიფოთათვის დასახულ მიზნად არის აღიარებული (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, *Abdulaziz, Cabales and Balkandali v. United-Kingdom*, 1985 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, სერია A, №77, გვ. 38, პუნქტი 78; *Schuler-Zraggen v. Switzerland*, 1993 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, № 263, გვ. 21-22, პუნქტი 67; *Burghar v. Switzerland*, 1994 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A, №280-B, გვ. 29, პუნქტი 27; *Van Raalte v. Netherlands*, 1997 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1997-I, გვ. 186, პუნქტი 39; და *Petrovic v. Austria*, 1998 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-II, გვ. 587, პუნქტი 37) — თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილი იქნა კონსტიტუციის ფუძემდებლური ღირებულებების აშკარად თანამდევ პრინციპად ...

... ამას გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად..., სასამართლო, თურქეთის კონტექსტში ისლამური თავსაბურავის ტარების საკითხის განხილვისას, ადგენს, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ზემოქმედება, რაც რელიგიურ ვალდებულებად აღქმული ან აღიარებული ამგვარი სიმბოლოების ტარებამ შეიძლება გამოიწვიოს მათზე, ვინც ირჩევს, ეს სიმბოლოები არ ატაროს. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. Karaduman, ზემოხსენებული გადაწყვეტილება; და Refah Partisi and Others, იხ. ზემოთ, პუნქტი 95), განსახილველი საკითხი გულისხმობს ასევე „სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების“ დაცვასა და „საჯარო წესრიგის შენარჩუნებას“ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა, ქალთა უფლებებისა და ცხოვრების სეკულარული სტილისადმი ძლიერი მიჯაჭულობის ფონზე, უერთდება ისლამურ რწმენას. შესაბამისად, ამ საკითხში თავისუფლებაზე შეზღუდვების დაწესება უნდა განვიხილოთ სერიოზულ სოციალურ საჭიროებად ამ ორი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, განსაკუთრებით, როგორც თურქეთის სასამართლოებმა აღნიშნეს..., მაშინ, როცა ამ რელიგიურმა სიმბოლომ ბოლო წლებში პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა.

... სასამართლოს არ ავიწყდება ის ფაქტი, რომ თურქეთში არსებობენ ექსტრემისტული პოლიტიკური მოძრაობები, რომლებიც ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ თავიანთი რელიგიური სიმბოლოები და რელიგიურ რწმენაზე დამყარებული საზოგადოების კონცეფცია ... როგორც სასამართლომ მანამდე აღნიშნა, ნეერ სახელმწიფოს შეუძლია, კონვენციის დებულებების შესაბამისად, მის ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაატაროს ღონისძიებები ასეთი პოლიტიკური მოძრაობების წინააღმდეგ (Refah Partisi and Others, იხ. ზემოთ, პუნქტი 124). განსახილველი ნუსები ამ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, რომელიც წარმოადგენს ზემოხსენებული კანონიერი მიზნების მისაღწევად განსაზღვრულ ღონისძიებას და, შესაბამისად, უნივერსიტეტში პლურალიზმის შენარჩუნების საშუალებას.“

116. ზემოხსენებული ფონის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად (იხ. პუნქტი 39), სწორედ სეკულარიზმის პრინციპია ის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოსაზრება, რომელიც საფუძვლად უდევს უნივერსიტეტებში რელიგიური სიმბოლოების ტარების აკრძალვას. ამ კონტექსტში, როცა პლურალიზმის, სხვათა უფლებების პატივისცემის, განსაკუთრებით კი კანონის წინაშე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ღირებულებები ისწავლება და პრაქტიკაში გამოიყენება, გასაგებია, რომ შესაბამის ორგანოებს სურთ ამგვარი დაწესებულებების სეკულარული ხასიათის შენარჩუნება და რომ ისინი რელიგიური ნიშნების, მათ შორის ისლამური თავსაბურავის, ტარებას ამგვარ ღირებულებებთან შეუსაბამოდ თვლიან.

117. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ამ საქმეში ჩარევისას არსებობდა თუ არა გამოყენებულ საშუალებებსა და კანონიერ მიზნებს შორის გონივრული პროპორციული კავშირი.

118. დიდმა პალატამ, პალატის მსგავსად (იხ. პალატის გადაწყვეტილების პუნქტი 111), აღნიშნა, რომ აღიარებულია, რომ თურქეთის უნივერსიტეტებში

რიტუალების დამცველ მუსლიმან სტუდენტებს, საორგანიზაციო-საგანმანათლებლო შეზღუდვებით დაწესებული ზღვარის ფარგლებში, თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი რელიგიის გაცხადება მუსლიმანების რიტუალთა დაცვის ჩვეულებითი ფორმის შესაბამისად. გარდა ამისა, 1998 წლის 9 ივლისს სტამბულის უნივერსიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, რელიგიური ნიშნების სხვა მრავალი ფორმა ასევე აკრძალული საუნივერსიტეტო ბაზაზე (იხ. პუნქტი 47).

119. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც 1994 წელს სტამბულის უნივერსიტეტში სამედიცინო კურსთან დაკავშირებით აქტუალური გახდა საკითხი, უნდა დაერთოთ თუ არა სტუდენტებისათვის ნება, ეტარებინათ ისლამური თავსაბურავები, პრორექტორმა მათ შეახსენა ჩაცმულობის რეგულირების წესების მიღების მიზეზები. ამტიკცებდა რა, რომ უნივერსიტეტის ბაზის ყველა ნაწილში ისლამური თავსაბურავების ტარების ნებართვის მოთხოვნა არადაამაჯერებლად ჟღერდა და მიუთითა რა სამედიცინო კურსის მიმართ გამოყენებულ საჯარო წესრიგის შეზღუდვებზე, მან მოსთხოვა სტუდენტებს, დამორჩილებოდნენ წესებს, რომლებიც შეესაბამებოდა როგორც კანონმდებლობას, ასევე უმაღლესი სასამართლოების პრაქტიკას (იხ. პუნქტები 43-44).

120. გარდა ამისა, იმ მარეგულირებელი წესების დანერგვის პროცესი, რომელთაც მოჰყვა 1998 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, გაგრძელდა რამდენიმე წელს და თურქეთის საზოგადოებაში და მასწავლებლებში მწვავე დებატები გამოიწვია (იხ. პუნქტი 35). ორმა უმაღლესმა სასამართლომ, უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ და საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ საკითხზე სერიოზული პრაქტიკა შექმნა (იხ. პუნქტები 37, 39 და 41). საკმაოდ ნათელია, რომ უნივერსიტეტის მმართველი ორგანოები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცდილობდნენ შექმნილ სიტუაციასთან იმგვარად ადაპტირებას, რომ ჩადრიან სტუდენტებს ხელი არ შეშლოდათ უნივერსიტეტში შესვლაში, აწარმოებდნენ მათთან კონსტრუქციულ დიალოგს და, ამავდროულად, უზრუნველყოფდნენ, რომ ბრძანება, განსაკუთრებით კი განსახილველი კურსის ხასიათიდან გამომდინარე დაწესებული მოთხოვნები დაცული ყოფილიყო.

121. ამასთან დაკავშირებით სასამართლო არ იღებს განმცხადებლის არგუმენტს, რომ ის ფაქტი, რომ ჩაცმულობის წესების დარღვევისათვის დისციპლინური სასჯელი დაწესებული არ იყო, წესების არარსებობას ნიშნავდა (იხ. პუნქტი 81). სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის იმ საკითხზე თავისი აზრის დაფიქსირება, თუ როგორ უნდა უზრუნველყოთ უნივერსიტეტის ორგანოებს შიდა წესების დაცვა. უნივერსიტეტის ორგანოებს, საგანმანათლებლო საზოგადოებასთან პირდაპირი და მუდმივი კონტაქტის გამო, ადგილობრივი საჭიროებებისა და პირობების ან კონკრეტული კურსის მოთხოვნების შეფასება უკეთ შეუძლია, ვიდრე საერთაშორისო სასამართლოს (იხ., *mutatis mutandis*, *Valsamis v. Greece*, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1996-VI, გვ. 2325, პუნქტი 32). იმის დადგენისას, რომ მარეგულირებელი წესები ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, სასამართლოს პრეროგატივაში არ შედის პროპორციულობის პრინციპის იმგვარად გამოყენება, რომ დაწესებულების „შიდა წესების“ ცნება მიზანს მოკლებული გახდეს. მე-9 მუხლით ყოველთვის გარანტირებული არ არის უფლება იმგვარად მოქცევისა, როგორც ამას რელიგიური რწმენა აწესებს (*Pichon and Sajous v. France (dec.)*, №. 49853/99,

ECHR 2001-X) და იგი უფლებას არ ანიჭებს ადამიანებს, უგულბებლად კანონიერად დადგენილი წესები (იხ. კომისიის მოსაზრება, პუნქტი 51, მის 1995 წლის 6 ივლისის მოხსენებაში, რომელიც თან ერთვის Valsamis-ის საქმეზე ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას).

122. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ამ საკითხში ხელშემკვრელი სახელმწიფოს შეფასების ზღვრის გათვალისწინებით სასამართლო ადგენს, რომ ჩარევა გამართლებული და იმ მიზნის პროპორციული იყო, რომელსაც ემსახურებოდა.

123. ამგვარად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას.

II. პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის საპარაუდო დარღვევა

A. საჭიროა თუ არა ამ სარჩელის განცალკევებულად განხილვა

1. მხარეთა არგუმენტები

124. სასამართლო აღნიშნავს, რომ თუმცა განმცხადებელი პალატის წინაშე კონვენციის სხვადასხვა დებულებებს (მე-8, მე-10 და მე-14 მუხლები, აგრეთვე პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი) მოიხმობს, მისი უპირველესი არგუმენტი შეეხება კონვენციის მე-9 მუხლის სადავო დარღვევას. დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის მოთხოვნისას განმცხადებელმა დიდ პალატას სთხოვა, დაედგინა კონვენციის მე-8, მე-9, მე-10 და მე-14 მუხლებისა და პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა. მას მე-10 მუხლთან დაკავშირებით სამართლებრივი მოთხოვნები არ დაუყენებია.

125. თუმცა 2005 წლის 27 იანვრის წერილობით კომენტარებში განმცხადებელი თავის საქმეს, 1998 წლის 23 თებერვლის მარეგულირებელ წესებთან დაკავშირებით, სხვა კუთხით წარმოადგენს, განსხვავებით იმისგან, თუ როგორ იყო იგი წარმოდგენილი პალატის წინაშე. თავის მოთხოვნებში იგი „თავის ძირითად არგუმენტად პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას წარმოადგენს და დიდ პალატას სთხოვს გადაწყვეტილების შესაბამისად მიღებას“. სხვა საკითხებთან ერთად განმცხადებელი სთხოვს სასამართლოს, „დაადგინოს, რომ ისლამური თავსაბურავის ტარების გამო მისი უნივერსიტეტში დაუშვებლობა წინამდებარე საქმეში უტოლდება პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებული განათლების უფლების დარღვევას, კონვენციის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებთან მიმართებაში.“

126. მთავრობამ განაცხადა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების დარღვევას.

2. პალატის გადაწყვეტილება

127. პალატამ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ მოხმობილი კონვენციის მე-8, მე-10 და მე-14 მუხლებისა და პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დებულებების თანახმად, ცალკე განსახილველი საკითხი არ წარმოიშობოდა,

რადგან გარემოებები იგივე იყო, რომლებზეც პალატამ უკვე იმსჯელა მე-9 მუხლთან მიმართებაში და დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია დარღვევას.

3. სასამართლოს შეფასება

128. სასამართლო ასკვნის, რომ მისი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, დიდი პალატისათვის გადაცემული „საქმე“ მოიცავს მანამდე პალატის მიერ განხილული განაცხადის ყველა ასპექტს, რადგან არ არსებობს დიდი პალატისათვის საქმის მხოლოდ ნაწილობრივ გადაცემის საფუძველი (იხ., როგორც ყველაზე ახალი წყარო, *Cumpănă and Mazăre v. Romania [GC]*, №. 33348/96, პუნქტი 66, ECHR 2004-...; და *K. and T. v. Finland [GC]*, № 25702/94, პუნქტები 140-141, ECHR 2001-VII). დიდი პალატისათვის გადაცემული „საქმე“ განაცხადია, რადგან ის უკვე დაშვებულია არსებითად განსახილველად.

129. საქმის კონკრეტული გარემოებების, განათლების უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობისა და მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად შეტანილი საჩივარი კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად გაკეთებული საჩივრისაგან ცალკე უნდა იქნეს განხილული, იმ ფაქტის მიუხედავად, როგორც ეს მოხდა მე-9 მუხლთან მიმართებაში, რომ საჩივრის არსი შეეხებოდა 1998 წლის 23 თებერვლის მარეგულირებელი წესების კრიტიკას.

130. შესაბამისად, სასამართლო ამ საჩივარს ცალკე განიხილავს (იხ., *mutatis mutandis*, *Göç v. Turkey [GC]*, №. 36590/97, პუნქტი 46, ECHR 2002-V).

B. გამოყენება

131. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადება, რომელშიც ნათქვამია:

„არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე“.

1. პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების ფარგლები

(a) მხარეთა მიმართები დიდი პალატისადმი

132. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ეჭვგარეშე იყო, რომ პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადებით გარანტირებული განათლების უფლება გამოიყენებოდა უმაღლეს განათლებასთან მიმართებითაც, რადგან ეს დებულება იმ დროისათვის არსებულ ყველა დაწესებულებაში გამოიყენებოდა.

133. მთავრობას ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

(b) სასამართლოს შეფასება

134. პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადება გულისხმობს, რომ არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე. მართალია, დებულებაში უმაღლესი განათლება ნახსენები არ არის, მაგრამ არაფერი

იძლევა იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ იგი არ გამოიყენება განათლების ყველა ეტაპზე, უმაღლესი განათლების ჩათვლით.

135. რაც შეეხება განათლების უფლების ფარგლებს და ამ უფლებით დანებებულ ვალდებულებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში *"Belgium linguistic"* (1968 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება არსებითად განხილვისას, სერია A, №6, გვ. 31, პუნქტი 3) მან განაცხადა: „ნეგატიური ფორმულირება მოუთხოვს, როგორც ამას „ჩარჩო-დოკუმენტი“ ამტკიცებს..., რომ ხელშემკერელმა მხარეებმა არ ცნეს განათლების ისეთი უფლება, რაც მათგან ითხოვდა თავიანთი სახსრებით ან შენატანებით რაიმე ტიპის ან რაიმე საფეხურზე განათლების დაარსებას. თუმცა აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს არა აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს ოქმის მე-2 მუხლით დაცული უფლების პატივისცემა. რადგან არსებობს „უფლება“, იგი, კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, უზრუნველყოფილია ყველასათვის ხელშემკერელი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში.“

136. სასამართლოს მხედველობიდან არ რჩება ფაქტი, რომ განათლების უფლების (რომლის შინაარსი განსხვავდება დროისა და ადგილის შესაბამისად) გაფართოება ეკონომიკური და სოციალური გარემოს მიხედვით ძირითადად დამოკიდებულია საზოგადოების საჭიროებებსა და რესურსებზე. თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ფაქტი, რომ კონვენცია ინტერპრეტირებული და გამოყენებულია იმგვარად, რაც მასში გათვალისწინებულ უფლებებს პრაქტიკულსა და ქმედითს და არა თეორიულსა და ილუზორულს ხდის. უფრო მეტიც, კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, რომელიც განმარტებული უნდა იქნეს დღევანდელი პირობების გათვალისწინებით (*Marckx v. Belgium*, 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, № 31, გვ. 19, პუნქტი 41; *Airey v. Ireland*, 1979 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A, № 32, გვ. 14-15, პუნქტი 26; და ბოლოდროინდელი წყარო *Mamatkulov and Askarov v. Turkey [GC]*, № 46827/99 და 46951/99, პუნქტი 121, 2005 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება). როცა მე-2 მუხლის პირველი წინადადება ძირითადად დანყებითი და საშუალო განათლების ხელმისაწვდომობას ანეხებს, არ არსებობს საფუძველი უმაღლესი განათლება განათლების სხვა ფორმებისაგან გამოვყოთ. ბოლო დროს მიღებულ ინსტრუმენტებში ევროპის საბჭომ ხაზი გაუსვა უმაღლესი განათლების განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დემოკრატიის გაძლიერების საქმეში (იხ., *inter alia*, რეკომენდაცია № R (98) 3 და რეკომენდაცია №. 1353 (1998) - პუნქტები 68 და 69). ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ცნობის შესახებ კონვენციის თანახმად (იხ. პუნქტი 67), უმაღლესი განათლება „არსებითი მნიშვნელობისაა ცოდნის მიღებისა და დაუფლების საკითხში“ და „ნარმოადგენს ინდივიდისა და საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად მდიდარ კულტურულ და სამეცნიერო შენაძენს“.

137. ამგვარად, რთულია იმის ნარმოდგენა, რომ ამ დროისათვის არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დანებებულებები პირველი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების ფარგლებში არ ხედებიან. მართალია, ეს მუხლი ხელშემკერელ სახელმწიფოებს არ ავალდებულებს, დააარსონ უმაღლესი საგანმანათლებლო დანებებულებები, მაგრამ სახელმწიფო, რომელიც ამას გააკეთებს, ვალდებული იქნება, უზრუნველყოს ამ დანებებულებებზე ხელმი-

სანვდომობის ქმედითი უფლება. დემოკრატიულ საზოგადოებაში განათლების უფლება, რომელიც ადამიანის სხვა უფლებებისაგან განუყოფელია, იმდენად ფუნდამენტურია, რომ პირველი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადება ვინაშინ ინტერპრეტაციით ამ დებულებების არსისა თუ მიზნის შეუსაბამო იქნებოდა (იხ., *mutatis mutandis*, საქმე "Belgian Linguistic", ზემოთ, პუნქტი 9; და *Delcourt v. Belgium*, 1970 წლის 17 იანვარი, სერია A № 11, გვ. 14, პუნქტი 25).

138. ეს მიდგომა შესაბამისობაშია კომისიის მოხსენებასთან საქმეზე "Belgian Linguistic" (ზემოხსენებული გადაწყვეტილება, გვ. 22), რომელშიც 1965 წელს მან დაადგინა, რომ თუმცა პირველი ოქმის მე-2 მუხლით დაცული უფლების ფარგლები კონვენციაში განსაზღვრული ან მითითებული არ იყო, იგი მოიცავდა, „წინამდებარე საქმის განხილვის მიზნებიდან გამომდინარე“, „ბაგა-ბაღში, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას“.

139. კომისიამ შემდგომში რიც გადაწყვეტილებებში დაადგინა: „მე-2 მუხლით გათვალისწინებული განათლების უფლება ძირითადად ეხება დაწყებით განათლებას და არა აუცილებლად მაღალი რანგის კურსებს, როგორცაა ტექნოლოგია“ (*X. v. the United Kingdom*, № 5962/72, კომისიის 1975 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, DR 2, გვ. 50; და *Kramelius v. Sweden*, №. 21062/92, კომისიის 1996 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება). უფრო ახალ საქმეებში, გზა გაუხსნა რა პირველი ოქმის მე-2 მუხლის გამოყენებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში, კომისიამ განიხილა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმისაწვდომობაზე დაწესებული კონკრეტული შეზღუდვების კანონიერება (უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე დაწესებულ შეზღუდვებთან მიმართებაში იხ. *X. v. the United Kingdom*, № 8844/80, კომისიის 1980 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, DR 23, გვ. 228; საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გაძევებასა და სწავლის შეჩერებასთან დაკავშირებით - *Yanasik v. Turkey*, № 14524/89, კომისიის 1993 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება, DR 74, გვ. 14; და *Sulak v. Turkey*, № 24515/94, კომისიის 1996 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება, DR 84, გვ. 98).

140. რაც შეეხება სასამართლოს, საქმის "Belgian Linguistic" შემდეგ მან უმაღლესი განათლების შესახებ საქმეები დაუშვებლად გამოაცხადა არა მათ მიმართ პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების გამოუყენებლობის გამო, არამედ სხვა საფუძვლებზე დაყრდნობით (ინვალიდის განაცხადი, რომელიც არ აკმაყოფილებდა უნივერსიტეტში ჩარიცხვის მოთხოვნებს, *Lukach v. Russia (dec.)*, №48041/99, 1999 წლის 16 ნოემბერი; პატიმარი განმცხადებლისათვის იურისტის დიპლომის მოსაპოვებლად უნივერსიტეტის გამოსაშვები გამოცდისათვის მომზადებასა და მასზე დასწრების ნებართვაზე უარი, *Georgiou v. Greece (dec.)*, № 45138/98, 2000 წლის 13 იანვარი; კანონიერი ბრალდებითა და სასჯელით უმაღლესი განათლების მიღებაში ჩარევა, *Durmaz and Others v. Turkey (dec.)*, № 46506/99, 2000 წლის 4 სექტემბერი).

141. ზემოხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით ნათელია, რომ ამ დროისათვის არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ხვდებიან პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების ფარგლებში, რადგან ასეთ დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა ამ დებულებაში გათვალისწინებული უფლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეს არ არის ფართო ინტერპრეტაცია და ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ახალ ვალ-

დებულებებს არ უწესებს, იგი დამყარებულია სწორედ პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველ წინადადებაზე, მისივე კონტექსტში, კონვენციის, როგორც კანონმემოქმედებითი ხელშეკრულების, ობიექტისა და მიზნის მხედველობაში მიღებით (იხ., *mutatis mutandis*, *Golder v. the United Kingdom*, 1975 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A № 18, გვ. 18, პუნქტი 36).

142. ამგვარად, წინამდებარე საქმეში გამოიყენება პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადება. მისი გამოყენების ხასიათი კი ამკარად დამოკიდებულია განათლების უფლების სპეციფიკურ მახასიათებლებზე.

C. არსებითი განხილვა

1. მხარეთა მიმართები დიდი პალატისადმი

(ა) განმცხადებლის არგუმენტები

143. განმცხადებლის მტკიცებით, საჯარო მოხელეების მიერ ისლამური თავსაბურავის ტარებაზე დაწესებული შეზღუდვა წარმოადგენდა მის განათლების უფლებაში ჩარევას, რის გამოც 1998 წლის 12 მარტს მას უარი ეთქვა, დასწრებოდა გამოცდას ონკოლოგიაში, 1998 წლის 20 მარტს ვერ ჩაირიცხა უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ დეპარტამენტზე, 1998 წლის 16 აპრილს უარი ეთქვა, დასწრებოდა ლექციას ნევროლოგიაში და 1998 წლის 10 ივნისს წერით გამოცდას საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

144. განმცხადებელი აღიარებდა, რომ, მისი ხასიათიდან გამომდინარე, განათლების უფლება უნდა დარეგულირებულიყო სახელმწიფოს მიერ. მისი აზრით, რეგულირების დროს გამოყენებული კრიტერიუმები უნდა ყოფილიყო იგივე, რაც გამოიყენებოდა მე-8 — მე-11 მუხლების თანახმად ნებადართული ჩარევისას. ამასთან დაკავშირებით განმცხადებელმა მიუთითა თურქეთის ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი ნორმის არარსებობაზე, რომელიც ხელს შეუშლიდა უმაღლესი განათლების მიღებას, და აღნიშნა, რომ პრორექტორის ოფისის მოქმედი კანონების თანახმად არ ჰქონდა იმის უფლება და კომპეტენცია, რომ თავსაბურავიანი სტუდენტებისათვის ხელი შეეშალა უნივერსიტეტის ხელმისაწვდომობაში.

145. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ, თავსაბურავის ტარების მიუხედავად, იგი ჩაირიცხა უნივერსიტეტში და ყოველგვარი ინციდენტის გარეშე სწავლობდა 4 წლისა და 6 თვის განმავლობაში. შესაბამისად, იგი ამტკიცებდა, რომ უნივერსიტეტში ჩაბარებისას და შემდგომ იქ სწავლისას არ არსებობდა ეროვნული საკანონმდებლო წყარო, რომელიც საშუალებას მისცემდა, განეჭვრიტა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მას აუკრძალავდნენ სალექციო აუდიტორიებში შესვლას.

146. იმის გამოკრებისას, რომ მის მიმართ გატარებული ზომები არაპროპორციული იყო მიზნისა, რომელსაც ემსახურებოდა, განმცხადებელმა აღიარა, რომ კანონიერი იყო უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების მხრიდან იმის მცდელობა, რომ განათლება მშვიდ და უსაფრთხო გარემოში უზრუნველყოთ. თუმცა, როგორც მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების არარსებობამ გვიჩვენა, განმცხადებლის მიერ ისლამური თავსაბურავის ტარებას ხელი არ შეუშლია საჯარო ნესრიგისათვის და არც სხვა სტუდენტთა უფლებები და თავისუფლებები დაურღვევია. გარდა ამისა, განმცხადე-

ბლის თქმით, შესაბამისი უნივერსიტეტის ორგანოებს საჯარო წესრიგის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად საკმარისი საშუალება გააჩნდათ, როგორცაა დისციპლინური სამართალწარმოების წამოწყება ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრა იმ სტუდენტის წინააღმდეგ, რომლის ქცევაც სისხლის სამართლის კოდექსს ეწინააღმდეგებოდა.

147. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის მიერ განათლების მიღების განპირობება იმით, რომ მას აღარ უნდა ეტარებინა თავსაბურავი და საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაშვებაზე უარის თქმა, თუ იგი არ დაემორჩილებოდა ამ პირობებს, საბოლოოდ და უსამართლოდ არღვევდა მისი განათლების უფლების არსს და მას არაეფექტურს ხდიდა. ეს აისახებოდა ფაქტში, რომ განმცხადებელი იყო ზრდასრული ადამიანი, პიროვნება სრულად ჩამოყალიბებული სოციალური და მორალური ღირებულებებით, რომელსაც ყველა შესაძლებლობა ჩამოერთვა, სწავლა თურქეთში გაეგრძელებინა მისი რწმენის შესაბამისად.

148. ამ მიზეზთა გამო განმცხადებელი ირწმუნება, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია მისი შეფასების ზღვრის ფარგლები, რამდენად ფართოც არ უნდა ყოფილიყო ისინი, დაარღვია, აგრეთვე, მისი განათლების უფლება კონვენციის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლებთან მიმართებაში.

(b) მთავრობის არგუმენტები

149. სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით მთავრობა აღნიშნავს, რომ ხელშემკერელ სახელმწიფოს შეფასების ზღვარი ჰქონდა მინიჭებული იმის განსასაზღვრად, თუ როგორ დაერეგულირებინა განათლება.

150. მან ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებელი სტამბულის უნივერსიტეტის *Cerrahpaşa*-ს სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა ბურსას უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ხუთწლიანი კურსის გავლის შემდეგ, სადაც იგი თავსაბურავს ატარებდა. სტამბულის უნივერსიტეტის პრორექტორმა გამოსცა ცირკულარი, რომლითაც ფაკულტეტზე თავსაბურავის ტარება იკრძალებოდა. აკრძალვას საფუძვლად დაედო საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები. როგორც განაცხადში და დიდი პალატისადმი საქმის გადაცემის მოთხოვნაში იქნა მითითებული, განმცხადებელს არანაირი დაბრკოლება არ შექმნია *Cerrahpaşa*-ს სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაბარებისას, რაც ამტკიცებს, რომ იგი სარგებლობდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლებაში თანასწორი მოპყრობით. რაც შეეხება 1998 წლის 23 თებერვლის ცირკულარის განხორციელებით გამოწვეულ ჩარევას, მთავრობა შემოიფარგლა იმის თქმით, რომ ეს საკითხი სასამართლოების განსჯის საგანი იყო.

151. მთავრობამ იმით დაასრულა, რომ მოითხოვა პალატის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება, ამტკიცებდა რა, რომ მარეგულირებელი წესები არ ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს პრაქტიკას, ხელშემკერელი სახელმწიფოებისათვის მინიჭებული შეფასების ზღვრის მხედველობაში მიღებით.

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

152. განათლების უფლება, როგორც ეს დადგენილია პირველი დამატები-

თი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადებით, ყველასათვის უზრუნველყოფს ხელშემკერელი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში „ამ დროისათვის არსებული საგანმანათლებლო დანესებულებების ხელმისაწვდომობის უფლებას“, მაგრამ ასეთი ხელმისაწვდომობა განათლების უფლების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. იმისათვის, რომ ეს უფლება „ეფექტური იყოს, საჭიროა, *inter alia*, რომ ინდივიდს, რომელიც ამ უფლებით სარგებლობს, შესაძლებლობა ჰქონდეს, მიღებული განათლებიდან მიიღოს სარგებელი, ანუ მოიპოვოს, სახელმწიფოში მოქმედი წესების შესაბამისად და რაღაც ფორმით, მის მიერ დასრულებული სწავლის ოფიციალური აღიარების უფლება“ (*Belgian Linguistic case*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, გვ. 30-32, პუნქტები 3-5; იხ., ასევე *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*, 1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A № 23, გვ. 25-26, პუნქტი 52). ამგვარადვე, ფრაზა „არავინ უნდა ...“ წარმოადგენს ყველა მოქალაქის მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპს განათლების უფლების გამოყენებისას.

153. ყველა ადამიანის ძირითადი უფლება განათლებაზე არის უფლება, რომელიც თანაბრად გარანტირებულია სახელმწიფოში მოსწავლეებისა და დამოუკიდებელი სკოლებისათვის, ყოველგვარი განსხვავების გარეშე (*Costello-Roberts v. the United Kingdom*, 1993 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, სერია A № 247-C, გვ. 58, პუნქტი 27).

154. მისი მნიშვნელობის მიუხედავად, ეს უფლება აბსოლუტური არ არის და შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს; ეს ქვეტექსტითაა ნებადართული, რადგან ხელმისაწვდომობის უფლება „თავისი ხასიათით საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას“ (*Belgian Linguistic case*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 5; იხ., ასევე, *mutatis mutandis*, *Golder*, იხ. ზემოთ, გვ. 18-19, პუნქტი 38; და *Fayed v. the United Kingdom*, 1994 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 294-B, გვ. 49-50, პუნქტი 65). საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საგანმანათლებლო დანესებულების რეგულირება შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილისა და დროის მიხედვით, *inter alia*, საზოგადოების მოთხოვნისა და რესურსების და განათლების სხვადასხვა ეტაპების განსხვავებული თავისებურებების შესაბამისად. ამგვარად, ხელშემკერელი სახელმწიფოები ამ სფეროში სარგებლობენ შეფასების გარკვეული ზღვრით, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს, რომ დანესებულმა შეზღუდვებმა სადავო უფლება იმდენად არ შეზღუდოს, რომ მისი არსი შეილახოს და უფლებამ ეფექტურობა დაკარგოს, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ისინი განჭვრეტადია და ემსახურება კანონიერ მიზანს. თუმცა, კონვენციის მე-8 - მე-10 მუხლებისაგან განსხვავებით, იგი არ შემოიფარგლება „კანონიერი მიზნების“ ამომწურავი სიით პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად (იხ., *mutatis mutandis*, *Podkolzina v. Latvia*, № 46726/99, პუნქტი 36, ECHR 2002-II). უფრო მეტიც, შეზღუდვა შესაბამისი იქნება პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლისა, თუ გამოყენებულ საშუალებასა და მისალნევ მიზანს შორის არსებობს პროპორციულობის გონიერული დამოკიდებულება.

155. ეს შეზღუდვები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს კონვენციასა და მის ოქმებში გათვალისწინებულ სხვა უფლებებთან (*Belgian Linguistic case*,

ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 5; *Campbell and Cosans v. the United Kingdom*, 1982 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A № 48, გვ. 19, პუნქტი 41; და *Yanasik*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება). კონვენციისა და მისი ოქმების დებულებები უნდა გავიგოთ, როგორც ერთიანობა. შესაბამისად, მე-2 მუხლის პირველი წინადადება ნაკითხული უნდა იქნეს, საჭიროების შემთხვევაში, კონვენციის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების ფონზე (*Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 52).

156. განათლების უფლება პრინციპში არ გამორიცხავს დისციპლინური ღონისძიებებისადმი მიმართვას, საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შეჩერების თუ გარიცხვის ჩათვლით, მისი შიდა წესებისადმი დამორჩილების უზრუნველყოფის მიზნით. დისციპლინური სასჯელის დაკისრება იმ პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლითაც სკოლა ცდილობს თავისი მიზნის – რატომაც მოხდა მისი დაარსება – მიღწევა, მოსწავლეთა ხასიათისა და გონებრივი შესაძლებლობების განვითარებისა და ჩამოყალიბების ჩათვლით (იხ., სხვა წყაროებთან ერთად, *Campbell and Cosans*, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, პუნქტი 33; კადეტის სამხედრო აკადემიიდან გარიცხვასთან დაკავშირებით იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება *Yanasik*-ის საქმეზე, ხოლო თაღლითობის გამო სტუდენტის გარიცხვასთან დაკავშირებით – ზემოხსენებული გადაწყვეტილება *Sulak*-ის საქმეზე).

(ბ) ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

157. მე-9 მუხლის თანახმად, არსებული ჩარევის შესახებ (იხ. პუნქტი 78) მსჯელობის ანალოგიით, სასამართლოს შეუძლია აღიაროს, რომ მარეგულირებელი წესები, რომელთა საფუძველზეც განმცხადებელს უარი ეთქვა, დასწრებოდა სხვადასხვა ლექციებსა და გამოცდებს ისლამური თავსაბურავის ტარების გამო, წარმოადგენდა მისი განათლების უფლების შეზღუდვას, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მას ხელი მიუწვდებოდა უნივერსიტეტზე და შეეძლო საგანი აერჩია მისაღებ გამოცდებზე მიღწეული შედეგების შესაბამისად. თუმცა საქმის ანალიზი, განათლების უფლებაზე მითითებით, ამ შემთხვევაში არ შეიძლება განვაცალკეოთ სასამართლოს მიერ მე-9 მუხლთან დაკავშირებით მიღებული დასკვნისაგან (იხ. პუნქტი 122), რადგან ამ დებულების თანახმად მხედველობაში მიღებული ანალიზი აშკარად გამოიყენება პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად გაკეთებულ საჩივართან მიმართებაში, რომელიც მოიცავს განსახილველი მარეგულირებელი ნორმების კრიტიკას და ეს კრიტიკა იღებს იმავე ფორმას, როგორსაც მე-9 მუხლის მისამართით გამოთქმული კრიტიკა.

158. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ შეზღუდვები განჭვრეტადი იყო და ემსახურებოდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და საჯარო წესრიგის შენარჩუნების კანონიერ მიზანს (იხ. პუნქტები 98 და 99). შეზღუდვის აშკარა მიზანი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებათა სეკულარული ხასიათის შენარჩუნება.

159. რაც შეეხება პროპორციულობის პრინციპს, სასამართლომ ზემოთ, 118-ე - 121-ე პუნქტებში დაადგინა, რომ პროპორციულობის გონივრული ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა გამოყენებულ საშუალებებსა და იმ მიზანს შორის, რომელსაც ამ საშუალების გამოყენება ემსახურება. ამის დადგენისას სასამართლო დაეყრდნო ძირითადად შემდეგ ფაქტორებს: პირველ რიგში, განსა-

ხილველი ღონისძიებები აშკარად არ უშლიდა სტუდენტებს ხელს რელიგიური რიტუალების დაცვის ჩვეულებითი ფორმით დანესებული ვალდებულებების აღსრულებაში. მეორეს მხრივ, მარეგულირებელი ნორმების გამოყენების შესახებ გადანიყვეტილების მიღების პროცესი აკმაყოფილებდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, წარმოდგენილ სხვადასხვა ინტერესთა გადანაწილის ვალდებულებას. უნივერსიტეტის ორგანოები კეთილგონიერულად ეძებდნენ საშუალებებს, რომლებითაც შეძლებდნენ თავიდან აეცილებინათ სტუდენტებისათვის თავსაბურავის ტარების აკრძალვა და ამავე დროს პატივი ეცათ მათი ვალდებულებისათვის, დაეცვათ სხვათა უფლებები და საგანმანათლებლო სისტემის ინტერესები. და ბოლოს, ამ პროცესს თან სდევდა დაცვის გარანტიები - წესი, რომელიც ითხოვდა სტატუტთან შესაბამისობას და სასამართლო გადასინჯვას — რომლებიც ემსახურებოდნენ სტუდენტთა ინტერესების დაცვას (იხ. პუნქტი 95).

160. არარეალურია იმის წარმოდგენა, რომ განმცხადებელი, მედიცინის სტუდენტი, არ იცნობდა სტამბულის უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ წესებს, რომელთა თანახმად რელიგიური ჩაცმულობა კონკრეტულ ადგილებში იზღუდებოდა, ან საეკლესიო არ იყო ინფორმირებული ამ ნორმების დანესების მიზეზების შესახებ. მას გონიერულად შეეძლო იმის წინასწარ განჭვრეტა, რომ იდგა რისკის წინაშე, არ დაეშვათ ლექციებსა და გამოცდებზე, როგორც ეს შემდგომში მოხდა, თუ გააგრძელებდა ისლამური თავსაბურავის ტარებას 1998 წლის 23 თებერვლის შემდეგ.

161. ამრიგად, განსახილველ შეზღუდვას არ დაურღვევია განმცხადებლის განათლების უფლების არსი. ამას გარდა, განმცხადებლის მიერ მოხმობილ სხვა მუხლებთან დაკავშირებით გაკეთებულ დასკვნებზე მითითებით (იხ. პუნქტები 122 და 166), სასამართლო ადგენს, რომ შეზღუდვა არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში გათვალისწინებულ სხვა უფლებებს.

162. ამგვარად, პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

III. კონვენციის მე-8, მე-10 და მე-14 მუხლების სავარაუდო დარღვევა

163. განმცხადებელმა კონვენციის მე-8, მე-10 და მე-14 მუხლების დარღვევის საკითხი, პალატის მსგავსად, დიდი პალატის წინაშეც დააყენა, ამტკიცებდა რა, რომ სადავო მარეგულირებელმა წესებმა შეულახა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, გამოხატვის თავისუფლება და რომ ეს წესები დისკრიმინაციული ხასიათის იყო.

164. მაგრამ სასამართლომ კონვენციის მე-8 ან მე-10 მუხლების დარღვევა არ დაადგინა. განმცხადებლის მიერ წამოწეული არგუმენტები კონვენციის მე-9 მუხლისა და პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით წარმოდგენილი იმ საჩივრების უბრალოდ ხელახალი ფორმულირება იყო, რომელთა მიმართაც სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია დარღვევას.

165. რაც შეეხება მე-14 მუხლის თანახმად შეტანილ საჩივარს, ალბულის დამოუკიდებლად ან კონვენციის მე-9 მუხლთან ან პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველ წინადადებასთან ერთობლიობაში, სასამართლო აღნიშნავს,

რომ განმცხადებელმა თავის მიმოხილვაში დიდი პალატის წინაშე დეტალები არ წარმოადგინა. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა (იხ. პუნქტები 99 და 158), ისლამური თავსაბურავის ტარების მარეგულირებელი წესები განმცხადებლის რელიგიური მიკუთვნებულობის წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ ემსახურებოდა, სხვა მიზნებთან ერთად, წესრიგისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კანონიერ მიზანს და აშკარად განსაზღვრული იყო საგანმანათლებლო დანესებულებათა სეკულარული ხასიათის შესანარჩუნებლად. ამგვარად, ის მიზეზები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-9 მუხლის ან პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას, უდავოდ გამოიყენება მე-14 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ საჩივართან, ალბულთან დამოუკიდებლად თუ ზემოხსენებულ დებულებებთან ერთობლიობაში, მიმართებაში.

166. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8, მე-10 და მე-14 მუხლების დარღვევას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო:

1. ადგენს, თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას;
2. ადგენს, თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების დარღვევას;
3. ადგენს, ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას;
4. ადგენს, ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას;
5. ადგენს, ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გამოცხადებულია საჯარო მოსმენაზე სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, 2005 წლის 10 ნოემბერს.

ლუციუს ვილდჰაბერი
პრეზიდენტი

ტ.ლ. ერლი
რეგისტრატორის მოადგილე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი განცალკევებული აზრები:

(ა) ბ-ნი როზაკისისა და ქ-ნი ვაჯირის ერთობლივი თანმხვედრი აზრი;

(ბ) ქ-ნი ტულენსის განსხვავებული აზრი.

მოსამართლეების როზაკისისა და ვაჯიჩის ერთობლივი თანმხედრი აზრი

ჩვენ ვეთანხმებით უმრავლესობას, რომ ამ კონკრეტულ საქმეში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას. ჩვენ ასევე მხარი დაუჭირეთ საბოლოო აზრს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადების დარღვევას, ძირითადად იმიტომ, რომ გადანყვეტილების ტექსტი იმგვარადაა ფორმულირებული, რომ რთულია ამ ორი დადგენილების ერთმანეთისაგან გამოყოფა. როგორც გადანყვეტილებაში აღნიშნული, „... საქმის ანალიზი, განათლების უფლებაზე მითითებით, ამ შემთხვევაში არ შეიძლება განვაცალკეოთ სასამართლოს მიერ მე-9 მუხლთან დაკავშირებით მიღებული დასკვნისაგან ..., რადგან ამ დებულების თანახმად მხედველობაში მიღებული ანალიზი აშკარად გამოიყენება პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად გაკეთებულ საჩივართან მიმართებაში, რომელიც მოიცავს განსახილველი მარეგულირებელი ნორმების კრიტიკას და ეს კრიტიკა იღებს იმავე ფორმას, როგორსაც მე-9 მუხლის მისამართით გამოთქმული კრიტიკა“ (პუნქტი 157).

თუმცა სინამდვილეში ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ საქმე უნდა განხილულიყო მხოლოდ მე-9 მუხლთან მიმართებაში, როგორც ეს გაკეთდა პალატის გადანყვეტილებაში. როგორც ვხედავთ, სასამართლოს წინაშე დაყენებული ძირითადი საკითხი იყო სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა განმცხადებლის უფლებაში, უნივერსიტეტში ეტარებინა თავსაბურავი და ამით საჯაროდ გაემჟღავნებინა თავისი რელიგიური რწმენა. ამგვარად, ძირითადი საკითხი წინამდებარე საქმეში სწორედ მისი რელიგიური თავისუფლების დაცვა იყო, რასაც გულისხმობს კონვენციის მე-9 მუხლი. მე-9 მუხლი, ამ გარემოებებში, აშკარად არის *lex specialis*, რომელიც ფარავს საქმის ფაქტებს, და განმცხადებლის მიერ პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე გაკეთებული დამატებითი საჩივარი იმავე ფაქტებთან დაკავშირებით თუმცა აშკარად დასაშვებია, მაგრამ კონვენციის თანახმად არ წარმოშობს ცალკე საკითხს.

მოსამართლე ტულკენსის განსხვავებული აზრი

სხვადასხვა მიზეზების გამო მე არ დავეთანხმე უმრავლესობის აზრს კონვენციის მე-9 მუხლთან და პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ეხება განათლების უფლებას. თუმცა სრულად ვეთანხმები სასამართლოს დადგენილებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელი დებულების ფარგლები მოიცავს უმაღლეს და საუნივერსიტეტო განათლებას.

A. რელიგიის თავისუფლება

1. რაც შეეხება გადანყვეტილებაში ხშირად ნახსენებ ზოგად პრინციპებს, არის საკითხები, რომლებზეც სრულად ვეთანხმები უმრავლესობას (იხ. გადანყვეტილების პუნქტები 104 - 108). კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული რელიგიის თავისუფლება „ძვირფასი ფასეულობაა“ არა მარტო მორწმუნეთათვის, არამედ ათეისტთა, აგნოსტიკოსთა, სექსუალებისა და სხვათათვისაც. მართალია, რომ კონვენციის მე-9 მუხლი არ იცავს რელიგიით ან რწმენით

მოტივირებულ და შთაგონებულ ყველა ქმედებას და რომ დემოკრატიულ საზოგადოებებში, სადაც მოსახლეობაში სხვადასხვა რელიგიები თანაარსებობენ, შესაძლოა აუცილებელი იყოს საკუთარი რელიგიის ან რწმენის გამჟღავნებაზე შეზღუდვების დანესება, რათა მოხდეს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა შეთანხმება და ყველას რწმენის პატივისცემის უზრუნველყოფა (იხ. გადანყვეტილების პუნქტი 106). პლურალიზმი, ტოლერანტობა და ფართო თვალთახედვა დემოკრატიული საზოგადოების ნიშნებია და ინვეეს კონკრეტულ შედეგებს. მათგან პირველი ის არის, რომ დემოკრატიული საზოგადოების ეს იდეალები და ღირებულებები ასევე უნდა ეფუძნებოდეს დიალოგსა და კომპრომისის სულისკვეთებას, რაც აუცილებლად ინვეეს ინდივიდთა მხრიდან ორმხრივ დათმობას. მეორე შედეგია, რომ ასეთ შემთხვევებში ორგანოთა როლი ის კი არ არის, რომ პლურალიზმის აღმოფხვრით დაძაბულობის მიზეზები გააქრონ, არამედ, როგორც სასამართლომ ბოლო დროს გაიმეორა, უზრუნველყონ, რომ დაპირისპირებულმა ჯგუფებმა ერთმანეთის მიმართ ტოლერანტობა გამოიჩინონ (*Ouranio Toxo and Others v. Greece*, 2005 წლის 20 ოქტომბრის გადანყვეტილება, პუნქტი 40).

2. როცა უმრავლესობამ აღიარა, რომ ისლამური თავსაბურავის ტარების აკრძალვა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე წარმოადგენდა ჩარევას განმცხადებლის უფლებაში, კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად გამჟღავნებინა საკუთარი რელიგია და რომ აკრძალვა გათვალისწინებული იყო კანონით და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს — ამ საქმეში სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების და საჯარო წესრიგის დაცვას — ძირითად საკითხად იქცა, იყო თუ არა ასეთი ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. მისი ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლოს მიმოხილვა შესრულებული უნდა იქნეს *in concreto*, სამ კრიტერიუმზე მითითებით: პირველი, იყო თუ არა სათანადო ჩარევა, რომელსაც უნდა შეძლებოდა რისკის ქვეშ მყოფი კანონიერი ინტერესის დაცვა; მეორე, ყველაზე ნაკლებად ზღუდავდა თუ არა არჩეული ღონისძიება განსახილველ უფლებას ან თავისუფლებას; და ბოლოს, იყო თუ არა ღონისძიება პროპორციული, საკითხი, რომელიც მოითხოვს საპირისპირო ინტერესთა დაბალანსებას¹.

უმრავლესობის მიდგომას საფუძვლად უდევს შეფასების ზღვარი, რომელსაც, აღიარებულია, რომ ფლობენ ეროვნული ორგანოები და რომელიც, *inter alia*, გამოხატავს ცნებას, რომ ისინი „უკეთეს მდგომარეობაში“ არიან, რათა გადანყვეტონ, როგორ შეასრულონ მგრძნობიარე სფეროებში უფრო კარგად კონვენციით დაკისრებული ვალდებულებები (იხ. გადანყვეტილების პუნქტი 109). სასამართლოს იურისდიქცია, რა თქმა უნდა, ქვემდებარეა და მისი ფუნქცია კონფლიქტთა მოგვარების საყოველთაო ფორმების დანესება არ არის, თანსაკუთრებით „ეკლესიებსა და სახელმწიფოს შორის დელიკატური ურთიერთობის დანესების საკითხში“ (*Cha'are Shalom Ve Tsedek v. France*, 2000 წლის 27 ივნისის გადანყვეტილება, პუნქტი 84), მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სხვა გადანყვეტილებაში რელიგიურ ჯგუფებს შორის კონფლიქტების შესახებ სასამართლოს ყოველთვის იგივე სამართლებრივი შეზღუდვები არ დაუნესებია

1 S. VAN DROOGHENBROECK, 'LA PROPORTIONALITÉ DANS LE DROIT DE LA CONVENTION européenne des droits de l'homme. Prendre l'idée simple au sérieux.', Brussels, Bruylant, 2001.

(*Serif v. Greece*, 1999 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება; *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, 2001 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება). შესაბამისად, აბსოლუტურად ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ სასამართლომ უნდა სცადოს უნივერსალურობისა და განსხვავებულობის ერთმანეთთან მისადაგება და მისი ფუნქცია არ არის რომელიმე რელიგიური მოდელის შესახებ აზრის გამოხატვა.

3. მე ალბათ შევძლებდი გამეზიარებინა შეფასების ზღვრის მიდგომა, რომ არა ორი ფაქტორი, რომლებმაც საგრძნობლად შეამცირეს მისი მნიშვნელობა ამ საქმეში. პირველი ეხება უმრავლესობის მიერ მოხმობილ არგუმენტს ფართო ზღვრის გასამართლებლად, კერძოდ კი სახელმწიფოებში საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური სიმბოლოების ტარების რეგულირების შესახებ განსხვავებული პრაქტიკის არსებობას და, ამგვარად, ამ სფეროში ევროპული კონსენსუსის არარსებობას. შედარებითი სამართლის წყაროები ამგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას არ იძლევიან, რადგან არც ერთ ნევრ სახელმწიფოში რელიგიური სიმბოლოს ტარებაზე შეზღუდვა საუნივერსიტეტო განათლებაზე არ ვრცელდება, რადგან იქ მონიჭული ახალგაზრდები სწავლობენ, რომლებიც ნაკლებად ეგუებიან ზენოლას. მეორე ფაქტორი ეხება ევროპულ ზედამხედველობას, რომელიც თან სდევს შეფასების ზღვრის გამოყენებას და რომელიც, თუმცა იმაზე ნაკლებია, ვიდრე ეროვნული ორგანოების ხელში შეფასების ზღვრის არარსებობისას, მაინც მხარდამხარ მიჰყვება მას. თუმცა, სხვა შემთხვევებში, თურქეთის ისტორიული წარსულის გარდა, ევროპული ზედამხედველობა გადანყვეტილებაში უბრალოდ არ არის ხოლმე ნახსენები. მაგრამ ამ განაცხადში აღნიშნული საკითხი, რომლის მნიშვნელობაც კონვენციით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების უფლებისათვის ამკარაა, უბრალოდ „ადგილობრივი“ კი არა, ყველა ნევრ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხია. ევროპული ზედამხედველობა კი, შესაბამისად, შეუძლებელია თავიდან იქნეს აცილებული უბრალოდ შეფასების ზღვრის მოხმობისას.

4. რა საფუძვლებს ემყარებოდა თავსაბურავის ტარების აკრძალვის გზით განმცხადებლის რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა? წინამდებარე საქმეში, მხოლოდ ეროვნული ორგანოებისა და სასამართლოების მიერ მითითებულ მიზეზებზე დაყრდნობით, უმრავლესობა ზოგადი და აბსტრაქტული ტერმინებით გამოყოფს ორ არგუმენტს: სეკულარიზმსა და თანასწორობას. მე სრულად ვიზიარებ ამ პრინციპებს, მაგრამ არ ვეთანხმები ამ საქმეში მათი გამოყენების მეთოდებს და თავსაბურავის ტარების პრაქტიკასთან დაკავშირებით მათი ინტერპრეტაციის ხერხებს. მე მჯერა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭიროა სეკულარიზმის, თანასწორობისა და თავისუფლების პრინციპების ჰარმონიზება და არა რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება.

5. რაც შეეხება, პირველ რიგში, სეკულარიზმს, ვიმეორებ, რომ მას მივიჩნევ არსებით პრინციპად, რომელიც, როგორც 1989 წლის 7 მარტის საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებაში იქნა დადგენილი, უდავოდ აუცილებელია თურქეთში დემოკრატიული სისტემის დასაცავად. თუმცა რელიგიური თავისუფლებაც ძირითადი პრინციპია დემოკრატიულ საზოგადოებებში. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ დიდმა პალატამ ალიარა სეკულარიზმის პრინციპის ძალა, არ ათავისუფლებდა მას ვალდებულებისაგან, დაედგინა, რომ ისლამური თავსაბურავის ტარების აკრძალვა, რისი მსხვერპლიც გახდა განმცხადებელი,

აუცილებელი იყო ამ პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად და, შესაბამისად, აკმაყოფილებდა „სერიოზულ სოციალურ საჭიროებას“. მხოლოდ არასადავო ფაქტებსა და მიზეზებს, რომელთა ლეგიტიმურობა ეჭვს — და არა უბრალოდ ნუხილსა და შიშს — მიღმა, ძალუძს დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები და გამართლოს კონვენციით გარანტირებულ უფლებაში ჩარევა. უფრო მეტიც, როდესაც ადგილი აქვს ძირითად უფლებაში ჩარევას, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ნათლად ადგენს, რომ უბრალო მტკიცება საკმარისი არ არის, ის განმტკიცებული უნდა იქნეს კონკრეტული მაგალითებით (*Smith and Grady v. the United Kingdom*, 1999 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 89). მსგავსი მაგალითები წინამდებარე საქმეში არ მოუხმიათ.

6. კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, თავისუფლება, რომელსაც ეს მუხლი მოიცავს, არის არა ადამიანის თავისუფლება, ჰქონდეს რელიგია (შინაგანი რწმენა), არამედ გაამჟღავნოს საკუთარი რელიგია (ამ რწმენის გამოხატვა). მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო იცავდა (შესაძლოა, ძალიან იცავდა) რელიგიურ განწყობებს (*Otto-Preminger-Institut v. Austria*, 1994 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება; *Wingrove v. the United Kingdom*, 1996 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება), იგი ნაკლებად იჩენდა სურვილს, ჩარეულიყო რელიგიური რიტუალების აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმეებში (*Cha'are Shalom Ve Tsedek v. France*, 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება; *Dahlab v. Switzerland*, 2001 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება), რაც იღებს დაცვის ქვეშეობარე ფორმას (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 105). ფაქტობრივად, ეს არის რელიგიის თავისუფლების ასპექტი, რომელსაც სასამართლო დღემდე არ დაპირისპირება და არასოდეს ჰქონია შესაძლებლობა, ჩამოეყალიბებინა საკითარი აზრი რელიგიური ღვთისმსახურების გარეგანი სიმბოლოების შესახებ, როგორცაა ტანსაცმლის ნიშნულები, რომელთა სიმბოლოური მნიშვნელობა სერიოზულად განსხვავდება შესაბამისი რწმენის მიხედვით².

7. საქმეზე *Refah Partisi and Others v. Turkey* 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებაზე მითითებით განაჩენიში დადგენილი იქნა: „მიდგომა, რომელიც პატივს არ სცემს ამ [სეკულარიზმის] პრინციპს, ყველა შემთხვევაში არ მოიცავს რელიგიის გამჟღავნების თავისუფლებას და დაცული არ არის კონვენციის მე-9 მუხლით (იხ. პუნქტი 114). ამგვარად, უმრავლესობამ დაადგინა, რომ თავსაბურავის ტარება ეწინააღმდეგება სეკულარიზმის პრინციპს. ამით უმრავლესობამ საკუთარი პოზიცია ჩამოაყალიბა საკითხზე, რომელიც სერიოზული დებატების საგანს წარმოადგენდა, სახელდობრ, თავსაბურავის ტარების მნიშვნელობასა და მის დამოკიდებულებაზე სეკულარიზმის პრინციპთან³.

წინამდებარე საქმეში ამ ტიპის ზოგადი შეფასება ქმნის სულ მცირე სამ სირთულეს. პირველი, გადაწყვეტილება არ საუბრობს განმცხადებლის არგუმენტზე – რომელზეც მთავრობას არ უკამათია – რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა სეკულარიზმის პრინციპის (რომელსაც იგი ეთანხმებოდა) სადავოდ გახდა. მეორე, არ არსებობს მტკიცებულება იმის საჩვენებლად, რომ განმცხადებელი

2 E. BREMS, *The Approach of the European Court of Human Rights to Religion*, in: Th. MARAUHN (ed.), *Die Rechtsstellung des Menschen im Völkerrecht. Entwicklungen und Perspektiven*, Tübingen, Mohr Siebeck, 2003, გვ. 1 et seq.

3 E. BRIBOSIA and I. RORIVE, *Le voile à l'école : une Europe divisée*, *Revue trimestrielle des droits de l'homme*, 2004, გვ. 958.

თავისი ქცევით ამ პრინციპს ეწინააღმდეგებოდა. ეს არის ტესტი, რომელსაც სასამართლო ყოველთვის იყენებდა საკუთარ პრაქტიკაში (*Kokkinakis v. Greece*, 1993 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება; *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება). და ბოლოს, გადაწყვეტილება ერთმანეთისგან არ ასხვავებს მასწავლებლებსა და სტუდენტებს, მაშინ, როცა 2001 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Dahlab v. Switzerland*, რომელიც ეხება მასწავლებელს, სასამართლო მკაფიოდ ხაზს უსვამს მასწავლებლის მიერ თავსაბურავის ტარების სამოძღელო ასპექტს (გვ.14). როცა სეკულარიზმის პრინციპი მოითხოვს, რომ განათლება უზრუნველყოფილი იქნეს რომელიმე რელიგიის გამოხატვის გარეშე და როცა ეს სავალდებულოა მასწავლებლებისა და საჯარო მოსამსახურეთათვის, რადგან მათ საკუთარი სურვილით დაიკავეს ადგილები ნეიტრალურ გარემოში, მე მეჩვენება, რომ მოსწავლეთა და სტუდენტთა მდგომარეობა განსხვავებული უნდა იყოს.

8. რელიგიის გამჟღავნების თავისუფლება მოითხოვს, რომ ყველას მიეცეს უფლება, გამოიყენოს ეს უფლება, დამოუკიდებლად ან კოლექტივში, საჯაროდ ან პირადად, და იგი ექვემდებარება ორმაგ პირობას: არ უნდა შელახოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები და საფრთხე არ უნდა შეუქმნას საჯარო წესრიგს (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი).

რაც შეეხება პირველ პირობას, იგი დაცული იქნებოდა, თუ თავსაბურავი, რომელსაც განმცხადებელი რელიგიური სიმბოლოს სახით ატარებდა, იქნებოდა გამაღიზიანებელი ან აგრესიული ან გამოყენებული იქნებოდა ზენოლის იარაღად, რეაქციის გამოსაწვევად, პროზელიტიზმისა თუ პროპაგანდისათვის და ძირს გამოუთხრიდა – ან მიზნად ექნებოდა დასახული ძირის გამოთხრა – სხვათა რწმენისათვის. თუმცა მთავრობა ამ არგუმენტს არ იმეველებდა და სასამართლოს წინაშე არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა, რომელიც მას დაარწმუნებდა, რომ ქ-ნ საჰინის ამგვარი ზრახვები ამოძრავებდა. რაც შეეხება მეორე პირობას, არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი ან დემონსტრირებული არგუმენტი, რომ განმცხადებლის მიერ თავსაბურავის ტარების შედეგად ადგილი ჰქონდა სასწავლო პროცესის ან უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრებისათვის ხელის შეშლას ან რაიმე უნესრიგო ქმედებას. მართლაც, მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ აღძრულა.

9. მაგრამ უმრავლესობა იმეორებს, რომ „ისლამური თავსაბურავის შესახებ საკითხის თურქეთის კონტექსტში განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ზემოქმედება, რაც რელიგიურ ვალდებულებად აღქმული ან აღიარებული ამგვარი სიმბოლოების ტარებამ შეიძლება გამოიწვიოს მათზე, ვინც ირჩევს, ეს სიმბოლოები არ ატაროს“ (იხ. პუნქტი 115).

თუ რელიგიის თავისუფლების უფლების დაცვისას მხედველობაში არ მიიღება კონტექსტი, მე არ მიმჩნია, სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, რომ ის შესაძლო ეფექტი, რომელიც თავსაბურავის ტარებამ სიმბოლოს სახით შეიძლება მოახდინოს მათზე, ვინც მას არ ატარებს, აკმაყოფილებდეს სერიოზულ სოციალურ საჭიროებას. *Mutatis mutandis*, გამოხატვის თავისუფლების საკითხში (მე-10 მუხლი) სასამართლოს არასოდეს უღიარებია, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობაში ჩარევა შეიძლება გამართლებული იქნეს იმ ფაქტით, რომ ესა თუ ის იდეა ან შეხედულება გაზიარებული არ იქნა ყველას მიერ და შესაძლოა შეურაცხყოფის კიდევ ვინმე.

ბოლოდროინდელ, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Gündüz v. Turkey* სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა გამოხატვის თავისუფლების დარღვევას, როდესაც მუსლიმანი რელიგიური ლიდერი დაპატიმრებული იქნა თურქეთში სეკულარული რეჟიმის უხეშად გაკრიტიკებისათვის, როცა იგი შარიათის კანონების შემოღებას მოუწოდებდა და მხოლოდ სეკულარული ხელისუფლების ორგანოების მიერ რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს „ნაბიჭვრები“ უწოდა. ამგვარად, თავსაფრის მშვიდობიანად ტარებით საკუთარი რელიგიის გამჟღავნება შეიძლება აკრძალული იქნეს მაშინ, როცა იმავე კონტექსტში შენიშვნები, მიმართული რელიგიური შუღლის გასაღვივებლად, დაცულია გამოხატვის თავისუფლებით⁴.

10. ფაქტობრივად, სასამართლოს აზრით, განსახილველი მარეგულირებელი ნორმების – „უნივერსიტეტში პლურალიზმის შესანარჩუნებლად განკუთვნილი ღონისძიების“ – გამართლებაა ის საფრთხე, რომელსაც წარმოშობენ „ექსტრემისტული პოლიტიკური მოძრაობები“, „საზოგადოებისთვის თავიანთი რელიგიური სიმბოლოებისა და რელიგიურ პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების იდეის“ თავს მოხვევას რომ ცდილობენ (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 115). სასამართლომ ამას უკვე მოჰფინა ნათელი 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Refah Partisi and Others v. Turkey*, სადაც მან დაადგინა: „ქვეყანაში, როგორცაა თურქეთი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ერთ რელიგიას აღიარებს, უნივერსიტეტებში გატარებული ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება რელიგიური ფუნდამენტალიზმის მიმდევარი მოძრაობების მიერ ზენოლსაგან იმ სტუდენტების დაცვას, რომლებიც არ აღიარებენ ამ რელიგიას ან სხვა რელიგიას მიეკუთვნებიან, გამართლებულია კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით“ (პუნქტი 95).

მაშინ, როცა ყველა ეთანხმება რადიკალური ისლამიზმის თავიდან აცილების საჭიროებას, ამ მსჯელობას შეიძლება მაინც სერიოზული წინააღმდეგობა შეექმნას. უბრალოდ თავსაბურავის ტარება არ შეიძლება ასოცირებული იქნეს ფუნდამენტალიზმთან და აუცილებელია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პირები, რომლებიც ატარებენ თავსაბურავს, და „ექსტრემისტები“, რომლებიც ცდილობენ თავსაბურავის, ისევე, როგორც სხვა რელიგიური სიმბოლოების, თავს მოხვევას. ყველა ქალი, რომელიც თავსაბურავს ატარებს, ფუნდამენტალისტი არ არის და არაფერი ამტკიცებს, რომ განმცხადებელი იზიარებდა ფუნდამენტალისტურ შეხედულებებს. ის არის ახალგაზრდა ზრდასრული ქალი და უნივერსიტეტის სტუდენტი და გონივრულად მოსალოდნელია, გააჩნდეს უნარი, გაუძლოს ზენოლას. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გადაწყვეტილებაში ვერ არის მოყვანილი ამგვარი ზენოლის კონკრეტული მაგალითი. განმცხადებლის პირადი ინტერესი, ესარგებლა რელიგიის თავისუფლების უფლებით და გარეგანი სიმბოლოებით გაემჟღავნებინა საკუთარი რელიგია, შეუძლებელია სრულად გადაფაროს ექსტრემიზმთან ბრძოლის საჯარო ინტერესმა⁵.

11. რაც შეეხება თანასწორობას, უმრავლესობა აქცენტს აკეთებს ქალთა უფლებებისა და სქესთა თანასწორობის დაცვაზე (იხ. გადაწყვეტილების პუნქტები 115 და 116). საპირისპირო მიდგომით, თავსაბურავის ტარება მიჩნეულია

4 S. VAN DROOGHENBROECK, 'Strasbourg et le voile', *Journal du juriste*, 2004, № 34, გვ. 10.

5 E. BRIBOSIA and I. RORIVE, 'Le voile à l'école : une Europe divisée', *op. cit.*, გვ. 960.

ქალთა გაუცხოების სინონიმად. შესაბამისად, თავსაბურავის ტარების აკრძალვა აღიქმება მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის ხელშეწყობად. თუმცა რა აკავშირებს ერთმანეთთან აკრძალვასა და სქესთა თანასწორობას? გადანყვეტილებაში ეს არ არის ნათქვამი. მართლაც, რა არის თავსაბურავის ტარების მნიშვნელობა? როგორც აღინიშნა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 24 სექტემბრის გადანყვეტილებაში⁶, თავსაბურავის ტარებას ერთი მნიშვნელობა არა აქვს; ეს არის ჩვეულება, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა მიზეზებთან. ეს სიმბოლურად აუცილებლად არ ასახავს ქალების მამაკაცებზე დამოკიდებულებას და მავანნი ამბობენ, რომ რიგ შემთხვევებში შეიძლება გახდეს ქალთა ემანსიპაციის საშუალება. რაც აკლია ამ დებატებს, ესაა ქალთა აზრი, როგორც მათი, ვინც თავსაბურავს ატარებს, ასევე მათიც, ვინც უარი თქვა მის ტარებაზე.

12. ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი პალატა მოიხმობს თავის 2001 წლის 15 თებერვლის გადანყვეტილებას საქმეზე *Dahlab v. Switzerland* და მოჰყავს ციტატა, ჩემი აზრით, ამ გადანყვეტილების ყველაზე სადავო ნაწილიდან, კერძოდ, აღნიშნავს, რომ თავსაბურავის ტარება წარმოადგენს „ძლევაგამოსილ გარეგან სიმბოლოს“, რომელიც, „როგორც ჩანს, რელიგიური პრინციპებითაა ქალებზე თავსმოხვეული, რაც რთულია შეჯერებული იქნეს გენდერული თანასწორობის პრინციპთან“ და რომ რთულია, ჩვეულება „შევაჯეროთ ტოლერანტობის, სხვათა პატივისცემის და, ყველაზე მეტად, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებთან, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა მასწავლებელმა უნდა გადასცეს თავის მოსწავლეებს“ (იხ. გადანყვეტილების პუნქტი 111).

სასამართლოს ფუნქცია არ არის, გააკეთოს ამგვარი შეფასება, ამ შემთხვევაში ერთმხრივი და ნეგატიური, რელიგიის ან რელიგიური ღვთისმსახურების შესახებ, ისევე, როგორც მისი ფუნქცია არ არის ზოგადი და აბსტრაქტული სახით გადანყვეტიტოს თავსაბურავის ტარების მნიშვნელობა ან განმცხადებელს თავს მოახვიოს საკუთარი შეხედულებები. განმცხადებელმა, ახალგაზრდა ზრდასრულმა სტუდენტმა, განაცხადა – და არაფერი ამტკიცებს, რომ რაც თქვა, სიმართლე არ არის — რომ თავსაბურავს ატარებდა საკუთარი სურვილით. ამასთან დაკავშირებით მე ვერ ვხედავ, სქესთა თანასწორობის პრინციპით როგორ უნდა იყოს გამართლებული ქალისთვის იმის აკრძალვა, მისდიოს ამ ჩვეულებას, რომელიც, საპირისპირო მტკიცებულების არარსებობისას, მან თვითონ თავისუფლად შეითვისა. თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა სუბიექტური უფლებებია, რომლებიც უნდა დარჩეს მათი კონტროლის ქვეშ, ვინც უფლებამოსილია, ისარგებლოს ამ უფლებებით. ამ ტიპის „პატერნალიზმი“ წინააღმდეგობაში მოდის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან, რომელმაც მე-8 მუხლის საფუძველზე ნამდვილი პერსონალური ავტონომიის უფლება ჩამოაყალიბა (*Keenan v. the United Kingdom*, 2001 წლის 3 აპრილის გადანყვეტილება, პუნქტი 92; *Pretty v. the United Kingdom*, 2002 წლის 29 აპრილის გადანყვეტილება, პუნქტები 65-67; *Christine Goodwin v. the United Kingdom*, 2002 წლის 11 ივლისის გადანყვეტილება, პუნქტი 90)⁷. და ბოლოს, თუ თავსა-

6 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, 2003 წლის 24 სექტემბრის მეორე განყოფილების გადანყვეტილება. 2BvR 1436/042

7 S. VAN DROOGHENBROECK, 'Strasbourg et le voile', op. cit.

ბურავის ტარება ნამდვილად ეწინააღმდეგება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპს, სახელმწიფოს დაეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აკრძალოს ის ყველა, როგორც საჯარო, ისე კერძო ადგილას.⁸

13. ვინაიდან, ჩემი აზრით, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თავსაბურავის ტარების აკრძალვა არ ეფუძნებოდა შესაფერ და საკმარის საფუძვლებს, იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ჩარევად, რომელიც „აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით. ამ გარემოებებში ადგილი ჰქონდა კონვენციით გარანტირებული განმცხადებლის რელიგიის თავისუფლების უფლების დარღვევას.

B. განათლების უფლება

14. აბსოლუტურად ვეთანხმები უმრავლესობის გადაწყვეტილებას, რომ განმცხადებლის საჩივარი განხილული უნდა იქნეს პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის ჭრილობით. კომისიის მოხსენებაში 1965 წლის 24 ივნისის საქმეზე „ბელგიაში ენის გამოყენების შესახებ კანონის კონკრეტული ასპექტების შესახებ“ უკვე აღინიშნა, რომ ეს დებულება გამოიყენება უმაღლეს და საუნივერსიტეტო განათლებასთან მიმართებაში. გადაწყვეტილება მართებულად აღნიშნავს, რომ „არ არსებობდა მკაფიო გამოყოფი ხაზი უმაღლეს და სხვა ფორმის განათლებას შორის“ და უერთდება ევროპის საბჭოს მიმართულებას „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვისა და დემოკრატიის გაძლიერების საქმეში უმაღლესი განათლების მნიშვნელობისა და გადამწყვეტი როლის შესახებ“ (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 136). უფრო მეტიც, რადგან განათლების უფლება ნიშნავს ყველა ადამიანის უფლებას, ისარგებლონ საგანმანათლებლო საშუალებებით, დიდი პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს, რომელმაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დააარსა, „დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს ამ საშუალებების ხელმისაწვდომობის ქმედითი უფლება“, დისკრიმინაციის გარეშე (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 137).

15. მაგრამ თუმცა დიდი პალატა ხაზს უსვამს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში განათლების უფლება ადამიანის სხვა უფლებებისაგან განუყოფელია (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 137), გასაკვირი და დასაწინაა, რომ შემდგომ იგი განმცხადებელს ართმევს ამ უფლებას ისეთი საფუძვლით, რომელიც მე არც შესაფერად და არც საკმარისად არ მეჩვენება. განმცხადებელი, რელიგიური საფუძვლით, არ ცდილობდა ბოდიში მიეღო რაიმე ქმედებისათვის და არ ითხოვდა ცვლილებების შეტანას საუნივერსიტეტო კურსებში, რომლებსაც იგი ესწრებოდა (განსხვავებით საქმისაგან *Kjeldsen, Busk, Madsen and Pedersen v. Denmark*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება). მას უბრალოდ სურდა დაესრულებინა სწავლა იმავე პრობებში, რომლებიც ჰქონდა უნივერსიტეტში ჩარიცხვისა და საუნივერსიტეტო კარიერის პირველ წლებში, როცა იგი თავისუფალი იყო, ყოველგვარი პრობლემის გარეშე ეტარებინა თავსაბურავი. მე მიმაჩნია, რომ განმცხადებლისათვის ლექციებსა და გამოცდებზე (რომლებიც მედიცინის ფაკულტეტის კურსების ნაწილს წარმოადგენდა) დასწრების აკრძალვით მას *de facto* შეეღალა უნივერსიტეტის ხელმისაწვდომობის უფლება და, შესაბამისად, განათლების უფლებაც.

8 E. BRIBOSIA da I. RORIVE. 'Le voile à l'école : une Europe divisée', op. cit., გვ. 962.

16. დიდმა პალატამ „ანალოგიურად“ ჩამოაყალიბა სამოტივაციო ნაწილი კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად დანესებული ჩარევის შესახებ და დაადგინა, რომ განათლების უფლებასთან დაკავშირებით გაკეთებული ანალიზი „არ შეიძლება ამ შემთხვევაში გამოვყოთ მე-9 მუხლთან მიმართებაში სასამართლოს მიერ მიღწეული დასკვნებისაგან“, რადგან ამ დებულებით მხედველობაში მიღებული შეხედულებები „ზუსტად გამოიყენება პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად გაკეთებულ საჩივართან მიმართებაში“ (იხ. გადაწყვეტილების პუნქტი 157). ამასთან დაკავშირებით მიმართა, რომ პალატა უდავოდ მართალი იყო, როცა თავის 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ „ცალკე განხილვის საგანი“ არ წარმოიძობოდა პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან დაკავშირებით, რადგან გარემოებები და არგუმენტები ემთხვეოდა მე-9 მუხლთან დაკავშირებით განხილულ გარემოებებსა და არგუმენტებს, რომელთა მიმართაც სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია დარღვევას.

როგორც არ უნდა იყოს პოზიცია, მე არ მაქმაცაფილებს ის, რომ რელიგიური თავისუფლების მიმართ გაკეთებული მოტივაცია „სრულად გამოიყენება“ განათლების უფლებასთან მიმართებაში. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი უფლება აბსოლუტური არ არის და შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, იმ პირობით, რომ ისინი იმდენად არ შეამცირებენ ამ უფლების ფარგლებს, რომ დააკარგვინონ არსი და ეფექტურობა. ეს შეზღუდვები ასევე წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებთან, რადგან კონვენციის დებულებები მიჩნეულია ერთიანობად. ამას გარდა, შეფასების ზღვარი ნეგატიური ვალდებულებებისას უფრო ვიწროა და სასამართლომ, ნებისმიერ შემთხვევაში, უკანასკნელ საშუალებად უნდა განიხილოს, იქნა თუ არა დაცული კონვენციის მოთხოვნები. და ბოლოს, შეზღუდვა განათლების უფლების შესაბამისი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ გამოყენებულ საშუალებებსა და იმ მიზანს შორის, რომელსაც ისინი ემსახურებიან, პროპორციული ურთიერთდამოკიდებულება იარსებებს.

17. რა მდგომარეობა იყო წინამდებარე საქმეში? მე აქ არ მივყვები დებულებებს რელიგიის თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებით, არამედ შემოვიფარგლები განმცხადებლის განათლების უფლებაზე დანესებული შეზღუდვების პროპორციულობასთან დაკავშირებით დამატებითი ელემენტების აღნიშვნით.

იმით დავიწყებ, რომ უნივერსიტეტის ორგანოებს, სანამ განმცხადებელს ლექციებსა და გამოცდებზე დაშვებაზე უარს ეტყოდნენ, სხვა საშუალებები უნდა გამოეყენებინათ, უნდა დაერწმუნებინათ იგი (მაგალითად, მედიაციის გზით), უარი ეთქვა თავსაბურავის ტარებაზე და ისე გაეგრძელებინა სწავლა, ანდა უნდა უზრუნველყოთ საჯარო წესრიგის შენარჩუნება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, თუ იგი ამკარად რისკის ქვეშ იდგა.⁹ საქმე ის არის, რომ არანაირი მცდელობა არ ყოფილა, გამოეყენებინათ ისეთი ღონისძიებები, რომელთაც ნაკლებად მტკივნეული ეფექტი ექნებოდა განმცხადებლის განათლების უფლებაზე. ჩემი მეორე არგუმენტი ის არის, რომ განმცხადებლის მიერ ლექციებზე დასწრების დაქვემდებარებით იმ პირობაზე, რომ უარი ეთქვა

9 O. DE SCHUTTER AND J. RINGELHEIM, 'La renonciation aux droits fondamentaux. La libre disposition du soi et le régime de l'échange'. CRIDHO Working paper series 1/2005.

თავსაბურავის ტარებაზე და ამ მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში უნივერსიტეტში დასწრების აკრძალვით ადმინისტრაციამ განმცხადებელი აიძულა, ქვეყანა დაეტოვებინა და სწავლა დაესრულებინა ვენის უნივერსიტეტში. მას, ამგვარად, ალტერნატივა აღარ დარჩა. თუმცა 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Cha'are Shalom Ve Tsedek v. France* ალტერნატიული გზის არსებობა ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რომელიც სასამართლომ მხედველობაში მიიღო იმის დადგენისას, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის დარღვევას (პუნქტები 80-81). და ბოლოს, დიდმა პალატამ სასწორზე არ დადო საპირისპირო ინტერესები, კერძოდ კი, ეროის მხრივ, განმცხადებლის მიერ მიღებული ზარალი, რომელსაც საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის გამო არა მარტო შესაძლებლობა ჩამოერთვა, თურქეთში სწავლა დაესრულებინა, არამედ ასევე, მისთვის შეუძლებელი ჩანდა სამშობლოში დაბრუნება და საკუთარი პროფესიით მუშაობა, იმ სიძნელების გათვალისწინებით, რაც იქ არსებობდა უცხოური დიპლომის აღიარებასთან დაკავშირებით, და, მეორეს მხრივ, თურქეთის საზოგადოების მიერ განმცხადებლისათვის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თავსაბურავის ტარების აკრძალვით მიღებული სარგებელი.

ამ გარემოებებში გონივრულად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ განმცხადებლისათვის ლექციებსა და გამოცდებზე დასწრების აკრძალვა და შემდგომ უნივერსიტეტიდან გარიცხვა არაეფექტურს ხდიდა მის უფლებას განათლებაზე და, შესაბამისად, აკნინებდა თავად ამ უფლების არსს.

18. გარდა ამისა, ისმის კითხვა, განათლების უფლების ამგვარი შეზღუდვა, საბოლოო ჯამში, ხომ არ უტოლდებოდა განმცხადებლის მიმართ რელიგიური საფუძვლით დისკრიმინაციის ირიბ დაშვებას. თავის 2005 წლის 4 ოქტომბრის №1464 (2005) რეზოლუციაში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ნევრ სახელმწიფოებს შეახსენა, რომ მნიშვნელოვანი იყო „მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ქალის სრულად დაცვა რელიგიური ან რელიგიასთან დაკავშირებული საფუძვლით მათი უფლებების დარღვევისაგან“.

19. უფრო ღრმად რომ განვსაჯოთ, სეკულარიზმისა და თანასწორობის სახელით განმცხადებლის უნივერსიტეტიდან გარიცხვის დაშვებით უმრავლესობამ აღიარა მისი გარიცხვა ზუსტად ისეთი ტიპის ლიბერალური გარემოდან, სადაც ასეთი ღირებულებების ნამდვილი მნიშვნელობა შეიძლება ჩამოყალიბდეს და განვითარდეს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ცოდნის ხელმისაწვდომობას, რომელიც თავისუფალი და დამოუკიდებელია ყველა ორგანოსაგან. ამ ტიპის გამოცდილება უფრო ეფექტური საშუალებაა სეკულარიზმისა და თანასწორობის პრინციპების შესახებ ცოდნის ასამაღლებლად, ვიდრე არა ნებაყოფლობით, არამედ თავსმოხვეული ვალდებულება. ტოლერანტობას დაფუძნებული დიალოგი რელიგიასა და კულტურებს შორის თვითონ განათლებაა, ასე რომ ირონიულია ახალგაზრდა ქალისთვის განათლების უფლების ჩამორთმევა თავსაბურავის გამო. ქალთა თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვა არ ნიშნავს მათთვის საკუთარი მომავლის გადანაცვების შანსის ჩამორთმევას. აკრძალვები და გარიცხვები იმას ასახავს, რომ ეს ღონისძიებები განსაზღვრულია ღრმა ფუნდამენტალიზმის აღმოსაფხვრელად. აქ, როგორც ყველგან სხვაგან, რისკი ნაცნობია: რწმენის რადიკალიზაცია, ჩუმი გარიცხვა, რელიგიურ სკოლებში დაბრუნება. მინის კანონით უარყოფის გამო ახალგაზრდა ქალები იძულებულნი არიან, დაუბრუნდნენ თავიანთ კანონს. როგორც ვიცით, შეუწ-

ყნარებლობა წარმოშობს შეუწყნარებლობას.

20. ვამთავრებ იმის აღნიშვნით, რომ ეს საკითხები ასევე განხილული უნდა იქნეს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოქმედი კომისიის (ECRI) მიერ 2005 წლის ივნისში გამოქვეყნებულ წლიურ მოხსენებაში ჩამოყალიბებული მიმოხილვების ფონზე, სადაც გამოთქმულია შემოთავაზება არსებული მტრული კლიმატის გამო იმ პირების მისამართით, რომლებიც არიან ან სხვებს მიაჩნიათ, რომ არიან მუსლიმანები, და სადაც აღნიშნულია, რომ სიტუაცია მომავალში ყურადღებასა და მოქმედებას მოითხოვს.¹⁰ უპირველესად კი ისე და ისე უნდა გავიმეოროთ, რომ ფანატიზმისა და ექსტრემიზმის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის საუკეთესო საშუალება ადამიანის უფლებების დაცვაა.

10 რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოქმედი ევროპული კომისია, „წლიური მოხსენება კომისიის საქმიანობის შესახებ, რომელიც მოიცავს პერიოდს 2004 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე“, *doc. CRI (2005)36*, სტრასბურგი, ივნისი, 2005 წ.

კარალევიჩუსი ლიტვის ნინაღმღებ

Karalevičius v. Lithuania

მესამე სექცია

კარალევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ

(განაცხადი № 53254/99)

განაჩენი

სტრასბურგი

2005 წლის 7 აპრილი

საბოლოო

07/07/2005

წინამდებარე განაჩენი საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული დებულებების შესაბამისად. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „კარალევიჩუს ლიტვის წინააღმდეგ“,
(*Karalevičius v. Lithuania*)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექციამ), რომელიც პალატის სახით შეიკრიბა და შედგებოდა შემდეგი მოსამართლეებისაგან:

ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი, თავმჯდომარე,
ბ-ნი ე. პედიგანი,
ბ-ნი კ. ბირსანი,
ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა,
ქ-ნი რ. ჯეგერი,
ბ-ნი ი. მეიერი,
ბ-ნი დევიდ ტორ ბორგვინსონი, მოსამართლეები,

აგრეთვე სექციის სამდივნოს უფროსი ბ-ნ ვ. ბერგერი,

იმსჯელა რა განცალკევებით 2002 წლის 6 ივნისსა და 2005 წლის 17 მარტს,
2005 წლის 17 მარტს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი.

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (№53254/99), რომელიც წარმოდგენილი იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (შემდგომში „კომისია“) წინაშე ლიტვის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 25-ე მუხლის შესაბამისად, ლიტვის მოქალაქის ბ-ნი ვიტაუტას კარალევიჩუსის (შემდგომში „განმცხადებელი“) მიერ 1998 წლის 5 ოქტომბერს.

2. ლიტვის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდნენ მთავრობის წარმომადგენელი ბ-ნი გ. შეედასი (იუსტიციის სამინისტრო) და ქ-ნი დანუტე იორჩინია (იუსტიციის სამინისტრო).

3. განმცხადებელი ჩიოდა შიშულის წინასწარი პატიმრობის ციხეში პატიმრობის პირობების თაობაზე კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, 1997 წლის 13 ივნისიდან 6 აგვისტომდე, 1999 წლის 29 ივნისიდან 30 ივლისამდე და 1999 წლის 15 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე უკანონო პატიმრობის თაობაზე კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად და კონვენციის ორგანოებთან მისი მიმონერის ცენზურის თაობაზე კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად.

4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს 1998 წლის 1 ნოემბერს, როდესაც ძალაში შევიდა კონვენციის №11 ოქმი (მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

5. განაცხადი გადაეცა სასამართლოს მესამე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). აღნიშნულ სექციაში შეიქმნა პალატა (რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), რომელსაც უნდა განეხილა საქმე (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ბ-ნმა პ. კურისმა, ლიტვის მხრიდან არჩეულმა მოსამართლემ, საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა (რეგლამენტის 28-ე მუხლი). შესაბამისად, მთავრობამ დანიშნა ბ-ნი ყ. ჰედიგანი (კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი და რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

6. არსებით განხილვაზე ნაწილობრივ დასაშვებობის თაობაზე 2000 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივრების ნაწილი.

7. 2002 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით სასამართლომ განაცხადის დანარჩენი ნაწილი არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა.

8. განმცხადებელმა და მთავრობამ საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით წარმოადგინეს თავიანთი მიმოხილვები (რეგლამენტის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

9. განმცხადებელი დაიბადა 1952 წელს და ცხოვრობს ვილნიუსში.

A. სისხლის სამართალწარმოება

10. განმცხადებელი ექვემდებარებული იყო თაღლითობის რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში 1992 წლის ოქტომბრიდან 1993 წლის ოქტომბრამდე. 1994 წელს მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნა სამი ბრალდების – თაღლითობის, დოკუმენტების განადგურებისა და არასწორი ანგარიშგების – საფუძველზე. იმის გამო, რომ განმცხადებელი დაეძალა გამოძიებას, 1994 წლის 21 ნოემბერს პროკურატურამ მასზე ძებნა გამოაცხადა.

11. ლიტვის ხელისუფლების მიერ ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველზე განმცხადებელი დააპატიმრეს მოსკოვში 1996 წლის 24 სექტემბერს. 1996 წლის 30 დეკემბერს იგი ექსტრადირებული იქნა ლიტვაში.

12. 1996 წლის 31 დეკემბერს ქალაქ შიაულიაის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელს შეუფარდა წინასწარი პატიმრობა 1997 წლის 31 იანვრამდე დოკუმენტების განადგურების გამო. სასამართლომ მიუთითა განმცხადებლის გაქცევისა და მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე. 1997 წლის 24 იანვარს სასამართლომ პატიმრობის ვადა 1997 წლის 31 მარტამდე გააგრძელა, 28 მარტს - 1997 წლის 31 მაისამდე, ხოლო 30 მაისს - 1997 წლის 13 ივნისამდე.

13. 1997 წლის 5 ივნისს საქმე ქალაქ შიაულიაის რაიონულ სასამართლოს გადაეცა. 1997 წლის 6 აგვისტოს სასამართლომ განმცხადებლის საქმე სხდომაზე განიხილა. სასამართლომ იმავე დღეს ძალაში დატოვა პატიმრობა, განაცხადა რა, რომ აღმკვეთი ღონისძიება უცვლელი უნდა დარჩენილიყო. პატიმრობის ვადა არ დაკონკრეტებულა.

14. 1998 წლის 10 სექტემბერს ქალაქ შიაულიაის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელს მსჯავრი დასდო თაღლითობასა და დოკუმენტების განადგურებაში, თუმცა მოუხსნა ყალბი ანგარიშების შედგენის ბრალდება. მას შეუფარდა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით. სასამართლომ დააკისრა მას 615 264 ლიტვური ლიტის გადახდა მიყენებული ზიანის გამო ბანკის სასარგებლოდ.

15. 1999 წლის 2 მარტს შიაულიაის საოლქო სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი განმცხადებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, ხოლო თანხა 476 000 ლიტვურ ლიტამდე შეამცირა.

16. განმცხადებლის საკასაციო საჩივრის საფუძველზე 1999 წლის 29 ივნისს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ზემოხსენებული გადაწყვეტილებები და საქმე პირველ ინსტანციაში დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის. უზენაეს სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის თაობაზე.

17. 1999 წლის 30 ივლისს ქალაქ შიაულიაის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელს, როგორც თაღლითობასა და დოკუმენტების განადგურებაში ექვემდებარებულს, შეუფარდა წინასწარი პატიმრობა 1999 წლის 1 სექტემბრამდე. სასამართლომ მიუთითა განმცხადებლის მიმალვის საფრთხეზე. ამასთანავე, რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 1999 წლის 29 ივნისს უზენაეს სასამართლოს არ უმსჯელია განმცხადებლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით. 1999 წლის 31 აგვისტოს განმცხადებელს პატიმრობის ვადა გაუგრძელეს 1999 წლის 15 ნოემბრამდე. 1999 წლის 15 ნოემბერს ვადა გაგრძელებული იქნა 1999 წლის 31 დეკემბრამდე.

1999 წლის 30 დეკემბერს შიაულიაის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა გააგრძელა „საქმეზე სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე“.

18. 2000 წლის 6 მარტს შიაულიაის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელს მსჯავრი დასდო დოკუმენტების განადგურებაში, ხოლო თაღლითობის ნაწილში გაამართლა. განმცხადებელს დაეკისრა 476 000 ლიტვური ლიტის გადახდა მიყენებული ზიანის გამო ბანკის სასარგებლოდ. ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით შემცირდა ერთი მესამედით. განმცხადებელი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, რადგან წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო სასჯელის მოხდად ჩაეთვალა. ამასთანავე, განაჩენის ძალაში შესვლამდე სასამართლომ იგი გირაოთი გაათავისუფლა და შეუფარდა შინაპატიმრობა. სასამართლო სხდომას ესწრებოდნენ განმცხადებელი და მისი ადვოკატი.

19. 2000 წლის 4 მაისს შიაულიაის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი. იმავე დღეს, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, მსჯავრი ძალაში შევიდა და გირაოს შეზღუდვაც მოიხსნა. განმცხადებელი და მისი ადვოკატი ესწრებოდნენ სააპელაციო სასამართლო სხდომას.

20. 2000 წლის 24 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ განიხილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი. სასამართლომ შეცვალა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებები და განმცხადებლის პატიმრობა სამ წლამდე შეამცირა. განმცხადებელი და მისი ადვოკატი ესწრებოდნენ უზენაესი სასამართლოს სხდომას. გადაწყვეტილება საბოლოო იყო.

B. პატიმრობის პირობები

21. 1997 წლის 2 იანვრიდან 1999 წლის 22 სექტემბრამდე განმცხადებელი იმყოფებოდა შიაულიაის წინასწარი პატიმრობის ციხეში (*Siauliy tardymo izoliatorius*). 1999 წლის 22-დან 28 სექტემბრამდე იგი იმყოფებოდა კაუნასის პოლიციის დაკავების იზოლატორში. 1999 წლის 28 სექტემბერს იგი კვლავ მოათავსეს შიაულიაის წინასწარი პატიმრობის ციხეში, სადაც იგი სასჯელს 2000 წლის 6 მარტამდე იხდიდა.

22. განმცხადებელმა შემდეგი ჩვენება მისცა შიაულიაის წინასწარი პატიმრობის ციხეში პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით:

თითოეული პატიმრისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართი 1,5 მ²-ს შეადგენდა. განმცხადებლის თქმით, ცხოვრობდა და ეძინა საკნებში, რომლებიც 20 მ²-ზე ნაკლები იყო და 10-15 პატიმარს იტევდა. თითოეულ საკანში იყო ღია საპირფარეშო. ვენტილაცია ძალიან ცუდი იყო და საკნებში თამბაქოსა და საპირფარეშოს საშინელი სუნე იდგა. საკნები ძალიან ნესტიანი და ცივი იყო, განსაკუთრებით ზამთარში. არასაკმარის საცხოვრებელ ფართს ემატებოდა ციხის ეზოში გასეირნების მცირე დრო (ერთი საათი დღის განმავლობაში). ციხის სანაოლის თეთრეული საშინლად ჭუჭყიანი იყო. მთელი სარეცხი ხელით ირეცხებოდა საკანში არსებულ ნიჟარაში. მუდმივად იყო ცხელი და ცივი წყლის პრობლემა. განმცხადებელს შხაპის მიღება 15 დღეში მხოლოდ ერთხელ შეეძლო. საჭმელი არაპიგიენურ პირობებში მზადდებოდა. თითოეული პატიმრის

კვებაზე მხოლოდ 6 ლიტვური ლიტი იყო გამოყოფილი.

23. მთავრობამ შემდეგი ჩვენება მისცა შიაულიაის წინასწარი პატიმრობის ციხეში განმცხადებლის პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით:

1997 წლის 2 იანვრიდან 1998 წლის 24 აგვისტომდე განმცხადებელი მოთავსებული იყო ციხის მე-11 საკანში, რომელშიც იმ დროისთვის 11 პატიმარი იმყოფებოდა. საკნის მთლიანი ფართობი 16,65 მ²-ს, ანუ თითოეულ პატიმარზე 1,51 მ²-ს, შეადგენდა.

1998 წლის 24 აგვისტოდან 1999 წლის 22 ივნისამდე განმცხადებელი მოთავსებული იყო 86-ე საკანში, რომელშიც 9 პატიმარი იმყოფებოდა. საკნის ფართობი 17,78 მ²-ს, ანუ თითოეულ პატიმარზე 1,98 მ²-ს, შეადგენდა.

1999 წლის 22 ივნისიდან 1999 წლის 28 დეკემბრამდე განმცხადებელი მოთავსებული იყო 87-ე საკანში, რომელშიც 10 პატიმარი იმყოფებოდა. საკნის ფართობი 19,7 მ²-ს, ანუ თითოეულ პატიმარზე 1,97 მ²-ს, შეადგენდა.

2000 წლის 7 იანვრიდან 2000 წლის 12 იანვრამდე განმცხადებელი მოთავსებული იყო 37-ე საკანში, რომელშიც, განმცხადებლის ჩათვლით, 4 პატიმარი იმყოფებოდა. საკნის ფართობი 7,68 მ²-ს, ანუ თითოეულ პატიმარზე 1,92 მ²-ს, შეადგენდა.

2000 წლის 12 იანვრიდან 2000 წლის 3 მარტამდე განმცხადებელი მოთავსებული იყო 84-ე საკანში, რომელშიც 2 პატიმარი იმყოფებოდა. საკნის ფართობი 7,9 მ²-ს, ანუ თითოეულ პატიმარზე 3,95 მ²-ს, შეადგენდა.

საკნებში საპირფარეშო გამოყოფილი იყო 1,2 მეტრის ტიხრებით. ამასთანავე, საკნებს ჰქონდა ფანჯრები; ვენტილაცია და განათება ადეკვატური იყო. პატიმრებს ჰქონდათ მოწვევის უფლება, თუმცა მათ შეეძლოთ მიემართათ ციხის ადმინისტრაციისთვის არამწვევლთა საკანში გადაყვანის თხოვნით. 1997 წელს განახლდა სველი წერილები. 1998 წელს გაიყვანეს გათბობის სისტემა. 1999-2000 წლებში ციხის სააბაზანოს გარემონტების შემდეგ თითოეულ პატიმარს აბაზანით კვირაში ერთხელ სარგებლობის საშუალება მიეცა. 2000 წელს შექნილი იქნა სარეცხი მანქანა-დანადგარები, რამაც შესაძლებელი გახადა პატიმართა ტანსაცმლისა და საწოლის თეთრეულის სათანადო რეცხვა.

C. კონვენციის ორგანოებთან განმცხადებლის მიმონერის ცენზურა

24. განმცხადებლის მტკიცებით, შიაულიაის წინასწარი პატიმრობის ციხის ადმინისტრაციამ ცენზურას დაუქვემდებარა მის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისათვის 1998 წლის 12 და 13 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის 1999 წლის 28 მარტს, 13 ივლისს, 26 აგვისტოს, 5, 8 და 17 ნოემბერს, 26 დეკემბერს, 2000 წლის 15 და 30 იანვარს, 2, 7, 9, 13, 21, 25 და 29 თებერვალს, 2 და 5 მარტს გაგზავნილი წერილები.

25. განმცხადებელი ამტკიცებდა, აგრეთვე, რომ შიაულიაის წინასწარი პატიმრობის ციხის ადმინისტრაციამ გახსნა და მის დაუსწრებლად წაიკითხა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნოს მიერ მისთვის 1998 წლის 17 ნოემბერს, 1999 წლის 21 აპრილს, 9 და 10 აგვისტოს, 8 ოქტომბერს, 14 დეკემბერს, 2000 წლის 17 იანვარს, 2000 წლის 1, 21 და 23 თებერვალს, 3 და 9 მარტს გამოგზავნილი წერილები.

II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა

26. კონსტიტუციის 21-ე მუხლი კრძალავს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. მიუსჯელთა პატიმრობის პირობები რეგულირდება 1996 წლის კანონით წინასწარი პატიმრობის შესახებ. კანონის მე-18 მუხლის თანახმად, წინასწარი პატიმრობის ციხეებში არ უნდა იყოს არაადამიანური ან ღირსების შემლახველი პირობები, ისინი უნდა შეესაბამებოდეს ჯანმრთელობის სამინისტროსა და ხელისუფლების სხვა ორგანოების მიერ დადგენილ სათანადო მოთხოვნებსა და ნორმებს.

27. ქვემოთ მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ დებულებათა მოკლე შინაარსი, რომლებიც გამოიყენებოდა წინასწარ პატიმრობასთან მიმართებაში ზემოაღნიშნულ დროს. ყველა ეს დებულება ამჟამად გაუქმებულია 2003 წლის 1 მაისს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

მუხლი 10:

„არაეის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა სასამართლოს გადაწყვეტილების ან მოსამართლის ბრძანების საფუძველზე...“

მუხლი 104:

„წინასწარი პატიმრობის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ ... იმ შემთხვევებში, როდესაც კანონით დადგენილი სასჯელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ერთი წლის ვადით. ...“

წინასწარი პატიმრობის საფუძვლები უნდა ეფუძნებოდეს ეჭვს, რომ ბრალდებულნი:

- 1) თავს აარიდებს გამოძიებას და სასამართლოს;
- 2) ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას [ზეგავლენას მოახდენს სხვა მხარეებზე ან გაანადგურებს მტკიცებულებებს];
- 3) ჩაიდენს ახალ დანაშაულს ... მაშინ, როდესაც იგი ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის კოდექსის ... [274] [თალითობა,] [275] [მითვისება,] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში ...“

მუხლი 104-1

(მოქმედი 1996 წლის 21 ივნისიდან 1998 წლის 24 ივნისამდე):

„... დაკავებული პირი წარდგენილი უნდა იქნეს სასამართლოს წინაშე არა უგვიანეს 48 საათის განმავლობაში მოსამართლემ უნდა მოუსმინოს პირს დაკავების საფუძვლებთან დაკავშირებით. პროკურორსა და დაკავებული პირის ადვოკატს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება დაკითხვაში.“

დაკავებული პირის დაკითხვის შემდეგ მოსამართლეს შეუძლია ძალაში დატოვოს დაკავების შესახებ ბრძანება და განსაზღვროს პატიმრობის ვადა, შეცვალოს ან გააუქმოს წინასწარი პატიმრობა. ...

საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ..... [სასამართლოს] შეუძლია ბრძანოს, შეცვალოს ან გააუქმოს წინასწარი პატიმრობა."

შეცვლილი მუხლი 104-1 (მოქმედი 1998 წლის 24 ივნისიდან 2003 წლის 1 მაისამდე) ითვალისწინებდა, რომ პროკურორსა და დაკავებული პირის ადვოკატს უნდა მიეღოთ მონაწილეობა პირველ სასამართლო დაკითხვაში, თუ მოსამართლე სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. ამავე დებულების თანახმად, სასამართლოს შეეძლო წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება მის ამონურვამდე.

მუხლი 106 (3)

(მოქმედებდა 1996 წლის 21 ივნისიდან 1998 წლის 24 ივნისამდე):

"წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების მიზნით [წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლემ] უნდა დანიშნოს სხდომა, რომელზეც აუცილებელია დაცვის ადვოკატისა და პროკურორის, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, დაკავებული პირის გამოძახება."

1998 წლის 24 ივნისიდან 2003 წლის 1 მაისამდე მოქმედი კოდექსი დაკავებული პირის დასწრებას წინასწარი პატიმრობის საკითხის განსახილველ სხდომებზე აუცილებლად მიიჩნევდა.

მუხლი 109-1

(მოქმედებდა 1996 წლის 21 ივნისიდან 1998 წლის 24 ივნისამდე):

"დაკავებული პირი ან მისი ადვოკატი უფლებამოსილია, წინასწარი გამოძიების ეტაპზე გაასაჩივროს [სააპელაციო სასამართლოს წინაშე] წინასწარი პატიმრობის თაობაზე გადაწყვეტილება საჩივრის განხილვის მიზნით შესაძლებელია დაინიშნოს სხდომა, რომელზეც გამოძახებულნი უნდა იქნენ დაკავებული პირი და მისი ადვოკატი ან მხოლოდ ადვოკატი. ამგვარ სხდომებზე პროკურორის დასწრება სავალდებულოა."

[სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ] მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება კასაციის წესით გასაჩივრებას.

შემდგომი გასაჩივრება დასაშვებია წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხის განხილვისას."

მუხლი 109-1 (მოქმედი 1998 წლის 24 ივნისიდან 2003 წლის 1 მაისამდე) ითვალისწინებდა წინასწარი პატიმრობის შეფარდების ან მისი ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების შემდგომი სასამართლოს წინაშე გასაჩივრებას და

განხილვას როგორც წინასწარი გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლო პროცესის დროს დაკავებული პირისა და მისი ადვოკატის, ან მხოლოდ ადვოკატის, მონაწილეობით.

მუხლი 226 (6)
(მოქმედი 1998 წლის 24 ივნისამდე):

„პერიოდი, რომლის დროსაც ბრალდებულსა და მის ადვოკატს ხელი მიუწვდებათ საქმის მასალებზე, არ ჩაითვლება წინასწარი გამოძიებისა და პატიმრობის მთლიან ვადაში. როდესაც სახეზეა რამდენიმე ბრალდებული, პერიოდი, რომლის დროსაც ყველა ბრალდებულსა და მათ ადვოკატებს ხელი მიუწვდებათ საქმის მასალებზე, არ ჩაითვლება წინასწარი გამოძიებისა და პატიმრობის მთლიან ვადაში.“

1998 წლის 24 ივნისიდან 2003 წლის 1 მაისამდე ზემოხსენებული პერიოდი აღარ გამოიყენებოდა წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

მუხლი 372 (4)
(მოქმედი 1999 წლის 1 იანვრამდე):

„სასამართლოს გადაწყვეტილებები ... წინასწარი პატიმრობის შეფარდების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ ... არ ექვემდებარება გასაჩივრებას ...“

ზოგადი 399-ე მუხლის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედიოდა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ამონურვის ან სააპელაციო სამართალწარმოების შემდეგ. მხოლოდ ის გადაწყვეტილებები, რომელთა გასაჩივრებაც არ იყო შესაძლებელი, მათ შორის ძველი 372 (4) მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები წინასწარი პატიმრობის შესახებ, შედიოდა ძალაში და აღსრულებას ექვემდებარებოდა მათი გამოტანის დღეს. მუხლი 104-3 (3), რომელიც შეიცვალა 1999 წლის 21 დეკემბერს, აკონკრეტებდა, რომ წინასწარი პატიმრობის შესახებ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა და დაექვემდებარებოდა აღსრულებას მათი მიღების დღეს, იმ ფაქტის მიუხედავად, შესაძლებელი იყო თუ არა ამ გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეცვლილი 109-1 მუხლით (ძალაში იყო 1998 წლის 24 ივნისიდან 2003 წლის 1 მაისამდე, იხ. ზემოთ).

მუხლი 250 (1):

„მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ საკმარისი საფუძველი არსებობს ბრალდებულის სასამართლოსათვის გადასაცემად, მოსამართლემ ერთპიროვნულად ან კოლეგიურად უნდა გადაწყვიტოს ...“

(2) წინასწარი პატიმრობის საკითხი ბრალდებულთან მიმართებაში ...“

„სასამართლო პროცესის მსვლელობისას სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შეფარდების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ ბრალდებულთან მიმართებაში.“

28. კონსტიტუციის 22-ე მუხლი უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების, საოჯახო ცხოვრებისა და მიმონერის პატივისცემის უფლებას.

წინასწარი პატიმრობის შესახებ 1996 წლის კანონის მე-15 მუხლისა და წინასწარი პატიმრობის 1996 წლის შიდა დებულების 72-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც განსახილველ დროს მოქმედებდა, შესაძლებელი იყო წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების წერილების ცენზურა.

წინასწარი პატიმრობის შიდა დებულების 75-ე მუხლის თანახმად, ციხის ადმინისტრაციას არ შეუძლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის გაგზავნილი წერილების გახსნა, თუ ისინი ადმინისტრაციას დალუქული კონვერტით გადაეცა.

83-ე მუხლის შესაბამისად, ციხის ადმინისტრაციამ დაკავებულს უნდა აცნობოს მის სახელზე გამოგზავნილი საპასუხო წერილის თაობაზე წერილის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, არსებული წესის თანახმად, პატიმრებს არ აძლევენ მათ სახელზე მიღებულ ყველა წერილს და მათ ციხის ადმინისტრაცია ინახავს თავის მასალებში.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

29. განმცხადებლის მტკიცებით, შიშულიას ციხეში მისი პატიმრობის პირობები ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმადაც:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს ნამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას თუ სასჯელს.“

30. მთავრობამ კვლავ გაიმეორა თავისი არგუმენტაცია შიშულიას წინასწარი პატიმრობის ციხის პირობებთან დაკავშირებით (იხ. პუნქტი 23). მან აღიარა ის ფაქტი, რომ ციხე გადატვირთული იყო და 425 ადგილზე საშუალოდ 950 პატიმარს იტევდა. ამგვარად, თითოეულ პატიმარს მხოლოდ 2,5 მ²-ზე მიუწვდებოდა ხელი საშუალოდ, მაშინ, როდესაც შიდა კანონმდებლობა 5 მ²-ს ითვალისწინებდა. იმავდროულად, ციხეში საკმარისად იყო დასაძინებელი ადგილი თითოეული პატიმრისთვის, რაც ამ კუთხით განსხვავდებოდა საქმისაგან *Kalashnikov v. Russia* (№47095/99, 15.7.2002, პუნქტი 97, ECHR 2002-VI). მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები რეგულარულად ამონებდნენ ციხეში ჰაერს და ვენტილაციის პირობებს, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, შეესაბამებოდა ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დადგენილ

ნორმებს. წინამდებარე განაცხადი განსხვავდებოდა, აგრეთვე, საქმისაგან *Peers v. Greece*, რომელშიც არასაკმარისი ფართი ცუდ სავენტილაციო სისტემასთან ერთად ზაფხულში აუტანელ სიცხეს განაპირობებდა (№ 28524/95, 19.4.2001, პუნქტი 72, ECHR 2001-III). ამასთანავე, ამ ციხეში საკნებს ჰქონდა ფანჯრები, რაც ქმნიდა ნორმით დასაშვები განათებისა და ვენტილაციის პირობებს.

31. მთავრობისავე განცხადებით, ჯანმრთელობის სამინისტროს ექსპერტებს ძირითად შემთხვევებში არ დაუდგენიათ სანიტარული და საკვები პირობების შეუსაბამობა შიდასახელმწიფოებრივ მოთხოვნებთან. კერძოდ, საპირფარეოები და საშხაპეები ადეკვატური იყო. ამ თვალსაზრისით პატიმრობის ზოგადი პირობები შიაულისა და ნინასნარი პატიმრობის ციხეში არ განსხვავდებოდა პრავიენსკეს ციხის პირობებისაგან, რომლებთან მიმართებაში სასამართლოს არ დაუდგენია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა საქმეში *Valašinas v. Lithuania* (№ 44558/98, 24.7.2001, ECHR 2001-VIII). გარდა ამისა, სათანადო შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან განმცხადებლის პატიმრობის პირობების ზოგიერთი შეუსაბამობა ჯეროვნად იქნა გამოსწორებული. მაგალითად, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საწოლის ლეიბი ნესტიანი იყო, დაუყოვნებელი ზომები იქნა მიღებული საწოლის დიდი ნახერეცების ამოყვების და ლეიბების დეზინფიცირების მიზნით. ანალოგიურად, სხვადასხვა ქმედება განხორციელდა საკნებში თავგებისა და სხვადასხვა სახეობის მავნე მღრღნელების გასანადგურებლად. თუმცა მთავრობამ აღიარა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოღვაწე ექსპერტების ზოგიერთი რეკომენდაცია არ იქნა შესრულებული შიაულისა და ნინასნარი პატიმრობის ციხეში შესაბამისი რესურსების ნაკლებობის გამო; მაგალითად, პატიმრებს არ მიენოვებოდათ ტუალეტის ქალაღი და არ დაყენებულა ელექტროგაყვანილობის ახალი სისტემა.

32. განმცხადებელმა გააპროტესტა საქმეში მოყვანილი ფაქტების შესახებ მთავრობის მტკიცებამა უმრავლესობა, როგორც გამოგონილი და ყალბი და განაცხადა, რომ მთავრობის დასკვნები მე-3 მუხლთან დაკავშირებით დაუსაბუთებლად უნდა მიჩნეულიყო. ამ თვალსაზრისით მან გაიმეორა თავისი ვერსია პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით (იხ. პუნქტი 22) და დაასკვნა, რომ აღნიშნულ პირობებში სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ყოფნა უთანაბრდებოდა მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას.

33. როგორც სასამართლომ არაერთგზის დაადგინა, კონვენციის მე-3 მუხლი წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. იგი აბსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას თუ სასჯელს, მიუხედავად გარემოებებისა და დაზარალებულის საქციელისა. ცუდად მოპყრობა უნდა აღწევდეს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რომ მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში მოხვდეს. სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება შეფარდებითია; იგი დამოკიდებულია საქმეში არსებულ ყველა გარემოებაზე, როგორიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და მორალური შედეგები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. ზემოხსენებული *Valašinas*-ის საქმე, პუნქტები 100-101).

34. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა ხაზგასმით, რომ იმისათვის, რომ ჩაითვალოს წამებად, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობად თუ სასჯელად, მიყენებული ტანჯვა და დამცირება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა

სცდებოდეს კანონიერი მოპყრობის ან სასჯელის თანმდევი ტანჯვისა თუ დამცირების აუცილებელ ელემენტს. თავისუფლების აღმკვეთი ზომები შეიძლება ხშირად შეიცავდეს ასეთ ელემენტს. ამ დებულების თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაპატიმრებული პირი ისეთ პირობებში იმყოფებოდეს, რომლებიც შეესაბამება ადამიანის ღირსების პატივისცემას, რომ აღმკვეთი ზომის აღსრულების მეთოდი და საშუალება არ აყენებდეს ადამიანს ტკივილს ან ტანჯვას ისეთი ინტენსივობით, რაც აღემატება პატიმრობისათვის დამახასიათებელი ტანჯვის დონეს, და რომ თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკული მოთხოვნები, პატიმრის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი (იხ., *loc. cit.*, პუნქტი 102).

35. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში მხარეები აპროტესტებდნენ გარკვეულ გარემოებებს, რომლებიც ეხებოდა შიაულიაის წინასწარი პატიმრობის ციხეში პატიმრობის პირობებს. განმცხადებელი მთავრობას სდებდა ბრალს, რომ არარეალური და მეტისმეტად დადებითი სურათი წარმოადგინა. თუმცა წინამდებარე საქმეში სასამართლო არ მიიჩნევს, რომ აუცილებელია მხარეთა თითოეული აღნიშნული ბრალდების ქვემარტივების დადგენა განაცხადის ამ ნაწილთან მიმართებაში, რადგან სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მე-3 მუხლის დარღვევა იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებიც მთავრობამ წარმოადგინა ან არ გააპროტესტა, შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე.

36. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა სამ წელიწადსა და ერთ თვეზე მეტი ხანი გაატარა შიაულიაის წინასწარი პატიმრობის ციხეში, რომელიც, როგორც მთავრობამ განაცხადა, შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ მოთხოვნებთან შედარებით 100%-ზე მეტით იყო გადასტირებული (იხ. პუნქტები 23 და 30). ამ დროის უმეტესობაში განმცხადებელს ხელი მიუწვდებოდა 2 მ²-ის ფართობზე 16,65 მ²-ის საკანში სხვა პატიმრებთან ერთად (იხ. პუნქტი 23). მთავრობას არ გაუპროტესტებია განმცხადებლის მტკიცება, რომ დღეში მხოლოდ ერთი საათი იყო გამოყოფილი სუფთა ჰაერზე სეირნობისა თუ ვარჯიშისათვის. სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ განმცხადებელი საკანში ყოველდღიურად 23 საათის განმავლობაში იმყოფებოდა. აღნიშნულ გარემოებებში ფართობის უკიდურესი სიმცირე მიჩნეულია ისეთ ასპექტად, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმის დადგენისას, იყო თუ არა სადავო პატიმრობის პირობები „ღირსების შემლახავი“ მე-3 მუხლის კუთხით. ამის საპირისპიროდ, ზემოხსენებულ *Valasinas*-ის საქმეზე არ იქნა დადგენილი მე-3 მუხლის დარღვევა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ, *inter alia*, სასამართლოს შეფასებით, გარკვეულწილად შეზღუდული საძინებელი ფართი დაბალანსებული იყო იმით, რომ პატიმრები დღის განმავლობაში სარგებლობდნენ გადაადგილების შეუზღუდავი თავისუფლებით (*loc. cit.*, პუნქტები 103 და 107).

37. ამ თვალსაზრისით სასამართლო აგრეთვე მიუთითებს ზემოხსენებულ *Peers*-ის საქმეზე, რომელშიც უფრო დიდი, კონკრეტულად კი 7 კვადრატული მეტრის საკანიც კი, სადაც ორი პატიმარი იყო მოთავსებული, მნიშვნელოვან ასპექტად იქნა მიჩნეული მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად, თუმცა ამ ფაქტორს ემატებოდა ვენტილაციისა და განათების ნაკლებობა (*loc. cit.*, პუნქტები 70-72).

38. განმცხადებლის მდგომარეობა ასევე შედარებული უნდა იქნეს ზემოხსენებულ *Kalashnikov*-ის საქმესთან, რომელშიც განმცხადებელი ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სარგებლობდა 0,9-1,9 მ²-ის ფართით, თუ ავითვლით

იმ დღიდან, როდესაც კონვენცია ძალაში შევიდა რუსეთთან მიმართებაში. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში გადატვირთულობის ხარისხი თავისთავად წამოჭრიდა საკითხს კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად (*loc. cit.*, პუნქტები 96-97).

39. ამგვარად, ისევე როგორც ზემოხსენებულ საქმეებში, სასამართლო ფართის უკიდურეს სიმცირეს განიხილავს არსებით ფაქტორად იმის ანალიზისას, თუ რამდენად შეესაბამება განმცხადებლის პატიმრობის პირობები მე-3 მუხლს. ის ფაქტი, რომ განმცხადებელი იძულებული იყო, ეცხოვრა, დაეძინა და ესარგებლა საპირფარეოთი იმავე საკანში სხვა ბევრ პატიმართან ერთად, თავისთავად საკმარისი იყო, გამოეწვია ისეთი ინტენსივობის ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც აღემატება პატიმრობის თანმდევი ტანჯვის დასაშვებ დონეს და განმცხადებელში ინვესტ შიშის, მწუხარებისა და არასრულფასოვნების შეგრძნებას, რასაც შეუძლია მისი დამცირება და შეურაცხყოფა (იხ. ზემოთ; აგრეთვე იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული *Peers*-ისა და *Kalashnikov*-ის საქმეები (იქვე); *Kudla v. Poland [GC]*, № 30210/96, პუნქტი 92, ECHR 2000-XI).

40. და ბოლოს, თუმცა წინამდებარე საქმეში პრინციპულად არ დადგინდა, რომ შიაულიაის წინასწარი პატიმრობის ციხეში ვენტრალაცია, განათება ან სველი წერტილები მიუღებელი იყო მე-3 მუხლის კუთხით, სასამართლო მიუთითებს მთავრობის აღიარებაზე, რომ პატიმრებს მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ეძლეოდათ ტუალეტის ქალაღდი, რომ 1999-2000 წლებში გარემონტებამდე შხაპის გამოყენება კვირაში ერთ ჯერზე ნაკლებად იყო შესაძლებელი, რომ 2000 წლამდე არ არსებობდა სათანადო საშუალებები პატიმრების კუთვნილი ნივთებისა და თეთრეულის გასარეცხად (იხ. პუნქტები 23 და 31). თუმცა ეს ფაქტორები, როგორც ასეთი, ვერ ასაბუთებს „ღირსების შემლახავი“ მოპყრობის ცნებას, მეტისმეტი გადატვირთულობის არსებით ფაქტორთან ერთად ისინი შესატყვისია იმის დასადგენად, რომ განმცხადებლის პატიმრობის სადავო პირობები გასცდა კონვენციის მე-3 მუხლით დაშვებულ ზღვარს.

41. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის დარღვევას.

II. კონვენციის მე-5 მუხლის სავარაუდო დარღვევა

42. განმცხადებელი ჩიოდა, რომ წინასწარ პატიმრობაში ყოფნის სამი პერიოდი, კერძოდ, 1997 წლის 13 ივნისიდან 6 აგვისტომდე, 1999 წლის 29 ივნისიდან 30 ივლისამდე და 1999 წლის 15 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე, არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს, რომლის მიხედვით:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, ესენია:

...

(c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს

სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

...

1. პატიმრობა 1997 წლის 13 ივნისიდან 6 აგვისტომდე

43. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა ნებადართული იყო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, სამართალდარღვევის ჩადენის საფუძველზე. ამ კონკრეტულ პერიოდში განმცხადებლის პატიმრობის გათვალისწინებით მთავრობა ამტკიცებდა, რომ ხსენებული პერიოდი გამართლებული იყო იმ ფაქტით, რომ მოცემულ ეტაპზე წინასწარი გამოძიება უკვე დასრულებული იყო და საქმის მასალები გადაეცა საქმის განმზილველ სასამართლოს.

44. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მთავრობის მიერ მითითებულ გარემოებებს არ შეეძლო შეეცვალა პატიმრობის შესახებ მოქმედი ბრძანება ამ პერიოდის განმავლობაში.

45. სასამართლო კვლავ იხსენებს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში მოცემული ცნებები: „კანონიერი“ და „კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად“ არსებითად ეხება ეროვნულ კანონმდებლობას და სახელმწიფოს ვალდებულებას, მოიყვანოს შესაბამისობაში მატერიალური და პროცედურული წესები. ამდენად, „კანონიერი“ პატიმრობა, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის ყოველთვის გადამწყვეტი ელემენტი. სასამართლომ დამატებით უნდა დაადგინოს, რომ პატიმრობა განსახილველი პერიოდის განმავლობაში შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზანს — პირთა თვითნებური თავისუფლების აღკვეთის თავიდან აცილებას. ამასთანავე, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ შიდა კანონმდებლობა, მათ შორის მასში გამოხატული ან ნაგულისხმევი ზოგადი პრინციპები, თავისთავად შესაბამისობაშია კონვენციასთან (*Jėčius v. Lithuania*, 34578/97, 31.7.2000, პუნქტი 56, ECHR 2000-IX).

46. *Jėčius*-ის საქმეზე სასამართლომ დაადგინა, *inter alia*, რომ ის ფაქტი, რომ საქმის მასალები გადაეცა სასამართლოს, არ წარმოადგენდა წინასწარი პატიმრობის „კანონიერ“ საფუძველს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით და მას არ შეეძლო შიდა კანონმდებლობით დადგენილი კანონიერი პატიმრობის ვადის გაგრძელება ან შეცვლა (*loc. cit.*, პუნქტები 56-64).

47. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1997 წლის 13 ივნისიდან 6 აგვისტომდე არ არსებობდა მოსამართლის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა განმცხადებლის პატიმრობას იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 და 104-1-ლი მუხლების შესაბამისად; განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის არც სხვა რაიმე „კანონიერი“ საფუძველი არსებობდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად (იხ. იქვე, *mutatis mutandis*).

48. ამდენად, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ზემოხსენებულ პერიოდთან მიმართებაში.

2. წინასწარი პატიმრობის პერიოდი 1999 წლის 29 ივნისიდან 30 ივლისამდე

49. მთავრობის მტკიცებით, უზენაესმა სასამართლომ, გააუქმა რა განმცხადებლის მსჯავრდება 1999 წლის 29 ივნისს, განაახლა წინა გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებდა განმცხადებლის წინასწარ პატიმრობას.

50. განმცხადებლის მტკიცებით, არც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და არც კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი არ უშვებდნენ მის პატიმრობას მოცემული პერიოდის განმავლობაში და რომ უზენაეს სასამართლოს, გააუქმა რა მისი მსჯავრდება, უნდა მიეღო ბრძანება მისი გათავისუფლების თაობაზე.

51. სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განმცხადებლის მსჯავრდება 1999 წლის 29 ივნისს, მაგრამ არ მიუთითა პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ რაიმე გადაწყვეტილებაზე ან სამართლებრივ საფუძველზე. პატიმრობის შესახებ წინა ბრძანებებზე უკუტყვევითი ძალის გავრცელებას არ შეიძლებოდა წარმოედგინა „კანონიერი“ საფუძველი განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში დარჩენისათვის (იხილეთ *Stašaitis v. Lithuania*, 47679/99, 21.3.2002, პუნქტები 74-76). ამგვარად, 1999 წლის 30 ივლისამდე სასამართლოს არ მიუღია არანაირი ბრძანება განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ (იხ. პუნქტი 17).

52. აქედან გამომდინარე, 1999 წლის 29 ივნისიდან 30 ივლისამდე არ არსებობდა სასამართლოს რაიმე ბრძანება ან სხვა „კანონიერი“ საფუძველი, რომელიც გაამართლებდა განმცხადებლის პატიმრობას მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად (იხ. იქვე, ზემოხსენებული *Stašaitis*-ის საქმე).

53. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ზემოხსენებულ პერიოდთან მიმართებაში.

3. წინასწარი პატიმრობის პერიოდი 1999 წლის 15 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე

54. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნით, პატიმრობის ნებისმიერი პერიოდი უნდა შეესაბამებოდეს შიდა კანონმდებლობას და არ უნდა იყოს თვითნებური (იხ. ზემოხსენებული *Jéčius*-ის საქმე, პუნქტი 56). იმდენად, რამდენადაც განმცხადებელი ჩიოდა 1999 წლის 15 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე პატიმრობასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ პერიოდზე ვრცელდებოდა სასამართლოს ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა მის წინასწარ პატიმრობას (იხ. პუნქტი 17). არც რაიმე მტკიცებულება არსებობს, რომ პატიმრობა თვითნებური იყო, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო თალითობაში და რომ იგი ადრე დაემალა გამოძიებას (იხ., *inter alia*, ზემოხსენებული *Stašaitis*-ის საქმის დასაშვებობის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილება, 28.11.2000). შესაბამისად, განმცხადებლის პატიმრობა 1999 წლის 15 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე იყო „კანონიერი“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით.

55. აქედან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონია მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ზემოხსენებულ პერიოდთან მიმართებაში.

III. კონვენციის მე-8 მუხლის საპარაულო დარღვევა

56. განმცხადებელი აგრეთვე ჩიოდა, რომ შიშულიაის წინასწარი პატიმრობის ციხის ადმინისტრაცია ხსნიდა კონვენციის ორგანოებისათვის გაგზავნილ ან მათგან მიღებულ წერილებს. განმცხადებლის მტკიცებით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. ამ მუხლის მიხედვით:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის ... მიმონერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ... უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ...“

57. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელს თვითონვე მიუძღოდა ბრალი კონვენციის ორგანოებისთვის გაგზავნილი წერილების ცენზურაში, რადგან იგი მათ ციხის ადმინისტრაციას არ აძლევდა დალუქული კონვერტებით, როგორც ამას ითვალისწინებდა წინასწარი პატიმრობის შესახებ წესების 75-ე მუხლი. თუმცა მთავრობას არ უარუყვია, რომ სასამართლოს მიერ განმცხადებლისთვის გაგზავნილი წერილები ციხის ადმინისტრაციამ გახსნა და წაიკითხა განმცხადებლის დაუსწრებლად; ამ კუთხით მთავრობამ დაადასტურა, რომ გარედან მიღებული წერილები გადაეცა განმცხადებელს და რომ შემდგომში ისინი ჩაიდო ციხის მასალებში, წინასწარი პატიმრობის შესახებ წესების 74-ე და 83-ე მუხლების შესაბამისად.

58. განმცხადებელმა უარყო მთავრობის ბრალდებები, განაცხადა რა, რომ იმ დროს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ უშვებდა მისი მიმონერის ცენზურის შესაძლებლობას და ცენზურა ნებისმიერ შემთხვევაში გაუმართლებელი იყო კონვენციის მე-8 მუხლის კუთხით.

59. როგორც სასამართლო აღნიშნავს, მთავრობას არ უარუყვია, რომ ციხის ადმინისტრაციამ კონვენციის ორგანოებთან განმცხადებლის კორესპონდენცია მის დაუსწრებლად გახსნა და წაიკითხა. მთავრობა მხოლოდ ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს თვითონვე მიუძღოდა ბრალი ცენზურაში, რადგან ის ამ წერილებს ციხის ადმინისტრაციას არ აწვდიდა დალუქული კონვერტებით.

60. შემდეგ სასამართლო მიუთითებს მხარეთა არგუმენტაციაზე იმის თაობაზე, იყო თუ არა დაშვებული ცენზურა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით იმ დროს. თუმცა სასამართლო არ თვლის საჭიროდ, უპასუხოს ამ კითხვას, რადგან, თუნდაც დაეუშვათ, რომ ცენზურას ჰქონდა საფუძველი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში და ის დანაშაულის თავიდან აცილების კანონიერ მიზანს ემსახურებოდა, კონვენციის ორგანოებთან განმცხადებლის მიმონერის კონტროლი არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ვინაიდან მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე საფუძველიანი არგუმენტი ჩარევის გასამართლებლად (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული *Valasinas*-ის საქმე, პუნქტები 128-130). ამ კუთხით სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ფაქტი, რომ განმცხადებელს არ გადაუცია თავისი წერილები დალუქული კონვერტებით, არ არის საკმარისი ციხის ადმინისტრაციის მიერ კორესპონდენ-

ციის ცენზურის გასამართლებლად. არა აქვს გამართლება არც განმცხადებლის მიერ სასამართლოსათვის გაგზავნილი წერილების კონტროლს.

61. სასამართლო ადგენს, რომ ამ თვალსაზრისით ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

62. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერეელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

63. საკუთარი და თავისი საქმიანი პარტნიორების სახელით განმცხადებელმა მოითხოვა 45 მილიონი აშშ დოლარი, 35 მილიონი აშშ დოლარი, 5 მილიონი აშშ დოლარი და 22 190 692,80 ლიტვური ლიტი მატერიალური ზიანისათვის, რომელიც, მისი მტკიცებით, განიცადა დაკარგული შემოსავლისა და შესაძლებლობების სახით. იგი მოითხოვდა, აგრეთვე, 10 000 200 ევროს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

64. მთავრობის მტკიცებით, ეს პრეტენზია გადაჭარბებული იყო.

65. სასამართლოს აზრით, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი კონვენციის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლების დარღვევის დადგენასა და სავარაუდო მატერიალურ ზიანს შორის (იხ., *mutatis mutandis*, ზემოხსენებული *Kalashnikov*-ის (პუნქტი 137), *Jėčius*-ის (პუნქტი 106), *Stasaitis*-ის (პუნქტი 96) საქმეები; აგრეთვე იხილეთ *Jankauskas v. Lithuania*, 49304/00, 24.2.2005, პუნქტი 28). აქედან გამომდინარე, იგი ვერ ხედავს განმცხადებლისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების რაიმე საფუძველს.

66. ამასთანავე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა რეალურად განიცადა არამატერიალური ზიანი კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად დადგენილი დარღვევის კუთხით პატიმრობის ღირსების შემლახავი პირობების გამო (იხ. ზემოხსენებული *Peers*-ის (პუნქტი 88) და *Kalashnikov*-ის საქმეები (პუნქტი 143)). სასამართლო, ახდენს რა შეფასებას სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, განმცხადებელს მიაკუთვნებს 3 000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში.

67. შემდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა 85 დღე გაატარა პატიმრობაში კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევით (იხ. პუნქტები 43-53). განმცხადებელმა ამ კუთხით აგრეთვე განიცადა არამატერიალური ზიანი (იხ. *Jėčius*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენის პუნქტი 109; აგრეთვე იხილეთ ზემოხსენებული *Stasaitis*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენის პუნქტი 99). სასამართლო, ახდენს რა შეფასებას სამართლიანობის პრინციპის საფუძველ-

ზე, განმცხადებელს მიაკუთვნებს 8 000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევასთან მიმართებაში.

68. სასამართლო მიიჩნევს, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის დადგენა განმცხადებლის კორესპონდენციის ცენზურის გამო (იხილეთ ზემოხსენებული *Jankauskas*-ის საქმე, პუნქტი 28). სასამართლო, ახდენს რა შეფასებას სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, განმცხადებელს მიაკუთვნებს 1 000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში.

69. მთლიანად სასამართლო სამართლიანი დაკმაყოფილების სახით განმცხადებელს მიაკუთვნებს 12 000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის წინამდებარე საქმეში კონვენციის დარღვევებთან მიმართებაში.

B. ხარჯები და განუღი დახარჯები

70. განმცხადებელი მოითხოვდა 83 368 ევროს ხარჯებისა და განუღი დახარჯებისათვის.

71. მთავრობამ აღნიშნული პრეტენზიები დაუსაბუთებლად ცნო.

72. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისი ანაზღაურების მიზნით უნდა დადგინდეს, რომ ხარჯები რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული გონივრული ოდენობით (იხ. ზემოხსენებული *Stašaitis*-ის საქმე, პუნქტი 102).

73. სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუმცა განმცხადებელი სამართალწარმოების ზოგიერთ ეტაპზე მიუთითებდა, რომ მას სხვადასხვა ადვოკატი იცავდა, ფაქტობრივად მან თვითონ წარმოადგინა სასამართლოს სახელზე გაგზავნილი წერილების უმრავლესობა და ხელი მოაწერა მათ. ცხადია, რომ ადვოკატის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხებოდა შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების წინაშე განმცხადებლის დაცვას სისხლის სამართლის ბრალდებისაგან. აღნიშნული ხარჯები არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ დადგენილი კონვენციის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლების დარღვევის ანაზღაურებისთვის საჭიროებისამებრ გაღებულ ხარჯებს (იხ., *inter alia, loc. cit.*, პუნქტი 103). განმცხადებლის მიერ კონვენციის დარღვევის წინააღმდეგ თავის დაცვის მიზნით გაღებული რეალური სამართლებრივი ხარჯების შეფასების შესაბამისად სასამართლო ანიჭებს განმცხადებელს 1 000 ევროს.

C. საურავი

74. სასამართლოს მიაჩნია, რომ დადგენილი უნდა იქნეს საურავი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი განაკვეთით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულთან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარ-

ლევას 1997 წლის 13 ივნისიდან 6 აგვისტომდე განმცხადებლის პატიმრობასთან მიმართებაში;

3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას 1999 წლის 29 ივნისიდან 30 ივლისამდე განმცხადებლის პატიმრობასთან მიმართებაში;
 4. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას 1999 წლის 15 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე განმცხადებლის პატიმრობასთან მიმართებაში;
 5. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას;
 6. ადგენს, რომ
- (ა) მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც განაჩენი საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 12 000 (თორმეტი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისათვის და 1 000 (ერთი ათასი) ევრო ხარჯებისა და განუული დანახარჯებისათვის, რასაც დაემატება ნებისმიერი დამატებითი ღირებულების გადასახადი;
- (ბ) ზემოხსენებული სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ საბოლოო გადახდამდე ზემოხსენებულ თანხებს დაერიცხება ჯარიმა ევროპის ცენტრალური ბანკის სასესხო განაკვეთის თანაბარი ოდენობით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.
7. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2005 წლის 7 აპრილს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ბოსტიანი მ. ზუპანჩიჩი
თავმჯდომარე

ვინსენტ ბერგერ
მდივანი

რეზოკი სლოვენიის წინააღმდეგ

Rehbock v. Slovenia

პირველი სექცია

რეპოკი სლოვენის წინააღმდეგ

(განაცხადი № 29462/95)

ბანაჩენი

სტრასბურგი

2000 წლის 28 ნოემბერი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „რებოკი სლოვენის წინააღმდეგ“,
(*Rehbock v. Slovenia*)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (პირველმა სექციამ), რომელიც პალატის სახით შეიკრიბა შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით:

ქ-ნი ე. პალმი, თავმჯდომარე,
ბ-ნი ლ. ფერარი ბრაგო,
ბ-ნი გაუკურ იორუნდსონი,
ბ-ნი რ. ტურმენი,
ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი,
ბ-ნი თ. პანტირუ,
ბ-ნი რ. მარუსტე, მოსამართლეები,

აგრეთვე სექციის რეგისტრატორი ბ-ნი მ. ობოილე,

იმჯელა რა განცალკევებით 2000 წლის 16 მაისსა და 7 ნოემბერს,

2000 წლის 7 ნოემბერს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

1. საქმე სასამართლოს გადასცა კომისიამ 1999 წლის 11 სექტემბერს იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე (მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და კონვენციის ადრე მოქმედი 48-მუხლი).

2. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (№29462/95), რომელიც წარმოდგენილი იქნა სლოვენის წინააღმდეგ კონვენციის ადრე მოქმედი 25-ე მუხლის შესაბამისად გერმანიის მოქალაქის ბ-ნი ერნსტ რებოკის (შემდგომში „განმცხადებელი“) მიერ 1995 წლის 17 სექტემბერს.

3. კერძოდ, განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი დაექვემდებარა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას, რომ მას არ ჰქონდა ისეთი სამართალწარმოება, რომლითაც მისი პატიმრობის კანონიერება სწრაფად გადანუდებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რომ არ იქნა დაცული მისი უფლება კომპენსაციაზე, გათვალისწინებული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით, და რომ მისი მიმონერა ხელყოფილი იქნა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით.

4. 1998 წლის 20 მაისს კომისიამ განაცხადი არსებით განხილვაზე ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა. კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში დასაშვებობის თაობაზე მიუთითა, რომ სლოვენის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) არ წარმოუდგენია რაიმე კომენტარი სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ამონურვის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რასაც ითვალისწინებს კონვენციის ადრე მოქმედი 26-ე მუხლი. ამგვარად, კომისიამ დაადგინა, რომ არ შეიძლება განაცხადის შესაბამისი ნაწილის უარყოფა იმის გამო, რომ არ იქნა ამონურული სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები.

5. 1999 წლის 23 აპრილის მოხსენებაში (კონვენციის ადრე მოქმედი 31-ე მუხლი) [სამდივნოს შენიშვნა: ამ მოხსენების მოპოვება შესაძლებელია სამდივნოდან] კომისიამ გამოხატა თავისი აზრი, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და მე-8 მუხლის (კომისიასთან განმცხადებლის მიმონერის შემონემების თვალსაზრისით) დარღვევას. შემდგომში კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას განმცხადებლის სხვა კორესპონდენციის შემონემების თვალსაზრისით.

6. განმცხადებელს მიეცა სამართლებრივი დახმარება.

7. 1999 წლის 20 სექტემბერს დიდი პალატის კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმე უნდა განეხილა პალატას, რომელიც შედიოდა სასამართლოს ერთ-ერთი სექციის შემადგენლობაში (მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რეგლამენტის მე-100 მუხლის პირველ პუნქტთან და 24-ე მუხლის მე-6 პუნქტთან ერთად). ამგვარად, განაცხადი გადაეცა პირველ სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი). აღნიშნული სექციის შემადგენლობაში შეიქმნა პალატა, რეგლამენტის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რომელსაც უნდა განეხილა საქმე (კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტი).

8. განმცხადებელმა და მთავრობამ წარმოადგინეს თავიანთი მიმოხილვები.
9. საქმის მოსმენა შედგა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2000 წლის 16 მაისს (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

(ა) მთავრობის სახელით

ბ-ნი ლ. ბემბისი, გენერალური პროკურორი, მთავრობის წარმომადგენელი,
ქ-ნი მ. რემიკი, პროკურორი, თანაწარმომადგენელი,
ქ-ნი მ. სმიტი, ევროპის საბჭოში სლოვენის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე,
ბ-ნი მ. გრანდა, მთავრობის უფროსი ექსპერტი-მრჩეველი;

(ბ) განმცხადებლის სახელით

ბ-ნი ფ. ქ. ბრემი, როტენბურგის ადვოკატთა კოლეგიის ადვოკატი,
ბ-ნი ე. ჰიპელი, თარჯიმანი.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ბრემის, ქ-ნი რემიკისა და ბ-ნი ბემბისის გამოსვლები.

ფაქტები

I. საქმის ბარემოჯგუჯი

A. განმცხადებლის მიმართ მოპყრობა დაკავებისა და შემდგომი პატიმრობის დროს

1. განმცხადებლის მიმართ მოპყრობა დაკავების დროს

10.1995 წლის 8 სექტემბერს, დაახლოებით დღის 2 საათზე, განმცხადებელმა გადაკვეთა ავსტრიისა და სლოვენის საზღვარი შანტილისთან ახლოს თავისი პარტნიორის კუთვნილი მანქანით. მანქანაში მას ჰქონდა აბების შეკვრა, რომლის სლოვენიაში ჩატანაც სთხოვა სლოვენიური წარმოშობის ნაცნობმა. მას ამის შესახებ არ განუცხადებია საბაჟოს თანამშრომლებისთვის. იმავე დღეს, საღამოს 4 საათსა და 55 წუთზე, განმცხადებელი დააკავა სლოვენის პოლიციამ დოლიჩში, დაახლოებით 70 კილომეტრის მოშორებით საზღვრის გადაკვეთიდან, სადაც მას აბები სხვა პირისთვის უნდა გადაეცა.

11. დაკავების პირობებს მხარეები სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ.

12. ფაქტების განმცხადებლისეული ვერსიის მიხედვით, ის ალყაში მოაქცია ექვსმა შეიარაღებულმა მამაკაცმა. თეთრ და შავნიღბიანებმა იერიში მიი-

ტანეს განმცხადებელზე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე. შორიახლოს რამდენიმე ადამიანი იდგა. განმცხადებელი სწრაფად აიყვანეს, მას არც კი უცდია წინააღმდეგობის გაწევა. იგი ყვიროდა გერმანულ და ინგლისურ ენებზე, რომ არ უნევედა მათ წინააღმდეგობას, თუმცა მაინც ძალით მიათრიეს მანქანის ძრავის სახურავამდე. მას ხელები ზურგსუკან ბორკილებით ჰქონდა შეკრული. იმავდროულად, სხვა ოთხი ადამიანი მას თავში ურტყამდა ხელკეტებსა და მუშტებს. სახე მძიმედ ჰქონდა დაშავებული და საშინელ ტკივილს განიცდიდა.

13. 1999 წლის 25 ნოემბრის მიმოხილვაში მთავრობამ განმარტა, რომ განმცხადებელი დაკავებული იქნა იმ ღონისძიების კონტექსტში, რომელიც დაგეგმილი იყო ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. როდესაც განსაზღვრავდნენ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო იმ ჯგუფის შემადგენლობაში, ვინც დაკავების ოპერაციას განახორციელებდა, ხელისუფლებამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ განმცხადებელი, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობაში იყო ეჭვმიტანილი, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი იყო, რამეთუ მან რამდენჯერმე გაიმარჯვა ათლეტიზმის სახეობაში გერმანიის ჩემპიონატში.

14. როგორც მთავრობამ განაცხადა სასამართლოს წინაშე ზეპირი ფორმით, იგი დაეყრდნო ამ მიზნით შექმნილი სამი წევრისაგან შემდგარი კომისიის დასკვნას, როდესაც 1996 წლის 9 თებერვალს სლოვენი გრადეცის პოლიციის ადმინისტრაციამ მიიღო ბრძანება, რომელსაც უნდა განესაზღვრა, თუ რამდენად იყო გამართლებული ძალის გამოყენება განმცხადებლის დაკავებისას. დასკვნა მიღებული იქნა 1996 წლის 8 მარტს, ხოლო მთავრობამ მისი ასლი წარუდგინა სასამართლოს 2000 წლის 23 მაისს საქმეზე არსებითი მოსმენის დროს. შესაბამისი ნაწილი ასე იკითხება:

„ ... ოთხი გამომძიებელი იქნა გამოყოფილი ნარკოტიკებით მოვაჭრეთა დასაკავებლად ... ისინი ტანდარტულ ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი - ეცვათ საიდენტიფიკაციო უაქეტები და ჰქონდათ პირადი იარაღი, აგრეთვე ხელბორკილები და სხვა აღჭურვილობა ეჭვმიტანილის დასაკავებლად ... “

ავტოსადგომზე [ეჭვმიტანილებს] მიუახლოვდნენ გამომძიებლები, რომლებმაც იყვირეს: „სდეე! პოლიცია!“ და ეჭვმიტანილებს ადგილზე გაშუშება უბრძანეს ... გამომძიებლები ბ. და კ. მიუახლოვდნენ [განმცხადებელს] და სცადეს მისი გაჩხრეკა ... [განმცხადებელი] არ დაემორჩილა მათ ბრძანებას და გაქცევა სცადა. გამომძიებლებმა ბ.-მ და კ.-მ ხელი შეუშალეს და დააკავეს იგი. მათ სცადეს „იდაყვის ილეთით“ დაეჭირათ იგი ... იყო რა ფიზიკურად ძლიერი, განმცხადებელმა ხელიდან დასხლტომა სცადა. გამომძიებლები განაგრძობდნენ მის ალყაში მოქცევას [განმცხადებლის] გაქცევის აღკვეთის მიზნით. [განმცხადებლის] ფიზიკური ძალის გამო მათ ვერ შეძლეს ალყის შენარჩუნება და, ამდენად, დაუშვეს, რომ იგი [განმცხადებელი] მინაზე დაეგდო. რადგან [განმცხადებელი] კვლავ თავის დაღწევას ცდილობდა, გამომძიებლები იძულებულნი გახდნენ, მინაზე თავიანთ სიახლოვეს მიეთრიათ. რადგან [განმცხადებელი] წინააღმდეგობას უნევედა და არსებობდა მისი გაქცევის საფრთხე, მათ არ შეეძლოთ უკეთესი ადგილმდებარეობის შერჩევა, სადაც მას არ შეეეშებოდა და ზიანების საფრთხე.

მათ [განმცხადებელი] მიაგდეს მინაზე გაჩერებულ მანქანებს შორის. ამ დროს [განმცხადებელმა] თავი გაჩერებული მანქანის ფრთას მიარტყა და აეტოსადგომის გულდრონით მოპირკეთებულ ზედაპირზე დაეცა. ამასობაში გამომძიებლებმა [განმცხადებელს] ხელბორკილები დაადეს.

ყველა [სამივე] ეჭვმიტანილი ნაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში სლოვენნი გრადეცში. დაკავების დროს [განმცხადებელს] არ გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია ტკივილის ან დაზიანების თაობაზე ..."

8 სექტემბერს, დილის 4 საათსა და 55 წუთზე, [სამივე ეჭვმიტანილი] ნაიყვანეს ციხეში ... და 1995 წლის 10 სექტემბერს წარადგინეს ისინი სლოვენნი გრადეცის რაიონულ სასამართლოში გამომძიებელი მოსამართლის წინაშე, რომელმაც მიიღო დაპატიმრების შესახებ ბრძანება ...

1995 წლის 9 სექტემბერს [განმცხადებელმა] საჩივარი გამოთქვა, რომ ყბის ტკივილი აწუხებდა ... იგი ნაიყვანეს სლოვენნი გრადეცის სამედოცინო პუნქტში, სადაც დაუდგინეს ქვედა ყბის მოტეხილობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ...

სპეციალურად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კომისიამ დაასკვნა, რომ გამომძიებლების კ.-ისა და ბ.-ის ქმედება მართლზომიერი იყო და შეესაბამებოდა კანონს. [განმცხადებლისათვის] მიყენებული დაზიანება მოხდა უშუალოდ დაკავების ადგილზე, როდესაც იგი მინაზე წააქციეს ...

[განმცხადებლის] დაკავებისას გამომძიებლებმა გამოიყენეს იძულების საშუალო ფორმები: ფიზიკური ძალა და ხელბორკილები. ამით ხელი შეუშალეს დაკავებულ პირს დანაშაულის ადგილიდან გაქცევაში. დაზიანება იმან განაპირობა, რომ [განმცხადებელმა] წინააღმდეგობა გაუწია მათ დაკავების დროს და, ამგვარად, გამომძიებლებს არ შეეძლოთ, მინაზე სხვა ადგილას წაექციათ შედარებით ნაკლები ძალის გამოყენებით.

შედეგის მიუხედავად, კომისია ადგენს, რომ ძალის გამოყენება გამართლებული იყო და შეესაბამებოდა „შინაგან საქმეთა ორგანოების შესახებ კანონის“ 54-ე მუხლსა და „იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 და მე-12 მუხლებს ...

15. 2000 წლის 23 მაისით დათარიღებული წერილით მთავრობამ ასევე აცნობა სასამართლოს, მისი მოთხოვნისამებრ, რომ ოპერაციაში მონაწილეობდა პოლიციის ცამეტი ოფიცერი, რომელთაგან ორს ევალებოდა განმცხადებლისთვის ხელბორკილის დადება.

2. განმცხადებლის მიმართ მოპყრობა პატიმრობის დროს

16. დაკავების შემდეგ განმცხადებელი ნაიყვანეს სლოვენნი გრადეცის პოლიციაში. როგორც [განმცხადებელი] ამტკიცებდა სასამართლოს წინაშე, მას

თავის ტკივილი ანუხებდა და პრობლემები ჰქონდა მხედველობასთან დაკავშირებით, ექიმმა კი იგი პირველად მხოლოდ 1995 წლის 9 სექტემბერს დილით გასინჯა. 1995 წლის 9 სექტემბერს, დღის 2 საათსა და 50 წუთზე, განმცხადებელმა დანერა და ხელი მოაწერა განცხადებას, რომელშიც, მისი თქმით, პოლიციის მითითების საფუძველზე დანერა, თითქოს წინა დღით ნაიქცა და სახე მანქანის ფრთას დაარტყა.

17. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელმა პირველად ყბის ტკივილზე მიუთითა მხოლოდ 1995 წლის 9 სექტემბერს დილით და ექიმი დაუყოვნებლივ იქნა გამოძახებული. ექიმმა რეკომენდაცია მისცა, რომ განმცხადებელი გამოეკვლიათ სლოვენის გრადეცის სამედიცინო დაწესებულებაში, საიდანაც იგი გადაყვანილი იქნა მარიბორის საავადმყოფოში.

18. სასამართლოს წინაშე წარდგენილი დოკუმენტები მიუთითებს, რომ განმცხადებელი საფუძვლიანად გამოიკვლია მარიბორის საავადმყოფოს ქირურგიის განყოფილების ყელ-ყურისა და სახის ექიმმა 1995 წლის 9 სექტემბერს. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ იგი საავადმყოფოში პოლიციამ მიიყვანა ყბის დაზიანებით. განმცხადებელმა ექიმს უთხრა, რომ მას დაზიანება პოლიციამ მიაყენა, ამ უკანასკნელმა კი აღნიშნა, რომ დაკავებისას განმცხადებელი დაეცა მანქანის ფრთაზე.

19. ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებლის საფეთქლისა და ქვედა ყბის სახსარი მგრძნობიარე იყო ზეწოლისას და მას არ შეეძლო პირის სათანადოდ გაღება. დასკვნაში შემდგომში ნათქვამი იყო, რომ განმცხადებელს აღნიშნუბოდა არასწორი თანკბილვა, რადგან მარტენა მხარეს კბილები გადაადგილებული ჰქონდა. ექიმმა რენტგენზე გაამუქა განმცხადებელი და ყბის ორმაგი მოტეხილობა და სახის კონტურზია დაუდგინა.

20. ექიმმა დაასკვნა, რომ საჭირო იყო ქირურგიული ჩარევა საერთო ანესთეზიით და მიიღო წინასწარი ზომები მომდევნო დღისთვის. მან პოლიციას ნება დართო, რომ ამ ხნის განმავლობაში განმცხადებელი პათიმრობაში დაეტოვებინა.

21. 1995 წლის 10 სექტემბერს განმცხადებელი წაიყვანეს საავადმყოფოში, თუმცა იგი არ დასთანხმდა ოპერაციას, რადგან თვლიდა, რომ მალე გაათავისუფლებდნენ და ოპერაციას გერმანიაში გაიკეთებდა. შეთანხმდნენ, რომ განმცხადებელი გამოკვლევას კვლავ ჩაიტარებდა 1995 წლის 12 სექტემბერს.

22. 1995 წლის 12 სექტემბერს განმცხადებელს კვლავ ჩაუტარდა გამოკვლევა. მისი განცხადებით, იგი ცუდად გრძნობდა თავს და გული ერეოდა. იგი არ დაეთანხმა ექიმის რეკომენდაციას ქირურგიული ჩარევის შესახებ. ექიმმა ბრძანა, რომ განმცხადებლისათვის ფაფები ეჭმიათ. შემდეგი გამოკვლევა 1995 წლის 18 სექტემბრისთვის დაინიშნა.

23. 1995 წლის 18 სექტემბრის სამედიცინო დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ განმცხადებელი თავს უკეთესად გრძნობდა. თუმცა შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ანუხებდა ტკივილი ლეჭვისა და ჭამის დროს.

24. 1995 წლის 25 სექტემბერს განმცხადებელმა უარი თქვა საავადმყოფოში შემდგომი გამოკვლევის ჩატარებაზე.

25. განმცხადებელს კვლავ ჩაუტარეს გამოკვლევა მარიბორის საავადმყოფოში 1995 წლის 3 ოქტომბერს, 25 და 27 ნოემბერს. მან აღნიშნა, რომ ყბასთან დაკავშირებული პრობლემა ოდნავ გამოუსწორდა, მაგრამ უჩიოდა მუცლის ტკივილსა და სისხლს ესკრემენტში. ექიმებმა სპეციალური დიეტა გამოუწერეს

და, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი გამოკვლევა დაუნიშნეს.

26. 1995 წლის 4 დეკემბერს განმცხადებელს გამოკვლევა ჩაუტარდა მარიბორის საავადმყოფოში. დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ მისი თანკბილვა შეცვლილი იყო და მას ყბა სტკიოდა.

27. 1995 წლის 7 დეკემბერს განმცხადებელს მკურნალობა ჩაუტარდა მარცხენა მტევნის ორ ზედაპირულ ქრილობაზე, რაც თვითონვე მიაყენა საკუთარ თავს 1995 წლის 3 დეკემბერს, დეპრესიაში ყოფნისას.

28. იუსტიციის სამინისტროსათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც დათარიღებული იყო 1995 წლის 17 დეკემბრით, განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი სასტიკად იყო ნაცემი და აწუხებდა ყბის ორმაგი მოტეხილობა. მან განაცხადა, რომ არ ჩაუტარდა სათანადო სამედიცინო მკურნალობა და მოითხოვა 1 000 000 გერმანული მარკა ზიანის ასანაზღაურებლად.

29. შემდეგი სამედიცინო გამოკვლევა განმცხადებელს 1996 წლის 16 იანვარს ჩაუტარდა. ექიმმა გამოუწერა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები და აღნიშნა, რომ იგი საჭიროებდა სპეციალისტის კონსულტაციას ყბის მკურნალობასთან დაკავშირებით.

30. 1996 წლის 23 იანვარს სპეციალისტმა დაასკვნა, რომ განმცხადებლის ყბა მოითხოვდა პროთეზულ რეაბილიტაციას ან თუნდაც ქირურგიულ ჩარევას. რადგან განმცხადებელს სურდა, მკურნალობა გერმანიაში ჩაეტარებინა, ექიმმა მისცა რეკომენდაცია, შეძლებისდაგვარად სწრაფად გაეგზავნათ გერმანიაში.

31. წლის 5 მარტს განმცხადებელმა ციხის უფროსს მიმართა საჩივრით, რომ აწუხებდა ტკივილი შუა ყურის ანთების გამო და საავადმყოფოში გადაყვანა ითხოვა.

32. 1996 წლის 7 მარტს განმცხადებელმა ექიმს განუცხადა, რომ ძლიერი თავის ტკივილი აწუხებდა და ციხეში არ ჩასტარებია სათანადო სამედიცინო მკურნალობა. კერძოდ, იგი ჩიოდა, რომ მკურნალობის კურსი რეგულარულად არ უტარდებოდა.

33. 1996 წლის 10 ივნისს განმცხადებელმა მარიბორის ციხის უფროსს მიმართა საჩივრით, რომ 8 და 9 ივნისს დაცვამ არ მისცა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები, რომლებიც ექიმმა გამოუწერა, რის შედეგადაც იგი საშინელ ტკივილს განიცდიდა და დასუსტდა.

34. 1996 წლის 20 ივნისს განმცხადებელმა ციხის უფროსს მიმართა საჩივრით, რომ 18 და 19 ივნისს მას არ ჩაუტარდა დანიშნული მკურნალობა. 1996 წლის 30 ივნისსა და 3 ივლისს მან კვლავ საჩივარი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ უარი ეთქვა მკურნალობაზე. თავის საჩივრებში განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას უნდოდა სისხლის სამართალწარმოების აღძვრა ციხის თანამშრომლების წინააღმდეგ და ითხოვა, ამ მიზნით პოლიციისათვის მიმართვის ნება მიეცათ.

35. 1996 წლის 4 ივლისს განმცხადებელმა აუწყა მარიბორის უზენაეს სასამართლოს (*Višje sodišče*) მოსამართლეს, რომ იგი განიცდიდა სერიოზულ ტკივილს და მას ტკივილგამაყუჩებლები არარეგულარულად მიეწოდებოდა.

B. შესაბამისი გადაწყვეტილებები განმცხადებლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით

36. 1995 წლის 10 სექტემბერს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლოს

(Okrožno sodišče) გამოძიებულმა მოსამართლემ განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

37. 1995 წლის 3 ოქტომბერს განმცხადებელმა ადვოკატის მეშვეობით გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა შეიტანა. იგი ამტკიცებდა, რომ არ გაიქცეოდა და გირაოს სახით შესთავაზა 50 000 გერმანული მარკა. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მისი პატიმრობა აღარ იყო აუცილებელი, რადგან მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ყველა მონმე დაიკითხა და ყველა სათანადო მტკიცებულება მოპოვებული იყო.

38. 1995 წლის 6 ოქტომბერს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა 1995 წლის 8 დეკემბრამდე გააგრძელა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. სასამართლომ აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო განმცხადებლის საქმის ერთ თვეში გამოძიება.

39. განმცხადებელმა გაასაჩივრა შეფარდებული ზომა. მისი მტკიცებით, მისი პატიმრობის საფუძველი არ არსებობდა და არც სასამართლოს უმსჯელია გათავისუფლების თაობაზე 1995 წლის 3 ოქტომბრის შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

40. 1995 წლის 19 ოქტომბერს მარიბორის უზენაესმა სასამართლომ უარყო საჩივარი. მან აღნიშნა, რომ განმცხადებელი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც არ ჰქონდა რაიმე კავშირი სლოვენიასთან, და, აქედან გამომდინარე, დაადგინა, რომ არსებობდა მისი გაქცევის საფრთხე. რაც შეეხება განმცხადებლის შუამდგომლობას გირაოთი გათავისუფლების თაობაზე, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს საკითხი პირველ რიგში საოლქო სასამართლოს უნდა განეხილა.

41. 1995 წლის 26 ოქტომბერს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის 1995 წლის 3 ოქტომბრის შუამდგომლობა გათავისუფლების თაობაზე. სასამართლოს არ უმსჯელია იმ გირაოს შესახებ, რაც შესთავაზა განმცხადებელმა სასამართლო პროცესებზე დასასწრებად საკმარისი გარანტიის სახით.

42. 1995 წლის 27 ნოემბერს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ გააგრძელა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

43. 1993 წლის 13 დეკემბერს მარიბორის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი ზემოხსენებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

44. 1995 წლის 29 ნოემბერს განმცხადებელმა ადვოკატის მეშვეობით კვლავ შეიტანა შუამდგომლობა გათავისუფლების თაობაზე. მისი მტკიცებით, არ არსებობდა საქმესთან დაკავშირებული არანაირი საფუძველი მისი პატიმრობისათვის და გირაოს სახით შესთავაზა 50 000 გერმანული მარკა.

45. 1995 წლის 22 დეკემბერს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის შუამდგომლობა.

C. კომისიასთან განმცხადებლის მიმონერის კონტროლი

46. სლოვენიაში პატიმრობის დროს განმცხადებლის მიმონერა, მათ შორის მიმონერა კომისიასთან, კონტროლდებოდა.

D. სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის წინააღმდეგ

47. 1996 წლის 8 იანვარს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ განმცხადებელს მსჯავრი დასდო ნარკოტიკების უკანონო წარმოებასა და ვაჭრობაში, აგრეთვე კონტრაბანდაში. განმცხადებელს შეეფარდა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

48. 1996 წლის 17 აპრილს მარიბორის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი და, დაეთანხმა რა პროკურორის მოთხოვნას, სასჯელი გაუზარდა ჩვიდმეტ თვემდე თავისუფლების აღკვეთით.

49. 1996 წლის 1 სექტემბერს განმცხადებელი პირობითად გაათავისუფლეს.

II. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა

A. კონსტიტუცია

50. 26-ე მუხლით უზრუნველყოფილია თითოეული ადამიანის უფლება კომპენსაციაზე ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც გამომდინარეობს ფიზიკური პირის ან იმ ორგანოს უკანონო ოფიციალური ქმედებიდან, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ორგანოებისთვის დაკისრებულ ფუნქციებს.

B. 1980 წლის კანონი „შინაგან საქმეთა ორგანოების შესახებ“ და 1981 წლის ინსტრუქცია „იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“

51. შინაგან საქმეთა ორგანოების შესახებ 1980 წლის 25 ნოემბრის კანონის (*Zakon o notranjih zadevah*) 54-ე მუხლი, რომელშიც ცვლილება იქნა შეტანილი, ნებას აძლევს თანამდებობის პირებს, გამოიყენონ ფიზიკური ძალა თავიანთი უფლებამოსილების აღსრულებისას, როდესაც, *inter alia*, მათ არ შეუძლიათ სხვაგვარად დაძლიონ იმ პირის წინააღმდეგობა, რომელიც არ ემორჩილება კანონიერ ბრძანებებს ან რომელსაც აპატიმრებენ.

52. „იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“ (*Navodilo o uporabi prisilnih sredstev*) 1981 წლის 1 სექტემბრის ინსტრუქციის მე-9 მუხლი, რომელშიც ცვლილება იქნა შეტანილი, ითვალისწინებს, რომ, *inter alia*, ფიზიკური ძალის გამოყენება შინაგან საქმეთა შესახებ 1980 წლის კანონის 54-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებში ზოგადად უნდა შეიზღუდოს განსაკუთრებული დაკავების შემთხვევებამდე. როდესაც თანამდებობის უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ ასეთი საშუალება არ არის საკმარისი, მას შეუძლია გამოიყენოს ფიზიკური ძალა ან რეზინის ხელკეტი. ნებისმიერ შემთხვევაში მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც უკიდურესად აუცილებელია წინააღმდეგობის დასაძლევად ან თავდასხმის აღსაკვეთად და ძალის გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს ადამიანისადმი ცუდად მოპყრობა.

53. „იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლი ნებას აძლევს თანამდებობის უფლებამოსილ პირებს, ხელბორკილები

დაადონ პირს ან შეზღუდონ იგი სხვა საშუალებით, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ შესაბამისი პირი აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევს მათ ან გაქცევას შეეცდება.

C. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

54.205-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს, რომ გამომძიებელ მოსამართლეს შეუძლია წინასწარი პატიმრობა შეუფარდოს პირს არა უმეტეს ერთ თვის ვადით დაკავების მომენტიდან. ამ პერიოდის ამონურვის შემდეგ პირი პატიმრობაში შეიძლება დარჩეს მხოლოდ პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე.

55.205-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს სასამართლომ, ხოლო პატიმრობის ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს ორი თვით.

56.211-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ დაკავებულ პირს შეუძლია მიმონერა ჰქონდეს ან სხვაგვარი კავშირი დაამყაროს ციხის გარეთ მყოფ ადამიანებთან იმ გამომძიებელი მოსამართლის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც მის საქმეს აწარმოებს. ამ უკანასკნელს შეუძლია აუკრძალოს პატიმარს წერილების გაგზავნა, მიღება ან სხვა სახის კონტაქტები, რასაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართალწარმოებაზე. თუმცა დაუშვებელია, დაკავებულ პირს ხელი შეეშალოს განაცხადების ან საჩივრების გაგზავნაში.

57.213-ე (ბ) მუხლი ამოქმედდა 1998 წლის 23 ოქტომბერს. მე-3 პუნქტი უფლებას აძლევს ომბუდსმენსა და მის მოადგილეებს, მოინახულონ დაკავებული პირები და აწარმოონ მათთან მიმონერა გამომძიებელი მოსამართლისათვის წინასწარი შეტყობინებისა და ამ უკანასკნელის ან სხვა თანამდებობის პირის ზედამხედველობის გარეშე. ეს დებულება ანალოგიურად გამოიყენება დაკავებულ პირსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის მიმორწასთან მიმართებაში.

58.272-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, როდესაც ხდება საბრალდებო დასკვნის წარდგენა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირისთვის და იმ პირობით, რომ იგი არ შეიცავს წინადადებას აღნიშნული პირის გათავისუფლების თაობაზე, სასამართლომ უნდა შეისწავლოს საკუთარი ინიციატივით საბრალდებო დასკვნის წარდგენიდან სამი დღის განმავლობაში, არსებობს თუ არა საქმარისი საფუძველი ბრალდებულის პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად და გამოიტანოს გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების ან დაკავებული პირის გათავისუფლების თაობაზე.

59.542-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს კომპენსაციის უფლებას იმ პატიმრებისათვის, რომელთა საქმეებიც ჯერ არ გადასცემია სასამართლოს ან რომლებიც გაამართლეს ან გაათავისუფლეს სასამართლო პროცესის შემდეგ, იმ პირებისთვის, რომლებმაც მოიხადეს შემდგომში შემცირებული ან გაუქმებული სასჯელი, და აგრეთვე იმათთვის, ვინც დააკავეს ან დააპატიმრეს შეცდომისა თუ უკანონო ქმედების შედეგად ან რომელთა წინასწარი პატიმრობის ვადა გადასცილდა იმ პატიმრობის ვადას, რომელიც მათ შეეფარდათ სასჯელის სახით.

I. მთავრობის პირველადი პრეტენზიები

A. დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვა

60. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არ მიუმართავს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის (*Ustavno sodišče*) კონსტიტუციური სარჩელით კომპენსაციის თაობაზე, რასაც ითვალისწინებს კონსტიტუციის 26-ე მუხლი. მთავრობის დასკვნით, განმცხადებელმა არ ამონურა დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, როგორც ამას კონვენციის 35-ე მუხლი (ძველი რედაქციით 26-ე მუხლი) ითვალისწინებს.

61. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას ზემოხსენებული პრეტენზია არ წამოუყენებია, როგორც ეს უნდა გაეკეთებინა, კომისიის მიერ განაცხადის არსებით განხილვაზე დასაშვებობის საკითხის განხილვისას (იხ. პუნქტი 4). აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს საპროცესო გადახვევას (*inter alia*, იხ. საქმეზე *Nikolova v. Bulgaria* [GC] გამოტანილი განაჩენი, განაცხადი № 31195/96, პუნქტი 44, ECHR 1999-II).

B. იმ საჩივრების განხილვა, რომლებიც არ წამოუყენებია განმცხადებელს

62. მთავრობა აპროტესტებდა, რომ კომისიამ განიხილა საქმის ფაქტობრივი გარემოებები კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად იმ ფაქტის მიუხედავად, რომ განმცხადებელი არ ეყრდნობოდა ამ დებულებებს თავის განაცხადში.

63. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის ორგანოებს კონვენციის მოთხოვნების მთლიანობის ქრილში აქვთ იურისდიქცია, განიხილონ ის გარემოებები, რომლებსაც ასაჩივრებს განმცხადებელი. ამ ამოცანის განხორციელებისას ისინი უფლებამოსილი არიან, საქმეზე არსებულ ფაქტებს მისცენ თავისუფალი სამართლებრივი შეფასება, განმცხადებლისაგან განსხვავებით, ან, საჭიროების შემთხვევაში, ფაქტები დაინახონ განსხვავებულ ქრილში (იხ., *inter alia*, საქმეზე *Camenzind v. Switzerland* გამოტანილი განაჩენი, 1997 წლის 16 დეკემბერი, მოხსენებები განაჩენისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1997-VIII, გვ. 2895-96, პუნქტი 50).

64. სასამართლოს იურისდიქციის ფარგლები იმ საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც არსებითად განიხილა კომისიამ, განსაზღვრულია კომისიის გადანყვებილებით, რომლის თანახმადაც განაცხადი დამუშავებულად გამოცხადდა (იხ. საქმე *Thlimmenos v. Greece* [GC], განაცხადი № 34369/97, პუნქტი 28, ECHR 2000-IV). ამასთანავე, სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას განმცხადებელი ამტკიცებდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების დარღვევას. აქედან გამომდინარე, სასამართლოს აქვს იურისდიქცია, განიხილოს აღნიშნული საჩივრები.

II. კონვენციის მე-3 მუხლის საპარაულო დარღვევა

65. განმცხადებლის მტკიცებით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. აღნიშნული მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებროს ნაშებას ან არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

66. სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დაკავების დროს სლოვენიის პოლიციამ სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა და მას არ ჩაუტარდა სათანადო სამედიცინო მკურნალობა შემდგომი პატიმრობის განმავლობაში.

67. მთავრობის მტკიცებით, პოლიციამ დაკავების დროს ძალა მხოლოდ იმ ფარგლებში გამოიყენა, რაც აუცილებელი იყო განმცხადებლის საქციელიდან გამომდინარე. მან აგრეთვე გააპროტესტა განმცხადებლის ბრალდებები არასაკმარისი მკურნალობის თაობაზე. ეკრძოდ, მთავრობამ მიუთითა, რომ განმცხადებელმა უარი თქვა ექიმების მიერ რეკომენდებულ ქირურგიულ ჩარევაზე.

1. განმცხადებლისადმი სავარაუდო ცუდად მოპყრობა დაკავების დროს

68. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეებმა არ გააპროტესტეს ის ფაქტი, რომ, როგორც სამედიცინო დასკვნიდან ჩანს, განმცხადებელს დაზიანება მიაყენეს დაკავების დროს. თუმცა მომხდართან დაკავშირებით განმცხადებლისა და მთავრობის მიერ განსხვავებული ვერსიები იქნა წარმოდგენილი (იხ. პუნქტები 12-15).

69. სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შემონეშება იმ საქმეებზე, რომლებიც თავდაპირველად კომისიამ განიხილა, უპირატესად ამ უკანასკნელის საქმეა. მართალია, სასამართლო არ არის ვალდებული, დაეყრდნოს კომისიის მიერ დადგენილ ფაქტებს და მას თავისუფლად შეუძლია თავად შეაფასოს მის წინაშე წარდგენილი მასალები, ამ უფლებამოსილებას იგი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებს (იხ. საქმეზე *Kaya v. Turkey* გამოტანილი განაჩენი, 1998 წლის 19 თებერვალი, მოხსენებები 1998-I, გვ. 321, პუნქტი 75).

70. კომისიას არ შეეძლო დაეხატა იმ ფაქტობრივი გარემოებების სრული სურათი, რომლებშიც განმცხადებელმა დაზიანება მიიღო. მან საბოლოო დასკვნაში აღნიშნა, რომ, არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, მთავრობას არანაირად არ დაუსაბუთებია თავისი არგუმენტები, რომ განმცხადებელმა დაზიანება შემთხვევით მიიღო. მე-3 მუხლის დარღვევის დადგენისას კომისია ძირითადად დაეყრდნო არგუმენტს, საქმეზე *Ribitsch v. Austria* (1995 წლის 4 დეკემბრის განაჩენი, სერია A № 336, გვ. 26, პუნქტი 38) მითითებით, რომ მთავრობამ ვერ შეძლო დაზიანების დასაბუთება და ისეთი მტკიცებულების წარმოდგენა, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა განმცხადებლის ახსნა-განმარტებას.

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ სავარაუდო ცუდად მოპყრობას, რომელსაც შედეგად დაზიანება მოჰყვა, ადგილი ჰქონდა განმცხადებლის დაკავებისას და არა მას შემდეგ, რაც იგი წინასწარ პატიმრობაში იქნა აყვანილი.

ამგვარად, საქმე განსხვავებული უნდა იქნეს *Ribitsch*-ის საქმისაგან, როდესაც განმცხადებელმა დაზიანება განიცადა პატიმრობის დროს. მეორე მხრივ, საქმე განსხვავებული უნდა იქნეს, აგრეთვე, საქმისაგან *Klaas v. Germany* (1993 წლის 22 სექტემბრის განაჩენი, სერია A № 269, გვ. 16-18, პუნქტები 26-30), რომელიც ეხებოდა ნაკლებად მძიმე დაზიანებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაკავების ოპერაციის დროს, მაგრამ ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს ფაქტები მას შემდეგ, რაც მიეცათ შესაძლებლობა, უშუალოდ დაეკითხათ მონემები და შეეფასებინათ მათი სარწმუნოება.

72. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი არ დაუკავებიათ შემთხვევითი ოპერაციის დროს, რომელსაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყოლოდა, რაზეც პოლიცია წინასწარი მომზადების გარეშე მოახდენდა რეაგირებას. სასამართლოს წინაშე წარდგენილი დოკუმენტები მიუთითებს, რომ პოლიციამ წინასწარ დაგეგმა დაკავების ოპერაცია და რომ მას საკმარისი დრო ჰქონდა, შეეფასებინა შესაძლო რისკი და მიეღო ყველა აუცილებელი ზომა დაკავების ოპერაციის ჩასატარებლად. ოპერაციაში მონაწილეობდა ცამეტი პოლიციელი და ისინი რიცხობრივად აღემატებოდნენ სამ ეჭვმიტანილს, რომლებიც უნდა აეყვანათ. უფრო მეტიც, განმცხადებელს არ შეუშინებია პოლიციის ოფიცრები, მაგალითად, იარაღის აშკარა ტარებით ან მათზე თავდასხმით. ამის საპირისპიროდ, განმცხადებლისთვის მიყენებული განსაკუთრებით მძიმე დაზიანებისა და იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ფაქტები არ დაუდგენია ეროვნულ სასამართლოს, მთავრობას ეკისრება მტკიცების ტვირთი, წარმოადგინოს დამაჯერებელი არგუმენტები, რომ ძალის გამოყენება არ იყო გადაჭარბებული.

73. 2000 წლის 23 მაისს, საქმის არსებითად განხილვის შემდეგ, მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა 1996 წლის 8 მარტით დათარიღებული დასკვნა პოლიციის ქმედებაზე განმცხადებლის დაკავებისას. ეს მოხსენება არ ყოფილა წარდგენილი კომისიის წინაშე საქმის განხილვის დროს. მთავრობამ დაასკვნა, რომ გამოძიებლები მოქმედებდნენ კანონის შესაბამისად და ძალის გამოყენება აუცილებელი გახადა განმცხადებელმა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა მათ (იხ. პუნქტი 14).

74. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიების ჩატარების შესახებ ბრძანება გაცემული იქნა ხუთი თვის შემდეგ ინციდენტიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1995 წლის 8 სექტემბერს. გამოძიება ჩატარდა სლოვენი გრადეცის პოლიციის ადმინისტრაციაში, რომლის წევრებიც მონაწილეობდნენ განმცხადებლის დაკავების ოპერაციაში. დასკვნა არ აკონკრეტებს, თუ რა ინფორმაცია და მტკიცებულებებს ეფუძნება იგი. კერძოდ, დასკვნიდან არ ჩანს, რომ მისმა ავტორებმა მოუსმინეს განმცხადებელს, მასთან ერთად დაკავებულ სხვა პირებსა ან რომელიმე სხვა მონაწეს პოლიციელების გარდა. უფრო მეტიც, მთავრობამ ვერ ახსნა, თუ რატომ გახდა დასკვნა ხელმისაწვდომი მხოლოდ სამართალწარმოების საბოლოო ეტაპზე.

75. კომისიის წინაშე სამართალწარმოებისას მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა დაზიანება მიიღო, როდესაც თავი მანქანის ბამპერზე დაარტყა (იხ. კომისიის 1999 წლის 23 აპრილის დასკვნის 21-ე პუნქტი). თუმცა პოლიციის 1996 წლის 8 მარტის დასკვნა მიუთითებს, რომ განმცხადებელმა სახე დაარტყა გაჩერებული მანქანის ფრთას და ავტოსადგომის გუდრონით მოპირკეთებულ ზედაპირს (იხ. ზემოთ, პუნქტი 14). მთავრობამ არ ახსნა ეს შეუსაბამობა.

76. სასამართლო იხსენებს, რომ განმცხადებელს ანუხებდა ყბის ორმაგი მოტყევილობა, ისევე, როგორც სახის კონტუზია. მიყენებული მძიმე დაზიანების გათვალისწინებით, აგრეთვე ზემოხსენებულ დასკვნაში განვითარებული მსჯელობის მიუხედავად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია დასაბუთებული ან სარწმუნო არგუმენტაცია, რაც ძირეულად ახსნიდა ან გაამართლებდა დაკავების ოპერაციის დროს ძალის გამოყენების ხარისხს. შესაბამისად, გამოყენებული ძალა იყო გადაჭარბებული და გაუმართლებელი მოცემულ გარემოებებში.

77. ძალის ამგვარ გამოყენებას შედეგად მოჰყვა დაზიანება, რომელმაც განმცხადებელს უდავოდ მიაყენა სერიოზული ტანჯვა, რომელიც შინაარსით არადამიანურ მოპყრობას უთანაბრდებოდა.

78. ამგვარად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას იმ მოპყრობის გამო, რომელსაც განმცხადებელი დაექვემდებარა დაკავების დროს.

2. განმცხადებლისადმი სავარაუდო ცუდად მოპყრობა პატიმრობაში ყოფნის დროს

79. განმცხადებელს სასამართლოს წინაშე არ გაუსაჩივრებია მთავრობის არგუმენტი, რომ ექიმი დაუყოვნებლივ იქნა გამოძახებული მას შემდეგ, რაც მან მოითხოვა სამედიცინო შემოწმება 1995 წლის 9 სექტემბერს, დილით. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტები მიუთითებს, რომ ამ დღიდან განმცხადებელს რეგულარულად სინჯავდნენ ექიმები და რომ მან თვითონ განაცხადა უარი სპეციალისტების მიერ რეკომენდებულ ქირურგიულ ჩარევაზე. ამგვარად, სასამართლო ადგენს, რომ ამ თვალსაზრისით არ წამოიჭრება საკითხი კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.

80. სასამართლოს აზრით, მოპყრობა, რომელსაც განმცხადებელი დაექვემდებარა ციხეში, კერძოდ, ის, რომ ციხის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს, მიეწოდებინათ მისთვის ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები რამდენიმე შემთხვევაში, არ აღწევდა სიმკაცრის ხარისხს, რომელიც იმ დასკვნამდე მიგვიყვანდა, რომ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევას.

81. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლის მიმართ მოპყრობის გამო პატიმრობის დროს.

III. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

82. განმცხადებელი ჩიოდა, რომ წინასწარი პატიმრობის საწყის ეტაპზე სლოვენის სასამართლოებს სწრაფად არ გადაუწვევტიათ მისი შუამდგომლობები გათავისუფლების თაობაზე. იგი ამტკიცებდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 მუხლის დარღვევას. ამ მუხლის მიხედვით:

„დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლება აღკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ

სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.”

83. მთავრობის მტკიცებით, 1995 წლის 6-19 ოქტომბერს ორი ინსტანციის სასამართლოებმა განიხილეს განმცხადებლისთვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის შესაბამისად. ამ საკითხის განხილვას იგივე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა, რაც გათავისუფლების თაობაზე განმცხადებლის 1995 წლის 3 ოქტომბრის შუამდგომლობას. ამდენად, მთავრობის აზრით, არ არსებობდა იმის აუცილებლობა, რომ შუამდგომლობა გათავისუფლების თაობაზე ცალკე განეხილათ განმცხადებლისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე საკითხის გადაწყვეტამდე. ყოველ შემთხვევაში, „სწრაფად“ განხილვის მოთხოვნა დაცული იქნა.

84. სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, უზრუნველყოფს რა თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის უფლებას, სამართალწარმოების მეშვეობით გაასაჩივრონ თავისუფლების აღკვეთის კანონიერება, აგრეთვე ითვალისწინებს მათ უფლებას, სამართალწარმოების დანაწევლის შემდეგ, სასამართლოს მიერ პატიმრობის კანონიერების სწრაფად გადაწყვეტაზე და მის შეწყვეტაზე, თუ ის არის კანონიერი (იხ. *Musial v. Poland* [GC], № 24557/94, პუნქტი 43, ECHR 1999-II). საკითხი იმის თაობაზე, იქნა თუ არა დაცული პირის უფლება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხილული უნდა იქნეს თითოეულ საქმეზე არსებული გარემოებების ჭრილში (იხ., *mutatis mutandis*, საქმეზე *The R.M.D. v. Switzerland* გამოტანილი განაჩენი, 1997 წლის 26 სექტემბერი, მოხსენებები 1997-VI, გვ. 2013, პუნქტი 42).

85. წინამდებარე საქმეში განმცხადებელმა გათავისუფლების თაობაზე პირველი შუამდგომლობა 1995 წლის 3 ოქტომბერს შეიტანა. სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა 1995 წლის 26 ოქტომბერს, ანუ ოცდასამი დღის შემდეგ. 1995 წლის 29 ნოემბერს განმცხადებელმა კვლავ შეიტანა შუამდგომლობა გათავისუფლების თაობაზე. 1995 წლის 22 დეკემბერს, ოცდასამი დღის შემდეგ, სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ კვლავ არ დააკმაყოფილა იგი.

86. სასამართლო ადგენს, რომ გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობები, რომლებიც განმცხადებელმა შეიტანა 1995 წლის 3 ოქტომბერსა და 29 ნოემბერს, არ იქნა განხილული „სწრაფად“, როგორც ამას მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს.

87. ის ფაქტი, რომ მარიბორის უზენაესმა სასამართლომ განიხილა განმცხადებლის საჩივრები პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 1995 წლის 6 ოქტომბერსა და 27 ნოემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებებზე წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე, არ ახდენს გავლენას ამ დასკვნაზე. ფაქტობრივად, 1995 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მარიბორის უზენაესმა სასამართლომ ცალსახად განაცხადა, განმცხადებლის საჩივრის საპასუხოოდ, რომ 1995 წლის 3 ოქტომბრის შუამდგომლობა გათავისუფლების თაობაზე უნდა განეხილა სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლოს (იხ. პუნქტი 40). ამგვარად, სამართალწარმოება გათავისუფლების თაობაზე განმცხადებლის შუამდგომლობებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი იყო იმ სამართალწარმოე-

ბისაგან, რომელიც წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას შეეხებოდა და აღძრული იქნა სლოვენიის ხელისუფლების მიერ საკუთარი ინიციატივით.

88. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

IV. კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

89. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევასთან მიმართებაში, რომელიც ზემოთ იქნა დადგენილი, მას არ ჰქონდა აღსრულებადი უფლება კომპენსაციაზე. იგი მიუთითებდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევაზე. აღნიშნული მუხლის მიხედვით:

„ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევით, აქვს აღსრულებადი უფლება კომპენსაციაზე.“

90. მთავრობა ამტკიცებდა, რომ საქმე არ ნამოჭრიდა საკითხს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ჭრილში, რადგან განმცხადებლის უფლებები, რომლებსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, დაცული იყო.

91. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის 26-ე მუხლი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 542-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამის ნაწილესთან ერთად, ითვალისწინებს კომპენსაციის უფლებას იმ შემთხვევებში, როდესაც თავისუფლების აღკვეთა უკანონო იყო ან შეცდომის შედეგს წარმოადგენდა. ამგვარად, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებლისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელება, კერძოდ, გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობებზე უარი, იყო უკანონო ან შეცდომის შედეგი სლოვენის კანონმდებლობის მიზნებისათვის.

92. აღნიშნულ გარემოებებში სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის უფლება კომპენსაციაზე კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევასთან მიმართებაში არ ყოფილა დაცული საკმარისი ხარისხის განსაზღვრულობით (იხ. საქმეზე *Sakik and Others v. Turkey* გამოტანილი განაჩენი, 1997 წლის 26 ნოემბერი, მოხსენებები 1997-VII, გვ. 2626, პუნქტი 60).

93. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

V. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

94. სასამართლოს წინაშე განმცხადებელი ჩიოდა, რომ კომისიასთან მისი მიმონერა ყოვლად გაუმართლებელ შემონმებას ექვემდებარებოდა. იგი ამტკიცებდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. ამ მუხლის მიხედვით:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმონერას.“

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის."

95. მთავრობის მტკიცებით, კომისიასთან განმცხადებლის მიმონერის შემონმება განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად. მთავრობის თქმით, 1998 წლის 23 ოქტომბერს ამოქმედებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე (ბ) მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სლოვენიაში გაუქმდა თავისუფლებააღკვეთილ პირებსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის მიმონერის შემონმება.

96. სასამართლო ადგენს, რომ კომისიასთან განმცხადებლის მიმონერის შემონმება უთანაბრდება მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევას.

97. ზემოხსენებული ჩარევა რომ არ ენინააღმდეგებოდეს მე-8 მუხლს, იგი უნდა იყოს „დაშვებული კანონით“, ემსახურებოდეს მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კანონიერ მიზანს და უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ აღნიშნული მიზნის მისაღწევად (იხ. საქმეზე *Silver and Others v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი, 1983 წლის 25 მარტი, სერია A № 61, გვ. 32 პუნქტი 84, და საქმეზე *Petra v. Romania* გამოტანილი განაჩენი, 1998 წლის 23 სექტემბერი, მოხსენებები 1998-VII, გვ. 2853, პუნქტი 36).

98. ჩარევას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის მე-3 პუნქტი. შესაბამისად, შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ იგი „უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილების“ კანონიერ მიზანს ემსახურებოდა.

99. რაც შეეხება ჩარევის აუცილებლობას, სასამართლო ადგენს, რომ არ არსებობდა რაიმე აუცილებელი საფუძველი იმ მიმონერის შემონმებისათვის, რომლის კონფიდენციალურობის დაცვა მნიშვნელოვანი იყო (იხ. საქმეზე *Campbell v. the United Kingdom* გამოტანილი განაჩენი, 1992 წლის 25 მარტი, სერია A № 233, გვ. 22, პუნქტი 62). შესაბამისად, ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

100. სასამართლომ აღნიშნა, რომ 1998 წლის 23 ოქტომბერს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე (ბ) მუხლის მე-3 პუნქტის ამოქმედების შემდეგ თავისუფლებააღკვეთილ პირებსა და სასამართლოს შორის მიმონერის შემონმება გაუქმდა. მაგრამ ეს არ ცვლის წინამდებარე საქმეში არსებულ მდგომარეობას.

101. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

VI. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

102. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. მატერიალური ზიანი

103. განმცხადებელმა პრეტენზია განაცხადა 174 897 გერმანულ მარკაზე, მიუთითებდა რა ძირითადად მისი პარტნიორის მიერ დაკარგულ შემოსავალსა და განუღო ხარჯებზე, როდესაც მას უვლიდა სლოვენიაში, მისი პარტნიორის მანქანის ჩამორთმევაზე სლოვენიის ხელისუფლების ორგანოების მიერ და მისი კუთვნილი აქციების გაუფასურებაზე სლოვენიაში მისი პატიმრობის დროს.

104. მთავრობამ გააპროტესტა ეს პრეტენზია, რადგან დაუსაბუთებლად მიიჩნია.

105. სასამართლო ვერ ხედავს პირდაპირ მიზეზობრივ კავშირს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევების დადგენასა და განცხადებულ მატერიალურ ზიანს შორის. ამდენად, ამ კუთხით არ არსებობს კომპენსაციის მიკუთვნების არანაირი საფუძველი.

B. არამატერიალური ზიანი

106. განმცხადებელი კომპენსაციის სახით მოითხოვდა 1 000 000 გერმანულ მარკას სლოვენიის ხელისუფლების მოპყრობის შედეგად მიყენებული ტკივილისა და ტანჯვისათვის.

107. მთავრობამ ეს თანხა გადაჭარბებულად მიიჩნია. მისი მტკიცებით, განმცხადებელი თავად იყო პასუხისმგებელი ყბის დაზიანებისათვის, გარდა ამისა, მან უარი განაცხადა ქირურგიულ ჩარევაზე.

108. სასამართლო აზრით, განმცხადებლისთვის მიყენებულ დაზიანებას უნდა გამოენჯია სერიოზული ტკივილი. თუმცა ამ კუთხით ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა არ ისურვა სათანადო მკურნალობის ჩატარება სლოვენიაში მიყენებული დაზიანებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ, სამედიცინო ექსპერტების აზრით, ქირურგიული ჩარევა აუცილებელი იყო (იხ. პუნქტები 20-30). სასამართლო, ახდენს რა შეფასებას სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, განმცხადებელს მიაკუთვნებს 25 000 გერმანულ მარკას.

C. ხარჯები და განუღი დანახარჯები

109. განმცხადებელი მოითხოვდა 23 700 გერმანულ მარკას შემდეგი გადანაწილებით:

- ა) 16 500 გერმანული მარკა იმ ადვოკატების ანაზღაურებისათვის, რომლებიც განმცხადებელს სლოვენიაში სისხლის სამართალწარმოების ეტაპზე წარმოადგენდნენ;
- ბ) 7 200 გერმანული მარკა სატელეფონო საუბრებისათვის, რაც განახორციელა მისმა პარტნიორმა, როდესაც ცდილობდა განმცხადებლის უფლებების დაცვას როგორც სლოვენიაში, ისე კომისიის წინაშე.

110. მთავრობამ განაცხადა, რომ ხარჯები დაუსაბუთებელი იყო.

111. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად ანაზღაურების მიზნით უნდა დადგინდეს, რომ ხარჯები რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული გონივრული ოდენობით (იხილეთ, *inter alia*, საქმე *Jéčius v. Lithuania*, № 34578/97, პუნქტი 112, ECHR 2000-IX).

სასამართლო არ ეთანხმება იმას, რომ განმცხადებლის პარტნიორის ხარჯები შეიძლება მიჩნეული იქნეს საჭიროებისამებრ გაღებულად კონვენციის დარღვევის თავიდან აცილების ან გამოსწორების კუთხით.

რაც შეეხება ადვოკატების ანაზღაურების თანხებს, ისინი უპირატესად შეეხებოდა განმცხადებლის სისხლის სამართლის ბრალდებისაგან დაცვას სლოვენის ხელისუფლების ორგანოების წინაშე, რაც არ ყოფილა ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი.

სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭომ ბ-ნ რებოკს გადაუხადა 17 098,12 ფრანგული ფრანკი სამართლებრივი დახმარების სახით.

ახდენს რა შეფასებას სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 7 000 გერმანულ მარკას დამატებითი ღირებულების ნებისმიერ გადასახადთან ერთად, რომელიც შეიძლება დაერიცხოს ამ თანხას, გამოკლებული 17 098,12 ფრანგული ფრანკი, რაც გადაუხადა ევროპის საბჭომ სამართლებრივი დახმარების სახით.

D. საურავი

112. სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დადგენილია გერმანიაში წინამდებარე განაჩენის მიღების დღისათვის, არის წლიური 4%.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

- ერთხმად უარყოფს მთავრობის პირველად პრეტენზიებს;
- ადგენს ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლის მიმართ დაკავების დროს მოპყრობის გამო;
- ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლის მიმართ პატიმრობის დროს მოპყრობის გამო;
- ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას;
- ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას;

6. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას;
7. ერთხმად ადგენს, რომ
 - (ა) მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში განმცხადებელს უნდა გადაუხადოს: 25 000 (ოცდახუთი ათასი) გერმანული მარკა განცდილი არამატერიალური ზიანისათვის და 7 000 (შვიდი ათასი) გერმანული მარკა ხარჯებისა და განუული დანახარჯებისათვის დამატებითი ღირებულების ნებისმიერ გადასახადთან ერთად, რომელიც შეიძლება დაერიცხოს ამ თანხას, გამოკლებული 17 098,12 (ჩვიდმეტი ათას ოთხმოცდათვრამეტი ფრანგული ფრანკი და თორმეტი ცენტი) ფრანგული ფრანკი, რაც გადახდილი უნდა იქნეს გერმანული მარკით წინამდებარე განაჩენის გამოტანის დღისთვის მოქმედი განაკვეთით;
 - (ბ) ზემოხსნეული სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ მორიგებამდე გადახდილი უნდა იქნეს მარტივი პროცენტი წლიური 4%-იანი განაკვეთით.
8. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2000 წლის 28 ნოემბერს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ელიზაბეტ პალმი
თავმჯდომარე

მაიკლ ობოილი
მდივანი

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განაჩენს თან ერთვის ბ-ნი ზუპანჩიჩის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.

ე.პ.
მ.ო.პ

ეს განსაკუთრებული საქმეა, თუნდაც საპროცესო კუთხით. განმცხადებელს არასოდეს ნამოუყენებია საკითხი თავისი დაზიანების შესახებ გამომძიებელი მოსამართლის ან საქმის განმხილველი მოსამართლეების წინაშე, თუმცა მას იმ დროს მხოლოდ ბრალდების ტვირთი (*onus proferendi*) ეკისრებოდა. მას რომ მხოლოდ ემტკიცებინა ცუდად მოპყრობა, სასამართლო ვალდებული იქნებოდა, გაეთვალისწინებინა, ხოლო პროკურორი ვალდებული იქნებოდა, ეჭვმიტანილი პოლიციელების წინააღმდეგ აღედრა სისხლის სამართლის საქმე. თუ აღნიშნული შედეგს არ გამოიღებდა, განმცხადებელს ჰქონდა რამდენიმე საშუალება, რომელთა ამონურვის შემდეგ მას შეეძლო კონსტიტუციური სარჩელისთვის მიემართა. წინამდებარე საქმისათვის ნამდვილად ყურადსაღებია, რომ განმცხადებელს არასოდეს მიუმართავს აღნიშნული ჩვეულებრივი პროცედურებისთვის, რომლებსაც შედეგად მოჰყვებოდა მისთვის მიყენებული ზიანის სასამართლო გამოძიება. მთავრობას, თავის მხრივ, არ გაუსაჩივრებია სამართალწარმოების სათანადო ეტაპზე ის ფაქტი, რომ არ ყოფილა ამონურული დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება. ამდენად, საქმე ევროპულ სასამართლოს გადაეცა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ელემენტის არსებითად განხილვის გარეშე. რამდენადაც არ ყოფილა შიდა სასამართლო გამოძიება, ეს ფაქტები მხოლოდ მოგვიანებით გახდა შესაბამისი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის ბრალდების ჭრილში.

წინამდვილეში დაკავების მნიშვნელოვანი გარემოებები არასდროს ყოფილა პირდაპირ დადგენილი, დაუყოვნებლობის პრინციპის შესაბამისად, შიდა თუ საერთაშორისო სასამართლო ხელისუფლების მიერ. ამგვარად, სავარაუდოდ, ზედმეტი ძალის გამოყენების არსებითი საკითხი განმცხადებლის კანონიერი დაპატიმრებისას პირველად იქნა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე. ამით ჩვენ შევასრულეთ ფაქტების დამდგენი პირველი ინტანციის სასამართლოს როლი.

უფრო მეტიც, მომავალში, მე-11 ოქმის გავლენით, ასეთი საქმეები კვლავ განმეორდება. ამჟამად კომისია, რომელიც სასამართლოსთვის ფაქტების დადგენის არსებით ფუნქციას ასრულებს, აღარ არსებობს.

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სასამართლოს მოუწევს ახალ სიტუაციასთან ადაპტაცია. მას მოუწევს ისეთი სიტუაციების დაშვება, წინამდებარე საქმის მსგავსად, რომ მის წინაშე მოსმენა პირველი ინსტანციის ეროვნული სასამართლოსთვის წინაშე მოსმენას დაემსგავსება. სასამართლოს მოუწევს მონებების მოსმენა, დაპირისპირებული მონებების ჯვარედინი დაკითხვა, პირდაპირი დაკითხვა, ნივთიერი მტკიცებულებების შეფასება და ა.შ. სასამართლოს მოუხდება დაადგინოს თავისი ნესები მტკიცების ტვირთის, *dubio pro reo* პრინციპისა და ა.შ. შესახებ. ეს ნესები უკვე არსებობს ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში, თუნდაც ელემენტარული ფორმით. და, რა თქმა უნდა, ამ საპროცესო ნორმების დადგენისას ჩვენ მკაცრად უნდა მივდიოთ მე-6 მუხლის გარანტიებს, როგორც ამას კონვენციის ყველა ხელმომწერისგან მოვითხოვთ.

ეს შეეხება ყველა იმ საქმეს, რომლებშიც, კონვენციის ხედვით, გარკვეუ-

ლი ფაქტები სამართლებრივად შესაბამისი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ საქმე შეტანილი იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, და მხოლოდ ამის შემდეგ.

რა თქმა უნდა, სამართლეა, რომ ის, რასაც ჩვენ „ფაქტებს“ ან „სამართლებრივად მართლზომიერ ფაქტებს“ ვუწოდებთ, ზოგჯერ არ არის უბრალოდ და მარტივად „ობიექტური“. კონკრეტულ საქმეში უამრავი „ფაქტიდან“ მხოლოდ შერჩეულ ასპექტებს ექცევა სასამართლოს ყურადღება. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც საქმის სამართლებრივი კვალიფიკაცია გამოიყენება მოცემული ფაქტობრივი მაგალითის მიმართ სასამართლოს მიერ. თავის მხრივ, რა თქმა უნდა, ნორმა, რომელიც გამოიყენება სამართლებრივი კვალიფიკაციის მისაცემად კონკრეტული საქმისთვის, თავისთავად აღქმულ ფაქტებთან მიმართებაშია არჩეული. ამდენად, ადგილი აქვს დინამიკურ და დიალექტიკურ კავშირს ფაქტებსა და ნორმებს შორის. გამოსაყენებელი ნორმის არჩევაზე დაყრდნობით, სასამართლო ყურადღების ქვეშ სხვადასხვა ფაქტები ხვდება, თითქოს ისინი სხვა სათვალთ იქნა დანახული.

აქედან გამომდინარეობს, რომ ფაქტები, რომლებიც შესაბამისი და გადამწყვეტი უნდა იყოს შიდა სასამართლოებისთვის, ხშირად არ არის შესაბამისი და გადამწყვეტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის, და პირიქით. სტრასბურგში ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა პრინციპებს, დოქტრინებსა და წესებს, რომლებიც ეფუძნება კონვენციის ნორმებსა და შემუშავებულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ორმოცდაათი წლის განმავლობაში. იდეატური ფაქტობრივი მაგალითი შეიძლება სხვაგვარი სამართლებრივი პერსპექტივით იქნეს დანახული ან, წინამდებარე საქმის მსგავსად, სრულებითაც არ დაექვემდებაროს სასამართლოს მიერ განხილვას.

აღნიშნული პრობლემა არ არის ახალი. სასამართლო ყოველთვის იყენებს თავის კრიტერიუმებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის შესაბამისი კონვენციის საფუძველზე. სხვაგვარად რომ ითქვას, ეს ჩვენ ბატონ ჟურდენის როლში ჩაგვაყენებდა [ბატონი ჟურდენი მოლიერის პიესის, „გაახანურებული მდაბიოს“, მთავარი მოქმედი პირია], რომელიც განცვიფრებულია იმით, რომ დიდი ხნის განვამლობაში „პროზაულად“ ლაპარაკობდა. კონვენციის შესაბამისი სპეციალური ფაქტობრივი ანალიზის გამოყენება, საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მისიას წარმოადგენს.

ამაში არაფერია განსაკუთრებული, თუ არ ჩავთვლით ფაქტებისა და სამართლის, *questiones juris et questiones facti*, გაუცნობიერებლად მკაცრ გამიჯვნას. თანამედროვე სამართლის ფილოსოფია დიდი ხანია გასცდა ამ ხელოვნურ განსხვავებას. წინამდებარე საქმე საკმაოდ მეტყველებს ამის აუცილებლობაზე. თუმცა ამას აქვს უარყოფითი გამოვლინება ხშირად გამოყენებული ჯადოსნური ფორმულისთვის, რომლის მიხედვითაც „ჩვენ არ ვართ მეოთხე ინსტანციის სასამართლო“ და ფაქტების გამოძიებას ეროვნულ სასამართლებს მივანდობთ. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი ჩივის აშკარა ხარვეზებზე ეროვნული სასამართლოების მხრიდან, ეს შეიძლება მართებულ მიდგომად იქნეს მიჩნეული. ეს აშკარად არასწორი მიდგომაა იმ საქმეებთან მიმართებაში, როდესაც ეროვნულ სასამართლოებს არ ჰქონიათ საშუალება, ემსჯელათ კონვენციის გამოყენების თაობაზე.

დოქტრინა, რომელიც მოითხოვს დაცვის შიდასახელმწიფოებრივ სა-

შუალებათა ამონურვას, მხოლოდ ნაწილობრივ ეფუძნება კონვენციის ადრე მოქმედ 26-ე, ამჟამინდელ 35-ე მუხლს. თუმცა, აღნიშნული დებულების შესაბამისად, საქმე შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს უარყოფილი, ანუ მოპასუხე მთავრობის პრეტენზია არ არის შეზღუდული დროში იმ პერიოდთან მიმართებაში, სანამ საქმის დასაშვებობის საკითხი იქნება განხილული. ეს მხოლოდ კომისიისთვის მოსახერხებელი პრაქტიკა იყო, ანუ არა მძიმე დოქტრინა ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. დებულების ტელეოლოგიური ანალიზი მიუთითებს, რომ იგი არა მხოლოდ ფაქტების დადგენით არის დაკავებული. მისი მიზანი, საერთაშორისო სამართლის კუთხით, მარტივად მდგომარეობს იმაში, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ეროვნულ სასამართლოებს საშუალება მიეცეთ, სავალდებულოდ აღიარონ კონვენციისა და ჩვენი სასამართლოს მიერ მოთხოვნილი მინიმალური სამართლებრივი და საპროცესო სტანდარტები. ფაქტების დადგენის კომპეტენციის გაცნობიერებული დელეგირება ეროვნული სასამართლოებისათვის მხოლოდ ზემოხსენებული ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი ეტიკეტის თანამდევია, რაც ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ყველა წევრი სახელმწიფო აღიარებს თავის ვალდებულებას კონვენციის შესაბამისად.

ეს გულისხმობს, რომ წინამდებარე საქმე შეიძლებოდა განხილულიყო მოსმენის შემდეგაც. ჩემი აზრით, ეს იქნებოდა ყველაზე გონივრული, თუ არ გვინდა, რომ ჩავერიოთ ფაქტების უშუალო დადგენაში.

II

განსახილველი რეალური ფაქტი სამართლებრივად კვალიფიცირებულია როგორც ძალის ზედმეტი გამოყენების ბრალდება ნარკოტიკებით მოვაჭრის კანონიერი დაკავებისას, როდესაც იგი ცდილობდა ავსტრია-სლოვენის საზღვრის გადაკვეთას.

გონივრული ეჭვის (შესაძლო მიზეზის) საპროცესო სამართლებრივი საკითხი, რომელიც წინ უსწრებდა დაკავებას, აგრეთვე მისი კონკრეტული და სპეციფიკური ხასიათი, მისი წყაროების კანონიერება და ა.შ., არასდროს წამოუჭრია განმცხადებელს. რადგან დაკავების კანონიერება არ ყოფილა გასაჩივრებული, ჩვენ არ ვიცით, როგორ მოიძია სლოვენის პოლიციამ ინფორმაცია განმცხადებლის მცდელობასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შეეტანა ექსტრანოს მომგვრელი აბები და სხვა კონტრაბანდა. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაკავების საფუძველი იყო კანონიერი როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, ისე კონვენციის მიზნებისათვის.

შემდეგი საკითხი ის არის, თუ რამდენად იცოდა განმცხადებელმა თავისი დაკავების შესახებ, ანუ შეიძლებოდა თუ არა, რომ დაკავებისას მისი სავარაუდო წინააღმდეგობა ყოფილიყო მისი მხრიდან მართლზომიერი შეცდომის (*error facti*) შედეგი. მთავრობის მტკიცებით, პოლიციელები, რომლებიც დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდნენ, აშკარად ადვილად ამოსაცნობი იყვნენ, რადგან ქურთუკებზე გარკვევით ეწერათ "POLICIJA". განმცხადებლის თქმით, პოლიციელებს არ ეცვათ აღნიშნული ქურთუკები და ისინი მას „წინძვად“ მოეჩვენა, რომლებიც მასზე თავდასხმას ახორციელებდნენ, რასაც არანაირი

კავშირი არ ჰქონდა კონტრაბანდსთან. თუმცა ძნელია ამის დაჯერება, რადგან განმცხადებელი უდავოდ ინერვიულებდა მანქანაში დამალული კონტრაბანდული საქონლის გამო, მის განცხადებას მხოლოდ დაკავებისათვის სავარაუდოდ წინააღმდეგობის განეევს კუთხით ექნებოდა აზრი. ყოველ შემთხვევაში, თუნდაც თუ პოლიციელებს არ უჩანდათ სამკერდე ნიშნები, ძნელი დასაჯერებელია, რომ ნარკოტიკებით მოვაჭრე, რომელიც „წინების“ ჯგუფს გადააწყდა, იფიქრებდა, რომ მას ძარცვის ან სხვა ამგვარი მიზნით დაესხმოდნენ თავს.

შესაბამისად, თუ ვივარაუდებთ, რომ განმცხადებელმა იცოდა, რომ მას აპატიმრებდნენ და იმის გამო, რომ მას მანქანაში ჰქონდა ნარკოტიკები, მისი მხრიდან წინააღმდეგობის განევა კანონიერი დაკავებისათვის არ შეიძლება მივანეროთ შეცდომას. და თუ ადგილი არ ჰქონდა მისი მხრიდან შეცდომას, მაშინ წინააღმდეგობის განევის რაიმე გამართლებული საფუძველი არ არსებობდა.

ამგვარად, ახლა დაისმის კითხვა, თუ რამდენად იყო აუცილებელი ძალის გამოყენება დაკავების ოპერაციის განხორციელებისთვის.

ძალის გამოყენების პროპორციულობა ამგვარ სიტუაციებში ცალსახად დამოკიდებულია იმ ადამიანის საქციელზე, რომელსაც აღუკვეთენ თავისუფლებას.

თუმცა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილია, რომ ძალის გამოყენება მძიმე დანაშაულის ჩადენაში ექვემდებარების დაკავებისას არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ *ex post facto*. ამგვარი სიტუაციებისთვის დამახასიათებელია ხელჩართული ბრძოლა, ჩხუბი და ა.შ. იმ ფაქტების ზედმიწევნით შეფასებისას, რომელთაც ძალის გამოყენებამდე მიგყავართ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ პირთა აღგზნებული მდგომარეობა, რომლებიც თავს იცავენ, სხვა ადამიანს იცავენ ან სხვა აუცილებელ ღონისძიებას მიმართავენ. მატერიალური სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, ასეთ სიტუაციას ახასიათებს ძალის გამოყენება თავის დაცვის მიზნით. ძალის გამოყენება თავის დაცვის მიზნით თავდასხმის თანადროული და პროპორციული უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს არამართლზომიერი თავდასხმა, რომელიც, თავის მხრივ, არ უნდა იყოს პროვოცირებული და ა.შ. ეს ლოგიკა უახლოვდება მძიმე ემოციური სტრესის მდგომარეობაში მყოფი, უაღრესად პროვოცირებული ადამიანის ლოგიკას. სისხლის სამართლის კოდექსთა უმრავლესობა ითვალისწინებს ასეთ დებულებებს. აქედან გამომდინარე, ყურადსაღებია შემწყნარებლობის დასაშვები ზღვარი, რამდენადაც მართლზომიერების სხვა კრიტერიუმები (ძალისა და საპასუხო ძალის თანადროულობა, დაკავების კანონიერება, პირის მიერ იმის ცოდნა, რომ მას აკავებენ, დაკავების განმახორციელებელი პოლიციელების კეთილსინდისიერება და საფრთხის გონივრული აღქმა და ა.შ.) დაკმაყოფილებული იქნება.

როდესაც ამ ლოგიკას მივმართავთ კანონიერი დაკავების ოპერაციის განხორციელებისთვის, ეს გულისხმობს, რომ ძალის გამოყენება არ იქნება გადაჭარბებული, თუ იგი, მოქმედი პირის რწმენით, უკიდურესად აუცილებელია თავისუფლების კანონიერი აღკვეთისთვის. თუ პირი წინააღმდეგობას წევს დაკავებისას, დამატებითი თანადროული ძალა გამართლებულია, რათა პოლიციამ მიაღწიოს კანონიერ მიზანს. ეს კრიტერიუმი როგორც სუბიექტური, ისე ობიექტურია.

მე მივუთითებ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით სიცოცხლის ხელყოფაც კი არ ჩაითვლება კონვენციის საწინააღმდეგოდ ჩადე-

ნილ ქმედებად, როდესაც იგი შედეგია არა უმეტეს აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენებისა, „კანონიერი დაკავების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევისთვის ხელის შეშლის“ მიზნით.

საინტერესოა, რომ ეს დებულება მაინც არსებობს, მე-ნ ოქმის პირველი მუხლით სიკვდილით დასჯის გაუქმების მიუხედავად. სახელმწიფო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფლებამოსილია, გამოიყენოს სასიკვდილო ღონისძიება კანონიერი დაკავების განსახორციელებლად, მაგრამ არ არის უფლებამოსილი, შეუფარდოს ან ალასრულოს სიკვდილით დასჯა. ეს გამონაკლისი უშუალო კავშირშია თავის დაცვის, სხვისი დაცვის და ა.შ. ექსტრემალურ გარემოებებთან, ანუ საგანგებო სიტუაციების შესახებ სისხლის სამართლის დადგენილ დოქტრინასთან. აღნიშნულ სიტუაციებში მოქმედ პირს (დამრღვევს) არ შეუძლია მიიღოს სამართლიანი, მიუკერძოებელი, გონივრული, ნინასნარ დაგეგმილი და მთლიანად რაციონალური გადაწყვეტილება, რომ ძალა „არა უმეტესად აბსოლუტური აუცილებლობით“ არის განპირობებული. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ სახის ჩხუბის, მათ შორის დაკავების ოპერაციის განხორციელების დროს ორივე მხრიდან გადამეტებული რეაქციაა მოსალოდნელი. სასამართლოს პრაქტიკა ამყარებს ამ მოსაზრებას.

თუმცა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, არსებობს წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, გამონაკლისის არსებობას (რაც სახელმწიფოს ნებას რთავს, გამოიყენოს სასიკვდილო ძალა დაკავების განხორციელებისას) და, მეორე მხრივ, მოთხოვნას შორის, რომ აღნიშნული სასიკვდილო ძალის გამოყენება უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი. ამ შეუსაბამობის ახსნა მხოლოდ ტელეოლოგიურად არის შესაძლებელი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კონვენციის ავტორებს არ უნდოდათ, გზა გაეხსნათ სასიკვდილო ძალის თავისუფალი გამოყენებისათვის კანონიერი დაკავების განხორციელების მიზნით. თუმცა ისინი მიზნად ვერ დაისახავდნენ მკაცრი და აბსოლუტურად გონივრულობას მოკლებული სტანდარტის ამოქმედებას ამგვარ საგანგებო სიტუაციებში.

თუ სასიკვდილო ძალის გამოყენება აშკარად დაშვებულია კონვენციით კანონიერი დაკავების განსახორციელებლად, მაშინ ძალის გამოყენება, თუ აუცილებლად იქნება მიჩნეული, არის *fortiori* დაშვებული, თუ იგი შედეგად განპირობებს არა სიკვდილს, არამედ სხეულის დაზიანებას.

III

და ბოლოს, დაისმის კითხვა, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა პოლიციის მიერ დამატებითი ძალის გამოყენების დროს და მის შედეგად მიყენებული დაზიანების გამო.

მოცემულ შემთხვევაში ნინასნარ განუზრახველად მიყენებული დაზიანება, მატერიალური სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, არის „გაუფრთხილებლობის“ შედეგი. პასუხისმგებლობა შედეგებისათვის, რომლებიც სცილდება მოქმედი პირის პირდაპირ განზრახვას, ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ ეს შედეგები, სულ მცირე, მოქმედი პირის დაუდევრობის (შეგნებული გაუფრთხილებლობის) ან (განუზრახველი) გაუფრთხილებლობის შედეგია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ეს ქმედება თავისთავად არის დასჯადი გაუფრთხილებლობის ფორ-

მით. ასეთ შემთხვევაში მოქმედ პირს, მაშინაც კი, თუ არ იცოდა ზუსტად, რა შედეგები მოჰყვებოდა მის ქმედებას, მაგრამ შეეძლო და უნდა სცოდნოდა, რომ შესაძლებელი იყო ასეთი შედეგების მიღება, ეკისრება პასუხისმგებლობა წინასწარი განზრახვის გარეშე ჩადენილი ქმედებისათვის.

წინამდებარე საქმეში, თუნდაც თეორიულად, განმცხადებლის გატყუილი ყბა შეიძლებოდა პოლიციელების პირდაპირი განზრახვის შედეგი (*dolus directus*) ყოფილიყო. ზოგადად იგულისხმება, რომ ყველა ადამიანს განზრახული აქვს მისი ქმედების შედეგის დადგომა. პრინციპში, პოლიციას უნდა დაეკისროს ტვირთი, დაამტკიცოს, რომ მიზნად არ ისახავდა განმცხადებლისთვის ზიანის მიყენებას. თუმცა ამაში იგულისხმება, რომ მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებს განზრახული ჰქონდათ თავიანთი ქმედებების ბუნებრივი შედეგი და რომ ახორციელებდნენ ზუსტად იმას, რისი განზრახვაც ჰქონდათ.

საქმეზე *Selmouni v. France* ([GC], № 25803/94, ECHR 1999-V) გამოტანილი განაჩენის მიხედვით, რომელმაც გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ წამების განმარტება ჩვენს იურისპრუდენციაში დანერგა, ეს შეიძლებოდა წამებას გათანაბრებოდა. საკითხი შემდეგნაირად დადგებოდა: იყო თუ არა განმცხადებლის ტყვილი და ტანჯვა სასტიკი და ჰქონდა თუ არა პოლიციას, მაგალითად, განმცხადებლის დისკრიმინაციის ან მისი დასჯის კონკრეტული განზრახვა (*dolus specialis*). თუ ჩავთვლით, რომ განმცხადებლისათვის მიყენებული ტყვილი ან ტანჯვა ნაკლებია „სასტიკზე“, მაშინ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით, საქმე გვექნება „არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასთან“.

აქ მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ როგორც წამება, ისე არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა მოითხოვს პირდაპირ განზრახვას (*dolus directus*) პოლიციელთა მხრიდან. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც განმცხადებელს უგულსყუროდ ექცევიან ციხეში, საკმარისია დაუდევრობა. ამჯერად ასეთ განსაკუთრებულ გარემოებასთან არ გვაქვს საქმე.

წინამდებარე საქმეში პოლიციის საქციელი, განსხვავებით *Selmouni*-ის საქმისაგან, რომელშიც განმცხადებელს სადისტორიო ზიანი მიაყენეს თავისუფლების აღკვეთის შემდეგ, იყო, ყველაზე უარეს შემთხვევაში, გადაჭარბებული რეაქცია მისი გაქცევის მცდელობაზე. აღნიშნული შეტევით ხასიათის გადაჭარბებული რეაქციის შედეგად მიყენებული დაზიანება არ იყო პირდაპირი განზრახვის შედეგი – იგი იყო ძალის კანონიერი გამოყენებისას „გაუფრთხილებლობის“ შედეგი. აქედან გამომდინარე, ყველაზე უარეს შემთხვევაში დაზიანება შეიძლება გამოენჯია პოლიციელთა გაუფრთხილებლობას (შეგნებულ დაუდევრობას), მაგრამ არა მათ განზრახვას. რამდენადაც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა არ მოითხოვს პირდაპირ განზრახვას, ამდენად, მიყენებული დაზიანება, ჩემი აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს „წამებად“ ან „არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად“.

თუმცა ნაკლებად ექსტრემალური, მაგრამ მსგავსი სცენარის მიხედვით ჩვენ მივიჩნევთ, რომ განმცხადებლისთვის მიყენებული დაზიანება პოლიციელთა მიერ ძალის განზრახ გამოყენების გაუთვალისწინებელი შედეგია. პოლიციელების მონათხრობის მიხედვით, დაკავების შემდეგ განმცხადებელმა გაქცევა სცადა. ამან, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ ორი პოლიციელი მიიჭრა მასთან, მინაზე ნააქცია და სცემა. შედეგი შეიძლება ჩაითვალოს როგორც განჭვრეტადად, ისე

პირიქით. თუმცა თუ განჭვრეტადი იქნებოდა, მაშინ ყველაზე უარეს შემთხვევაში იგი შეიძლება გამოენჯია პოლიციელების შეგნებულ დაუდევრობას. რამდენადაც შეგნებული დაუდევრობა სამართლებრივად არ განაპირობებს არააღამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, თუნდაც ყველაზე ცუდი სცენარით, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე.

დაზიანების ხარისხი – ორ ადგილას გატეხილი ყბა – შესაბამისობაშია ამ ვერსიასთან, ანუ განმცხადებელმა ყბა დაარტყა მაგარ საგანს, სავარაუდოდ, იქვე გაჩერებული მანქანის ბამპერს, მაშინ, როდესაც ასეთი დაზიანება აშკარად არ შეესაბამება მხოლოდ „სახეში დარტყმას“, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებს.

სლოვენიაში მოქმედი შიდა დისციპლინური წესების შესაბამისად, ნაკლებად დამაჯერებელია, რომ პოლიციელები მოქმედებდნენ პირდაპირი განზრახვით (*dolus directus*), რომ ყბა ჩაემტვრიათ მისთვის. სხეულის ამგვარი დაზიანება აღნიშნული უნდა ყოფილიყო დაზარალებული პირის მიერ და პოლიციელების წინააღმდეგ უნდა აღძრულიყო შიდა დისციპლინური წარმოება პოლიციის ორგანოების მიერ. როგორც გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრს, მე მაქვს შესაძლებლობა, ვიცნობდე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში პოლიციის არადისციპლინირებული ძალების მიერ მუდმივ მცდელობას, დამალონ მსხვერპლის წამების ან მის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შედეგები. ნაკლებად დამაჯერებელია, რომ პოლიციელები, რომლებსაც ამოძრავებდათ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის მოტივი, მიზნად ისახავდნენ ისეთი დაზიანების მიყენებას, რომელიც აშკარად აუცილებელს გახდიდა მკურნალობას და დაზიანების შესახებ სამედიცინო დასკვნის შედგენას.

ოქმში ინახება განმცხადებლის მიერ პირადად დაწერილი განცხადება, რომ დაზიანება არ იყო პოლიციის ბრალი. მისი მტკიცებულებითი ღირებულება ნაკლები იქნებოდა, განმცხადებელს რომ მხოლოდ ხელი მოენერა მასზე, სლოვენურ და არა მის მშობლიურ გერმანულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი და მეტისმეტად საეჭვო გარემოებაში არ აღმოჩენილიყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ შეიძლება ასეთი ადამიანის იძულება, დაენერა და ხელი მოენერა მკაფიო განცხადებაზე, რომელიც პოლიციას გაამართლებდა. განმცხადებელი მიუთითებს „ფსიქოლოგიურ ტერორზე“, მაგრამ არ აკონკრეტებს, რა სახის საფრთხეს შეეძლო ათლეტიზმის სახეობაში არაერთგზის ჩემპიონის დარწმუნება, დაენერა: „წავიქეცი და ამ დროს სახე დაეარტყი მანქანის ფრთას, რის გამოც ყბა დამიზიანდა. [ხელმოწერა] ეს მოხდა გუშინ, სალამოს 5 და 6 საათს შორის“ (თარგმანი).

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ განმცხადებელი გაქცევას ცდილობდა, რომ ორმა ოფიცერმა მიზნაზე წააქცია, რათა გაქცევისთვის ხელი შეეშალათ და რომ მან ნიკაპი იქვე გაჩერებული მანქანის ბამპერს დაარტყა.

IV

კომისიის დასკვნაში მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არასაკმარის გამოძიებას მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც ეკისრებოდა

მტკიცების ტვირთი, დაემტკიცებინა, რომ განმცხადებელი, რომელიც სლოვენის პოლიციამ დააკავა ჯანმრთელ მდგომარეობაში, არ ყოფილა დაზარებული პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენების გამო.

მაგრამ მოპასუხე სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლო გამოძიების არარსებობის საერთაშორისო სამართლებრივ შედეგებზე არის მისი ჩაყენება "catch-22"-ის სიტუაციაში. სასამართლო გამოძიების არარსებობა ცალსახად იმის შედეგია, რომ არ ყოფილა ამონურული დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა არ ამონურა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რადგან, მისი თქმით, არ შეეძლო საჩივრით მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, მხოლოდ და მხოლოდ იმის შედეგია, რომ განმცხადებელს არასოდეს უჩივლია პოლიციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ.

სანამ იგი მიიღებდა ე.წ. საგამოძიებო ფურცელს, რომელიც მიუთითებს სისხლის სამართალწარმოების ოფიციალურ დანყებას სლოვენის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, გამომძიებელმა მაგისტრატმა სათანადოდ დაკითხა განმცხადებელი. მას არ გამოუთქვამს არანაირი პრეტენზია. ამასთანავე, სასამართლო პროცესის დროს მას ჰქონდა საშუალება, პოლიცია ცუდად მოქცევაში დაედანაშაულებინა, მაგრამ არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს. ერთადერთი ტვირთი, რომელიც მას ეკისრებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, აგრეთვე სისხლის სამართალწარმოების ბოლო ეტაპებზე, იყო ე.წ. ბრალდების ტვირთი (*onus proferendi*). აღნიშნულ ეტაპებზე მხოლოდ მტკიცებაც კი ავტომატურად მიგვიყვანდა პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენების ოფიციალურ გამოძიებამდე. ამ ბრალდებათა დაფიქსირების საფუძველზე კი პროკურორი *ex officio* მოითხოვდა სასამართლო გამოძიებას ეჭვიმტანილი პოლიციელების წინააღმდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებდა სისხლის სამართალწარმოებას პოლიციელების წინააღმდეგ.

ჩანაწერებში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებელს აღნიშნული ბრალდება წამოყენებული ჰქონდა. შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, მისი კონსტიტუციური საჩივარი ამგვარადვე იქნებოდა დაუშვებლად გამოცხადებული იმავე საფუძველით, როგორც ამას ადგილი ექნებოდა სტრასბურგში, მთავრობას რომ არ გამოჩინებოდა და დროზე გაეპროტესტებინა ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა არ ამონურა დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.

ზემოხსენებული მოსაზრებების გამო მე ხმას არ ვაძლევ მე-3 მუხლის დარღვევას.

**ნაჩოვა და სხვები
ბულგარეთის წინააღმდეგ**

Nachova and others v. Bulgaria

**ნაჩოვა და სხვები
გულგარეთის წინააღმდეგ**

(განაცხადი № 43577/98 და 43579/98)

განაჩენი

სტრასბურგი

2005 წლის 6 ივლისი

განაჩენი საბოლოოა, თუმცა შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ ცვლილებებს

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“,
(*Nachova and others v. Bulgaria*)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, შეიკრიბა რა დიდი პალატის სახით შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი, პრეზიდენტი,
ბ-ნო ს.ლ. როჟაკისი,
ბ-ნი ჯ.პ. კოსტა,
სერ ნოკოლას ბრატცა,
ბ-ნი ბ.მ. ზუპანჩიჩი,
ბ-ნი ს. ბირსანი,
ბ-ნი კ. იუნგვიერტი,
ბ-ნი ჯ. კასადევილი,
ბ-ნი ჰედიგანი,
ქ-ნი ს. ბოტუჩაროვა,
ბ-ნი მ. უგრეხელიძე,
ქ-ნი ა. მულარონი,
ქ-ნი ე. ფურა-სანდსტრომი,
ქ-ნი ა. გილუმინი,
ქ-ნი ლ. მიოვიჩი,
ბ-ნი დ. სპეილმანი,
ბ-ნი დევიდ ტორ ბიორგინსონი,

აგრეთვე რეგისტრატორის მოადგილე, ბ-ნი ტ.ლ. ერლი,

იმჯელა რა განმარტოებით 2005 წლის 23 თებერვალს და 2005 წლის 8 ივნისს,
2005 წლის 8 ივნისს გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში (შემდგომში „კომისია“) ბულგარეთის ოთხი მოქალაქის — ქ-ნი ანელინა კუნჩოვა ნაჩოვას, ქ-ნი აკსინია ხრისტოვას, ქ-ნი ტოდორკა რანგელოვას და ბ-ნი რანგელ პეტკოვ რანგელოვის (შემდგომში „განმცხადებლები“) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) ადრემოქმედი 25-ე მუხლის შესაბამისად 1998 წლის 15 მაისს შეტანილი ორი განაცხადიდან (43577/98 და 43579/98) ბულგარეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

2. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ სამხედრო პოლიციამ ესროლა და მოკლა მათი ახლო ნათესავები ბ-ნ კუნჩო ანგელოვი და ბ-ნი კირილ პეტკოვი, რითაც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. გარდა ამისა, მოვლენის გამოძიება არ იყო ეფექტური, რითაც დაირღვა კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლები. მომჩივანები ასევე ამტკიცებდნენ, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულება, კანონით დაეცვა სიცოცხლე და რომ გასაჩივრებული მოვლენების გამომწვევი მიზეზი იყო ბოჭური წარმოშობის პირთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება, რაც არღვევდა კონვენციის მე-14 მუხლს მე-2 მუხლთან ერთად.

3. სასამართლოში განაცხადები წარდგენილი იქნა 1998 წლის 1 ნოემბერს, როდესაც ძალაში შევიდა კონვენციის მე-11 ოქმი (მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი), და გადაეცა ძველ მეოთხე სექციას. 2001 წლის 22 მარტს განაცხადები შეერთდა (ნესი 43, პუნქტი 1).

4. სასამართლოს 2001 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით (ნესი 25, პუნქტი 1) საქმე გადაეცა ახლად შექმნილ პირველ სექციას (ნესი 52, პუნქტი 1). 2002 წლის 28 თებერვალს ამავე სექციის პალატამ, რომელშიც შედიოდნენ ბ-ნი ს.ლ. როზაკისი, პრეზიდენტი, ბ-ნი გ. ბონელო, ქ-ნი ნ. ვაჟიცი, ქ-ნი ს. ბოტუჩაროვა, ბ-ნი ა. კოვლერი, ბ-ნი ვ. ზაგრებელსკი, ქ-ნი ე. შტიენერი, მოსამართლეები, და ბ-ნი ნიელსენი, სექციის რეგისტრატორის მოადგილე, განაცხადი ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა.

5. 2004 წლის 26 თებერვალს იმავე სექციის პალატამ, რომელშიც შედიოდნენ ბ-ნი ს.ლ. როზაკისი, პრეზიდენტი, ბ-ნი პ. ლორენზენი, ბ-ნი ჯ. ბონელო, ქ-ნი ფ. ტულკენსი, ქ-ნი ნ. ვაჟიცი, ქ-ნი ს. ბოტუჩაროვა, ბ-ნი ვ. ზაგრებელსკი, მოსამართლეები, და ბ-ნი ს. ნიელსენი, სექციის რეგისტრატორი, ერთხმად გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლები და კონვენციის მე-13 მუხლიდან განცალკევებული საკითხი არ გამომდინარეობდა.

6. 2004 წლის 21 მაისს ბულგარეთის მთავრობამ (შემდგომში „მთავრობა“) ითხოვა, რომ საქმე გადასცემოდა დიდ პალატას კონვენციის 43-ე მუხლისა და სასამართლოს წესების 73-ე წესის შესაბამისად. დიდი პალატის კოლეგიამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა 2004 წლის 7 ივლისს.

7. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და სასამართლოს წესების 24-ე წესის შესაბამისად.

8. დიდ პალატაში განმცხადებლებმა, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ სოფიის ადვოკატთა ასოციაციის წევრის ი. გროზევის მიერ, და მთავრობამ, რომელსაც წარმოადგენდა თანაწარმომადგენელი ქ-ნი მ. დიმოვა იუსტიციის

სამინისტროდან, წარადგინეს კომენტარები შესაბამისად 2004 წლის 30 ნოემბერს და 2004 წლის 29 ნოემბერს. გარდა ამისა, მიღებული იქნა მესამე მხარის კომენტარები სამი არასამთავრობო ორგანიზაციისგან – „ბოშათა უფლებების ევროპული ცენტრისგან“, „Interights“-ისა და „ლია საზოგადოება – მართლმსაჯულების ინიციატივისაგან“, რომელთაც პრეზიდენტმა უფლება მისცა, ჩართულიყვნენ წერილობით პროცედურაში (კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 44-ე წესის მე-2 პუნქტი).

9. მოსმენა იყო ღია და ჩატარდა ადამიანის უფლებების შენობაში, სტრასბურგში, 2005 წლის 23 თებერვალს (59-ე წესის მე-3 პუნქტი).

სასამართლის წინაშე გამოცხადდნენ:

(ა) მთავრობის სახელით:

ქ-ნი დიმოვა, იუსტიციის სამინისტრო,
ქ-ნი მ. კოცევა, იუსტიციის სამინისტრო, თანაწარმომადგენელი.

(ბ) განმცხადებელთა სახელით:

ბ-ნი ი. გროზევი,
ლორდი ლესტერი, Q.C., ადვოკატი

სასამართლომ მოუსმინა მათ გამოსვლებს.

შაქტები

I. საქმის ბარემოებები

10. საქმე შეეხება 1996 წლის 19 ივლისს ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის მკვლელობას სამხედრო პოლიციის წევრის მიერ, რომელიც ცდილობდა მათ დაპატიმრებას.

11. ყველა განმცხადებელი არის ბოშური წარმოშობის ბულგარეთის მოქალაქე.

12. ქ-ნი ანელია კუნჩოვა ნაჩოვა, დაბადებული 1995 წელს, არის ბ-ნი ანგელოვის ქალიშვილი. ქ-ნი აქსინია ხრისტოვა, დაბადებული 1978 წელს, არის ქ-ნი ნაჩოვას დედა. ორივე ცხოვრობს დობროლეოში (ბულგარეთი). ქ-ნი ტოდორკა პეტროვა რანგელოვა და ბ-ნი რანგელ პეტკოვ რანგელოვი, დაბადებული 1955 და 1954 წელს, ცხოვრობენ ლომში (ბულგარეთი) და არიან ბ-ნი პეტკოვის მშობლები.

A. ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილთან დაკავშირებული გარემოებები

13. 1996 წელს ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი, ორივე 21 წლის, იყვნენ ახალწვეულები სამშენებლო ძალებში. ეს არის საერთო ბინების მშენებლობითა და სხვა სამოქალაქო პროექტებით დაკავებული ჯარის დანაყოფი.

14. 1996 წლის დასაწყისში ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი დააკავეს, ვინაიდან მათ განმეორებით დატოვეს დანაყოფი შევებულების გარეშე. 1996 წლის 22 მაისს ბ-ნი ანგელოვს მიუსაჯეს 9 თვიანი პატიმრობა, ხოლო ბ-ნი პეტკოვს – 5 თვიანი პატიმრობა. ორივე მანამდე მსჯავრდებული იყო ქურდობისათვის.

15. 1996 წლის 15 ივლისს ისინი გაიქცნენ მშენებლობიდან, სადაც მუშაობდნენ და რომელიც განლაგებული იყო ციხის გარეთ, და გაემგზავრნენ ბ-ნი ანგელოვის ბებიასთან ქ-ნი ტონკოვასთან სოფელ ლესურაში. არც ერთი მათგანი შეიარაღებული არ ყოფილა.

16. მათი გაქცევის შესახებ ცნობილი გახდა მეორე დღეს და მათი გვარები ჩანერეს სამხედრო პოლიციის მიერ ძებნილ პირთა სიაში. 1996 წლის 16 ივლისს ვრაცის სამხედრო პოლიციის დანაყოფმა მიიღო მათი დაპატიმრების ორდერი.

17. 1996 წლის 19 ივლისს დაახლოებით შუადღის 12 საათზე ვრაცის სამხედრო პოლიციის დანაყოფის მორიგე ოფიცერმა მიიღო ანონიმური ზარი, რომელმაც ამცნო, რომ ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი იმალებოდნენ სოფელ ლესურაში. შევებულების გარეშე გაპარვის ერთ-ერთი შემთხვევის დროს ბ-ნი ანგელოვი სწორედ იქ იპოვეს და დააპატიმრეს.

18. ხელმძღვანელმა ოფიცერმა, პოლკოვნიკმა დ.-მ, გადაწყვიტა, გაეგზავნა სამხედრო პოლიციის 4 ოფიცერი მაიორი გ.-ს მეთაურობით ორი პირის დასაკავებლად. სულ ცოტა ორი ოფიცერი იცნობდა მათგან ერთს ან ორივეს. ადგილობრივი თვითმმართველობის მდივნის განცხადების თანახმად, მაიორი გ. იცნობდა ლესურას, ვინაიდან მისი დედა იყო ამ სოფლიდან (მდივანი მოგვიანებით დაკითხეს მოწმედ).

19. პოლკოვნიკმა დ.-მ ოფიცრებს უთხრა, რომ „ნესების შესაბამისად“ მათ უნდა წაეღოთ პისტოლეტები, ავტომატური იარაღი და ჯავშანთილეტი. მან აცნობა ოფიცრებს, რომ ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი იყვნენ „კრიმინალურად აქტიურები“ — გამოთქმა, რომელიც აღნიშნავს უკვე ნასამართლევ ან სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილ პირებს — და რომ ისინი გაიქცნენ დაკავების ადგილიდან. მან ოფიცრებს მისცა მითითება, გამოეყენებინათ სიტუაციით ნაკარნახები ნებისმიერი საშუალება მათ დასაპატიმრებლად.

20. ოფიცრები დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ ლესურაში ჯიპით. ორ ოფიცერს ეცვა ფორმა, ხოლო ორი სამოქალაქო ტანსაცმელში იყო. ტყვიავაუმტარი თილეტი მხოლოდ მაიორი გ.-ს ეცვა. იგი შეიარაღებული იყო პირადი პისტოლეტით და 7,62 მილიმეტრიანი კალიბრის ავტომატური „კალაშნიკოვი“. სხვა ოფიცრებს თან ჰქონდათ პისტოლეტები. სამი „კალაშნიკოვი“ მანქანის იატაკზე იყო მთელი ოპერაციის განმავლობაში.

21. მაიორმა გ.-მ ოფიცრებს მისცა ზეპირი განკარგულებები გზად ლესურისაკენ. სერჟანტ კ.-ს უნდა გადაეკეტა სახლის აღმოსავლეთი მხარე, მაიორ გ.-ს — დასავლეთი მხარე, ხოლო სერჟანტი კ. უნდა შესულიყო სახლში. სერჟანტი ს., მძლელი, უნდა დარჩენილიყო მანქანაში და ეთვალთვალა ჩრდილოეთი მხარისათვის.

22. დაახლოებით შუადღის 1 საათზე ოფიცრები ჩავიდნენ ლესურაში. მათ სთხოვეს ქალაქის მერიის მდივანს და ერთ-ერთ სოფელს ბ-ნ ტ.მ.-ს, გაჰყოლოდნენ და ეჩვენებინათ ბ-ნი ანგელოვის ბებიის სახლი. მანქანა შევიდა ლესურის ბომურ ნაწილში.

23. სერჟანტმა ნ.-მ იცნო სახლი, ვინაიდან ბ-ნი ანგელოვი მან დააპატიმრა, როდესაც იგი შეებულების გარეშე პირველად გაიქცა.

24. როგორც კი ჯიპი მიუახლოვდა სახლს, დაახლოებით დღის პირველი საათიდან ორის ნახევრამდე, სერჟანტმა კ.-მ იცნო ბ-ნი ანგელოვი, რომელიც იყო სახლში და იდგა ფანჯრის უკან. შენიშნეს რა მანქანა, დევნილებმა გაქცევა სცადეს. პოლიციის ოფიცრებმა გაიგონ ფანჯრის მინის გატეხვის ხმა. მაიორი გ. და სერჟანტები კ. და ნ. გადმოხტნენ ჯერ კიდევ მოძრავი მანქანიდან. მაიორი გ. და სერჟანტი კ. შევიდნენ ბალის ჭიშკრიდან; პირველი გაეშურა სახლის დასავლეთი ნაწილისაკენ, ხოლო მეორე სახლში შევიდა. სერჟანტი ნ. გაემართა სახლის აღმოსავლეთი ნაწილისაკენ. სერჟანტი ს. დარჩა მანქანაში მდივანთან, რომელიც მუშაობდა ქალაქის მერიაში, და ბ-ნ ტ.მ.-სთან ერთად.

25. სერჟანტმა ნ.-მ ჩვენებაში თქვა, რომ როდესაც დაინახა, თუ როგორ გადმოხტნენ ფანჯრიდან ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი და გაიქცნენ მეზობლის ეზოსაკენ, მან დაიყვირა: „შეჩერდით, სამხედრო პოლიცია!“ და ამოიღო იარაღი, თუმცა არ უსვრია. ორი მამაკაცი კვლავ გარბოდა. სერჟანტი ნ. გავარდა ქუჩაში და ცდილობდა მათ დაჭერას რამდენიმე სახლისათვის გვერდის შემოვლით. როდესაც გარბოდა, მან გააგონა მაიორი გ.-ს ყვირილი: „შეჩერდით, სამხედრო პოლიცია, შეჩერდით, თორემ ვისვრი!“ ამის შემდეგ დაიწყო სროლა.

26. მაიორმა მისცა შემდეგი ჩვენება:

„...მე გავიგონე, როგორ ყვიროდა სერჟანტი ნ-: „შეჩერდით, პოლიცია“... დავინახე რიგითები; ისინი მორბოდნენ და გაჩერდნენ ქ-ნი ტონკოვასა და მისი მეზობლის ეზოებს შორის ლობესთან... დავინახე, რომ ისინი ცდილობდნენ, გადამხტარიყვნენ ლობეზე და დაეუყვირე: „შეჩერდით, თორემ ვისვრი“. მე გადავნიე დამცველი ლილაკი და გადავტენე ავტომატური იარაღი. შემდეგ ჰაერში გავისროლე და ავტომატური იარაღი მეჭირა ზემოთ მიმართული მარჯვენა ხელში, თითქმის მართი კუთხით მიწასთან ... რიგითები გადაძვრნენ ლობეზე და განაგრძეს სირბილი, მე მივეყვი, შემდეგ ვისროლე ჰაერში ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ და დაეყვირე: „შეჩერდით!“ მათ განაგრძეს სირბილი. მე კვლავ ვისროლე ჰაერში და დაეყვირე: „შეჩერდით, თორემ გესვრით.“ მე ისინი კვლავ გავაფრთხილე, მაგრამ უკანმოუხედავად გარბოდნენ. [ორი კაციდან] მარჯვენას გაფრთხილების შემდეგ ვესროლე ავტომატიდან; მიწას ვუმიზნებდი იმ იმედით, რომ ეს მათ გააჩერებდა. მე კვლავ ვიყვირე: „შეჩერდით!“, როდესაც ისინი მიუახლოვდნენ მეორე სახლის კუთხეს, მე მათ ვესროლე, ვინაიდან თვალს ეფარებოდნენ. მე მათ ფეხებში დავუმიზნე. სადაც ვიდექი, შედარებით დაბალ დონეზე იყო... მეორე ლობეზეც რომ გადამხტარიყვნენ, მათი შეჩერების სხვა საშუალება აღარ მექნებოდა. კუთხე ცოტა დახრილი იყო, ვინაიდან შედარებით დაბლა ვიდექი... მეორე ლობე ყველაზე მაღლა იყო; სწორედ ამიტომ დავუმიზნე კუთხისკენ [ორ კაცს], ვინაიდან ჩავთვალე, რომ მეზობელი სახლებიდან არავინ დაშავდებოდა, ხოლო მეორედ ვეს-

როლე რიგითებს, თუმცა დაუშვინებ ფეხებში. 45-ე წლის შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია იარაღის გამოყენება სამხედრო ძალების იმ ნევრების დაპატიმრებისას, რომელთაც ჩაიდინეს სამართალდარღვევა და რომლებიც არ ჩაბარდებიან გაფრთხილების შემდეგ; თუმცა [ამავე წლის] მე-3 პუნქტის შესაბამისად, ჩვენ უნდა დავიცვათ ამ პირების სიცოცხლე - სწორედ ამიტომ ვესროლე ფეხებში — და ავიცილოთ ფატალური დაზიანებები. როდესაც ბოლოჯერ ვესროლე რიგითებს ფეხებში, მათგან 20 მეტრში ვიყავი, ისინი კი იყვნენ მეზობელი ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. სროლის შემდეგ ორივე დაეცა... ორივე მუცელზე იწვა და ცოცხალი იყო, ... კენესოდნენ... შემდეგ სერჟანტი ს. გამოჩნდა, მე მას დაუკმახე ... და გადავეცი ჩემი იარაღი..."

27. სამი დაქვემდებარებული ოფიცრის ჩვენების თანახმად, ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტუკოვი იწვნენ მიწაზე ლობის წინ, ფეხები იმ სახლისაკენ პქონდათ მიქცეული, საიდანაც გამოვიდნენ, ერთი ზურგზე იწვა, მეორე კი — მუცელზე.

28. მეზობელმა, ბ-ნმა ზ.-მ, რომელიც ცხოვრობდა ბ-ნი ანგელოვის ბებიის პირდაპირ, ასევე მისცა ჩვენება. დაახლოებით 13.00 სთ-ზე ან 13 საათსა და 30 წუთზე მან დაინახა, რომ ქ-ნი ტონკოვას სახლის წინ სამხედრო ჯიბი გაჩერდა. შემდეგ გაიგონა, როგორ ყვიროდა ვიღაც: „არ გაიქცე, ტყვიებს გამოვიყენებ.“ შემდეგ გაიგონა გასროლის ხმა, გადაიხედა მეზობელ ეზოში და დაინახა, რომ ბ-ნი ანგელოვი, რომელსაც იცნობდა, და კიდევ ერთი მამაკაცი გადახტნენ ქ-ნი ტონკოვასა და სხვა მეზობლის ეზოებს შორის ლობეზე. მან ვერ დაინახა კაცი, რომელიც ისროდა, ვინაიდან იგი ეფარებოდა ქ-ნი ტონკოვას სახლს. შემდეგ დაინახა, რომ ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტუკოვი დაეცნენ მიწაზე და კაცი, რომელიც ისროდა, გამოჩნდა ავტომატური იარაღით ხელში. ბ-ნი ზ.-ს თქმით,

„უნიფორმაში გამოწყობილმა მეორე მამაკაცმა დაუნყო ჩხუბი [იმ კაცს, რომელმაც ისროლა, რომ არ უნდა ესროლა და საერთოდ არ უნდა წამოსულიყო მათთან ერთად. ჯიბით მოსულთაგან მხოლოდ ყველაზე მაღალი ჩინის მქონე ოფიცერმა ისროლა... მე მას დანახვით ვიცნობ, ნათესავეები ყყავს ლესურაში.“

29. სერჟანტმა ს.-მ განაცხადა, რომ სახლთან მისვლის შემდეგ მანქანასთან დარჩა და გაიგონა, როგორ ყვიროდა სერჟანტი ნ. სახლის სამხრეთ ნაწილთან: „შეჩერდი, პოლიცია!“ მან ასევე გაიგონა, როგორ ყვიროდა მაიორი გ.: „შეჩერდი, პოლიცია!“ სახლის დასავლეთ ნაწილთან. შემდეგ მაიორმა გ.-მ დაიწყო სროლა ავტომატიდან და განაგრძობდა ყვირილს. შემდეგ სერჟანტი ს. შევიდა ეზოში. მან დაინახა, რომ მაიორი გ. გადახრილი იყო ლობეზე და ყვიროდა. იგი მიუახლოვდა [მაიორს], გამოართვა ავტომატი და დაინახა ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტუკოვი, რომლებიც იწვნენ მიწაზე ლობის ახლოს. ისინი ჯერ ცოცხლები იყვნენ. ამ დროს სერჟანტი კ. გამოვიდა სახლიდან. მაიორი გ. ნავიდა მანქანისაკენ და რადიოთი მოახსენა მომხდარი ინციდენტის შესახებ. როდესაც ისინი დაბრუნდნენ, სერჟანტი ნ. გამოჩნდა მეზობელი ქუჩიდან და დაეხმარა მათ დაჭრილების მანქანაში ჩასმამში.

30. ვრაცის სამხედრო პოლიციის დანაყოფის ხელმძღვანელს და სხვა

ოფიცრებს მომხდარის შესახებ დაახლოებით 1.30 სთ-ზე შეატყობინეს.

31. სერჟანტმა კ.-მ ჩვენების მიცემისას განაცხადა, რომ იგი შევიდა სახლში და ესაუბრებოდა ბ-ნი ანგელოვის ბებიას და სხვა ქალს, როდესაც გაიგონა, როგორ უყვიროდა მაიორი გ. ბ-ნი ანგელოვსა და ბ-ნი პეტკოვს, რომ შეჩერებულყვნენ. სახლში მან შეამჩნია, რომ იმ ფანჯრის მინა, რომელიც გადაპყურებდა ეზოს, გატყეხილი იყო. ის უკვე სახლიდან გამოსვლას აპირებდა, როდესაც გაიგონა გასროლის ხმა სახლის უკანა მხრიდან. ეზოსაკენ მიმავალი შეხვდა მაიორ გ.-ს, რომელმაც უთხრა, რომ დევნილები დაიჭრნენ. სერჟანტი გადაძვრა ლობეზე და მიუახლოვდა დაჭრილებს, რომლებიც ჯერ ცოცხლები იყვნენ და კენესოდნენ. მას ახსოვს, რომ ეჭირა ავტომატი, თუმცა არ ახსოვს, საიდან ჰქონდა. მან გახსნა მჭიდუ და ნახა, რომ შიგნით არ იყო ტყვიები. მხოლოდ ერთი ტყვია იყო ჩარჩენილი ლულაში.

32. გასროლის შემდეგ უმალ მოგროვდა ხალხი სამეზობლოდან. სერჟანტმა ს.-მ და სერჟანტმა კ.-მ წაიყვანეს დაჭრილები ვრაცის საავადმყოფოში, ხოლო მაიორი გ. და სერჟანტი ნ. ადგილზე დარჩნენ.

33. ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი ვრაცისკენ მიმავალ გზაზე გარდაიცვალნენ. საავადმყოფოში მისვლისთანავე ისინი გარდაცვლილებად გამოაცხადეს.

34. ბ-ნი ანგელოვის ბებია, ქ-ნმა ტონკოვამ, მოვლენები შემდეგი თანამიმდევრობით აღწერა: მისი შვილიშვილი და ბ-ნი პეტკოვი სახლში იყვნენ, როდესაც დაინახეს ჯიპის მოახლოება. თვითონ გარეთ გავიდა და დაინახა უნიფორმიანი ოთხი მამაკაცი. ყველა მათგანი ეზოში შევიდა. ერთ-ერთმა სახლს შემოუარა და ისროდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. დანარჩენი სამი მამაკაციც შეიარაღებული იყო, თუმცა არც ერთ მათგანს არ უსვრია. იგი ეზოში იყო და ევედრებოდა კაცს, რომელიც ისროდა, შეენყვიტა სროლა. კაცი სახლის უკანა ნაწილისაკენ წავიდა. შემდეგ ქ-ნმა ტონკოვამ გაიგონა გასროლის ხმა უკანა ეზოში, იქით წავიდა და დაინახა დაჭრილი შვილიშვილი და ბ-ნი პეტკოვი, რომლებიც მეზობლის ეზოში ივნენ.

35. სხვა მეზობლის, ბ-ნი მ.მ.-ის ჩვენების თანახმად, სამივე პოლიციელი ისროდა. ორმა მათგანმა ჰაერში ისროლა, ხოლო მესამე ოფიცრმა, რომელიც სახლის დასავლეთით იმყოფებოდა (მაიორი გ.), ვილაცას დაუმიზნა. ბ-ნმა მ.მ.-მ გაიგონა დაახლოებით 15 ან 20 გასროლა, შესაძლოა მეტიც. შემდეგ დაინახა, რომ სამხედრო პოლიციელები წავიდნენ მეზობელ ეზოში, სადაც ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი დაეცნენ. ის ეზო ეკუთვნოდა ბ-ნი მ.მ.-ს და მის ქალიშვილს. დაინახა რა თავისი შვილიშვილი, ახალგაზრდა ბიჭი, ბ-ნმა მ.მ.-მ სთხოვა მაიორ გ.-ს ნებართვა, მიახლოებულიყო და წაეყვანა [შვილიშვილი]. მაიორმა იარაღი მიუშვირა და უხეშად შეურაცხყოფა მიაყენა: „შე დანყველილო ბოშა!“

B. სიკვდილის გარემოებათა გამოძიება

36. 1996 წლის 19 ივლისის შემთხვევაში მონაწილე ყველა ოფიცრმა წარადგინა დამოუკიდებელი ანგარიში ვრაცის სამხედრო პოლიციის დანაყოფში. არც ერთი მათგანისთვის არ ჩაუტარებიათ ტესტი ალკოჰოლზე.

37. იმავე დღეს დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე და 16-16.30 სთ-ს შორის სისხლის სამართლის გამოძიე-

ბელმა დაათვალიერა შემთხვევის ადგილი. ანგარიშში მან აღწერა შემთხვევის ადგილი, მათ შორის ქ-ნი ტონკოვას სახლის, პირველი ლობის, მასრებისა და სისხლის კვალის მდებარეობა. მან აღნიშნა, რომ პირველი ლობის სტრუქტურა დაზიანებული იყო, ხოლო ლობე გახეული იყო ერთ ადგილას.

38. გამოძიებელმა ანგარიშს თან დაურთო სქემატური რუკა, რომელზეც ასახული იყო ქ-ნი ტონკოვას ეზო და მეზობელი ეზო, სადაც დაეცნენ ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი. სქემატური რუკა და ანგარიში ასახავდა ეზოს მხოლოდ ნაწილს. კუთხე და გარემო, ასევე გარემომცველი ტერიტორია არ იყო აღწერილი.

39. ამოიღეს 9 ცარიელი მასრა. ერთი მასრა იყო ქუჩაში, ქ-ნი ტონკოვას სახლის წინ (გაჩერებული ჯიპის ახლოს). ოთხი მასრა იპოვეს ქ-ნი ტონკოვას ეზოში, სახლის უკან, იმ ლობის ახლოს, რომელიც ყოფს მის ეზოს მეზობლის ეზოსაგან. სამი მასრა იპოვეს მეზობლის (ბ-ნი მ.მ.-ის) ეზოში იმ ადგილთან ახლოს, სადაც სისხლის კვალი აღმოაჩინეს. მეცხრე მასრა მოგვიანებით იპოვა და გადასცა სამხედრო პოლიციას ბ-ნი ანგელოვის ბიძამ. არ არსებობს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ სად იქნა ეს ტყვია ნაპოვნი.

40. სისხლის კვალი ერთ მეტრზე იყო. სქემატურ რუკაზე კვალი დატანილი იყო პირველი ლობიდან 9 მეტრის მოშორებით. მანძილი სისხლის კვალსა და მეორე ლობეს შორის, რომლის უკანაც ცდილობდნენ მიმალვას ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი, არ იყო მითითებული. გამოძიებელმა აიღო სისხლის კვალის ნიმუშები.

41. 1996 წლის 21 ივნისს პათოლოგმა ჩაატარა გაკვეთა.

გაკვეთის №139/96 ოქმის შესაბამისად, ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის მიზეზი იყო „მკერდში ჭრილობა“, რომლის მიმართულებაც იყო უქნიდან წინ. ჭრილობა შემდეგნაირად იყო აღწერილი:

„მკერდში ჭრილობა იყო ოვალური, 2,5სმ ხ 1სმ, ტერფიდან 144 სმ-ით დაცილებული, განადგურებულია ქსოვილები და მარცხენა მხრის არეში ნაპირები არათანაბარია. ზურგში არის სამსანტიმეტრიანი ჭრილობა ინფრასკაპულური ხაზის მარცხნივ ტერფიდან 123 სმ-ის დაშორებით; ჭრილობის ნაპირები არათანაბარი იყო, დაფლეთილი ნაპირები ზემოთ იყო ამონეული და ქსოვილები განადგურებული იყო.“

42. რაც შეეხება ბ-ნი ანგელოვს, ანგარიშის თანახმად, მისი სიკვდილის მიზეზი იყო „იარაღიდან მიყენებული ჭრილობა, რომელმაც დააზიანა მთავარი სისხლძარღვი“; ნასროლის მიმართულება იყო „უქნიდან წინ“. ანგარიშში ასევე ეწერა:

„მარცხენა დუნდულზე აღინიშნება მრგვალი ჭრილობა ტერფიდან 90 სმ-ზე... განადგურებულია ქსოვილები, კედლები და ნაპირები არათანაბარია, დიამეტრი — დაახლოებით 0,8 სმ... სხეულზე ჰქონდა 2,1 სმ-იანი ჭრილობა დაზიანებული და ამობრუნებული ნაპირებით, ქსოვილი აღარ იყო; ჭრილობა ჰქონდა [მუცლის] ქვედა და შუა მესამედში, ტერფიდან 95 სმ-ზე, ჭიპიდან ოდნავ მარცხნივ.“

43. ანგარიშის თანახმად, დაზიანებები მიყენებული იყო ავტომატური იარაღიდან შორიდან სროლის შედეგად.

44. 1996 წლის 22, 23 და 24 ივლისს გამომძიებელმა დაკითხა პოლიციის ოთხი ოფიცერი, ორი მეზობელი (მ.მ. და კ.), მდივანი, რომელიც მუშაობდა ქალაქის მუნიციპალიტეტში, და ბ-ნი ანგელოვის ბიძა. მოგვიანებით ასევე დაკითხეს ბ-ნი პეტკოვის დედა.

45. 1996 წლის 1 აგვისტოს მაიორ გ.-ს ავტომატს, მის ლულაში ნაპოვნ ტყვიას და შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ 9 მასრას ჩაუტარდა ექსპერტიზა ვრაცის შინაგან საქმეთა რეგიონული დირექტორატის ბალისტიკური ექსპერტების მიერ. ანგარიშის თანახმად, ავტომატური იარაღი ხმარებისათვის გამოსადეგი იყო და ცხრავე ამოღებული მასრა ამ იარაღიდან იყო გასროლილი; ტყვია, რომელიც ლულიდან ამოიღეს, ასევე გამოსადეგი იყო ხმარებისათვის.

46. 1996 წლის 29 აგვისტოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბ-ნი პეტკოვის სისხლში აღმოაჩინეს 0,55 გრ/ლ, ხოლო ბ-ნი ანგელოვის სისხლში – 0,75 გრ/ლ ალკოჰოლი (ბულგარეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა მანქანის მართვა, თუ სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 0,5 გრ/ლ-ზე მეტია).

47. 1996 წლის 20 სექტემბერს შინაგან საქმეთა ვრაცის რეგიონული დირექტორატის ექსპერტმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ სისხლის კვალს და დაადგინა, რომ ის შეესაბამებოდა მსხვერპლთა სისხლის ჯგუფებს.

48. 1997 წლის 20 იანვარსა და 13 თებერვალს დაკითხნენ სხვა მეზობელი (ბ-ნი ტ.მ.) და ქ-ნი ხრისტოვა (მომჩივანთაგან ერთ-ერთი). 1997 წლის 26 მარტს დაკითხეს ბ-ნი ანგელოვის ბებია და მეზობელი ზ.

49. 1997 წლის 7 იანვარს ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის ოჯახები დაუშვეს საგამომძიებო მასალებთან. მათ ითხოვეს, რომ დაეკითხათ კიდევ სამი მოწმე: ტ.მ., ქ-ნი ტონკოვა და ზ.პ. გამომძიებელმა მოწმეები დაკითხა 1997 წლის 20 იანვარსა და 26 მარტს. მომჩივანებს არ უთხოვიათ დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება.

50. 1997 წლის 31 მარტს გამომძიებელმა დაასრულა წინასწარი გამოძიება და შეადგინა საბოლოო ანგარიში. მან აღნიშნა, რომ ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი გაიქცნენ დაკავების ადგილიდან, სადაც იხდიდნენ სასჯელს, და, ამრიგად, ჩაიდინეს სამართალდარღვევა. მაიორმა გ.-მ შესაძლებლობის ფარგლებში გააკეთა ყველაფერი მათი სიცოცხლის გადასარჩენად. მაიორმა უბრძანა მათ, გაჩერებულიყვნენ, ჩაბარებოდნენ და გამაფრთხილებელი გასროლაც გააკეთა. მაიორმა მათ მხოლოდ მას შემდეგ დაუმიზნა, რაც დაინახა, რომ კვლავ გარბოდნენ და შეიძლებოდა გაქცეულიყვნენ. მას არ სურდა სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობების მიყენება. გამომძიებელმა დაასკვნა, რომ მაიორი გ. იქცეოდა სამხედრო პოლიციის რეგლამენტის 45-ე წესის შესაბამისად და მისცა რეკომენდაცია პლევენის რეგიონულ პროკურატურას, რომ გამოძიება დამთავრებულიყო, ვინაიდან მაიორ გ.-ს არ ჩაუდენია სამართალდარღვევა.

51. 1997 წლის 8 აპრილს პლევენის სამხედრო პროკურორმა გაიზიარა გამომძიებლის რეკომენდაცია და დაასრულა წინასწარი გამოძიება სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე. მან დაასკვნა, რომ მაიორი გ. მოქმედებდა სამხედრო პოლიციის რეგლამენტის 45-ე წესის შესაბამისად. მაიორმა რამდენჯერმე გააფრთხილა ორი მამაკაცი და გააკეთა გამაფრთხილებელი გასროლა ჰაერში. მაიორმა მათ მხოლოდ იმიტომ ესროლა, რომ ისინი არ ჩაბარდნენ და არსებობდა მათი

გაქცევის ალბათობა. მაიორი შეეცადა, თავიდან აეცილებინა ფატალური ზიანის მიყენება. სხვა არაეინ დაზარალებულა.

52. როდესაც აღწერდა მსხვერპლთა პირად გარემოებებს, მათი ოჯახების შესახებ დეტალების ჩათვლით, გამომძიებელმა მიუთითა, რომ ორივე მამაკაცი წარმოშობით „ეროვნული უმცირესობის ოჯახიდან“ იყო; ეს ტერმინი გამოიყენება ძირითადად ბოშური უმცირესობის აღსანიშნავად.

53. 1997 წლის 11 ივნისის ბრძანებით შეიარაღებული ძალების პროკურორმა უარი უთხრა მომჩივანებს გასაჩივრებაზე იმ მოტივით, რომ ბ-ნმა ანგელოვმა და ბ-ნმა პეტკოვმა გამოიწვიეს სროლა, რადგან გაქცევას ცდილობდნენ და რომ მაიორმა გ.-მ გადადგა ასეთ სიტუაციაში კანონით გათვალისწინებული ნაბიჯები. ამიტომ იარაღის გამოყენება კანონიერი იყო სამხედრო პოლიციის რეგლამენტის 45-ე წესის შესაბამისად.

54. 1997 წლის 19 ნოემბერს შეიარაღებული ძალების პროკურატურის გამოძიების გადასინჯვის დეპარტამენტის პროკურორმა კვლავ არ დააკმაყოფილა შემდეგი გასაჩივრება იმავე საფუძვლებით, რასაც სხვა პროკურორები დაეყრდნენ.

II. საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები ბოშათა სავარაუდო ღისკრიმინაციის შესახებ

55. უკანასკნელი წლების ანგარიშებში რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპულმა კომისიამ (შემდგომში „რასიზმის საწინააღმდეგო კომისია“) გამოხატა შეშფოთება პოლიციის რასიზმით მოტივირებული ძალადობის გამო, განსაკუთრებით ბოშების წინააღმდეგ ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში, მათ შორის ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, უნგრეთში, პოლონეთში, რუმინეთსა და სლოვაკეთში.

56. ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებში ძირითადი უფლებების მდგომარეობის შესახებ 2002 წლის ანგარიშში, რომელიც მოამზადა ევროკავშირის დამოუკიდებელ ექსპერტთა ქსელმა ევროკომისიის თხოვნით, ნათქვამი იყო, რომ ევროკავშირის ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, ავსტრიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ირლანდიაში, იტალიასა და პორტუგალიაში, დადასტურდა პოლიციის ძალადობა ბოშებისა და მსგავსი ჯგუფების მიმართ, მათ შორის ფიზიკური ძალადობა და გადამეტებული ძალის გამოყენება.

57. ბულგარეთის შესახებ 2000 წლის მარტის მეორე ანგარიშში რასიზმის საწინააღმდეგო კომისიამ განაცხადა, *inter alia*:

„განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს პოლიციის მხრიდან ბოშათა დისკრიმინაცია და მათ მიმართ ცუდად მოპყრობა... ადამიანის უფლებების პროექტის დოკუმენტებში 1998 წლის ანგარიშში დაფიქსირებულია ბოშათა მიმართ პოლიციის უამრავი არასათანადო მოპყრობა. ანგარიშის თანახმად, არასათანადო მოპყრობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: გადამეტებული ძალის გამოყენება დაკავებისას მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით; ცეცხლსასროლი იარაღის გაუმართლებელი გამოყენება... მუქარა იმ პირთა პირადი უსაფრთხოების მიმართ, რომელთაც

საჩივარი შეიტანეს კომპეტენტურ ორგანოში პოლიციის წინააღმდეგ... ადამიანის უფლებების პროექტში აღნიშნულია, ... რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეტანილი საჩივრები ბოშა მსხვერპლთა მიმართ პოლიციის ძალადობის შესახებ ხელისუფლებას არ გამოუძიებია ... მსხვერპლი, როგორც წესი, არ არის მონდომებული, შეიტანოს საჩივარი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის სასამართლო განაჩენის მოლოდინშია ... ხელისუფლებაც [აშკარად] არ არის მაინცდამაინც მონადინებული, ალიაროს, რომ არსებობს პრობლემები პოლიციის არასათანადო ქმედების თვალსაზრისით ...

რასიზმის საწინააღმდეგო კომისია [კიდევ ერთხელ იმეორებს თავის რეკომენდაციას], რომ უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც იმოქმედებს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე და გამოიძიებს პოლიციის, საგამოძიებო და პენიტენციურ პრაქტიკას, რათა გამოაშკაროს რასობრივი დისკრიმინაციის აშკარა და შენიღბული შემთხვევები და უზრუნველყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის მკაცრად დასჯა...

რასიზმის საწინააღმდეგო კომისია შემფოთებულია ბულგარეთში ბოშათა საზოგადოების მიმართ დისკრიმინაციის ფართოდ გავრცელებით ... არსებობს ცნობები, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ზოგჯერ ჩართულია ბოშების წინააღმდეგ სამართალწარმოების უკანონოდ განხორციელებაში, რაც ხშირად ადგილობრივი პოლიციის ქმედებებზე მდუმარე თანხმობით გამოიხატება.“

58. 2004 წლის იანვარში მომზადებულ ანგარიშში ბულგარეთის შესახებ რასიზმის საწინააღმდეგო კომისიამ განაცხადა, *inter alia*:

„[რასიზმის საწინააღმდეგო კომისიის მეორე ანგარიშის შემდეგ] სისხლის სამართლის კოდექსში არ შესულა ცვლილებები, [რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა რასისტული მოტივი ყოველთვის ყოფილიყო მხედველობაში მიღებული] ... რასიზმის საწინააღმდეგო კომისია რეკომენდაციას იძლევა, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ სისხლის სამართლის კოდექსში დაამატოს დებულება, რომელიც ნათლად გაითვალისწინებს, რომ რასისტული მოტივაცია ნებისმიერი სამართალდარღვევისთვის დამამძიმებელი გარემოებაა ...

რასიზმის საწინააღმდეგო კომისია შემფოთებულია პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევებით, რომელთაგან ზოგიერთმა გამოიწვია ბოშათა სიკვდილი ... რასიზმის საწინააღმდეგო კომისია დაჟინებით უწევს რეკომენდაციას ბულგარეთის ხელისუფლებას, გადადგას სათანადო ნაბიჯები სამართალდამცავი ორგანოების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მხოლოდ იმ შემთხვევებამდე შეზღუდვის მიზნით, როდესაც მისი გამოყენება ნამდვილად აუცილებელია. განსაკუთრებით იგი მოუწოდებს ბულგარეთის ხელისუფლებას, რომ ამ მიზნით ცვლილებები შეიტანოს კანონში და უზრუნველყოს ამ სფეროში

მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკული განხორციელება.

რასიზმის საწინააღმდეგო კომისია განსაკუთრებით შემოთავაზებულია იმით, რომ ბოშური წარმოშობის იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც პოლიციის დაწესებულებებში ფიზიკური ძალა გამოიყენეს, სამჯერ აღემატება ბულგარული წარმოშობის პირთა რაოდენობას ... ჯერჯერობით ბულგარეთის ხელისუფლებას არ შეუქმნია დამოუკიდებელი ორგანო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დისკრიმინაციის ან ცუდად მოპყრობის გამოძიების მიზნით...

რასიზმის საწინააღმდეგო კომისია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ 2000 წლის აგვისტოში პოლიციის ეროვნულ დეპარტამენტში ადამიანის უფლებათა სპეციალური კომიტეტი შეიქმნა ... არაერთი სქემა ამოქმედდა ადამიანის უფლებების საკითხებში პოლიციის თანამშრომელთა მომზადების მიზნით ...

ჩარჩო-პროგრამა ბულგარულ საზოგადოებაში ბოშათა თანასწორი ინტეგრირებისთვის მიჩნეულია, მათ შორის ბოშათა მიერაც, კარგად ორგანიზებულ და ნამდვილად ყოვლისმომცველ ორგანიზაციად ... თუმცა ბოშათა და არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის არსებობს ერთსულოვანი მოსაზრება, რომ, ანგარიშში აღნიშნული რამდენიმე ინიციატივის გარდა, პროგრამა ფურცლად დარჩა ... ზოგიერთი თვლის, რომ მთავრობას აკლია პოლიტიკური გამბედაობა, განახორციელოს ასეთი პროგრამა ... რასიზმის საწინააღმდეგო კომისია ფრიად შემოთავაზებულია იმის გაგებით, რომ ჩარჩო-პროგრამის მიღებიდან 4 წლის შემდეგ მისი შესრულება კვლავ დაწყებით სტადიაზეა..."

59. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, როგორცაა „ადამიანის უფლებათა პროექტი“ და „ამნესტი ინტერნეშნელ“, ანგარიში წარადგინეს ბოშათა წინააღმდეგ რასობრივი დისკრიმინაციის უამრავი სავარაუდო შემთხვევის შესახებ ბულგარეთში, მათ შორის სამართალდამცავთა მიერ.

III. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა

A. სამხედრო პოლიციის გამოუქვეყნებელი რეგლამენტი, რომელიც გამოსცა თავდაცვის სამინისტრომ 1994 წლის 21 დეკემბერს

60. რეგლამენტის 45-ე მუხლი (ნესი 45), რომელიც ძალაში იყო განსახილველ დროს, ითვალისწინებს:

„(1) სამხედრო პოლიციის ოფიცრებს შეუძლიათ ძალის გამოყენება ... შემდეგ გარემოებებში ...

2. ჯარში მყოფი ადამიანის დაპატიმრებისას, რომელმაც ჩაიდინა ან ჩადის საჯაროსამართლებრივი დევნის სამართალდარღვევას და რომელიც არ ჩაბარდება გაფრთხილების შემდეგ ...

(2) ძალის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება და გასროლა ჰაერში...

(3) როდესაც მოვალეობის შესრულებისას სამხედრო პოლიციელი იყენებს ცეცხლსასროლ იარაღს, შესაძლებლობის ფარგლებში იგი უნდა შეეცადოს იმ პირის სიცოცხლის დაცვას, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენება ძალა, და დაეხმაროს დაჭრილს...

(5) როდესაც გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღი, უნდა მომზადდეს ანგარიში, რომელშიც აღწერილი იქნება იარაღის გამოყენების გამომწვევი გარემოებები; [ანგარიში] უნდა წარედგინოს იმ ოფიცრის ზემდგომს, ვინც იარაღი გამოიყენა.“

61. 2000 წლის დეკემბერში 45-ე წესი შეიცვალა 2000 წლის 6 დეკემბრის №7 დეკრეტით სამხედრო პოლიციის მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ (გამოქვეყნდა სახელმწიფო გაზეთში №102/2000, ცვლილება შევიდა 2001 წელს). დეკრეტის 21-ე მუხლის შესაბამისად, ცეცხლსასროლი იარაღი შეიძლება გამოყენებული იქნეს, *inter alia*, ნებისმიერი ისეთი პირის დაპატიმრებისას, რომელმაც ჩაიდინა საჯაროსამართლებრივი დევნის სამართალდარღვევა. ამ კატეგორიაში ხვდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა უმრავლესობა, მათ შორის, წვრილმანი ქურდობა. დეკრეტის მე-2, მე-4(1) და 21-ე მუხლების შესაბამისად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ პირის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენება ძალა და ცეცხლსასროლი იარაღი, და თავად სამართალდამრღვევის ხასიათი.

B. სხვა შესაბამისი სამართალი და პრაქტიკა დაკავებისას ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით

62. სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი არეგულირებს თავდაცვის შემთხვევაში ძალის გამოყენების ხარისხს. ამ მუხლის თანახმად ქმედება, რომელიც მიმართულია თავდაცვის ან სხვა ადამიანის დაცვისაკენ, პროპორციულად უნდა შეესაბამებოდეს თავდასხმის ხასიათსა და ინტენსივობას და გონივრული უნდა იყოს მოცემულ სიტუაციაში. ეს დებულება არ არეგულირებს შემთხვევებს, როდესაც ძალას იყენებს პოლიციის ოფიცერი ან სხვა პირი დაპატიმრების განსახორციელებლად იმ შემთხვევებში, როდესაც დაპატიმრების მწარმოებელ ოფიცერზე ან მესამე პირზე არ მომხდარა თავდასხმა. 1997 წლამდე არ არსებობდა სხვა დებულება, რომელიც დაარეგულირებდა ამ საკითხს. სასამართლოები ზოგიერთ შემთხვევაში იყენებდნენ მე-12 მუხლს დაპატიმრებისას გამოყენებულ ძალასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას.

63. ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით 1973 წელს №12 განმარტებით დი-

რექტივაში უზენაესმა სასამართლომ განაცხადა ყოველგვარი შემდგომი ახსნის გარეშე, რომ ზიანის მიყენება დაპატიმრების მიზნით არ შეიძლება იდენებოდეს, თუ გამოყენებული არ იქნა იმაზე მეტი ძალა, ვიდრე საჭირო იყო (12-1973-PPVS).

64. 1995 წლის 17 მარტის №15 გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაპატიმრების განხორციელებისას გამოყენებული ძალის საკითხს არ არეგულირებდა კანონმდებლობა, რაც პრობლემებს წარმოშობდა სასამართლოებისათვის, და მიიჩნია, რომ ამ საკითხის განხილვისას უნდა გამოიყენონ სამართლებრივი კომენტატორების მიერ დადგენილი პრინციპები. ზიანის მიყენება შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობდა დასაბუთებული ეჭვი, რომ დასაპატიმრებელი პირი ჩაიდენდა დანაშაულს და არ არსებობდა დაპატიმრების სხვა საშუალება. უზენაესმა სასამართლომ ასევე განაცხადა:

„... [დამნაშაისათვის ზიანის მიყენება დაპატიმრებისას] არის უკანასკნელი საშუალება. თუ დამნაშაე არ ცდილობს გაქცევას ან ... ცდილობს გაქცევას უკვე ცნობილ დასამალ ადგილას, ზიანის მიყენება არ იქნება გამართლებული...“

მიყენებული ზიანი უნდა იყოს დანაშაულის პროპორციული. თუ დამნაშაემ ჩაიდინა დანაშაული, რომელიც უმნიშვნელო საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, მის სიცოცხლეს არ შეიძლება დაემუქროს საფრთხე. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, თუ პირი მიმალვამთა სერიოზული დანაშაულის (როგორცაა მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა) ჩადენის შემდეგ.

დაპატიმრებისას გამოყენებული საშუალებები (და მიყენებული ზიანი) უნდა იყოს გამართლებული არსებულ გარემოებებში. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა კანონიერებისათვის...“

როდესაც მიყენებული ზიანი აღემატება აუცილებელს..., ანუ იგი არ შეესაბამება დანაშაულის სიმძიმეს და დაპატიმრების გარემოებებს, ... ზიანის მიმყენებელ პირს ეკისრება პასუხისმგებლობა...“

65. 1997 წელს პარლამენტმა გამოასწორა არსებული ხარვეზი და სისხლის სამართლის კოდექსს დაამატა ახალი მუხლი 12ა. მუხლი ითვალისწინებს, რომ დანაშაულისათვის პირის დაპატიმრებისას მისთვის ზიანის მიყენება არ იქნება დასჯადი, თუ დაპატიმრების სხვა საშუალება არ არსებობდა და გამოყენებული ძალა აუცილებელი და კანონიერი იყო. გამოყენებული ძალა არ ჩაითვლება „აუცილებლად“, როდესაც იგი აშკარად შეუსაბამოა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან ან თავისთავად გადაჭარბებული და არააუცილებელია. მხოლოდ რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილებაში განიმარტა მუხლი 12ა.

C. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

66. 192-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლებრივი დენის საქ-

მეები შეიძლება დაინყოს მხოლოდ პროკურორმა ან გამომძიებელმა საჩივრის საფუძველზე ან *ex officio*. 2000 წლის 1 იანვრის რედაქციით 237-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მსხვერპლს აქვს უფლება, გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან გადაწყვეტილება, რომ არ გაგრძელდეს სისხლის სამართალ-წარმოება. მსხვერპლს არა აქვს სხვა საშუალება გამოძიებაზე უარის თქმის გასაჩივრებისათვის.

67. როდესაც სამხედრო სასამართლოს აქვს საქმის მოსმენის იურისდიქცია, მაგალითად, საქმე ეხება სამხედრო პოლიციის ოფიცერს, გამოძიებას ანარმობებს სამხედრო გამომძიებელი ან პროკურორი, რომელთა გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მთავარ პროკურორთან.

68. 63-ე მუხლი ითვალისწინებს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებას, შეუერთდნენ საქმის წარმოებას და ამასთან დაკავშირებით მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება, შეისწავლონ საქმის მასალები და გადაიღონ სათანადო დოკუმენტების ასლები. მათ აგრეთვე აქვთ უფლება, წარადგინონ მტკიცებულებები, გააკეთონ განცხადებები და გაასაჩივრონ გამოძიების ან პროკურატურის გადაწყვეტილებები.

D. დისკრიმინაციისაგან დაცვის აქტი

69. დისკრიმინაციისაგან დაცვის აქტი მიღებული იქნა 2003 წლის სექტემბერში და ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვარს. ეს არის საკანონმდებლო აქტი, რომელიც ქმნის უკანონო დისკრიმინაციისაგან დაცვის მექანიზმს. იგი გამოიყენება ძირითადად შრომით ურთიერთობებში, სახელმწიფო ადმინისტრაციასა და მომსახურების სფეროში.

70. აქტის მე-9 პუნქტი ითვალისწინებს დისკრიმინაციის შემთხვევაში მტკიცების ტვირთის შეცვლას. ამ პუნქტის შესაბამისად, თუ მომჩივანი დაამტკიცებს ისეთი ფაქტების არსებობას, რომლებიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს დისკრიმინაცია, მოპასუხეს აკისრია ვალდებულება, ამტკიცოს, რომ არ დარღვეულა უფლება თანაბარ მოპყრობაზე. აქტი აგრეთვე ითვალისწინებს დისკრიმინაციისაგან დაცვის კომისიის შექმნას, რომელსაც ექნება კერძო საჩივრების განხილვის იურისდიქცია.

IV. შესაბამისი საერთაშორისო და შეღარეპიტი სამართალი

A. გაერო-ს პრინციპები ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით

71. გაერო-ს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ მიღებული იქნა 1990 წლის 7 სექტემბერს დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ გაერო-ს მერვე კონგრესის მიერ.

72. პრინციპების მე-9 პუნქტი ითვალისწინებს:

„სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები არ გამოიყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს გარდა სიკვდილის ან სერიოზული დაზიანების აშკარა საფრთხისაგან თავდაცვის ან სხვა პირთა დაცვის მიზნით, ისეთი განსაკუთრებით საშიში დანაშაულის აღსაკვეთად, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სერიოზული საფრთხე სიცოცხლისთვის, ისეთი პირის დასაპატიმრებლად, რომელიც ამგვარ საფრთხეს წარმოადგენს და წინააღმდეგობას უწევს მათ, ასეთი პირის გაქცევის აღსაკვეთად და მხოლოდ მაშინ, თუ ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები არ არის საკმარისი ამ მიზნების მოსაღწევად. ნებისმიერ შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება განზრახ ლეტალური მიზნებისათვის შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სრულიად გარდაუვალია სიცოცხლის დაცვის მიზნით.“

73. პრინციპების სხვა დებულებების შესაბამისად, სამართალდამცავი პირები „იმოქმედებენ დანაშაულის სიმძიმისა და მისალნევი ლეგიტიმური მიზნის შესაბამისად“ (პუნქტი 5). ასევე, „მთავრობები უზრუნველყოფენ, რომ სამართალდამცავი პირების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გაუმართლებელი და ბოროტად გამოყენება დასჯადი დანაშაული იყოს“ (პუნქტი 7). ეროვნული წესები და რეგლამენტები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ უნდა „უზრუნველყოფდეს, რომ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენებოდეს მხოლოდ სათანადო გარემოებებში და იმგვარად, რომ შეამციროს გაუმართლებელი ზიანის მიყენების შესაძლებლობა.“

74. პრინციპების 23-ე პუნქტი ითვალისწინებს, რომ მსხვერპლთ და მათ ოჯახებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიმართონ დამოუკიდებელ პროცესს, „სასამართლო პროცესის ჩათვლით.“ 24-ე პუნქტის თანახმად:

„მთავრობამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ზემდგომი ოფიცრების პასუხისმგებლობის საკითხის დადგომა, თუ ამ ოფიცრებმა იციან ან უნდა იცოდნენ, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირები იყენებენ ან გამოიყენეს უკანონო ძალა ან ცეცხლსასროლი იარაღი და არ მიიღეს სათანადო ზომები უფლებამოსილების ფარგლებში ასეთი გამოყენების აღსაკვეთად ან შესაჩერებლად.“

75. გაერო-ს პრინციპები არაიურიდიული, თვითნებური და დაჩქარებული აღსრულების ეფექტური პრევენციისა და გამოძიების შესახებ, რომლებიც მიღებულია 1989 წლის 24 მაისს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1989/65 რეზოლუციით, ითვალისწინებს, რომ არაიურიდიული, თვითნებური და დაჩქარებული აღსრულებისას უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი, მიუკერძოებელი და სწრაფი გამოძიება და გამოძიების მიზანი უნდა იყოს, *inter alia*, სიკვდილის გამომწვევი „ნებისმიერი მოდელის ან პრაქტიკის“ დადგენა. მე-11 პუნქტის თანახმად:

„იმ საქმეებში, სადაც ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არ არის საკმარისი მიუკერძოებლობის ან კომპეტენციის ნაკლებობის გამო, საქმის მნიშვნელობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო, და საქმეებში, როდესაც მსხვერპლის ოჯახის წევრები ასაჩივრებენ ასეთ შეუსაბამობას ან სხვა არსებით მიზეზებს, მთავრობამ უნდა წამოიწყოს გამოძიება

დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის ან მსგავსი კომისიის მეშვეობით. ასეთი კომისიის წევრები უნდა აირჩნენ მათი საყოველთაოდ ცნობილი მიუკერძოებლობის, კომპეტენტურობისა და დამოუკიდებლობის საფუძველზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ისინი დამოუკიდებელნი იყვნენ ნებისმიერი დანებებულებისგან, უწყებისა თუ პირისაგან, რომლის მიმართაც ხორციელდება გამოკვლევა. კომისიას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, მიიღოს მთელი აუცილებელი ინფორმაცია გამოკვლევისათვის და უნდა ჩაატაროს გამოკვლევა ამ პრინციპების შესაბამისად."

მე-17 პუნქტის თანახმად:

„ასეთი გამოძიების მეთოდებისა და დასკვნების შესახებ წერილობითი ანგარიში უნდა მომზადდეს გონივრულ ვადაში. ანგარიში დაუყოვნებლივ საჯარო უნდა გახდეს და მასში მითითებული უნდა იყოს გამოკვლევის ფარგლები, პროცედურები, მტკიცებულებათა შეფასებისას გამოყენებული მეთოდები, ასევე დასკვნები და რეკომენდაციები ფაქტების შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და სამართლის საფუძველზე...“

B. საერთაშორისო დოკუმენტები და შედარებითი სამართალი რასისტულ ძალადობაზე

76. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის რატიფიცირება ბულგარეთმა მოახდინა 1966 წელს, კონვენცია მისთვის ძალაშია 1969 წლიდან, ხოლო ოფიციალურ სახელმწიფო გაზეთში 1992 წელს გამოქვეყნდა. კონვენციის მე-4 მუხლი ითვალისწინებს:

„წერილ სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, დაუყოვნებლივ განახორციელონ პოზიტიური ღონისძიებები, რათა აღმოიფხვრას [რასობრივი] დისკრიმინაციის ნაქეზება ან განხორციელება და ამ მიზნით...“

(ა) უნდა გამოაცხადონ კანონით დასჯადად ... ყველა ასეთი ქმედება ან ასეთი ქმედებების ნაქეზება ნებისმიერი ერის ან სხვა ფერის თუ ეთნიკური წარმომავლობის პირთა ჯგუფის მიმართ...“

77. 1993 წლის 16 მარტის №4/91 შეტყობინებაში საქმეზე *L.K. v. the Netherlands*, რომელიც შეეხებოდა კერძო პირების მიერ ბ-ნი ლ.კ.-ს მისამართით რასობრივი ხასიათის მუქარას და ხელისუფლების ორგანოების მიერ მსხვერპლის საჩივარზე არასაკმარის რეაქციას, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა განაცხადა, *inter alia*, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, გულმოდგინე და დროულად გამოეძიებინა საქმეები, რომლებიც შეეხებოდა რასობრივ დისკრიმინაციასა და ძალადობაში ბრალდებას.

78. ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო-კონვენცია ბულგარეთისათვის ძალაშია 1999 წლიდან. მისი მე-6 მუხლის თანახმად:

„სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ ნებისმიერი

ზომა იმ პირთა დასაცავად, რომელთაც შეიძლება ემუქრებოდნენ ან რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდნენ დისკრიმინაციას, მტრულ განწყობას ან ძალადობას მათი ეროვნული, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური წარმომავლობის გამო."

79. 2002 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაში გაერო-ს წამების სანი-ნალმდეგო კომიტეტმა, რომელიც იხილავდა პაჯრიზი დზემალის და სხვების მიერ იუგოსლავიის წინააღმდეგ შეტანილ №161/2000 საჩივარს, დაადგინა, რომ 1995 წლის 14 აპრილს არაბოშური წარმომავლობის აგრესიული ბრბოს ქმედება, რომელმაც დაანგრია ბოშათა დასახლება პოლიციის ოფიცრების თან-დასწრებით, „ჩადენილი იქნა რასობრივი მოტივაციის საფუძველზე“. ეს ფაქტი ამძიმებდა გაერო-ს წამებისა და სხვა სასტიკი, დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის შესახებ კონვენციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. მტკიცებულების შეფასებისას კომიტეტმა აღნიშნა, რომ მას არ მიუღია წერი-ლობითი ახსნა-განმარტება სახელმწიფოსაგან და გადაწყვიტა, დაყრდნობოდა „მომჩივანების მიერ წარდგენილ დეტალურ ინფორმაციას“.

80. ეუროკავშირის საბჭოს 2000 წლის 29 ივნისის დირექტივა № 2000/43/CE, რომელიც შეეხება ადამიანების მიმართ თანაბარ მოპყრობას მიუხედავად რა-სობრივი და ეთნიკური წარმოშობისა, და საბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის დირექტივა № 2000/78/CE, რომელიც აწესებს ზოგად ფარგლებს დასაქმებისას და საქმიანობისას თანაბარი მოპყრობისათვის, შესაბამისად, მე-8 და მე-10 მუხ-ლებში ითვალისწინებენ:

„1. წვერი სახელმწიფოები მიიღებენ ისეთ ზომებს, რომლებიც აუცილებე-ლია მათი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად, რათა უზრუნველ-ყონ, რომ, როდესაც ადამიანები, რომლებიც თავს მიიჩნევენ მსხვერპლად თანასწორი მოპყრობის პრინციპის მათ მიმართ გამოუყენებლობის გამო, წარმოადგენენ სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს წინაშე ფაქტებს, რომლებიდანაც პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძლება გამოზ-დინარეობდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია, მოპასუხებ მდამტკიცოს, რომ არ დარღვეულა თანასწორი მოპყრობის პრინციპი.

2. პირველი პუნქტი არ უკრძალავს წვერ სახელმწიფოებს, შემოიღონ მტკიცებულებების შესახებ წესები, რომლებიც უფრო ხელსაყრელია მომჩივანთათვის.

3. პირველი პუნქტი არ გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში.

...

5. წვერი სახელმწიფო არ არის ვალდებული, გამოიყენოს პირველი პუნ-ქტი იმ პროცესებში, სადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები სასამართ-ლომ ან სხვა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გამოიძიოს."

81. 2002 წელს ეუროკომისიამ გამოაქვეყნა რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილების წინადადება. გადაწ-

ყვეტილების მე-8 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ამ სფეროში სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ სათანადო ღონისძიებები, რათა სისხლის სამართალში რასობრივი დისკრიმინაცია მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

82. 2005 წლის აპრილში რასიზმისა და ქსენოფობიის მონიტორინგის ევრო-პულმა ცენტრმა გამოაქვეყნა შედარებითი მიმოხილვა რასობრივი ძალადობისა და მასზე საპასუხო ქმედებების შესახებ ევროკავშირის 15 წევრ სახელმწიფოში. დოკუმენტში, *inter alia*, აღნიშნული იყო, რომ შესწავლილ იურისდიქციებში რასობრივი ძალადობა არ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლით, ვინაიდან ყურადღება არ იყო გამახვილებული ძალადობის მოტივზე. თუმცა ეს ტრადიცია ნელ-ნელა იცვლებოდა, ვინაიდან კანონებში ჩნდებოდა „რასობრივად მოტივირებული“ დანაშაულის ცნება. კერძოდ, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში სასჯელის განსაზღვრისას რასობრივი მოტივაცია დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა. შესაბამისი კანონმდებლობა შემდეგ სახელმწიფოებში ითვალისწინებდა ასეთ შესაძლებლობას: ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსმა (მიღებული იქნა 2003 წელს) 132-76 მუხლის მე-2 პუნქტში შემოიღო რასიზმის „ობიექტური“ განმარტება, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოებისა:

„დანაშაულისათვის სასჯელი გაიზრდება, თუ დანაშაული ჩადენილია მსხვერპლის ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის, ერის, რასისა თუ რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო.“

პირველ აბზაცში განსაზღვრული დამამძიმებელი გარემოება სახეზეა, როდესაც დანაშაულს წინ უსწრებდა, მისი თანამდევი იყო ან მოჰყვა წერილობითი ან ზეპირი განცხადებები, სურათები, ობიექტები ან ქმედებები, რომლებიც ლახავს მსხვერპლის ან იმ ჯგუფის, რომელსაც იგი ეკუთვნის, ღირსებას ან შეხედულებას ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის, ერის, რასისა თუ რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო.“

სამართალი

I. საქმის ფარგლები

83. დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის თხოვნასა და წერილობით მოსაზრებებში მთავრობამ სთხოვა დიდ პალატას, ხელახლა შეესწავლა კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად დასმული საკითხები. სასამართლოს წინაშე მოსმენაზე მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობა ეთანხმებოდა პალატის დასკვნებს კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლების საფუძველზე.

84. განმცხადებლებმა სთხოვეს სასამართლოს, ცალკე განეხილა მე-14 მუხლიდან გამომდინარე საკითხები, ვინაიდან პალატის დასკვნები მე-2 და მე-13 მუხლების საფუძველზე არ იყო სადავო.

85. სასამართლომ განაცხადა, რომ კოლეგიის მიერ განხილვის თხოვნის მიღება ნიშნავდა, რომ მთლიანი საქმე გადაეცა დიდ პალატას ახალი გადაწყვეტილების საშუალებით ხელახლა გადასანყვეტად. დიდი პალატისათვის გადაცემული „საქმე“ აუცილებლად მოიცავს პალატის მიერ განხილული განაცხადის ყველა ასპექტს და არა მხოლოდ სერიოზულ „კითხვებს“ ან „საკითხებს“, რომლებიც აღნიშნული იყო გადაცემის შესახებ თხოვნაში (*K. and T. v. Finland [GC], no. 25702/94, ECHR 2001—VII, პუნქტები 139-141*).

86. მიუხედავად მხარეთა სურვილისა, რომ ხელახალი განხილვა შემოიფარგლოს კონვენციის მე-14 მუხლთან დაკავშირებით საქმიდან გამომდინარე საკითხებით, დიდმა პალატამ უნდა განიხილოს კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლებიდან გამომდინარე საკითხებიც.

II. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

87. განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის მკვლელობა არღვევდა კონვენციის მე-2 მუხლს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სიკვდილი გამოიწვია შიდასახელმწიფოებრივმა სამართლმა და პრაქტიკამ, ვინაიდან ეს უკანასკნელი კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით არ არეგულირებდნენ სახელმწიფო მოხელეთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას. ფაქტობრივად, სახელმწიფო მოხელეებს შეეძლოთ მოცემულ შემთხვევაში ლეტალური ძალის გამოყენება მაშინ, როდესაც მისი გამოყენება არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი. ეს ფაქტი არღვევდა კონვენციის მე-2 მუხლს. განმცხადებლები ასევე აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება.

88. კონვენციის მე-2 მუხლი ითვალისწინებს:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ. სიცოცხლის წართმევა დასაშვებია მხოლოდ სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, რაც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენების აბსოლუტურ აუცილებლობას:

ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

ბ) კანონიერი დაკავების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად“.

A. პალატის გადანყევტილება:

89. პალატამ დაადგინა, რომ მე-2 მუხლი კრძალავდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის მსგავსი პირების დაკავებისას, როდესაც მათ არ ჰქონდათ ჩადენილი ძალადობრივი სამართალდარღვევა, არ იყვნენ შეიარაღებულნი და არ წარმოადგენდნენ საფრთხეს დაპატიმრების განმხორციელებელი ოფიცრებისათვის ან სხვა ადამიანებისათვის. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო მოცემულ საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევით სიცოცხლის მოსპობაზე, ვინაიდან ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის დასაპატიმრებლად ლეტალური ძალა იქნა გამოყენებული. მე-2 მუხლის დარღვევას ამძიმებდა ისიც, რომ გამოყენებული იყო გადამეტებული ძალა და ხელისუფლებამ ვერ დაგეგმა და ვერ გააკონტროლა დაპატიმრების ოპერაცია მე-2 მუხლის შესაბამისად.

90. პალატამ ასევე დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დაკისრებული ვალდებულება, ეფექტურად გამოეძიებინა ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილი. კერძოდ, გამოძიების დროს ადგილი ჰქონდა სერიოზულ აუხსნელ გადაცდომებსა და შეუსაბამობებს და მხედველობაში იქნა მიღებული შიდასახელმწიფოებრივი სტანდარტი, რომელიც არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „აბსოლუტური აუცილებლობის“ მოთხოვნას.

91. რაც შეეხება განმცხადებელთა მტკიცებას, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, პალატამ მიიჩნია, რომ ეს საკითხი შეეხებოდა საქმის ყველა ასპექტს და არ იყო აუცილებელი მისი დამოუკიდებლად განხილვა.

B. მხარეთა არგუმენტაცია

92. მთავრობამ და განმცხადებლებმა დიდი პალატის წინაშე განაცხადეს, რომ ისინი იზიარებდნენ პალატის დასკვნებს კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებით.

C. სასამართლოს შეფასება

1. წარმოადგენდა თუ არა ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიცოცხლის მოსპობა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას

(a) ზოგადი პრინციპები

93. მე-2 მუხლი, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას, წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ ძირითად დებულებას და ევროპის საბჭოს შემადგენლობაში მყოფი დემოკრატიული საზოგადოებების ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას გამოხატავს. ამ დებულების სავარაუდო დარღვევები სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა განიხილოს. როდესაც საქმე შეეხება სახელმწიფო მოხელეების მიერ ძალის გამოყენებას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო იმ სახელმწიფო მოხელეთა ქმედებები, რომელთაც უშუ-

ალოდ გამოიყენეს ძალა, არამედ საქმესთან დაკავშირებული გარემოებებიც, მათ შორის სათანადო სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოები და გამოსაკვლევი ქმედებების დაგეგმვა და კონტროლი (იხ. *McCann and Others v. the United Kingdom*, 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A no. 324, გვ. 46, პუნქტი 150, და *Makaratzis v. Greece* [GC], no. 50385/99, პუნქტები 57-59, 2004 წლის 20 დეკემბერი).

94. როგორც მე-2 მუხლის მე-2 პუნქტიდან ჩანს, ლეტალური ძალის გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს ზოგიერთ გარემოებაში. თუმცა ძალის გამოყენება უნდა იყოს „აბსოლუტურად აუცილებელი“ ანუ მკაცრად პროპორციული არსებულ გარემოებებში. სიცოცხლის უფლების განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინებით გარემოებები, რომლებშიც სიცოცხლის მოსპობა შეიძლება გამართლებული იქნეს, ძალიან მკაცრად უნდა განიმარტოს (იხ. *Andronicou and Constantinou v. Cyprus*, 1997 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1997-VI, გვ. 2097-98, პუნქტი 171, გვ. 2102, პუნქტი 181, გვ. 2104, პუნქტი 186, გვ. 2107, პუნქტი 192, და გვ. 2108, პუნქტი 193; და *McKerr v. the United Kingdom*, no. 28883/95, პუნქტები 108 et seq., ECHR 2001-III).

95. შესაბამისად და კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, კანონიერი დაპატიმრების ლეგიტიმურმა მიზანმა ადამიანის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობისას შეიძლება გამართლოს. სასამართლოს მიაჩნია, რომ პრინციპში ასეთი აუცილებლობა არ შეიძლება არსებობდეს, როდესაც ცნობილია, რომ დასაკავებელ პირს არ გააჩნია სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის მიყენების საშუალება და არ არის ეჭვმიტანილი ძალადობრივ სამართალდარღვევაში, თუნდაც ლეტალური ძალის გამოყენებლობას შედეგად მოჰყვეს ძებნილის დაკავების შესაძლებლობის დაკარგვა (იხ. სასამართლოს პოზიცია ზემოხსენებულ საქმეში *McCann and Others*, გვ. 45-46, პუნქტები 146-50, და გვ. 56-62, პუნქტები 192-214, ასევე ზემოხსენებულ *Makaratzis*-ის საქმეში, პუნქტები 64-66; ასევე იხილეთ სასამართლოს მიერ გაკეთებული განცხადება ცეცხლსასროლი იარაღის დაგმობის შესახებ შეუიარაღებელი და არამოძალადე პირების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დატოვებას საქმეში *Streletz, Kessler and Krenz v. Germany* [GC], №№. 34044/96, 35532/97 და 44801/98, პუნქტები 87, 96 და 97, ECHR 2001-II).

96. მე-2 მუხლი არა მარტო განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც გამართლებულია სიცოცხლის მოსპობა, არამედ აყალიბებს სახელმწიფოთა ძირითად ვალდებულებას, დაიცვან სიცოცხლის უფლება და ამ მიზნით შემოიღონ სათანადო სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს, თუ როდის შეუძლიათ სამართალდამცავ ორგანოებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (იხ. *Makaratzis*-ის საქმე, პუნქტები 57-59, და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაერო-ს ძირითადი პრინციპები, იხ. ზემოთ, პუნქტები 71-74). მე-2 მუხლით გათვალისწინებული მკაცრი პროპორციულობის პრინციპთან ერთად (იხ. *McCann and Others*, გვ. 46, პუნქტი 149) დაპატიმრების ოპერაციების მარეგულირებელი ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო უნდა მიუთითებდეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე არსებული გარემოებების ყურადღებით შეფასებაზე დაყრდნობით, კერძოდ კი

ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და დევნილის მიერ საფრთხის გამოწვევის შეფასების გათვალისწინებით.

97. გარდა ამისა, პოლიციის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა უნდა ქმნიდეს გარანტიების ქმედით და სათანადო სისტემას ძალის გაუმართლებელი და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ და თვით თავიდან აცილებადი შემთხვევების წინააღმდეგ (იხ. ზემოხსენებული *Makaratzis*-ის სამე, პუნქტი 58). კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა გაიარონ მომზადება, რათა შეეძლოთ შეფასება იმისა, არსებობს თუ არა აბსოლუტური აუცილებლობა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისათვის არა მარტო სამართლებრივი დებულებების საფუძველზე, არამედ იმის გათვალისწინებითაც, რომ სიცოცხლის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა (იხ. სასამართლოს კრიტიკა ჯარისკაცებისათვის მიცემული ბრძანებისა „ესროლეთ სასიკვდილოდ“ საქმეში *McCann and Others*, გვ. 61-62, პუნქტები 211-214).

(b) ამ პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

98. ბ-ნ ანგელოვსა და ბ-ნ პეტკოვს ესროლა და მოკლა სამხედრო პოლიციის ოფიცერმა, რომელიც ცდილობდა მათ დაკავებას პატიმრობის ადგილიდან გაქცევის შემდეგ. შესაბამისად, საქმე განხილული უნდა იქნეს კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებით.

(i) შესაბამისი კანონმდებლობა

99. სასამართლო აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ რეგლამენტი სამხედრო პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ სამხედრო ძალების წევრების დაპატიმრებისას ლეტალური ძალის გამოყენების ნებას რთავდა მაშინაც, როდესაც მათ მცირე დანაშაული აქვთ ჩადენილი. რეგლამენტი არ გამოქვეყნებულა და იგი არ შეიცავდა მკაფიო გარანტიებს სიცოცხლის თვითნებურად წართმევის თავიდან აცილების მიზნით. რეგლამენტის თანახმად, კანონიერი იყო დევნილისათვის სროლა, თუ იგი არ ჩაბარდებოდა სიტყვიერი გაფრთხილებისა და ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ (იხ. ზემოთ, პუნქტი 60). ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დებულებებისა და ლეტალური ძალის გამოყენების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ნაკლოვანებები ნათლად გამოჩნდა ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სასიკვდილოდ დაჭრის ფაქტით, ასევე საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებულ ქმედებებში. სასამართლო ამ საკითხს მოგვიანებით დაუბრუნდება.

100. ასეთი სამართლებრივი ჩარჩო ამჟამად არასაკმარისია და სიცოცხლის უფლებას არ იცავს „კანონით“, როგორც ამას მოითხოვს კონვენცია დღევანდელი ევროპის დემოკრატიულ საზოგადოებებში (იხ. ზემოთ, პუნქტები 94-97, რომლებშიც ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივი ჩარჩო).

101. აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს განცხადება, რომ პროპორციულობის პრინციპი შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის განუყოფელი ნაწილია. თუმცა უზენაესი სასამართლოს განმარტება მოცემულ საქმეში არ

იქნა გამოყენებული (იხ. ზემოთ, პუნქტები 50-54 და 60).

102. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული ვალდებულება, დაეცვა სიცოცხლის უფლება სამხედრო პოლიციის მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით სათანადო სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოს შემოღებით.

(ii) ოპერაციის დაგეგმვა და კონტროლი

103. პალატამ ცალკე განიხილა, თუ როგორ დაიგეგმა დაპატიმრების ოპერაცია. დიდი პალატა ეთანხმება პალატის დასკვნას, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, შეემცირებინა სიცოცხლის მოსპობის რისკი, ვინაიდან დაპატიმრების განმავლობაში ოფიცრებს მიეცათ მითითება, გამოეყენებინათ ყველა საშუალება ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის დასაპატიმრებლად იმ ფაქტის გაუთვალისწინებლად, რომ გაქცეულებს არ ჰქონდათ იარაღი და ისინი არ წარმოადგენდნენ საფრთხეს სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის. პალატამ მართებულად აღნიშნა (პუნქტი 110):

„დაპატიმრების ოპერაციის დაგეგმვისას აუცილებელი ელემენტი ... უნდა იყოს არსებული გარემოებების შესახებ ინფორმაციის ანალიზი; აბსოლუტური მინიმუმია დასაპატიმრებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის და ამ პირის მიერ საფრთხის გამოწვევის შესაძლებლობის შესწავლა. თუ როდის და რა პირობებში შეიძლება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუ დასაპატიმრებელი პირი ცდილობს გაქცევას, წინასწარ უნდა განისაზღვროს სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, ოფიცრთა სათანადო მომზადებითა და არსებული ინფორმაციის შესწავლით“.

104. დიდი პალატა, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ არ არსებობდა მკაფიო სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავდა, თუ რა გარემოებებში შეუძლია სამხედრო პოლიციას სიკვდილის გამოწვევი ძალის გამოყენება (იხ. ზემოთ, პუნქტები 99-102). დიდი პალატა ეთანხმება პალატის დასკვნებს (პუნქტი 112), რომ შესაბამისი რეგლამენტი:

„... არ ითვალისწინებდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას არსებული გარემოებების შესწავლის საფუძველზე, უფრო მეტიც, არ მოითხოვდა დევნილის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და მის მიერ გამოწვეული საფრთხის შეფასებას“.

105. მოცემულ შემთხვევაში კარგად შეიარაღებული ოფიცრების ჯგუფი გაემგზავრა ორი ადამიანის დასაპატიმრებლად ისე, რომ არ განუხილავთ, წარმოადგენდნენ თუ არა ეს პირები რაიმე საფრთხეს; ასევე, ოფიცრები არ გაუფრთხილებიათ, რომ შეემცირებინათ სიცოცხლისათვის რისკი. მოკლედ, ოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის ზომები ააშკარავებს სიცოცხლის უფლების უმთავრესი ღირებულების სამწუხარო უგულებელყოფას.

(iii) დაპატიმრების განმახორციელებელი პირების ქმედებები

106. არ იყო სადავო, რომ ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი მსახურობდნენ სამშენებლო ძალებში, არმიის სპეციალურ დანაყოფში, სადაც ახალწვეულთა მოვალეობა მშენებლობა არასამხედრო ადგილებში. მათ მიუსაჯეს მოკლევადიანი პატიმრობა არაძალადობრივი სამართალდარღვევის ჩადენისათვის. ისინი გაიქცნენ ძალის გამოუყენებლად, უბრალოდ დატოვეს სამუშაო ადგილი, რომელიც დაპატიმრების ადგილის გარეთ იყო (იხ. ზემოთ, პუნქტები 13-15). არც ერთი მათგანი არ იყო შეიარაღებული და არ წარმოადგენდა საფრთხეს ოფიცრებისათვის ან მესამე პირებისათვის; ეს უნდა სცოდნოდათ დაპატიმრების განმახორციელებელ ოფიცრებს მათთვის ხელმისაწვდომი ფაქტების საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სოფელ ლესურაში შეხვედრისას ოფიცრებმა, ყოველ შემთხვევაში მაიორმა გ.-მ, შეამჩნიეს, რომ ისინი არ იყვნენ შეიარაღებულნი და არც საფრთხის გამომწვევი ქმედების ნიშნები შეიმჩნეოდა (იხ. ზემოთ, პუნქტები 15-16).

107. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებულ გარემოებებში პოტენციურად ლეტალური ძალის გამოყენება აკრძალული იყო კონვენციის მე-2 მუხლით, თუნდაც ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი გაქცეულიყვნენ. როგორც უკვე აღინიშნა, სიკვდილის გამომწვევი ძალის გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს „აბსოლუტურად აუცილებლად“, როდესაც ცნობილია, რომ დასაპატიმრებელი პირი არ წარმოადგენს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხეს და არ არის ბრალდებული ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში.

108. გარდა ამისა, მაიორი გ.-ს ქმედება, სამხედრო პოლიციელისა, რომელმაც ესროლა მსხვერპლთ, სერიოზულ კრიტიკას იწვევს, ვინაიდან მან გამოიყენა აშკარად ძალზე გადამეტებული ძალა:

- (i) როგორც ჩანს, არსებობდა დაპატიმრების სხვა საშუალებები: ოფიცრებს ჰყავდათ ჯიპი, დაპატიმრება ხორციელდებოდა პატარა სოფელში დღისით და ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის ქმედების განჭვრეტა შესაძლებელი იყო, ვინაიდან წინა გაქცევის შემდეგ ბ-ნი ანგელოვი იპოვეს იმავე მისამართზე (იხ. ზემოთ, პუნქტები 17, 18, 23 და 24).
- (ii) მაიორმა გ.-მ გამოიყენა ავტომატური იარაღი და ჩართო იგი ავტომატურ რეჟიმზე, თუმცა ასევე თან ჰქონდა პისტოლეთი (იხ. ზემოთ, პუნქტი 26). ავტომატური იარაღით მას არ შეეძლო კარგად დამიზნება;
- (iii) ბ-ნი პეტკოვი დაჭრილი იყო მკერდში, რისი გამამართლებელი საბუთები არ ყოფილა წარმოდგენილი (იხ. ზემოთ, პუნქტები 41 და 50-54). ასეთი განმარტების არარსებობისას არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ უკანასკნელ მომენტში ბ-ნი ანგელოვი მობრუნდა ჩასაბარებლად, მაგრამ მას მაინც ესროლეს.

(iv) სასამართლოს დასკვნა

109. სასამართლო ასკვნის, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული ვალდებულება, ვინაიდან ძალის გამოყენების შესახებ სამართლებრივ ჩარჩოში იყო ხარვეზები და ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი მოკლეს იმ პირობებში, სადაც ნებისმიერი ძალის გამოყენება მათ დასაპატიმრებლად კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იქნებოდა. ამასთან, აშკარად გადაჭარბებული ძალა იქნა გამოყენებული. ამიტომ ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი

პეტკოვის სიკვდილთან დაკავშირებით დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

2. იყო თუ არა ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის გამოძიება ეფექტური, როგორც ამას კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს

(ა) ზოგადი პრინციპები

110. სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება, რომელსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-2 მუხლი, კონვენციის პირველ მუხლთან ერთად აღებული, რომელიც აყალიბებს სახელმწიფოთა ზოგად ვალდებულებას, „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ ამ კონვენციის | თავში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები,“ გულისხმობს, რომ უნდა განხორციელდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება, როდესაც ადამიანი მოკლეს ძალის გამოყენების შედეგად (იხ. *Çakici v. Turkey* [GC], no. 23657/94, პუნქტი 86, ECHR 1999-IV). ასეთი გამოძიების ძირითადი მიზანი უნდა იყოს სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტური განხორციელება, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე შეეხება სახელმწიფო ორგანოებს ან მოხელეებს, ამ პირთათვის ანგარიშვალდებულების დაკისრების უზრუნველყოფა, თუ სიკვდილზე პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ (იხ. *Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, პუნქტი 137, ECHR 2002-IV).

111. ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით, როდესაც საქმე მის ყურამდე მივა. ხელისუფლება არ უნდა დაელოდოს უახლოესი ნათესავის მიერ საჩივრის შეტანას ან თხოვნას მოკვლევის ან გამოძიების ჩატარების შესახებ (იხ. *mutatis mutandis, Iihan v. Turkey* [GC], no. 22277/93, პუნქტი 63, ECHR 2000-VII).

112. იმისათვის, რომ სახელმწიფო მოხელეების მიერ სავარაუდო უკანონო მკვლევლობების გამოძიება ეფექტური იყოს, გამოძიებლები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი სამართლებრივად და პრაქტიკაში (იხ. *Güleç v. Turkey*, 1998 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, გვ. 1733, პუნქტები 81-82; *Öğür v. Turkey* [GC], no. 21954/93, პუნქტები 91-92, ECHR 1999-III; და *Ergü v. Turkey*, 1998 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1998-IV, გვ. 1778-79, პუნქტები 83-84).

113. გამოძიება ასევე ეფექტური უნდა იყოს იმ კუთხით, რომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა გამოყენებული ძალა გამართლებული არსებულ გარემოებებში და დაადგინოს და დასაჯოს ასეთ ქმედებაზე პასუხისმგებელი პირები (იხ. *Öğür v. Turkey*, პუნქტი 88). ხელისუფლებას უნდა მიეღოს მის ხელთ არსებული ყველა ზომა, რათა დაეცვა ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის თვითმხილველთა ჩვენებები და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. გამოძიების დასკვნები უნდა ემყარებოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს და უნდა გამოიყენოს კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი „აბსოლუტურად აუცილებელის“ კრიტერიუმი. გამოძიებისას დაშვებული ნებისმიერი შეცდომა, რომელიც ძირს უთხრის გამოძიების შესაძლებლობას, დადგინდეს საქმის გარემოებები

ან პასუხისმგებელი პირი, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ეფექტურობის მოთხოვნასთან (იხ. *Kelly and Others v. the United Kingdom*, no. 30054/96, პუნქტები 96-97, 2001 წლის 4 მაისი; და *Anguelova v. Bulgaria*, პუნქტები 139 და 144).

(b) ამ პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

114. დიდი პალატა ვერ ხედავს მიზეზს, რომ გადაუხვიოს პალატის დასკვნას. იგი პალატის მსგავსად აცხადებს, რომ გამოძიებამ ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის გამომწვევი ოფიცრის ქმედება შეაფასა სათანადო რეგლამენტების გათვალისწინებით. ის ფაქტი, რომ გამოძიებამ გაამართლა ძალის გამოყენება არსებულ გარემოებებში, მხოლოდ ადასტურებს ამ დებულებების ხარვეზს და სიცოცხლის უფლების უგულვებლყოფას. დაეყრდნენ რა მხოლოდ რეგლამენტის დებულებებს, საგამოძიებო ორგანოებმა არ შეინაველეს შესაბამისი საკითხები, მაგალითად, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსხვერპლნი არ იყვნენ შეიარაღებულნი და არ წარმოადგენდნენ საფრთხეს სხვა ადამიანებისათვის, ასევე იყო თუ არა გამართლებული კარგად შეიარაღებულ ოფიცერთა ჯგუფის გაგზავნა ორი პირის დასაკავებლად, რომელთა ერთადერთი დანაშაული იყო ჯარიდან შევებულების გარეშე გაპარვა. მოკლედ, არსებული გარემოებები არ შესწავლილა დეტალურად (იხ. ზემოთ, პუნქტები 50-54).

115. გარდა იმისა, რომ არსებობდა საკმაოდ ვიწრო სამართლებრივი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობდა გამოძიება, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არ ჩატარებულა მთელი რიგი აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებებისა. კერძოდ, სქემატური რუკა, რომელსაც დაეყრდნო საგამოძიებო ორგანო, არ შეიცავდა გარემოს დახასიათებას, არ განხორციელებულა სათანადო აზომვები, არ მომხდარა მოვლენის რეკონსტრუქცია. მხოლოდ ამ გზით მიღებული ინფორმაციის საშუალებით იყო შესაძლებელი ოფიცერთა მიერ მიცემული ჩვენების ნამდვილობის შემოწმება (იხ. ზემოთ, პუნქტები 36-54).

116. უფრო მეტიც, გამოძიებლებმა და პროკურორებმა ყურადღება არ მიაქციეს მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს, კერძოდ იმ ფაქტს, რომ ბ-ნი პეტკოვი დაჭრილი იყო მკერდში, რომ გასროლილი მასრა იპოვეს მ.მ.-ის ეზოში, იმ ადგილიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, სადაც ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი დაეცნენ, და რომ მაიორმა გ.-მ გამოიყენა აშკარად გადამეტებული ძალა, ჩართო რა იარაღი ავტომატურ რეჟიმში. ხელისუფლებამ არ მიაქცია ყურადღება ამ მნიშვნელოვან ფაქტებს, არ მიუცია მათთვის რაიმე ახსნა-განმარტება, დაუჯერა მაიორი გ.-ს განცხადებებს და შეწყვიტა გამოძიება. ამ გზით გამოძიებამ და პროკურატურამ დაიცვეს მაიორი გ. სამართლებრივი დევნისაგან.

117. დიდი პალატა იზიარებს პალატის მოსაზრებას, რომ ასეთი ქმედება ხელისუფლების მხრიდან — რომელიც უკვე აღინიშნა სასამართლოს მიერ ბულგარეთის წინააღმდეგ რამდენიმე საქმეში (იხ. *Velikova v. Bulgaria*, no. 41488/98, ECHR 2000-VI და *Anguelova*) — ინვესს სერიოზულ შემოფოთებას, ვინაიდან ბადებს სერიოზულ ეჭვს გამოძიებელთა და პროკურორთა მიუხედავადობასა და ობიექტურობაში.

118. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აცხადებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლების სწრაფი და ქმედითი პასუხი ლეტალური ძალის ფაქტების გამოძიებისას, რათა საზოგადოებას შეუწარმოებინდეს რწმენა, რომ ხე-

ლისუფლება იცავს კანონის უზენაესობას და არ გაჩნდეს მოსაზრება, თითქოს ხელისუფლება მხარს უჭერს უკანონო ქმედებებს (იხ. ზემოხსენებული საქმე *McKerr v. the United Kingdom*, პუნქტები 111-15).

119. მოცემულ საქმეში მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია მასზე კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დაკისრებული ვალდებულება, ეფექტურად გამოეძიებინა სიცოცხლის მოსპობა.

III. კონვენციის მე-13 მუხლის საპარაულმო დარღვევა

120. კონვენციის მე-13 მუხლი ითვალისწინებს:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა პქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიღიხოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

121. კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებული დასკვნების გათვალისწინებით პალატამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე ცალკე საკითხი არ წამოიჭრებოდა.

122. დიდი პალატის წინაშე მთავრობამ არ დააფიქსირა თავისი პოზიცია კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წამოჭრილი საკითხებისადმი. განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ ისინი იზიარებენ პალატის დასკვნებს.

123. მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტების დარღვევის დადგენის საფუძველების გათვალისწინებით დიდი პალატა, პალატის მსგავსად, მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე არ წამოიჭრება ცალკე საკითხი.

IV. კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა

მე-2 მუხლთან ერთობლიობაში

124. განმცხადებლები ამტკიცებდნენ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას, ვინაიდან ბ-ნი პეტკოვისა და ბ-ნი ანგელოვის სიკვდილის მიზეზი იყო ბოშური წარმოშობის პირთა მიმართ მტრული დამოკიდებულება. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, გამოეძიებინა შესაძლო რასისტული მოტივები. მთავრობა არ ეთანხმებოდა განმცხადებელთა ბრალდებას.

125. კონვენციის მე-14 მუხლი ითვალისწინებს:

„ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებასა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.“

A. პალატის გადაწყვეტილება

126. პალატამ აღნიშნა, რომ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევებში მე-2 და მე-14 მუხლები ერთად აკისრებდა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებს მოვალეობას, ჩაეტარებინათ ეფექტური გამოძიება მიუხედავად მსხვერპლის რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილებისა. პალატამ ასევე მიიჩნია, რომ ხელისუფლებას ეკისრებოდა დამატებითი ვალდებულება, განეხორციელებინა ყველა გონივრული ღონისძიება, რათა გამოეკლინა ნებისმიერი რასობრივი მოტივი იმ შემთხვევებში, რომლებიც დაკავშირებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გამოყენებასთან.

127. მოცემულ საქმეში, მიუხედავად მ.მ.-ის განცხადებისა სიტყვიერი რასობრივი შეურაცხყოფის შესახებ და სხვა მტკიცებულებებისა, რომლებსაც ხელისუფალათვის უნდა მიენიშნებინათ შესაძლო რასისტული მოტივების შესახებ, მათ არ ჩაუტარებიათ გამოძიება აღნიშნული მიმართულებით. შესაბამისად, ხელისუფლებამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობდა ერთად აღებული კონვენციის მე-14 და მე-2 მუხლიდან.

128. ვინაიდან არსებობს გარკვეული მტკიცებულებითი სირთულეები დისკრიმინაციის არსებობის დასამტკიცებლად, პალატამ მიიჩნია, რომ მტკიცებულებათა საკითხი საგანგებო მიდგომას საჭიროებს: როდესაც ხელისუფლება ბოლომდე არ გამოიძიებს ფაქტებს, საიდანაც აშკარად ჩანს სახელმწიფო მოხელეთა მიერ ძალის გამოყენება, და არ მიაქცევს ყურადღებას შესაძლო დისკრიმინაციის თაობაზე მტკიცებულებებს, სასამართლომ შესაძლოა უარყოფითი დასკვნები გააკეთოს ან მტკიცების ტვირთი დააკისროს მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად შეტანილი განაცხადის განხილვისას.

129. საქმეზე არსებულ ფაქტებთან დაკავშირებით პალატამ მიიჩნია, რომ საგამოძიებო ორგანოების ქმედებებმა — კერძოდ, იმ ფაქტმა, რომ მათ არ განუხილავთ, თუ რატომ გამოიყენა მაიორმა გ.-მ აშკარად გადამეტებული ძალა, არ განუხილავთ არც მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ იგი რასისტულ განცხადებებს აკეთებდა — გამოიწვია მტკიცების ტვირთის შეცვლა. ამრიგად, მოპასუხე სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, დამატებითი მტკიცებულების ან დამარწმუნებელი ახსნა-განმარტების მეშვეობით დაერწმუნებინა სასამართლო, რომ გასაჩივრებული მოვლენები არ იყო განპირობებული სახელმწიფო მოხელეთა რასისტული განწყობით.

130. ვინაიდან მთავრობამ ვერ წარმოადგინა დამარწმუნებელი ახსნა-განმარტება და იმის გათვალისწინებით, რომ სხვა საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს ბოშების მიმართ გამოუყენებიათ ძალა, რასაც შედეგად მოჰყოლია სიკვდილი, პალატამ დაასკვნა, რომ დაირღვა მე-14 მუხლის არსობრივი ასპექტები კონვენციის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

B. მხარეთა არგუმენტაციები

1. მთავრობა

131. მთავრობა არ დაეთანხმა პალატის დასკვნებს მე-14 მუხლის დარღ-

ვევასთან დაკავშირებით, აცხადებდა რა, რომ პალატა დაეყრდნო ზოგად ინფორმაციას, რომელიც სცდებოდა საქმის ფარგლებს, და ორ შემთხვევით ფაქტს — ბ-ნი მ.მ.-ის ჩვენებას შეურაცხმყოფელი წამოძახილების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ მაიორმა გ.-მ გამოთქვა მის [ბ-ნი მ.მ.-ის] და არა მსხვერპლთა მიმართ, და იმ ფაქტს, რომ განსახილველი შემთხვევა ბოშათა დასახლებაში მოხდა. მთავრობის აზრით, აღნიშნულმა მსჯელობამ არ შეიძლება დაადასტუროს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მოხდა რასისტული მოტივის გამო.

132. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასამართლო ყოველთვის მოითხოვდა „მტკიცებულებას გონივრულ ეჭვს მიღმა“. მტკიცების ტვირთი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელისუფლებამ ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი იცის განსახილველი მოვლენების შესახებ, როგორც ეს ხდება დაპატიმრების დროს სიკვდილისას. მაგრამ ასეთ შემთხვევას მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია.

133. ვინაიდან განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით არ არსებობდა რასობრივი ელემენტი, ეროვნული ხელისუფლების მიერ დამატებითი გამოძიების ჩატარება არავითარ შედეგს არ მოიტანდა. მთავრობა იზიარებდა, რომ რასობრივი მოტივით ჩადენილი ძალადობა უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე ძალადობა, რომელიც არ არის დაკავშირებული რასობრივ შუღლთან. მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფოებს მოეთხოვებოდეთ შესაძლო რასისტული მოტივების გამოძიება, როდესაც არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება რასისტული მოტივების არსებობის შესახებ. მთავრობა მიიჩნევს, რომ პალატის ასეთი მიდგომა გამოიწვევს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხის წამოჭრას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც გაკეთდება განცხადება დისკრიმინაციის შესახებ, თუნდაც ის არ დადასტურდება.

134. უფრო მეტიც, პალატის მიდგომა არ იყო საკმარისად ნათელი და წინასწარგანჭვრეტადი. კერძოდ, წინააღმდეგობრივი იყო პალატის განცხადება, რომ სასამართლოს არ შეეძლო კონვენციის მე-2 მუხლის კონტექსტში განზრახვისა და გონებრივი მდგომარეობის შესწავლა და შემდეგ დასკვნის გამოტანა, რომ არსებითად დაირღვა მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთად, ვინაიდან ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილი რასობრივად მოტივირებული ქმედების შედეგი იყო.

135. მთავრობამ წერილობით და ზეპირ არგუმენტაციებში დეტალურად მიმოიხილა კანონმდებლობა, სოციალური პროგრამები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიიღეს ბულგარეთში უკანასკნელ წლებში რასობრივი დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებაში ბოშათა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

2. განმცხადებლები

136. წერილობით არგუმენტაციებში განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ კონვენციამ ვერ მოახერხა რასობრივი დისკრიმინაციისაგან ეფექტურად დაცვა და მოუწოდეს დიდ პალატას, მიეღო მე-14 მუხლის ახალი რედაქცია. განმცხადებლებმა გაიზიარეს პალატის მოსაზრება, რომ ხელშემკერელ სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, გამოიძიოს ძალადობის შემთხვევებში შესაძლო რასისტული მოტივები და რომ მტკიცების ტვირთი შეიძლება დაეკისროს მოპა-

სუხე სახელმწიფოს. წერილობით არგუმენტაციებში მათ განაცხადეს, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მტკიცების ტვირთი არ უნდა იყოს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ და ისეთ საქმეებში, როგორც ეს საქმეა, მტკიცების ტვირთი ყოველთვის მოპასუხე სახელმწიფოს უნდა დაეკისროს, თუ *prima facie* დადასტურდება დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმის არსებობა. ზეპირ არგუმენტაციებში მოსმენის დროს განმცხადებელთა წარმომადგენელმა მოუწოდა სასამართლოს პალატის პოზიციის გაზიარება.

137. რაც შეეხება საქმის გარემოებებს, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ არსებითად დაირღვა მე-14 მუხლი, ვინაიდან *prima facie* წარმოდგენილი იყო საქმე დისკრიმინაციასთან დაკავშირებით და მთავრობამ ვერ წარმოადგინა საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაპატიმრების განმეორებითი ეტაპების ოფიცრებისათვის ცნობილი იყო ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის ეთნიკური წარმომავლობა. მაიორმა გ.-მ რასობრივად შეურაცხყოფელი გამოხატვებებით მიმართა იქვე მდგომებს იმის გამო, რომ ისინი ბოშური წარმომავლობის იყვნენ. მნიშვნელოვანი დასკვნები უნდა გაკეთებულიყო იმ ფაქტიდანაც, რომ მაიორმა გ.-მ ცეცხლსასროლი იარაღით აშკარად გადაჭარბებული ძალა გამოიყენა დასახლებულ ადგილას, კერძოდ კი ბოშებით დასახლებულ სოფელში. აღნიშნული ფაქტები უნდა გაანალიზდეს იმის გათვალისწინებით, რომ ბულგარეთში სამართალდამცავი ორგანოები სისტემატურად ახორციელებენ ბოშათა დისკრიმინაციას. გარდა ამისა, ხელისუფლებას უნდა გამოეძიებინა, ხომ არ იყო ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილი გამოწვეული რასობრივი მოტივით, ის კი ასე არ მოიქცა.

3. მესამე მხარეები

(ა) ბოშათა უფლებების ევროპული ცენტრი

138. ცენტრმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში არაერთმა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციამ მიუთითა ბოშათა მიმართ სამართალდამცავი ორგანოების ან ბულგარული წარმომავლის კერძო პირების მხრიდან ცუდად მოპყრობის ან მათი მკვლელობის უამრავ შემთხვევაზე. საყოველთაოდ აღიარებული იყო, რომ რასობრივი შუღლით განპირობებული ძალადობა ბოშათა წინააღმდეგ სერიოზული პრობლემაა ბულგარეთში. ბოშათა საზოგადოება გამოთიშული იყო სოციალურ ცხოვრებას და სილატაკეს, გაუნათლებლობასა და უმრავლესობას განიცდიდა.

139. მიუხედავად რასობრივი შუღლით გამოწვეული ძალადობის მაღალი ხარისხისა, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის, მოთხოვნები, შექმნილიყო „ეფექტური, სანდო და დამოუკიდებელი გასაჩივრების სისტემა“ და სათანადოდ გამოძიებულიყო პოლიციის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა. ბულგარეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ცნობდა რასობრივ შუღლს ძალადობრივი დანაშაულების დამამძიმებელ გარემოებად. 1999 წელს ბულგარეთის ხელისუფლებამ აღიარა ცვლილების აუცილებლობა, თუმცა ასეთი ცვლილება არ განხორციელებულა. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლი, რომელიც დასჯადად აცხადებს რასობრივ ძა-

ლადობას, უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე ჩვეულებრივი სხეულის დაზიანების შესახებ მუხლი. შესაბამისად, 162-ე მუხლი არასდროს გამოიყენებოდა და ბრალდების წაყენება ხდებოდა, თუ საერთოდ ხდებოდა, სხეულის დაზიანების ზოგადი დებულებების ან მკვლელობის მუხლით, თავდასხმის რასობრივი მოტივები კი დამალული რჩებოდა. როგორც სასამართლომ ელიკოვასა და ანგელოვას საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნა, [ქვეყანაში] დაუსჯელობის სინდრომი იყო გამეფებული.

(b) "Interights"

140. ორგანიზაცია "Interights" აკრიტიკებდა სასამართლოს სტანდარტს „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ვინაიდან ის ქმნიდა გადაულახავ ნინაალმდეგობას დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად. "Interights"-ის პოზიციის თანახმად, დისკრიმინაციისაგან უკეთესი დაცვა ხდებოდა საერთო სამართლის იურისდიქციის ქვეყნებში, სადაც გამოიყენებოდა „შესაძლებლობების ბალანსის“ სტანდარტი მტკიცებულებებისათვის. სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში მოსამართლეებს აქვთ ფაქტების დადგენის უფლება და, შესაბამისად, მათ თეორიულად მაინც შეეძლოთ მოეთხოვათ მტკიცებულების უფრო მაღალი ხარისხი. აქედან გამომდინარე, საერთო სამართლის ქვეყნებში დისკრიმინაციისაგან სასამართლო დაცვა უკეთ ხორციელდებოდა. "Interights"-ის პოზიციის თანახმად, სასამართლომ პრაქტიკაში დაამკვიდრა შუალედური სტანდარტი, ვინაიდან იგი არ მოითხოვდა მტკიცებულების ისეთ მაღალ ხარისხს, როგორც სისხლის სამართლის საქმეებში, თუმცა მისი მიდგომა არ იყო საკმარისად ნათელი და ნინასწარგანჭვრეტადი.

141. "Interights" ასევე აცხადებდა, რომ საერთაშორისო პრაქტიკა მხარს უჭერს დისკრიმინაციის საქმეებში მტკიცების ტვირთის დაკისრებას მოპასუხისთვის, თუ მომჩივანი დაადასტურებდა რომ *prima facie* არსებობდა საქმე. ასეთ მიდგომას იზიარებდა ევროკავშირის რამდენიმე დირექტივა, ევროპულ გაერთიანებათა მართლმსაჯულების სასამართლო, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტი და ეროვნული სასამართლოები ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და სხვა სახელმწიფოებში.

142. "Interights"-მა ასევე მოიყვანა რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რა სახის მტკიცებულებებს შეუძლია ეროვნულ იურისდიქციაში *prima facie* დისკრიმინაციის საქმის დადასტურება: ეს არის არასახარბილო მდგომარეობაში ყოფნის „ზოგადი სურათის“ მტკიცებულება, დისკრიმინაციის შესახებ „ზოგადი ცოდნა“, ფაქტები „ცხოვრებიდან“, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და გარემოებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. მოტივის გათვალისწინებაც საერთო მიდგომა იყო.

(c) „ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივა“ (OSJI)

143. „ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივამ“ კომენტარი გააკეთა საერთაშორისო და შედარებით სამართლის საფუძველზე სახელმწიფოთა ვალდებულებაზე, გამოიძიონ რასობრივი დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევები. ამ ორგანიზაციის მოსაზრებით, საყოველთაოდ მიღებული პრინციპი, რომ არ შეიძლება მატერიალური უფლების დაცვა სათანადო პრო-

ცედურული გარანტიების გაერშე, გამოიყენებოდა დისკრიმინაციის საქმეებთან მიმართებითაც. ამიტომ კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარეობდა პროცედურული ვალდებულებაც. გარდა ამისა, ევროპული და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რასობრივი მოტივაცია ითვლებოდა დამამძიმებელ გარემოებად სისხლის სამართლის საქმეებში და, შესაბამისად, ექვემდებარებოდა გამოძიებას. ეს იყო სახელმწიფოთა *ex officio* ვალდებულება და მოქმედებას იწყებდა ყოველთვის, როდესაც არსებობდა სერიოზული ეჭვი, რომ ჩადენილი იყო რასობრივი შუღლით განპირობებული ქმედება.

C.. სასამართლოს შეფასება

1. პასუხისმგებელია თუ არა მოპასუხე სახელმწიფო მსხვერპლთა სიცოცხლის მოსპობაზე მათი რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე

144. სასამართლომ ზემოთ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მოხელეებმა უკანონოდ მოკლეს ბ-ნი ანგელოვი და ბ-ნი პეტკოვი და ამით დაარღვიეს კონვენციის მე-2 მუხლი. განმცხადებლები ასევე ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი, ვინაიდან რასობრივმა შუღლმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილში.

145. დისკრიმინაცია არის ერთ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა ობიექტური და გონივრული მიზეზის გარეშე (იხ. *Willis v. the United Kingdom*, no. 36042/97, პუნქტი 48, ECHR 2002-IV). რასობრივი დისკრიმინაცია არის ადამიანის ღირსების განსაკუთრებული შეურაცხყოფა და, მისი სერიოზული შედეგების გათვალისწინებით, მოითხოვს ხელისუფლებისაგან განსაკუთრებულ სიფრთხილესა და გადაამჭრელ რეაგირებას. სწორედ ამ მიზეზის გამო ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება რასიზმისა და რასისტული შუღლით გამოწვეული ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამასთან, უნდა განავითაროს მიდგომა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში განსხვავებულობა საფრთხეს კი არ წარმოადგენს, არამედ სიმდიდრის წყაროა. სასამართლო ამ საკითხს მოგვიანებით მიუბრუნდება.

146. ვინაიდან განმცხადებლები ჩიოდნენ მე-14 მუხლის დარღვევის შესახებ, სასამართლოს მოვალეობაა, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სასიკვდილოდ დაჭრასთან მიზეზობრივი კავშირი რასიზმს და, შესაბამისად, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

147. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას გამოიყენა მტკიცებულების სტანდარტი „გონივრულ ეჭვს მიღმა“. სასამართლოს ფუნქცია არ არის, გადანყვეტილება გამოიტანოს სისხლისსამართლებრივ ბრალეულობაზე ან სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე, მან უნდა განიხილოს ხელშემკვრელი სახელმწიფოების კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებანი. კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, სასამართლოს ფუნქციაა „მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა.“ სწორედ ამ ფუნქციის გამო უნდა განიხილოს სასამართლომ მტკიცებულებებისა და მტკი-

ცების საკითხები. სასამართლოს წინაშე განხილვის დროს არ არსებობს პროცედურული ბარიერები მტკიცებულებათა მისაღებად ან წინასწარ დადგენილი ფორმულა მათ შესაფასებლად. სასამართლოს გამოაქვს დასკვნები, რომლებიც, მისი აზრით, ემყარება მტკიცებულების თავისუფალ შეფასებას, ასევე ნებისმიერ დასკვნას, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ფაქტების შესახებ საკმარისად ძლიერი, ნათელი და თანმიმდევრული ან გაუბათილებელი პრეზუმფციების ერთობლიობიდან. უფრო მეტიც, სარწმუნოების ხარისხი და მტკიცების ტვირთის გადანაწილება უშუალოდაა დაკავშირებული ფაქტებთან, პრალდების ხასიათთან და თავად კონვენციასთან. სასამართლო ასევე ყურადღებით ეკიდება სერიოზულობას, რომელიც ენიჭება ხელშემკერელი სახელმწიფოების მიერ ძირითადი უფლებების დარღვევის დადგენას (იხ. შემდეგი გადაწყვეტილებები: *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, სერია A no. 25, პუნქტი 161; *Ribitsch v. Austria*, 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A no. 336, გვ. 24, პუნქტი 32; *Akdivar and Others v. Turkey*, 1996 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1996-IV, გვ. 1211, პუნქტი 68; *Tanli v. Turkey*, no. 26129/95, პუნქტი 111, ECHR 2001-III; და *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], no. 48787/99, პუნქტი 26, 2004 წლის 8 ივლისი).

148. განმცხადებლებმა მოიყვანეს რამდენიმე დამოუკიდებელი ფაქტი და ამტკიცებდნენ, რომ მათგან რასისტული ქმედება შეიძლება გამომდინარეობდეს.

149. პირველ როგში განმცხადებლები [რასიზმის] გამოვლინებად იმ ფაქტს განიხილავდნენ, რომ მაიორმა გ.-მ ავტომატური იარაღი ისროლა დასახლებულ ადგილას და უგულბელყო საზოგადოების უსაფრთხოება. ვინაიდან არ არსებობდა ასეთი ქმედების რაციონალური ახსნა, განმცხადებლები მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ რასობრივი შუღლი შეიძლება იყოს დამარწმუნებელი განმარტება და რომ [მაიორი გ.] ასე არ მოქცეოდა არაბოშურ დასახლებაში.

150. სასამართლო აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, ეროვნული კანონმდებლობა არ კრძალავდა ასეთ გარემოებებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, რაც თავისთავად იყო გაუმართლებელი ნაკლოვანება და სასამართლომ უკვე დაგმო იგი (იხ. ზემოთ, პუნქტი 99). სამხედრო პოლიციის ოფიცრებს პქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი „კანონის შესაბამისად“ და მათ მისცეს მითითება, რომ გამოეყენებინათ ყველა საშუალება დაპატიმრების მიზნით (იხ. ზემოთ, პუნქტები 18 და 60). შესაბამისად, იმის შესაძლებლობა, რომ მაიორი გ. მხოლოდ ასრულებდა რეგლამენტს და ასევე მოქცეოდა მსგავს შემთხვევაში მიუხედავად დენილთა ეთნიკური წარმომავლობისა, არ შეიძლება გამოირიცხოს. იმის გათვალისწინებით, რომ რეგლამენტი არ არის სრულყოფილი და ვერ აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნას სიცოცხლის უფლების დაცვასთან დაკავშირებით, არ არსებობს იმის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ მაიორი გ. არ გამოიყენებდა იარაღს არაბოშურ დასახლებაში.

151. მართალია, რომ მაიორი გ.-ს ქმედება სერიოზული კრიტიკის ობიექტია, ვინაიდან, როგორც სასამართლომ დაადგინა, გამოყენებული ძალა აშკარად გადამეტებული იყო (იხ. პუნქტი 108). მიუხედავად ამისა, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ მისი რეაქცია განპირობებული იყო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ სამართლებრივი ჩარჩოს არაადეკვატურობით და იმ

ფაქტით, რომ მისი მომზადება მოხდა ამ სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში (იხ. ზემოთ, პუნქტები 60 და 99-105).

152. განმცხადებლებმა ასევე განაცხადეს, რომ სამხედრო პოლიციის ოფიცრების ქმედებაზე გავლენა მოახდინა იმის ცოდნამ, რომ გაქცეულები ბოშური წარმომავლობის იყვნენ. თუმცა შეუძლებელია დავადგინოთ, მოახდინა თუ არა ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის ბოშურმა წარმოშობამ გავლენა [ოფიცრების] ქმედებებზე. გარდა ამისა, მტკიცებულებებიდან გამომდინარეობს, რომ ერთი ან მეტი პოლიციელი პირადად იცნობდა მსხვერპლთ (იხ. ზემოთ, პუნქტი 18).

153. განმცხადებლები ეყრდნობოდნენ ბ-ნი მ.მ.-ს მიერ მიცემულ ჩვენებას, რომელმაც განაცხადა, რომ მაიორმა გ.-მ სროლისთანავე დაიძახა „თქვე დანყველილო ბოშებო!“. რასობრივი განცხადებების შესახებ ჩვენების შემთხვევაში ხელისუფლებას უნდა შეესწავლა ბ-ნი მ.მ.-ს ჩვენების სიმართლე, თუმცა თავად ასეთი განცხადება არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ მოპასუხე სახელმწიფო პასუხისმგებლად ვცნოთ რასობრივი მოტივით მკვლელობაში.

154. და ბოლოს, განმცხადებლები ეყრდნობოდნენ უამრავ შემთხვევას, როდესაც ბულგარეთის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა გამოიყენეს ძალა ბოშათა მიმართ და ასეთ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირები არ დაუსჯიათ.

155. მართალია, რომ არაერთმა საერთაშორისო, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოთქვა შეშფოთება ასეთი ფაქტების გამო (იხ. ზემოთ, პუნქტები 55-59). თუმცა სასამართლო ვერ დაივინყებს, რომ მისი ფუნქციაა, დაადგინოს, მოტივირებული იყო თუ არა რასიზმით ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის მკვლელობა.

156. გადანყვეტილებაში პალატამ მოპასუხე სახელმწიფოს დააკისრა მტკიცების ტვირთი, ვინაიდან მან ვერ მოახერხა, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება სავარაუდო რასობრივი მოტივით ჩადენილ მკვლელობასთან დაკავშირებით. პალატამ დაადგინა, რომ არსებითად დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან მთავრობამ ვერ დაარწმუნა პალატა, რომ გასაჩივრებული მოვლენები არ გამოიწვია რასობრივმა შუღლმა.

157. დიდი პალატა იმეორებს, რომ ზოგიერთ გარემოებაში, როდესაც ხელისუფლებამ ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი იცის განსახილველი მოვლენების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, ხელისუფლების პატიმრობაში მყოფი პირის სიკვდილის შემთხვევა, ხელისუფლებას ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ წარმოადგინოს საკმარისი და დამარწმუნებელი განმარტება დაკავებული პირის სიკვდილის შესახებ (იხ. *Salman v. Turkey* [GC], no. 21986/93, პუნქტი 100, ECHR 2000-VII). დიდი პალატა არ გამორიცხავს, რომ დისკრიმინაციის ბრალდების საქმეებში მას შეუძლია მოსთხოვოს მოპასუხე სახელმწიფოს, გააბათილოს სადავო ბრალდება დისკრიმინაციამ და თუ ხელისუფლება ამას ვერ გაათავისუფლებს, მაშინ დიდი პალატა დაასკენის კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას ამის საფუძველზე. როდესაც ამ საქმის მსგავსად ამტკიცებენ, რომ ძალადობრივი აქტი მოტივირებული იყო რასობრივი შუღლით, აღნიშნული მიდგომა ნიშნავს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ პირს არ ამოძრავებდა სუბიექტური მიდგომა. ბევრი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში პოლიტიკის ან გადანყვეტილების დისკრიმინაციული ხასიათის მტკიცებულებას არ ესაჭიროება

იმის დამტკიცება, რომ არსებობდა დისკრიმინაციის განზრახვა დასაქმებისას ან მომსახურების განევისას; რთულია ამ მიდგომის გამოყენება იმ შემთხვევებშიც, როდესაც ძალადობა ჩადენილი იქნა რასობრივი მოტივით. დიდი პალატა, პალატისაგან განსხვავებით, არ მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მიერ რასობრივი მოტივის არსებობის არასათანადო გამოძიება ადამიანის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთს დააკისრებს მოპასუხე მთავრობას კონვენციის მე-14 მუხლის მე-2 მუხლის არსებით ნაწილთან ერთად საეარაუდო დარღვევის შემთხვევაში. ხელისუფლების მიერ პროცედურული ვალდებულების შესრულება ცალკე საკითხია, რომელსაც სასამართლო მოგვიანებით განიხილავს.

158. და ბოლოს, შეისწავლა რა ყველა ელემენტი, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილი რასისტულმა მოტივმა განაპირობა.

159. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი არსობრივად მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

2. პროცედურული მხარე: შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ მასზე დაკისრებული ვალდებულება, გამოეძიებინა შესაძლო რასისტული მოტივები

(ა) ზოგადი პრინციპები

160. დიდი პალატა იზიარებს პალატის ანალიზს ამ საქმეში, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ეკისრა პროცედურული ვალდებულება, გამოეძიებინა შესაძლო რასისტული მოტივები ძალადობის აქტებთან მიმართებით. პალატამ აღნიშნა (პუნქტები 156-159):

„... კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოებს აკისრიათ ზოგადი ვალდებულება, ეფექტურად გამოიძიონ სიცოცხლის მოსპობის საქმეები.

... ეს ვალდებულება უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-14 მუხლი... როდესაც არსებობს ეჭვი, რომ რასობრივმა მოსაზრებებმა გამოიწვია ძალადობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური გამოძიება ჩატარდეს კანონიერად და მიუკერძოებლად; ასევე საზოგადოებაში მუდმივად უნდა იგმობოდეს რასობრივი და ეთნიკური მტრობა და შენარჩუნებული იქნეს უმცირესობების ნდობა, რომ ხელისუფლებას აქვს უნარი, დაიცვას ისინი რასობრივი ძალადობისაგან. კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პროზიტორი ვალდებულების შესრულება ნიშნავს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემის სისხლის სამართალი გამოიყენება ყველას მიმართ, ვინც ჩაიდინა მკვლელობა, მიუხედავად მსხვერპლის რასობრივი და ეთნიკური წარმოშობისა (იხ. *Menson and Others v. the United Kingdom (dec.)*, no. 47916/99, ECHR 2003-V)...

... როდესაც გამოძიება ეხება სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილ ძა-

ლადობას ან სიცოცხლის მოსპობას, სახელმწიფო ხელისუფლებას აკისრია დამატებითი ვალდებულება, გამოააშკარაოს ნებისმიერი რასობრივი მოტივი და დაადგინოს, ხომ არ შეასრულა რასობრივმა ან ეთნიკურმა სიძულვილმა რაიმე როლი მოვლენების განვითარებაში. რასობრივი მოტივაციით გამოწვეული ძალადობისა და სისასტიკის ისევე განხილვა, როგორც საქმეებისა, რომელთაც არ დაჰკრავთ რასობრივი ელფერი, ჰგავს თავის დაბრმავებას იმ ფაქტებთან მიმართებაში, რომლებიც განსაკუთრებით ლახავს ძირითად უფლებებს. თუ სიტუაცია მოითხოვს განსაკუთრებულ მოპყრობას, მაგრამ ასეთი განსხვავებული მიდგომა არ გამოიყენება, შეიძლება ეს მოპყრობა არ შეესაბამებოდეს კონვენციის მე-14 მუხლს (იხ. *mutatis mutandis*, *Thlimmenos v. Greece* [GC], no. 34369/97, პუნქტი 44, ECHR 2000-IV). იმისათვის, რომ შენარჩუნებული იქნეს საზოგადოების ნდობა სამართალდამცავი მექანიზმის მიმართ, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებისას სამართლებრივ სისტემაშიც და პრაქტიკაშიც განსხვავებული მიდგომა იყოს გადამეტებული ძალის გამოყენებისა და რასისტული მკვლელობების შესახებ საქმეების მიმართ.”

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ძალიან რთულია რასობრივი მოტივის დამტკიცება. მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიძიოს შესაძლო რასობრივი ელფერი ძალადობის საქმეებში არის ვალდებულება, რომ მან გამოიყენოს მის ხელთ არსებული საშუალებები და არა აბსოლუტური საშუალებები (იხ. *mutatis mutandis*, *Shanaghan v. the United Kingdom*, no. 37715/97, პუნქტი 90, ECHR 2001-III, რომელიც ანებს იმავე სტანდარტს გამოძიების ზოგად ვალდებულებასთან მიმართებით). ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს კეთილგონივრული ქმედებები მტკიცებულებების შეგროვებისა და დაცვის მიზნით, გამოიყენოს ყველა პრაქტიკული საშუალება სიმართლის დასადგენად, გამოიტანოს სრულიად დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადანყევტილებები და არ დატოვოს განუხილველად საეჭვო ფაქტები, რომლებიც შეიძლება ადასტურებდეს ძალადობის რასობრივ მოტივს.

161. დიდი პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ვალდებულება, გამოიძიოს რასისტულ მოტივსა და ძალადობის აქტს შორის შესაძლო კავშირის არსებობა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პროცედურული ვალდებულებაა, თუმცა შეიძლება იგულისხმებოდეს კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებაშიც, თუ მას [მე-14 მუხლს] განვიხილავთ მე-2 მუხლთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს სიცოცხლის უფლებით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობის უზრუნველყოფას. ორი დებულების ურთიერთკავშირის შედეგად საკითხები, როგორიც მოქმედებს საქმეშია, შეიძლება მოხედეს მხოლოდ ორიდან ერთი დებულების მოქმედების სფეროში ან შეიძლება აუცილებელი გახდეს მათი შესწავლა ორივე დებულების შესაბამისად. ეს უნდა გადანყდეს ყოველი კონკრეტული საქმის და სავარაუდო დარღვევების ხასიათის გათვალისწინებით.

(ბ) აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

162. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი, ვინაიდან არ გამოიძია ეფექტურად ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილი (იხ. ზემოთ, პუნქტები 114-119). სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში მან ცალკე უნდა შეისწავლოს საჩივარი იმის თაობაზე, რომ გამოძიებამ ვერ დაადგინა შესაძლო მიზეზობრივი კავშირი სავარაუდო რასობრივ დამოკიდებულებასა და ორი კაცის მკვლელობას შორის.

163. ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის გამომძიებლების ხელთ იყო მსხვერპლის მეზობლის ბ-ნი მ.მ.-ის განცხადება, რომ მაიორმა გ.-მ იყვირა: „თქვე დანყველილო ბოშებო!“ და მიუშვირა იარაღი გასროლის შემდეგ (იხ. ზემოთ, პუნქტი 35). ბულგარეთში ბოშების წინააღმდეგ არსებული მტრული განწყობილების შესახებ არაერთი ანგარიშის გათვალისწინებით აღნიშნული ჩვენება უნდა შემოწმებულიყო.

164. პალატის მსგავსად დიდი პალატა მიიჩნევს, რომ ეთნიკური ან სხვა უმცირესობების წარმომადგენელთა წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევასთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ზეპირი შეურაცხყოფის მიყენების შესახებ ნესმიერი ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, ნამდვილად ჩადენილი იყო თუ არა უკანონო, სიძულვილით გამოწვეული ძალადობა. როდესაც გამოძიებისას ასეთი მტკიცებულება გამოაშკარავდება, იგი უნდა შემოწმდეს და თუ დადასტურდება, გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი ყველა ფაქტი შესაძლო რასობრივი მოტივის გამოსავლენად.

165. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ მაიორმა გ.-მ გამოიყენა აშკარად გადამეტებული ძალა ორი შუიარაღებელი და არამოძალადე კაცის წინააღმდეგ, თავისთავად საგულდაგულო გამოძიებას მოითხოვდა.

166. და ბოლოს, ამ საქმის გამომძიებლებსა და პროკურორებს გააჩნდათ საკმარისი ინფორმაცია, რომ შეშფოთებულიყვნენ და მიეღოთ ზომები, რათა დაედგინათ, არსებობდა თუ არა რასობრივი მოტივი, შედეგის შესაბამისად კი გაეგრძელებინათ გამოძიება იმისა, ხომ არ იყო ორი კაცის სიკვდილი გამომწვეული რასიზმით.

167. მაგრამ ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა, რათა შეემოწმებინა ბ-ნი მ.მ.-ს განცხადება. არ დაუკითხავთ მონშეები ამ საკითხზე. მაიორი გ.-სთვის არ უკითხავთ, თუ რატომ მიიჩნია მან მიზანშეწონილად ასეთი ძალის გამოყენება. ხელისუფლებას არ უცდია, შეემოწმებინა მაიორი გ.-ს ისტორია და შეესწავლა, წარსულში ხომ არ ყოფილა ჩარეული მსგავს ინციდენტებში ან ხომ არ ყოფილა ექვმიტანილი ანტიბოშური განცხადებების გამოთქამაში. აღნიშნულს ისიც დაემატა, რომ გამომძიებლებმა და პროკურორებმა, როგორც ეს სასამართლომ უკვე დაადგინა, ყურადღება არ მიაქციეს შესაბამის ფაქტებს და შეწყვიტეს გამოძიება, რითაც მაიორ გ.-ს ააცილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (იხ. ზემოთ, პუნქტები 36-54 და 115-117).

168. ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლთან ერთად ალებული მე-14 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება, მიეღო ყველა შესაძლო ზომა იმის დასადგენად, შეასრულა თუ არა დისკრიმინაციამ რაიმე როლი განსახილველ მოვლენებში. აღნიშნულიდან

გამომდინარეობს, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთობლიობაში პროცედურული ასპექტით.

V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

169. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო და ზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

A. ზიანი

170. დიდი პალატის წინაშე განმცხადებლებმა წამოაყენეს იგივე მოთხოვნები მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია.

171. პალატის გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილის თანახმად (პუნქტები 177-184):

„ქ-ნი ნაჩოვა, ბ-ნი ანგელოვის ქალიშვილი, და ქ-ნი ხრისტოვა, მისი პარტნიორი და ქ-ნი ნაჩოვას დედა, ერთად ითხოვდნენ 25 000 ევროს ბ-ნი ანგელოვის სიკვდილის გამო და კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით. ეს თანხა მოიცავდა 20 000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის და 5 000 ევროს მატერიალური ზიანისათვის. ქ-ნი რანგელოვა და ბ-ნი რანგელოვი ერთად ითხოვდნენ იმავე თანხას მათი ვაჟის, კირილ პეტკოვის, სიკვდილთან დაკავშირებით და კონვენციის დარღვევის გამო.“

არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით სასამართლო მათ მთელ მოთხოვნილ თანხას ანიჭებს.

მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით განმცხადებლები მოითხოვდნენ ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის გამო დაკარგული შემოსავლის ანაზღაურებას. განმცხადებლებმა ვერ წარმოადგინეს მტკიცებულება, თუმცა აცხადებდნენ, რომ მსხვერპლნი ფინანსურად ინახავდნენ ოჯახებს და გააგრძელებდნენ ამის გაკეთებას, ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნა გადამეტებული იყო ბუღალრეთის ცხოვრების სტანდარტის გათვალისწინებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობას არ გაუპროტესტებია განმცხადებელთა განცხადება იმის თაობაზე, რომ მათ დაკარგეს ფინანსური შემოსავალი ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის გამო და რომ ეს უკანასკნელნი ოჯახებს ფინანსურად უზრუნველყოფდნენ, ცოცხლები

რომ ყოფილიყვნენ. სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, რომ სხვაგვარი დასკვნა გააკეთოს.

ზოგიერთ საქმეში, მათ შორის ამ საქმეშიც, განმცხადებელთა მატერიალური ზიანის სრული რეპარაციისათვის (*restitutio in integrum*) საჭირო თანხის ზუსტი გამოთვლა შეიძლება გართულდეს დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ბუნდოვანი ხასიათის გამო. თანხა შეიძლება მაინც გადაეცეს მიუხედავად მომავალში მიღებული დანაკარგის გამოთვლის სირთულეებისა. ასეთ საქმეებში უნდა გაირკვეს, თუ რა არის სამართლიანი დაკმაყოფილება სასამართლოს დისკრეციული გადაწყვეტილებით იმის საფუძველზე, თუ რა არის სამართლიანი (*ib. Z and Others v. the United Kingdom [GC], no. 29392/95, პუნქტი 120, ECHR 2001-V*).

ამ საქმეში მხარეთა პოზიციებისა და ყველა სათანადო ფაქტორის, მსხვერპლთა და განმცხადებელთა ასაკის გათვალისწინებით, ასევე იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად იყვნენ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი, სასამართლო მიიჩნევს, რომ მართებულია ქ-ნი ნაჩოვასა და ქ-ნი ხრისტოვასათვის ერთად 5 000 ევროს მინიჭება ბ-ნი ანგელოვის სიკვდილით გამოწვეული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 2 000 ევროსი — ქ-ნი რანგელოვასა და ბ-ნი რანგელოვისთვის ერთად ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის შედეგად დაკარგული შემოსავლის ასანაზღაურებლად.“

172. დიდმა პალატამ გაიზიარა პალატის ანალიზი. იგი მიიჩნევს, რომ განმცხადებელთა მოთხოვნა შეეხება კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლებიდან გამომდინარე მატერიალურ და არამატერიალურ ზიანს; მართალია, დიდმა პალატამ პალატისგან განსხვავებით დაადგინა, რომ კონვენციის მე-14 მუხლი დაირღვა მე-2 მუხლის მხოლოდ პროცედურულ ასპექტთან ერთობლიობაში, იგი არ მიიჩნევს, რომ ამის საფუძველზე უნდა შემცირდეს თანხის ოდენობა. შესაბამისად, დიდი პალატა ანიჭებს ქ-ნ ნაჩოვასა და ქ-ნ ხრისტოვას ერთად 25 000 ევროს მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის და ქ-ნ რანგელოვასა და ბ-ნ რანგელოვს — 22 000 ევროს მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის.

B. ხარჯები და დანახარჯები

173. პალატამ სრულად გაიზიარა განმცხადებელთა მოთხოვნა ხარჯებთან დაკავშირებით და მიანიჭა მათ 3 740 ევრო ხარჯებისა და დანახარჯებისათვის.

174. დიდი პალატის წინაშე განმცხადებლებმა გაიმეორეს თავიანთი თავდაპირველი განცხადებები და მოითხოვეს დიდი პალატის წინაშე გამართული პროცესის დროს განეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურება. კერძოდ, მათ მოითხოვეს 7 931 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 11 630 ევრო) ლორდი ლესტერის მიერ განეული სამართლებრივი მომსახურების ასანაზღაურებლად და 1 920 ევრო ბ-ნი გროზევის მიერ 48 საათიანი მუშაობისათვის დიდი პალატის წინაშე წერილობით პროცედურებში მონაწილეობისას. განმცხადებლებმა წარადგინეს კონტრაქტების და ნამუშევარი დროის ამსახველი დოკუმენტების

ასლები. განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ მოითხოვდნენ ანაზღაურებას ბ-ნი გროზევის ზეპირ მოსმენაში მონაწილეობისათვის, ვინაიდან ეს თანხა დაფარა ევროპის საბჭოს იურიდიულმა დახმარებამ (1 906,50 ევრო). მთლიანად განმცხადებლები ითხოვდნენ 5 660 ევროს ბ-ნი გროზევის საქმიანობისათვის და 11 630 ევროს ეკვივალენტურ თანხას ლორდი ლესტერის მონაწილეობისათვის დიდი პალატის პროცესში. განმცხადებლებმა ითხოვეს, რომ ხარჯებისა და დანახარჯებისათვის მინიჭებული თანხა პირდაპირ ადვოკატებს გადარიცხვოდათ. მთავრობამ კომენტარი არ გააკეთა.

175. სასამართლოს მიაჩნია, რომ თანხები ხარჯებისა და დანახარჯებისათვის ნამდვილად და მიზნობრივად დაიხარჯა და დაკავშირებული იყო დადგენილ დარღვევებთან (იხ. *Beyeler v. Italy (just satisfaction)* [GC], no. 33202/96, პუნქტი 27, 2002 წლის 28 მაისი). რაც შეეხება თანხებს, ზეპირ მოსმენასთან დაკავშირებული მოთხოვნები გადაჭარბებულია. ყველა სათანადო გარემოების გათვალისწინებით სასამართლო ანიჭებს ერთად ყველა განმცხადებელს 11 000 ევროს ხარჯებისა და დანახარჯებისათვის (5 500 ევრო ბ-ნი გროზევისათვის და 5 500 ევრო ლორდი ლესტერისათვის).

C. საურავი

176. სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარიმო პროცენტი უნდა ეფუძნებოდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ამ მიზეზთა გამო სასამართლო

1. ადგენს ერთხმად, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილთან დაკავშირებით;
2. ადგენს ერთხმად, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, ვინაიდან ხელისუფლებამ არ ჩაატარა ეფექტური გამოძიება ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილთან დაკავშირებით;
3. ადგენს ერთხმად, რომ მე-13 მუხლის საფუძველზე არ წამოჭრილა ცალკე საკითხი;
4. ადგენს 11 ხმით ექვსის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთობლიობაში იმ მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის გამომწვევი მოვლენები რასობრივ ძალადობას წარმოადგენდა;
5. ადგენს ერთხმად, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან ხელისუფლებამ არ გამოიძია ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის გამომწვევი მოვლენების შესაძლო რასისტული მოტივები;
6. ადგენს ერთხმად

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებლებს უნდა გადაუხადოს ქვემოთ მითითებული თანხები სამი თვის განმავლობაში, ასევე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაერიცხოს ამ თანხებს:

- (i) ქ-ნ ნაჩოვასა და ქ-ნ ხრისტოვას ერთად 25 000 (ოცდახუთი ათასი) ევრო მატერიალურ და არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით; ეს თანხა გადაყვანილი იქნება ეროვნულ ვალუტაში გადარიცხვის დროს არსებული სახელმწიფო კურსის შესაბამისად;
- (ii) ქ-ნ რანგელოვასა და ბ-ნ რანგელოვს ერთად 22 000 (ოცდაორი ათასი) ევრო მატერიალურ და არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით; ეს თანხა გადაყვანილი იქნება ეროვნულ ვალუტაში გადარიცხვის დროს არსებული სახელმწიფო კურსის შესაბამისად;
- (iii) ერთად ყველა განმცხადებელს 11 000 (თერთმეტი ათასი) ევრო ყველა ხარჯისა და დანახარჯის დასაფარავად: 5 500 ევრო გადაირიცხოს ეროვნულ ვალუტაში გადარიცხვის დღეს არსებული სახელმწიფო კურსის შესაბამისად ბ-ნი გროზევის საბანკო ანგარიშზე ბულგარეთში და 5 500 ევრო ლორდი ლესტიერის საბანკო ანგარიშზე გაერთიანებულ სამეფოში;

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის ამონურვიდან გადახდამდე უნდა დანესდეს საურავის სახით გადასახდელი თანხა ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი ოდენობით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტი;

7. არ აკმაყოფილებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით განმცხადებელთა პრეტენზიის დარჩენილ ნაწილს.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, გაცხადებულია საჯარო მოსმენაზე მოსამართლე კოსტას, ვიცე-პრეზიდენტის, მიერ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2005 წლის 6 ივლისს.

ლუციუს ვილდჰაბერი
თავმჯდომარე

თ. ლ. ერლი
რეგისტრატორის მოადგილე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი განცალკევებული მოსაზრებანი:

- (ა) მოსამართლე სერ ნიკოლას ბრატცას თანმხვედრი მოსაზრება;
- (ბ) მოსამართლეების კასადევალის, პედიგანის, მულარონის, ფურა-სანდსტრომის, გულუმუიანისა და სპიელმანის ერთიანი ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება.

ლ.ვ.
თ.ლ.ე.

მოსამართლე სერ ნიკოლას ბრატცას თანმხვედრი მოსაზრება

მე სრულიად ვეთანხმები სასამართლოს უმრავლესობას საქმის ყველა ასპექტთან მიმართებით, გარდა ერთი აბზაცისა კონვენციის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში მე-14 მუხლის არსებით საკითხებზე დასაბუთებასთან დაკავშირებით.

განაჩენის 157-ე პუნქტში ნათქვამია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მოეთხოვოს დისკრიმინაციაში ბრალდების გაბათილება; თუ სახელმწიფო ამას ვერ მოახერხებს, ეს შეიძლება ნიშნავდეს მე-14 მუხლის დარღვევას. განაჩენში ასევე ნათქვამია, რომ როდესაც ამ საქმის მსგავსად ამტკიცებენ, რომ ძალადობრივი ქმედება მოტივირებული იყო რასობრივი შუღლით, აღნიშნული მიდგომა ნიშნავს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ პირს არ ამოძრავებდა სუბიექტური დამოკიდებულება. ამ პუნქტის შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ სახელმწიფოს წინაშე არსებული მტკიცებულებითი სირთულეების გამო იშვიათად ან თითქმის არასდროს იქნება მიზანშეწონილი მტკიცების ტვირთის შეცვლა და მოპასუხე სახელმწიფოსათვის იმის მოთხოვნა, რომ უარყოს, რომ სიცოცხლის მოსპობა განპირობებული იყო რასობრივი მოტივით.

თუ ეს არის ამ პუნქტის სწორი ინტერპრეტაცია, მაშინ ვერ დავეთანხმები მას. მე ადვილად შემიძლია განვჭვრიტო საქმეები, სადაც სახელმწიფო მოხელის მიერ მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით იმის მტკიცების ტვირთი, რომ მკვლელობა არ ყოფილა ჩადენილი რასისტული მოტივით, დაეკისრება მოპასუხე სახელმწიფოს. ასეთი მაგალითი იქნება, როდესაც მტკიცებულებების თანახმად რომელიმე ეთნიკური ჯგუფის წევრების დაკავების მცდელობის შედეგად დაიღუპებიან ასეთი პირები მაშინ, როდესაც სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა დაკავებისას ასეთი რამ იშვიათად ან საერთოდ არ ხდება. მაგალითი იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც დაკავების ოპერაციის დაგეგმვისას, რომლის მიზანი იყო რომელიმე ეთნიკური ჯგუფის წევრების დაკავება, დაკავების განმახორციელებელ დანაყოფს მისცეს და ნება დართეს, გამოეყენებინა ცეცხლსასროლი იარაღი. მე მიმაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში მთავრობამ უნდა დაარწმუნოს სასამართლო, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებული იყო ობიექტური გარემოებებით და კონკრეტული მსხვერპლის სიკვდილში მის ეთნიკურ წარმომავლობას არსებითი როლი არ უთამაშია.

თუმცა მოცემულ საქმეში სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებებიდან და განაჩენში მოყვანილი მსჯელობიდან არ მიმაჩნია, რომ სასამართლოსთვის წარმოდგენილი მასალები ისეთი იყო, რომ გამართლებინა მოპასუხე სახელმწიფოზე მტკიცების ტვირთის დაკისრება ან მტკიცებულების აუცილებელი სტანდარტის შესაბამისად იმის დადგენა, რომ ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის მკვლელობა, გარდა იმისა, რომ სრულიად გაუმართლებელი იყო, რასობრივად მოტივირებულიც იყო.

მოსამართლეების კასადეველის, პედიგანის, მურალონის,
ფურა-სანდსტრომის, გოულუმინისა და სპიელმანის
ერთობლივი განსხვავებული მოსაზრება

(თარგმანი)

1. ჩვენ ხმას ვაძლევთ დასკვნითი დებულებების მე-4 პუნქტის წინააღმდეგ შემდეგი მიზეზების გამო:

2. არ შეგვიძლია დავეთანხმოთ სასამართლოს ახალ მიდგომაში, რომ მე-14 მუხლი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ცალ-ცალკე მე-2 მუხლის არსებით და პროცედურულ ასპექტებთან. ერთიანი მიდგომა უფრო სასურველი იქნებოდა, ვინაიდან ასეთი გზით უკეთ აისახებოდა მე-14 მუხლის განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც არ არსებობს დამოუკიდებლად. ჩვენ მივიჩნევთ, რომ არსებით და პროცედურულ ასპექტებს შორის განსხვავება ხელოვნური და უსარგებლოა, ვინაიდან ამ საქმეში სასამართლომ მე-2 მუხლის ორივე ასპექტის დარღვევა დაადგინა. ასევე პრობლემაა ისიც, რომ მეტისმეტად ადრეა იმის შეფასება, თუ რა გავლენა მოახდინა ამ ახალმა მიდგომამ კონვენციის მე-12 ოქმის გამოყენებასა და განმარტებაზე, რომელიც სულ ახლახანს შევიდა ძალაში იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც მისი რატიფიცირება მოახდინეს.

3. განასხვავა რა ერთმანეთისაგან არსებითი და პროცედურული ასპექტები, უმრავლესობამ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში მე-14 მუხლის დარღვევა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ხელისუფლებამ არ გამოიკვლია, იყო თუ არა რასობრივად მოტივირებული ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის სიკვდილის გამომწვევი მოვლენები.

4. ჩვენ ვეთანხმებით ამ დასკვნას. თუმცა ასეთი პროცედურული გადაწყვეტილების მიუხედავად მიგვაჩნია, რომ ერთად აღებული სხვა ფაქტობრივი ელემენტები ააშკარავენ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

5. ზემოხსენებულ ელემენტებს შორის არის ის ფაქტი, რომ გასროლა მოხდა დასახლებულ ადგილას — სოფლის ბოშურ უბანში — მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის გაუთვალისწინებლად; სამხედრო პოლიციელებმა იცოდნენ ორივე მსხვერპლის ბოშური წარმომავლობის და იმის შესახებ, რომ ისინი არც შეიარაღებულნი იყვნენ და არც საშიშნი; ბულგარეთში ბოშათა მიმართ მტრული დამოკიდებულების შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშები; ეს არ არის პირველი საქმე ბულგარეთის წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალდამცავებმა ან სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლებმა სასიკვდილი ზიანი მიაყენეს ბოშებს; ბ-ნი მ.მ.-ის ჩვენების თანახმად, მაიორმა გ.-მ შეურაცხყოფა მიაყენა მას რასობრივი შეძახილით: „შე დაწყვილილო ბოშა“; და ბოლოს, ხელისუფლებამ არ იმოქმედა სათანადოდ და დაშვებული იყო მძიმე საპროცედურო ხარვეზები, რამაც ხელი შეუშალა სიმართლის დადგენას.

6. მართალია, რომ საპროცედურო დარღვევები წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელსაც სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს. მათ გადამწყვეტი როლი ეკისრება იმის დადგენისას, თუ ვის უნდა დაეკისროს მტკიცების ტვირთი, ვინაიდან ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ქმედითი ზომები,

რათა ნათელი მოჰფინოს ფაქტებს და ამ პროცედურის დარღვევა ნამდვილად მოახდენს ზეგავლენას პრობლემის არსებით მხარესთან დაკავშირებით მისაღებ გადანყვეტილებაზე.

7. სასამართლოს უმრავლესობამ, შეზღუდა რა გადანყვეტილება მხოლოდ პროცედურული ასპექტების დარღვევით, არ მიაქცია სათანადო ყურადღება საკმარისად ძლიერ, ნათელ და ცალსახა პრეზუმფციებს, რომლებიც გამომდინარეობდა ფაქტობრივი მტკიცებულებებიდან და რომლებიდანაც გამომდინარეობს დასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

**ზელინსკი, პრადალი და გონზალესი
საჴრანგებითის წინააღმდეგ**

Zelinski and Pradal and Gonzalez and others v. France

**ზელინსკი, პრადალი და
გონზალესი საფრანგეთის წინააღმდეგ**

(№ 24846/94 და 34165/96-34173/96 გაერთიანებული განაცხადები)

ბანაჩენი

სტრასბურგი

1999 წლის 28 ოქტომბერი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეში „ზელინსკი, პრადალი და გონზალესი საფრანგეთის წინააღმდეგ“,
(*Zelinski and Pradal and Gonzalez and others v. France*)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, შეიკრიბა რა დიდი პალატის სახით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 27-ე მუხლის (რომელიც შესწორებულია №11 ოქმით¹) და სასამართლოს რეგლამენტის² შესაბამისი დებულებების საფუძველზე შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი ლ. ვილდჰაბერი, პრეზიდენტი
ბ-ნი ლ. ფერარი ბრავო
ბ-ნი ლ. კაფლიში
ბ-ნი ჯ. მაკარჩიკი
ბ-ნი უ. ფურმანი
ბ-ნი კ. იუნგვიერტი
ბ-ნი მ. ფიშბახი
ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი
ქ-ნი ნ. ვაჯიჩი
ბ-ნი ჯ. პედიგანი
ქ-ნი უ. თომასენი
ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოსკა
ბ-ნი ტ. პანტირუ
ბ-ნი ე. ლევიცი
ბ-ნი კ. ტრაჯა
ქ-ნი ს. ბოტუჩაროვა
ბ-ნი ა. ბაკე – *ad hoc* მოსამართლე

და ასევე რეგისტრატორის მოადგილე, ქ-ნი ბოერ-ბუკიკო,

იმსჯელა რა განმარტოებით 1999 წლის 26 მაისსა და 29 სექტემბერს,

1999 წლის 29 სექტემბერს გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

1-2. მე-11 ოქმი და სასამართლოს წესები ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ნოემბერს.

1. საქმე „ზელინსკი და პრადალი საფრანგეთის წინააღმდეგ“ გადაეცა სასამართლოს კონვენციის³ ადრე მოქმედი მე-19 მუხლის შესაბამისად ადამიანის უფლებათა კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ 1997 წლის 25 ოქტომბერს და საფრანგეთის მთავრობის მიერ (შემდგომში „მთავრობა“) 1997 წლის 11 დეკემბერს. საქმე „გონზალესი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ“ სასამართლოს გადაეცა 1998 წლის 9 დეკემბერს კომისიის მიერ კონვენციის შესწორებული მე-19 მუხლის შესაბამისად. ორივე საქმე განხილული იქნა კონვენციის ადრე მოქმედი 32-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 47-ე მუხლის შესაბამისად. ამ ორი საქმის საფუძველი იყო საფრანგეთის 11 მოქალაქის 11 განაცხადი (№ 24846/94 და № 34165/96-დან 34173/96-მდე, ეს უკანასკნელი კომისიამ შეაერთა 1997 წლის 9 აპრილს) საფრანგეთის წინააღმდეგ კონვენციის ადრე მოქმედი 25-ე მუხლის შესაბამისად. პირველი განაცხადი შეიტანეს ბ-ნმა ბენუა ზელინსკიმ და ბ-ნმა მარტინ პრადალმა 1994 წლის 5 ივლისს, მეორე განაცხადი — ქ-ნმა ჟანი გონზალესმა 1996 წლის 19 აგვისტოს, ხოლო დანარჩენი 8 განაცხადი — ქ-ნმა მარტინ მარიმ, ქ-ნმა ანიტა დელაკერიემ, ბ-ნმა გი შრეიბერმა, ქ-ნმა მონიკა კერნმა, ბ-ნმა პასკალ გონტიემ, ქ-ნმა ნიკოლ შრეიბერმა, ქ-ნმა ჟოსიან მემეტომ და ბ-ნმა კლოდ კოსუტამ 1996 წლის 9 სექტემბერს.

კომისიის თხოვნა შეეხებოდა ადრე მოქმედ 44-ე და 48-ე მუხლებს და საფრანგეთის დეკლარაციას, რომელშიც მან აღიარა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია (ადრე მოქმედი მუხლი 46). მთავრობის განაცხადი ეხებოდა ადრე მოქმედ 48-ე მუხლს. თხოვნისა და განაცხადის მიზანი იყო, მიღებულიყო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ნარმოადგენდა თუ არა საქმეში გამოაშკარავებული ფაქტები მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მისთვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-13 მუხლით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევას.

2. სასამართლოს ადრე მოქმედი A ნესების⁴ 33-ე ნესის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩატარებული გამოკვლევის პასუხად ბ-ნმა ზელინსკიმ და ბ-ნმა პრადალმა განაცხადეს, რომ სურდათ პროცესში მონაწილეობა და დანიშნეს იურისტი, რომელიც მათ წარმოადგენდა (ადრე მოქმედი 30-ე ნესი).

3. პირველი საქმის, განსაკუთრებით კი მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე ნამოჭრილი პროცედურული საკითხების განსახილველად შექმნილი პალატის (კონვენციის ადრე მოქმედი 43-ე მუხლი და ადრე მოქმედი 21-ე ნესი) თავმჯდომარემ ბ-ნმა ბერნარდტმა რეგისტრატორის მეშვეობით წერილობითი პროცედურის ჩატარების შესახებ კონსულტაციები გამართა მთავრობის წარმომადგენელთან, ბ-ნი ზელინსკისა და ბ-ნი პრადალის ადვოკატთან და კომისიის დელეგატთან. ამის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად რე-

3. მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა მე-11 ოქმი, რომელმაც შესწორებები შეიტანა მე-19 მუხლში, სასამართლო მუდმივ საფუძველზე ფუნქციონირებს.

4. სასამართლოს A ნესები გამოიყენება სასამართლოს მიერ მთავრობისადმი წარმოადგენი მიმართ მე-9 ოქმის ძალაში შესვლამდე (1994 წლის 1 ოქტომბერი), ხოლო ანს შემდეგ 1998 წლის 1 ოქტომბრამდე მხოლოდ იმ საქმეების მიმართ, რომლებსაც შეეხება ოქმი არანერ სახელმწიფოებს.

გისტრატორმა მიიღო განმცხადებელთა მემორანდუმი და მთავრობის მემორანდუმი 1998 წლის 27 აპრილს.

4. 1998 წლის 1 ნოემბერს მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ და მისი მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დებულებების შესაბამისად საქმე გადაეცა სასამართლოს დიდ პალატას. დიდ პალატაში *ex officio* შედიოდა ბ-ნი ჯ.პ. კოსტა, საფრანგეთის მხრიდან არჩეული მოსამართლე (კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი და სასამართლოს წესების 24-ე წესის მე-2 წესი), შედიოდნენ, აგრეთვე, ბ-ნი ვილდჰაბერი, სასამართლოს თავმჯდომარე, ქ-ნი ე. პალმი, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, და ბ-ნი მ. ფიშახი, სექციის თავმჯდომარის მოადგილე (კონვენციის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 24-ე წესის მე-3 და 5(ა) პუნქტები). დიდი პალატის დანარჩენ წევრებად დაინიშნენ ბ-ნი ლ. ფერარი ბრაუო, ბ-ნი გაუკურ იორუნდსონი, ბ-ნი ლ. კაფლიმი, ბ-ნი ლ. ფურმანი, ბ-ნი კ. იუნგვიერტი, ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი, ქ-ნი ნ. ვაჯიჩი, ბ-ნი ჯ. პედიგანი, ქ-ნი უ. თომასენი, ქ-ნი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა, ბ-ნი ტ. პანტირო, ბ-ნი ე. ლევიცი და ბ-ნი კ. ტრაჟა (24-ე წესის მე-3 პუნქტი და მე-100 წესის მე-4 პუნქტი).

შემდეგ ბ-ნი კოსტა გადააყენეს დიდი პალატის წევრობიდან (წესი 28). შესაბამისად, მთავრობამ *ad hoc* მოსამართლედ აირჩია ბ-ნი ა. ბაკე (კონვენციის 27-ე მუხლი და 29-ე წესის პირველი პუნქტი). მოგვიანებით ბ-ნმა მაკარუიკმა და ქ-ნმა ბოტუჩაროვამ შეცვალეს ქ-ნი პალმი და ბ-ნი გაუკურ იორუნდსონი, რომელთაც აღარ შეეძლოთ მონაწილეობა საქმის შემდგომ განხილვაში (24-ე წესის მე-5 (ბ) პუნქტი).

5. მე-100 წესის პირველ პუნქტთან და 24-ე წესის მე-6 პუნქტთან ერთობლიობაში მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებების შესაბამისად, დიდი პალატის კოლეგიამ 1999 წლის 14 იანვარს გადაწყვიტა, რომ გონზალესისა და სხვების საქმე განეხილა იმავე დიდ პალატას, რომელიც შეიკრიბა ზელინსკისა და პრადალის საქმის განსახილველად. მოგვიანებით მთავრობის განაცხადის საფუძველზე დიდმა პალატამ გადაწყვიტა ორი საქმის შეერთება (43-ე წესის პირველი პუნქტი).

6. რეგისტრატორის მეშვეობით ბ-ნმა ვილდჰაბერმა გამართა კონსულტაციები წერილობითი პროცედურის ორგანიზების შესახებ მთავრობის წარმომადგენელთან, განმცხადებლების ადვოკატთან და კომისიის დელეგატთან. ამის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად რეგისტრატორმა მიიღო განმცხადებელთა მემორანდუმი 1999 წლის 23 მარტს და მთავრობის მემორანდუმი 1999 წლის 25 მარტს.

7. სასამართლოს მიწვევით (99-ე წესი) კომისიამ წარგზავნა თავისი ერთ-ერთი წევრი ბ-ნი ნოვიკი დიდი პალატის წინაშე პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

8. თავმჯდომარის გადაწყვეტილების შესაბამისად, საჯარო სხდომა ჩატარდა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1999 წლის 26 მაისს.

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:

(ა) მთავრობის სახელით

ბ-ნი აბრაჰამი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი საკითხების დირექტორი, წარმომადგენელი,

ბ-ნი ბუსაროკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი საკითხების დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა სექცია,
ქ-ნი ე. დუკოსი, იუსტიციის სამინისტროს ევროპული და საერთაშორისო საქმეების დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა ოფისი, მრჩეველები.

(ბ) განმცხადებელთა სახელით

ქ-ნი პ. მას-დესენი, ევროპის საბჭოსა და საკასაციო სასამართლოს ადვოკატურა, ადვოკატი;

(გ) კომისიის სახელით

ბ-ნი მ. ნოვიკი, დელეგატი
ქ-ნი მ.ტ. შეფერი, კომისიის მდივანი.

სასამართლომ მოუსმინა ბ-ნი ნოვიკის, ქ-ნი მას-დესენის და ბ-ნი აბრაჰამის გამოსვლებს.

შაქტავი

9. ბ-ნი ზელინსკი, ბ-ნი პრადალი, ქ-ნი გონზალესი, ქ-ნი მერი, ქ-ნი დელაკე-რიე, ბ-ნი შრეიბერი, ქ-ნი კერნი, ბ-ნი გონტიე, ქ-ნი შრეიბერი და ბ-ნი კოსუტა არიან საფრანგეთის მოქალაქენი, რომლებიც დაიბადნენ შესაბამისად 1954, 1955, 1956, 1953, 1955, 1948, 1949, 1957, 1950, 1954 და 1957 წელს. ისინი ცხოვრობენ მერტიე-ე-მოზელის (ბ-ნი ზელინსკი), მოზელის (ბ-ნი პრადალი), ბას-რინ (ქ-ნი მარი) და ოტ-რინის (ყველა დანარჩენი განმცხადებელი) დეპარტამენტებში და მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის სამსახურში ელზას-მოზელში.

I. საქმის ბარემოიჯები

A. საქმის წინმსწრები მოვლენები

1. შესავალი

10. 1953 წლის 28 მარტს სტრასბურგის რეგიონის სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პროფკავშირის რეგიონულ წარმომადგენლებთან. ხელშეკრულების შესაბამისად შემოღებული იქნა „სპეციალური დანამატი სირთულისათვის“ (*indemnité de difficultés particulières*—“IDP”) (შემდგომში „სპეციალური დანამატი“) სოციალური უზრუნველყოფის სისტემის თანამშრომელთათვის, ვინაიდან ოტ-რინის, ბა-რინისა და მოზელის დეპარტამენტების ადგილობრივი სამართლის გამოყენება განსაკუთრებით რთული სამუშაო იყო. შეთანხმების თანახმად, დანამატი იქნებოდა

12-ჯერ მეტი, ვიდრე სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთათვის ეროვნულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ხელფასის „ერთეული“.

დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა შეთანხმება დაამტკიცა 1953 წლის 2 ივნისს. შეთანხმების განხორციელება მოლოდინისამებრ მოხდა.

11. 1963 წლის 10 ივნისისა და 1974 წლის 17 აპრილის ცვლილებების შესაბამისად, რომლებიც შეეხებოდა ხელფასის გამოთვლის მეთოდსა და სამუშაოების კლასიფიკაციას და გავლენა მოახდინა ერთეულის ღირებულებაზე, სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების საბჭოებმა შეამცირეს სპეციალური დანამატი, რომელიც 1963 წელს წარმოადგენდა 6 ერთეულს, ხოლო 1974 წელს — 3,95 ერთეულს 1953 წლის შეთანხმებით გათვალისწინებული 12 ერთეულის ნაცვლად. ამასთან, სპეციალურ დანამატს არ ითვალისწინებდნენ საშობაო პრემიის გამოთვლის მიზნით, რომლის გადახდაც ხდებოდა ეროვნული კოლექტიური შეთანხმების შესაბამისად.

12. 1998 წელს სოციალური უზრუნველყოფის რამდენიმე სამსახურმა გადაწყვიტა, გაეთვალისწინებინა სპეციალური დანამატი წლიური პრემიის გამოანგარიშებისას და ამ გადაწყვეტილებას მისცა 5 წლის უკუქცევითი ძალა. ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების რეგიონულმა დეპარტამენტმა, რომელიც ზედამხედველობდა ამ საჯარო ორგანოებს, გააუქმა გადაწყვეტილება თანამშრომელთათვის აღნიშნული თანხების გადარიცხვის შესახებ.

2. სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომლების — განმცხადებლების გარდა — მიერ შეტანილი სარჩელები

(ა) ფორბახის, სარებურგისა და სარეგემინეს სამენარმეო ტრიბუნალების გადაწყვეტილებები

13. სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების 136 თანამშრომელმა შეიტანა სარჩელი ხუთ სამენარმეო ტრიბუნალში. ეს თანამშრომლები მოითხოვდნენ 1953 წლის შეთანხმების ზუსტად შესრულებას და სათანადო ხელფასის გადახდას 1983 წლის 1 დეკემბრიდან მოყოლებული (კანონის თანახმად, გადახდასთან დაკავშირებით სარჩელების შეტანის ხანდაზმულობის ვადაა 5 წელი).

14. 1989 წლის 22 დეკემბრის და 1990 წლის 26 აპრილის (სარებურგის სამენარმეო ტრიბუნალი, სხვადასხვა საქმიანობის დანაყოფი), 1989 წლის 20 დეკემბრის (სარებურგის სამენარმეო ტრიბუნალი, აღმასრულებელი თანამშრომლების დანაყოფი) და 1990 წლის 10 აპრილისა და 12 ივნისის (ფორბახის სამენარმეო ტრიბუნალი, აღმასრულებელი თანამშრომლების დანაყოფი) გადაწყვეტილებების თანახმად, თანამშრომელთა სარჩელები ერთეულზე 12-ჯერ დიდი სპეციალური დანამატის უკუქცევითი ძალით გადახდის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

15. 1990 წლის 23 აპრილისა და 14 მაისის გადაწყვეტილებებში (ფორბახის სამენარმეო ტრიბუნალი, სხვადასხვა საქმიანობის დანაყოფი) და 1990 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებაში (სარეგემინეს სამენარმეო ტრიბუნალი, აღმასრულებელი თანამშრომლების დანაყოფი) სარეგემინეს ჯანმრთელობის დაზღვევის სამსახურს (*Caisse primaire d'assurance maladie* — “CPAM”) დაევალა,

გადაეხადა თანამშრომელთათვის (officials) სპეციალური დანამატის 12-ჯერ გაზრდილი თანხა უკუქცევითი ძალით.

(ბ) მეცის სააპელაციო სასამართლოს 1991 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება

16. 1991 წლის 26 თებერვალს მეცის სააპელაციო სასამართლომ 25 საქმე გადაწყვიტა 136 თანამშრომლის სასარგებლოდ. სახელმწიფოს წარმომადგენელმა — რეგიონის პრეფექტმა და ჯანმრთელობისა და სოციალური საქმეების რეგიონულმა დირექტორმა — გაასაჩივრა გადაწყვეტილება სამართლებრივ საკითხებზე დაყრდნობით.

(ც) მინისტრის 1991 წლის 30 ივლისის და 1992 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებები მინისტრის მიერ დამტკიცებასთან დაკავშირებით

17. 1991 წლის 30 ივლისის სოციალურ საქმეთა მინისტრმა გააუქმა 1953 წლის 2 ივნისის მინისტრის თანხმობა. ეს გადაწყვეტილება მინისტრმა გააუქმა 1992 წლის 8 ივლისს.

(დ) საკასაციო სასამართლოს 1992 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება

18. 1992 წლის 22 აპრილის სამი გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა მეცის სააპელაციო სასამართლოს 1991 წლის 26 თებერვლის 25 გადაწყვეტილება 136 თანამშრომლის სარჩელთან დაკავშირებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ 1963 წელს განხორციელებული კლასიფიკაციის ცვლილების შედეგად აღარ არსებობდა 1953 წლის შეთანხმებაში გათვალისწინებული ინდექსის გამოყენების შესაძლებლობა. სასამართლომ საქმე დააბრუნა ქვედა ინსტანციაში, რათა ამ უკანასკნელს შეესწავლა, დამკვიდრდა თუ არა პრაქტიკა და თუ არ დამკვიდრებულა, განესაზღვრა, თუ რას მიაღწევდა ინდექსის ღირებულება, თუ იგი არ გაუქმდებოდა.

19. საკასაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საქმე ხელახლა უნდა მოესმინა ბეზანსონის სააპელაციო სასამართლოს.

(ე) კოლმარის სააპელაციო სასამართლოს 1993 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებები

20. კოლმარის სააპელაციო სასამართლომ, რომელშიც ასევე გაასაჩივრეს სპეციალურ დანამატთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, 1993 წლის 23 სექტემბერს გამოიტანა გადაწყვეტილებები და, დაეყრდნო რა საკასაციო სასამართლოს 1992 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებებს, განაცხადა, რომ ინდექსი აღარ არსებობდა და 1974 წლის 17 აპრილის ცვლილებების შემდეგ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად სპეციალური დანამატის გადახდა ხდებოდა 3,95-ჯერადი ერთეულის ოდენობით.

(წ) 1993 წლის 13 ოქტომბერს ბეზანსონის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საქმის ხელახალი მოსმენის შემდეგ

21. 1993 წლის 13 ოქტომბერს ბეზანსონის სააპელაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საქმის ხელახალი მოსმენის შემდეგ დაადგინა, რომ 1953 წლის 28 მარტის შეთანხმება კანონიერი იყო, რომ მას ძალა არ დაუკარგავს და სხვა პრაქტიკა არ დამკვიდრებულა. შესაბამისად, მან განაცხადა, რომ სპეციალური დანამატი გამოანგარიშებული უნდა იქნეს მინიმალური ხელფასის 6,1055%-ის საფუძველზე, ვინაიდან ეს პროცენტი შეესაბამებოდა სპეციალურ დანამატს, რომელიც 1953 წელს გამოინგარიშებოდა თორმეტჯერ ერთეულის ფორმულით, კერძოდ, ბეზანსონის სააპელაციო სასამართლომ განაცხადა:

„ვინაიდან 1953 წლის შეთანხმება არ გაუქმებულა და სპეციალური დანამატის გადახდა კვლავ უნდა გაგრძელდეს, მეცის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ნაწილობრივ გაუქმების შემდეგ ერთადერთი შესასწავლი საკითხია პრემიის გამოთვლის მეთოდი 1963 წელს; ეს შესაძლებელია პრაქტიკის საფუძველზე, ხოლო ასეთი მეთოდის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში ინდექსის იმ ღირებულების განსაზღვრით, რასაც იგი მიაღწევდა კონკრეტული თარიღებისთვის.

... 1963 წელს სპეციალური დანამატის გამოანგარიშების მეთოდის ცალმხრივ შეცვლას არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა ისეთი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რომელიც, თავის მხრივ, კვლავ შეიცვლებოდა 1974 წელს არსებული ნების დარღვევით ...

თუ ინდექსი გაქრება, უნდა შეიქმნას დამაკავშირებელი ინდექსი ხელშემკრელი მხარეების ნების შესაბამისად.

1963 და 1974 წლებში მიიჩნევა, რომ სპეციალური დანამატი ფიქსირებული იყო და იგი გაიყო ერთეულის ახალ ღირებულებაზე, რათა მიეღოთ ერთეულების რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო სპეციალური დანამატის გამოსათვლელად. ასეთი მეთოდი არ ითვალისწინებს ხელფასების საერთო ზრდას და მისი შედეგი იყო სპეციალური დანამატის პროგრესული შემცირება, რასაც ადასტურებს სპეციალური დანამატის პროგრესის ძირითად ხელფასთან შედარების თაობაზე ჩატარებული გამოკვლევა და რაც მოსარჩელებმა მტკიცებულადაც მოიყვანეს.

მხარეთა განზრახვის შესასრულებლად დანამატი სამ დეპარტამენტში უნდა იყოს ერთნაირი, მიუხედავად თანამშრომელთა კატეგორიისა, და დაქირავებულთა მიერ მოპოვებული შეღავათები უნდა შენარჩუნდეს.

სპეციალური დანამატის შედარება მინიმალურ ხელფასთან ყველაფერს ნათელს ჰყენს... მაგალითად, 1990 წლის იანვარში სპეციალური დანამა-

ტი გამოიანგარიშებოდა 3,96 ერთეულის საფუძველზე, ერთეულის ღირებულება იყო 38,652 ფრანკი, სპეციალური დანამატის ღირებულება კი 152,67 ფრანკი, ხოლო თუ მისი გამოთვლა მოხდებოდა კანონით გათვალისწინებული ხელფასის 6,1055%-ის საფუძველზე, რაც იმ დროს ნარმოადგენდა 5,596 ფრანკს, სპეციალური დანამატი იქნებოდა 341,66 ფრანკი.
...

22. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ უნდა ჩატარებულიყო ხელახალი მოსმენები, რაც საშუალებას მისცემდა თითოეულ მოსარჩელეს, დაენგარიშებინა მისთვის გადასახდელი თანხა.

(g) 1994 წლის 18 იანვრის კანონი № 94-43

23. საზოგადოების ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში 1993 წლის 26 ოქტომბერს შეიტანეს; საფრანგეთის მთავრობა გახდა 85-ე მუხლში ცვლილებების საკითხის განხილვის ინიციატორი. ძირითადი დებატები ამის თაობაზე გაიმართა 1993 წლის 30 ნოემბერს ეროვნულ ასამბლეაში და 1993 წლის 13 დეკემბერს სენატში. კანონპროექტის 85-ე მუხლი მიღებული იქნა.

24. 85-ე მუხლის მიხედვით, საწინააღმდეგოს შესახებ სასამართლოს ნებისმიერი საბოლოო არსებითი გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, 1953 წლის 28 მარტის შეთანხმებით ბარინის, ოტ-რინისა და მოზელის დეპარტამენტების სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების თანამშრომელთათვის შემოღებული სპეციალური დანამატი 1983 წლის 1 დეკემბრიდან იქნებოდა 3,95-ჯერ ერთეულის ღირებულება, როგორც ეს განისაზღვრა გადახდის ხელშეკრულებით, და გადაიხდებოდა წელიწადში 12-ჯერ. ეს დებულება გამოიყენება მოუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო ინდივიდუალური ან კოლექტიური ხელშეკრულებისა, რომელიც ძალაში იყო 85-ე მუხლის ამოქმედების დროისათვის.

25. პარლამენტის წევრების ნაწილმა სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო საბჭოში, ვინაიდან მიიჩნია, რომ კანონის მიღებით დაირღვა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რადგან სასამართლოს ამ საკითხზე გადაწყვეტილება გამოჰქონდა; გარდა ამისა, აღნიშნული მუხლი არეგულირებდა შრომის სამართალურთიერთობებს, რაც არანაირად არ იყო დაკავშირებული თავად კანონის მიზანთან.

26. 1994 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო საბჭომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული დებულებები არ იყო არაკონსტიტუციური, ვინაიდან:

„დაანესა რა „სირთულეებისთვის სპეციალური დანამატის“ ოდენობა 3,95-ჯერ ერთეულის ღირებულებად, რაც განსაზღვრული იყო 1957 წლის 8 თებერვლის გადახდის ხელშეკრულებებით და 1983 წლის 1 დეკემბრიდან უკუქცევითი მოქმედებით, კანონმდებელს მიზნად ჰქონდა, შეეჩერებინა შემდგომი წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებები სასამართლოს მიერ და, ამგვარად, თავიდან აეცილებინა ახალი დავები, რომელთა არსებობაც არასასურველ გავლენას მოახდენდა სოციალური უზრუნველყოფის სქემების სტაბილურობაზე.

კანონმდებელმა აშკარად დაიცვა იმ მოქალაქეთა ინტერესები, რომელთა სასარგებლოდაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არსებითად შევიდა ძალაში. არ არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ კანონმდებელს სურდა სისხლის სამართლის დებულებებისათვის უკუქცევითი ძალის მიცემა. ზემოხსენებული პრინციპების დაცვის მიზნით კანონმდებელი უფლებამოსილი იყო, გამოეყენებინა თავისი ძალაუფლება და დებულებებისათვის უკუქცევითი ძალა მიეცა, ვინაიდან მხოლოდ მას გააჩნდა ეს ძალაუფლება და აღნიშნული ხელს შეუწყობდა სასამართლოების მიერ არათანმიმდევრული გადაწყვეტილებების მიღებით შექმნილი სიტუაციის გადაჭრას. შესაბამისად, გასაჩივრებული დებულებები არ ეწინააღმდეგება და არც უგულებელყოფს კონსტიტუციურ პრინციპებს...”

27. შესაბამისად, აქტის (№94-43 კანონის) 85-ე მუხლი კონსტიტუციურად ჩაითვალა. პრომულგირება მოხდა 1994 წლის 18 იანვარს.

(h) საკასაციო სასამართლოს 1995 წლის 15 თებერვლის და 2 მარტის გადაწყვეტილებები

28. 1995 წლის 15 თებერვალს საკასაციო სასამართლომ სარეგემინეს CPAM-ის, ლორანის რეგიონის პრეფექტის და ელზასის სოციალური და ჯანმრთელობის საქმეების რეგიონული დირექტორის მიერ ბეზანსონის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ საკასაციო საჩივრის განხილვისას ნაწილობრივ გააუქმა გადაწყვეტილება და არ დაუდგენია, რომ საქმე ხელახლა უნდა მოესმინა რომელიმე სააპელაციო სასამართლოს:

„... 1994 წლის 18 იანვრის აქტის 85-ე მუხლი ანესებს სპეციალური დანამატის ოდენობას გადახდის თითოეული პერიოდისათვის 3,95-ჯერ ერთეულის ღირებულებით, რაც გამომდინარეობს გადახდის შესახებ ხელშეკრულებიდან, რომელიც, თავის მხრივ, დადებულია 1957 წლის 8 თებერვლის კოლექტიური შეთანხმების შესაბამისად და შეეხება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების თანამშრომლებს. ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება ანესებს აღნიშნული დებულებისაგან განსხვავებულ გამოთვლის მეთოდებს, იგი უნდა გაუქმდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 627-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საქმე უნდა გადაწყდეს შესაბამისი სამართლის გამოყენების საფუძველზე.

ამ მიზეზების გამო . . . :

აუქმებს ბეზანსონის სააპელაციო სასამართლოს მიერ 1993 წლის 13 ოქტომბერს გამოტანილ გადაწყვეტილებას, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სპეციალური დანამატის გამოანგარიშება უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული მინიმალური ხელფასის 6,1055%-ით;

მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი საქმის ხელახალი მოსმენა;

მიიჩნევს, რომ სპეციალური დანამატის ღირებულება ნებისმიერი გადახდის მომენტისათვის უნდა განისაზღვროს 3,95-ჯერ ერთეულის ღირებულებით, როგორც ეს განსაზღვრულია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების თანამშრომელთა 1957 წლის 8 თებერვლის კოლექტიური დასაქმების ხელშეკრულებაში;
...”

29. 1995 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლომ ანალოგიურად უარი განაცხადა კოლმარის სააპელაციო სასამართლოს 1993 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებების შესახებ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმავე საფუძველზე.

B. ბ-ნ ზელინსკისთან და ბ-ნ პრადალთან დაკავშირებული პროცესი

1. მეცის სამენარმეო ტრიბუნალის 1991 წლის 4 დეკემბრის და 1992 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებები

30. 1991 წლის 15 და 17 აპრილს ბ-ნმა ზელინსკიმ 47 პირთან ერთად, რომელთაც წარმოადგენდა საფრანგეთის დემოკრატიული შრომის კონფედერაციის ოფიცერი (*Confédération française démocratique du travail – “CFDT”*), მიმართა ტრიბუნალს სპეციალური დანამატის (რომელიც თითოეულ მოსარჩელეზე 31 131,11 ფრანკად იყო შეფასებული) დავალიანების გადახდის და მომავალში სპეციალური დანამატის 1953 წლის ხელშეკრულების საფუძველზე გამოთვლის თხოვნით.

31. მეცის სამენარმეო ტრიბუნალის წინაშე რეგიონის პრეფექტმა და ჯანმრთელობისა და სოციალური საქმეების დირექტორმა ითხოვეს პროცესის ჩატარება მას შემდეგ, რაც საკასაციო სასამართლო გამოიტანდა გადაწყვეტილებას იდენტური საქმეების გადაწყვეტილებებზე საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, რომლებიც გამოიტანა მეცის სააპელაციო სასამართლომ 1991 წლის 26 თებერვალს.

32. 1991 წლის 28 ივნისსა და 12 ივლისს მეორე განმცხადებელმა და 48 სხვა თანამშრომელმა, რომელთაც წარმოადგენდა CFDT-ის ოფიცერი, შეიტანეს ანალოგიური სარჩელი მეცის სამენარმეო ტრიბუნალში.

33. 1991 წლის 4 დეკემბრის (ბ-ნი ზელინსკი) და 21 ოქტომბრის (ბ-ნი პრადალი) გადაწყვეტილებებით მეცის სამენარმეო ტრიბუნალმა დააკმაყოფილა მოსარჩელების მოთხოვნა გადახდაზე და დაადგინა, რომ სპეციალური დანამატი უნდა გამოითვლებოდეს თორმეტ თვიურ ერთეულად 1953 წლის ხელშეკრულების შესაბამისად. მან განაცხადა, *inter alia*:

„შეთანხმება ითვალისწინებს, რომ პრემია უდრის თორმეტჯერ იმ ერთეულის ღირებულებას, რომელიც განსაზღვრულია სოციალური უზრუნველყოფის თანამშრომელთა შესახებ ეროვნული შეთანხმებით.

ხელფასის გამოთვლის მეთოდისა და სამსახურების კლასიფიკაციის შე-

სახე 1963 წლის 10 ივნისის და 1974 წლის 17 აპრილის ცვლილებების და ამ ცვლილებების შედეგად ერთეულის ღირებულების შეცვლის გათვალისწინებით 1953 წელს ხელშეკრულების ხელმოწერმა საბჭოებმა გადანაცვლებს, შეენარჩუნებინათ სპეციალური დანამატის მუდმივი ღირებულება კორექტირების საშუალებით.

დადგენილია, რომ აღნიშნული კორექტირების მიხედვით სპეციალური დანამატი შემცირდა შესაბამისად 6 და შემდეგ 3,95 ერთეულამდე.

1953 წლის შეთანხმების დებულებები ზუსტად არის ფორმულირებული და 12 ერთეულის ოდენობის საფუძვლის ცალმხრივი შეცვლა არ შეიძლებოდა.

სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებს უნდა გაეუქმებინათ შეთანხმება, თუ მიაჩნდათ, რომ 1963 და 1974 წლების კორექტირება გადამეტებული ტვირთი იყო.

ასეთი ცვლილება არ უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ მხარეები წინასწარ არ დათანხმდნენ ამაზე და ერთი ხელშემკერელი მხარის დუმილი არ უნდა ჩაითვალოს თანხმობის ნიშნად (მუხლი L. 134-4, შრომის კოდექსი) ... (1991 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ამონარიდი).

34. რეგიონის პრეფექტის სახელით მოქმედმა ჯანმრთელობისა და სოციალური საქმეების დირექტორმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილებები.

2. მეცის სააპელაციო სასამართლოს 1993 წლის 19 და 20 აპრილის გადაწყვეტილებები

35. 1993 წლის 19 აპრილის (ბ-ნი პრადალი) და 20 აპრილის (ბ-ნი ზელინსკი) გადაწყვეტილებებში მეცის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა სამენარმო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები და მიიჩნია, რომ პრემია შეიცვალა ცალმხრივად, რითაც დაირღვა კოლექტიური შეთანხმებების შესახებ 1950 წლის კანონი, კერძოდ, შემდეგი მიზეზების გამო:

„პრემიის გამოთვლა უნდა ეფუძნებოდეს ერთეულის ღირებულებას, როგორც ის განსაზღვრულია 1963 წლის 10 ივნისის და 1974 წლის 17 აპრილის და სხვა მოქმედი შეთანხმებებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის შესაბამისად, კანონიერად დადებული ხელშეკრულება სავალდებულოა მათთვის, ვინც ისინი დადო. ისინი შესაძლებელია გაუქმდეს საერთო თანხმობით ან კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებზე. ანალოგიურად, შრომის კოდექსის 135-1 მუხლით კოლექტიური დასაქმების ხელშეკრულება სავალდებულოა ყველა მათთვის, ვინც მას ხელი მოაწერა.

...

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ 1953 წლის 28 მარტის ხელშეკრულება

არ ყოფილა დენონსირებული რომელიმე მხარის მიერ. შესაბამისად, უნდა გაგრძელდეს მისი შესრულება. მამრავლის შემცირების მიზნით განხორციელებული ორი ცვლილება ენიხალმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლს და კოლექტიური დასაქმების შესახებ ხელშეკრულებებს.

შესაბამისად, დანამატის გადახდა უნდა ხდებოდეს 12-ჯერადი ერთეულის საფუძველზე, როგორც ის დადგენილია ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით.

...“

3. საკასაციო სასამართლოს 1995 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება

36. 1995 წლის 2 მარტს საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა მეცის სააპელაციო სასამართლოს 1993 წლის 19 და 20 აპრილის გადაწყვეტილებების (ბ-ნ პრადალთან და ბ-ნ ზელინსკისთან მიმართებით) შესახებ საკასაციო საჩივრის საფუძველზე, რომელიც შეიტანეს რეგიონის პრეფექტმა და ჯანმრთელობისა და სოციალური საქმეების დირექტორმა, ასევე 1993 წლის 21 აპრილისა და 6 სექტემბრის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა მთლიანობაში 150 თანამშრომელს.

„საზოგადოების ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ 1994 წლის 18 იანვრის აქტის (კანონი №94-34) 85-ე მუხლის გამოყენების შესახებ:

...“

1994 წლის 18 იანვრის აქტის (კანონი №94-34) 85-ე მუხლის (რომელიც გამოიყენება შეჩერებულ საქმეებთან, მათ შორის საკასაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებთან მიმართებით) მიზანია, მხარეთა შორის უთანხმოებისას გამოასწოროს ინდექსის არარსებობა და ამგვარად შესაძლებელი გახადოს პრემიის ოდენობის გამოთვლა. ეს საკანონმდებლო დებულება, რომლის გამოყენების შესახებ მხარეებს შეეძლოთ ნარმოედგინათ მტკიცებულება, არ ნიშნავს სახელმწიფოს ჩარევას სახელმწიფოსა და ინდივიდებს შორის პროცესის მსვლელობისას. იგი არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ სასამართლოთა საბოლოო გადაწყვეტილებებს და საკონსტიტუციო საბჭომ იგი კონსტიტუციურად გამოაცხადა. აქედან გამომდინარეობს, რომ იგი არ ენიხალმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს ან მე-13 მუხლს.

სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ნამოჭრილი საფუძვლის შესახებ მხარეებს შეატყობინეს:

საზოგადოების ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ 1994 წლის 18 იანვრის აქტის (კანონი № 94-43) 85-ე მუხლის გათვალისწინებით,

სასამართლომ მიიჩნია, რომ ე.წ. სპეციალური დანამატი სირთულისათვის უნდა გამოითვლებოდეს თორმეტჯერ ერთეულის საფუძველზე, როგორც ეს გათვალისწინებულია 1953 წლის შეთანხმებით, და ერთეულის ღირებულება უნდა იყოს ის, რაც მიღებულია მოქმედი კოლექტიური შეთანხმების გადახდების დასათვლელად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში არ იყო დებულება, რომლის თანახმადაც არჩეული ინდექსის მოქმედება დამოკიდებული იყო ხელშეკრულების დადებისას არსებული კლასიფიკაციის მოქმედებაზე და სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს ხელშეკრულებისათვის, რომელიც საკმარისად ნათელი და ზუსტი იყო, ახალი დებულებების დამატებას და თავად ხელშეკრულების ბუნების შეცვლას. მან ასევე აღნიშნა, რომ შეთანხმება არ გამოორიცხავდა ერთეულის ღირებულების ცვლილებათა გათვალისწინებას რანგირების რეორგანიზაციის შედეგად და რომ შესაბამისად ერთეულის ღირებულება, რომელიც დამტკიცდა 1963 წლის 10 ივნისისა და 1974 წლის 17 აპრილის ხელშეკრულებებით, უნდა გამოიყენებოდეს სპეციალური დანამატის ღირებულების გამოსათვლელად. მან ასევე აღნიშნა, რომ სპეციალური დანამატის გამომანგარიშების ახალი მეთოდი, რომელიც მიიღეს 1963 და 1974 წლებში განხორციელებული კლასიფიკაციის ცვლილებების შემდეგ, არ იყო შეთანხმებული 1953 წლის 28 მარტის შეთანხმების ყველა ხელმომწერთან და ვინაიდან არსებული ინდექსი კვლავ გამოიყენებოდა, არ იყო აუცილებელი იმის დადგენა, არსებობდა თუ არა სხვა პრაქტიკა. და ბოლოს, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1953 წლის 28 მარტის შეთანხმება კოლექტიური ხელშეკრულება იყო, რომლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მისი გადასინჯვის ან გაუქმების შემთხვევაში, რაც არ მომხდარა.

1994 წლის 18 იანვრის აქტის (კანონი №94-43) 58-ე პუნქტი აწესებს ე.წ. სირთულისათვის სპეციალური დანამატის ოდენობას ყოველი გადახდის პერიოდისათვის 3,95-ჯერ ერთეულის ღირებულებით, როგორც ეს განსაზღვრულია 1957 წლის 8 თებერვლის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების შესახებ ეროვნული კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე დადებული გადახდის ხელშეკრულებების შესაბამისად. ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილებები აწესებს ზემოაღნიშნული აქტისგან განსხვავებულ გამოთვლის მეთოდს, ეს გადაწყვეტილებები უნდა გაუქმდეს.

ახალი სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საქმე უნდა გადაწყდეს შესაბამისი კანონის წესების საფუძველზე.

ამ მიზეზთა გამო:

საკასაციო სასამართლო აუქმებს მეცის სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ საქმეებზე 1993 წლის 19, 20 და 21 აპრილს და 6 სექტემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებებს, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც სააპელაციო სასამართლო აცხადებდა, რომ ე.წ. სირთულისათვის სპეციალური დანამატი უნდა გამოითვლებოდეს 12-ჯერ ერთეულის საფუძველზე

და ერთეულის ღირებულება შეესაბამება ამჟამად მოქმედი კოლექტიური შეთანხმებებით განსაზღვრულს;

ადგენს, რომ არ არის აუცილებელი საქმის ხელახლა მოსმენა;

ადგენს, რომ სპეციალური დანამატის ღირებულება უნდა განისაზღვროს ყოველი გადახდის პერიოდისათვის 3,95-ჯერ ერთეულის ღირებულებით, როგორც ის განისაზღვრება იმ პერიოდისათვის მოქმედი სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების შესახებ 1957 წლის 8 თებერვლის კოლექტიური დასაქმების ხელშეკრულების შესაბამისად დადებული გადახდის ხელშეკრულებებით;

...”

C. ქ-ნ გონზალესთან და სხვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები

1. კოლმარის სამენარმო ტრიბუნალის 1991 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებები

37. განმცხადებლებმა 1990 წლის 17 აგვისტოს (ქ-ნმა გონზალესმა, ქ-ნმა მარიმ, ქ-ნმა დელაკერიემ, ბ-ნმა შრეიბერმა, ქ-ნმა კერნმა, ბ-ნმა გონტიემ, ქ-ნმა შრეიბერმა და ბ-ნმა კოსუტამ) და 1990 წლის 28 აგვისტოს (ქ-ნმა მემეტომ) მიმართეს სამენარმო ტრიბუნალს 1953 წლის შეთანხმების საფუძველზე და ითხოვნენ სპეციალური დანამატის დავალიანების გადახდას და დანამატის გამოთვლას 12-ჯერ ერთეულის საფუძველზე მომავალშიც. 1990 წლის 18 დეკემბერს გამართულ სამომრიგებლო სხდომაზე მორიგება ვერ მოხერხდა და 1991 წლის 9 აპრილს საქმე განსახილველად გადაეცა შესაბამის კოლეგიას.

38. 1991 წლის 2 ივლისის ცხრა გადაწყვეტილებაში კოლმარის სამენარმო ტრიბუნალმა დააკმაყოფილა მოსარჩევეების მოთხოვნა შემდეგ საფუძველზე:

„... 1953 წლის 28 მარტს ხელმოწერილი ხელშეკრულება ..., რომელმაც შემოიღო 12-ჯერ ერთეულის ოდენობის სპეციალური დანამატი სირთულისთვის, კვლავ ძალაშია და შეიძინა კანონის ძალა.

1953 წლის 2 ივნისის სამინისტრომ დაამტკიცა ხელშეკრულება.

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების თანამშრომელთა კლასიფიკაციაში ცვლილებების შემდეგ 1963 და 1974 წლებში ეს დანამატი შეამცორა სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების საერთო ინტერესებისა და კოორდინაციის დეპარტამენტმა.

ეს დეპარტამენტი არის საზედამხედველო ორგანო და იგი არ წარმოადგენდა 1953 წლის ხელშეკრულების მხარეს; მან მიიღო ცალმხრივი გადაწყვეტილება, რომელიც დაამტკიცებინა სოციალური უზრუნველყოფის რეგიონულ ოფისსა და ადგილობრივი ოფისების საბჭოებს.

შესაბამისად, ეს ცვლილებები არ არის სავალდებულო [მოსარჩელეებისათვის], განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ 1989 წლის 11 თებერვლის წერილით სოლიდარობის, ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ ხელშეკრულება სრულად უნდა შესრულდეს.

გარდა ერთეულის ღირებულებაში განხორციელებული ცალმხრივი ცვლილებისა, ხელმომწერ მხარეებს არ შეუტანიათ ცვლილებები 1953 წლის ხელშეკრულებაში.

ეროვნული კოლექტიური ხელშეკრულების 63-ე მუხლი — მე-7 ცხრილი — ითვალისწინებს: ეს ხელშეკრულება არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოადგენდეს თანამშრომელთა მიერ ხელმოწერის დღისათვის მიღებული შეღავათების შემცირების საფუძველს.“

შესაბამისად, 1953 წლის ხელშეკრულება გამოიყენება მთლიანად.
...”

2. კოლმარის სააპელაციო სასამართლოს 1995 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება

39. კოლმარის CPAM-მა და ელზასის რეგიონის პრეფექტმა, რომელთაც წარმოადგენდა ელზასის რეგიონის ჯანმრთელობისა და სოციალური საქმეების დირექტორი, გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილებები 1991 წლის 10 სექტემბერს.

40. 1994 წლის 12 ივლისს კოლმარის სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის თარიღად ჩანიშნა 1994 წლის 18 ოქტომბერი. 1994 წლის 30 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც აპელანტებმა შეიტანეს განაცხადი 1994 წლის 18 იანვრის აქტის საფუძველზე, მოსარჩელეებმა შეიტანეს შეპასუხება.

41. 1995 წლის 18 მაისის ხუთ გადაწყვეტილებაში კოლმარის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მოსარჩელეთა წინააღმდეგ შემდეგ საფუძველზე:

„... [1994 წლის 18 იანვრის აქტის (კანონი №94-43) 85-ე მუხლის] შესაბამისად გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან სარჩელი ეხება პერიოდს 1983 წლის შემდეგ. ...“

3. საკასაციო სასამართლოს 1996 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება

42. 1995 წლის 13 და 17 ივლისს მოსარჩელეებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს საკასაციო სასამართლოში. მათ სრული საჩივარი შეიტანეს 1995 წლის 13 ოქტომბერს და დამატებითი საჩივარი 1996 წლის 10 თებერვალს. შეპასუხება შეიტანეს 1995 წლის 22 დეკემბერს. 1996 წლის 1 თებერვალს არჩეულმა მომხსენებელმა მოსამართლემ ანგარიში წარადგინა 1996 წლის 16 თებერვალს.

43. 1996 წლის 6 მაისის მოსმენის შემდეგ 1996 წლის 18 ივნისს საკასაციო სასამართლომ მოსარჩელეების საკასაციო საჩივარი მიუღებლად გამოაცხადა:

„... იმ საქმეებში, რომლებშიც არ არის აუცილებელი, რომ მხარეები წარმოადგენილი იყვნენ სახელმწიფო საბჭოს (Conseil d'Etat) წევრის მიერ და საკასაციო სასამართლოს კოლეგიის მიერ, სამართლებრივ საკითხებზე საჩივარი უნდა წარადგინოს და გადასცეს თვით მხარემ ან მისმა წარმომადგენელმა, ვისაც გააჩნია სათანადო უფლებამოსილება.

მხარეების მიერ შეტანილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს საჩივრის საფუძველზე მითითებას; ამგვარ ინფორმაციას შეიცავს განცხადება, რომელიც დაიგზავნა ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 983-ე მუხლის შესაბამისად სამთვიან პერიოდში, თუმცა იგი შეადგინა წარმომადგენელმა, რომელსაც არ გააჩნდა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

შესაბამისად, საკასაციო საჩივარი მიუღებელია.“

II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

A. სოცუზრუნველყოფის ორგანოების მარეგულირებელი ზოგადი პრინციპები

44. ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ოფისებს აკისრიათ საზოგადოების მომსახურების ფუნქცია (საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილება № 82-148 DC, 1982 წლის 14 დეკემბერი) და სწორედ ამიტომ აქვთ მინიჭებული სპეციალური სამთავრობო უფლებამოსილებები და ამავე მიზეზის გამო ზედამხედველობს მათ სოცუზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი მინისტრი. ისინი მართავენ სავალდებულო სოცუზრუნველყოფის სქემას, გააჩნიათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოცალკეებული საკუთარი ბიუჯეტი.

სოცუზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ მინისტრს აკისრია მათი ზედამხედველობის ფუნქცია, რაშიც მას ეხმარებიან სამინისტროს დეპარტამენტები, კერძოდ, ცენტრალური დეპარტამენტი და ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის ადგილობრივი რეგიონული დეპარტამენტები, ასევე სოციალური საქმეების ეროვნული ინსპექტორატი. მინისტრს ასევე წარმოადგენენ დეპარტამენტის ან რეგიონის პრეფექტები, როგორც პირები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლებას, და მთავრობის დელეგატების სახით პრემიერ-მინისტრის და ყოველი მინისტრის უშუალო წარმომადგენლები.

ზედამხედველობის ფუნქცია ვრცელდება უპირველეს ყოვლისა პირებზე, ითვალისწინებს გარკვეულ შემთხვევებში სოცუზრუნველყოფის ოფისების საბჭოს დაშლას ან საქმიანობის შერყევას, ასეთი საბჭოების ნებისმიერი წევრის მოხსნას ან მისი გადაყენების მოთხოვნას, მენეჯმენტის თანამშრომელთა დანიშვნაზე თანხმობის გამომხატვას ან უარის თქმას, ასევე შესაფერისი კანდიდატების სიის შედგენას. ზედამხედველობის ფუნქცია ასევე მოიცავს გადაწყვეტილებებსაც. სამინისტროს დეპარტამენტებს აქვთ უფლებამოსილება გააუქმონ ან შეაჩერონ გარკვეულ გარემოებებში ადგილობრივი სოცუზრუნველყოფის საბჭოების ან დირექტორების გადაწყვეტილებები და წინააღმდეგობა

გაუწიონ ეროვნული ორგანოების გადანყვეტილებებს. მათ უნდა დაამტკიცონ სოცუზრუნველყოფის ოფისების ზოგიერთი გადანყვეტილება, კერძოდ, საკონსტიტუციო და საპროცედურო წესები და კოლექტიური ხელშეკრულებები თანამშრომელთა საქმიანობის რეგლამენტირებისა და პენსიაზე გასვლის წესების შესახებ.

და ბოლოს, სოცუზრუნველყოფის ორგანოები არიან ეკონომიკურ საქმეთა და ფინანსთა მინისტრის ზედამხედველობის ქვეშ და მათი მონიტორინგი შეიძლება ჩაატარონ რეგიონულმა სახაზინო ოფიცრებმა და სააუდიტო სასამართლომ, ასევე საჯარო ფინანსების ინსპექტორატის აუდიტორებმა.

B. 1994 წლის 18 იანვრის №94-43 კანონი

45. კანონის შესაბამისი დებულების თანახმად:

მუხლი 85

„სანინალმდეგოს შესახებ სასამართლოს საბოლოო არსებითი გადანყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, 1953 წლის 28 მარტის შეთანხმებით ბა-რინის, ოტ-რინისა და მოზელის დეპარტამენტების სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების თანამშრომელთათვის შემოღებული სპეციალური დანამატი 1983 წლის 1 დეკემბრიდან დაწესდება 3,95-ჯერ ერთეულის ღირებულებით, როგორც ის განისაზღვრება გადახდის ხელშეკრულებებით, და გადაიხდება წელიწადში 12-ჯერ. ეს დებულება გამოიყენება მიუხედავად ნებისმიერი სანინალმდეგო ინდივიდუალური თუ კოლექტიური ხელშეკრულებისა, რომელიც 85-ე მუხლის ამოქმედებისათვის კელავ ძალაშია. ამავე პერიოდიდან წლიური საშობაო პრემია გაიზრდება იმგვარად, რომ აისახოს დეკემბრის თვის სპეციალური დანამატი.“

პროცედურა კომისიის წინაშე

46. ბ-ნმა ზელინსკიმ და ბ-ნმა პრადალმა კომისიას მიმართეს 1995 წლის 5 ივლისს; ქ-ნმა გონზალესმა — 1996 წლის 16 აგვისტოს; ქ-ნმა მარიმ, ქ-ნმა დელაკერიემ, ბ-ნმა შრეიბერმა, ქ-ნმა კერნმა, ბ-ნმა გონტიემ, ქ-ნმა შრეიბერმა, ქ-ნმა მემეტომ და ბ-ნმა კოსუტამ — 1996 წლის 9 სექტემბერს. განმცხადებლები ასაჩივრებდნენ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-13 მუხლის დარღვევას.

47. 1996 წლის 26 ნოემბერს კომისიამ ბ-ნი ზელინსკისა და ბ-ნი პრადალის განაცხადი (№24846/94) დასაშვებად მიიჩნია. 1997 წლის 22 ოქტომბერს კომისიამ ქ-ნი გონზალესისა და სხვების განაცხადებიც (№№34165/96-34173/96) დასაშვებად მიიჩნია პროცესის სამართლიანობასა და ხანგრძლივობასთან მიმართებით, ხოლო სხვა ნაწილებთან მიმართებით — დაუშვებლად. 1997 წლის 3 სექტემბრის და 1998 წლის 21 ოქტომბრის ანგარიშებში (კონვენციის ადრე მოქმედი 31-ე მუხლი) კომისიამ ერთხმად მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი პროცესის სამართლიანობასთან დაკავშირებით და არ იყო აუცილებელი საქმის განხილვა კონვენციის მე-13 მუხლთან

მიმართებით; ქ-ნი გონზალესის, ქ-ნი მარის, ქ-ნი დელაკერიეს, ბ-ნი შრეიბერის, ქ-ნი კერნის, ბ-ნი გონტიეს, ქ-ნი შრეიბერის, ქ-ნი მემეტოსა და ბ-ნი კოსუტას შემთხვევაში ასევე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი პროცესის ხანგრძლივობასთან მიმართებით. კომისიის მოსაზრების სრული ტექსტი ამ გადაწყვეტილებას თან აქვს დართული⁵.

სასამართლოსათვის წარდგენილი საბოლოო პოზიციები

48. სასამართლოსათვის წარდგენილ მემორანდუმში (ახსნა-განმარტებაში) მთავრობამ სთხოვა სასამართლოს, დაედგინა, რომ ახალი აქტის დებულებების გამოყენება განმცხადებელთა მიერ შეტანილ საქმეზე, რომელთა განხილვაც იმ მომენტისათვის დროებით შეჩერებული იყო, არ წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-13 მუხლის დარღვევას.

49. განმცხადებლები სთხოვდნენ სასამართლოს, დაედგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მათთვის კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად მიენიჭებინა სამართლიანი დაკმაყოფილება.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა პროცესის სამართლიანობასთან დაკავშირებით

50. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ 1994 წლის 18 იანვრის აქტის (კანონი №94-43) მიღებამ გამოიწვია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. ამ მუხლის თანახმად:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს... გონიერულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ.

51. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ მას შემდეგ, რაც საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა მსგავს საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს, ბეზანსონის სააპელაციო სასამართლო, ხელახლა იხილავდა რა ამ საქმეებს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, დაადგინა, რომ სპეციალური დანამატის გამოანგარიშება უნდა მომხდარიყო მინიმალური ხელფასის 6,1055%-ის საფუძველზე; ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დანიშნა დამატებითი მოსმენა, რათა განხორციელებულიყო სათანადო გაანგარიშება (იხ. პუნქტები 21-22). ამ გადაწყვეტილების გამო-

5. პრაქტიკული მიზეზების გამო ეს დანართები გამოქვეყნდება მხოლოდ გადაწყვეტილების საბოლოო დაბეჭდილ ვარიანტში (სასამართლოს გადაწყვეტილებების ოფიციალურ ჟურნალში), თუმცა კომისიის ანგარიშების მიღება შესაძლებელია რეგისტრატორისაგან.

ტანამდე ბ-ნი ზელინსკისა და ბ-ნი პრადლის სასარგებლოდ უკვე გამოტანილი იყო კიდევ უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილება, ვინაიდან მეცის სააპელაციო სასამართლომ სპეციალური დანამატის ღირებულებად დაადგინა 12-ჯერ ერთეული (იხ. პუნქტი 33). განმცხადებელთა სასარგებლო გადაწყვეტილებები გამოიტანეს განსახილველი აქტის მიღებამდე. განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ აქტის მიღებას შედეგად მოჰყვა, სულ მცირე, საქმის შედეგების შეცვლა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

განმცხადებლები არ დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ აქტის მიღების მიზანი იყო მომავალში წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების მიღების თავიდან აცილება. პირველ რიგში მათ აღნიშნეს, რომ ფრანგული სამართლის თანახმად, საქმის ფაქტობრივ მხარეს სწავლობს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლო, ხოლო საკასაციო სასამართლო იხილავს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს. შესაბამისად, სასამართლო სისტემის დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ერთი და იმავე საქმის განხილვისას სხვადასხვა სასამართლოს შეიძლება განსხვავებულად შეეფასებინა „ფაქტობრივი გარემოებები“. ასეთი განსხვავებები თავისთავად არ ამართლებს კანონმდებლის მხრიდან ჩარევას. მეორე, მოცემულ საქმეზე არ არსებობდა ასეთი რისკი. საქმე შეეხებოდა ექსკლუზიურ დანამატს სამი დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის; შესაბამისად, მხოლოდ ბეზანსონისა და მეცის სააპელაციო სასამართლოებს გააჩნდათ ჩვეულებრივი იურისდიქცია საქმეების განსახილველად. 1992 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების შემდეგ საქმე განსახილველად გადაეცა საკასაციო სასამართლოს, რომელმაც გააუქმა გადაწყვეტილებები და დაადგინა, რომ საქმე ხელახლა უნდა მოეხმინა ისევ მეორე სააპელაციო სასამართლოს, კერძოდ, ბეზანსონის სააპელაციო სასამართლოს (იხ. ზემოთ, პუნქტი 19).

რაც შეეხება საკანონმდებლო ჩარევის საჭიროებას სოცუზრუნველყოფის სქემების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ სამი დეპარტამენტის თანამშრომლებს და, შესაბამისად, თანხა მეტისმეტად მცირე იყო სოცუზრუნველყოფის მთლიან ბიუჯეტთან შედარებით.

განმცხადებელთა აზრით, ამ შემთხვევაში უსარგებლო იყო საქმეზე *The National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom* (1997 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1997-VII) მითითება. მოცემულ საქმეში განმცხადებლები არ ცდილობდნენ, ესარგებლათ შეცდომით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კანონმდებელთა ნებას, არამედ ისინი ცდილობდნენ, დაედგინათ დამჭირავებელთა და დაქირავებულთა ნება კოლექტიური ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, საიდანაც გამომდინარეობდა სადავო უფლებები. კანონის პირდაპირი მიზანი იყო, ხელი შეეშალა ხელშეკრულების მხარეთა ნების განხორციელებისათვის სახელმწიფოსთვის ხელსაყრელი მდგომარეობის შექმნით. ამასთან დაკავშირებით განმცხადებლებმა მიუთითეს საქმეზე *Papageorgiou v. Greece* (1997 წლის 22 ოქტომბერი, მოხსენებები 1997-VI). ერთადერთი და, როგორც აღმოჩნდა, რეალური საფრთხე სახელმწიფოსათვის იყო ის, რომ შეიძლებოდა სასამართლოს არ გაეზიარებინა მისი პოზიცია. უკუქცევითი ძალის მქონე საკანონმდებლო აქტის მიღების მთავარი მიზანი ის იყო, რომ სახელმწიფოს პრეტენზიას უპირატესი ძალა ჰქონოდა,

მიუხედავად იმისა, თუ რა დაადგინა სასამართლომ. საკასაციო სასამართლოც და კოლმარის სააპელაციო სასამართლოც იძულებულნი იყვნენ, გამოეყენებინათ აქტის დებულებები ქ-ნი გონზალესის, ქ-ნი მარის, ქ-ნი დელაკერიეს, ბ-ნი შრეიბერის, ქ-ნი კერნის, ბ-ნი გონტიეს, ქ-ნი შრეიბერის, ქ-ნი მემეტოსა და ბ-ნი კოსუტას საქმის განხილვისას.

52. საკანონმდებლო დებულებათა უკუქცევით ძალასთან დაკავშირებით მთავრობამ უპირველეს ყოვლისა აღნიშნა, რომ ორსაფეხურიანი გამოკვლევა უზრუნველყოფს სამართლებრივ თანამიმდევრულობას, რაც სასამართლოს პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია. პირველი გამოკვლევა ჩატარდა საკონსტიტუციო საბჭოს მიერ აღნიშნული დებულებების განხილვისას. საბჭომ არ განიხილა დებულებათა შესაბამისობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან; უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო საბჭოს პრეცედენტული სამართალი არაერთ საკითხთან მიმართებით სრულ შესაბამისობაშია ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან. საკონსტიტუციო საბჭო განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა იმ კანონების გამოყენების ძალიან ვიწროდ განმარტებას, რომელთა მიზანი იყო არსებული პრაქტიკის კანონიერ ჩარჩოში მოქცევა (*lois de validation*). საბჭომ განსაზღვრა, რომ სამი კრიტერიუმი უნდა დაკმაყოფილდეს, რათა ასეთი კანონი კონსტიტუციური იყოს. კანონმდებლობა შეიძლება იყოს მხოლოდ პრევენციული; საკანონმდებლო აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პრინციპს, რომ სისხლისსამართლებრივ ნორმას არა აქვს უკუქცევითი ძალა; კანონმდებელი უნდა ჩაერიოს მხოლოდ საერთო ინტერესის საფუძველზე. მეორე გამოკვლევა ჩაატარეს ჩვეულებრივმა სასამართლოებმა ახალი კანონმდებლობის შეჩერებულ საქმეებზე გამოყენებისას. არსებული პრაქტიკის დაკანონების მიზნით კანონები ძირითადად გამოიციმოდნენ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში; სწორედ ამიტომ არის საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა ესოდენ მწირი ამ საკითხთან მიმართებით. თუმცა სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება არსებობდა ნორმატიული აქტის უკუქცევითი ძალისა და განმარტების შესახებ. სასამართლოები შეზღუდულად იყენებდნენ ასეთ კანონებს მიმდინარე საქმეებზე, ვინაიდან ისინი [კანონები] არ შეიძლება პირველად გამოიყენოს საკასაციო სასამართლომ და არ შეიძლება მათ საფუძველზე გადაწყვეტილების გაუქმება, თუ ამ უკანასკნელის გასაჩივრება ჩვეულებრივი წესით შეუძლებელია.

53. მთავრობას მიაჩნდა, რომ განმცხადებლებს არ შეეძლოთ კანონმდებლის მიერ აღნიშნული დებულებების მიღების გასაჩივრება. კონვენციის 34-ე მუხლი კრძალავს *actio popularis* განცხადების შეტანას და 1994 წლის 18 იანვარს მიღებული აქტის 85-ე მუხლი დაკავშირებული იყო მხარეთა თანასწორობის საკითხთან. შესაბამისად, პრობლემა არსებობდა კანონის საქმის გარემოებებთან გამოყენებასთან მიმართებით.

მთავრობის განცხადების თანახმად, განსახილველი დებულებები მიიღეს საერთო ინტერესის საფუძველზე და მათ „კანონიერი მიზანი“ გააჩნდა. პირველ რიგში, მიზანი იყო მომავალში წინააღმდეგობრივი სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანის თავიდან აცილება. 1992 წლის 22 აპრილის სამ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ მიიღო ლოგიკური გადაწყვეტილება, რომ დანამატის გამოანგარიშების ინდექსი აღარ არსებობდა; ამ გადაწყვეტილების შედეგად დაბალი ინსტანციის სასამართლოებს შეიძლებოდა

მიელთ წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებები, ვინაიდან საქმეები სამ სხვა-დასხვა სააპელაციო სასამართლოს უნდა განეხილა. ბეზანსონის, კოლმარისა და მეცის სააპელაციო სასამართლოებმა საქმეები ერთმანეთისაგან განსხვავებულად გადაწყვიტეს (იხ. ზემოთ, პუნქტები 16, 20, 21, 35 და 41). ასეთი განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება მოსალოდნელია მომავალშიც. მეორეს მხრივ, მთავრობამ განაცხადა, რომ აუცილებელი იყო სოცუზრუნველყოფის სქემების ფინანსური მდგრადობისთვის საფრთხის თავიდან აცილება, რაც აღნიშნა კიდევ საკონსტიტუციო საბჭომ. გარდა ამისა, სასამართლოს ქმედებას შეიძლება საფრთხე შეექმნა სოცუზრუნველყოფის საჯარო სამსახურის არსებობისათვის. თანამშრომელთა ხარჯების უეცარი ზრდა გამოიწვევდა სოცუზრუნველყოფის სისტემაში დაზღვეულ პირთათვის გადასახდელად ასიგნებული თანხების ოდენობის შემცირებას, ვინაიდან კანონის მიღების მომენტისათვის 9 000 თანამშრომლიდან 5 000 თანამშრომელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში. თუ ეს სარჩელები დაკმაყოფილებოდა, მაშინ ამ ორგანოების ბიუჯეტი შემცირდებოდა დაახლოებით 350 000 000 ფრანკით. შესაბამისად, 1994 წლის 18 იანვრის აქტის მიღების საფუძველი იყო საერთო ინტერესი (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე *The National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society*).

54. მთავრობის აზრით, ხელისუფლების კეთილსინდისიერება არ იყო სადავო. აქტის მიღების მიზანი იყო არა სპეციალური დანამატის დაუსაბუთებელი შემცირება, არამედ სპეციალური დანამატის ფიქსირებულად განსაზღვრა თანამშრომელთა შემოსავლებში. ამისათვის კანონშემოქმედმა გაიზიარა კოლმარის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული გზა (იხ. ზემოთ, პუნქტი 20). კანონმდებლის განზრახვა ძალიან მარტივი იყო: მომხდარიყო გადასვლა გამოანგარიშების იმ მეთოდზე, რაც გათვალისწინებული იყო გადახდის თავდაპირველი ხელშეკრულებით. გარდა ამისა, პაპაგეორგიუს საქმისაგან (იხ. ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება) განსხვავებით, 1994 წლის 18 იანვრის აქტის 85-ე მუხლსა და აქტის დანარჩენ დებულებებს შორის კავშირი აშკარად დაადგინა და დაადასტურა საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილებამ. მთავრობამ ასევე მიიჩნია, რომ მოცემული საქმე ასევე უნდა განესახვავოთ საქმისგან *Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece* (1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A № 301-B).

გარდა ამისა, მთავრობას მიაჩნდა, რომ არსებობდა „მართლზომიერი პროპორციული დამოკიდებულება“ კანონშემოქმედის მიზანსა და მის მიერ გამოყენებულ საშუალებებს შორის. პირველ რიგში, საკასაციო სასამართლოს არ შექმლო, ერთიანი გადაწყვეტილება დაეკისრებინა სხვადასხვა სააპელაციო სასამართლოებისათვის, რადგან მისი საქმეა მხოლოდ საქმის სამართლებრივი და არა ფაქტობრივი მხარის განხილვა. ვინაიდან მანამდე არსებულ საქმეებში საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეთა განზრახვის გარკვევა ან პრაქტიკის შეთანხმება ფაქტობრივი მხარე იყო, შესაბამისად, კანონმდებლის ჩარევა, რათა ქვეყანაში დამკვიდრებულიყო სპეციალური დანამატის გამოთვლის ერთიანი მეთოდი, აუცილებელი იყო. მეორეს მხრივ, ეს საქმე დაკავშირებულია საქმესთან *National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society* (იხ. ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება): ზოგიერთმა პროფკავშირმა მოგვიანებით

დაიწყო „ტექნიკური ხარვეზიდან“ გამომდინარე სარგებლის მიღება კოლექტიური ხელშეკრულების კანონიერი მოქმედების დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში. შესაბამისად, შეუძლებელია, განმცხადებელმა არ იცოდნენ, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ „ტექნიკურმა ხარვეზმა“ საფრთხე შეუქმნას სოცულზრუნველყოფის სქემებს. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ, რომელსაც სპეციფიკური ადგილი ეკავა ამ დავაში, არ მიმართა დაინტერესებული მხარის განსახილველ კანონმდებლობას (*intuitu personae*), როგორც საბერძნეთი იყო ბრალდებული ამის გაკეთებაში საქმეში *Stran Greek Refineries and Stratis Andreadis* (იხ. ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება). განმცხადებლები არ იყვნენ სახელმწიფო მოხელეები, მათი საქმიანობა ხვდებოდა კერძო სამართლის მოქმედების სფეროში და ისინი დასაქმებულნი იყვნენ ადგილობრივი სოცულზრუნველყოფის ოფისებში, რომელთაც გააჩნიათ ფინანსური ავტონომია. სწორედ ამიტომ იურისდიქცია ამ საქმეზე გააჩნდა ჩვეულებრივ და არა ადმინისტრაციულ სასამართლოს. შესაბამისად, სასამართლო პროცესში სახელმწიფო იყო მხარე ძალიან არაპირდაპირი სახით, როგორც სოცულზრუნველყოფის ოფისების „მცველი“ და სოცულზრუნველყოფის სქემების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. და ბოლოს, მთავრობამ მიიჩნია, რომ საკანონმდებლო აქტის ფარგლები შეძლებისდაგვარად ვიწრო იყო. საქმეში *Stran Greek Refineries and Stratis Andreadis* (იხ. ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება) არსებული პოზიციისგან განსხვავებით, აქტის მიზანი არ ყოფილა, ჩაშლილიყო შეჩერებული საქმეები, ვინაიდან ნათლად იყო მითითებული, რომ აქტის მოქმედების სფეროს სცილდებოდა სასამართლოთა ის გადაწყვეტილებები არსებით საკითხებზე, რომლებიც საბოლოოდ შევიდა ძალაში.

55. რაც შეეხება დავის გადასაჭრელად ახალი კანონის გამოყენების შედეგებს, მთავრობამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის გარემოებები განსხვავდებოდა საქმეებში *National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society, Stran Greek Refineries and Stratis Andreadis and Papageorgiou* მითითებული გარემოებებისაგან (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილებები).

მეცის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა ბ-ნი ზელინსკისა და ბ-ნი პრადლის სასარგებლო გადაწყვეტილება, თუმცა მისი დასაბუთება ეწინააღმდეგებოდა საკასაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომელმაც ჩათვალა, რომ ინდექსი აღარ არსებობდა (იხ. ზემოთ, პუნქტები 18 და 35). სამართალწარმოების შედეგი შესაბამისად იყო ბევრად უფრო სადავო, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აქამდე განხილულ საქმეებში. მთავრობამ აღნიშნა, რომ ახალი კანონის რეტროსპექტიული გამოყენება შეჩერებული საქმეების მიმართ შესაბამებოდა კონვენციას, თუ ჯერ არ იყო გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრება აღარ შეიძლება ჩვეულებრივი პროცედურის გამოყენებით. მეცის სააპელაციო სასამართლოს უკვე გამოტანილი ჰქონდა გადაწყვეტილება ბ-ნი ზელინსკისა და ბ-ნი პრადლის სასარგებლოდ მაშინ, როდესაც ახალი კანონი შევიდა ძალაში. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ახალი კანონის გამოყენების ხელისშემშლელი გარემოებები, ვინაიდან აქტის მიზანი იყო ინდექსის გაქრობის შედეგად შექმნილი სიტუაციის გამოსწორება.

რაც შეეხება ქ-ნ გონზალესს, ქ-ნ მარის, ქ-ნ დელაკერიეს, ბ-ნ შრეიბერს,

ქ-ნ კერს, ბ-ნ გონტიეს, ქ-ნ შრეიბერს, ქ-ნ მემეტოს და ბ-ნ კოსუტას, მთავრობამ განაცხადა, რომ კოლმარის სააპელაციო სასამართლოს 1991 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა, ისინი გასაჩივრებული იყო მათი შერჩევის მოთხოვნით. შესაბამისად, განმცხადებლების სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება არც საბოლოო იყო და არც აღსრულებას ექვემდებარებოდა. შეუძლებელი იყო [პრაქტიკის] კანონიერად გადაქცევის მიზნით მიღებული აქტის მიღება იმგვარად, რომ მას გავლენა არ მოეხდინა მიმდინარე საქმეებზე, მიუხედავად იმისა, განხილვის რა ეტაპზე იყვნენ ისინი. თუ აქტის გამოყენება არ მოხდებოდა მიმდინარე საქმეებთან მიმართებით, მაშინ აქტის არსებობა მნიშვნელობას დაკარგავდა და გამოიწვევდა დისკრიმინაციულ მიდგომას იმ პირთა მიმართ, რომელთაც უკვე შეტანილი ჰქონდათ სარჩელი, მათ შორის იმ პირთა მიმართაც, ვისაც კანონის მიღების მომენტისათვის არ ჰქონდა მიმართული სასამართლოსათვის და მომავალში სარჩელის შეტანის შემთხვევაში აქტი მათ წინააღმდეგ იქნებოდა გამოყენებული. მთავრობამ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო აქტს არ ჰქონია არაპროპორციული შედეგი განმცხადებლებთან მიმართებით, ვინაიდან მართალია, აქტი სავალდებულოდ შესასრულებელი იყო კოლმარის სააპელაციო სასამართლოსათვის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმავე სასამართლომ 1993 წლის 23 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ იგივე პოზიცია დაიჭირა, რაც 1994 წლის 18 იანვრის აქტმა (იხ. ზემოთ, პუნქტი 20).

56. კომისიამ მიიჩნია, რომ 1974 წლის 18 იანვრის აქტმა ძალზე მარტივად დააკანონა სახელმწიფოს პოზიცია მის წინააღმდეგ შეტანილ საქმეებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. კომისიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პოზიცია უარყვეს საქმის განმხილველმა სასამართლოებმა, რომლებიც უპირატესობას განმცხადებელთა პოზიციას ანიჭებდნენ. მან ასევე მიიჩნია, რომ საკანონმდებლო აქტმა შეცვალა გადაწყვეტილებები ერთხელ და სამუდამოდ და განამტკიცა მთავრობის პოზიცია, ვინაიდან აქტი პირდაპირ ითვალისწინებდა მის უკუქცევით მოქმედებას. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო საბჭომ დაადასტურა აქტის შესაბამისობა კონსტიტუციასთან, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაუვალი გახდა. რაც შეეხება კოლმარის სააპელაციო სასამართლოს 1993 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებების შედეგად ჩამოყალიბებულ „პრაქტიკას“, რომელიც განსახილველი აქტის დებულებების ანალოგიურად უდგებოდა შექმნილ სიტუაციას, კომისიამ მიიჩნია, რომ, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო არ თავისუფლდებოდა ვალდებულები-საგან, არ ჩარეულიყო სასამართლოს განსახილველი საქმეების მსვლელობაში გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

შესაბამისად, კომისიამ დაასკვნა, რომ სახელმწიფო მოტყუებით ჩაერია იმ საქმის მსვლელობაში, რომლის შედეგი ნათელი იყო, რომლის მხარესაც იგი წარმოადგენდა და რომელიც არსებითად გადაწყვეტილი იყო [სახელმწიფოს] წინააღმდეგ.

57. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კანონმდებელს აქვს უფლებამოსილება, სამოქალაქო სამართლის სფეროში მიიღოს უკუქცევითი ძალის მქონე დებულებები, რომლებიც არეგულირებს კანონიდან გამომდინარე უფლებებს, თუმცა მე-ნ მუხლით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გამორიცხავს კანონმდებლის მხრიდან ნებისმიერ ჩარევას, გარდა იმი-

სა, რომელიც ხდება ნამდვილად საერთო ინტერესის მიზნით — სამართალწარმოებაში, რომლის მიზანია დავის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების დადგენა (იხ. ზემოთ მითითებული გადაწყვეტილებები საქმეებზე *Stran Greek Refineries and Stratis Andreadis*, პუნქტი 49; *Papageorgiou*, პუნქტი 37; *da National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society*, პუნქტი 112).

58. მოცემულ საქმეში, ზემოაღნიშნული საქმეების მსგავსად, სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს 1994 წლის 18 იანვრის აქტის (კანონი №94-43) 85-ე მუხლის შინაარსის გავლენა (ეფექტი) მისი მიღების მეთოდსა და დროში მოქმედებასთან ერთად.

აქტის 85-ე მუხლი პირდაპირ გამორიცხავდა მოქმედების სფეროდან იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკვე ძალაში შევიდა, თუმცა განსაზღვრავდა ჩვეულებრივი სასამართლოებისათვის გადაცემული მსგავსი საქმეების პირობებს და თანაც უკუქცევითი ძალით, „მიუხედავად ამის სანინალმდეგო კოლექტიური ან ინდივიდუალური ხელშეკრულებების დებულებებისა, რომლებიც ძალაშია აქტის გამოქვეყნების მომენტისათვის (იხ. ზემოთ, პუნქტი 45).

მეორეს მხრივ, 85-ე მუხლი იყო „საზოგადოების ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის“ შესახებ აქტის ნაწილი (იხ. ზემოთ, პუნქტი 23). მიმდინარეობდა ამ აქტის საპარლამენტო განხილვა და მხოლოდ ბეზანსონის სააპელაციო სასამართლოს 1993 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემდეგ შევიდა ცვლილება სპეციალური დანამატის შესახებ.

და ბოლოს, 85-ე მუხლმა ძალზე მარტივად დააკანონა პროცესის დროს სახელმწიფოს მიერ გამოხატული პოზიცია. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების განმხილველი სასამართლოების გადაწყვეტილებათა უმრავლესობა განმცხადებელთა სასარგებლოდ იყო. აღსანიშნავია, რომ მეცის სააპელაციო სასამართლომ საქმე გადაწყვიტა თავიდან ბოლომდე სოცუზრუნველყოფის ოფისების თანამშრომელთა სასარგებლოდ (იხ. ზემოთ, პუნქტი 35), კოლმარის სააპელაციო სასამართლომ კი, კოლმარის სამენარმეო ტრიბუნალისგან განსხვავებით, უარყო სარჩელები (იხ. პუნქტები 20, 38 და 41). ამასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბეზანსონის სააპელაციო სასამართლოს სპეციალური როლი, ვინაიდან მან ხელახლა განიხილა საქმე საკასაციო სასამართლოს 1992 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებების შემდეგ (იხ. ზემოთ, პუნქტები 19 და 12). ბეზანსონის სააპელაციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა დავა ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით თვით საკასაციო სასამართლოს მიერ მანამდე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ჩარჩოებში (იხ. ზემოთ, პუნქტები 18 და 19). მიჰყვებოდა რა ზედმიწევნით საკასაციო სასამართლოს 1992 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულ საკითხებს, ბეზანსონის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ ჩამოყალიბებულა არანაირი პრაქტიკა და უარყო სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული მეთოდი. მან დაადგინა ახალი ინდექსი და ნება დართო სოცუზრუნველყოფის ორგანოების ზოგიერთ თანამშრომელს, განემოკრებინა შეეტანა სარჩელი; სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ სპეციალური დანამატის გამოანგარიშება უნდა მოხდეს მინიმალური ხელფასის 6,1055%-ის საფუძველზე, ვინაიდან ეს პროცენტი შეესაბამებოდა სპეციალური დანამატის ოდენობას, რომელიც გამოითვლებოდა 1953 წელს არსებული ერთეულის თორმეტზე გამრავლებით. ეს გადაწყვეტილება

საკითხს ნათელს პუნქტს, ამავე დროს, არ გაცხადდა საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფარგლებს და განმცხადებელთათვის ხელსაყრელი იყო, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილების შედეგად თითქმის გაორმაგდა სოცუზრუნველყოფის ორგანოების მიერ ფაქტობრივად გადახდილი დანამატი; მან განამტკიცა, აგრეთვე, მოსარჩელების უფლება, მოეთხოვათ რამდენიმე წლის გამავლობაში განსხვავების სახით დაგროვილი დავალიანების გადახდა (იხ. ზემოთ, პუნქტები 21-22).

59. სასამართლო ვერ ხსნის, თუ რატომ იყო აუცილებელი საკანონმდებლო ჩარევა წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების არსებობისას, როდესაც პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. იგი მიიჩნევს, რომ ასეთი განსხვავებები დამახასიათებელია საფრანგეთის მსგავსი სასამართლო სისტემებისათვის, რომლებიც ეყრდნობა ტერიტორიული იურისდიქციის მქონე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების ქსელს. ვინაიდან საკასაციო სასამართლოს როლი სწორედ ისაა, რომ გადაჭრას წინააღმდეგობანი ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს შორის, რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღწევდა იგი [საკასაციო სასამართლო] არსებული წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების არსებობისას იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი არ მიიღებდა 1994 წლის 18 იანვრის აქტს.

სასამართლოს აზრით, საქმის გარემოებები არ იძლევა საშუალებას, ვამტკიცოთ, რომ კანონმდებლის ჩარევა წინასწარგანჭვრეტადი იყო; პირიქით, ისინი განამტკიცებენ მოსაზრებას, რომ თავდაპირველი მიზანი შელახული იყო (იხ. ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება საქმეზე *The National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society*, გვ. 2362-63, პუნქტები 110-12), ვინაიდან დავა შეეხებოდა იმ ხელშეკრულების გამოყენებას, რომელიც სათანადო პროცედურების შესაბამისად განიხილეს და მიიღეს დაინტერესებულმა დამქირავებლებმა და პროფკავშირებმა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს წინაშე წამოჭრილი ფინანსური საფრთხე (იხ. ზემოთ, პუნქტი 53), რაც საკონსტიტუციო საბჭომ პირდაპირ აღნიშნა გადაწყვეტილების დასაბუთებისას (იხ. ზემოთ, პუნქტი 26), ვერ ამართლებს კანონმდებლის მიერ დავის გადაჭრის მიზნით კოლექტიური ხელშეკრულების მხარეების შეცვლას. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობის განცხადების თანახმად, თუ შეტანილი სარჩელები დაკმაყოფილდებოდა, სოცუზრუნველყოფის ორგანოები დაკარგავდნენ 350 000 000 ფრანკს, თუმცა მას არ წარმოუდგენია შედარებითი მონაცემები, კერძოდ, 9 000 თანამშრომლის მთლიანი ხარჯი და ელზას-მოზელის სოცუზრუნველყოფის ორგანოებში ჯანდაცვაზე დანახარჯების დეტალები.

85-ე მუხლის მიღებად არსებითად გადაწყვიტა დავა. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ ამ დებულების გამოყენებამ, განსაკუთრებით კი საკასაციო სასამართლოს 1995 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებებში, უაზრობად აქცია პროცესის გაგრძელება.

კომისიის მსგავსად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილება არ არის საკმარისი იმის დასადგენად, ნამდვილად შეესაბამება თუ არა 1994 წლის 18 იანვრის აქტის 85-ე მუხლი კონვენციას (იხ. ზემოთ, პუნქტი 26).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ არ შეიძ-

ლება განსხვავების დანესება იმ პირებს, რომელთა საქმეზე გადანყვეტილება უკვე ძალაში შევიდა, და იმ პირებს შორის, რომელთა საქმეზე გადანყვეტილება ძალაში ჯერ არ შესულა.

60. რაც შეეხება მთავრობის განცხადებას, რომ ეს არ ყოფილა დავა განმცხადებლებსა და სახელმწიფოს შორის (იხ. ზემოთ, პუნქტი 54), ვინაიდან სოცუზრუნველყოფის ორგანოები კერძო სამართლის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირებია, სასამართლო აღნიშნავს, რომ სოცუზრუნველყოფის ორგანოები ახორციელებენ საჯარო სამსახურის ფუნქციას და ექვემდებარებიან სოცუზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი მინისტრის და ეკონომიკურ საქმეთა და ფინანსთა მინისტრის ზედამხედველობას. გარდა იმისა, რომ ახორციელებდა მნიშვნელოვან ზედამხედველობას, მათ შორის ზედამხედველობას თანამშრომელთა სხვადასხვა კატეგორიის შესახებ ხელშეკრულებებისა (იხ. ზემოთ, პუნქტი 44), სასამართლო აღნიშნავს, რომ პრეფექტი — სახელმწიფოს წარმომადგენელი დეპარტამენტში ან რეგიონში — ან სოციალური საქმეებისა და ჯანმრთელობის რეგიონული დეპარტამენტი, რომელიც იყო ზედამხედველობის დეპარტამენტის ტერიტორიული დეპარტამენტი, სისტემატურად იყვნენ ჩართულნი პროცესის მსვლელობაში, როგორც მხარეები, მოსარჩეულებისა და მათ დამქირავებლებს შორის მიმდინარე დავისას. ფრანგული სისტემა, რომელშიც შედის საზოგადოების მომსახურების მართვა, გააჩნია სპეციალური სამთავრობო უფლებამოსილება და ექვემდებარება სამინისტროს ზედამხედველობას, არის ევროპის საბჭოს ნევრი სახელმწიფოს როლისა და ვალდებულებების გამოხატულება მისი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის მიზნებისათვის, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს ევროპის სოციალური ქარტიიდან. შესაბამისად, შეუძლებელია, არ დავასკვნათ, რომ კანონმდებელი ჩაერია საქმეში მაშინ, როდესაც სახელმწიფო იყო მიმდინარე პროცესის მონაწილე.

61. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებით.

II. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის

სავარაუდო დარღვევა პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით

62. ქ-ნი გონზალესი, ქ-ნი მარი, ქ-ნი დელაკერიე, ბ-ნი შრებიერი, ქ-ნი კერნი, ბ-ნი გონტიე, ქ-ნი შრებიერი, ქ-ნი მემეტო და ბ-ნი კოსუტა ამტკიცებდნენ, რომ პროცესი არ ჩატარდა გონივრულ ვადაში, როგორც ამას ითვალისწინებს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

63. კომისიამ გაიზიარა განმცხადებლების მოსაზრება, თუმცა მთავრობა აცხადებდა, რომ საქმის გარემოებებიდან არ გამომდინარეობდა აღნიშნული მუხლის დარღვევა.

A. დრო, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული

64. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „გონივრული ვადის“ გამოსათვლელი პერიოდი იწყება 1990

ნლის 17 და 28 აგვისტოდან — კოლმარის სამენარმეო ტრიბუნალში სარჩელების შეტანის დღიდან (იხ. ზემოთ, პუნქტი 37) და სრულდება 1996 წლის 18 ივნისს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანით (იხ. ზემოთ, პუნქტი 43). შესაბამისად, პროცესი გაგრძელდა დაახლოებით 5 წელი და 10 თვე.

B. პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობა

65. პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებებისა და სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების გათვალისწინებით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქმის სირთულეს და მოსარჩელებისა და შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოს ქმედებას (იხ. 1991 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *The Vermillo v. France*, სერია A, № 198, გვ. 12-13, პუნქტი 30).

1. პოზიციები სასამართლოს წინაშე

66. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ კოლმარის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე ოთხწლიანი პროცესი, ასევე დაახლოებით ერთი წელი საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდი გადაამეტებულია. მათი განმარტებით, საქმე არ იყო რთული და არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ მათ დაიგვიანეს პოზიციების წარდგენა, ვინაიდან ამას გავლენა არ მოუხდენია წინასწარ ჩანიშნული სხდომების თარიღებზე მეორე და მესამე ინსტანციებში. საქმის მოსმენა დანიშნა სააპელაციო სასამართლომ და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრეს მხარეებმა მათი მომავალი ქმედებების განრიგი. თარიღის დანიშვნისათვის არ იყო აუცილებელი მხარეთა მიერ წერილობითი დოკუმენტების წინასწარ წარდგენა, ვინაიდან სასამართლო საქმეს განიხილავდა სააპელაციო საჩივრის საფუძველზე და პროცესი ზეპირი იყო. განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ ამ საქმეზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს 1991 წლის 10 სექტემბერს, მაგრამ მხოლოდ 1994 წლის 12 ივლისს დაინიშნა პროცესის ჩატარების თარიღი – 1994 წლის 18 ოქტომბერი (იხ. ზემოთ, პუნქტი 40). შესაბამისად, მხარეთა პოზიციების შეტანას აზრი ჰქონდა მხოლოდ 1994 წლის 12 ივლისს; აპელანტების მიერ წარდგენილი განცხადებები ეყრდნობოდა 1994 წლის 18 იანვრის აქტს.

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ თუ სააპელაციო სასამართლო მეცის სააპელაციო სასამართლოს მსგავსად არ მოიცდიდა, სანამ აქტს მიიღებდნენ, აქტის მიღების მომენტისათვის უკვე გამოტანილი იქნებოდა სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილება, რომლის აღსრულება შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომ განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ პროცესის გადაამეტებული ხანგრძლივობის შედეგად შესაძლებელი გახდა 1994 წლის 18 იანვრის აქტის მათ წინააღმდეგ გამოყენება.

67. მთავრობა არ დაეთანხმა ასეთ ანალიზს. მან მიიჩნია, რომ სასამართლოთა განსხვავებული გადაწყვეტილებების არსებობის გათვალისწინებით შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საქმე ნამდვილად რთული იყო. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ჰქონდა გამოტანილი, როდესაც კოლმარის სამენარმეო ტრიბუნალმა გამოიტანა გადაწყვეტილება 1991 წლის 2 ივლისს

(იხ. ზემოთ, პუნქტი 38). მხარეების მიერ ნამოჭრილი ყველა საკითხი დროებით შეჩერებული იყო.

რაც შეეხება განმცხადებელთა ქმედებას, მთავრობამ განაცხადა, რომ სამოქალაქო საქმეებში მხარეთა ქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; პროცესის ჩატარების ინიციატივა სწორედ მათზეა დამოკიდებული. განმცხადებელთა წარმომადგენელს არ წარუდგენია ახსნა-განმარტება 1994 წლის 30 სექტემბრამდე, ანუ პროცესის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ (იხ. ზემოთ, პუნქტი 40). პროცესის ხანგრძლივობა პირველ ინსტანციაში სრულიად გონივრული იყო და საკასაციო სასამართლოც განსაკუთრებული გულმოდგინებით მოქმედებდა. სააპელაციო ეტაპზე პროცესის გაჭიმვაზე პასუხისმგებლობა განმცხადებლებს ეკისრებათ.

68. კომისიამ მიიჩნია, რომ პროცესი მეტ-ნაკლებად რთული იყო; რაც შეეხება მხარეთა ქმედებებს, პროცესის ხანგრძლივობა არ იყო გონივრული; ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გარკვეულ პერიოდებში შეინიშნებოდა აქტიურობის შენელება, რაზეც, კომისიის აზრით, ხელისუფლებას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) საქმის სირთულე

69. სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის არსებითი მხარე ნამდვილად რთული იყო, რასაც ადასტურებდა საკასაციო სასამართლოს 1992 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაც (იხ. ზემოთ, პუნქტი 18).

(ბ) განმცხადებელთა ქმედებები

70. სასამართლო არ მიიჩნევს, რომ განმცხადებლები პასუხისმგებელნი იყვნენ პროცესის განვლვაზე. კერძოდ, განმცხადებელთა მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის დღეს გავლენა არ მოუხდენია კოლმარის სააპელაციო სასამართლოს მიერ პროცესის დაგეგმვაზე (იხ. ზემოთ, პუნქტი 40).

(ც) სასამართლო ხელისუფლების ქმედებანი

71. სასამართლო ადგენს, რომ კოლმარის სააპელაციო სასამართლოში პროცესის ხანგრძლივობა იყო სამი წელი, რვა თვე და რვა დღე. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივარი შეიტანეს 1991 წლის 10 სექტემბერს (იხ. ზემოთ, პუნქტი 39), სააპელაციო სასამართლომ არ დანიშნა მოსმენის დღე 1994 წლის 12 ივლისამდე, ანუ თითქმის სამი წელი (იხ. ზემოთ, პუნქტი 40). სასამართლოს აზრით, ასეთი დაგვიანების დამაჯერებელი ახსნა-განმარტება არავის წარმოუდგენია. კოლმარის სააპელაციო სასამართლომ სპეციალურ დანამატთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გამოიტანა 1993 წლის 23 სექტემბერს (იხ. ზემოთ, პუნქტი 20), ანუ აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო საჩივრის შეტანიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ. ამასთან, კოლმარის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა 1995 წლის 18 მაისს (იხ. ზემოთ, პუნქტი 41), ანუ 1994 წლის 18 იანვრის აქტის მიღებიდან დაახლოებით წელიწადნახევარში.

(d) დასკვნა

72. ყველა მტკიცებულების განხილვის შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი გათვალისწინებული „გონივრული ვადა“.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი პროცესის ხანგრძლივობასთან მიმართებით.

III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

73. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ 1994 წლის 18 იანვრის აქტის (კანონი 94-43) 85-ე მუხლის მიღებით დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

74. ზემოთ, 61-ე პუნქტი ჩამოყალიბებული დასკვნების გათვალისწინებით სასამართლო არ მიიჩნევს აუცილებლად გადანყვეტილების გამოტანას აღნიშნულ საკითხზე.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

75. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. ზიანი

76. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ განიცადეს მატერიალური ზიანი იმ თანხის სახით, რომელსაც მიიღებდნენ, პარლამენტს რომ არ მიეღო 1994 წლის 18 იანვრის კანონი. ბ-ნი ზელინსკი და ბ-ნი პრადალი თავიანთ მატერიალურ ზიანს აფასებდნენ თითოეული 47 000 ფრანგულ ფრანკად და არ მოუთხოვიათ რაიმე არამატერიალური ზიანი. ქ-ნი გონზალესი, ქ-ნი მარი, ქ-ნი დელაკერიე, ბ-ნი შრეიბერი, ქ-ნი კერნი, ბ-ნი გონტიე, ქ-ნი შრეიბერი, ქ-ნი მემეტო და ბ-ნი კოსუტა თითოეული მოითხოვდა 21 343 ფრანკს სპეციალური დანამატის 5 წლის გადახდასთან დაკავშირებით 1990 წლის 17 აგვისტოდან და

22 257 ფრანკს — 1990 წლის 18 აგვისტოდან 1995 წლის 30 ნოემბრამდე გადასახდელი სპეციალური დანამატის დასაფარად და კიდევ 15 000 ფრანკს კანონით დადგენილი პროცენტის სახით. მათ პროცესის განუღმეოთ გამოწვეული არამატერიალური ზიანის კომპენსაცია შეაფასეს 20 000 ფრანკად და სამართალწარმოების უსამართლობიდან გამომდინარე არამატერიალური ზიანის კომპენსაცია — 50 000 ფრანკად.

77. მთავრობამ არ გამოხატა მოსაზრება.

78. კომისიის დელეგატმა ისურვა, საკითხი გადაწყვეტილიყო სასამართლოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით.

79. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი ანაზღაურება განმცხადებლებს შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ იმით, რომ მათ ვერ ისარგებლეს მე-ნ მუხლით გათვალისწინებული გარანტიებით, მათ შორის პროცესის გონივრული ხანგრძლივობით ქ-ნი გონზალესის, ქ-ნი მარი, ქ-ნი დელაკერიეს, ბ-ნი შრეიბერის, ქ-ნი კერნის, ბ-ნი გონტიეს, ქ-ნი შრეიბერის, ქ-ნი მემეტოსა და ბ-ნი კოსუტას შემთხვევაში. რაც შეეხება პროცესის სამართლიანობას, სასამართლო მიიჩნევს არამიზანშეწონილად, რომ განმცხადებლებმა დაკარგეს რეალური შესაძლებლობა (იხ. 1985 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *The Colozza and Rubinat v. Italy*, სერია A, № 89, გვ. 17, პუნქტი 38). ამას უნდა დაემატოს არამატერიალური ზიანი, ვინაიდან მოცემულ საქმეში დარღვევის ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი მისაგებელი გარდა ბ-ნი ზელინსკისა და ბ-ნი პრადალისა, რომელთაც ამასთან დაკავშირებით განაცხადი არ წარუდგენიათ. 41-ე მუხლის შესაბამისად სამართლიანობის საფუძველზე ანალიზის შედეგად სასამართლო ანიჭებს 47 000 ფრანკს ბ-ნი ზელინსკისაც და ბ-ნი პრადალსაც და 80 000 ფრანკს თითოეულს დანარჩენი ცხრა განმცხადებლიდან ნებისმიერ ზიანთან დაკავშირებით.

B. ხარჯები და დანახარჯები

80. ყოველი განმცხადებელი მოითხოვდა 30 000 ფრანკს წარმომადგენლობის მიზნით განუღმეო ხარჯებისა და დანახარჯებისათვის.

81. მთავრობამ არ გამოხატა მოსაზრება.

82. კომისიის დელეგატმა ისურვა, საკითხი გადაწყვეტილიყო სასამართლოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით.

83. ბ-ნი ზელინსკისა და ბ-ნი პრადალს კომისიისა და სასამართლოს წინაშე ერთი და იგივე ადვოკატი წარმოადგენდა; რაც შეეხება დანარჩენ ცხრა განმცხადებელს, ისინი სარგებლობდნენ იმავე ადვოკატის მომსახურებით მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიდმა პალატამ გადაწყვიტა ორი საქმის შეერთება. შესაბამისად, მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით სასამართლო ანიჭებს ბ-ნი ზელინსკისა და ბ-ნი პრადალს 30 000 ფრანკს კომისიისა და სასამართლოს წინაშე პროცესისათვის და თითოეულს დანარჩენი განმცხადებლებიდან 4 000 ფრანკს.

C. საურავი

84. სასამართლოს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, გადან-

ყვეტილების გამოტანის დღეს კანონით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი საფრანგეთში არის 3,47% წელიწადში.

ხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სასამართლო პროცესის სამართლიანობასთან დაკავშირებით;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით ქ-ნი გონზალესის, ქ-ნი მარის, ქ-ნი დელაკერიეს, ბ-ნი შრეიბერის, ქ-ნი კერნის, ბ-ნი გონტიეს, ქ-ნი შრეიბერის, ქ-ნი მემეტოსა და ბ-ნი კოსუტას მიმართ;
3. ადგენს, რომ არ არის აუცილებელი გადაწყვეტილების გამოტანა კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ საჩივარზე;
4. ადგენს, რომ:

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 47 000 (ორმოცდაშვიდი ათასი) ფრანგული ფრანკი ბ-ნ ზელინსკისა და ბ-ნ პრადალს მატერიალური ზიანისათვის, 80 000 (ოთხმოცი ათასი) ფრანგული ფრანკი - ქ-ნ გონზალესს, ქ-ნ მარის, ქ-ნ დელაკერიეს, ბ-ნ შრეიბერს, ქ-ნ კერნს, ბ-ნ გონტიეს, ქ-ნ შრეიბერს, ქ-ნ მემეტოს და ბ-ნ კოსუტას მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის, აგრეთვე, 30 000 (ოცდაათი ათასი) ფრანგული ფრანკი ბ-ნ ზელინსკისა და ბ-ნ პრადალს და 4 000 (ოთხი ათასი) ფრანგული ფრანკი თითოეულს ცხრა განმცხადებელიდან ხარჯებისა და დანახარჯებისათვის;

(ბ) აღნიშნულ თანხებს სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ გადახდის დასრულებამდე დაერიცხოს პროცენტი წელიწადში 3,47%-ის ოდენობით;

5. უარყოფს სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ თხოვნის დარჩენილ ნაწილს.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, გაცხადებულია ღია მოსმენაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1999 წლის 28 ოქტომბერს.

ლუციუს ვილდჰაბერი,
თავმჯდომარე

მოდ დე ბორ-ბუკიკიო,
რეგისტრატორის მოადგილე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს წესების შესაბამისად ამ გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე ბაკეს თანმხვედრი მოსაზრება.

ლ.ვ.
მ.ბ.

მოსამართლე ბაკეს თანმხვედრი მოსაზრება

(თარგმანი)

მე ხმა მივეცი ამ გადაწყვეტილებას, რომელიც დაბალანსებულ პასუხს იძლევა პრინციპულ საკითხზე – შესაბამება თუ არა კონვენციას კანონები, რომლებიც აკანონებს არსებულ პრაქტიკას (*lois de validation*), და შემდეგ მკაცრად, თუმცა ლოგიკურად იყენებს ამ პრინციპს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით.

1. ზოგად საკითხზე სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით განამტკიცებს პრინციპს, რომ კანონმდებელი არ უნდა ჩაერიოს იმგვარად, რომ უუქუქვევითი ძალით განსაზღვროს ან შეცვალოს სამართლებრივი ურთიერთობა და გავლენა მოახდინოს დავის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებაზე; თუმცა სასამართლო გამოწვევის უშედეგად იმ საქმეებზე, სადაც ასეთი ჩარევა აუცილებელია საერთო ინტერესის გადაუდებელი მიზეზით. სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს თავისავე გადაწყვეტილებას ადრინდელ საქმეებში, რომლებშიც განცხადებული იყო, რომ კანონმდებელი არ უნდა ჩაერიოს სამართალწარმოების განხორციელებაში (1994 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece*, სერია A № 301-B, და *Papageorgiou v. Greece*, 1997 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1997-VI), ასევე იმ იდეას, რომ ასეთი ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს საერთო ინტერესით (1997 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom case*, მოხსენებები 1997-VII); ასეთ საფუძველს სასამართლო აფასებს საქმის ნინაისტორიისა და გარემოებების გათვალისწინებით და იგი შეიძლება მიჩნეული იქნეს უფრო ლეგიტიმურად და ინდივიდის უფლებებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭოს.

2. მოცემულ საქმეში კანონმდებლის ჩარევის (1994 წლის 18 იანვრის აქტის 85-ე მუხლი) ძირითადი, თუ ერთადერთი არა, მიზეზი იყო ნინაალმდეგობრივი სასამართლო პრეცედენტებისა ფაქტობრივ მხარეზე კოლმარისა და ბენანსონის სააპელაციო სასამართლოებში; ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება გამოიტანა მეცის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ. ჩემი აზრით, კანონმდებლის ჩარევაში გადამწყვეტი როლი არ შეუსრულებია ამ სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შედეგად სოცუზრუნველყოფის ორგანოებზე შესაძლო ფინანსური ვალდებულებების დაკისრებას.

როდესაც შეუძლებელია, საკასაციო სასამართლომ გამოასწოროს სიტუაცია, პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი ნინაალმდეგობრივი გადაწყვეტილებები რასაკვირველია განაცვიფრებს, აღაშფოთებს ან გააოგნებს საზოგადოებას, თუმცა ეს არის სასამართლოების დეცენტრალიზებული სისტემის საფასური; ამ სისტემის უზენაესი ზედამხედველია საკასაციო სასამართლო, რომელიც სრულ თავისუფლებას ანიჭებს ტრიბუნალებსა და სააპელაციო სასამართლოებს ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე. შესაბამისად, ევროპული სასამართლო ასე მარტივად, ანუ რაციონალურობისა და სამართალწარმოების იდეის აბსტრაქტული გამოყენების საფუძველზე, ვერ მიიჩნევს, რომ ნინაალმდეგობრივი გადაწყვეტილე-

ბების არსებობა არის საერთო ინტერესის აუცილებელი მოთხოვნა, რომელსაც შეუძლია გაამართლოს კანონმდებლის მხრიდან ამგვარი ჩარევა.

თუმცა შეიძლება არსებობდეს სრულიად უდავო მიზეზები ასეთი ჩარევის გასამართლებლად ზოგიერთ დროებით და გეოგრაფიულ გარემოში, სადაც წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების შედეგი რეალობაში სამართლიანობის დარღვევაა, მაგალითად, როდესაც წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების აღსრულება ფიზიკურად შეუძლებელია ან, თუ მთლიანად შეუძლებელი არა, გამოიწვევს მხარეთა პოზიციებში აშკარა უთანასწორობას.

ეს საქმე სწორედ ასეთი მაგალითია. 1988 წელს ელზას-მოზელის სოცუზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოთა თანამშრომლებმა გაასაჩივრეს რამდენიმე სამენარმოო სასამართლოს წინაშე მეთოდი, რომელსაც სამსახურები იყენებდნენ 15 წლის განმავლობაში 1953 წლის ხელშეკრულებით შემოღებული სპეციალური დანამატის დასათვლელად. 1992 წლის აპრილში საკასაციო სასამართლომ გააუქმა მეცის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზოგიერთ ამ საქმესთან დაკავშირებით, მიიჩნია რა, რომ 1953 წლის ხელშეკრულება აღარ გამოიყენებოდა თავდაპირველი ფორმით, და დაადგინა, რომ საქმე ხელახლა უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლომ იმის გადასაწყვეტად, არსებობდა თუ არა დადგენილი პრაქტიკა (სოცუზრუნველყოფის ორგანოების მიერ დიდი ხნის განმავლობაში გამოთვლის ამ მეთოდის გამოყენებით) და თუ ასეთი პრაქტიკა არ არსებობდა, მაშინ გამოთვლის მეთოდის დასადგენად. 1993 წლის სექტემბერში კოლმარის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სოცუზრუნველყოფის ოფისები იხდიდნენ დანამატს, თუმცა ოქტომბერში ბეზანსონის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ამის სანინაღმდეგო, ანუ რომ არ იყო ჩამოყალიბებული არანაირი პრაქტიკა, და განსაზღვრა გამოთვლის ახალი მეთოდი; შესაბამისად, გამოტანილი იქნა ორი გადაწყვეტილება, რომელთა გასაჩივრება შეიძლებოდა და რომლებიც სხვადასხვანაირად აფასებდნენ ერთსა და იმავე ფაქტს, ანუ არსებობდა თუ არა პრაქტიკა. ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, არსებობდა გაუმართლებელი არათანასწორი მდგომარეობა ელზასმოზელის სოცუზრუნველყოფის ორგანოთა თანამშრომლებს შორის დანამატთან დაკავშირებით იმის მიხედვით, მათ საქმეს ბეზანსონის სააპელაციო სასამართლო განიხილავდა თუ კოლმარის სააპელაციო სასამართლო. როგორ უნდა გამოეყენებინათ სოცუზრუნველყოფის ორგანოებს ასეთი განსხვავებული გადაწყვეტილებები პრაქტიკაში?

წარმოადგენდა ეს სიტუაცია 1993 წლის შემოდგომაზე საერთო ინტერესის გადაუდებელ საფუძველს კანონმდებლის ჩარევისათვის? ჩემი აზრით, ეს ასე იქნებოდა, კანონმდებელი რომ ერთადერთი ყოფილიყო, ვისაც შეეძლო სიტუაციის გამოსწორება; თუმცა მხარეებს კვლავ შეეძლოთ საკასაციო სასამართლოსათვის მიმართვა სწორედ წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების არსებობის გამო. შესაბამისად, სირთულის გადალახვა სასამართლოს მეშვეობით შესაძლებელი იყო, რაც გამოასწორებდა სამართლიანობის დარღვევას. სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ 1993 წლის შემოდგომაზე მეცისა და კოლმარის სასამართლოების მიერ გამოტანილი წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებები არ წარმოადგენდა საკმარის მიზეზს კანონმდებლის ჩარევისათვის; ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავად ასეთი დაბნეულობისა, თვით წინააღმდეგობა გადაწყვეტილებებს შორის არ იწვევდა ფინანსურ სირთულეებს სოცუზრუნველყოფის ორგანოებისათვის.